ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

PROCEEDINGS

II

Publishing House “Meridiani”
Tbilisi, 2011

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შრომები

II

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2011

მთავარი რედაქტორი ოთარ ჟორდანია
პასუხისმგებელი მდივნები: მერი გაბედავა, ირმა ზაქარაია

სარედაქციო საბჭო

სოკრატ ანგელიდისი, საბერძნეთი *(ეთნოლოგია),* **მარია კორნელია ბარლიბა, რუმინეთი** *(კულტუროლოგია),* **ბადრი გოგია, საფრანგეთი** *(ისტორია),* **სერგეი ვოლკოვი, უკრაინა** *(ქიმია),* **ტანია კაპიკი, საბერძნეთი** *(ტურიზმი),* **ფრანჩესკო კრეადო, ესპანეთი** *(მათემატიკა),* **ჰენრიკ პაპროცკი, პოლონეთი** *(თეოლოგია),* **ბორის პრისტერი, უკრაინა** *(რადიოეკოლოგია),* **ლიუბოვ სოლოვიოვა, რუსეთი** *(ეთნოლოგია),* **დავით ყოლბაია, პოლონეთი** *(ისტორია),* **გივი წულაია, რუსეთი** *(კავკასიის ისტორია),* **მარია კონიუშკევიჩი, ბელორუსი** *(ფილოლოგია).*

სარედაქციო კოლეგია

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზოია ადამია, დიანა ალანია, ეკატერინე ბაკარაძე, მანანა ბერულავა, იზოლდა გაბისონია, რუსუდან გაჩავა, ქეთევან გიგაშვილი, გიორგი გოცირიძე, ნუგზარ ებანოიძე, ანზორ თოთაძე, ზურაბ კერესელიძე, გუჩა კვარაცხელია, მედეა კვარაცხელია, პაატა კოღუაშვილი, მაია მარღანია, ანტონინა მსხილაძე, ნოდარ ნათაძე, ქეთევან პავლიაშვილი, ალექსანდრე რუსეცკი, ავთანდილ სილაგაძე, ნონა (ნაზი) უშვერიძე, გულნარა ქარჩავა, მალხაზ ღვინჯილია, კლიმენტი შელია, მანანა შელია, ვაჟა შენგელია, თემურ ჩილაჩავა, ნოდარ ჩხარტიშვილი, გივი ცინცაძე, მარატ ციცქიშვილი, მინედა ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა, მარინა ჯაიანი, ლილიანა ჯანაშია.

Editor-in-Chief: **Otar Zhordania**

Executive Secretaries: **Meri Gabedava, Irma Zakaraia**

EDITORIAL COUNCIL

Sokrat Angelidisi, Greece (Ethnology), **Maria Cornelia Barliba, Romania** (Culture Studies), **Badri Gogia, France** (History), **Tania Kapiki, Greece** (Tourism), **David Kolbaia, Poland** (History), **Franchesko Kreado, Spain** (Mathematics), **Henrik Paprotsky, Poland** (Theology), **Boris Prister, Ukraine** (Radioecology), **Lubov Soloviova, Russia** (Ethnology), **Givi Tsulaia, Russia** (History of Caucasus), **Sergi Volkov, Ukraine** (Chemistry), **Maria Koniushkevich, Belorus** (Philology).

EDITORIAL BOARD

Metropolitan Daniel (Datuashvili) of Chiatura and Sachkhere Eparchy, Zoia Adamia, Diana Alania, Ekaterine Bakaradze, Manana Berulava, Mineda Chanturia, Temur Chilachava, Nodar Chitanava, Nodar Chkhartishvili, Nugzar Ebanoidze, Izolda Gabisonia, Rusudan Gachava, Ketevan Gigashvili, Giorgi Gotsiridze, Malkhaz Ghvindjilia, Marina Jaiani, Liliana Janashia, Gulnara Karchava, Zurab Kereselidze, Gucha Kvaratskhelia, Medea Kvaratskhelia, Paata Koghuashvili, Maia Marghania, Antonina Mskhiladze, Nodar Natadze, Ketevan Pavliashvili, Alexander Rusetsky, Avtandil Silagadze, Climent Shelia, Manana Shelia, Vazha Shengelia, Anzor Totadze, Givi Tsintsadze, Marat Tsitskishvili, Nona (Nazi) Ushveridze.

Address: Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 15a Tamarashvili st. 0186, Tbilisi, Georgia.

მისამართი: ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, 0186, საქართველო, თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. 15ა.

www.taas.ge; tskhumabkhazianacademy@gmail.com; Tel. 2 18 39 42

© **ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია**

© Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

ISSN 2233-3363

უაკ (UDC) 908(479.224)
ც-998

მათემატიკური მოდელირება
MATHEMATICAL MODELING

თემურ ჩილაჩავა, ნუგზარ კერესელიძე

„აგრესორი-მსხვერპლის“ ინფორმაციული ომის არაწრფივი მათემატიკური მოდელი

1. სინერგეტიკა, ანუ თვითორგანიზაციის თეორია, დღეისათვის საგანთაშორისი კავშირების კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული მიდგომაა (Chilachava, Dzidziguri, 2008; Dzidziguri, Chilachava, 2011). ადრე ჩვენ მიერ შემოთავაზებული იყო ინფორმაციული ომის მათემატიკური მოდელები, განხილული იყო უწყვეტი ზოგადი წრფივი და კერძო სახის არაწრფივი მოდელები (Chilachava, Kereselidze, 2010: 78-105; Chilachava, Kereselidze, 2009a: 91-112.; Chilachava, Kereselidze, 2009b: 113-141; Chilachava, Kereselidze, 2011a: 28-35; Chilachava, Kereselidze, 2011b: 185-188).

განვიხილოთ „აგრესორის“ (ძლიერი მოწინააღმდეგის) და „მსხვერპლის“ (სუსტი მოწინააღმდეგის) ინფორმაციული ომის არაწრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{cases} \dfrac{dN_1(t)}{dt} = \alpha N_1(t) - \delta N_1(t) N_2(t) - \beta\, N_3(t) \\ \dfrac{dN_2(t)}{dt} = \alpha N_2(t) + \delta N_1(t) N_2(t) - \beta N_3(t) \\ \dfrac{dN_3(t)}{dt} = \gamma\left(N_1(t) + N_2(t)\right) \end{cases} \tag{1}$$

სადაც, $\alpha, \beta, \delta, \gamma>0$ მოდელის დადებითი პარამეტრებია, ხოლო $N_1(t)$, $N_2(t)$, $N_3(t)$ მხარეების მიერ დროის მოცემულ t მომენტში გავრცელებული შესაბამისი ინფორმაციის რაოდენობაა, რაც შეეხება

$$N_1(0)=N_{10},\ N_2(0)=N_{20},\ N_3(0)=N_{30}, \tag{2}$$

ისინი ინფორმაციული ომის საწყისი პირობებია.

სისტემა (1)-ის მესამე განტოლება გავაწარმოოთ და შედეგად მიღებულ გამოსახულებაში ჩავსვათ ამ სისტემის პირველი და მეორე განტოლებები, და მივიღებთ $N_3(t)$-ს მიმართ მეორე რიგის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებას.

$$\frac{d^2N_3(t)}{dt^2} = \alpha\frac{d}{dt}N_3(t) - 2\beta\gamma N_3(t) \qquad (3)$$

(3)-ის მახასიათებელი განტოლებაა

$$\lambda^2 - \alpha\lambda + 2\beta\gamma = 0$$

1. თუ $D=\alpha^2 - 8\beta\gamma>0$, მაშინ

$$\lambda_1 = \frac{\alpha + \sqrt{\alpha^2 - 8\beta\gamma}}{2}\ ,\ \lambda_2 = \frac{\alpha - \sqrt{\alpha^2 - 8\beta\gamma}}{2} \qquad (4)$$

და (3)-ის ზოგად ამოხსნას აქვს სახე

$$N_3(t)=C_1e^{\lambda_1 t} + C_2e^{\lambda_2 t}\ , \qquad (5)$$

სადაც C_1 და C_2 განისაზღვრება საწყისი პირობებიდან

$$\begin{cases} N_3(0) = C_1 + C_2 = N_{30} \\ \dfrac{dN_3(0)}{dt} = \lambda_1 C_1 + \lambda_2 C_2 = \gamma\left(N_{10} + N_{20}\right) \end{cases} \qquad (6)$$

რომლის გათვალისწინებით (5) მიიღებს სახეს

$$N_3(t)= \frac{\gamma\left(N_{10} + N_{20}\right) - \lambda_2 N_{30}}{\sqrt{D}}\ e^{\lambda_1 t}\ -\ \frac{\gamma\left(N_{10} + N_{20}\right) - \lambda_1 N_{30}}{\sqrt{D}}\ e^{\lambda_2 t} \qquad (7)$$

(1) სისტემის მესამე განტოლებიდან ვიპოვით

$$N_1(t)+N_2(t)=\frac{1}{\gamma}\frac{d}{dt}N_3(t), \tag{8}$$

და თუ გავითვალისწინებთ, რომ $\frac{1}{\gamma}=\frac{2\beta}{\lambda_1\lambda_2}$, მივიღებთ

$$N_1(t)+N_2(t)=\beta\frac{\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_2N_{30}}{\lambda_2\sqrt{D}}e^{\lambda_1t}-\beta\frac{\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_1N_{30}}{\lambda_1\sqrt{D}}e^{\lambda_2t} \tag{9}$$

$$\varphi(t)\equiv\beta\frac{\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_2N_{30}}{\lambda_2\sqrt{D}}e^{\lambda_1t}-\beta\frac{\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_1N_{30}}{\lambda_1\sqrt{D}}e^{\lambda_2t},$$

მაშინ $N_2(t)=\varphi(t)-N_1(t)$ (10)

(10) ჩავსვათ (1)-ის პირველ განტოლებაში და მივიღებთ რიკატის განტოლებას $N_1(t)$-ს მიმართ

$$\frac{d}{dt}N_1(t)=(\alpha-\delta\varphi(t))N_1(t)+\delta N_1^{\,2}(t)-\beta N_3(t) \tag{11}$$

ზოგადად (11) კვადრატურებში არ ამოიხსნება, ამიტომ გამოვიყენოთ მის მიმართ რიცხვითი მეთოდები. მაგრამ მანამდე კი დავადგინოთ მესამე მხარის ჩართულობის ხასიათი ინფორმაციულ ომში.

თუ კი მესამე მხარე გამოიყენებს პრევენციას გარკვეული დოზით, მაშინ $N_3(t)$ ფუნქცია გადის ნულზე, ანუ მესამე მხარე ასრულებს ინფორმაციულ ომს. მართლაც, (7) გადავწეროთ შემდეგნაირად

$$N_3(t)=\frac{e^{\lambda_2t}}{\sqrt{D}}\left(\left(\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_2N_{30}\right)e^{(\lambda_1-\lambda_2)t}-\left(\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_1N_{30}\right)\right) \tag{12}$$

რადგანაც $\lambda_1-\lambda_2>0$, ცხადია, რომ დიდი t-სთვის $N_3(t)$-ის ნიშანს განსაზღვრავს $e^{(\lambda_1-\lambda_2)t}$-ს წინ მყოფი კოეფიციენტი, კერძოდ $N_3(t)$ უარყოფითია, თუ $(\gamma(N_{10}+N_{20})-\lambda_2N_{30})<0$, მაშინ

$$N_{30}>\frac{\gamma(N_{10}+N_{20})}{\lambda_2} \tag{13}$$

N_{30}-ის ამ (13) მნიშვნელობებისათვის $N_3(t)$ იცვლის ნიშანს $[0,+\infty)$

არეზე დადებითიდან $N_3(0)=N_{30}>0$, უარყოფითზე, ამდენად $N_3(t)$ უწყვეტ ფუნქციას გააჩნია ნული, რომელიღაც t** წერტილში. იგი წარმოადგენს $N_3(t)=0$ განტოლების ამოხსნას

$$(\gamma(N_{10}+N_{20}) - \lambda_2 N_{30})\, e^{(\lambda_1-\lambda_2)t} = (\gamma(N_{10}+N_{20}) - \lambda_2 N_{30}) \qquad (14)$$

(14)-დან გვაქვს

$$t^{**} = \frac{1}{\sqrt{D}} \ln\left(\frac{-\gamma(N_{10}+N_{20})+\lambda_1 N_{30}}{-\gamma(N_{10}+N_{20})+\lambda_2 N_{30}}\right) \qquad (15)$$

შევნიშნოთ, რომ ლოგარითმქვეშა გამოსახულება ერთზე მეტია, როცა N_{30} აკმაყოფილებს (13) პირობას:

$$\frac{-\gamma(N_{10}+N_{20})+\lambda_1 N_{30}}{-\gamma(N_{10}+N_{20})+\lambda_2 N_{30}} > 1$$

თუ კი არ სრულდება პირობა (13) და გვაქვს

$$N_{30} \le \frac{\gamma(N_{10}+N_{20})}{\lambda_2} \qquad (16)$$

მაშინ $N_3(t)$ არ იცვლის ნიშანს $[0,+\infty)$ არეზე, ის თავიდანვე დადებითია $N_3(0)=N_{30}>0$, არ გადაკვეთს აბსცისთა ღერძს და არა აქვს ამონახსენი (14) შესაბამის განტოლებას, ანუ მესამე მხარე არ ასრულებს მშვიდობისმყოფელი მოწოდებების გავრცელებას – არ ასრულებს ინფორმაციულ ომს.

ასევე, თუ კი მესამე მხარე არ მიმართავს პრევენციას $N_{30}=0$, მაშინ $N_3(t)$ არ იცვლის ნიშანს, სულ დადებითია და მიისწრაფის $+\infty$-სკენ. აქაც მესამე მხარე არ ასრულებს მშვიდობისმყოფელი მოწოდებების გავრცელებას – არ ასრულებს ინფორმაციულ ომს.

რაც შეეხება ანტაგონისტურ მხარეებს, თუ სრულდება (16), მაშინ დროის დიდი მნიშვნელობისათვის მათი ჯამი $N_1(t)+N_2(t)$ ხდება რაგინდ დიდი, და ამიტომ სულ მცირე, ერთი რომელიმე მხარე მაინც ავითარებს ინფორმაციულ ომს. ხოლო თუ კი სრულდება (13) პირობა, მაშინ არის იმის შესაძლებლობა, რომ ორივე მხარემ დაასრულოს ინფორმაციული ომი, რადგან მათი ჯამი მიისწრაფვის მინუს უსასრულობისკენ, როცა დრო უსასრულოდ იზრდება.

დავუბრუნდეთ (11) განტოლების რიცხვით ამოხსნას (7)-ისთვის.

ამისთვის გამოვიყენოთ **Matlab**-ის საშუალება, კერძოდ, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების (სისტემის) ამომხსნელი (სოლვერი) **ode45**, რომელიც **რუნგე - კუტას** მე-4 და მე-5 რიგის სიზუსტის ერთბიჯიან ცხად მეთოდებზეა დაფუძნებული და მოდიფიცირებული იყო **ჯ. დორმანდისა** და **პ. პრინცის** მიერ (Samarski, 2001; Dormand, Prince, 1980: 19-26; Samarskiy, 2009; Shampayn, Gladvel, Tompson, 2009).

მეორე მხარის აქტიურობა განისაზღვრება (10) ფორმულით, მას შემდეგ, რაც ნაპოვნია პირველი მხარის აქტიურობა რიცხვითი მეთოდებით. ჩატარებულ იქნა გამოთვლითი ექსპერიმენტი: პრევენციის, δ პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის. δ პარამეტრის შემცირებისას, კერძოდ, როცა იგი მიისწრაფვის ნულისაკენ, ვღებულობთ მოწინააღმდეგის იგნორირების ინფორმაციული ომის წრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელის შედეგებს (Chilachava, Kereselidze, 2010; Chilachava, Kereselidze, 2009b; Chilachava, Kereselidze, 2011b) D>0-სთვის. „მცირე“ პრევენციის შემთხვევაში სამშვიდობო აქტიურობა საკმარისი არ არის ინფორმაციული ომის დასაძლევად. ხოლო „დიდი“ პრევენციის შემთხვევაში შესაძლებელია სამშვიდობო აქტიურობაზე ზემოქმედება, მათი შემობრუნება, ანუ ინფორმაციული ომის დასრულება. აღსანიშნავია, რომ, როცა პრევენცია მცირეა, მეორე მხარის აგრესიულობა დიდია, მას პირობითად „აგრესორი“ დავარქვათ, ხოლო პირველი მხარე მცირე პრევენციის შემთხვევაშიც კი ნაკლებ აქტიურია, დავარქვათ მას პირობითად „მსხვერპლი“. ანუ მსხვერპლი მცირე პრევენციის დროსაც, ან მისი არარსებობის შემთხვევაშიც კი არ აქტიურობს ინფორმაციულ ომში, გადის ნულზე ან მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობა ნულთან ახლოსაა. იმ შემთხვევაში კი, როცა პრევენცია იზრდება და საკმაოდაც დიდი ხდება, „მსხვერპლი“ ადვილად ემორჩილება მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს და ასრულებს ინფორმაციულ ომს საკმაოდ სწრაფად. რაც შეეხება „აგრესორს“, ისიც ემორჩილება, ზოგადად, მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს, მაგრამ გაცილებით უფრო რთულად. თავიდან ის ზრდის აქტიურობას, შემდეგ გადის ნულზე, ხოლო გარკვეული დროის მერე მაინც აგრძელებს მცირე რაოდენობის ინფორმაციულ შეტევებს.

2. თუ $D=\alpha^2 - 8\beta\gamma = 0$, მაშინ (3)-ის მახასიათებელ განტოლებას აქვს ერთი ორჯერადი ფესვი და $N_3(t)$-ის ზოგად ამოხსნას აქვს სახე

$$N_3(t) = (C_1 + C_2 t)e^{\frac{\alpha}{2}t} \tag{17}$$

სადაც C_1 და C_2 განისაზღვრება პირობებიდან:

$N_3(0)=N_{30} \Leftrightarrow C_1=N_{30}$

$$\frac{d}{dt}N_3(0) = C_2 + N_{30}\frac{\alpha}{2} = \gamma(N_{10} + N_{20}) \Leftrightarrow C_2 = \gamma(N_{10} + N_{20}) - \frac{\alpha}{2}N_{30}$$

და ამდენად $N_3(t)$-ის ამოხსნას აქვს შემდეგი სახე

$$N_3(t) = \left[N_{30} + (\gamma N_{10} + \gamma N_{20} - \frac{\alpha}{2}N_{30})t \right] e^{\frac{\alpha}{2}t} \tag{18}$$

$N_1(t) + N_2(t)$-ის საპოვნელად გამოვიყენოთ (8) და (18)

$$N_1(t) + N_2(t) = \frac{1}{\gamma}\left(\gamma N_{10} + \gamma N_{20} - \frac{\alpha}{2}N_{30} + \frac{\alpha}{2}\left(N_{30} + \left(\gamma N_{10} + \gamma N_{20} - \frac{\alpha}{2}N_{30} \right)t \right) \right) e^{\frac{\alpha}{2}t}$$

(19)

აღვნიშნოთ

$$\varphi(t) = \frac{1}{\gamma}\left(\gamma N_{10} + \gamma N_{20} - \frac{\alpha}{2}N_{30} + \frac{\alpha}{2}\left(N_{30} + \left(\gamma N_{10} + \gamma N_{20} - \frac{\alpha}{2}N_{30} \right)t \right) \right) e^{\frac{\alpha}{2}t} \tag{20}$$

მაშინ $N_2(t)$ შეიძლება გამოვსახოთ (10)-ით და ჩავსვათ ის (1)-ის პირველ განტოლებაში და მივიღებთ რიკატის განტოლებას $N_1(t)$-ს მიმართ (11).

დავადგინოთ მესამე მხარის ჩართულობის ხასიათი ინფორმაციულ ომში.

თუ კი მესამე მხარე გამოიყენებს პრევენციას გარკვეული დოზით, მაშინ, $N_3(t)$ ფუნქცია გადის ნულზე, ანუ მესამე მხარე ასრულებს ინ-ფორმაციულ ომს. $N_3(t)$-სთვის (18)-დან გამომდინარე, ნულზე გასვლა მიიღწევა მაშინ, როცა t-ს წინ კოეფიციენტი იქნება უარყოფითი.

$$N_{30} > \frac{2\gamma(N_{10} + N_{20})}{\alpha} \tag{21}$$

ნული კი მიიღწევა t** წერტილში

$$t^{**} = \frac{N_{30}}{\frac{\alpha}{2}N_{30} - \gamma(N_{10} + N_{20})} \tag{22}$$

თუ კი არ სრულდება პირობა (21) და გვაქვს

$$N_{30} \le \frac{2\gamma(N_{10} + N_{20})}{\alpha} \qquad (23)$$

მაშინ, $N_3(t)$ არ იცვლის ნიშანს $[0,+\infty)$ არეზე, ის თავიდანვე დადებითია $N_3(0)=N_3>0$, არ გადაკვეთს აბსცისთა ღერძს, ანუ მესამე მხარე არ ასრულებს მშვიდობისმყოფელი მოწოდებების გავრცელებას - არ ასრულებს ინფორმაციულ ომს.

ასევე, თუ კი მესამე მხარე არ მიმართავს პრევენციას $N_3=0$, მაშინ $N_3(t)$ არ იცვლის ნიშანს, სულ დადებითია და მიისწრაფვის $+\infty$-სკენ. აქაც მესამე მხარე არ ასრულებს მშვიდობისმყოფელი მოწოდებების გავრცელებას - არ ასრულებს ინფორმაციულ ომს.

რაც შეეხება ანტაგონისტურ მხარეებს, თუ სრულდება (23), მაშინ დროის დიდი მნიშვნელობისათვის მათი ჯამი $N_1(t) + N_2(t)$ ხდება რაგინდ დიდი, და ამიტომ სულ მცირე, ერთი რომელიმე მხარე მაინც ავითარებს ინფორმაციულ ომს. ხოლო, თუ კი სრულდება (21) პირობა, მაშინ არის იმის შესაძლებლობა, რომ ორივე მხარემ დაასრულოს ინფორმაციული ომი, რადგან მათი ჯამი მიისწრაფვის მინუს უსასრულობისკენ, როცა დრო უსასრულოდ იზრდება.

(11) განტოლების რიცხვით ამოხსნისათვის გამოვიყენოთ Matlab-ის საშუალებები, კერძოდ, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების (სისტემის) ამომხსნელები: ode15-ს, რომელიც ხისტი მოდელებისთვის გათვლილი, დაფუძნებულია რიცხვითი დიფერენცირების (უკან) ფორმულებზე, წარმოადგენს მრავალბიჯიან ცვლადი სიზუსტის (1-დან - 5-მდე) მეთოდს და ode45, რომელიც რუნგე-კუტას მე-4 და მე-5 რიგის სიზუსტის ერთბიჯიან ცხად მეთოდებზეა დაფუძნებული (Samarski, 2001; Dormand, Prince, 1980; Samarskiy, 2009; Shampayn, Gladvel, Tompson, 2009).

მეორე მხარის აქტიურობა განისაზღვრება (10) ფორმულით, მას შემდეგ, რაც ნაპოვნია პირველი მხარის აქტიურობა რიცხვითი მეთოდებით. ჩატარებულ იქნა გამოთვლითი ექსპერიმენტი: პრევენციის, δ პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის. δ პარამეტრის შემცირებისას, კერძოდ, როცა იგი მიისწრაფვის ნულისაკენ, ვღებულობთ მოწინააღმდეგის იგნორირების ინფორმაციული ომის წრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელის შედეგებს (Chilachava, Kereselidze, 2010; Chilachava, Kereselidze, 2009b ; Chilachava, Kereselidze, 2011a) D=0-სთვის. მცირე პრევენციის შემთხვევაში სამშვიდობო აქტიურობა საკმარისი არ არის ინფორმაციული ომის დასაძლევად, ხოლო დიდი პრევენციის შემთხვევა-

ში შესაძლებელია სამშვიდობო აქტიურობაზე ზემოქმედება, მათი შემობრუნება, ანუ ინფორმაციული ომის დასრულება.

მსხვერპლის მცირე პრევენციის დროსაც, ან მისი არარსებობის შემთხვევაშიც კი ის არ აქტიურობს ინფორმაციულ ომში, გადის ნულზე ან მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის რაოდენობა ნულთან ახლოსაა. იმ შემთხვევაში კი, როცა პრევენცია იზრდება და საკმაოდ დიდი ხდება, „მსხვერპლი“ ადვილად ემორჩილება მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს და ასრულებს ინფორმაციულ ომს საკმაოდ სწრაფად. რაც შეეხება „აგრესორს“, ისიც ემორჩილება, ზოგადად, მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს, მაგრამ გაცილებით უფრო რთულად, თავიდან ის ზრდის აქტიურობას, შემდეგ გადის ნულზე, ხოლო გარკვეული დროის მერე მაინც აგრძელებს მცირე რაოდენობის ინფორმაციულ შეტევებს.

3. თუ $D=\alpha^2-8\beta<0$, მაშინ (3)-ის მახასიათებელ განტოლებას აქვს ორი შეუღლებული კომპლექსური ფესვი და $N_3(t)$-ის ზოგად ამოხსნას აქვს სახე

$$N_3(t)=\left(C_1\cos\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}t+C_2\sin\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}t\right)e^{\frac{\alpha}{2}t} \tag{24}$$

სადაც C_1 და C_2 განისაზღვრება პირობებიდან:

$$N_3(0)=N_{30}\Leftrightarrow C_1=N_{30}$$

$$\frac{d}{dt}N_3(0)=\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}C_2+N_{30}\frac{\alpha}{2}=\gamma(N_{10}+N_{20})\Leftrightarrow C_2=\frac{2\gamma(N_{10}+N_{20})-\alpha N_{30}}{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}$$

და ამდენად $N_3(t)$-ის ამოხსნას, მას მერე, რაც ჩავატარებთ ტრიგონომეტრიულ გარდაქმნას, აქვს შემდეგი სახე

$$N_3(t)=\sqrt{N_{30}{}^2+\frac{\left(2\gamma(N_{10}+N_{20})-\alpha N_{30}\right)^2}{8\beta\gamma-\alpha^2}}\;e^{\frac{\alpha}{2}t}\sin\left(\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}t+\theta\right) \tag{25}$$

$$tg\theta=\frac{N_{30}\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2\gamma(N_{10}+N_{20})-\alpha N_{30}}. \tag{26}$$

$N_1(t)+N_2(t)$-ის საპოვნელად გამოვიყენოთ (8) და (25)

$$N_1(t)+N_2(t)=\sqrt{\frac{2\beta}{\gamma}}\sqrt{{N_{30}}^2+\frac{\left(2\gamma\left(N_{10}+N_{20}\right)-\alpha N_{30}\right)^2}{8\beta\gamma-\alpha^2}}e^{\frac{\alpha}{2}t}\sin\left(\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}t+\theta+\varphi\right)e^{\frac{\alpha}{2}t} \quad (27)$$

$$tg\varphi=\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{\alpha}$$

აღვნიშნოთ

$$\varphi(t)=\sqrt{\frac{2\beta}{\gamma}}\sqrt{{N_{30}}^2+\frac{\left(2\gamma\left(N_{10}+N_{20}\right)-\alpha N_{30}\right)^2}{8\beta\gamma-\alpha^2}}e^{\frac{\alpha}{2}t}\sin\left(\frac{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}}{2}t+\theta+\varphi\right) \quad (28)$$

მაშინ $N_2(t)$ შეიძლება გამოვსახოთ (10)-ით და ჩავსვათ ის (1)-ის პირველ განტოლებაში და მივიღებთ რიკატის განტოლებას $N_1(t)$-ს მიმართ (11).

დავადგინოთ მესამე მხარის ჩართულობის ხასიათი ინფორმაციულ ომში. იგი გადის ნულზე, როცა (25)-ის ტრიგონომეტრიული გამოსახულება ნულის ტოლი ხდება, ანუ t*-ში, $N_3(t)$ ნულს გაუტოლდება და მესამე მხარე ასრულებს ინფორმაციულ ომს

$$t^{\bullet}=\frac{2(\pi-\theta)}{\sqrt{8\beta\gamma-\alpha^2}} \quad (29)$$

(11) განტოლების რიცხვით ამოხსნასათვის, (18) და (20)-ისთვის. გამოვიყენოთ Matlab-ის საშუალებები, კერძოდ, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების (სისტემის) ამომხსნელი ode45, რომელიც რუნგე-კუტას მე-4 და მე-5 რიგის სიზუსტის ერთბიჯიან ცხად მეთოდებზეა დაფუძნებული (Samarski, 2001; Dormand, Prince, 1980; Samarskiy, 2009; Shampayn, Gladvel, Tompson, 2009).

მეორე მხარის აქტიურობა განისაზღვრება (10) ფორმულით, მას შემდეგ, რაც ნაპოვნია პირველი მხარის აქტიურობა რიცხვითი მეთოდებით. ჩატარებულ იქნა გამოთვლითი ექსპერიმენტი: სამშვიდობო აქტივობის, δ პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის. δ პარამეტრის შემცირებისას, კერძოდ, როცა იგი მიისწრაფვის ნულისაკენ, ვღებულობთ მოწინააღმდეგის იგნორირების ინფორმაციული ომის წრფივი უწყვეტი მათემატიკური მოდელის შედეგებს (Chilachava, Kereselidze, 2010; Chilachava, Kereselidze, 2009b; Chilachava, Kereselidze, 2011a)D<0-სთვის. მცირე სამშვიდობო აქტივობის და მცირე პრევენციის (ან მისი არ არსებობის შემთხვევაშიც კი) ინფორმაციული ომი სრულდება. ხოლო დიდი

სამშვიდობო აქტივობის შემთხვევაში ინფორმაციული ომი გაცილებით ადრე სრულდება.

მსხვერპლის მცირე სამშვიდობო აქტივობის და მცირე პრევენციის დროსაც, ან მისი არარსებობის შემთხვევაშიც კი, ის არ აქტიურობს ინფორმაციულ ომში, გადის ნულზე. იმ შემთხვევაში კი, როცა სამშვიდობო აქტივობა იზრდება და საკმაოდ დიდი ხდება, „მსხვერპლი“ ადვილად ემორჩილება მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს და ასრულებს ინფორმაციულ ომს საკმაოდ სწრაფად. რაც შეეხება „აგრესორს“, ისიც ემორჩილება, ზოგადად, მესამე მხარის მშვიდობისმყოფელ მოწოდებებს, მაგრამ გაცილებით უფრო რთულად. თავიდან ის ზრდის აქტიურობას, შემდეგ კი გადის ნულზე.

ლიტერატურა:

1. Chilachava, Dzidziguri, 2008 – Chilachava T., Dzidziguri C. Matematikuri modelireba, Tbilisi, 2008, gam. Inovacia.
2. Chilachava, Kereselidze, 2009a – Chilachava T., Kereselidze N. Non-preventive continuous linear mathematical model of information warfare. Sokhumi State University Proccedings, Mathematics and Computer Sciences, 2009, №7.
3. Chilachava, Kereselidze, 2009b – Chilachava T., Kereselidze N. Continuous linear mathematical model of preventive information warfare. Sokhumi State University Proccedings, Mathematics and Computer Sciences, 2009, №7.
4. Chilachava, Kereselidze, 2010 – Chilachava T., Kereselidze N. Sainformacio omis matematikuri modelireba. Georgian Electronic Scientific Journal: computer Science and Telecommunications 2010/No. 1(24).
5. Chilachava, Kereselidze, 2011a – Chilachava T., Kereselidze N. Matematicheskoe modelirovanie informatsionnykh voyn. Informatsionnye voyny, №1(17), 2011.
6. Chilachava, Kereselidze, 2011b – Chilachava T., Kereselidze N. Nelineynaya matematicheskaya model informatsionnoy voyny. Problemy upravleniya bezopasnostyu clozhnykh system. Trudy XIX Mezhdunarodnoy konferentsii, Moskva, 2011.
7. Dormand, Prince, 1980 – Dormand J.R., Prince P. J. A family of embedded Runge-Kutta formulae. J. Comput. Appl. Math., 1980.
8. Dzidziguri, Chilachava, 2011 – Dzidziguri C., Chilachava T. Matematikuri modelebi ekologiasa da medicinashi, Tbilisi, 2011, gam. Inovacia.
9. Samarski, 2001 – Samarski A. Rickhviti metodebis shesavali. Tbilisi,

Tsu-s gamomcemloba, 2001.
10. Samarskiy, 2009 – Samarskiy A. A. Vvedenie v chislennye metody. Uchebnoe posobie dya vuzov. 5-e izd. Sankt-Peterburg, izdatelctvo „Lan“, 2009 288c.
11. Shampayn, Gladvel, Tompson, 2009 – Shampayn L. F., Gladvel I., Tompson S. Reshenie obyknavennykh differentsialnykh uravneniy s ispolzovaniem MATLAB . Moskva, izdatelctvo „Lan“, 2009. 304 st.

Temur Chilachava, Nugzar Kereselidze

“AGGRESOR-SACRIFICE“ NONLINEAR MATHEMATICAL MODELS OF INFORMATION WARFARE

Summary

The present paper considers the nonlinear mathematical model of information warfare. Between two contradictory sides the first is strong (aggressor), and the second, is rather weak (sacrifice). Conditions on model parameters are founded at which the third (peace-making) side can extinguish information warfare. The offered model of information warfare, except theoretical interest has an important practical meaning as well. On the basis of observation and the analysis, at an early stage of information attacks, it allows, to establish true of each side and the character of the development of information warfare.

პეტრე ბაბილუა, ბესარიონ დოჭვირი, თეონა დოჭვირი, ბექარ მელაძე

ფინანსური პროცესების მათემატიკური მოდელირების შესახებ

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტმა

1. ფინანსური მათემატიკა ფინანსების თეორიის მათემატიკურ პრობლემატიკას იკვლევს. შეიძლება ითქვას, რომ იგი ორი ძირითადი მიმართულებისგან შედგება. პირველი ეს არის დეტერმინისტული, ანუ კლასიკური ფინანსური მათემატიკა, ხოლო მეორე – სტოქასტური ფინანსური მათემატიკა. ფინანსური პროცესების აღმწერ დეტერმინისტულ მათემატიკურ მოდელებში იგულისხმება დროში ცვალებადი ფინანსური ნაკადების მახასიათებლების მომავალში მნიშვნელობების სრული განსაზღვრულობა (Babilua da skhv., 2008; Tavadze, 2007; Bocharov i dr., 2007; Watsham i dr., 1995).

რეალურ ფინანსურ ოპერაციებს, როგორც წესი, თან ახლავს გარკვეული რისკი და განუსაზღვრელობა, რომელიც ამ ოპერაციების მახასიათებლებზე უამრავი შემთხვევითი ფაქტორის (მაგალითად, ინფლაციის, ეკონომიკური კრიზისის, ბუნებრივი კატასტროფების) ზეგავლენით არის გამოწვეული. ამ შემთხვევაში მახასიათებლების დროში მომავალი მნიშვნელობების ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია. სწორედ ამ შემთხვევითი ფაქტორების გათვალისწინებით ხდება ფინანსური ნაკადების მახასიათებლების შესწავლა და ანალიზი ფინანსური პროცესების აღმწერ სტოქასტურ მათემატიკურ მოდელებში (Dochviri, 2005; Lazrieva da skhv.,1999; Ghlonti, 2002; Shiriaev I dr., 1998).

ნაშრომში ჩვენ შევისწავლით დეტერმინისტული დისკრეტული ფინანსური პროცესების (ნაკადების) მათემატიკური მოდელირების ზოგიერთ საკითხს. კერძოდ, პირველი და მეორე რიგის ფინანსურ ნაკადებს, რენტას, აქტუალიზაციის, კაპიტალიზაციისა და დისკონტირების თვისებებს.

2. აღვნიშნოთ დროის t მომენტში რაიმე აქტივის, მაგალითად, აქციის, ღირებულება ან ფინანსური ოპერაციის შესაბამისი თანხის რაოდენობა C_t სიმბოლოთი. (t, C_t)წყვილს მყისიერი ფინანსური ხდომილობა ან პირველი რიგის ხდომილობა ეწოდება. პირველი რიგის ხდომილობების მიმდევრობას

$$CF = \{(t_0, C_0), (t_1, C_1), \ldots, (t_n, C_n)\} \qquad (1)$$

ეწოდება პირველი რიგის ფინანსური ან ფულადი ნაკადი.

ინტერვალური ფინანსური ხდომილობა დაკავშირებულია ინტერვალურ ფინანსურ სიდიდესთან და განიმარტება შემდეგნაირად: ვთქვათ, J არის რაიმე დროითი ინტერვალი (შუალედი), მაგალითად, $[t_1, t_2)$ ან $(t_1, t_2]$, ხოლო C იყოს ამ დროითი ინტერვალის პერიოდში შეტანილი ან გაცემული თანხის რაოდენობა, (J, C) წყვილს ინტერვალური ხდომილობა ან მეორე რიგის ხდომილობა ეწოდება.

შევნიშნავთ, რომ პრაქტიკაში, ძირითადად, გამოიყენება პირველი რიგის ხდომილობები. ამ მიზნით ხდება (J, C) ინტერვალური ხდომილობის გარდაქმნა (τ, C) მყისიერ ხდომილობად. ამ ოპერაციას აქტუალიზაცია ეწოდება, თუ $J=[t_1,t_2]$ და ფინანსური ოპერაცია ხდება $\tau = t_1$ ან $\tau = t_2$ მომენტში, მაშინ ასეთი აქტუალიზაციის სქემას, შესაბამისად, ავანსირება და ფინალიზაცია ეწოდება.

მეორე რიგის ან ინტერვალური ფინანსური ნაკადი ეწოდება მეორე რიგის ხდომილობების მიმდევრობას

$$\overline{\mathrm{CF}} = \{(J_1, C_1), \ldots, (J_n, C_n)\}, \qquad (2)$$

სადაც $J_1=[t_{i-1},t_i]$, i=1,...,n, წყვილ-წყვილად თანაუკვეთი დროითი ინტერვალებია, $J_i \cap J_k = \emptyset$, $i \neq k, i,k=1,\ldots, n$, მეორე რიგის ხდომილობებისათვის, აქტუალიზაციის ოპერაციის ანალოგიურად, შეიძლება მეორე რიგის ნაკადის აქტუალიზაცია. მართლაც, მეორე რიგის (2) ნაკადის ყოველი ხდომილობის აქტუალიზაციით მივიღებთ შესაბამის პირველი რიგის ნაკადს. ამასთან, ავანსირებული და ფინალიზირებული პირველი რიგის ნაკადები აღინიშნება და ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\mathrm{Adv}\left(\overline{\mathrm{CF}}\right) = \mathrm{CF}^a = \{(t_0, C_1), \ldots, (t_{n-1}, C_n)\}, \qquad (3)$$

$$\mathrm{Fin}\left(\overline{\mathrm{CF}}\right) = \mathrm{CF}^f = \{(t_1, C_1), \ldots, (t_n, C_n)\}, \qquad (4)$$

შესაბამისად.

3. ფინანსური ნაკადების გამოყენების საილუსტრაციოდ მოკლედ შევეხებით სპეციალურ ინტერვალურ ნაკადს, რომელსაც რენტა ეწოდება.

რენტა არის მეორე რიგის რეგულარული ფინანსური ნაკადი

$$\overline{\mathrm{CF}} = \{(J_1, C_1), \ldots, (J_n, C_n), \ldots\}, \qquad (5)$$

სადაც იგულისხმება, რომ $J_1,\ldots, J_n$ ინტერვალების (რენტის პერიოდების) სიგრძეები ერთმანეთის ტოლია.

პრაქტიკაში ხდება რენტის აქტუალიზაცია პირველი რიგის ნაკადად. ასეთ შემთხვევაში ავანსირებული პირველი რიგის ნაკადს ავანსირებული, წინმსწრები, ანუ პრენუმერანდო რენტა ეწოდება, ხოლო ფინალიზებულ

პირველი რიგის ნაკადს ფინალური, ჩვეულებრივი, ანუ პოსტნუმერანდო რენტა ეწოდება.

ხშირად რენტის თითოეული პერიოდი (ან რომელიმე პერიოდი) იყოფა P ნაწილად და ყოველ ნაწილში გაიცემა ერთმანეთის ტოლი გადახდები. ასეთი სახის რენტებს P-ჯერადი ეწოდება.

$\overline{\mathrm{CF}}$ რენტის P-ჯერადი დანაწილების ოპერაცია $D^{(p)}$-თი აღინიშნება, ხოლო ამ ოპერაციით მიღებული შესაბამისი რენტა აღინიშნება $D^{(p)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)$ სიმბოლოთი.

მაგალითი 1. განვიხილოთ რენტა

$$\overline{\mathrm{CF}}=\left\{\left((0,1),100\right),\left((1,2),200\right),\left((2,3),300\right)\right\}. \tag{6}$$

1. იპოვეთ მესამე პერიოდის შესაბამისი 3-ჯერადი მიკრორენტა;
2. იპოვეთ მთლიანი რენტის შესაბამისი 2-ჯერადი მიკრორენტა.

ამოხსნა. ადვილი შესამოწმებელია, რომ საძებნ მიკრორენტებს, შესაბამისად, აქვს შემდეგი სახე

1. $D^{(3)}=\left((2,3),300\right)=\left\{\left(\left(2,\frac{7}{3}\right),100\right),\left(\left(\frac{7}{3},\frac{8}{3}\right),100\right),\left(\left(\frac{8}{3},3\right),100\right)\right\}.$

2. $D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)=\left\{\left(\left(0,\frac{1}{2}\right),50\right),\left(\left(\frac{1}{2},1\right),50\right),\left(\left(1,\frac{3}{2}\right),100\right),\right.$
$\left.\left(\left(\frac{3}{2},2\right),100\right),\left(\left(2,\frac{5}{2}\right),150\right),\left(\left(\frac{5}{2},3\right),150\right)\right\}$

სამართლიანია შემდეგი თვისებები:

$$\mathrm{Adv}\left(D^{(p)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=D^{(p)}\left(\mathrm{Adv}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right), \tag{7}$$

$$\mathrm{Fin}\left(D^{(p)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=D^{(p)}\left(\mathrm{Fin}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right). \tag{8}$$

შევნიშნავთ, რომ (7) და (8) თვისებების დამტკიცება უშუალოდ მიიღება აქტუალიზაციის ოპერაციისა და P-ჯერადი რენტის განმარტებების გამოყენებით.

მაგალითი 2. ვთქვათ, გვაქვს (6) რენტა.

1. შეამოწმეთ (7) თვისება 2-ჯერადი მიკრორენტისთვის;
2. შეამოწმეთ (8) თვისება 2-ჯერადი მიკრორენტისთვის.

ამოხსნა. გამოვთვალოთ (7) და (8) ტოლობების მარცხენა და მარჯვენა მხარეები და, შესაბამისად, შევადაროთ ისინი ერთმანეთს.

1. გამოვთვალოთ (7) ტოლობის მარცხენა მხარე. მაგალითი 1-დან გამოთვლილი გვაქვს მიკრორენტა $D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)$. შემდეგ გვაქვს

$$\mathrm{Adv}\left(D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=\left\{(0,50),\left(\frac{1}{2},50\right),(1,100),\left(\frac{3}{2},100\right),(2,150),\left(\frac{5}{2},150\right)\right\}$$

გამოვთვალოთ ახლა (7) ტოლობის მარჯვენა მხარე, გვაქვს

$$\mathrm{Adv}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)=\{(0,100),(1,200),(2,300)\}.$$

მივიღეთ პირველი რიგის ავანსირებული ნაკადი, მისი შესაბამისი 2-ჯერადი რენტის გამოსათვლელად საჭიროა დროის ყველა მომენტთან ერთად განვიხილოთ, აგრეთვე, მათგან მარჯვნივ 1/2-ის ტოლი სიგრძით დაშორებული მომენტები და შესაბამისი გადახდები. რიცხვი 1/2 გვაქვს იმიტომ, რომ ვიხილავთ 2-ჯერად რენტას და დასაყოფი ნაკადის მომენტებს შორის მანძილები ერთი ტოლი გვექნება

$$D^{(2)}\left(\mathrm{Adv}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=\left\{(0,50),\left(\frac{1}{2},50\right),(1,100),\left(\frac{3}{2},100\right),(2,150),\left(\frac{5}{2},150\right)\right\}$$

ამრიგად, მივიღეთ

$$\mathrm{Adv}\left(D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=D^{(2)}\left(\mathrm{Adv}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right). \qquad (9)$$

2. გამოვთვალოთ (8) ტოლობის მარცხენა მხარე $D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)$ მიკრორენტა გამოთვლილია, შემდეგ გვაქვს

$$\mathrm{Fin}\left(D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right)=\left\{\left(\frac{1}{2},50\right),(1,50),\left(\frac{3}{2},100\right),(2,100),\left(\frac{5}{2},150\right),(3,150)\right\}.$$

გამოვთვალოთ ახლა (8) ტოლობის მარჯვენა მხარე, გვაქვს

$$\mathrm{Fin}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)=\{(1,100),(2,200),(3,300)\}.$$

მივიღეთ ისევ პირველი რიგის, მხოლოდ უკვე ფინალიზებული ნაკადი. მისი შესაბამისი 2-ჯერადი რენტის გამოსათვლელად ამ შემთხვევაში საჭიროა დროის ყოველ მომენტთან ერთად განვიხილოთ, აგრეთვე, მათგან მარცხნივ 1/2-ის ტოლი სიგრძით დაშორებული მომენტები და შესაბამისი გადახდები. ამ პროცედურის ჩატარებით ადვილად დავრწ-

მუნდებით, რომ

$$\mathrm{Fin}\left(D^{(2)}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right) = D^{(2)}\left(\mathrm{Fin}\left(\overline{\mathrm{CF}}\right)\right). \tag{10}$$

4. განვიხილოთ მარტივი საკრედიტო გარიგება P_0 საწყისი თანხით დროის t_0 მომენტში და P_1 თანხით დაფარვის t_1 მომენტში. ეს ოპერაცია წარმოადგენს დისკრეტულ ნაკადს

$$\mathrm{CF} = \left\{\left(t_0, B_0\right), \left(t_1, B_1\right)\right\}, \tag{11}$$

სადაც $B_0 = P_0$ და $B_1 = P_1$. აქ არაფერია ნათქვამი საკრედიტო გარიგების მდგომარეობის შესახებ დროის იმ მომენტებისათვის, რომელიც (t_0, t_1) შუალედში მდებარეობს. თუ, მაგალითად, ხდება პროცენტის დარიცხვა ამ შუალედის ნებისმიერ t მომენტში, $t_0 \le t \le t_1$, მაშინ გვაქვს ე. წ. დაგროვებული (დარიცხული) პროცენტის შესაბამისი თანხა I_t და დროის t მომენტისათვის გარიგების მდგომარეობა შეიძლება ასე ჩავწეროთ

$$B_t = B(t) = B_0 + I_t. \tag{12}$$

ცხადია, თუ $t=t_0$, მაშინ $I_{t_0}=0$ და $B(t_0)=B_0$, თუ $t=t_1$ მაშინ

$$B_{t_1} = B\left(t\right) = B_0 + I_{t_1} = B_1. \tag{13}$$

შევნიშნოთ, რომ ხშირად (t, C) ფინანსურ ხდომილობას აღნიშნავენ C_t სიმბოლოთი, რომელსაც კიდევ (t მომენტში) „დათარიღებული" თანხა ეწოდება. თუ გვაქვს ხდომილობა (τ, V) და $t_0=\tau$, $B_0=C$, მაშინ გვექნება კონკრეტული (ინდივიდუალური) ფინანსური პროცესი

$$B_t = B\left(t, \tau, C\right). \tag{14}$$

ასეთ შემთხვევაში B_t-ს ეწოდება დროის t მომენტში (τ, V) ხდომილობის (C თანხის) მომავალი (დაყვანილი) მნიშვნელობა და აღინიშნება შემდეგნაირად

$$B_t = \mathrm{FV}_t\left(\tau, C\right), \quad t > \tau. \tag{15}$$

აქვე შევნიშნოთ, რომ დეტერმინისტულ ფინანსურ პროცესში მისი საწყისი მდგომარეობა მთლიანად და ცალსახად განსაზღვრავს (წარმო-

ქმნის) მის ყველა შემდგომ მომავალ მდგომარეობას.

ვიტყვით, რომ (t_2,C_2) ხდომილობა უშუალოდ ცვლის (ენაცვლება) (t_1,C_1) ხდომილობას დეტერმინისტული პროცესის მიმართ, თუ

$$C_2 = B(t_2;t_1,C_1), \quad \text{როცა} \quad t_2 \geq t_1,$$
$$C_1 = B(t_1;t_2,C_2), \quad \text{როცა} \quad t_1 \geq t_2.$$

B_t პროცესს ეწოდება სრულად დეტერმინისტული (განსაზღვრული), თუ ნებისმიერი (τ,C) ხდომილობისათვის და დროის p მომენტისათვის არსებობს ერთადერთი ხდომილობა (t,V) რომელიც უშუალოდ ცვლის (τ,C) ხდომილობას. ამრიგად, სრულად დეტერმინისტული პროცესისათვის გვაქვს: თუ (p,V) ცვლის (τ,C)-ს, $p\geq\tau$, მაშინ

$$V = B(p;\tau,C) \quad \text{ანუ} \quad V = \mathrm{FV}_p(\tau,C),$$

ხოლო თუ (τ, C) ცვლის (p,V)-ს, $p\geq\tau$ მაშინ

$$C = B(\tau;p,V) \quad \text{ანუ} \quad C = \mathrm{FV}_\tau(p,V).$$

თუ ხდომილობა (p,V) წარმოქმნის მომავალში (τ, C) ხდომილობას, რაც $C=\mathrm{FV}_\tau(p,V)$ ტოლობით ჩაიწერება, ანალოგიურად შეიძლება ჩავწეროთ $p<\tau$ მომენტისათვის (τ, C) ხდომილობის (ანუ C თანხის) დღევანდელი, ანუ მიმდინარე მნიშვნელობა ტოლობით

$$V = V_p = \mathrm{PV}_p(\tau,C), \quad p<\tau. \tag{16}$$

ამრიგად, (15) და (16) ტოლობების თანახმად გვაქვს: თუ $p\geq\tau$ მაშინ $B_p=\mathrm{FV}_p(\tau,C)$ არის C თანხის მნიშვნელობა მომავალში დროის p მომენტში და, თუ $p>\tau$ მაშინ $V_p=\mathrm{PV}_p(\tau,C)$ არის მომავალში τ მომენტში C თანხის მნიშვნელობა დროის p მომენტში, ანუ მიმდინარე (დღევანდელ p მომენტში) მნიშვნელობა.

ორ (t_1, C_1) და (t_2, C_2) ხდომილობას ეწოდება ეკვივალენტური დროის p მომენტის მიმართ, თუ ისინი ცვლიან ერთსა და იმავე (p, V) ხდომილობას. ამ ფაქტს $C_1 \overset{p}{\sim} C_2$ სიმბოლოთი აღნიშნავენ. ამასთან, p მომენტს პოლუსი ეწოდება.

ვთქვათ, გვაქვს (t, C) ხდომილობა და P პოლუსი. გამოსახულებას

$$V_p = \mathrm{FV}_p(\tau,C) = A(t,p;C), \quad p\geq t, \tag{17}$$

ეწოდება კაპიტალიზაციის ფინანსური კანონი, რომელიც განსაზღვრავს (t, C) ხდომილობის მომავალ მდგომარეობას. ანალოგიურად, გამოსახულებას

$$V_p = \mathrm{PV}_p(\tau, C) = D(t, p; C), \quad p \le t, \tag{18}$$

ეწოდება დისკონტირების ფინანსური კანონი, რომელიც განსაზღვრავს (t, C) ხდომილობის მიმდინარე მდგომარეობას.

საინტერესოა შევნიშნოთ, რომ სამართლიანია შემდეგი ფაქტები

$$(t_1, C_1) \overset{p}{\sim} (t_2, C_2) \Leftrightarrow \mathrm{PV}_p(t_1, C_1) = \mathrm{PV}_p(t_2, C_2),$$
$$A(p, p; C) = D(p, p; C) = C.$$

ბოლო ტოლობას კიდევ ნორმირების თვისება ეწოდება.

თუ C=1, მაშინ (17), (18) ტოლობებიდან გვექნება

$$A(p, t; C) = C \cdot A(p, t; 1) = a(t, p), \quad p \ge t, \tag{19}$$
$$D(p, t; C) = C \cdot D(p, t; 1) = d(t, p), \quad p \le t. \tag{20}$$

შევნიშნავთ, რომ a(t,p) და d(t,p) ფუნქციებს ზრდის და დისკონტირების კოეფიციენტები ეწოდება, შესაბამისად, ხოლო (19), (20) ტოლობებს C თანხის მიმართ ერთგვაროვნობის თვისება.

კაპიტალიზაციისა და დისკონტირების ფინანსური კანონები შეიძლება ერთი ზოგადი ფინანსური კანონის სახით ჩავწეროთ შემდეგნაირად

$$F(t, p; C) = \begin{cases} A(t, p; C), & \text{თუ} \quad p \ge t, \\ D(t, p; C), & \text{თუ} \quad p \le t, \end{cases} \tag{21}$$

$$v(t, p) = F(t, p; 1) = \begin{cases} a(t, p), & \text{თუ} \quad p \ge t, \\ d(t, p), & \text{თუ} \quad p \le t. \end{cases} \tag{22}$$

კაპიტალიზაციისა და დისკონტირების კანონები დროში ერთგვაროვანია, ანუ ნებისმიერი T>0 სიდიდისათვის გვაქვს

$$a\left(t+T, p+T\right)=a\left(t, p\right), \tag{23}$$

$$d\left(t+T, p+T\right)=d\left(t, p\right). \tag{24}$$

ფინანსური კანონების მოტანილი თვისებები უშუალოდ შეიძლება დავამტკიცოთ კაპიტალიზაციისა და დისკონტირების ოპერაციების განმარტებების გამოყენებით.

ბოლოს შევნიშნავთ, რომ შედგენილია კომპიუტერული პროგრამები საილუსტრაციო რიცხვითი მაგალითების ამოსახსნელად მარტივი და რთული პროცენტით საკრედიტო გარიგებისთვის, რომლებსაც მომავალში გამოვაქვეყნებთ.

ლიტერატურა:

1. Babilua da skhv., 2008 – Babilua P., Dochviri B., Meladze H., Fnansuri matematikis satskisebi, Tbilisi, 2008.
2. Bocharov i dr., 2007 – Bocharov P., Makcimov Yu., Finansovaya matematika, Moskva, 2007.
3. Dochviri, 2005 – Dochviri B., Evropuli tipis standartuli oftsioni, Tbilisi, 2005.
4. Ghlonti, 2002 – Ghlonti O., Stokasturi finansuri matematika, Tbilisi, 2002.
5. Lazrieva da skhv., 1999 – Lazrieva N., Mania M., Mirzashvili G., Toronjadze T.,Ghlonti O., Jamburia L., Finansuri analizis raodenobrivi metodebi, finansuri da sadazghvevo matematika, finansuri inzhineria. fondi „evrazia“, Tbilisi, 1999.
6. Shiriaev, 1998 – Shiriaev, A., Osnovi stokhasticheckoy finansovoy matematiki, t. 1, 2, M., 1998.
7. Tavadze, 2007 – Tavadze A., Finansuri matematika, ESM, Tbilisi, 2007.
8. Watsham, 1998 – Watsham T.,Parramore K., Kolichestvennie metodi v finansakh, Moskva, 1998.

Petre Babilua, Besarion Dochviri, Teona Dotchviri, Bekar Meladze

ON THE MATHEMATICAL MODELING OF FINANCIAL PROCESSES

Presented by Mathematics and Computer Sciences Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The problem of mathematical modelling of the deterministic discrete financial process and their properties are investigated. These properties make it possible to construct a complex of programs for numerical examples.

ქიმია
CHEMISTRY

Мая Цинцадзе, Минеда Чантурия, Нана Гегешидзе, Дареджан Гулбани

СИНТЕЗ И ИССЛЕДОВАНИЕ КООРДИНАЦИОННЫХ СОЕДИНЕНИИ ФОРМИАТОВ И АЦЕТАТОВ МАРГАНЦА (II), КОБАЛТА(II), НИКЕЛЯ (II), МЕДИ (II), ЦИНКА, КАДМИЯ С МЕТИЛПРОИЗВОДНЫМИ ОРТО-АМИНОПИРИДИНА

Известно, что металлы, встречающиеся в живых тканях в крайне низких концентрациях (так называемые микроэлементы), и их комплексы – это не случайные примеси, а биологически важные компоненты клетки (Metodi i dostizheniya bioneorganicheskoy khimiy. Pod. red. Mak. Oloff K. Per. Sangl. M.; Mir. 1978. 411. S.). Множество патологических нарушений, связанных с недостаточностью в клетке железа, меди, цинка, марганца, молибдена, кобальта, никеля, кальция, магния и др., имеют большое значение для биохимии животных, растений, фармакологических и пищевых аспектов координационной химии (Alents, Chaberek, 1959: 416; Schulman, 1964: 383). Исследования биохимических процессов, в которых участвуют ионы металлов, представляют быстро развивающуюся область науки, называемую бионеорганической химией. К ней относится также и моделирование структурных и функциональных параметров природных комплексов металлов. Наиболее наглядное и широко распространенное использование комплексообразующих агентов в медицине – это выведение нежелательных ионов металлов из организма. Значительно стимулировали развитие неорганической биохимии открытия, связанные с применением ионов металлов, а также комплексов металлов для восстановления восприятия вкуса или для рассасывания опухолей. (Henkin, Keiser, Jaffe, Sternlieb, Scheinberg, 1967: 1268-1271; Harder, Rosenberg, 1970: 207-216).

Внимание исследователей привлекает синтез и изучение комплексных соединений, в которых в качестве лигандов находятся пиридин и его производные. Это вызвано как теоретическими соображениями (Uhlig, Schön, 1962: 25-33), так и их практической значимостью.

Известно, что цис-неэлектролиты Pt(II) типа $[PtCl_2 \cdot L_2]$, где $L=NH_3$ и амины обладают противоопухолевыми свойствами. Для

трансизомеров такое действие не характерно.

В последние годы очень интенсивно изучаются как in vitro, так и in vivo метаболические, ингибирные, токсикологические, фармакокинетические свойства некоординированных (свободных) аминопиридинов и координационных соединений металлов на их основе (Altuntas, Gorrod, 1966: 271-284; Altunas, Gorrod, 1977: 1179-4482).

В молекулах аминопиридинов имеется два потенциально-донорных атома: атомы азота пиридинового кольца и аминогруппы. Несмотря на то, что в подавляющем большинстве случаев при комплексообразовании металлов с аминопиридинами координирование последних осуществляется посредством атома пиридинового кольца, нельзя априори исключить через атомы азота аминогруппы. Примером такого типа координации (через азот аминогруппы) может служить комплексное соединение трехвалентного кобальта с диметилглиоксимом и 2-амино-пиридином. Весьма важным фактором при комплексообразовании является стерический эффект, проявляемый метильной группой, положение которой в кольце оказывает существенное влияние на состав комплекса (Glonek, Curran, 1962: 2014-2015; Croddon, Schults, Watton, Weedon, 1963: 1299-1300).

Задачей нашего исследования являлась разработка методов получения координационных соединений ацетатов и формиатов двухвалентных кобальта, никеля, меди, цинка и кадмия с орто-амино-4,-5 и -6-метилпиридинами, изучение их состава, строения, некоторых свойств современными инструментальными методами.

С применением водных растворов исходных соединений впервые получены формиатные и ацетатные комплексы двухвалентных кобальта, никеля, меди и кадмия с орто-амино-5-метилпиридном (L′) и орто-амино-6-метилпиридином (L″). При этом ацидолиганды в большинстве случаев способны проявлять как моно-, так и бидентатную (мостиковую) функцию. В подавляющем большинстве комплексов координация органических лигандов осуществляется с центральным атомом посредством атома азота гетероцикла, что находится в полном соответствии с данными квантово-химических расчетов. Исключение, как показал анализ ИК спектров, составляют формиатные комплексы $Zn(HCOO)_2 \cdot L1{,}5H_2O$, $Cu(HCOO)_2 \cdot L'$, $Cd(HCOO)_2 \cdot L \cdot 6H_2O$, в которых атомы металлов координируются с органическим лигандом через атом азота аминогруппы.

В координационных соединениях меди во всех случаях, за исключением $Cu(HCOO)_2 \cdot 4L \cdot H_2O$ (где L 2-амино-4-метилпиридин), в

котором предположительно октаэдрическое окружение иона меди за счет 4-х атомов азота гетероцикла и двух атомов кислорода формиатных групп, у центрального атома проявляется координационное число, равно шести, тогда как у остальных ионов, за исключением кадмия, оно равно четырем. Ацетатные комплексы цинка независимо от типа лиганда образуют идентичные по природе соединения, тогда как у формиатных комплексов такой закономерности не обнаружено.

Квантово-химическое исследование комплексообразующей способности метилпроизводных орто-аминопиридина

Для теоретических квантово-химических исследований использована вычислительная программа, реализующая полуэмпирическую квантово-химическую (ССП) расчетную схему МО ЛКАО нового поколения AM1, основанную на приближении ПДДП (пренебрежение двухатомным дифференциальным перекрыванием), которая позволяет оптимизировать геометрию молекул в рамках метода Флетчера с использованием градиентов полной энергии по внутренним координатам и рассчитывать ИК спектры, частоты, интенсивности и формы колебаний.

Расчет распределения и экстремумов молекулярного электростатического потенциала (МЭСП) проведен по программе вычисления МЭСП с использованием матрицы плотности, полученной в приближении АМП, которая реализует оригинальную методику расчета МЭСП для ЭВМ системы ОС ВС. Контурные карты распределения МЭСП построены на ПК IBMPC/AT с использованием результатов расчета распределения МЭСП. Все расчеты проведены на ЭВМ ОС ВС 1045. Наиболее стабильные конформеры для всех исследуемых молекул найдены с полной оптимизацией всех геометрических параметров (Cincadze, 2009: 32-33).

Нами были синтезированы и исследованы координационные соединения карбоксилатов кобальта (II), никеля (II), меди (II), цинка и кадмия с орто-амино-n-метилпиридинами (n=4 (L), n=5 (L′), n=6 (L″); x=$HCOO^-$, y=CH_3COO^-).

Таблица 1.

$2CoX_2LH_2O$	NiX_2LH_2O	$CuX_2\,4L4H_2O$	$2ZnX_2LH_2O$	$CdX_2\,1{,}5L1{,}5H_2O$
$2CoI_2LH_2O$	$2NiX_2LH_2O$	$CuI_2\,L2H_2O$	$2ZnI_2L3H_2O$	$CdI_2\,L2H_2O$
$2CoX_2L{\cdot}H_2O$	$NiI_2L{\cdot}H_2O$	$CuX_2\,2L'$	$ZnX_2L'1{,}5H_2O$	$CdX_2\,L{\cdot}6H_2O$
$2CoI_2L{\cdot}H_2O$	$NiX_2\,4L{\cdot}4H_2O$	$CuI_2\,L'3H_2O$	$2ZnI_2L{\cdot}H_2O$	$CdI_2 2L'2H_2O$
$2CoX_2L{\cdot}H_2O$			$2ZnI_2L{\cdot}H_2O$	$CdI_2 2L{\cdot}H_2O$
$2CoI_2L{\cdot}H_2O$				

Синтезированные соединения исследованы рентгеноструктурным, термогравиметрическим и спектрометрическим (ИК спектроскопии) методами.

Рентгенографические исследования показали, что все соединения являются кристаллическими индивидуальными веществами.

Теоретические исследования некоторых комплексов показали наличие эффекта клетки, т.е. когда при довольно высокой температуре из-за стерических препятствий в продукте неполного термолиза удерживаются некоординированными молекулами воды.

Квантово-химическим полуэмпирическим методом AM1 выявлены энергетические, геометрические и структурные характеристики 3-, 4-, 5-, 6-метилпроизводных орто-аминопиридина. Выявлена их электронная структура и способ координирования с лигандом.

Ввод заместителей в ядро гетероцикла приводит к различному влиянию на донорные свойства атома азота гетероцикла пиридина. Заместители типа радикалов алкила с одной стороны приводит к изменению электронной плотности на атоме азота и, соответственно, его донорных свойств, с другой стороны, они способны вызвать стерильные ограничения при образовании координационной связи с атомами-комплексообразователями (Tabuashvili, Cincadze, Cincadze, Lochoshvili, Kilasonia, Gegechidze, 2011: 261-269).



орто-амино-3-метилпиридин
ОА3МП (1)



орто-амино-4-метилпиридин
ОА4МП (2)



орто-амино-5-метилпиридин
ОА5МП (3)



орто-амино-6-метилпиридин
ОА6МП (4)

Рис. 1. Электронная структура моделей метилпроизводных орто-аминопиридинов

Для решения задачи влияние растворителей на комплексообразующую способность орто-аминопиридинов с металлами нами были проведены расчеты квантово-химическим полуэмпирическим методом AM1 (Dewar, Zoebish, Rcoly, Stewart: 17), которые дали возможность определить теплоту образования, дипольный момент и распределения электронов по атомным орбиталям. Результаты расчетов приведены в таблице 2.

Как видно из таблицы 2, значения теплот образования (ΔH) метилпроизводных орто-аминопиридина несколько меньше, чем в газовом состоянии. В растворителях по значениям теплот образования, а значит и наиболее устойчивым по отношению к любому растворителю является ОА4МП,так как ему соответствует наименьшее значение теплоты образования. В тех же условиях по значениям дипольных моментов можно сделать вывод, что для устойчивых молекул значение индукцированного диполя выше. Следовательно, для синтеза координационных соединений в качестве растворителей предпочтительно употребление гексана или хлороформа.

Анализ значений электронных плотностей (формальная заселенность) и эффективных зарядов показывает, что высокими значениями электронных плотностей характеризуются атомы азота N(7) и N(8) (Табл. 2). Подобная картина наблюдается для той или иной молекулы в любом растворителе.

Атомы азота N(7) должны были бы проявить ярко выраженные электродонорные свойства. Как видно из таблицы 2 электронная пара расположена на 2Pz орбитале, которая способна участвовать в образовании p-, а не s-связи с металлом-комплексообразователем. Таким образом, для атома азота N(7) существование неподеленной электронной пары p-типа исключает возможность образования s-связи металл - N(7).

У атома гетероцикла N(1) есть неподеленная электронная пара s-типа. Точнее, у него гибридная атомная обриталь типа sp^2 с S-составляющей. Это обстоятельство обуславливает основные свойства атома азота N(1) гетероцикла, т.е. его свойства образовывать с металлом донорно-акцепторную связь.

Таблица 2. Теплота образования (ΔH), эффективные заряды (q) и распределение элетронов по атомным орбиталям

Растворитель	Молекула	ΔH кДж/моль	Дипол.момент m, DD	Атом	Эфект. заряд	Электр. Плотность	Распределение электронов по атомным орбиталям			
							2S	2Px	2Py	2Pz
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Газ	1	105,7	2,00	N(1)	-0,197	5,19	1,717	1,039	1,253	1,189
	2	105,2	2,11	N(1)	-0,201	5,20	1,719	1,039	1,247	1,196
	3	104,8	1,90	N(1)	-0,195	5,19	1,717	1,041	1,248	1,188
	4	112,7	1,62	N(1)	-0,203	5,20	1,715	1,040	1,246	1,201
	1	105,7	2,00	N(7)	-0,320	5,32	1,515	1,109	1,041	1,656
	2	102,2	2,11	N(7)	-0,323	5,32	1,513	1,102	1,042	1,665
	3	104,8	1,90	N(7)	-0,321	5,32	1,513	1,103	1,042	1,663
	4	112,7	1,62	N(7)	-0,322	5,32	1,515	1,104	1,042	1,662
	1	105,7	2,00	C(2)	0,103	3,90	1,222	0,894	0,874	0,907
	2	105,2	2,11	C(2)	0,107	3,89	1,221	0,897	0,876	0,898
	3	104,8	1,90	C(2)	0,099	3,90	1,221	0,897	0,877	0,905
	4	112,7	1,62	C(2)	0,110	3,89	1,219	0,893	0,877	0,899
Вода H_2O 78,5	1	55,7	3,01	N(1)	-0,308	5,31	1,710	1,062	1,281	1,125
	2	52,4	3,20	N(1)	-0,316	5,32	1,713	1,064	1,276	1,264
	3	60,9	2,76	N(1)	-0,345	5,35	1,714	1,058	1,271	1,303
	4	69,4	2,29	N(1)	-0,346	5,35	1,713	1,054	1,269	1,311
	1	55,7	3,01	N(7)	-0,351	5,35	0,534	1,120	1,049	1,647
	2	52,4	3,20	N(7)	-0,354	5,35	1,541	1,120	1,051	1,642
	3	60,9	2,76	N(7)	-0,388	5,39	1,437	1,121	1,060	1,770
	4	69,4	2,29	N(7)	-0,390	5,39	1,438	1,121	1,059	1,772
	1	55,7	3,01	C(2)	0,111	3,89	1,223	0,886	0,887	0,892
	2	52,4	3,20	C(2)	0,114	3,89	1,224	0,889	0,892	0,880
	3	60,9	2,76	C(2)	0,169	3,83	1,212	0,887	0,869	0,863
	4	69,4	2,29	C(2)	0,178	3,82	1,211	0,885	0,867	0,858

Таблица 2 (продолжение)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Диметил-сульфоксид $C_2H_6SO_9$ 49	3	56,1	3,01	N(1)	-0,304	5,30	1,711	1,062	1,281	1,251
	4	54,1	3,17	N(1)	-0,315	5,31	1,713	1,063	1,275	1,263
	5	61,6	2,73	N(1)	-0,343	5,34	1,714	1,058	1,271	1,301
	6	62,2	2,55	N(1)	-0,306	5,31	1,710	1,061	1,273	1,262
	3	56,1	3,01	N(7)	-0,347	5,35	1,541	1,119	1,049	1,637
	4	54,1	3,17	N(7)	-0,354	5,35	1,539	1,120	1,051	1,630
	5	61,6	2,73	N(7)	-0,389	5,39	1,437	1,120	1,060	1,771
	6	62,2	2,55	N(7)	-0,354	5,35	1,540	1,118	1,051	1,644
	3	56,1	3,01	C(2)	0,105	3,89	1,224	0,889	0,889	0,894
	4	54,1	3,17	C(2)	0,115	3,88	1,224	0,889	0,892	0,879
	5	61,6	2,73	C(2)	0,168	3,83	1,212	0,887	0,869	0,864
	6	62,2	2,55	C(2)	0,115	3,89	1,222	0,886	0,893	0,882
Метанол CH_3OH 32,6	3	57,1	3,00	N(1)	-0,302	5,30	1,711	1,062	1,280	1,249
	4	54,2	3,15	N(1)	-0,312	5,31	1,713	1,063	1,275	1,262
	5	62,5	2,70	N(1)	-0,341	5,34	1,714	1,057	1,270	1,299
	6	63,3	2,54	N(1)	-0,303	5,30	1,710	1,061	1,273	1,259
	3	57,1	3,00	N(7)	-0,347	5,35	1,540	1,119	1,049	1,639
	4	54,2	3,15	N(7)	-0,352	5,35	1,539	1,119	1,051	1,643
	5	62,5	2,70	N(7)	-0,389	5,39	1,437	1,119	1,060	1,773
	6	63,3	2,54	N(7)	-0,353	5,35	1,542	1,117	1,051	1,643
	3	57,1	3,00	C(2)	0,106	3,89	1,224	0,887	0,888	0,894
	4	54,2	3,15	C(2)	0,115	3,88	1,224	0,889	0,892	0,880
	5	62,5	2,70	C(2)	0,168	3,83	1,212	0,887	0,868	0,864
	6	63,3	2,54	C(2)	0,114	3,89	1,223	0,887	0,893	0,883

Таблица 2 (продолжение)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
Этанол C_2H_5OH 24,3	3	57,9	3,00	N(1)	-0,300	5,30	1,711	1,061	1,279	1,249
	4	55,2	3,14	N(1)	-0,310	5,31	1,714	0,062	1,272	1,262
	5	63,4	2,78	N(1)	0,338	5,34	1,714	1,057	1,270	1,297
	6	64,2	3,01	N(1)	-0,302	5,30	1,710	1,060	1,273	1,259
	3	57,9	3,00	N(7)	-0,346	5,35	1,540	1,118	1,049	1,639
	4	55,2	3,14	N(7)	-0,353	5,35	1,536	1,116	1,053	1,648
	5	63,4	2,78	N(7)	-0,390	5,39	1,437	1,119	1,060	1,774
	6	64,2	3,01	N(7)	-0,352	5,35	1,541	1,117	1,051	1,643
	3	57,9	3,00	C(2)	0,106	3,89	1,224	0,887	0,888	0,894
	4	55,2	3,14	C(2)	0,117	3,88	1,224	0,889	0,890	0,879
	5	63,4	2,78	C(2)	0,168	3,83	1,212	0,887	0,868	0,865
	6	64,2	3,01	C(2)	0,114	3,89	1,223	0,887	0,893	0,883
Ацетон $(CH_3)_2CO$ 20,7	3	58,6	3,01	N(1)	-0,298	5,30	1,711	1,061	1,279	1,248
	4	55,7	3,12	N(1)	-0,308	5,31	1,713	1,062	1,273	1,261
	5	64,0	2,65	N(1)	-0,336	5,34	1,714	1,057	1,270	1,296
	6	64,8	2,59	N(1)	0,300	5,30	1,710	1,059	1,272	1,258
	3	58,6	3,01	N(7)	-0,345	5,35	1,541	1,119	1,048	1,637
	4	55,7	3,12	N(7)	-0,353	5,35	1,536	1,116	1,052	1,648
	5	64,0	2,65	N(7)	-0,390	5,39	1,437	1,118	1,060	1,775
	6	64,8	2,59	N(7)	-0,352	5,35	1,539	1,116	1,051	1,645
	3	58,6	3,01	C(2)	0,106	3,89	1,224	0,887	0,888	0,894
	4	55,7	3,12	C(2)	0,117	3,88	1,223	0,889	0,890	0,879
	5	64,0	2,65	C(2)	0,168	3,83	1,212	0,887	0,868	0,905
	6	64,8	2,59	C(2)	0,115	3,89	1,223	0,887	0,893	0,883

Для достоверной интерпретации строения полученных соединений прежде всего необходимо рассмотреть электродонорные аспекты ацидолигандов и органических лигандов, формирующих координационную сферу комплексов.

Карбоксилат-ион COO^- дает две полосы в ИК спектрах: интенсивную полосу асимметричных валентных колебаний в области 1650-1550 $см^{-1}$ и более слабую – симметричных валентных колебаний около 1400 $см^{-1}$ (Silverstein, Basler, Morril, 1977).

Частота асимметричного валентного колебания группы COO^- наиболее чувствительна к изменению природы атома металла (Nakamoto, 1966).

При исследовании влияния координации на частоту валентного колебания COO^- в ряде работ проводилась интерпретация результатов с учетом строения этих комплексов по данным рентгеноструктурного анализа. Например, ацетат-ион координируется с ионом металла одним из следующих способов:



По данным рентгеноструктурного анализа структура формиата натрия (20) соответствует типу I, причем обе связи CO одинаковы (1,27 Å). Сдругойстороны, Li(ac) (Amirthalingam, Padmanabhan, 1958) имеет структуру II и связи CO различаются по длине (1,33 и 1,22 Å). Бидентатная структура III приписана $Zn(ac)_2 \cdot 2H_2O$ и $Na[VO_2(ac)_3]$ (Zachariasen, Pettinger, 1959: 506-530.). Мостиковая структура IV была найдена у $Cr_2Zn(ac)_2 \cdot 2H_2O$ (Niekerk, Schoening, 1953: 501-504), $Cu(ac)_4 \cdot 2H_2O$ (Niekerk, Schoening, 1953: .227-232), $Be_4O(ac)_6$ [41], $ZnO(ac)_6$ (Maslen, Waters, 1975: 137-176).

В зависимости от характера координации карбоскилат-иона смещение частот может носить различный характер. Так, при

монодентатной функции указанного иона равноценность связи C–O нарушается, в результате чего заметно возрастает разность частот $\Delta n(CO)=\Delta\nu_{as}(CO)-\Delta\nu_{s}(CO)$. Естественно ожидать, что монодентатные карбоксилатные группы должны характеризоваться большей разницей между двумя частотами валентных колебаний n(CO), чем ионные и мостиковые структуры.

Ниже приведена таблица 3 некоторых ацетатов и комплексов на их основе, структурные особенности ацетатной группы в зависимости от способов координирования и ее ИК спектральные характеристики.

Таблица 3. Структурные детали и ИК спектры ($см^{-1}$) некоторых ацетатов

Соединение	Тип	Длина связи (M – O), Å	νas(OCO)	νs(OCO)	Δν
NaAc	Ионный		1578	1414	164
NaAc	Водн. р-р		1556	1413	143
$Ni(Ac)_2(H_2O)_4$	Монодент.	2,12	1520ш	1413	107
$Cu_2\ Ac)_2(H_2O)_4$	Симм.-мост.	1,97	1605	1425	180
$Zn_4O(Ac)_2$	Симм.-бидент.	1,97	1639	1480	150
$[Ni(tet\ b)Ac]ClO_2$	Симм.-бидент.	2,12	1550	1448	102
$Zn(Ac)_2(H_2O)_2$	Симм.-бидент.	2,18	1550	1430	120
$Zn(Ac)_2(tu)_2$	Асимм.-бидент.	1,96-2,95	1577	1425	155

Tetb – C – рацемический изомер C-мезо-5,7,7,12,14,14-гексаметил-1,4,8,11-тетра-азациклотетрадекан; tu – тиоуреаза.

Как видно из таблицы 3, разность частот очень сильно зависит не только от способа координирования ацетатной группы, но и от природы металла.

С целью прогнозирования электродонорных свойств органических лигандов были проведены квантово-химические расчеты по методу AM1. Однако, как показали результаты этих расчетов, межатомные расстояния и распределение эффективных зарядов (q) на атомах лигандов L, L′ и L″ существенно отличаются от анологичных величин, полученных по методу MINDO/3. Так как результаты, полученные по методу MINDO/3 наиболее правильно отражают донорные свойства молекул L, L′ и L″, то мы воспользовались и этими данными, которые приводятся в работе (Ramel, Paris, 1967: 1359-1367).

На основании полученных данных, ароматический фрагмент

является плоским. Межатомные расстояния между углеродными атомами лежат в пределах 1,40-1,43Å, а C-Nгет – 1.33-1.34Å, что близко к стандартным значениям полуторных связей C_{sp}^{2}-C_{sp}^{2} и N_{sp}^{2}-Csp^2 (Cincadze, 1996; Sergienko, Mistriukov, Litvinov, Kniadzinskiy, 1990: 168-176). Углы $C_2N_2H_7$(8) лежат в пределах 125°, порядок же связи C_2N_2 несколько завышен и находится в пределах 1,10-1,11Å, что означает возникновение p-связи между атомом NH_2 – групп и углеродом пиридинового кольца. Таким образом, можно предположить, что атом азота аминоруппы находится в sp^3-гибридном состоянии вызванное тем, что атомы водорода NH_2 – групп и углеродом пиридинового кольца имеют одинаковые заряды, приводящие к взаимному отталкиванию атомов.

Наибольший эффективный отрицательный заряд локализован на атоме азота гетероцикла. Однако заряд на атоме азота аминогруппы ниже заряда на атоме гетероцикла, но все же не на очень большую величину, примерно 1,5 раз. Поэтому можно говорить о большой вероятности координации металлов через атом азота гетероцикла, но не исключена вероятность координации через атом азота аминогруппы.

Теперь рассмотрим комплексообразующие свойства рассматриваемых потенциальных лигандов (L, L′ и L″) с позиции теории возмущения. Рассматриваемые молекулы имеют по 42 валентных электрона (электроны находящиеся на внутренних оболочках не учитываются, т.к. считается, что участи в образовании связей они не принимают). Следовательно, в каждой молекуле имеются 21 молекулярных орбиталей, занятых электронными парами.

Анализ формиатных комплексов, содержащих L (2-амино-4-метилпиридин) показал, что все металлы, за исключением кадмия в $Cd(HCOO)_2 \cdot 1{,}5L \cdot 1{,}5H_2O$, образуют донорно-акцепторную связь с атомом азота гетероцикла.

В упомянутом кадмиевом комплексе такой закономерности не наблюдается, но обнаружена широкая полоса при 3380 см$^{-1}$, которая предположительно включает в себя n(NH_2), 2d(NH_2) и n(OH) молекул воды. Исчезновение полосы при 3430 см$^{-1}$, проявляющейся в некоординированном L, и возникновение ее при 3380 см$^{-1}$ в комплексе предполагает возникновение не очень прочной связи металл-азот аминогруппы.

Анализ ИК спектров $Ni(HCOO)_2 \cdot L \cdot H_2O$ и $Cu(HCOO)_2 \cdot 4L \cdot H_2O$ показал наличие двух типов формиатных групп, а именно ν_{as}(COO) 1600 и 1576 см$^{-1}$ и ν_a(COO) 1450 и 1456 см$^{-1}$ соответственно

указанным комплексам, которые, как уже отмечалось, следует отнести к колебаниям монодентатной формиатной группы. Исходя из соображения, что минимальная величина координационного числа Ni(II) равна 4, молекула воды должна входить во внутренную сферу комплекса.

Анализ ИК спектров $2Co(CH_3COO)_2 \cdot L \cdot H_2O$ и $2Co(CH_3COO)_2 \cdot L \cdot 3H_2O$ показал наличие связи металл – азот гетероцикла, а также идентичность в характере расщепления колебательных частот ацетатных групп, $\Delta\nu$ которых лежит в пределах 160-180 и 96-100 $см^{-1}$, т.е. часть ацетатных групп выступает в монодентатной функции, а часть в бидентатно-мостиковой.

Что касается комплексов $Cu(CH_3COO)_2 \cdot L \cdot H_2O$ и $Cd(CH_3COO)_2 \cdot L \cdot 3H_2O$, то наряду с тем, что координация осуществляется через атом азота гетероцикла, разность ν_{as}- ν_a(COO) составляет 210 и 130 $см^{-1}$ и 204 и 120 $см^{-1}$ соответственно в пользу моно- и бидентатно-мостикового характера ацетатных групп.

Из формиатных комплексов с L′, как показал анализ ИК спектров, три комплекса $Zn(HCOO)_2 \cdot L' \cdot 1{,}5H_2O$, $Cu(HCOO)_2 \cdot L'$ и $Cd(HCOO)_2 \cdot L' \cdot 6H_2O$ атомы металлов координируются с органическим лигандом через атом азота аминогруппы. Остальные два формиатных комплекса кобальта (II) и никеля (II) образуют донорно-акцепторную связь с атомом азота гетероцикла. Разность частот $\Delta\nu$(COO) для комплекса кобальта (II) составляет 210 и 260 $см^{-1}$, т.е. несмотря на несколько завышенное значение (210 $см^{-1}$), тем не менее, как уже указывалось в начале этой главы, можно все же считать, что характер координации формиатных групп различен и вызван проявлением монодентатной и бидентатно-мостиковой функции. Широкая полоса 3320-3430 $см^{-1}$ наряду с ν(NH), по-видимому, вллючает в себя и ν(HO) координированной молекулы воды. Т.о. строение этого комплекса строение $2Co(HCOO)_2 \cdot L \cdot H_2O$.

Разность частот в комплексе меди (II) составляет 120 и 180 $см^{-1}$, что также характеризует разнофункциональный тип координации формиатных групп с центральным ионом, а именно, монодентатной и бидентатно-мостиковой



Строение комплекса $Cu(HCOO)_2 \cdot L' \cdot 1{,}5H_2O$

Что касается комплекса $Cd(HCOO)_2 \cdot L' \cdot 6H_2O$, то разнофункциональная дентатность формиатных групп и большое количество молекул воды не исключает вхождения части их (молекул воды) во внутренюю сферу для завершения октаэдрического окружения. Предположение такого рода базируется еще и на том, что комплексы кадмия в отличие от комплексов цинка чаще предпочитают иметь октаэдрическую структуру, нежели тетраэдрическую.

Во всех ацетатных комплексах с L′ координация с органическим лигандом осуществляется через атом азота пиридинового кольца.

В комплексе $Co(CH_3COO)_2 \cdot 2L' \cdot 5H_2O$ две полосы при 1560 см$^{-1}$ и 1395 см$^{-1}$ обусловлены, скорее всего, асимметричными и симметричными валентными колебаниями ацетатных групп, разность частот которых составляет 165 см$^{-1}$. Такая величина Δn обычно характерна для монодентатной координации ацетатной группы. Сиреневый цвет комплекса, вероятнее всего, обусловлен тетраэдрической геометрией иона Co(II)



Строение комплекса $Co(CH_3COO)_2 \cdot 2L' \cdot 5H_2O$

Для остальных комплексов обнаружен практически одинаковый характер расщепления полос COO.

Интересно, что структура комплекса $Ni(CH_3COO)_2 \cdot L' \cdot H_2O$ несмотря на идентичность с брутто-формулой $Ni(HCOO)_2 \cdot L \cdot H_2O$, отличается от последнего, т.к. характер координации ацетатных групп отличается от характера координации формиатной группы.

Учитывая, что в комплексе кадмия две молекулы L′ координированы с атомом металла через азот гетероцикла, а ацетат-ионы проявляют как моно-, так и бидентатно-мостиковый характер и учитывая, что Cd склонен либо комплексы с к.ч.=4 или 6, то его структуру, исходя из сказанного, однозначно представить в следующем возможно виде



Строение комплекса $Cd(CH_3COO)_2 \cdot 2L' \cdot 2H_2O$.

Исследование ИК спектра $Co(CH_3COO)_2 \cdot L'' \cdot H_2O$ показало его идентичность со спектром $Ni(HCOO)_2 \cdot L \cdot H_2O$, что в свою очередь подтверждает и идентичность и их структур.

Как показали ИК спектральные исследования ацетатных комплексов Co(II), Zn и Cd с L′, центральные атомы связаны с L″ посредством атома азота гетероцикла. Разность частот ν_{as} и ν_sCOO у кадмиевого и кобальтового комплексов составляет ~200 $см^{-1}$, что позволяет предположить монодентатный характер ацетатных групп. Геометрия кадмиевого комплекса при монодентатной функции ацетатных групп требует вхождения молекул воды во внутренюю сферу для обеспечения тетраэдрического окружения, т.е. $[Co(CH_3COO)_2 \cdot L'' \cdot H_2O] \cdot H_2O$.

Иной характер расщепления носят колебания ацетатных групп в комплексе цинка, в которых ацетатная группа проявляет как моно-, так и бидентатно-мостиковый характер



Строение комплекса $2Zn(CH_3COO)_2 \cdot L' \cdot 2H_2O$

Ацетатные комплексы цинка независимо от природы лиганда образуют комплексы одинакового соотношения металл-лиганд-1:2, тогда как такой зокономерности не наблюдается у формиатных комплексов цинка с L и L′. Показано, что несмотря на теоретические расчеты, в которых влияние CH_3-групп незначительно, введение CH_3-заместителя в пара- положение относительно аминогруппы меняет способ координации металла, в комплексе $Zn(HCOO)_2 \cdot L' \cdot 1{,}5H_2O$ атом цинка образует донорно-акцепторную связь с атомом аминогруппы. Это является константацией всей сложности процесса комплексообразования, которое зависит не только от электронного строения реагентов, но и от термодинамических факторов реакционной смеси.

Несмотря на близость радиусов всех центральных двухвалентных ионов (0,69-0,74 Å), кроме кадмия (0,97Å), только ионы Cu^{2+} и Cd^{2+} проявляют к.ч.=6. Для кадмия это можно объяснить его большим ионным радиусом, хотя в случае $Cd(CH_3COO)_2 \cdot L'' \cdot H_2O$ к.ч. центрального иона равно четырем. Это, по-видимому, обусловлено стерическими препятствиями, вызванными CH_3-группой, находящейся в орто-положении относительно координационного азота гетероцикла. Что касается комплекса меди, то для иона d^9 в

предположительно октаэдрическом окружении должно наблюдаться заметное искажение структуры вследствие эффекта Яна-Теллера.

Искаженный октаэдр – наиболее термодинамически выгодное состояние, а потому при прочих равных условиях (как например, близость ионных радиусов) предпочтение будет оставаться за координационным числом равным шести.

Основные выводы

1. С применением водных растворов исходных соединений впервые получены формиатные и ацететные комплексы двухатомных кобальта, никеля, меди и кадмия с 4-, 5- и 6-метилпиридинами. Охарактеризованы свойства полученных соединений (растворитель, рентгенографические, термографические и ИК спектральные данные).
2. Обнаружено, что ацидолиганды в подавляющем случае одновременно проявляют как моно-, так и мостиковую функцию из-за стремления центральных атомов реализовать присущие им координационные числа.
3. В подавляющем большинстве комплексов координация органических лигандов осуществляется с центральным атомом азота гетероцикла, что хорошо согласуется с ранее проведенными квантово-химическими расчетами. Некоторые исключения, при которых атомы металлов координируются с азотом аминогруппы, еще раз подтверждают сложность процессов комплексообразования, в которых немалую роль играют термодинамические факторы реакционной среды.
4. В координационных соединениях меди во всех случаях, за исключением одного, у центрального атома проявляется координационное число, равное шести, тогда как у остальных ионов, за исключениеми кадмия, оно равно четырем. Это обусловлено, вероятнее всего, ярким проявлением эффекта Яна-Теллера для d^9 – конфигурации при октаэдрическом окружении, приводящем к наиболее термодинамически устойчивому состоянию.
5. Обнаружено, что ацетатные комплексы цинка независимо от типа лиганда образуют идентичные по природе соединения, тогда как у формиатных комплексов такой закономерности не обнаружено. Таким образом, очевидна роль природы ацидолигандов на формирование геометрии комплекса.
6. Как показали проведенные ранее расчеты и практически подтвержденные данные, в органических лигандах данного типа

не обнаружена существенная роль положения заместителя CH_3 на электродонорные способности атома азота.

7. Термодинамические исследования некоторых комплексов показали наличие в одном из них „эффекта клетки“, т.е. когда при довольно высокой температуре из-за стерических препятствий в продукте неполного термолиза удерживаются некоординированные молекулы воды.

Литература:

1. Altuntas, Gorrod, 1966 – Altuntas J.W., Gorrod T.G., Comutagenesis – II. Some Factors Influencing The In Vitro Metabolism of 2-Amino-3 Methylpyridine. Drug Metabolism and Drug Interactions. 1966. V. 13. №4.
2. Altunas, Gorrod, 1977 – Altunas T.G., Gorrod J.W. Comutagenesis – IV in Vitro Metabolism of the Comutagen 2-Amino-3 Methylpyridine Species Differences and Metabolic Interaction With Norharman. Anticancer Research. 1977. V. 17. №6.
3. Amirthalingam, Padmanabhan, 1958 – Amirthalingam V., Padmanabhan M. The Crystal Structure of Lithium Acetate Dihydrate $CH_3COOHL \cdot 2H_2O$. Acta Cryst. 1958. V.11 P. 896
4. Cincadze, 2009 – Cincadze M., Koordinacionnie soedinenia s azot- i kislorodsoderzhashimi ligandami – proizvodnimi alifaticheskogo, aromaticheskogo i geterociklicheskogo ryada. Nacionalnaya akademia Nauk Gruzii, Tbilisi, 2009, 248.
5. Cincadze, 1996 – Cincadze M. G., Dissertacia na soiskanie uchennoi stepeni doctora xim. nauk. Tbilisi 1996.
6. Croddon, Schults and others,1963 – Croddon D., Schults R., Watton E., Weedon D. Stereo Effects In Simple Octahedral Complexes. Nature. 1963. V. 198.
7. Dewar, Zoebish and others – Dewar M. I. S., Zoebish E.G., Rcoly E.F., Stewart I.A., A New Purpose Quantum Mechanical Molecular Model. A. Amer. Chem. Soc.
8. Faraci, Nagel, 1996 – Faraci W., Nagel A., Verdries K. and others. 2-Amino-4 Methylpyridine As A Potent Inhibitor of Inducible NO Synthase Activity in Vitro and in Vivo. British Journal of Pharmacology. 1996. V. 119.
9. Glonek, Curran, Quaglino, 1962 – Glonek H., Curran C., Quaglino J. Tetrahedral Complexes Containing Nitrogen – to- Nickel Bonds J. Amer. Chem. Soc. 1962. V. 84. №10.
10. Harder, Rosenberg, 1970 – Harder B., Rosenberg H.C., Inhibitory Ef-

fects of Antitumor Platinum Compounds on DNA, RNH and Prorein Syntheses in Mammalian Cells in Vitro. Int. J. Cancer. 1970. V. 15. №6.

11. Henkin, Keiser and others, 1967 – Henkin R. I., Keiser H.R., Jaffe I. A., Sternlieb I., Scheinberg I.A. Decreased Taste Sensitivity After D-Penicilielamine Recersed by Copper Agministration. Lancet. 1967. V. 290.
12. Henkin, Bradley and other, 1969 – Henkin R.I., Bradley D.F., Regulation of Taste Acity Thioles and Metal Ions. Proc. Patn. Acad. Sei. U.S. 1969. V. 62.
13. Henkin, Craziadei and other, 1969 – Henkin R.I., Craziadei P.P.G., Bradley D.F. The Molecular Basis of Taste and Its Disorders. Ann Internal Med. 1969. V. 71.
14. Infrakrasnie..., 1966 – Infrakrasnie speqtri neorganicheskix ikoordinacionnix soedinenii. Nakamoto K. M.; Mir.. 1966.
15. Maslen, Waters, 1975 – Maslen H. S., Waters T. W. The Conformation of Schiff – Base Complexes of Coller (II): A Stereoelectronic View. Coordinat. Chem. Rev. 1975. №17. P. 137-176.
16. Metodi i dostizheniya.., 1978 – Metodi i dostizheniya bioneorganicheskoy khimii. Pod. red. Mak. Oloff K. Per. Sang l. Moskva, Mir. 1978.
17. Organic Sequestering Alents, 1959 – Organic Sequestering Alents. Chaberek S., Martell A. E. Wiley. New York. 1959.
18. Ramel, Paris, 1967 – Ramel M., Paris M. Polarimetric Study of Metallic Complexes of Aminoacids. Bull. Soc. Chem. Fr. 1967. V.4. P. 1359-1367.
19. Rosenberg, Van Camp and others, 1969 – Rosenberg B., Van Camp L., Trosko J. E., Mansour V. H. Platinum Compounds: A New Class of Potent Antitumour Agent. Nature. 1969. V. 222.
20. Spectrometricheskaya…, 1977 – Spectrometricheskaya identifikaciya organicheskikh soedineniy. Silverstein R., Basler G., Morril G. Per. sang. Moskva, 1977.
21. Schulman, Dwyer, Mellor, 1964 – Schulman A., Dwyer F.P., Mellor D.P. (eds) Chelating Agents and Metall Ghelates. Academic Press. Neq York. 1964.
22. Sergienko, Mistriukov I dr., 1990 – Sergienko V. S., Mistriukov F. E., Litvinov F. E., Kniadzinskii M. I. Sintez I kristalicheskaya structura 2-oqsi-1-naftalindenanidina i molekuliarnogo kompleqsa khlorida cinka 2-oqsi-1-naftalindenanidinom. Koordinatsionnaya khimia.1990. T.16. №2. S.168-176.
23. Tabuashvili, Cincadze da skh, 2011 – Tabuashvili N., Cincadze T.

Cincadze M., Lochoshvili D., Kilasonia N., Gegechidze N. Ortho-aminopiridinism etiltsarmoebulebis litonebtan kompleqstsarmnisunarze gamkhsnelis kvantur-qimiuri gavlena. saqartvelos qimiuri zhurnali. 11(2), 2011.
24. Uhlig, Schön, 1962 – Uhlig E., Schön H.Z. Das 2-(b-Hydroxyathyl)-Pyridin. Anorgan. Allgem. Chem. 1962. V. 316.
25. Van Niekerk, Schoening, 1953a – Van Niekerk J.-N., Schoening F.R.L. The Structure of Crystalline Chromous Acetate Revealing Paired Chromium Atoms. Acta. Crist. 1953. V. 6. P. 501-504.
26. Van Niekerk, Schoening, 1953b – Van Niekerk J.-N., Schoening F.R.L. A New Type of Copper Complex As Found in The Crystal Structure of Cupric Acetate $Cu_2(CH_3COO)_4 \cdot 2H_2O$. Acta Cryst. 1953. V.6.
27. Zachariasen, Pettinger, 1959 – Zachariasen W.H., Pettinger H.A. Crystal Chemical Studies of The 5f-Series of Elements. XXV. The Crystal Structure of Sodium Uranyl Acetater. Acta. Crist. 1959. V.12
28. Zachariassen, 1940 – Zachariassen W.H. The Cristal Structure of Sodium Formate, NaHCO2. J. Am. Chem. Soc. 1940. V. 62. №5.

მაია ცინცაძე, მინედა ჭანტურია, ნანა გეგეშიძე, დარეჯან გულბანი

კობალტ (II)-ის, ნიკელ (II)-ის, სპილენძ (II)-ის, თუთიის, კადმიუმის ფორმიატებისა და აცეტატების კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და კვლევა ორთო-ამინოპირიდინის მეთილწარმოებულებთან

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გამოსავალ ნივთიერებათა წყალხსნარების გამოყენებით პირველად სინთეზირებული კობალტ (II)-ის, ნიკელ (II)-ის, სპილენძ (II)-ის, თუთიის, კადმიუმის ფორმიატებისა და აცეტატების 3-, 4-, 5- და 6- მეთილპირიდინიანი კომპლექსები. შესწავლილია მიღებული კოორდინაციული ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (ხსნადობა, რენტგენოგრაფიული, თერმოგრაფიული და იწ სპექტროსკოპიის მონაცემები) და ზოგიერთი მათგანის ბიოლოგიური აქტიურობა.

აღნიშნულია, რომ აციდოლიგანდები ხშირად ერთდროულად ავლენენ როგორც მონო-ასევე ბიდენტატურ-ხიდურ ფუნქციას, რაც გამოწვეულია ცენტრალური ატომის მისწრაფებით შეივსოს კოორდინაციული რიცხვი.

კომპლექსების უმრავლესობისათვის ორგანული ლიგანდების კოორდინაცია ცენტრალურ ატომთან ხორციელდება ჰეტეროციკლის აზოტის ატომით, რაც შესაბამისობაშია ადრე ჩატარებულ კვანტურ-ქიმიურ გათვლებთან. თუმცა, არის გამონაკლისიც, როდესაც ლითონთა ატომები კოორდინირებენ ამინოჯგუფის აზოტთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კომპლექსწარმოქმნის რთულ პროცესს, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რეაქციული სისტემის თერმოდინამიკური ფაქტორები.

სპილენძ (II)-ის ყველა კომპლექსში, ერთის გამოკლებით, ცენტრალური ატომის კოორდინაციული რიცხვია 6, დანარჩენი იონებისათვის, გარდა კადმიუმისა, იგი 4-ის ტოლია. სავარაუდოა, რომ ეს გამოწვეულია იან-ტელერის ეფექტით d^9 კონფიგურაციისათვის ოქტაედრული გარემოცვისას, რომელსაც მყარ თერმოდინამიკურ მდგომარეობამდე მივყავართ.

დადგენილია, რომ თუთიის აცეტატური კომპლექსები ლიგანდის ტიპისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნიან იდენტური ბუნების ნაერთებს, მაშინ, როდესაც ფორმიატ კომპლექსებში ასეთი კანონზომიერება არ შეიმჩნევა. აქედან გამომდინარე, აშკარაა აცოდოლიგანდების ბუნების როლი კომპლექსის ფორმირებაში.

ჩატარებული გამოთვლებისა და პრაქტიკულად დადასტურებული მონაცემების მიხედვით, მოცემული ტიპის ორგანულ ლიგანდებში CH_3-ის მდებარეობას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია აზოტის ელექტრონორულ შესაძლებლობებზე.

ზოგიერთი კომპლექსის თერმოგრავიმეტრულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ერთ-ერთ მათგანში არსებობს „უჯრედის ეფექტი“, ე.ი. ძალიან მაღალ ტემპერატურაზე სტერიული დაბრკოლების გამო, არასრული თერმოლიზის დროს პროდუქტად რჩებიან წყლის არაკოორდინირებული მოლეკულები.

Maia Tsintsadze, Mineda Chanturia, Nana Gegeshidze, Darejan Gulbani

SYNTHESIS AND RESEARCH FORMIATE AND ACETATES OF COBALT (II), NIKEL (II), ZINK, CADMIUM COORDINATION COMPOUNDS WITH ORTHO-AMINOPYRIDINE METHYL-DERIVATIVES

Summary

The paper considers for the first time synthesized formiates of cobalt (II), nickel (II), zinc, cadmium methylpiridine complexes of acetates 3-, 4-, 5-, 6- using water solvent of allocating substances. The physical and chemical characteristics (solubility, x-ray, thermo-graphic and IR- infra red spectroscopic data) and biological activities have been studied.

It should be noted that acido-ligands often reveal simultaneously both mono- and bidenant-causeway function as it is caused by central atom attempts to fill a coordination number.

For most of complexes the coordination of organic ligands with a central atom is carried out by the atom of hetero-cycle nitrogen being in accordance with earlier made quantum-chemical calculations. Though there is an exception when the atoms of metals coordinate with amino-group nitrogen that once again confirms difficult complex composing process in which thermo-dynamic factors of reacting system play important role.

In all complexes of copper (II), with the exception of one, number 6 is a coordination number of the central atom, for the rest ions, except cadmium it is equal to number 4. Probably it is caused by Jahn-Teller effect d^9, for configuration during octaerdic encirclement bringing to solid thermodynamic condition.

It has been determined that acetate ligands of zinc complexes, except for one, irrespective of ligands type compose identical nature compounds whereas in formiate complexes such regularity isn't noticed. Hence, the function of nature of acedoligands is obvious in the formation of the complex.

According to carried out calculations and practically confirmed data, in this type of organic ligands the position of CH^3 have't affected the electro-donor possibilities of nitrogen.

The thermo-gravimetric research of some complexes showed that „effect of a cell" exists in one of them, i.e. on high temperature because of steric obstacles; in-coordinate molecules of water remain as a product during incomplete thermolysis.

ეკოლოგია
ECOLOGY

მარატ ციცქიშვილი, ია ლეკიშვილი, თეონა ლაგაზაური, თამარ ბაქუზანაშვილი

ზოგიერთი მიდგომა გარემოს დაცვითი საქმიანობის სრულყოფისათვის

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტმა

თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების დონის ძირითადი გამსაზღვრელია მოხმარებული ენერგიის რაოდენობა: ცივილიზაციის მომავალ ბედს და განვითარების ტემპებს მთლიანად მისი ენერგოაღჭურვილობა განაპირობებს (Gavasheli, 1980: 18-39; Meskhi, 1988: 69-73; Teverovskiy, 1983: 471-477; Khurodze, 1998: 109). ამიტომ თანამედროვე ცივილიზაციას ენერგორესურსების გადანაწილების გლობალური სისტემები ჩამოყალიბებული აქვს. მიუხედავად ამისა, რესურსები და ბუნებრივი ფაქტორები ჯერჯერობით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ. ფუტუროლოგიურ მოდელებში ცივილიზაციის განვითარების დამოკიდებულება ბუნებრივ ფაქტორებზე ან უსაფუძვლოდაა ფეტიშირებული (ამის მაგალითია „გეოგრაფიულობის“ იდეები შ. მონტესკიეს ფილოსოფიურ ნაშრომებში და ლ. ნ. გუმილიოვის „პასიონარული განვითარების“ მოძღვრებაში), ან უსაბუთოდაა იგნორირებული (საკმარისია, კრიტიკულად შევაფასოთ ა. ს. ხომიაკოვის სადისკუსიო გამოთქმა – „ბუნებრივ-კლიმატურ ფაქტორებზე ისტორიის დამოკიდებულება პირობითია და სულ უფრო მცირდება“). ამ საკითხის მზარდი აქტუალობა მიმდინარე ათასწლეულში დაკავშირებულია არა იმდენად ადამიანის საქმიანობის შედეგად ჰავის სავარაუდო არასასურველ ცვლილებებთან, არამედ მსხვილი ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფების სულ უფრო მზარდ ალბათობასთან. ამავე დროს, ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება „მდგრადი განვითარების“ კონცეფციაში (Tsitskishvili,2006: 304; Mamedov, 1992: 1-25; Tsitskishvili, 2006: 374; Gregorio, 1998: 95).

მთავარი სირთულე „მდგრადი განვითარების“ კრიტერიალური მახასიათებლების ჩამოყალიბებისას მდგომარეობს ერთიანი, კომპლექსური

მახასიათებლების დამუშავების აუცილებლობაში. ცალკეული ეკონომიკური მახასიათებლების შერჩევის გარკვეული დადებითი პრაქტიკა მეტნაკლებად ჩამოყალიბებულია. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ჯერ კიდევ 1980 წელს გამოქვეყნებული კავკასიის რეგიონალური რანჟირების მცდელობა „ენერგომოხმარების ხვედრი სიმკვრივის“ მაჩვენებლის შეფარდებით „მთლიანი ტერიტორიალური პროდუქტის“ მაჩვენებელთან; ამ კომპლექსური მახასიათებლის საფუძველზე შეფასდა მთლიანად „კავკასიის ეკონომიკური რეგიონის“ წვლილი გლობალურ ანტროპოგენურ დაჭუჭყიანებაში (ატმოსფეროში აეროზოლური ემისიის წვლილის სახით), მსოფლიოს უმსხვილეს სამრეწველო კონგლომერატებთან შედარებით (Gavasheli, 1980: 18-39).

ძირითადი ინფორმაციული სიძნელეები ცალკეული რეგიონების კომპლექსური რესურსულ-ეკოლოგიური რანჟირებისა, განპირობებულია არა ანტროპოგენური დატვირთვების შეფასების სირთულით, რის კრიტერიუმადაც წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებული გარემოს მონიტორინგის ქსელების მოლისმოლოგიური მონაცემების რანჟირება-შეფასების მასივები, არამედ რეგიონალურ ჭრილში ამა თუ იმ რეგიონის „ეკოლოგიური ფასეულობის“ შეფასების კრიტერიუმების დაუმუშავებლობით. არსებული მიდგომების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ყველაზე ხშირად ამ მიზნებისათვის გამოიყენება წმინდა ბიოლოგიური კრიტერიუმები ფლორისა და ფაუნის ენდემურობის, უნიკალურობის, მრავალფეროვნებისა და ა.შ. ამათგან უფრო მიღებულია ბიომრავალფეროვნების ფორმალიზებული რაოდენობრივი შეფასებები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მსოფლიო პრაქტიკაში კარგადაა დამუშავებული. სათანადო ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემებს (Chogovadze, 2005: 144; Mamedov, 1992: 1-25; Meskhi, 1988: 69-73; Khurodze, 1998: 109; Gregorio, 1998: 95; Chogovadze, 2003: 288). საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისების უკანასკნელმა პერიოდმა ბევრი ეკოლოგიური ჭეშმარიტება გამოამჟღავნა, გაირკვა, რომ:

1. ბუნებაზე ყველაზე დამანგრევლად ენერგეტიკული კრიზისი მოქმედებს, რომელიც ეკონომიკური კრიზისის კანონზომიერი გამომწვევია;

2. ეკონომიკური კრიზისი ბუნებრივი რესურსების მზარდი გაჩანაგებით ხასიათდება;

3. ენერგეტიკული დამოუკიდებლობა პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ეკოლოგიური სტაბილურობის გარანტია.

ამ აქსიომატიკიდან ცალსახად გამომდინარეობს საქართველოში საბაზისო თბოელექტროსადგურის მშენებლობის არა მარტო ეკონომიკური და ენერგეტიკული აუცილებლობა, არამედ სოციალური და პოლიტიკური

დასაბუთებაც. მძლავრი საბაზისო მარეგულირებელი სადგურის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ენერგოსისტემის დარეგულირება და სტაბილურობის მიღწევა. ჰიდროენერგეტიკის პარადოქსი ისაა, რომ, რაც მეტია დადგმული სიმძლავრეები და საერთო გამომუშავება, მით უფრო მწვავდება მოთხოვნილება მარეგულირებელ სიმძლავრეებზე. გამომდინარე რეალურად არსებული მოთხოვნილებიდან, საქართველოში მაღალი სიმძლავრის მარეგულირებელი საბაზისო თბოელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობა ცალსახად ითხოვს, ამგვარი ობიექტებისათვის (მძლავრი თბოენერგოობიექტი, დიდი მოცულობის მაღალტოქსიკური ამონაბოლქვით) დამუშავებულ იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული კრიტერიუმები ეკოლოგიურად უსაფრთხო განთავსებისათვის მთიან რეგიონში. ამ საკითხების ეკოლოგიურად დასაბუთებულ გადაჭრაში გეოეკოლოგიას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება; პირველ პლანზე დგება კლასიკური გეოეკოლოგიური ამოცანა – სამშენებლო მოედნის ეკოლოგიურად უსაფრთხო შერჩევის კრიტერიუმების გამომუშავების პრობლემა (Meskhi,1988: 69-73; Teverovskiy, 1983: 471-477; Tsitskishvili, 2006: 374).

საქართველოს ტერიტორიის მეცნიერულად დამუშავებულ დარაიონირებაში (სეისმიკა, ჰიდროლოგია, კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა, დემოგრაფია) უკვე ჩადებულია მთელი რიგი მალიმიტირებელი ფაქტორების გათვალისწინება. ამ ფაქტორების შესწავლის მასალები პრაქტიკულად არსებობს და კარტირებულიცაა. სათანადო ორგანოებს მოეპოვებათ ამგვარი დარაიონირების მასალები, მაგრამ სადღეისოდ მთიანი რეგიონისათვის სავსებით შეუსწავლელია ატმოსფეროში ტოქსიკური ამონაბოლქვის გაბნევისა და გადატანის კანონზომიერებები. არ არის კარტირებული და სათანადოდ ფორმალიზებული არსებული ანტროპოგენური ფონური დაჭუჭყიანება, დადგენილი არ არის ძირითადი პოლუტანტების დონეებისა და მიგრაციის კანონზომიერებები. სამშენებლო მოედნის შერჩევისას შესაძლებელი ხდება ამ ფაქტორების გათვალისწინებით მინიმუმამდე დავიყვანოთ შესაძლო მავნე ეკოლოგიური ზემოქმედებები ბუნებასა და მოსახლეობაზე, სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის არსებობის შემთხვევაში.

ცივილიზაციის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ინტერნაციონალურმა ინფორმაციულმა სისტემებმა მთლიანად შეცვალეს ინფორმაციის გავრცელების კანონზომიერებები. ინტერნეტიზაციის მეშვეობით ინფორმაციის საბოლოო კონტროლს თვით მომხმარებელი აწარმოებს და არა მარტო მიმწოდებელი (Chogovadze, 2003: 288). ასევე პრინციპულადაა შეცვლილი და გაზრდილი გლობალური მონიტორინგული სისტემების შესაძლებლობები. სულ უფრო სრულყოფილი ხდება ამ სისტემების ინფორმაციული მასივების განზოგადების შედეგად შექმნილი სხვადასხვა

სახის სტატისტიკური საინფორმაციო მასალა და რეჟიმული მონაცემები. გეოინფორმაციული სისტემების ათვისება-დანერგვამ თვისობრივად შეცვალა საინფორმაციო მასალების საიმედოობა, ინფორმატიულობა და ხელმისაწვდომობა (Chogovadze, 2005: 144; Khurodze, 1998: 109; Chogovadze, 2003: 288). ამავე დროს, მთელ რიგ განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში იქმნება ინფორმაციული დეფიციტის პრობლემები – ძალზე საწყენია, რომ ეს აქტუალურია საქართველოსათვის და მთელი კავკასიის რეგიონისათვის. ადამიანის საქმიანობის შედეგად ბუნებრივ გარემოში გამოწვეული ძვრების შეფასება ხშირად შეუძლებელი ხდება: ინვესტიციების სიმცირე განვითარებად ქვეყნებში შეუძლებელს ხდის პრაქტიკულად ავითვისოთ გარემოსდაცვითი ხასიათის საინფორმაციო ტექნოლოგიები. საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ გენერირებული მონაცემთა ბაზები უსახსრობის გამო ხშირად აუთვისებელ-დაუმუშავებელი გვრჩება.

ამა თუ იმ ტოქსიკური მინარევის კონცენტრაცია ბუნებრივ არეებში განპირობებულია არა მარტო ძირითადი დამაჭუჭყიანებელი წყაროების სიმძლავრით (ანუ გარემოზე რეალური დატვირთვებით) და რეგიონის შიგნით წყაროების განთავსებით, არამედ კონკრეტული რეგიონის გეოეკოლოგიური თავისებურებებითაც. ეს თავისებურებები განპირობებულია მრავალი გეოფიზიკური თუ გეობიოლოგიური ფაქტორით, განედობრივი განლაგებით, რელიეფის თავისებურებით და სხვა ბუნებრივი ფაქტორებით. გეოკლიმატური თავისებურებების გათვალისწინება და შესაბამისი რაიონირება დიდი ხანია დამკვიდრებულია ადამიანის საქმიანობის რეგლამენტაციისათვის. ამ მიზნებისათვის კაცობრიობამ უძველესი დროიდან დაკვირვების სადგურები შექმნა. საქართველოს ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს ატმოსფერულ მოვლენებზე ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი დაკვირვებების რიგი და უძველესი გარემოს მონიტორინგის სისტემა ცენტრალური ობსერვატორიით! თბილისის შუაგულში დღესაც დგას რუსეთის იმპერიაში გერმანელი მეცნიერების მიერ დაარსებული გარემოზე დაკვირვების უძველესი ობსერვატორია. ეს ნაგებობა, რომელშიც დამკვირვებლად ისტორიისათვის კარგად ცნობილი მრავალი პიროვნება მოღვაწეობდა, ნათელი ილუსტრაციაა საქართველოს წვლილისა თანამედროვე ცივილიზაციაში გეოფიზიკური მეცნიერების დამკვიდრება-განვითარებაში. ზემოხსენებულ გარემოზე დაკვირვების სადგურებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია სხვადასხვა რეგიონის რანჟირება-დარაიონირება. გარემოს დაცვითი ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საერთო მიდგომები სავსებით დამუშავებულია. წინასწარი რანჟირების შედეგად, ინფორმაცია იღებს მატრიცულ სახეს, სადაც მატრიცის განზომილება განაპირობებს მახასიათებელი პარამეტრების სიმრავლეს, ანუ ასახავს რეალური სურათის

სირთულეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინფორმაციის გადამუშავებისა და შეფასების, ან გადაწყვეტილებების მიღების სისტემას არ შეუძლია გაზარდოს საწყისი მასალის ინფორმატულობა და სანდოობა (Chogovadze, 2003: 288). ამგვარ დაკვირვებებზე დაფუძნებული რაიონირებაც, გარკვეულწილად, პირობითია და ხშირ შემთხვევაში ვერ ითვალისწინებს რეგიონის ეკოლოგიური პირობების რეალურ მრავალფეროვნებას. იგი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ გეოფიზიკურ ასპექტებზე და იგნორირებას უკეთებს ბიოეკოლოგიურ სიტუაციას, თუმცა, უკანასკნელი პირველითაა განპირობებული. ამ სიტუაციიდან გამოსავლის ძიებას მივყავართ ამა თუ იმ რეგიონის „ბიომრავალფეროვნების", ანუ „ეკოლოგიური ღირებულების" შეფასებების მცდელობისაკენ. მათი განსაზღვრის პირობითობისა და სუბიექტურობის გამო, ამგვარი შეფასება რეალურ ინფორმაციულ ღირებულებას არაობიექტურად ამახინჯებს: სხვადასხვა რეგიონის ბიომრავალფეროვნების შედარება-შეფასებების ჩატარებისას, როცა საკითხი დგება რეგიონის ამა თუ იმ რაიონის „ეკოლოგიური ფასეულობის", ან „ეკოლოგიური სტატუსის" შეჯერებისა, ძალზე ხშირად საქმე გვაქვს არა რიცხობრივად შეფასებული ბიომრავალფეროვნებების შეჯერებასთან, არამედ „შესწავლილობის" დემონსტრირებასთან. ძალზე საჭიროა, ჩამოყალიბდეს რაოდენობრივი შეფასებების მეთოდოლოგია (თანამიმდევრობა, „სიღრმე" და ა.შ.). სადღეისოდ ამ პარამეტრების „სიდიდეები" ხშირად განპირობებულია არა მათი რეალური მნიშვნელობებით, არამედ მოპოვებული ინფორმაციით. ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად კვლავ მიმართავენ, ამა თუ იმ პირობით, რაიონირებას. „ეკოლოგიური ღირებულების" შეფასება ხშირად „წითელ წიგნში" შეტანილი ენდემებისა და რელიქტების რეგიონალური განაწილების „პირობით-სიხშირობრივი ანალიზის მეთოდით" კეთდებოდა. ამგვარი კარტირება პირველად საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა საქართველოს „წითელი წიგნის" ოფიციალურ დასტამბვამდე. შემდგომი განზოგადება და ინფორმატულობის გაღრმავება ამგვარი პირობითი დარაიონირებისა შესაძლებელია ეგრეთ წოდებული „მულტიპლიკატური" პარამეტრიზაციის მეთოდით (Gavasheli, 1980: 18-39; Meskhi, 1988: 69-73; Teverovskiy, 1983: 471-477; Tsitskishvili, 2006: 374).

როგორც დასახელებიდან ჩანს, ეს პარამეტრი მრავალ ფაქტორს ითვალისწინებს. დიხოტომიურილოგიკური სიდიდეების შემოტანით, რაც ინფორმატიკასა და მართვის თეორიაში ფართოდ მიღებული მეთოდია, ჩნდება საშუალება, გავითვალისწინოთ სოციალური ფაქტორებიც. ამგვარი პირობითი დარაიონირება საკმაოდ შორს სცდება ჩვეულ გეოფიზიკურ, ან გეობოტანიკურ მიდგომებს და სავსებით კანონზომიერად და ზუსტად ასახავს ეკოლოგიის, როგორც მულტიდისციპლინარული მეცნიერების, არსს. ფორმალიზებული მიდგომა მულტიპლიკატიური

პარამეტრის გამოყენებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში პირველად გამოყენებულ იქნა ამიერკავკასიაში ატომური ელექტროსადგურების ეკოლოგიურად უსაფრთხო განლაგების ოპტიმიზაციის ამოცანაში (Gavasheli, 1980: 18-39; Meskhi, 1988: 69-73; Teverovskii, 1983: 471-477).

ამავე დროს შესაძლებელია მაქსიმალური გამარტივებაც, მთელი რიგი პარამეტრის „პირობითად გათანაბრების“ შემთხვევაში. მაგალითად, მსხვილი ენერგოსაწარმოს ეკოლოგიურად უსაფრთხო სამშენებლო ადგილის განთავსებისას შესაძლებელია, ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ტოქსიკური მინარევის ატმოსფეროში გადატანის თავისებურებებზე, ატმოსფეროს თვითგანწმენდის გასაშუალებულ სიჩქარეზე. ეს პარამეტრი, როგორც კლიმატოლოგიურად მდგრადი ეკოლოგიური მახასიათებელი გეოეკოლოგიაში, პირველად საქართველოში იქნა შემოტანილი და მისი ექსპერიმენტურად განსაზღვრის მეთოდოლოგია – დამუშავებული.

ჩატარებული მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევების შედეგად მიწის პირა ატმოსფეროს თვითგანწმენდის სიჩქარე ისაზღვრებოდა ექსპერიმენტულად, როგორც ატმოსფეროში შეწონილი ნაწილაკების – აეროზოლების მიწის ზედაპირისაკენ მიმართული ნაკადის სიმკვრივის შეფარდება ამავე აეროზოლების კონცენტრაციასთან. ამგვარი ეკოლოგიური პარამეტრის ექსპერიმენტული მნიშვნელობები დადგენილია საქართველოს რეგიონებისათვის. ნაჩვენებია მისი მრავალწლიანი კლიმატოლოგიური მდგრადობა გამოყოფილი რაიონის შიგნით. ეს საშუალებას იძლევა, შესაბამისი დარაიონირებით, რეგიონების მიხედვით ჩავატაროთ მეცნიერულად დასაბუთებული ატმოსფეროს დაცვის ღონისძიებები. მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამა თუ იმ სახით დამატებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს უკვე არსებული ეკოლოგიური დატვირთვები მოსახლეობაზე.

მოვიყვანოთ მაგალითი ამგვარი პარამეტრიზაციისა. ამა თუ იმ მსხვილი ობიექტის ეკოლოგიურად უსაფრთხო განლაგებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი სახის ფორმალიზაცია:

1. შემოვიტანოთ გარემოზე „ეფექტური ეკოლოგიური დატვირთვის ცნება“, რომელიც წარმოადგენს „საპროექტო დატვირთვის“ საპერპოზიციას ადგილობრივ ეკოლოგიურ თავისებურებებთან, რაც პირობითი ნამრავლის სახით გამოისახება:

$$Qefeqt.= Q\ real.\ x\ M\ .$$

2. მულტიპლიკაციური პარამეტრიც Mkompl., წარმოვიდგინოთ „მანორმირებელ კოეფიციენტად“, რომელიც გამიზნულია ეკოლოგიური,

ეკონომიკური და სოციოლოგიური ფაქტორების თავისებურებების ერთობლივად გასათვალისწინებლად:

$$kompl. = Qefeqt. / Qreal.$$

3. მარტივ შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოისახოს მრავალკომპონენტიანი ნამრავლის სახით:

$$M\ kompl. = \Pi K_{ij}$$

სადაც ij არის ამა თუ იმ i-ფაქტორის (ეკოლოგიური, სოციოლოგიური, თუ ეკონომიკური) პირობითი რანჟირების კოეფიციენტები j-რეგიონისათვის.

ამგვარი ფორმალიზაცია საშუალებას იძლევა, კონკრეტული რაიონის თავისებურებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად შევამციროთ ეკოლოგიური დატვირთვები, გავზარდოთ ობიექტის ეკოლოგიური უსაფრთხოება მისი განლაგების ეკოლოგიური ოპტიმიზაციის გზით.

როგორც უკვე ითქვა, ატმოსფეროში ტოქსიკური მინარევის გადატანა-ტრანსფორმაციის პროცესების შესაძლებელი პარამეტრიზაციისა და არსებული ანტროპოგენური დატვირთვების გათვალისწინების პრობლემის გადასაწყვეტად დამუშავების სტადიაშია გარკვეული ზოგადი მიდგომები და კრიტერიუმები. ამის პირველი მცდელობები რეალიზებულ იქნა ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში ამიერკავკასიაში ატომური სადგურების ეკოლოგიურად უსაფრთხო განთავსების მეცნიერული კრიტერიუმების დამუშავებისას (Gavasheli, 1980: 18-39; Meskhi, 1988: 69-73; Teverovskiy, 1983: 471-477).

იმხანად რეალიზებული იყო რეგიონის დარაიონირების მეთოდი მულტიპლიკატიური პარამეტრის მეშვეობით. მალიმიტირებელ ფაქტორებად შერჩეული იყო არსებული რადიაციული ფონის მახასიათებლები (ხელოვნური რადიონუკლიდების უკვე არსებული ფონით) და ატმოსფეროში ტოქსიკური მინარევის გაბნევის თავისებურებები (ატმოსფერული დიფუზიის კოეფიციენტის ექსპერიმენტულად შესწავლილი მნიშვნელობების გათვალისწინებით). შემოყვანილი იყო აგრეთვე კლიმატოლოგიურად სავსებით ახალი მახასიათებელი – ატმოსფეროს ქვედა ფენის თვითგაწმენდის უნარი, მოცემული იყო ამ პარამეტრის განსაზღვრის მეთოდოლოგია (Gavasheli, 1980: 18-39; Meskhi, 1988: 69-73; Teverovskiy, 1983: 471-477).

ეს მასალები წარმოადგენს ძირითად ფაქტოლოგიურ საფუძველს, რომლის მიხედვითაც შესაძლოა შეფასდეს სადღეისოდ რეალური დატვირთვები საქართველოს სხვადასხვა რაიონისათვის და მოხდეს რისკების წინასწარი რანჟირება ამ მონაცემების საფუძველზე. რაც მთავარია, ეს

უნიკალური მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, მეცნიერულად შევაფასოთ მოსალოდნელი რისკები ამგვარი დამაჭუჭყიანებლების მოხვედრისას ადამიანის საარსებო გარემოში. ამ მონაცემებთან ერთად (დავაზუსტოთ: ლაპარაკია საქართველოს მოსახლეობის გარეგანი და შინაგანი დოზური დატვირთვების ვარიაციების ამსახველ მონაცემებზე, საქართველოს რადიოეკოლოგიური მონიტორინგის შედეგებზე რეგიონების მიხედვით), აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა პირობებში ამა თუ იმ პოლუტანტის მიგრაციის თავისებურების ამსახველი ექსპერიმენტული მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა, რიცხვითი პარამეტრების შემოყვანის საშუალებით, გავითვალისწინოთ რეგიონის თავისებურებები, რომლებსაც შეუძლიათ, მნიშვნელოვნად შეცვალონ დაგროვების კოეფიციენტები. ატმოსფეროში ტოქსიკური მინარევის გადატანის რეალური პარამეტრებით და მათი სიდიდეებით განისაზღვრება პირობითი რისკები; სავარაუდო განლაგების გეოეკოლოგიური პირობების შედარება რისკის სიდიდეების პირობითი პარამეტრიზაციის გზით ხდება. ატმოსფეროში მინარევის გადატანის მოდელების ადაპტაცია და აკომოდაციის კოეფიციენტები, გეოეკოლოგიური პროცესებით გამოწვეული რისკების შეფასება, გარემოს დაჭუჭყიანების ფონი და რეგიონების მიხედვით მოსახლეობაზე არსებული დატვირთვები, ატმოსფეროს „თვითგაწმენდის“ პარამეტრი და მულტიპლიკატორული პარამეტრი – არის მახასიათებელი ეკოლოგიური რისკისა განთავსების ადგილის შერჩევისას.

ამგვარი მიდგომით დასამუშავებულია მთიან რეგიონში მძლავრი თბოელექტროსადგურის ეკოლოგიურად უსაფრთხო განთავსების ოპტიმიზაციის მეთოდოლოგია, რეგიონის გეოეკოლოგიური თავისებურებების პარამეტრიზაციის საშუალებით. მიღებულ შედეგს ექნება როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. თანამედროვე გეოეკოლოგიის ამოცანაა, შეამციროს ეკოლოგიური დატვირთვები საარსებო გარემოზე, შეაფასოს რისკები გარემოს დეგრადაციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენისა, გამოავლინოს ამ მახასიათებლების ფუნქციონალური კავშირები გარემოს გეოეკოლოგიურ თუ სოციოეკონომიკურ მახასიათებლებთან. მთიან რეგიონში მაღალტოქსიკური ამონაბოლქვის მქონე მსხვილი ობიექტის ეკოლოგიურად უსაფრთხო განლაგების ოპტიმიზაცია მოიაზრება, როგორც გარემოზე ზემოქმედების მულტიპლიკატიური მრავალკომპონენტიანი პარამეტრის მინიმიზაციის ამოცანა. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში (ატმოსფერული ამონაბოლქვების არსებობას ვგულისხმობთ) მთავარ მალიმიტირებელ პროცესად ატმოსფეროში მავნე მინარევის გაფანტვის პროცესი გვევლინება და უკვე არსებული დატვირთვების რანჟირება, მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტების თავიდან აცილების მიზნით.

ლიტერატურა:

1. Chogovadze, 2005 – Chogovadze, R. Khurodze, R. Neiroinformatikis safudzvlebi, gamomtsemloba „teqnikuri universiteti“, Tbilisi, 2005.
2. Chogovadze, 2003 – Chogovadze, G. „Information, Society, Mankind“, Moscow, Printed in PIK VINITI, 2003.
3. Gavasheli, 1980 – Gavasheli, Sh., Tsitskishvili, M. Nekotorye rezultaty izucheniya atmosfernykh aerozoley (yaderkondensatsi) v Zakavkaze: Vip: 66 (72): „Voprosy izucheniy zagryazneniya vneshney sredy“, Gidrometeoizdat, Leningrad, 1980.
4. Gregorio, 1998 – Antonio Di Gregorio, The Land Cover Classification System (LCCS)//Classification Concepts and User: FAO. UN, Rome, 1998.
5. Khurodze, 1998 – Khurodze R., Povyshenie nadiyozhnosti funktsionirovaniya ustroystv obrabotki analogovoy informatsii. Izd. „Tekhnicheskiy universitet“, Tbilisi, 1998.
6. Mamedov, 1992 – Mamedov, G., Karta ekologicheskoy otsenki pochv Azerbaidzhana i eyo znacheniy//Obzornaya informatsiya, Seria „Selckoe khoziaistvo“, 1992.
7. Meskhi, 1988 – Meskhi, S., Khvedelidze, Z., Tsitskishvili, M. Obespechenie ekologicheskoi bezopasnosti energoobyektov v gornykh regionakh. Doklady Vsesoyuzoy konferentsii „Ispolzovanie vychislitelnoy tekhnuki dlya resheniya problem okhrany okruzheyushshey credy v teloenergetike“, Sevastopol, 1988.
8. Teverskiy, 1983 – Teverskiy E., Tsitskishvili M., Optimalnoe razmeshenie energeticheskikh predptiyatiy v Zakavkaze s tochki zreniya okruzhayushshey sredy: Sbornik materialov nauchno-prakticheskoy konferentsii „Aktualnye problemy ekologii“, Sabchota Sakartvelo, Tbilisi, 1983.
9. Tsitskishvili, 2006 – Tsitskishvili M., Radiotsionnaya ekologiya gornykh regionov. Izd. „Mermisi“, Tbilisi, 2006.
10. Tsitskishvili, 2006 – Tsitskishvili, M., Erkomaishvili, G., Shatberashvili, I., Aerozolebis mekanika da atmosferos datsva, gamomtsemloba „mermisi“, Tbilisi, 2006.

**Marat Tstskishvili, Ia Lekishvili, Teona Lagazauri,
Tamar Bakuzanashvili**

SOME APPROACHES FOR PERFECTION OF ENVIRONMENT PROTECTION

Summary

The paper aims at using the information of a network of monitoring environment for estimation of ecological loads. It is possible the formalized criteria for purposes of estimation of ‘‘ecological value’’. That is why serious measurements to choose favourable areas and construct ecologically safe accommodation with a system of ecological security should be taken. The given paper considers the introduction of the method of multiplicity parameter for perfection of environmental protection.

გულნარა ქარჩავა, ირაკლი გოგინავა, ხათუნა ბარკალაია

რადიაციული ეკოლოგიის კვლევები საქართველოში

უკვე საუკუნეზე მეტი გავიდა რადიოაქტივობის – ქიმიური ელემენტების სპონტანური (თავისთავადი) დაშლის მოვლენის აღმოჩენიდან. არ იქნება ზედმეტი აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინით თავდაპირველად (სანამ დადგინდებოდა ატომგულის ბირთვის რადიოაქტიური გარდაქმნის კანონზომიერებები) აღინიშნებოდა არა თვით მოვლენა, არამედ მისი თანმხლები გამოსხივება. აღმოჩენის სათავეებთან მდგარ მსოფლიო მეცნიერების კორიფეებისათვის იმთავითვე ნათელი იყო ის ფანტასტიკური ძალა, რასაც ეს აღმოჩენა კაცობრიობას აძლევდა. ამავე დროს, მალევე გაირკვა რადიოაქტივობის მოვლენის თანმხლები ბიოლოგიური ეფექტები: ჩვენი თანამემამულის, ივანე რამაზის ძე თარხანოვის (თარხან-მოურავი), ნაშრომებში ჩამოყალიბებული ახალი მეცნიერებების – რადიაციული ბიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის – დამსახურებაა მთელი რიგი ფუნდამენტური აღმოჩენა ბიოლოგიაში. ამავე დროს სხვადასხვა ნივთიერებისა და შენაერთის მიგრაციის კანონზომიერებების კვლევებს სხვადასხვა ტიპის გეოცენოზებში უდიდესი დამოუკიდებელი მნიშვნელობაც გააჩნია გარემოს დაცვასა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ისევე როგორც ბიოლოგიაში, მედიცინასა და, ზოგადად, ტექნიკაში, განსაკუთრებით ენერგეტიკაში, რადიოაქტიური იზოტოპებისა და გამოსხივების ფართო გამოყენება მიანიშნებდა სავსებით ახალი „ატომური ერის“ დაწყებას კაცობრიობის ისტორიაში (Vefkhvadze, 1997 – 2002; Tsitskishvili,1993; Rekomendatsii..., 1990; Radioaktsii..., 1968).

XX საუკუნის პრაქტიკულად ყველა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევა დაკავშირებულია ატომგულის ენერგიის გამოყენებასთან. ამავე დროს, ბირთვულმა შეიარაღებამ არაერთხელ დააყენა კაცობრიობა და მთლიანად თანამედროვე ცივილიზაცია განადგურების საფრთხის წინაშე: გარეგნულად პროგრესული მოძღვრების აგრესიულმა დამნერგავებმა უაზროდ და უკიდეგანოდ გაზარდეს მასიური განადგურების იარაღის სიმძლავრე და რაოდენობა (Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993; Iadernoe ispitanie, t. 1-2, 1997; Iadernoe ispitanie, t.3, 2000).

ბირთვული იარაღის თავშეუკავებელმა გამოცდებმა ცხადად დაანახეს კაცობრიობას საარსებო გარემოს დეგრადაციის რეალური საშიშროება (Gubin, 1975; Rekomendatcii mezhd. kompo rad, 1994; Rozhdestvenskiy, 1998; Sravn. kantser.. 1992; Filiushkin, 1989; Boltneva, 1977; Israel, 1996; Israel, 1967), აიძულეს იგი, ყურადღების ქვეშ მოექცია გლობალური ეკოლოგიური პრობლემები (Keirim- Markus, 2001; Rozhdestvenski, 2001; Radioakt. vip.. 1968; Radioakt. zagrya. 1967; Koshelkov, 1967).

კაცობრიობა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა მსოფლიოს ცივილიზებული არსებობისაკენ. ამ გზაზე ისტორიული გარდატეხის წერტილებად ბირთვულ იარაღთან და ბირთვულ ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები გვევლინება (Zakl. mezhdved. kom., 1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993; Keirim-Markus 2001; Kuzin, 1995; Rekomend. mezhd. kom. 1994; Rozhdestvenski, 2001; Burlakova, 1996; Gubin, 1975; Rekomend. mezhd. kom. po rad., Rozhdestvenskiy, 1998; Sravn. kantser.1992; Filiushkin, 1989).

ამ ბუფურკაციის წერტილების (თუ კატასტროფების თეორიის ტერმინოლოგიით ვისარგებლებთ) კაცობრიობის შემდგომი განვითარების გზა მნიშვნელოვნად დაკავშირებულია თანამედროვე რადიობიოლოგიის კვანძოვან – რადიაციული გამოსხივების მცირე დოზების ზეგავლენის პრობლემასთან (Tsitskishvili, 1993; Keirim-Markus 2001; Kuzin, 1995; Rekomendatsiy mezhd. kom.1994; Rozhdestvenski, 2001; Burlakova, 1996).

XX საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოში, სამედიცინო რადიოლოგიის არნახულ მიღწევებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რადიოეკოლოგიურ კვლევებს. ამას განაპირობებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. ბირთვული იარაღის შექმნა და მისი ფართო გამოცდები. ამ უკანასკნელმა გამოიწვია გლობალური რადიოაქტიური დაჭუჭყიანება; ამ დროისათვის მომწიფდა აზრი გარემოს ხელოვნური თუ ბუნებრივი რადიოაქტივობის ონკოპრომოტორული მნიშვნელობის შესახებ. ძირითადად, ირკვევა გლობალური რადიოაქტიური დაჭუჭყიანებების საშიშროება და შეისწავლება მისი გეოეკოლოგიური კანონზომიერებები – განაწილებები (Gubin, 1975; Rekomendatciy mezhd. kompo rad, 1994; Rozhdestvenskiy, 1998; Sravn. kantser. 1992; Filiushkin, 1989; Krasilov, 2000; Logachev, 1996; Radioakt. vip. 1968; Radioakt. zagrya. 1967; Koshelkov, 1967);
2. მთელ მსოფლიოში ფართოდ გაშლილი მძლავრი ენერგომოხმარების სისტემებისათვის აუცილებელი საბაზისო ელექტროსიმძლავრეებისათვის ატომური ელექტრო-ენერგობიექტის მშენებლობის მცდელობა (Tsitskishvili, 1993; Rekomendatsiy mezhd. kom. 1994; Radioakt. vip. 1968; Boltneva, 1977; Israel, 1996; Israel, 1967);
3. გასული საუკუნის 80-იან წლებში მომხდარი ჩერნობილის კატასტროფა, რომელსაც უკვე XXI საუკუნეში მიემატა ფუკუსიმას (იაპონია) ტრაგედია (Zakl. mezhved. kom., 1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993);
4. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვ-

ლინდა რადიონუკლიდების მიგრაციაში მთელი რიგი რეგიონალური ანომალიები. ამ რეგიონებს (ჩრდილოეთის ტუნდრა, ბელორუსიის ჭაობები) კავკასიის მაღალმთიანეთი და დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიანი არეებიც მიეკუთვნება (Eradze, 2002; Vepkhxvadze, 1995; Vepkhxvadze, 1997 – 2002; Kochoradze, 2005; Zakl. mezh-dved. kom.,1991; Nadareishvili,1991; Tsitskishvili, 1993):

ლიტერატურაში არსებული მოსაზრებებისგან განსხვავებით, გამოვლენილ იქნა რადიოაქტიური დაჭუჭყიანების ანომალიურად მაღალი დონეები დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლსა და მაღალმთიანეთში (Eradze, 2002; Vepkhvadze, 1995; Vepkhvadze, 1997-2002; Kochoradze, 2005); ანომალიები გლობალური რადიაქტიური დაჭუჭყიანების იზოტოპურ შემადგენლობაში – მოკლევადიანი რადიოიზოტოპების სიჭარბე, ძირითადად, რუტენიუმის, ცერიუმის, ცეზიუმის, ცირკონიუმისა და ნიობიუმის იზოტოპების ხარჯზე (Tsitskishvili, 1993).

დადასტურდა განედური გლობალური ეფექტების არსებობა; კავკასიისათვის გამოვლინდა რადიოაქტიური დაჭუჭყიანების დონეების მკვეთრი ვერტიკალური ზონალობა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია საკვლევ რეგიონში ნალექების ვერტიკალურ ზონალობასთან (Tsitskishvili, 1993; Krasilov, 2000; Logachev, 1996; Radioakt. vip. 1968; Radioakt. zagriaz. 1967; Koshelkov, 1967).

ჭარბი ტენიანობისა და ნალექების პირობებში გამოვლინდა გრძელვადიანი რადიონუკლიდების „მიგრაციის მომატებული უნარიანობა“, რის საფუძველზეც ექსპერიმენტულად, ჯერ კიდევ 70-იან წლებში, დამტკიცებულ იქნა მ. ციცქიშვილის მიერ შემოთავაზებული თეზისი „ბუნებრივი დეზაქტივაციის“ ანომალიურად მაღალი სიჩქარეების შესახებ, როგორც ატმოსფეროს ქვედა ფენებში, ასევე ნიადაგის ზედაპირულ ქანებსა და წყლის სისტემებისათვის კავკასიაში (Tsitskishvili, 1993; Krasilov, 2000; Logachev, 1996; Radioakt. vip. 1968; Radioakt. zagriaz. 1967; Koshelkov, 1967).

ეს დასკვნები დადასტურდა, აგრეთვე, ჩერნობილის კატასტროფის შემდგომ რადიოაქტიური დაჭუჭყიანების კვლევების შედეგად (Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993); სწორედ ამით აიხსნება ის ექსპერიმენტული ფაქტი, რომ მიუხედავად საქართველოს სანაპირო ზოლში წინა წლებში უშუალო გაზომვებით დაფიქსირებული (ბათუმიდან სოჭამდე) „ლაქოვან-წერტილოვანი“ მაღალი ზედაპირული გაჭუჭყიანების ზონებისა, უკვე 1990 წლისათვის არსად სანაპირო ზოლში რადიოჰიგიენურად მნიშვნელოვანი დაჭუჭყიანების ზონა აღარ არსებობდა. რადიაციული ფონი პრაქტიკულად შეესაბამებოდა ბუნებრივს (Eradze, 2002; Vepkhvadze, 1995; Vepkhvadze, 1997 – 2002; Kochoradze, 2005; Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili,

1991; Tsitskishvili, 1993).

ჩატარებულმა მოდელურმა ექსპერიმენტებმა და ბუნებრივ პირობებში წარმოებულმა ექპედიციურმა კვლევებმა შესაძლებლობა მოგვცეს, დაგვეზუსტებინა დინამიკური მახასიათებლები სხვადასხვა არეში, რადიოიზოტოპების მიგრაციის კანონზომიერებები, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა შეფასდეს სხვადასხვა რადიონუკლიდის შემცველობა ბუნებრივ არეებში და მოსალოდნელი რადიოეკოლოგიური დატვირთვები, როგორც გარეგანი დასხივების შედეგად, ასევე ალიმენტარული გზით – საკვები ან ინჰალაციური გზით მოხვედრისას ადამიანის ორგანიზმში (Eradze, 2002; Vepkhvadze, 1995; Vepkhvadze, 1997 – 2002; Kochoradze, 2005; Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993).

რადიოეკოლოგიური კვლევების შედეგად ჩატარებული გარემოს რადიოაქტიურობით გამოწვეული ადამიანის დოზური დატვირთვების შეფასებები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტოლოგიურ მასალას ამიერკავკასიის რეგიონების მიხედვით სტრეს-ფაქტორებით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის რანჟირებისათვის (Eradze, 2002; Vepkhvadze, 1995; Vepkhvadze, 1997 – 2002; Kochoradze, 2005; Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993).

№1 ცხრილში განზოგადებულია საქართველოს ცენტრალური რეგიონისათვის (ქართლი, თბილისი, ზაჰესი) დამახასიათებელი ბუნებრივი რადიაციული ფონის ძირითადი სიდიდეები; შედეგები წარმოადგენს მრავალწლიანი ინსტრუმენტალური კონტროლის (ყოველდღიური მრავალჯერადი გაზომვები სტანდარტული მეტროლოგიური კონტროლგავლილი ხელსაწყო – რადიომეტრებით) შედეგებს. მოცემულია: ბუნებრივი რადიაციული ფონის სიდიდეები მიკრორენტგენებში/საათში, იგივე სიდიდეები ნანოგრეებში/საათში; ბუნებრივი ფონის ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული დასხივების წლიური დოზის სავსებით უმნიშვნელო სიდიდეები მილიზივერტებში/წელიწადში.

ცხრილი №1

საქართველოსცენტრალურიტერიტორიისბუნებრივირადიაციულიფონი

№	თვეები	ბუნებრივი რადიაციული ფონი მკრ/სთ	ბუნებრივი რადიაციული-ფონი ნ.გრ/სთ	დასხივების წლიური დოზა მზვ/წ	რეალურად მოქმედი დოზა 20% მზვ/წ
1	იანვარი	11,3	113	0,99	0,198
2	თებერვალი	11,3	113	0,99	0,198
3	მარტი	11,3	113	0,99	0,198

4	აპრილი	11,5	115	1,01	0,20
5	მაისი	11,5	115	1,01	0,20
6	ივნისი	11,5	115	1,01	0,20
7	ივლისი	11,9	119	1,04	0,21
8	აგვისტო	11,9	119	1,04	0,21
9	სექტემბერი	11,9	119	1,04	0,21
10	ოქტომბერი	11,5	115	1,01	0,20
11	ნოემბერი	11,5	115	1,01	0,20
12	დეკემბერი	11,5	115	1,01	0,20
წლის საშუალო		11,6	116	1,02	0,20

დაკვირვებული მკვლევარი ამ ცხრილის მონაცემებიდან მნიშვნელოვან დასკვნებს გამოიტანს:

ბუნებრივი რადიაციული ფონის წლიურ-სეზონური ვარიაციები უმნიშვნელოა – დამოკიდებულება ატმოსფეროს წნევაზე და ატმოსფერულ ნალექებზე ბუნებრივი რადიაციული ფონის „რადონული მდგენელისა“ პრაქტიკულად გასაშუალებისას არ ფიქსირდება (ინსტრუმენტალური ცდომილების ფარგლებშია).

ლიტერატურულ მონაცემებთან შეპირისპირება გვარწმუნებს რაიმე ადგილობრივი ანტროპოგენური ზემოქმედების არარსებობაში (ვგულისხმობთ მუხათგვერდის (მცხეთის) საცდელი რეაქტორის, ან რაიმე ადგილობრივი წყაროების გავლენას) (Eradze, 2002; Vepkhvadze, 1995; Vepkhvadze, 1997 – 2002; Kochoradze, 2005; Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili,1991; Tsitskishvili, 1993).

მონიტორინგის ჩატარებისას რადიაციული ფონი იზომებოდა დოზიმეტრით СРП – 68-01-ით, რომელიც დამოწმებულია მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ. როგორც ცნობილია, მსოფლიოს ე.წ. „ნორმალური“ რეგიონების საშუალო მონაცემია - 0,7 მზვ/წ. როგორც ვხედავთ, წლიური დოზა არის 1,02 მზვ/წ, ხოლო რეალურად მოქმედი დოზა – 0,20 მზვ/წ.

კავკასიის მდებარეობა ბირთვული იარაღის გამოსაცდელი პოლიგონების განედზე (სსრკ-ის მიერ ჩრდილო ნახევარსფეროში ჩატარებული ბუნების დამანგრეველი 1961-1962 წწ. გამოცდების შემდგომ ეს არის ჩინეთის აფეთქებები) და ჩერნობილის ავარიის და სტრატოსფერო-ტროპოსფეროს ვერტიკალური ცვლის მაქსიმალური ინტენსივობის ზონაში ვლინდება (Tsitskishvili, 1993; Gubin, 1975; Rekomendatciy mezhd. kom. po rad., 1994; Rozhdestvenskiy, 1998; Sravn. kantser. 1992; Filiushkin, 1989; Krasilov, 2000; Logachev, 1996):

1. გაზაფხული-ზაფხულის მაქსიმუმის ნაადრევი დადგომით;
2. სეზონურ სვლაში უფრო გამოკვეთილი მაქსიმუმით;
3. ატმოსფეროდან გლობალური „გამონალექების“ მომატებული დონეებით;
4. მეტი „მგრძნობიარობით“ ახალ, მოკლე დაშლის პერიოდიან ნუკლიდებისადმი.

საკვლევ რეგიონში გლობალური გამონალექების სტრუქტურა განპირობებულია:

1. დონეების შემცირებით ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ;
2. დონეების ვერტიკალური ზონალობით (მატება სიმაღლის მიხედვით), რაც განპირობებულია კლიმატური ფაქტორების გამოკვეთილი ზონალობით, განსაკუთრებით, ნალექების ვერტიკალური ზონალობით;
3. მთიანი რეგიონის რთული რელიეფით განპირობებული ჰაერის მასების ცირკულაციის თავისებურებებით (მთა-ბარის ცირკულაცია, ნალექების ქარისმიერი გადანაწილება ფერდობებზე და ა.შ.).
4. შეზღუდული ტერიტორიებისათვის გლობალური ატმოსფერული გამონალექების გადანაწილება, ძირითადად, ხდება ნალექებით.

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის შინაგანი და გარეგანი დასხივების დოზების შეფასებისას საჭიროა მოხდეს ტერიტორიის დარაიონება. ეს დარაიონება ასახავს საკვლევი რეგიონის მთელ რიგ რეალურად არსებულ გეოეკოლოგიურ თავისებურებებს, გამოვლენილს კავკასიაში გლობალური რადიოაქტიური გამონალექების მრავალწლიანი შესწავლის პროცესში. ნათელია, რომ გარკვეული კანონზომიერებების არსებობა, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ დარაიონების მეთოდი, არის ღრმა გეოეკოლოგიური კანონზომიერებების გამოვლინება, რაშიც გვარწმუნებს ტერიტორიალური და ცირკულაციური კანონზომიერებების ანალიზი (Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993; Krasilov, 2000; Logachev, 1996; Radioakt. vip. 1968; Radioakt. zagriaz. 1967; Koshelkov, 1967).

მსხვილი რეგიონებისათვის ატმოსფერული ნალექების როლი რადიოაქტიური გამონალექების გადანაწილებაში ცალსახად არ ვლინდება. მცირე ტერიტორიების განხილვისას შეიძლება დავასაბუთოთ, რომ გადანაწილება ნალექებით ხდება. ეს ნათლად ვლინდება რადიოაქტიური გამონალექების შესწავლისას საქართველოსა და სომხეთისათვის, სადაც კლიმატო-გეოგრაფიული პირობების თავისებურების გამო, ახლომდებარე პუნქტებისათვის სხვაობა ატოსფერული ნალექების დონეებს შორის, შესაძლოა, 100%-ს აღწევდეს (Zakl. mezh. ved. kom. 1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993; Krasilov, 2000; Logachev, 1996; Radioakt. vip. 1968; Radioakt. zagriaz. 1967; Koshelkov, 1967).

შესაძლებელია, დავახასიათოთ საქართველო და მთლიანად ამიერკა-

ვკასია გლობალური რადიოაქტიური გამონალექების დონეების მიხედვით დამაკმაყოფილებლად თანხვედრილ ნალექების განაწილებასთან შემდეგი შესატყვისობით (Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili,):

ნალექები 1500 მმმეტი -- 100% რადიოაქტიური გამონალექები;
900 მმ-დან – 1500 მმ-მდე -- 65 – 80 % -"- -"-;
700 მმ-დან – 900 მმ-მდე -- 50 – 65 % -"- -"-;
300 მმ-დან – 700 მმ-მდე -- 30 – 50 % -"- -"-;
300 მმ-ზე ნაკლები -- 30 % ნაკლები.

სადაც 100% აღებულია გამონალექის დონე მიახლოებით 10,00 მილიკიური კვადრატულ კილომეტრზე დღე-ღამეში (მაქსიმალური დაჭუჭყიანების პერიოდში).

ბუნებრივ გარემოში ადამიანის საქმიანობის შედეგად მოხვედრილი ხელოვნური რადიოაქტიური იზოტოპები პრინციპულად განსხვავდებიან ბუნებრივი რადიოიზოტოპებისაგან ეკოლოგიურ ჯაჭვებში მიგრაციის გზებითა და თავისებურებებით და ამის შედეგად, ადამიანსა და ბიოტაზე ზემოქმედების ხარისხით. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბუნებრივი რადიონუკლიდების შემთხვევაში, ბიოსფეროში არ არის ეკოლოგიური „ნიშები", სადაც მათი დაგროვება ხდებოდეს, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი დოზური ეფექტი მოგვცეს. ხელოვნური რადიონუკლიდების (იოდის, სტრონციუმის, ცეზიუმის იზოტოპები) თვისება დაგროვდეს ეკოლოგიური ჯაჭვის ცალკეულ მონაკვეთებში („ნიშებში"), ან ორგანიზმების ცალკეულ ქსოვილებში (ფარისებრი ჯირკვალი იოდის იზოტოპისათვის) მკვეთრად ზრდის ხელოვნური რადიოიზოტოპების ჰიგიენურ საშიშროებას. ძირითადად, ეს ხანგრძლივი ნახევარდაშლის პერიოდის მქონე ცეზიუმ-137 (საერთო აქტივობის დაახლოებით – 60%); შემდეგ ასევე გრძელპერიოდიანია სტრონციუმ-90 (დაახლოებით აქტივობის 25-30%) – ერთ-ერთი ყველაზე საშიში რადიონუკლიდი – კალციუმის ანალოგი. დანარჩენ აქტივობაში წვლილი შეაქვთ ძირითადად ცერიუმისა და ცირკონიუმის იზოტოპებს (მხოლოდ უშუალოდ ავარიებისა, ან გამოცდების შემდგომ თვეებში; სხვა დროს ბუნებრივი რადიოაქტიობის წვლილი მეტია) (Zakl. mezh. ved. kom.1991; Nadareishvili, 1991; Tsitskishvili, 1993; Keirim-Markus 2001; Kuzin, 1995; Rekomendatsii mezhd. kom. 1994; Rozhdestvenskiy, 2001; Burlakova, 1996; Gubin, 1975; Rekomendatcii mezhd. kom po rad, 1994; Rozhdestvenskii, 1998; Sravn. kantser. 1992; Filiushkin, 1989).

ლიტერატურა:

1. Boltneva i dr. , 1977 – Boltneva L. I. Izrael Yu. A., Ionov V. A., Nazarov I. M., Globalnoe zagryaznenie tseziem -137 i strontsiem-90 i dozy vneshnego obluchenya na territotii SSSR. M., Atomnaya energia, t. 42, vyp. 5, 1977.
2. Burlakova, 1996 – Burlakova E. B., Goloshapov A. N., Gorbunova N. V. i dr. Posledstviya Chernobilckoy katastrofi: Zdarovie cheloveka. M., Tsentr ekologicheskoy politiki Rossii. Nauchii sovet po radiobiologii, 1996.
3. Eradze, 2002 – Eradze G., K. Potisa da guriis regionis radioekologiuri situatsia, mosakhleobis onkologiuri avadoba da shesabamisi profilaktikuri ghonisdziebebis shemushaveba, sakandidato disertacia, Tbilisi, 2002.
4. Filyushkin, 1989 – Filyushkin I. V. Petosian I. M., Bragin Iu. N. Teoreticheskoe obosnovanie popravok na lineinost osnovopolagaiushey zavisimosti doza – risk i prognozu kartserogennogo riska vozdeistvia malikh urovney izluchenia na lineinoy besporogovoy kontseptsii. M., 1989.
5. Gubin, 1975 – GubinV. A., Bregadze I. F., Kuznetsova N. N. idr. Issledovanie mekhanizma deistviya nakletki protiazhennogo ioniziruiushego izlucheniya I vliyaniya protivoluchevikh sredstv. Rukopis, M., Minzdrav SSSR. Institut biofiziki, 1975.
6. Izrael, 1996 – Izrael Yu. A. Radioaktivnye vypadaniya posle yadernykh vzrivov i avariy. S. Peterburg, 1996.
7. Izrael, 1967 – Izrael Yu. A. Stukin E. D. Gamma-izluchenie radioaktivnykh vypadeniy. M., 1967.
8. Keirim-Markus, 2001 – Keirim-Markus I. B. Reglamentatsia oblucheniya dlya XX1 veka, Internet, 2001.
9. Kochoradze, 2005 – Kochoradze T. Kvemo kartlis radioekologiuri situatsia da mosakhleobis onkologiuri avadoba, sakandidato disertatsia, Tbilisi, 2005.
10. Koshelnikov, 1967 – Koshelnikov Yu. P. Primenenie rezultatov izmereniya intensivnosti yadernogo izlucheniya i analiza traektoriy dvizheniya vozdukha k issledovaniyu perenosa produktov deleniya v stratosfere. V kn: Radioaktivnye zagryazneniya atmosfery i mestnosti produktami yadernykh vzryvov. Filial IPG. Obninsk, 1967.
11. Krasilov, 2000 – Krasilov G. A., Petrov V. N., Severov D. A.Modelirovanie regionalnikh radioaktivnikh vipadenii ot vozdushnikh iadernikh vzrivov. Trudi Mezhdunar. konf. „Radioaktivnost pri iadernikhvzrivakh i avariakh“. M., T. 1.24-26.04.2000.

12. Kuzin, 1995 – Kuzin A. M. Idei radiatsionnogo gormezisa v atonmnom veke. M., Nauka, 1995.
13. Logachev, 1996 – Logachev V. A., Logachev L. A., Stepanov Yu. A., Dolgikh A. P. i dr. Otsenka radiotsionnoy obstanovki na territorii RF posle ispitaniy yadernogo oruzhia v otmosfere na poligonakh SSSR I opredelenie stepeni eyo vliyanya na zdorovyenaselenya otdenykh regionov. Otchyot o NIR. Fondy GNTS RF-IBF. M. 1996.
14. Mirn. yadern., 2001 –Mirnie yadernnye vzryvy: obespechenie obshshey I radiatsionnoy bezoposnosti pri ikh provedenii. Kol. avtorov pod. puk/ Logacheva, M., 2001.
15. Nadareishvili, 1991– Nadareishvili K. Sh, Gachechiladze G. A., Katamadze N. M. Tsitskishvili L.M., Kirtadze S. R., Mandzhgaladze D. N., Mosulishvili L. M., Sanaia T. G., Khazaradze R. E., Chitanava R. D., Shavdia N. N. Vozdeistvie Chernobilskoy katastrofi na radioekologicheckuyu situatsiyu v Zakavkaze. Soobshenie I. Radiatsionnoe ekho Chernobilia v Gruzii. Radiatsionnye issledovaniya, , Tbilisi, 1991.
16. Rekomend. Mezhd. Kom.,1994 – Rekomendatsii Mezhdunarodnoy Komissii po Radiologicheskoy Zashite (MKRZ) 1990, Publikatsia 60. Per. sangli. Ch. 2. M., Energoatomizdat, 1994.
17. Rozhdestvenskii, 2001 – Rozhdestvenskii L. M. PRO и CONTRA porogovosti/ besporogovosti mutagennogo (kantserogennogo) deistvia ionoziruiushego izluchenia nizkogo urovnia. „Radiatsionnaia biologia. Radioekologia“, 2001, t. 41, №5.
18. Rozhdestvenskiy, 1998 – Rozhdestvenskiy L. M., Okladnikova N. D., Smirnova T. H. i dr., Radiatsionnaiya biologia. Radioekologia.T. 38. Vip. 3, 1998.
19. Sravn. Kanwer., 1992 – Sravnitelnaya kantserogennaya effektivnost ioniziruiushego izluchenia I khimicheskikh soedineniy. Publikatsia 96 НКРЗ (SSHA). Per. sangl. Energatomizdat, M., 1992.
20. Radioakt. Vyp., 1968 –Radioaktivnye vypadanya ot yadernykh vzryvov. Per. sangl. M., Mir, 1968.
21. Radioakt. Zagryaz., 1967 – Radioakt. Zagryaznenya atmosfery I mestnosti produktamy yadernykh vzryvov. Obninsk, 1967.
22. Sovet. Atom., 1995 – Sovetskiy atomnyy proekt. Pod. ruk. Negina E. A., Sarov, 1995.
23. Tsitskishvili, 1993 – Tsitskishvili, Rezultati radioekologicheskogo monitoringa Zakavkaziya. Razvernutiy daklad po doktorskoy dissertatsii. Obnisk, 1993.
24. Turchin, 1999 –Turchin I. F. Sorok let na ispytanyakh yadernogo oruzhiya. Sarov, 1999.

25. Vefkhvadze, 1995 – Vefkhvadze N., Maionizebeli gamoskhivebis mcire dozebis zemokmedebit organizmshi gamotsveuli zogierti cvlileba, mosalodneli mavne epektebis prognozireba da satanado profilaqtikuri ghonisdziebebis shemushaveba. sadoqtoro disertacia, Tbilisi, 1995.
26. Vepkhvadze, 1997-2002 – Vepkhvadze, N. Angarishi radiatsiuli fonis shestsavlis sakhelmtsifo programis shesrulebis shesakheb, Tbilisi, 1997 - 2002.
27. Yadern. ispyt., 1997 – Iadernye ispitaniya SSSR, t. 1. Kol. avtorov pod ruk. Mikhaylova V. N. Sarov, 1997.
28. Yadern. ispyt., 1997 – Yaderny eispitaniya SSSR. t. 2. Tekhnologiya yadernykh ispitaniy SSSR.Vozdeystvie na okruzhayushshuyu sredu. Mery po obespecheniyu bezopasnosti. Yadernye poligony I ploshshadki. Kol. avtorovpod. ruk. MikhylovaV. N. Sarov, 1997.
29. Yadern. ispyt., 2000 – Iadernye ispitaniya SSSR. T. 3.Yadernoe oruzhie.Voenno-politicheskie aspekty. Kol. avtorov pod. ruk.Mikhaylova V. N. Sarov, 2000.
30. Zak. Mezhved. Kom., 1991 – Zakliuchenie Mezhvedomsvennoy komissii po izucheniyu radiatsionnoy obstanovki i predatvracheniyu padiatsionnoy zagraznennosti na territorii Gruzii, o posledstvyakh vliyaniya Chernobilskoy katastrofi na radioekologicheskuyu cituatsiyu v Zapadnoy Gruzii. Radiatsionnie issledovaniya, Tbilisi., 1996, T. 6.

Gulnara Karchava, Irakli Goginava, Khatuna Barkalaia

RESERCHES ON RADIATING ELOLOGY IN GEORGIA

Summary

The present paper disusses in brief long-term researches on radiating ecology in Georgia. Experimentally measured values of a natural radiating background are resulted. Distribution on territory of global losses from tests of the nuclear weapon and from failures on nuclear power objects are given.

შორენა ხარზიანი-ქაძანაია, ნათია სახვაძე,
ეკა ალავერდაშვილი, მარიამ ციცქიშვილი

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ეკოლოგიური მდგრადობისათვის

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტმა

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ტექნოცივილიზაციასა და ბუნებრივ გარემოს შორის ეკოლოგიური პრობლემების უკიდურესი დაძაბვით. არსად ისე მწვავედ არ იგრძნობა ეს დაძაბულობა,როგორც სანაპირო ზოლში. ეს მსოფლიო კანონზომიერებაა. გამონაკლისი არც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროა. ცივილიზებული სამყარო მაქსიმალურად ცდილობს სანაპიროების – ყველაზე მოწყვლადი ზონების – მაქსიმალურ დაცვას „ინტეგრალური მენეჯმენტის სქემების (ICZM) დანერგვით. ამ ხაზით შავ ზღვაზეც ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება (“Brief Notes on ICZM in Georgia”):

ჯერ კიდევ 1993 წლიდან ფინანსირდება BSEP-ის მიერ სათანადო ღონისძიებები რეგიონალური ICZM-გეგმებისა და პროექტების შესამუშავებლად;

1998 წელს Tacis-ის პროგრამით გაეწია დახმარება ბათუმში BSEP-ის ჩარჩოებში დაარსებულ „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების დაცვის ცენტრს“;

1998 წლის 25 ოქტომბერს, პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით (№608), შეიქმნა 26-კაციანი სახელმწიფო კომისია „სახელმწიფო სტრატეგიის შესამუშავებლად და სამუშაო პროგრამის შესადგენად“ ICZM-ის რეალიზაციისათვის. ამჟამად, ეს კომისია ფაქტობრივად დაშლილია და გაუქმებულიც.

კიდევ შეიძლება ჩამოვთვალოთ მთელი რიგი ძალისხმევა, რომლებსაც საქართველოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მიმართავენ შავი ზღვის გადასარჩენად (World Bank, GEF, Phare, Tacis და ასე შემდეგ – არასრული ნუსხაა, ცალკეული ქვეყნების – ნიდერლანდების, ნორვეგიის, გერმანიის მთავრობების ჩათვლით). ვერც ერთი ამ განხორციელებული ღონისძიებებისა ვერ დაიკვეხნის დიდი ეფექტურობით, რაც შედარებით სუსტი კოორდინაციით აიხსნება. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი და მაკოორდინირებელი ფუნქციები, ჩვენი წარმოდგენით, ამ ორგანიზაციებს შორის, ალბათ, შავი ზღვის საპარლამენტო კომისიას უნდა დაეკისროს.

თუ შავი ზღვის სანაპიროს არასახარბიელო ეკოლოგიურ წარსულს

გავიხსენებთ, მისი ანალიზი არა ერთ სამეცნიერო და საკვალიფიკაციო ნაშრომშია მოყვანილი. გარდა ამისა,პროფესორ მ. ციცქიშვილის ხელმძღვანელობით, დაცულია სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი ერთი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია. ძირითადი პრობლემები ყოველთვის იყო დაკავშირებული ლოკალურ დამაბინძურებლებთან: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან, მსხვილ მეფრინველეობის კომპლექსთან აფხაზეთის სანაპიროზე, არაკონტროლირებად სამხედრო ობიექტებთან და აბსოლუტურად მოუწესრიგებელ საყოფაცხოვრებო საკანალიზაციო ჩანადენებთან მთელი სანაპიროს გასწვრივ.

უკანასკნელი ათწლეულის რეალიებმა მკვეთრად შეცვალა აქცენტები, ძველ პრობლემებს მიემატა ახლები. საქართველომ აქცენტი სატრანზიტო ფუნქციების აღსრულებაზე გააკეთა. ძირითად შემოსავალს ამჟამად ნავთობის სატრანზიტო ნაკადები იძლევა. ქვეყანა იძულებულია, ამ გზას დაადგეს. ამ ვითარებაში საჭირო იყო განსაკუთრებული ძალისხმევა, როგორც გარემოსდამცავი ორგანოების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მეცნიერული ცენტრების მხრიდან. ძირითადი რგოლი ამ ღონისძიებებში არის (სხვა ტექნიკურ თუ ორგანიზაციულ ღონისძიებებთან ერთად) ნავთობის დაღვრაზე სწრაფი და ოპერატიული ადეკვატური რეაგირების სცენარების, გეგმების დაგეგმვა-აღსრულება. ყველა ეს პროექტი წარიმართება გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის სამინისტროების მიერ (ან მათ სტრუქტურულად დაქვემდებარებულ უწყებებში).

ძირითად რგოლს ნავთობგადაზიდვებში სადღეისოდ სუფსისტერმინალი წარმოადგენს. ჩვენი აზრით, თვით ტერმინალი, უდაოდ, დადებითი მოვლენაა თავისი მორალურ-ზნეობრივ-სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობით, ბრიტანული შრომის კულტურითა და ორგანიზებულობით. ევროპული ცივილიზაცია არა მარტო ხილვადი, ხელშესახები გახდა, არამედ უშუალოდ ჩვენი მოსახლეობის მონაწილეობით ხორციელდება.

2000 წლის სექტემბერში სუფსაში ჩატარებული სპეციალური წვრთნების „არწივი-2000“ შედეგად გაირკვა, რომ ჩაღვრილი ნავთობის ამოღების პრობლემა არ იყო იმ დროისათვის მთლიანად გადაწყვეტილი – საკუთარი გემი ტერმინალზე არ ჰყავდათ, ხოლო ფოთის ნავსადგურში არსებული სპეციალიზებული გემი ფოთის ბუხტიდან საერთოდ ვერ გამოდის ზღვაზე ღელვის გამო (მიუხედავად იმისა, რომ სწავლების დროს ღელვა უმნიშვნელო იყო, ეს გემი ფოთის ბუხტიდან ვერ გამოვიდა). პრინციპულად ვერ გაირკვა, თვით მსოფლიო სტატისტიკური მონაცემები რას გვეუბნება ზღვაში დაღვრილი ნავთობის შეგროვება-ამოღების პროცენტულ-პროცედურულ შეფასებაზე. ამ საკითხს სჭირდება კარგი ანალიზი: ითვლება, რომ უკვე ერთ საათში აორთქლებულია 30% დაღვრილი მასისა, „ყველაზე ტოქსიკური“ მქროლავი ფრაქციები. ეს

შეფასება ტოქსიკურობისა არაა სწორი, ვინაიდან დაღვრის (ან ჩაღვრის) ეკოლოგიური საშიშროება გამოწვეულია არა მარტო ნავთობის ტროფიკულ ჯაჭვებში ჩაბმით, არამედ, უმეტესად მისი აბსკის მექანიკური ზემოქმედებით. სწორედ სტაბილური, არამქროლადი და ძნელადდაშლადი მძიმე მაზუთებია ყველაზე საშიში დამაჭუჭყიანებელი: ფოტოსინთეზისა და აერაციის მოშლით ისინი უშუალო საფრთხეს უქმნიან ზღვის ბინადართ. ამასთან დაკავშირებით, შეიცვალა სუფსის ტერმინალის მუშაობის მთელი რეგლამენტი საავარიო სიტუაციაში. ავარიული ჩაღვრების სალიკვიდაციოდ ტერმინალი აღიჭურვა სპეციალური ტექნიკური მოწყობილობებით.

რეგიონის – შავი ზღვის სანაპიროს – შემდგომი ეკოლოგიური კეთილდღეობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ნავთობ და გაზსადენების მშენებლობამ და ექსპლოატაციაში შესვლამ. ყველა ჭეშმარიტმა ეკოლოგმა და ბუნებისდამცველმა დაუჭირა მხარი ამ სადენების გასაყვანად შერჩეულ მარშრუტს, რამაც მკვეთრად შეამცირა არა მარტო არსებული მუდმივი საავარიო რისკები სარკინიგზო გადაზიდვებისა, არამედ სატრანზიტო ტვირთნაკადები საქართველოს საზღვაო პორტების გავლით. ამან შესაძლებელი გახადა, ვიფიქროთ საქართველოსათვის ახალ ძირითად პრიორიტეტზე – შავი ზღვის ტურისტულ-რეკრეაციულ გამოყენებაზე! ამასთან დაკავშირებით, რეგიონის მდგრადი განვითარების მისაღწევად დასამუშავებელია მწყობრი სისტემა შავი ზღვის სანაპიროს შემდგომი ეკოლოგიური კეთილდღეობისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღევანდელ სინამდვილეში აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს მოსახლეობის საარსებო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებაზე, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის არა უბრალო დაცვაზე, არამედ, კომფორტულობის მკვეთრ ზრდაზე. ეს მიდგომები თვალნათლივ ხორცშესხმულია ბათუმის მაგალითზე – სადღეისოდ ეს არის ყველაზე დიდი და საუკეთესო სარეკრეაციო-საკურორტო კომპლექსი მთელი შავი ზღვის სანაპიროებზე.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით პრიორიტეტულია წყლის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აქ ვგულისხმობთ როგორც სასმელ წყალს, ასევე ზღვისა და წყალსატევების წყლების ხარისხს. საკურორტო ზონებში წყლის ხარისხი და ხარჯი მომსახურეობისა და კომფორტის დონის ძირითადი გამსაზღვრელი სიდიდეებია. ამ მხრივ მდგომარეობა არასახარბიელოა, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად – საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ბარბაროსული წესი სასმელი წყლის ქლორირებისა. ამ წესის ჯანმრთელობისათვის მავნეობაზე არსებობს უამრავი გამოკვლევა და პუბლიკაცია. აღსანიშნავია, რომ სპეციალური ოქმი „წყლისა და ჯანმრთელობის შესახებ ევროპის რეგიონში“, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს მომზადდა, მიღებულ იქნა 1999 წლის 24 მარტს გარემოსა და ჯანმრთელო-

ბის დაცვის მინისტრების ლონდონის შეხვედრაზე (MP.WAT-AC.1999. EHCO, 020102 P. EUR-ICP-EHCO 020205).

შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად მრავალი ღონისძიებაა ჩასატარებელი. დავასახელოთ რამდენიმე აქტუალური პრობლემა, რომლებიც სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს:

შავიზღვისპირა ქვეყნების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტებისა და არსებული ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია: ეს ეხება როგორც ატმოსფეროს ჰაერის დაცვას (განსაკუთრებით აქტუალურია ეს ავტოსაწვავის ერთიანი სტანდარტების დანერგვას), სამშენებლო ნორმებსა თუ ნადირობის რეგლამენტსა და ვადებს, მედიკამენტების დაშვებულ ჩამონათვალსა თუ საკვები დანამატების ნუსხას, მყარი ნარჩენების უტილიზაციის პროცედურებსა თუ მრავალ სხვა მარეგლამენტირებელ დოკუმენტს;

შავი ზღვის ერთიანი სარეკრეაციო სივრცის შექმნა, რის აუცილებლობას თვით არსებული რეალობა გვკარნახობს. ეს მოგვცემს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს, გაზრდის რეკრეანტთა რაოდენობას, მოიზიდავს მსხვილ ტურისტულ ფირმებს საქართველოში. ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა გვმართებს – გამოსანახია სავსებით ორიგინალური გზები. კარგი იქნება, თუ განხორციელდება ჩანაფიქრი საქართველოში ყველაზე დიდი არასამთავრობო გარემოს დაცვითი ორგანიზაციის – საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის – დაარსებისა შავი ზღვის სანაპიროზე, სპეციალურად გამოყოფილ საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მოეწყობა მუდმივმოქმედი საერთაშორისო გამოფენა-დათვალიერება „ცდამეერთე საუკუნის ეკოლოგიურად სუფთა უნარჩენო დასახლების პროექტების რეალიზაცია-დათვალიერებისათვის“; ამ ინიციატივას მიესალმება და მხარს უჭერს „ბისეკის ფორმატში არსებული“ შავი ზღვის ქვეყნების არქიტექტორთა ფორუმი. ეს იქნება ადგილი, სადაც მოწინავე არქიტექტურული აზრი შეისხამს ხორცს და ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისა და ბიზნესმენებისათვის;

ცნობილია, რომ ზღვისპირა ტერიტორიები ეკოლოგიურად ყველაზე არამდგრადი,კლიმატოლოგიურად მოწყვლადი რეგიონებია, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და დაცვის გაძლიერებულ ზომებს ევროპისათვის ამ უმნიშვნელოვანეს რეკრეაციულ რეგიონში. სადღეისოდ არ არის ბოლომდე გამართული და რეალიზებული ერთიანი სისტემა სტიქიური უბედურებებისა და ტექნოგენური კატასტროფების ადრეული შეტყობინებისა. ეს დაუყოვნებლივ არის გასაკეთებელი – უკანასკნელი წლების სტიქიის საშინელებები (ამერიკა, ინდონეზია, იაპონია) ნათელი მაგალითია ამგვარი ინფორმაციული სისტემების აუცილებლობისა;

უკანასკნელ ხანს ევროგაერთიანება აქტიურად ზრუნავს შავიზ-

ღვისპირა ქვეყნებში ინტეგრაციული პროექტების დანერგვა-დაფინანსებაზე. უკვე რამდენიმე წელია, ამგვარი ერთობლივი პროექტები წარმატებულად სრულდება. თემატურად ეს პროექტები მოიცავენ, როგორც კომერციულ და საგამანათლებლო პროექტებს, ასევე გარემოსდაცვით ერთობლივ ღონისძიებებს. ამასთან ერთად, სავსებით ნათელი ხდება აუცილებლობა საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის „შავი ზღვის რესურსების ეკოლოგიურად უსაფრთხო ათვისებისა და რეგიონის მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინტეგრაციული პროგრამის“ მომზადებისა. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით შეიქმნას სამუშაო ჯგუფები ერთიანი კომპლექსური პროგრამის დამუშავების მიზნით. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ექნება 2012 წლის აგვისტოს ბოლოსათვის ბათუმში დაგეგმილ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრას (NATO Advanced Research Workshop 984302 „Black Sea: Strategy for Addressing its Energy Resources Development and Hydrogen Energy Problems“, 29 August - 1 September 2012, Sheraton Hotel, Batumi, Georgia), რომლის ერთ-ერთი თანადირექტორია პროფესორი მარატ ციცქიშვილი.

ცნობილია, რომ გარემოს დაცვითი საქმიანობის პოპულარიზაციას, მასში ფართო მასების აქტიურ ჩამბას ძალიან უწყობს ხელს საერთაშორისო საზოგადოების მიერ სპეციალური დღეების დაფუძნება. ამგვარი ღონისძიებები ფართოდ დამკვიდრდა საერთაშორისო პრაქტიკაში და რეალურ დადებით შედეგებს იძლევა. მთავარია სწორად იქნეს შერჩეული შესაბამისი თარიღი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფრიად საოცარი გარემოება: ვისაც შავი ზღვა ნამდვილად უყვარს, ვინც იცის, რა პირქუში და მკაცრია ის საცურაო სეზონის დამთავრების შემდგომ, არავის მოუვა აზრად, „შავი ზღვის საერთაშორისო დღე“ აღნიშნოს უამინდობის დროს, დამსვენებლების გარეშე. ვერ ვიტყვით, ვის მოუვიდა აზრად ეს დღე ნოემბერში იზეიმოს, ვერ მივესალმებით ამ იდეას და აუცილებლად მიგვაჩნია ამ თარიღის ივლის-აგვისტოში გადმოტანა. იმედია, ამ საკითხზე უახლოეს დროში შევთანხმდებით და საკანონმდებლო აქტებით დაკანონებამდე, შესაბამისი შუამდგომლობით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მითუმეტეს, რომ ამგვარი პრეცენდენტი არსებობს: ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე (გაერთიანებული ერების ოფიციალურ ენებზე: ინგლისურად – International Day for Biological Diversity; ესპანურად – Dia Internacional de la Diversidad Biologica; ფრანგულად – Journee international de la diversite biologique) დაფუძნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1995 წლის 29 დეკემბერს (რეზოლუცია №A/RES/49/119); შემდგომში ეს თარიღი გადატანილ იქნა 22 მაისს (რეზოლუცია №A/RES/55/201).

Shorena Kharziani-Kadzanaia, Natia Sakhvadze,
Eka Alaverdashvili, Mariam Tsitskishvili

ON ECOLOGICAL STABILITY OF BLACK SEA COAST OF GEORGIA

Presented by Natural Sciences Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper considers questions of increase of ecological stability of region are considered, at transition from transit functions to recreational. It is marked that international and state efforts are systematically carried out on increase of ecological stability of the Black Sea coast of Georgia; the positive ecological role of pipelines, in connection with reduction of transit transport loadings by coast. Necessity of co-ordination of the international efforts is underlined. The attention is paid to the question of celebration date of "The International day of Black Sea" is brought - November is absolutely unacceptable because of weather conditions.

Nato Tabidze, David Maisuradze, Marat Tsitskishvili

ECOLOGICAL MONITORING ENVIRONMENTS OF MOUNTAIN REGIONS

Presented by Natural Sciences Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

The modern ecology is a science about the goals of solid development of mankind in the harmony within surrounded natural environment. Within the search of fundamental ways, environments and methods of solid development (on the basis of the modern goals of fundamental scientific discipline and technological problems), the ecology has to provide ecologically substantive division and to regulate on outer environment influence to use natural resources rationally. The activity of these problems is equal to Shakespeare's alternative - „be or not to be"; moreover – „live or not to live"! The concept of solid development mentions first of all the usage of natural resources, in honor of following generation, and also the defense of natural development from all the growing negative effects, atmosphere defense, surface and deep waters, soil defense from toxicants.

We won't refer to the meaning of monitoring and the history of this term as Georgian literacy that was originally created in 60s of the last century. It is certain that modern technology, polidisciplinary multiprofile scientific discipline isn't completely met with „molismology" – science about transformation to natural environment of different polluted genesis and various features. Though at present the task about defensive service and sciences is to substantiate scientifically and organize proved monitoring of natural environment against basic pollutants. So, we must consider the stages in approaches to solve the first ranks of ecological problems.

Each stage, within its essence had its perfect character's positions and strategies, reality and actions. At the very early stages of developing civilization, society understood the harmonic relationship within the nature, the necessity of the defense of natural inhabitance that is equal generally to nature. Though these problems didn't achieve to crisis at that time. On that stage urbanization didn't involve even half of the natural inhabitance zones. Later, after understanding the simple ecological regularity, future ecological crisis became clear. The appeals were sounded - „Back to Nature", „Nature knows better". Though these calls were very late- ecological idealism is without reality. In fact there are no ways back, whereas there are no stable technologies in nature- useful minerals, used currently

by us and there are those very backings of real cycles!

On the next stage of achievement of ecological truth Regularity, appears the consciousness of necessity of regulating and norm rating the anthropological influences on the natural environment. Alternative energetic becomes more urgent whereas the auto transport needs reequip to decrease the toxic of the car smoke. The defense of forests and bio-variety become as a political policy. Ecological subjects exceed the subjects about international rights .This is practically our modern stage- the limit of the development of the modern civilization! Having modern global-background, yet there appear the global symptoms of antropogenous effects on climate and nature! We understand that the position – „don't interfere and don't harm" has already been late! It is time to act urgently within the global space!

And at last, there is the third stage of ecologically proved dependence between human and nature. Early formulated concept of „sustainable development" is being realized. At the same time it needs to be remembered that real non-stability of some basic inhabitant zones (mountainous regions, river ravines, the regions with hard climatic terms) taught the local settlement two basic rules of ecologically right dependence towards natural environment:

- economical and rational usage of natural resources, including the defense tasks (from pollution and predatory exploitation);

- constant defense of nature, that is completely equal and placed together with usual agriculture.

Urgent estimation shows that we are in the transitional period from the second stage to the third one – we understand „ecological alternative" of development, though we are not accustomed to its priority yet! During the practical solving of questions about the monitoring of natural environment, while the basic limited factors appear in terms of economical – valuable estimation, it is difficult to estimate again the questions about statistic prove! First of all, on the current stage of the monitoring problem's analysis there must be discussed all three natural environments (air, soil and water). It is substantiated as united active administrative – capable base and also as right dependence to natural environment; clean atmosphere is absent, where there are polluted waters, where there are no clean lands and where the polluted air exits and etc.

Necessity of division of three (not two) kinds of monitoring;

- „impact monitoring" - monitoring of fall-out and fall-in resources, the places of collected hard backings and etc.

- „background monitoring" - monitoring held in clean places to estimate the real „background condition" etc.

- „hygienic monitoring“ - monitoring of inhabitant zones and other environmental inhabitance for hygienic estimation of objectives and etc.

Historically happened so that during formulating the relevant schemes and systems, methodologies and methods, we (implicated Soviet Science; he who determined the tactics and strategy, methodology and methodic of that period, we didn't deny the responsibility) have made a great deal of serious decrees:

- used to ignore monitoring,

- used to mix up the consciousness of background monitoring and monitoring of inhabitant zones.

Nowadays, all the developed countries carry out this control and change their appropriate information - this is one of the most important objective indexes of real integration of the country international community. As for the countries of the South Caucasus supplementary argument in holding this kind of measure is the basic ecological value of given region. In fact the task of organizing scientifically substantive ecological monitoring of natural environment of the South Caucasus the task of international importance over the World Community pays quite close attention.

Supplementary argument in understanding not only the basis of ecological importance of natural environment monitoring, but relevant economical necessity is the problem of surface pressed waters monitoring. South Caucasus- is a unique region in terms of providing the reserves of pressed water of the highest quality. It is certain that these reserves are not distributed unequally inside the region; and that's why it needs all the powers to keep and to use it rationally, that is so important today. Guarantee for future prosperity of the country and the region needs a special attention. Slowing is not possible!

The monitoring of natural environment has different specifics. For atmosphere (ground layer, where the fall-in and transformation of pollutants take place) typical is the strong diffusion isotropy in absence of constant active resource. The general picture shows some variations because of great change of atmosphere processes: weather conditions influence on the relief and etc. Need for background monitoring in the ecologically clean places:

- In the civilized countries there are used the territories of Biosphere preserves, National parks and others that are perfectly defended. This problem can't wait for the delay – the existence of station units in large settlements and near the big industrial units; there are needed non-stop measurement (automotive systems, self-writers and etc.) for holding classification and fixing the regulatory for various weather conditions and for

various regimes of fall-out from industrial enterprises.

The last conclusion of such explorations of polluted atmosphere:

- getting maps for distributing pollution
- working out on forecast pollution according to the seasons and weather conditions
- getting data for norm rating fall-out of actual and projected enterprises.

To understand, it doesn't need a big scientific analysis – it is completely necessary scientific, valuable information. It is impossible to carry out it somewhere else and with stranger's hands. Within it, it's not difficult to understand that this information must have a big value for building and for industrial enterprises. The task needs to be regulated so that the regulation over monitoring atmosphere of settlement must be economically a good deal. This problem is being solved according to in-government level!

As for polluted soil typical is quite different picture that needs other scientific and organizational approaches. First, the objectives of studying the polluted soil within the various toxicants (chemical and biological) might be two types:

- itself, the study of polluted soil has hygienic and ecological essence and self-objectives only for agricultural gains, which gives an output which quality depends on the quality of soil, at the same time on the existence of its toxicants. According to this spirit, the study of polluted soil is confiscated by hygienic essence in the city center, industrial zone and etc.
- from another side ground surface is unique collector of pollutants, coming from atmosphere or settling from atmosphere sediments, soil or surface water. That's why study of polluted earth surface has large supplementary information for a general picture to control the polluted natural environment, for instance, the atmosphere transformation and etc.

The processes inside the soil are slowed; here is no the necessity of operative and expressive activity. Besides, typical for the polluted soil are a spotty and difference. Neighbor- measure units are badly correlated and scattering of data is quite big. To select representative units of selecting soil, needs a great experience. The tasks about controlling the quality of agricultural gains are specific and are not discussed by us.

The processes of river waters' monitoring (more exactly- ecological monitoring of the river pool) is just being prepared. Besides, the bodies of existing hydro meteorological systems have wide space of necessary hydrologic information and a great experience in holding „standard hydro chemical" measurement of the river waters. Regimes observations, carried out according to the standard programs over hydro-meteorological net-

work are completely necessary for noticed formation of the river waters' monitoring system of the South Caucasus.

The modern ecological crisis connected to the river waters of Georgia are provoked by barbarian way of exploitation of river systems as transporter and collector of pollution over agridomestic and industrial origins. Practically, there is no big settling units, whereas it is not equipped with collector system within urgent mechanical and biological systems to clear the falling waters. None of the industrial enterprises have industrial laboratory to operate controlling system over the falling waters, whereas without daily measurement it is impossible to carry out systematic control over falling pollution.

In reality, operating monitoring of the quality of rivers waters is practically impossible for the cause of such a high speed of flow and „a little time to run after it". We, in the frame of explorations connected with the project ISTC G – 1294, within the systematic expedition selection of tests of the waters of R. Kura and its tributary, focus on the river garbage control and on bottom deposits to restore the pollution level. For realization the monitoring of the river waters' quality of the big river over the South Caucasus – R. Kura, there is necessity to hold advanced investigations and there must be:

- understood given hydrological material (basic hydrologic characteristics according to basic flows); revealed seasonable characteristics

- systemized and realized the investigation material of soil and underground waters;

- held classification of the river pools having revealed basic „priorities" over the separate plots of watching pool. For example, for the pool of R. Kura over Georgia quite agreeable is division in 3 main plots;

- the first plot is equal to the mountainous river within the fast flow, flowing in narrow deep canyon within its small rivers; these flows are the beginnings of the river in Turkey (more exactly within the state frontier between Georgia and Turkey for us) to Tashiskari (down Borjomi, up Khashuri). The industrial enterprises on these units practically don't exist. Pollution is carried out by settlement (mostly big are Akhaltcikhe and Borjomi); fecal fallings get into the river without any cleaning. Non-systemized pollution takes place at tourist season (warm half-year). Activities connected with refreshment here are connected to willful liquidation washing of auto transport and to regulating the fecal flows in inhabitant plot. The flows on this plot are quit cleaner than the main river and don't present the special pattern for monitoring system

- the second plot is the plot till the city-aglometer Tbilisi- Rustavi;

where Kura suffers from a great deal of negative influences. On this plot there are flows where the quality of the water is not appropriate to any standards and is mostly dirtier than the main river, that is basically connected to the settlements of Khashuri and Kaspi, whereas the authorities must consider these events immediately- there are no any river waters – there are only stinking collectors of flowing fecal collectors. It is difficult to get tests for the cause of stink and rot!

- the third plot- down to the city Rustavi, the typical is water-supply River within the slow flow along the wide ravine, whereas the main problem is the flow of Marneuli mountainous polimetal factory. The accent of natural defense activity must be directed to the perfecting the technical schemes over this polimetal mountain-found enterprise. For the monitoring system the accent must be transformed to the operative discovery of hall- fallings practicing by the factory illegally in lazy days!

Thus this is the analysis of revealed condition in the ravine of R. Kura, also the accent over the substantiation creation scientific basics. Such analysis is necessary to reveal the priority of noticed measures of scientific and organizational character and help administrative bodies, especially during the period of radical reorganizing the nature defense service over Georgia.

ნატო ტაბიძე, დავით მაისურაძე, მარატ ციცქიშვილი

მთიანი რეგიონის ბუნებრივი არეების ეკოლოგიური მონიტორინგი

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტმა

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ბუნებრივი არეების – ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლების ეკოლოგიური მონიტორინგის თავისებურებები. პოსტულირებულია აუცილებლობა სამი სახის მონიტორინგის დიფერენციაციისა. განხილულია მიზნები და ამოცანები ამგვარი მონიტორინგებისა. შემოღებულია და დეტალურად განხილულია ამიერკავკასიის უმსხვილესი მდინარის – მტკვრის საქართველოს მონაკვეთის დიფერენცირება სამ, ჰიდროლოგიურად და ეკოლოგიურად განსხვავებულ მონაკვეთად.

გეოგრაფია
GEOGRAFY

რევაზ თოლორდავა

მდინარეზე სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგების საკითხისათვის
(საქართველოს მაგალითზე)

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტმა

წყალი მიმდინარე საუკუნეში დასახელებულია გარემოს ყველაზე მწვავე შემაშფოთებელ პრობლემად. მსოფლიოს მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების ფონზე, ეკოლოგიური ცვლილებები მსოფლიოს მტკნარი წყლის რესურსების, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხობრივი საფრთხის მატარებელია. ამიტომ ამ რესურსების მდგომარეობასა და მართვაზე სულ უფრო მეტი ყურადღების გამახვილება ხდება (www.cawater-info.net/twinbasinxn/main.htm).

წყალსადინრები, რომლებიც პოლიტიკურ საზღვრებს კვეთს, დამატებითი სირთულეების მატარებელია, რომელიც გამოწვეულია სანაპირო ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვითა და ორგანიზაციული შეზღუდვებით. ბოლოდროინდელი კვლევები, განსაკუთრებით, ეკოლოგიური უსაფრთხოების დარგში, ამ საერთაშორისო წყლების გამო კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობაზე არიან კონცენტრირებულნი. ამასთან, საერთაშორისო წყლების ერთობლივი გამოყენების ფართო შესაძლებლობები ისტორიული გამოცდილებითაც არის გამყარებული (www.unece.org/env/water).

ლანდშაფტის ელემენტებიდან საზღვრის ცნებას, როგორც ამა თუ იმ ტერიტორიის გამოკვეთილად გამოსახულ ზღვარს, ყველაზე მეტად მდინარეები პასუხობს. თუმცა მათზე გატარებული საზღვრის ხაზი ბუნებრივი არასტაბილურობით გამოირჩევა, რაც მდინარის მიერ კალაპოტის ხშირი ცვლილებითაა განპირობებული (Votrin, 1992: 42). მან თვალდათვალ შეიძლება შეიცვალოს ნაპირის მოხაზულობა, ძირითადი კალაპოტისა და განტოტების მდებარეობა, შეიძლება დაიკარგოს, დაშრეს ან წავიდეს მიწის ქვეშ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო საზღვრის სამდინარო მონაკვეთის დელიმიტაციის წინ აუცილებელია ამ ფრაგმენტის ამსახვე-

ლი რუკის ფურცლების ადგილზე შემოწმება და მდინარის კალაპოტის ელემენტების თანამედროვე მდგომარეობის რუკაზე აღნიშვნა. განსაკუთრებით, არამდგრად უბნებზე მდგომარეობის შემდგომი განვითარების პროგნოზირების მიზნით, სასურველია, სპეციალური კვლევის ჩატარება და მისი შედეგების დათვალიერების აქტში, როგორც გრაფიკულად, ისე წერილობით დაფიქსირება. ფრაგმენტებზე, სადაც მდინარის კალაპოტმა რუკაზე დაფიქსირებულთან შედარებით საგრძნობი ცვლილებები (20-25%) განიცადა, აუცილებელია ახალი აგეგმვების ჩატარება.

არამდგრადი მონაკვეთების ახლოს GPS პუნქტების არსებობისას შესაძლებელია მათზე დაყრდნობითა და დოპლერის ხელსაწყოების გამოყენებით ახალი კარტოგრაფირების ჩატარება და აეროფოტოაგეგმვების შესრულება, რომლის მასალები შემდეგში ორთოტოპოგრაფიული რუკების შესადგენად და პროფილების განივი სიმაღლეების გასწორებისათვის გამოიყენება (Al-Gunaim, 1994: 72).

მდინარეებზე სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მისი აღმნიშვნელი ხაზის მთავარ ფარვატერზე, ტალვეგზე, ან შუალედურ ხაზზე გატარების პრინციპებით. სანაოსნო მდინარეებზე საზღვრის ხაზის გატარება მიზანშეწონილია მთავარ ფარვატერზე, ან ტალვეგზე, ხოლო არასანაოსნოზე, ან ღელეებზე – მათი მთავარი ტოტის შუახაზზე; რკინიგზასა და საავტომობილო ხიდებზე, კაშხლებსა და სხვა ნაგებობებზე, რომლებიც მდებარეობენ მდინარეთა საზღვრისპირა უბნებზე – ამ ნაგებობათა შუა ხაზზე, ან მათ ტექნოლოგიურ ღერძებზე, წყალზე საზღვრის ხაზის გავლასთან დამოუკიდებლად.

მდინარეებზე საზღვრის ხაზის გატარებისას აუცილებელია რამდენიმე ძირითადი ცნების განმარტება:

1. ფარვატერი (ნახ. 1) – სანაოსნო წყალსატევზე წყლის სივრცის ზოლი, რომელიც ყველაზე უსაფრთხო და მოხერხებული სანავიგაციო პირობებით ხასიათდება (Votrin, 1992: 42-43). წყალზე ის ყველაზე გამორჩეულ ადგილებში აღინიშნება ტივტივებით, სარების, ან ბაკენების დაყენებით; სანაპიროებზე – სასაგდულო ნიშნებით, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე (ხიდები, კაშხლები) – სხვადასხვა სახის ადვილად შესამჩნევი საჩვენებელი ნიშნებით.

სანაოსნო მდინარეებზე საზღვრის განსაზღვრისას წარმატებით გამოიყენება სანავიგაციო (სალოცმანო) რუკები, რომლებზეც ფარვატერი ნაჩვენებია მთლიანი ზოლის სახით. მდინარეებზე რამდენიმე ფარვატერის არსებობის შემთხვევაში, საჭირო ხდება „მთავარი ფარვატერის“ განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალური სიღრმეებისა და მოსახერხებელი ნავიგაციურობის შეთავსებას.



ნახ. 1. მდინარეზე საზღვრის შესაძლო მდებარეობა

ამიტომ საზღვრის მთავარი ფარვატერის შუაში გატარების შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ ლოციების მონაცემებს, ნავიგაციურ რუკებს და სხვა ჰიდროგრაფიულ დოკუმენტებს. პირველ ეტაპზე ხდება მთავარი ფარვატერის, როგორც ზოლის, გამოყოფა, ხოლო შემდეგ გეომეტრიული წესით – შუალედურის. ამასთან, აუცილებელი არ არის მთავარი ფარვატერის ცენტრის დამთხვევა მაქსიმალურ სიღრმეთა ხაზზე, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ისინი ერთმანეთთან ახლოს არიან. ნაოსნობისას საზღვრის ხაზის მდებარეობას ყურადღება არ ექცევა და ხომალდები მდინარის მთელ სიფართეზე თავისუფლად მოძრაობენ, რაც გამოხატავს საზღვრის ფარვატერზე გატარების იურიდიულ აზრს: სახელდობრ, ორივე სახელმწიფოსათვის მდინარის სანაოსნოდ გამოსაყენებლად თანაბარი უფლებების მინიჭებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, საზღვრის გასწვრივ მუდმივი სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის (Veviura, 1959: 201).

ტალვეგი მდინარის, ხრამის, ხეობის ყველაზე დაბალნიშნულებიანი წერტილების გეომეტრიული ადგილია. ამ ცნების ასეთმა ცალსახობამ განაპირობა მისი საზღვრის ხაზად გამოყენება. ტალვეგის მდებარეობა არ არის დამოკიდებული მდინარეში წყლის დონის ცვალებადობაზე და მასზე არც ნაოსნობის პირობების სუბიექტური დადგენა ახდენს გავლენას, რაც მის გასწვრივ გატარებული მიჯნების სტაბილურობას განაპირობებს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალრიცხოვანი შრომატევადი

გაზომვების ჩატარების აუცილებლობა აძნელებს მის განსაზღვრას.

მდინარეზე საზღვრის ხაზად ტალვეგის არჩევის შემთხვევაში, მისი წერტილების გეოგრაფიული კოორდინატებისა და ნიშნულების დადგენისას სინათლის სპექტრის ინფრაწითელ დიაპაზონზე ფოტოგრამმეტრიული ფოტოგრაფირების, აეროფოტოკარტოგრაფირების კომბინაციისა და სიმაღლური გაზომვების გამოყენება ამცირებს სამუშაოს შესრულების დროს და დანახარჯებს. მდინარეებზე და სრუტეებზე ტალვეგის განსაზღვრის ამ ხერხებს ხშირად მიმართავდა ერაყ-ქუვეითის ტერიტორიული გამიჯვნისას შექმნილი საერთაშორისო კომისია (Al-Gunaym, 1994: 73-74).

სახელმწიფო საზღვრის გატარება არასანაოსნო მდინარეებსა და ღელეებზე უნდა ხდებოდეს მისი მთავარი ტოტის შუა ადგილას ე.წ. მედიანაზე. ასეთი ხაზის ყოველი წერტილი მოპირდაპირე ნაპირებიდან ტოლ მანძილზე მდებარეობს. საერთაშორისო სამართალში ამ ხაზმა შუალედურის, ანუ ტოლ-შორისულის სახელი მიიღო. მედიანაზე საზღვრის გატარებისას ორივე მოსაზღვრე სახელმწიფო წყლის სივრცის თანაბარ ფართობს ღებულობს.

შუალედური ხაზის გავლება მაღალი სიზუსტით ადვილია გრაფიკულად, ყველაზე თანამედროვე, მსხვილმასშტაბიან, დაწვრილებით ტოპოგრაფიულ რუკებზე, რომლებზეც სანაპირო ხაზის მდებარეობა წყლის საშუალო დონეს შეესაბამება (ნახ. 2). იგი მიიღება მრავალჯერადი გაზომვების შედეგებისაგან და, ბუნებრივია, განსხვავდება მისი მაქსიმალური (წყალდიდობის), ან მინიმალური (წყალმცირობის) დონეებისაგან. შუალედური ხაზის განსაზღვრის გაადვილების მიზნით, დასაშვებია სანაპირო ხაზის გასწორება. საბოლოოდ იგი ტეხილი ხაზის მოხაზულობას მიიღებს, რომლის მოხვევის წერტილების გეოგრაფიული კოორდინატები გამოთვლის შემდეგ ფიქსირდება. მდინარის შესართავთან საზღვრის ხაზი და საწყისი წერტილი მოსახერხებელია დაფიქსირდეს შუალედური, ან სხვა ნორმალური საწყისი ხაზის გადაკვეთის წერტილზე, თუ ეს ხაზები სანაპიროზე მდინარის შესართავთან ახლოს გადიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუალედური (ან სხვა) ხაზი შეიძლება გაგრძელდეს მოსაზღვრე სახელმწიფოების საზღვაო ტერიტორიების გამმიჯნავი ხაზის მიმართულებით (ნახ. 3).

მდინარეზე რამდენიმე ტოტის არსებობისას მთავარი შეიძლება შეირჩეს ტოპოგრაფიულ რუკებზე გაზომვების გზით (ნახ. 3). უფრო ზუსტი შედეგების მისაღწევად საჭიროა ადგილზე რთული სამუშაოების ჩატარება: აუცილებელია ყველა ტოტზე დროის ერთეულში გამავალი წყლის მოცულობის განსაზღვრა ყველა პარამეტრის (კალაპოტის სიფართე, სიღრმე, კონფიგურაცია, ფსკერის ზედაპირის ხასიათი, დინების სიჩქარე და სხვა) დადგენის გზით. რუკაზე სამდინარო საზღვრების სწორი ხაზებით გამოსახვას შეიძლება ახლდეს ნებისმიერი გეოგრაფი-

ული რუკისათვის დამახასიათებელი დამახინჯებები. მაგალითად, მათზე გამოსახული სწორი ხაზი ყოველთვის არ შეესაბამება ასეთივეს ადგილზე. მცირე ზომით ასეთი სახის დამახინჯებები ტოპოგრაფიული რუკებისთვისაცაა დამახასიათებელი.

საზღვარის მდინარეზე გატარება, ძირითადად, მისი უცვლელობის პრინციპს ითვალისწინებს, რაც მის მდებარეობას დანიშვნის შემდეგ ნაკადისათვის დამახასიათებელ ცვლილებაზე დამოუკიდებელს ხდის. მხარეების შეთანხმების შემთხვევაში, მდინარე შეიძლება დაუბრუნონ თავის პირვანდელ მდგომარეობას. ეს მომენტი გათვალისწინებული იყო ერაყსა და ირანს შორის მდ. შატტ-ელ-არაბზე (არვანდრუგ) გამავალი საზღვრის შესახებ დადებული ხელშეკრულებით (Shectopalob, 1982: 226).



ნახ. 2. მდინარის კალაპოტის განივი კვეთი.

1, 2 - წყლის ზედაპირის შუალედური მაქსიმალურ და მინიმალურ დონისას 3-ტალვეგი



ნახ. 3. სახელმწიფო საზღვრის გატარება მდინარეზე.

არსებობს სხვა, უფრო ნაკლებად გამოყენებადი მიდგომა, რომელიც საზღვრის გადაადგილების პრინციპზეა აგებული და ითვალისწინებს მისი მდებარეობის ცვლილებას მდინარის კალაპოტის, ტალვეგის, მთავარი ფარვატერის, ან წყლის ზედაპირის შუალედის ბუნებრივი ცვლილებების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, წარმოიშვას საზღვრის დადგენის ასეთი (მთავარი ფარვატერი, ტალვეგი) პრინციპის სამართლებრივი ფასის საკითხი, რადგანაც ის წინასწარ ითვალისწინებს მის არასტაბილურ მდგომარეობას, მაშინ როცა სასაზღვრო შეთანხმებათა მთავარ ამოცანას საზღვრის მდებარეობის უცვლელად დაფიქსირება წარმოადგენს. თუმცა, სასაზღვრო რეჟიმის ზოგიერთი სხვა ასპექტი ამ პრინციპის დადებით მხარეებსაც გამოაჩენს ხოლმე (Votrin, 1992: 44).

ასე, მაგალითად, პრაქტიკულად არ წარმოიშობა საზღვრის განსაზღვრის პრობლემა დროის ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში, რადგანაც საზღვრის ხაზი თითქოსდა ყოველთვის მიბმულია ლანდშაფტის ობიექტურად დაკვირვებად ბუნებრივ ელემენტებთან, რაც მოსაზღვრე ქვეყნებს უადვილებს შუალედური ხაზის განსაზღვრას და, საერთოდ, მის დაცვას (Veviura, 1959: 201-202).

სადემარკაციო რუკებზე ნაჩვენები უმოძრაო საზღვრის ყოველ წერტილს გააჩნია ფიქსირებული კოორდინატები, რაც მის სხვანაირად ამოკითხვას გამორიცხავს. მაგრამ მდინარის კალაპოტის ბუნებრივმა ცვლილებამ საზღვარი (კოორდინატების მიხედვით) შეიძლება მიუახლოვოს რომელიმე ნაპირს, როცა შეთანხმების თანახმად მისი გავლა სადემარკაციო რუკაზე მდინარის შუალედზეა აღბეჭდილი. ამასთან, მასზე ყველა ინფორმაცია, მდინარის კალაპოტის მდგომარეობის ჩათვლით, კონკრეტულ თარიღზეა გადატანილი (Shestopalov, 1982: 226-227). ასეთი მონაკვეთები ხშირია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ალაზნის მონაკვეთზე. ამიტომ აუცილებელია მათ უძრაობასთან დაკავშირებული ორი ცნების ნათლად განსაზღვრა, სახელდობრ – დოკუმენტებით განსაზღვრული დემარკაცია და საზღვრის დაცული ხაზი.

საზღვრის რეჟიმზე შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იყოს საზღვრის მდინარისეული ფრაგმენტების პერიოდული შემოწმება, რაც მისი არასტაბილურობითაა განპირობებული და კალაპოტის ცვლილების დაფიქსირების საშუალებას იძლევა. ეს კი იმ უბნების განსაზღვრისთვისაა აუცილებელი, რომლებმაც შეიცვალეს სახელმწიფო კუთვნილება.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული საზღვრის ხაზის გატარების პრინციპთან შეთავსებით, მისი ახალი მდებარეობის დადგენის მიზნით, ორივე მხარის კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა ჰიდროგრაფიული დაკვირვებების, აეროფოტოაგეგმვებისა და კარტოგრაფიული სამუშაოების საფუძველზე უნდა მოახდინონ მდინარის კალაპოტის ცვლილებების შემოწმება და მისი შედარება დემარკაციის, ან

წინამდებარე შემოწმების მასალებთან.

ფართობის განსაზღვრის თანამედროვე მეთოდებით შესაძლებელია ურთიერთკომპენსირებადი ტერიტორიების 1მ^2 სიზუსტით დადგენა.

ამგვარად, სახელმწიფოები დაზღვეულნი არიან მინიმალური ტერიტორიული დანაკარგებისაგან. სიძნელეები წარმოიშობა ასეთი უბნების გაცვლისას არა მარტო ფართობის, არამედ ხარისხის გათვალისწინების შემთხვევაში, რომლის დროსაც გარდაუვალია სუბიექტური შეფასებები. ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღწევა შესაძლებელია კომპრომისების საფუძველზე (Votrin, 1992: 45).

საერთაშორისო წყალსადინრების შეფასება, წყალგამყოფების ფართობი, სახელმწიფოები, რომლებიც ერთად გამოიყენებენ მათ, საზღვრები, მათი წარმომშობი მდინარეები და ტბები, მათთან დაკავშირებული შეთანხმებები მოცემულია გაეროს ეგიდით შედგენილ (1978 წელს განახლებულ) საერთაშორისო მდინარეების რეგისტრში, რომელიც მოიცავს 214 საერთაშორისო წყალსადინარს. ისინი ფარავენ კონტინენტების ზედაპირის 47%-ს (www.cawater-info.net/.../international–river–basins.htm.). თუმცა, მასში მოცემული ინფორმაცია მოძველებულია რიგი გეოპოლიტიკური ცვლილებების გამო, რომელმაც სახელმწიფოებს შორის საზღვრებზეც პოვა ასახვა. ამ პროცესზე გავლენა ტოპოგრაფიული აგეგმვების ტექნოლოგიებში ახალი მეთოდების დანერგვამაც იქონია. საერთაშორისო საზღვრების ციფრირებული ასახვის საუკეთესო ნაკრებია მსოფლიოს ციფრულ ტაბულაში ჩართული მასალები, თუმცა, დღევანდელობის პოლიტიკური არამდგრადობიდან გამომდინარე, არც ის შეიძლება იყოს აბსოლუტურად თანამედროვე. მთელი რიგი ნაციონალური აუზები, მათ შორის საქართველოს ბევრი მდინარე, რომლებზეც გადიოდა ადმინისტრაციული საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა საერთაშორისო. აქედან გამომდინარე, საზღვრის ასეთ მონაკვეთებზე სადელიმიტაციო სამუშაოების ჩატარების წინ აუცილებელია მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მათი პარამეტრების დადგენისა და განახლებულ რეგისტრში შეყვანის მიზნით. მხოლოდ ამრიგად მომზადებული მონაცემთა ნაკრები შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად ქვეყნებს შორის საზღვრის გატარებისას. რამდენადაც საერთაშორისო აუზების შიგნით გაურკვევლობებს შეიძლება ჰქონდეს სერიოზული საწყლო-პოლიტიკური შედეგები, მათი დოკუმენტირება და ჩართვა სარეგისტრაციო უწყისის შესაბამის გრაფებში აუცილებელია.

საქართველოს სახელმწიფო მიჯნის სამდინარო მონაკვეთების ჯამური სიგრძე საზღვრის პერიმეტრის 19,6% (415,15 კმ)-ია და 23 დასახელების დიდ და პატარა მდინარეზე გადის (ცხრ. 1). აქედან მხოლოდ თურქეთთან მდებარე უბნებია დემარკირებული, ხოლო ყოფილ

საბჭოთა რესპუბლიკებთან (რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი), ტერიტორიის სამეურნეო დაყოფის საფუძველზეა გატარებული, რის გამოც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ვერ განიხილება სახელმწიფო საზღვრის რანგში და დღის წესრიგში დადგა ასეთი უბნების დელიმიტაცია-დემარკაციის საკითხი. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მდ. ალაზნის მონაკვეთი (190,25 კმ), რომელიც ამ ქვეყანასთან თანამედროვე საზღვრის (478,42 კმ) 40,2%-ს შეადგენს და, როგორც ადმინისტრაციული საზღვარი, უბრალო გამიჯვნის პრინციპით იქნა გატარებული და ამიერკავკასიის (თბილისი, 1938) რესპუბლიკების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე (1:500 000 მასშტაბის რუკაზე) შეთანხმების ხელმოწერის შედეგად სახელმწიფო საზღვრის სტატუსი მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ თავის დროზე საზღვრის ხაზად, ზოგადად, მდინარე ალაზანი იყო მითითებული, ხოლო მისი მდებარეობა სადელიმიტაციო შეთანხმებაში კოორდინატებით არ იყო დაფიქსირებული, კალაპოტის ცვლილება ხშირად იწვევდა მეზობელ ქვეყნებს შორის ტერიტორიულ უთანხმოებებს. ჩვენ მიერ ადგილზე ჩატარებული კვლევებისა და არსებული კარტოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ტერიტორიული დანაკარგები გაცილებით მეტი საქართველოს მხარესაა, რაც ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებითაა განპირობებული (Tolordava, 2011: 154-156).

№	სახელწოდება	მთავარი მდინარე	რაიონი	მოსაზღ. ქვეყანა	საზღ. სიგრძ. კმ.
1	ფსოუ		გაგრა	რუსეთი	53,77
2	მაჭახელა	ჭოროხი	ხელვაჩაური	თურქეთი	2,20
3	ჭოროხი	„———“	ხელვაჩაური	„———“	3,00
4	პატარა მდ-რე	„———“	ხელვაჩაური	„———“	0,40
5	ზეტევა	მტკვარი	ადიგენი	„———“	2,27
6	ჩაჩახისწყალი	„———“	„———“	„———“	5,96
7	ფოცხოვი	„———“	ახალციხე	„———“	8,56
8	ჯოქისწყალი	„———“	„———“	„———“	8,08
9	კარზამეთისწყალი	„———“	ასპინძა	„———“	19,24
10	მტკვარი	„———“	ახალქალაქი	„———“	8,00
11	კარაკდისდერე	„———“	დმანისი	სომხეთი	7,98
12	საკუბულზხი	„———“	„———“	„———“	10,00
13	პატ. შრობადი	„———“	„———“	„———“	2,40
14	შულავერი	„———“	მარნეული	„———“	6,36

15	დებედა	„———“	„———“	„———“	18,95
16	ალაზანი	„———“	სიღნაღი	აზერბაი-ჯანი	82,36
17	ალაზანი	„———“	დედოფლისწყარო	„———“	107,89
18	იორის განტოტება	„———“	„———“	„———“	12,52
19	იორი	„———“	„———“	„———“	16,86
20	კვირიასწყალი	„———“	ლაგოდეხი	„———“	12,24
21	მაზიმჩაი	„———“	„———“	„———“	17,49
22	ანდ-კოისუს შენ.	ანდ-კოისუ	ახმეტა	რუსეთი	2,60

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამდინარო მონაკვეთების განაწილება ცალკეულ მდინარეებზე

ამრიგად, გამოიკვეთა სახელმწიფო საზღვრის მდინარეზე გატარებისას საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი ნორმების დაცვის აუცილებლობა, დელიმიტაციის პროცესში ადგილობრივი პირობებისა და თვით მდინარის მახასიათებლების გათვალისწინება. XX ს-ის დასასრულს მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან საზღვრების რანგის ადმინისტრაციულიდან სახელმწიფოთი შეცვლასთან დაკავშირებით გამოიკვეთა საქართველოს ტრანსასაზღვრო მდინარეების პარამეტრების მომზადების აუცილებლობა და მათი შეყვანა მსოფლიოს განახლებულ საერთაშორისო რეგისტრში.

ლიტერატურა:

1. Al-Gunaym, 1994 – Al-Gunaym, A. Kuveit i Irak. Demarkatsia gosudarstvennykh granits. Pod. red. Prof. Adalby al-Gunaym, Moskva, 1994.
2. Shestopalov, 1982 – Shestopalov, V. Ya. Persidskiy zaliv: problemy kontinentalnogo shelfa. Izd. Nauka, Moskva, M., 1982.
3. Tolordava, 2000 – Tolordava, R. Sakhelmtsifo sazghvris dadgenis metodologiuri aspektebi (sakartvelos magalitze): mecniereba da teknika, №4-6, Tbilisi., 2000.
4. Tolordava, 2011 – Tolordava, R., Getiashvili, R. Mdinare Alazanze saqartvelo-azerbaijanis sakhelmtsifo sazghvris transformaciis sakitkhebi: geografiis tanamedrove problemebi, Tbilisi, 2011.
5. Vevyura, 1959 – Vevyura, B. Polsko-germanskaya granitsa i mezhdunarodnoe pravo. Izd. Inastrannaya lit., Moskva, 1959.
6. Votrin, 1992 – Votrin, D. S. Osobennosti nanesenie granits: Geodezia i kartografiya, №11-12, „Geodeizdat“, Moskva, 1992.
7. http://www.unece.org/env/Brochures/ECE–RUS.pdf.

8. www.unece.org/env/water.
9. www.cawater-info.net/twinbasinxn/main.htm.
10. www.cawater-info.net/.../international–river–basins.htm.

Revaz Tolordava

TOWORDS TNE ISSUE OF REGULATION
OF STATE BOARDER ON THE RIVER
(On the example of Georgia)

Presented by Natural Sciences Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The practice of implementation of state boundary rivers has been fixed since ancient times. Also this process is related to certain complexity. Therefore this issue has been shown for several times in resolutions of International Conferences. The paper sets out the main principles of implementation of such border districts. The paper considers world practice of conducting delimitation and demarcation works on the different types of rivers. For entering in world's renewed international registry along the whole parameter of Georgia's state boarder it is conducted spatial distribution analysis of river sections and preparatory work for determination of cross border rivers' options.

რელიგიათმცოდნეობა
RELIGIONSTUDIES

სოფიო ანდღულაძე

სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეხუთე კრება (1930 წ. 8-11 ოქტომბერი) და ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი (ვასილ კარბელაშვილი)

სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეხუთე კრება 1930 წლის ოქტომბერში გაიმართა. ვიდრე უშუალოდ აღნიშნულ კრებას შევეხებით, მოკლედ მიმოვიხილავთ ეროვნული ეკლესიისათვის მეტად რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქას, რადგან ეკლესიის ისტორიის საკითხების კვლევა მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან. V საეკლესიო კრებასთან დაკავშირებულ საკითხებს გავაშუქებთ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი სასულიერო პირის, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის (ვასილ კარბელაშვილი)[1] (1858-1936) შეხედულებათა პრიზმაში.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დამდეგს, ,,საბჭოთა კავშირად" წოდებულ უზარმაზარ ბოლშევიკურ იმპერიაში, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ფაქტობრივად, დასრულებულ იქნა ტოტალიტარიზმის ეკონომიკური ფუნდამენტის ფორმირება და ყველაფერი ერთიან სახალხო-სამეურნეო გეგმას დაექვემდებარა (Natmeladze, Daushvili, Japaridze, Tsenguashvili, 2008: 444). ,,ნეპ"-ის კრახისა და ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პირობებში, ყველა რელიგიური ორგანიზაცია, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ეკლესია, ერთადერთ ლეგალურ კონტრრევოლუციურ ძალად გამოცხადდა. 1929 წელს, იმპერიის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის ლ. მ. კაგანოვიჩის (1893-1991)

1 მგალობელ კარბელაშვილთა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელმა, თვალსაჩინო სასულიერო და საზოგადო მოღვაწემ, დეკანოზმა ვასილ კარბელაშვილმა საქართველოს ისტორიაში სტეფანე ბოდბელის სახელი დაიმკვიდრა (1925 წ. ოქტომბერში, ბოდბის კათედრის აღდგენასთან დაკავშირებით, იგი ბერად აკურთხეს, სტეფანედ სახელდებული ეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს და ბოდბელად დაადგინეს). 1928-30 წლებში იგი ალავერდის კათედრას განაგებდა. კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) 1930 წ. 14 იანვრის რეზოლუციით, გათავისუფლებულ იქნა ალავერდის მმართველობიდან და გადაყვანილ იქნა თბილისში.

განკარგულებით, რელიგიის წინააღმდეგ ახალი ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული და რეპრესიული ღონისძიებების გატარების დირექტივა დაიგზავნა (Protoierey Vladislav Tsipin, 1994: 91). ამ მოვლენას წინ უსწრებდა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ შექმნა (1928), რომლის მიზანს რელიგიის წინააღმდეგ აქტიური და თანმიმდევრული ბრძოლა შეადგენდა. დაიწყო ეკლესიათა მასობრივი დახურვისა და დევნა-შევიწროების ახალი ტალღა.

საკითხის კვლევისას,ასევე,უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებში მიმდინარე პროცესების ურთიერთმიმართების საკითხების განხილვა-ანალიზი. საგულისხმოა,რომ რუსეთის (ტრადიციული ე.წ. „ტიხონოველები“) და საქართველოს ეკლესიების დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლების ხისტი პოლიტიკის მიმართ დაახლოებით ერთი და იმავე კალაპოტით მიემართებოდა. რუსეთის ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანაშემწის, მიტროპოლიტ სერგის (სტაროგოროდსკი) (1867-1944) ფრთხილი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი კარგად გამოჩნდა მის მიერ უცხოელი ჟურნალისტებისადმი მიცემული ინტერვიუდან, სადაც ის ყოველგვარი დრამატიზირების გარეშე აცხადებდა,რომ ეპარქიათა გაუქმებისა და ეკლესიათა დახურვის მიმდინარე ფართომასშტაბიანი ოპერაცია ქვეყანაში ათეიზმის გავრცელებით აიხსნებოდა. იგი არ უარყოფდა მორწმუნეთა მიმართ სინდისის თავისუფლების შესახებ კანონის უხეშად დარღვევის ფაქტებს, მაგრამ მას დევნის კვალიფიკაციას არ ანიჭებდა (Protoierey Vladislav Tsipin,1994: 95). ცხადია,რომ მიტროპოლიტი სერგის ასეთი განცხადება რუსეთის ეკლესიის დაცვისა და გადარჩენის საქმეს ემსახურებოდა. უცხოელ ჟურნალიტებთან შეხვედრიდან მეორე დღესვე, მან საბჭოთა ხელისუფლებას ეპისტოლეთი მიმართა, სადაც ის ეკლესია-მონასტრების დახურვას, მღვდელმსახურთა დაპატიმრებისა და გადასახლების ფაქტებს აპროტესტებდა (Protoierey Vladislav Tsipin, 1994: 97). სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) (1873-1932), ასევე, ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკის მეშვეობით, იბრძოდა ეკლესიის გადასარჩენად და საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რაც სრულიად არ უშლიდა ხელს დროდადრო პროტესტი გამოეხატა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მართლმადიდებლური ეკლესიების განსაკუთრებული სისასტიკით დევნასთან დაკავშირებით (Vardosanidze, 2001; 109-110).

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის IV კრება (Andghuladze, 2009: 343-353), სადაც განვიხილეთ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში განვითარებული მოვლენები როგორც საქართველოს ეკლესიის შიგნით, ისე რუსეთის ეკლესიასთან მიმართებაში. აღნიშნულ კრებაზე

საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება შეიმუშავეს, რაც მეტ-ნაკლებად მისაღები უნდა გამხდარიყო საერო ხელისუფლებისათვის. ამასთან, არ უნდა დარღვეულიყო საეკლესიო კანონებით გათვალისწინებული მოთხოვნები. მაგრამ დროთა ვითარებამ ცხადჰყო, რომ ბოლშევიკურ ხელისუფლებას, რომელიც ათეიზმის პრინციპებით საზრდოობდა და ხალხს კომუნისტურ იდეოლოგიას უნერგავდა, განზრახული ჰქონდა ეკლესიის საბოლოო დისკრეტიდაცია და მაღალი ავტორიტეტის დამცრობა. ქართველ სამღვდელოებაში გაჩენილი აზრთა ჭიდილი, რომელიც უმთავრესად საერო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით გაჩნდა, თანდათანობით ჩაცხრა. 1929 წლის 22 მაისის საკათალიკოსო სინოდის სხდომის ოქმიდან ნათლად ჩანს, რომ სამღვდელოება ეკლესიაში არსებული პრობლემების რეალურ მიზეზს უკვე არა ეკლესიის შიგნით, არამედ ეკლესიის საქმიანობის გარეშე მიზეზებში ხედავდა (K. Tsintsadzis fondi, 102: 340). ეპარქიათა გაუქმება, ეკლესიების დახურვა და სამღვდელოების დევნა ყოველივეს ნათელი დადასტურება იყო.

სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის V კრება ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების გადასინჯვისა და სამღვდელოების იურიდიული ყოფის საკითხებს მიეძღვნა (Mitropoliti Anania Japaridze, 2003: 172). აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და, წყაროთა დეფიციტის გამო, არც ჩვენ გვაქვს ამ მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული კრების ზედმიწევნით, ობიექტური შესწავლა-კვლევის პრეტენზია. როგორც შესავალშივე აღვნიშნეთ, კრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის შეხედულებათა პრიზმაში გავაშუქებთ. ჩვენი სურვილია, გაგაცნოთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი მასალა მისივე პირადი არქივიდან, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელის V საეკლესიო კრებაში მონაწილეობა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბოლო წლებს უკავშირდება. ამ დროისათვის იგი საკმაოდ ხანდაზმული იყო, მაგრამ ჩვეული აქტივობით ჩაერთო კრების მოსამზადებელ სამუშაოებში. ჩვენ ხელთ გვაქვს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც პუნქტობრივად ჩამოყალიბებულ პროექტს წარმოადგენს (V. Karbelashvilis fondi, 59: 1-2). იგი 1930 წლის 30 ივლისით თარიღდება და საკათალიკოსო სინოდის კანცელარიის ამავე წლის 24 ივლისის №176 მიწერილობის პასუხია. აღნიშნული პროექტიდან ჩანს, რომ ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი პირველი რიგის ამოცანად სპეციალური კომისიის არჩევას მიიჩნევდა, რომელსაც კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე უხელმძღვანელებდა. წევრებად ეპისკოპოსებსა და დეკანოზებს, ხოლო საეროთაგან პროფესორებსა და მორწმუნე მრევლს მოიაზრებდა შემდეგი შემადგენლობით: სამი ეპისკოპოსი,

ხუთი დეკანოზი, შვიდი პროფესორი და მრევლიდან რვა წევრი, სულ ოცდაოთხი კაცი. კომისიას უნდა განეხილა ყოფილი საკათალიკოსო საბჭოსა და სინოდის არქივში არსებული მასალები, ასევე ეკლესიისადმი მიძღვნილი საგაზეთო პუბლიკაციები. შედეგად, არსებული პირობების გათვალიწინებით, ადვილი გახდებოდა ამა თუ იმ დადგენილებათა და საქმის წარმოებათა შესრულების შემოწმება. გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში კი ისტორიული მსჯავრი დაედოთ მათთვის, რომლებმაც დაუდევრობა გამოიჩინეს მამულისა და ეკლესიის წინაშე.

კომისიას უნდა მიეღო ისეთი დებულება, რომელიც საერთო და სავალდებულო იქნებოდა ყველასათვის. მას უნდა მოეცვა ქრისტიანული მოძღვრების მთლიანი და უნაკლო კანონმდებლობა მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ეკლესიის ტრადიციებისა და ეკლესიური გადმოცემების მტკიცედ დაცვას. იგი მიიჩნევდა, რომ სწორედ ტრადიციების დარღვევითა და სჯულის კანონების უკუგდებით აიხსნებოდა მშობლიურ ეკლესიაზე მოწეული განსაცდელი. მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, უცხო არ იყო ამა თუ იმ პოლიტიკური და საეკლესიო მოვლენების საღვთისმეტყველო ახსნა. იგი არაპირდაპირი, შეფარვითი გზით აყალიბებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას არსებული ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ და აღნიშნავდა: ,,ცხოვრების პირობათა მოწყობის და უკეთესად მოგვარებისათვის საერთაშორისო, მართლაც რომ გარეშე ქრისტეს სწავლისა არა მგონია სადმე იპოვნოს კაცმა! თუ ამისთანა დებულება შეიქმნება, იმედია, ამ პატარა ერის ეკლესიური დებულება დაედოს სარჩულად მსოფლიო გაქრისტიანების ან საერთო კაცობრიული სჯულის გამოძებნას და აშენებას“ (V. Karbelashvilis fondi, 59: 1-2).

კომიასიას უნდა გადაესინჯა IV საეკლესიო კრების დებულების ყველა მუხლი და დადგენილება და უარეყო როგორც სათაკილო და შეუსაბამო. ასეთი დასკვნის საფუძვლად იგი განვლილი სამწელიწადნახევრის გამოცდილებას ასახელებდა. საგულისხმოა, რომ IV საეკლესიო კრებაზე მიღებული საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება და ზოგიერთი დადგენილება უმეტესად ქაღალდზე დარჩა და ცხოვრებაში არ გატარებულა. მაგრამ ის, ამის მიუხედავად, უკიდურესად მტკივნეულად აღიქმებოდა როგორც სამღვდელოების, ისე მორწმუნე ერის მხრიდან. გარკვეული დროის შემდეგ ცხადი გახდა, რომ იგი მხოლოდ ეპოქალურ დანამატს წარმოადგენდა და ეკლესია თანდათანობით ჩვეულ კალაპოტს უნდა დაბრუნებოდა.

პროექტში, ასევე, ხაზგასმულია, რომ ჯეროვანი ყურადღება მიქცეოდა სამღვდელოების იმ ნაწილის თვითნებურ ქმედებებს, რომლებმაც სამსახური მიატოვეს და ეკლესიიდან გავიდნენ გადასახადების ზედმეტი დაბეგვრისა და სხვა გარემოებათა გამო (V. Karbelashvilis fondi, 59: 1-2).

ჩვენ ხელთ გვაქვს, ასევე, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მიერ შედგენილი V საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხების შედარებით ადრეული ვარიანტი, სათაურით – ,,კითხვები და საქმენი მე-V საეკლესიო სრულიად საქართველოს ეკლესიისა, 1930 წ. 8 ივლისი – მოსასმენად“ (V. Karbelashvilis fondi, 59:31), რომელიც ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, მოიცავს სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც. ესენია:

I–II–III–IV საეკლესიო კრებებზე მიღებულ დებულებათა გადასინჯვა ერთი მთლიანი დებულების შექმნის მიზნით, რომელიც არ უნდა შეცვლილიყო სუბიექტური მოსაზრებებით;

რუსეთის ეკლესიის დებულებათა გადასინჯვა და ჯეროვანი მსჯელობის შემდეგ საერთო დადგენილების გამოტანა, ყოველგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად;

კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (ციცქიშვილი) მოქმედება ამ ხარისხის მოსაპოვებლად და მოღვაწეობა, რაც მან სამ წელიწადნახევარში ეკლესიის კეთილდღეობას შეჰმატა;

V საეკლესიო კრებას ხელისუფლებისაგან უნდა გამოეთხოვა ბოდბის სამონასტრო ტაძრის გახსნა, სადაც დაკრძალულია მოციქულთა სწორი წმინდა ნინო და რომლის თაყვანისცემა ეკრძალებოდათ მორწმუნეებს; ასევე, დარიის სამონასტრო ტაძრის გახსნა თავისი ეზოშენობებით, სამსახურჩამოშორებულ ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა საცხოვრებლად;

კრებას, მთავრობასა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის, უნდა აერჩია რწმუნებულის აპარატი სამი ეპისკოპოსის შემადგენლობით, ასევე უზენაესი სასამართლოსა და საკონტროლო სარევიზიო კომისიის წევრები;

თბილისის ყოფილი საეპარქიო სანთლის ქარხნის შემოსავლისა და არსებულ მოქმედ ეკლესიებსა და საწყობებში ანგარიშების წარმოების მოწესრიგება და სოფლად მოლარის ინსტიტუტის შემოღება (V. Karbelashvilis fondi, 59: 1-2).

როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი დოკუმენტი ღონიძიებათა შედარებით ვრცელ ნუსხას მოიცავს და იმავდროულად მომთხოვნიცაა და კრიტიკულიც. საგულისხმოა ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე რუსეთის ეკლესიის მიმართ, რაც სავსებთ ლოგიკურია რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე რთული პროცესების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების ინსპირირებით, რუსეთის ეკლესიაში სქიზმა ჩამოყალიბდა და ის ტრადიციულ, ე.წ. ,,ტიხონოველების“ და ,,განახლების მოძრაობის“ სხვადასხვა ეკლესიად დაიყო. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან კი, მას შემდეგ, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მთავარ, რუსეთის ეკლესიაში მოდერნიზაციის პროცესი დასრულდა, ,,განახლების მოძრაო-

ბამაც“ თავისი ფუნქცია ამოწურა. მისი მეშვეობით ხელისუფლებამ ეკლესიაში კონტრრევოლუციური ფრთა გაანადგურა და შექმნა მისთვის მისაღები „ცოცხალი ეკლესია“. 1935 წელს გაუქმდა „განმაახლებელთა“ წმინდა სინოდიც (Pavliashvili, 2008: 462). ზემოაღნიშნული პროცესების გამოძახილს წარმოადგენს ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მოსაზრება: „...ის „ცოცხალი ეკლესია“, რომელსაც გამოუწვევია აღტყინებული სხდომა, არის ეხლა უკვე დანგრეული და თითქმის აღარ არსებობს! ეხლა იკიდებს ფეხს ტიხონის ეკლესია, „დრევნე ხრისტიანსკაია ცერკოვ“, რომელსაც უნდა გაუწიოთ დიდი ანგარიში, ვინაითგან შეუძლიან კვლავ დაგვადოს თავისი ტლანქი ხელი. აი, სად არის საფრთხე ...“ (V. Karbelashvilis fondi, 272: 67).

კრების მიერ ბოდბისა და დარიის მონასტრების დაბრუნების გამოთხოვა კი მეტად გულუბრყვილოდ გამოიყურება იმ მოვლენათა ფონზე, რაც საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რეალურად ხორციელდებოდა ეკლესია-მონაასტრების დახურვისა და სამღვდელოების დევნის სახით. მიუხედავად ამისა, იგი აცნობიერებდა არსებულ რეალობას, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონები და ინსტრუქციები რელიგიისა და სინდისის თავისუფლების შესახებ მხოლოდ ფიქცია იყო და ხედავდა ზღვარსაც, რომელიც ეროვნული ეკლესიის სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის გადიოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნები უკვე აღარ ფიქსირდება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ დოკუმენტში, რომელიც საკათალიკოსო სინოდისადმი ოფიციალურად გაგზავნილ პროექტს წარმოადგენს V საეკლესიო კრებაში მონაწილეობის მისაღებად (V. Karbelashvilis fondi, 59: 1-2).

V საეკლესიო კრებას უკავშირდება, აგრეთვე, ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის მიერ შედგენილი საორგანიზაციო ცვლილებების ამსახველი დოკუმენტი (V. Karbelashvilis fondi, 59: 30), სადაც ვკითხულობთ:

„კათოლიკოს-პატრიარქი უნდა გადასახლდეს და იმოღვაწოს აფხაზეთში, სადაც ძლიერდება და ვრცელდება მუსულმანობა – გავლენა ოსმალეთისა და გაამაგროს იქ ურყევი ნიადაგი საქართველოს მთლიანობისა; აღმოსავლეთ საქართველოში უნდა დარჩეს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე და მასთან კოლეგიალური მართვა-გამგეობა შემდგარი ოთხი ეპისკოპოსისაგან (მუდმივი ორი წევრისა და ორი მორიგეობით გაწვეული პირი);

დამყარდეს ზოგადი ცხოვრების თავშესაფარი რომელიმე უდაბნოში თავისი მიდამოებით, სათიბ-საბნავით და ხელსაყრელი ნიადაგით რაიმე კულტურის საწარმოებლად;

უნდა განმტკიცდეს დისციპლინა ჯერ თვით სინოდში და შემდეგ ეკლესიურ ცხოვრებაში და ღვთისმსახურთა შორის“ (V. Karbelashvilis fondi, 59: 30). ზემოაღნიშნული დოკუმენტი ჩვენ მიერ უკვე შესწავ-

ლილია საკუთრივ აფხაზეთის საკითხთან მიმართებით (Andghuladze, 2011:18-25), საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეპისკოპოსი სტეფანე ბოდბელი აფხაზეთის პრობლემას უმნიშვნელოვანესად მიიჩნევდა. თანამედროვე ეტაპზე აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური და საეკლესიო ვითარება იმის დასტურია, რომ საქართველოს ეკლესიის მესვეურნი მართებულად უღებდნენ ალღოს მოსალოდნელ საფრთხეებს როგორც პოლიტიკურ, ისე ეკლესიურ ცხოვრებაში და სათანადო შეფასებას აძლევდნენ მას.

ამრიგად, სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეხუთე კრება, ეპოქალური სიძნელეების მიუხედავად, საბოლოო შედეგზე ორიენტირებულ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ეროვნული ეკლესიის ისტორიაში. ბოლშევიკურ იმპერიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებში მიმდინარე პროცესების ანალიზი და ეპისკოპოს სტეფანე ბოდბელის შეხედულებათა მიმოხილვა ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკლესიის იერარქიამ, კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს მეთაურობით, მართებული სვლები გააკეთა ეკლესიის გადასარჩენად და მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ლიტერატურა:

1. Andghuladze, 2009 – Andghuladze S., Sruliad saqartvelos samocikulo martlmadidebeli eklesiis meotkhe kreba (1927 tslis 21-27 ivnisi) da episkoposi stepane bodbeli (vasil karbelashvili). akhali da uakhlesi istoriis sakitkhebi, 2009, iv. javakhishvilis istoriisa da etnologiis instituti, Tbilisi, 2009.
2. Andghuladze, 2011 – Andghuladze S., Afkhazetisa da samkhret osetis sakitkhi XX saukunis 20-ian tslebshi da episkoposi stepane bodbeli (vasil karbelashvili). ckhum-apkhazetis metsnierebata akademia, shromebi [I], 2011.
3. K. Tsintsadzis fondi, 102 – khelnatserta erovnuli centri, K. Tsintsadzis fondi, sabuti №102.
4. Mitropoliti Anania Japaridze, 2003 – Mitropoliti Anania Japaridze, Saqartvelos saeklesio krebebi, tsigni III, Tbilisi, 2003.
5. Natmeladze da skhv., 2008 – Natmeladze M., Daushvili A., Japaridze M., Tsenguashvili K., Saqartveloshi totalitaruli rezhimis damkvidrebisa da ganmtkicebis taviseburebani XX saukunis 20-ian tslebshi, Tbilisi, 2008.
6. Pavliashvili, 2008 – Pavliashvili K., Saqartvelos samocikulo martlmadidebluri eklesiis istoria (1800-1945), nats. I, Tbilisi, 2008.
7. Protoierey Vladislav Tsipin, 1994 – Protoierey Vladislav Tsipin, Is-

toria russkoy pravoslavnoy tserkvi, Moskovskaya patriarkhia, 1994.
8. Vardosanidze, 2001 – Vardosanidze S., Saqartvelos martlmadidebeli samociqulo eklesia 1917-1952 tslebshi, Tbilisi, 2001.
9. V. Karbelashvilis fondi, 59 – khelnacerta erovnuli centri, Vasil Karbelashvilis fondi, sabuti №59.
10. V. Karbelashvilis fondi, 272 – Khelnacerta erovnuli centri, Vasil Karbelashvilis fondi, sabuti №272.

Sopia Andguladze

THE FIFTH MEETING OF THE ORTHODOX APOSTOLIC CHURCH THROUGHOUT GEORGIA (OCTOBER 8-11, 1930), AND BISHOP STEPHEN BODBELI (VASIL KARBELASHVILI)

Summary

The Fifth Meeting of Orthodox Apostolic Church throughout Georgia was held in October 1930 in the difficult and opposing period for church. In the empire of the Bolsheviks, called as the „Soviet Union“, in the condition of socio-political changes and the ruling of atheism the church was proclaimed as the only legal counter-revolutionary force. This process caused the destruction of churches and monasteries and servants of God. The only way to save the church was loyalty to the government that required a huge labor of God's servants were persecuted. They were forced to admit the blood and violence-based Soviet Power being incompatible with Christian principles, and at the same time keeping the true face of the church within the church laws.

The Fifth Meeting of the Orthodox Apostolic Church throughout Georgia was devoted to ruling of church and legal issues of clergy. Withon the bounds of XIX-XX centuries exploratory analysis of documents in the personal archive of Stepan Bodbeli (VasilKarbelashvili), which first appeared in a scientific research, indicates that the Georgian clergy had adequately taken the wise way to regulate the processes mentioned above. This led to the preservation of the image and unity of Georgian church.

მედეა ბენდელიანი

რუსეთის სინოდის საგანმანათლებლო პოლიტიკა და სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთმა, ფაქტობრივად, დაასრულა კავკასიის პოლიტიკური ათვისება და აქტიურად შეუდგა რეგიონის ასიმილაციას. მთავრობის წინაშე ფართო მნიშვნელობის რელიგიური ორგანიზაცის შექმნის საკითხი დაისვა. ასეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მეფისნაცვალ ა. ბარიატინსკის ინიციატივით სახელწოდებით: ,,კავკასიაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება".

თავად ა. ბარიატინსკისთან ერთად საქართველოს ეგზარქოსმა ევსევიმ (ილინსკი) შეადგინა ,,საზოგადოების" გეგმა, რომლის მიხედვითაც, მას უნდა გაეწია სამისიონერო, საგანმანათლებლო და საორგანიზაციო მუშაობა მთელი კავკასიის მასშტაბით. ა. ბარიატინსკისა და ევსევის პროექტმა გაიარა იმპერიის ყველა ინსტანცია: კავკასიის კომიტეტი, უწმინდესი სინოდი და სენატი. საბოლოოდ პროექტი დაამტკიცა იმპერატორმა 1860 წლის 9 ივნისს. პროექტის დამტკიცებაში აქტიური როლი შეასრულა მოსკოვის მიტროპოლიტმა ფილარეტმა.

,,საზოგადოების" ადგილსამყოფლად განისაზღვრა ქალაქი თბილისი, ხელმძღვანელად დადგინდა მეფისნაცვალი, მის მოადგილედ კი – ეგზარქოსი. საზოგადოებას შემწეობას უწევდა იმპერატორის მეუღლე მარია ალექსანდრეს ასული. მისგან შემოწირული 119738 მანეთი საფუძვლად დაედო ,,საზოგადოების" ფონდს, რომელიც ყოველწლიურად ივსებოდა შემოწირულობებით მთელი იმპერიის მასშტაბით არსებული ეკლესია-მონასტრებიდან.

საიმპერატორო კარმა ,,საზოგადოებას", სხვა მიმართულებებთან ერთად, მიზნად დაუსახა სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებით მუშაობა, რომელსაც თვითმპყრობელობის ერთგული თაობა უნდა აღეზარდა. საამისოდ კი უნდა გახსნილიყო სამრევლო სკოლები, დაწესებულიყო სტიპენდიები და სხვა (Pavliashvili, 2008: 111).

სასწავლო დაწესებულებების გახსნა გათვალისწინებული იყო ისეთ ადგილებში, რომელებსაც იმპერიისათვის პოლიტიკურ-სტრატეგიული დატვირთვა გააჩნდა. აღნიშნული მიმართულებით კი შესაბამისი კადრების მომზადება იყო საჭირო, რომლებიც შემდგომში იმპერიის იდეოლოგიისათვის შესაფერის საქმიანობას გასწევდნენ, კერძოდ, ადგილობრივ მოსახლეობას რელიგიურ-მონარქისტული სულისკვეთებით და თვითმპყრობელობისადმი ერთგულებით აღზრდიდნენ.

ამ მიზანს ემსახურებოდა სამთავროს დედათა მონასტერთან ,,სამ-

ღვდელო ობლების სასწავლებლის“ დაფუძნება, რომლის მიზანს წარმოადგენდა საგანგებოდ მომზადებული და განათლებული კადრებით ჩაენაცვლებინა მონასტრის ძველი თაობა (Chanishvili, 2008: 88).

უნდა აღინიშნოს, რომ XIX-ის 40-იან წლებში სამთავროში იღუმენია დარია ფაღავას მოღვაწეობის პერიოდში ირიცხებოდა ათი გოგონა, რომლებსაც საღმრთო წერილსა და ხელსაქმეს ასწავლიდნენ, მაგრამ ეს არ იყო ოფიციალური სასწავლებელი. იმჟამად ხელისუფლება ცდილობდა, მონასტერში არსებული ტრადიციის გათვალისწინებით, მისთვის განსაკუთრებით ერთგული კადრები მოემზადებინა. აქედან ნათლად ჩანს, რომ მონასტრებში ხელისუფლება „ძველ“ თაობას არ ენდობოდა, ხოლო მომავალში თავის (სახელმწიფო) კმაყოფაზე გამოზრდილი ობლები (მადლიერებიდან გამომდინარე) უფრო ერთგულები იქნებოდნენ მისი (SSCSA, f. 489. №24668: 1-3). თუ როგორ აღასრულებდა ასეთ მიდგომას ხელისუფლება, ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან გავაანალიზებთ.

„სამღვდელო ობლების სასწავლებელი“ ოფიციალურად 1866 წლის 29 მარტს გაიხსნა. სკოლის შესანახად საეკლესიო ხაზინას ყოველწლიურად 1000 რუბლი უნდა გამოეყო. სკოლის მმართველად და მზრუნველად დაუნიშნავთ სასწავლებლის დამაარსებელი, იღუმენია ნინო ამილახვარი. სასწავლებლის მმართველობაში სამი წევრი შედიოდა: იღუმენია, ზედამხედველი ქალი და სასულიერო პირი მცხეთის ტაძრიდან, რომელსაც გოგონებისთვის საღვთო სჯული უნდა ესწავლებინა. წერა-კითხვისა და ხელსაქმის შესასწავლად და დაწყებითი განათლების მისაღებად კიდევ ორი აღმზრდელი ქალი ყოფილა დანიშნული (მონაზვნები). სასწავლებლის მომსახურე პერსონალიდან უნდა განეწესებინათ მონასტრის მორჩილები სურვლის მიხედვით, ან გარეშე პირები – შესაბამისი ჯამაგირით სასწავლებლის ხარჯიდან. სახაზინო ხარჯით სკოლაში 10 გოგონას უნდა ესწავლა. სწავლაში უპირატესობა ენიჭებოდათ დედ-მამით ობოლ, უპატრონოდ დარჩენილ გოგონებს. სასწავლებელში მიიღებოდნენ 9-12 წლის ასაკის გოგონები. სწავლა მოიცავდა სამ საფეხურს – დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს. სწავლების ვადა ექვსი წელი იყო (SSCSA, f. 448, №24668: 1-3).

9-12 წლის გოგონები 6-წლიანი სწავლების შემდეგ სრულწლოვანი ხდებოდნენ და, იმჟამინდელი კანონმდებლობით, მათ სამონაზვნედ, საშტატო, ანუ ვაკანსიის დასაკავებლად სხვადასხვა მონასტრისთვის ამზადებდნენ.

სასწავლო პროგრამაში შედიოდა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, ან კატეხიზმო რუსულ და ქართულ ენებზე; წმინდა წერილი და, ეკლესიის ისტორია; ქართული საეკლესიო და საერო ენა; რუსული და ნაწილობრივ, სლავური საეკლესიო ენა; არითმეტიკა, გეოგრაფიის მოკლე კურსი, რუსეთისა და საქართველოს გეოგრაფია; საქართველოს ვრცელი

ისტორია; საეკლესიო გალობა რუსულ და ქართულ ენებზე; სუფთა წერა და საკუთარი აზრის გადმოცემის დახვეწა ამ ენებზე; სხვადასხვა ხელსაქმე, განსაკუთრებით, საეკლესიო ტანსაცმლის კერვა; სამეურნეო საქმიანობის შესწავლა (SSCSA, f. 448, №24668: 1-3).

სასწავლო პროგრამის ასეთი სახით შედგენა იმ დროისთვის უჩვეულო მოვლენაა. ჩვენი ვარაუდით, ამ შემთხვევაში ქართული საეკლესიო ისტორიის, გეოგრაფიის, ქართული საეკლესიო და საერო ენის სასწავლო კურსში ჩართვა იღუმენია ნინო ამილახვრის უშუალო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. სხვადასხვა დოკუმენტის შეჯერების შედეგად დგინდება, რომ იგი ძალზედ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საეგზარქოსოს ხელისუფლებაში, ასევე ფართო საზოგადოებაში. მონასტერში ქართული სულიერების შენარჩუნებისათვის ბრძოლა მისი პიროვნული ბუნების გამოვლინება უნდა იყოს.

სასწავლებელი საეკლესიო მმართველობას წელიწადში ორჯერ უნდა შეემოწმებინა. პედაგოგებად და აღმზრდელებად, შესაძლოა, ყოფილიყვნენ მცხეთის ტაძრისა და სამთავროს დედათა მონასტრის მღვდელმსახურები, მონაზვნები და მორჩილები იღუმენიისა და ზედამხედველის წარდგინებით, ასევე თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებულები.

სწავლება უნდა ყოფილიყო კვირა დღისა და დღესასწაულების გარდა: ორი გაკვეთილი დილით და ერთი – სადილის შემდეგ. აღსაზრდელებს ყოველდღე რიგრიგობით უნდა წაეკითხათ დილისა და მწუხრის ლოცვები, ხოლო კვირა დღესა და დღესასწაულებზე უნდა დასწრებოდნენ ლიტურგიას. მოსწავლეებს დასვენების დღეებში იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შეეძლოთ ერთი დღით წასვლა მშობლებთან, ან ნათესავებთან. არდადეგები ინიშნებოდა 23 დეკემბრიდან 8 იანვრამდე, ყველიერის კვირის ბოლო სამ დღეს, დიდი მარხვის პირველ კვირას და ივლის-აგვისტოში (SSCSA, f. 449, №24668: 4-10).

მართალია, სასწავლებელი ოფიციალურად გაიხსნა, მაგრამ რომელ შენობაში განთავსდა იგი, არ ჩანს. ერთ-ერთი დოკუმენტით, სასწავლებლის განთავსება გადაუწყვეტიათ თამარ ბატონიშვილის მიერ შემოწირულ სახლში, რომელიც სარემონტო ყოფილა (SSCSA, f. 488, №22508: 3). 1866 წელსვე იღუმენია ნინო აყალიბებს სასწავლებლის მშენებლობის კომიტეტს და მეთვალყურეობას უწევს თამარ ბატონიშვილის მიერ შემოწირული სახლის შეკეთების პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ სასწავლო წელს (1866-1867 წწ.) აქ სასწავლო პროცესი სათანადო დონეზე ვერ იქნებოდა (სპეციალური შენობის უქონლობის გამო), მოსწავლე-აღსაზრდელებმა ცოდნის კარგი დონე აჩვენეს გამოცდებზე, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორს ჩაუტარებია.

საარქივო მონაცემები ნათელყოფს, რომ გამოცდები ჩატარებულა შემდეგ საგნებში: საღვთო სჯული, ქართული და რუსული ენები, არითმეტიკა და სიმღერა. ამ დროისთვის სახელმწიფო კმაყოფაზე (სრულ პანსეონზე) ყოფილა 10 გოგონა, ხოლო 7 ყოველდღიურად სახლიდან დადიოდა სასწავლებელში (SSCSA, f. 488, №26540: 1-2). ამავე დოკუმენტს ახლავს სია სასწავლებლის პირველი აღსაზრდელებისა, რომლებიც მოგვიანო წლებში ამავე (სამთავროს) მონასტრის მონაზონთა სიებში არიან დაფიქსირებული. ირკვევა, რომ ისინი აქტიურ სამონაზვნო სამსახურს ეწეოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის ამსახველი დოკუმენტური მასალა მწირია, აქა-იქ მაინც ჩანს, რომ საეგზარქოსო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც თავად მონასტერს, ისე ხსენებულ სასწავლებელს და მის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, იღუმენია ნინო ამილახვარს. 1868 წელს ეგზარქოსმა ევსევიმ არქიმანდრიტული კურთხევა გამოუცხადა მონასტრის წინამძღვარს ნინოს გოგონათა სასწავლებლის დაარსებაში, აგრეთვე, მის საორგანიზაციო ნაწილში გაწეული ღვაწლისთვის.

ამრიგად, თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკა ერთგვარად აისახა სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის საქმიანობაზეც. ისეთ პროგრამებში, რომელებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მხოლოდ მაღალი პატრიოტული შეგნების მქონე საეკლესიო მოღვაწეების ღვაწლით, მებრძოლი ეროვნული პოზიციის მეოხებით ხერხდებოდა საეკლესიო სწავლების პროცესში პოზიტიური ელემენტების შეტანა.

ლიტერატურა:

1. Chanishvili, 2008 – Chanishvili, G. Tsminda ninos dedata monastery, Tbilisi, 2008.
2. Pavliashvili, 2008 – Pavliashvili, Q. Saeklesio globalizaciis istoria kavkasiashi, Tbilisi, 2008.

წყარო:

1. SSCSA (Saqartvelos Saistorio Centraluri Sakhelmtsipo Arkivi), fondi 488, sakme №22508.
2. SSCSA, fondi 448, sakme №24668.
3. SSCSA, fondi 488, sakme №26540.
4. SSCSA, fondi 489, sakme №24668.

Medea Bendeliani

EDUCATIONAL POLICY OF RUSSIAN SYNOD AND SAINT NINO PRINCIPALITY CONVENT

Summary

In 1860 Russian Imperial Court founded „The Society for Rehabilitation of Orthodox Christianity in Caucasus“ in Georgia.

The Goverment together with other directions aimed the society to develop work on educational problems. The Society should bring up loyal generation for the autocracy. With this object there should be opened parish schools and established scholarships for pupils and etc.

One of such institutions was opened by the Government in Mtskheta at Saint Nino Principality Convent (in 1966), which had to bring up orphan girls on State expenses.

The Government paid great attention to the Monastery and above mentioned school as well. They were sure that the pupils, who finishing such schools would be the supporters of the Government policy in the future.

ზაზა ვაშაყმაძე

ოჯახის როლი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში საერთაშორისო სამართლის მიხედვით

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

ტერმინი **ოჯახი** თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს სახლს. ქართულში მის სინონიმად გამოიყენება სახლი, სადგომი, რომელიც ქმრისა და ცოლ-შვილისაგან შედგებოდა (Shengelia, Shengelia, 2009: 10). ოჯახი გახლავთ სოციალური ინსტიტუტი, ფენომენი, საზოგადოებრივი წარმონაქმნი, რომელიც შეიქმნა ადამიანთა მოდგმის განსაზღვრულ ეტაპზე. თავიდანვე ოჯახი არ იყო ისეთი წარმონაქმნი, როგორიც ის დღეს წარმოგვიდგენია, რადგან მისი განვითარება პირდაპირ კავშირში იყო საზოგადოების განვითარებასთან. როცა საზოგადოება განვითარებული და ძლიერი იყო მორალურ-ზნეობრივი, სამართლებრივი კუთხით, თავისთავად ოჯახის ინსტიტუტიც იყო ძლიერი, როცა საზოგადოება არ იყო ძლიერი განვითარების კუთხით, ოჯახის ფენომენიც იყო სუსტი.

განვიხილოთ ოჯახის შექმნისა და წარმოშობის არსი, განსაზღვრება და მიზანი თეოლოგიური და სამართლებრივი კუთხით

I. ოჯახის გაგება თეოლოგიური კუთხით

ოჯახი გახლავთ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ქორწინების გზით. ქორწინების საიდუმლო დიდი შემწეობაა ქრისტიანი მეუღლეებისათვის, რომელიც წარმოადგენს ეკლესიასთან ქრისტეს ერთობის ხატს. ქრისტიანული ქორწინების მეშვეობით ხორციელდება მეუღლეთა განუწყვეტელი ურთიერთთანადგომა თავიანთი დანიშნულების აღსრულებისათვის და იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს „მსგავსება“ უფლის ხატისა. ქორწინების საიდუმლოთი ღმრთის კურთხევა ენიჭება მამაკაცისა და დედაკაცის ერთობას მთელი ცხოვრების მანძილზე, იმისათვის, რომ მათ გააჩინონ შვილები და ზნეობრივად სრულყონ ისინი. ოჯახში, რომელიც ამ საფუძველზეა შექმნილი, აღიზრდებიან ადამიანები ზეციური სასუფევლისათვის (Bumisi, 2007: 100).

ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია სხვადასხვა სქესის ორი პირი (მამაკაცი და ქალი). ერთი და იმავე სქესის ორ წარმომადგენელს შორის ხორციელი ურთიერთობები აკრძალულია საღვთო წერილებით და

წმინდა კანონებით. ქორწინებისათვის ეკლესიას არ შეუმუშავებია კანონი კონკრეტული ასაკის განსაზღვრისათის, ასაკის ქვედა და ზედა ზღვარი ქორწინების მსურველთათვის. ეს ყველაფერი დასადგენია ადგილობრივი ეკლესიის მიერ დაკვირვების შედეგად. მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის კანონმდებლობაში არ არის დადგენილი ქორწინებისათვის აუცილებელი ასაკის ქვედა ზღვარი. ეს საკითხი რეგულირდება ავტოკეფალური ეკლესიების ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ. მაგ., შუა საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში გოგონებისათვის მინიმალური ასაკი 12, 13 წელი იყო, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ის 15 წლამდე გაიზარდა. ოჯახის შექმნას სჭირდება მექორწინეთა პიროვნული, თავისუფალი, ნებაყოფლობითი განზრახვა, ანუ არჩევანი. ასევე, საჭიროა მხარეთა ნორმალური სულიერი მდგომარეობა და თანაცხოვრების ფიზიკური უნარი (Bumisi, 2007: 101,102).

ოჯახი საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითადი შემადგენელი უჯრედი და საყრდენია. ეკლესია ლოცავს ქორწინებას, რადგან ითვალისწინებს იმ მაღალ და იმავდროულად რთულ ამოცანებს, რომლებიც ქრისტიანულმა ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს. ქორწინების საიდუმლოში ეკლესია ღმერთს სთხოვს შემწეობას მომავალი მეუღლეებისათვის, რათა მათ შეიგნონ, გადაწყვიტონ და აღასრულონ სამომავლოდ დასახული ამოცანები, ააშენონ „ეკლესია სახლში“, დაამყარონ ჭეშმარიტად ქრისტიანული ურთიერთობები, გაზარდონ ბავშვები რწმენით, იცხოვრონ სახარებისეული მცნებებით და სხვა (Pomazanski, 2006: 270). წმინდა წერილში არაერთგზის წერია, რომ ქორწინებას აკურთხებს ღმერთი: „და შექმნა ღმერთმან კაცი. ხატებად ღმრთისად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი და აკურთხა იგინი ღმერთმან, მეტყუელმან: „აღორძნდით და გამრავლდით“ (Biblia, 1989: 13).

შესაქმის აღმწერი მოგვითხრობს ადამის ნეკნიდან დედაკაცის შექმნის შესახებ, მამაკაცთან მის მიყვანაზე და დასძენს: „ამისთვის დაუტევოს კაცმან მამაი თვისი და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (Biblia, 1989: 14). თავად მაცხოვარმა მცნებად დაგვიდო ქორწინების ერთგულების დაცვა. უფლის ეს სიტყვები თვალნათლივ ადასტურებს ქორწინების ზნეობრივ ღირსებას. უფალმა იესო ქრისტემ გალილეის კანაში თავისი მისვლით აკურთხა ქორწინება და იქვე მოახდინა პირველი სასწაული (Pomazanski, 2006: 271).

ოჯახი, ჩვეულებრივ, შედგება მშობლების, შვილებისა და ზოგჯერ მათთან ერთად მცხოვრები ნათესავებისა თუ სხვა ადამიანებისაგან. ოჯახი პირველდაწყებითი ადამიანური საზოგადოებაა. ის სახელმწიფოს საფუძველია, მისი რგოლი. ამასთან, ოჯახი არის „ზნეობრივი სამყაროს საწყისი და პირველადი საფუძველი“. ადამიანი ოჯახში იღებს სულიერ-ზნეობრივ აღზრდას და იწყებს საკუთარ თავში ზნეობრივი ცხოვრების

განვითარებას (Shimanski, 2011: 86). ოჯახი ქორწინებაზეა დაფუძნებული, ქორწინება კი ქვეყნის დასაბამიდან დადგენილია თავად შემოქმედის მიერ. ქრისტიანული სწავლებით, ქორწინება ორი სულის ერთობის უდიდესი საიდუმლოებაა. იგი ემყარება, ღმრთის ნებით, ადამიანის ბუნებაში ჩადებულ მიზიდულობას, მოთხოვნილებას.

წმ. კვიპრიანე კართაგენელის აზრით, ქმარი და ცოლი თავიანთი არსებობის სისრულეს და მთლიანობას აღწევენ სულიერ-ზნეობრივ და ფიზიკურ ერთობაში და ერთმანეთის პიროვნების შევსებით (Shimanski, 2011: 96). წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: ქორწინება დადგენილია ორი მიზნით, რათა ვიცხოვროთ უბიწოდ და გავხდეთ მშობლები.

რომაელი კანონმცოდნე მოდესტინუსის (288 წ.) კლასიკური განმარტების მიხედვით, ,,ქორწინება არის ურთიერთკავშირი მამაკაცისა და დედაკაცისა, მათი ცხოვრების ხვედრის გაზიარება მარადის, ესაა ღვთისა და ადამიანის სჯულის ზიარება".

II. კანონიერი ქორწინებით წარმოშობილი ოჯახის მორალურ-ზნეობრივი შედეგები

კანონიერი ფორმით შექმნილი ოჯახის შედეგად წარმოიშობა შემდეგი სახის მორალურ-ზნეობრივი შედეგები:

1. მეუღლეთა სრული და თანაბარუფლებიანი თანაზიარობა ყველაფერში, რაც კი მიემართება ცხოვრებისეულ სულიერ და ხორციელ ურთიერთობას:

ა) მეუღლეობრივი მოვალეობის აღსრულება.

ბ) ნდობა მეუღლეთა შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში.

2. ქორწინების საიდუმლოს მეშვეობით ქმარი ხდება ცოლის მეთაური – თავი. იგი კისრულობს ოჯახურ მოვალეობებს, მაგრამ, ამასთანავე, არის თავმდებიც შესაბამისი მოვალეობებისა.

3. მეუღლე, დედაკაცი ხდება განუყოფელი მეგობარი, მარჩენალი, მრჩეველი და შემწე თავისი ქმრისა ყველა შემთხვევაში. იგი, ჩვეულებრივ, იღებს მეუღლის გვარს და ხდება ოჯახის ,,გული".

4. მშობლები თავს იდებენ საზრუნავს შვილების რჩენისათვის. ეს ხორციელდება მამის, ან დედის მეურვეობით.

5. შვილებს მართებთ, პატივი სცენ და მოწიწებით მოეპყრან თავიანთ მშობლებს მოხუცებულობის ჟამს, სნეულებასა და გაჭირვებაში. შვილები სიყვარულსა და მზრუნველობას უნდა იჩენდნენ მშობლების მიმართ.

კანონით ქორწინება ურყევია. უფლის სწავლების მიხედვით, ცოლსა და ქმარს შორის ერთობა მტკიცეა მთელი ცხოვრების მანძილზე. ,,ვი-

თარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც. აწ უკუე რომელნი იგი ღმერთმან შეაუღლნა, ,,კაცი ნუ განაშორებს" (Bumisi, 2007: 111).

III. საოჯახო სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს. ამ კოდექსის მეხუთე წიგნი არის საოჯახო სამართალი, რომლის პირველი კარი აწესრიგებს ქორწინების საკითხს, რის საფუძველზეც იქმნება საზოგადოებრივი ინსტიტუტი, სოციალური წარმონაქმნი ,,ოჯახი".

მუხლი 1106. ქორწინების ცნება.

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში.

მუხლი 1107. დაქორწინების პირობები.

დაქორწინებისათვის აუცილებელია:

ა) საქორწინო ასაკი.

ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა.

მუხლი. 1108.საქორწინო ასაკი.

1. საქორწინო ასაკად დაწესებულია 18 წელი.
2. გამონაკლის შემთხვევაში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლის, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით.
3. თანხმობაზე მშობლების, ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვის გაცემა შეუძლია სასამართლოს (სამოქალაქო კოდექსი, 2007: 118). საქართველოში ოჯახის შექმნის საფუძველი, სამოქალაქო საქორწინო სახელმწიფო რეგისტრაციის გარდა, არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა, ეს საკითხი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დარეგულირებულია კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, რომელიც დაიდო 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში.

კონკორდატის მუხლი 3.

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებ-

ში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები (Vashakmadze, 2011: 200). ასეთია საქართველოში ოჯახის შექმნის იურიდიული საფუძვლები.

IV. ოჯახის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო სამართალში

„ოჯახის ინსტიტუტი“ რომ საფუძველთა საფუძველია საზოგადოებაში, ამაზე მეტყველებს მის შესახებ არსებული და დადგენილი მცნებები და სხვადასხვა რიგის კანონი (მაგ.: რელიგიური კანონები, სამოქალაქო კანონები და სხვა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საერთაშორისო სამართალია).

ჩამონათვალი ნორმებიდან ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო სამართლის ნორმებია, რაზედაც კი უმსჯელია საერთაშორისო საზოგადებას, ხოლო ყველაზე ძველად უნდა მივიჩნიოთ რელიგიური მცნებები და კანონები, მათ შორის, ასაკობრივი სხვაობა.

ოჯახის შექმნის სამართლებრივ ნორმებს სახელმწიფოები ქმნიდნენ იმისდა მიხედვით, თუ რომელი რელიგიის მიმდევრები იყვნენ, იყვნენ თუ არა თავისუფალნი და როგორი იყო მათი განვითარების დონე. ეროვნული სახელმწიფოები ამ საკითხს დღემდე ინდივიდუალური მიდგომით წყვეტენ. მაგ., მუსლიმანურ ქვეყნებში მრავალცოლიანობაა დაშვებული, რასაც ქრისტიანული სახელმწიფოები უარყოფენ.

მიუხედავად ჩამოყალიბებული პრინციპებისა, ბოლო ათეული წლიწადია, ეროვნული კანონმდებლობის დონეზე სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია არსებული „სამოქალაქო კანონების“ გადასინჯვისა, რაც გამოიხატება ერთი სქესის შიგნით ქორწინების დაკანონებაში. ყოველივე ეს კი „დემოკრატიისა და ლიბერალიზმის“ მოტივაციით ხორციელდება, რაც ბუნებით სამართალს ეწინააღმდეგება. ზოგად სამართალში რელიგიური ელემენტების დაკარგვამ გამოიწვია ისეთი კანონების მიღება, როგორიცაა ერთსქესიანთა ქორწინება.

როგორც გაროლდ ბერმანი აღნიშნავს: „მთავარი მიზეზი დასავლური სამართლებრივი ტრადიციების კრიზისისა არის რელიგიური საფუძვლების დაცემა (Garold, 2008: 54). ამისი მაგალითია ნიდერლანდებში 2002 წელს მიღებული კანონი, რომლითაც ერთი და იმავე სქესის პირებს შეუძლიათ ქორწინება, რის გამოც სამოქალაქო კოდექსში შემოიღეს ეგრეთ წოდებული „რეგისტრირებული – პარტნიორის ცნება“ (Robers, 2011: 438).

საერთაშორისო სამართალში რამდენიმე ძირითადი მუხლია ოჯახის შექმნის საკითხზე, რომელთაგანაც გამოვყოფთ:

I. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულია 1948 წლის 10 დეკემბერს.

მუხლი 16.

სრულწლოვან მამაკაცებსა და ქალებს აქვთ უფლება რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი. ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით შეუღლებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.

ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.

ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება, დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ (gaeros dokumentebi..., 1995: 78, 79). ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაში შევიდა 1976 წლის 3 იანვარს.

მუხლი 10. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ:

ოჯახს, რომელიც საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია, უნდა ჰქონდეს, შეძლებისდაგვარად, ყველაზე საიმედო დაცვა და დახმარება, განსაკუთრებით, მისი შექმნის დროს და მანამ ეკისრება პასუხისმგებლობა და ზრუნვა ბავშვებსა და მათ აღზრდაზე, ვიდრე ისინი დამოუკიდებლები გახდებიან. ქორწინება უნდა ხდებოდეს მექორწინეთა თავისუფალი თანხმობით (Adamianis uflebata ..., 2004: 89).

III. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს. ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს

მუხლი 23.

ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და აქვს უფლება, დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ.

მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიაღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება, დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი.

არც ერთი ქორწინება არ შეიძლება მოხდეს მექორწინეთა თავისუფალი და სრული თანხმობის გარეშე (Gaeros dokumentebi..., 1995: 110, 111).

IV. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.

მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს რომში.

მუხლი 12. ქორწინების უფლება.

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწეს-

რიგებენ ამ უფლებათა განხორციელებას (Adamianis uflebata, 2004: 22).

IV. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №7.

სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი.

მუხლი 5. მეუღლეთა თანასწორობა.

მეუღლეები სარგებლობენ კერძო-სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, როგორც დაქორწინების დროს, ისე ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, განახორციელოს ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები (adamianis uflebata, 2004: 51). ასეთია საერთაშორისო სამართლის პრინციპები ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით.

V. რელიგიის აუცილებლობა

რელიგია ლათინური სიტყვაა (რელიგიო) და შეიძლება განიმარტოს, როგორც „კავშირის აღდგენა“. ლაკტანციუსი (240-320 წწ.) ამ სიტყვაში ხედავდა კავშირის იდეას. რელიგია არის აღდგენა კავშირისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა და რაღაც კატასტროფის შედეგად გაწყდა. ეს არის ადამიანურ (ხილულ) და ღვთაებრივ (უხილავ) სამყაროებს შორის კავშირი.

ადამიანის არსებობის (Homo Religiosus), როგორც ქმნილების, სხვადასხვა განზომილებათა ერთ მთლიანობაში გააზრებისას რელიგიური ცნობიერება უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ნიჭად უნდა მივიჩნიოთ. ეს უნარი არის რწმენა, რომელიც ადამიანს რელიგიურად აქცევს. ადამიანი აფასებს, მსჯავრს სდებს საკუთარ ფიქრსა და ქცევას არა მხოლოდ როგორც მორალური არსება, არამედ როგორც რელიგიური არსებაც, აფასებს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთაებრივი პოზიციებიდან, ანუ იმ დამკვირვებლისა და მსაჯულის თვალით, რომელიც მასზე უსასრულოდ მაღლაა სამყაროს იერარქიაში. Homo Religiosus-თვის აზროვნებაში, ქცევაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არამხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით. ის უფრო მეტს ხედავს თავის ყოფიერებაში და მთელ საგნობრივ სამყაროში, ვიდრე აღქმით, ან თუნდაც გონების თვალით შეიძლება იქნეს დანახული.

რწმენა ენათესავება ადამიანის ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ნდობა, იმედი (სასოება), მოლოდინი. მათზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც რწ-

მენის ნაირსახეობებზე. რწმენა ჩამოთვლილთა შორის აღმატებულია, ის უნარია, რომელსაც ძალუძს, დაბადოს ცოდნა. რწმენა ხდება საღვთო ცოდნის წყარო, როგორც წერდა ილია ჭავჭავაძე: არის საგანი, რომელსაც, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ (Religiebi saqartveloshi, 2008: 12-14). „მრწამსი" განყენებული სიბრძნე, მსჯელობით ჩამოყალიბებული დიალექტიკა კი არა, არამედ აზრებით ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში შეღწევა, გონებითა და გულით უფლისაკენ ლტოლვა და მისი სიყვარულის შეცნობა იქნება (Pomazanski, 2006: 22).

იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც ზემოქმედება მოახდინეს და კვლავაც ახდენენ კაცთა მოდგმის ბედის ფორმირებაზე, ყველაზე ძლიერია ის, რომლის ზეგავლენასაც ჩვენ რელიგიას ვუწოდებთ. რელიგიური ფაქტორი საფუძვლად უდევს ყველა სოციალურ ინსტიტუტს და ასევეა ადამიანთა გამაერთიანებელი ყველაზე მძლავრი იმპულსი. ძალიან ხშირად რელიგიური კავშირი უფრო მტკიცეა, ვიდრე ნებისმიერი სხვა კავშირი. ცნობილია, რომ ადამიანები, რომლებიც ერთ ღმერთს სცემენ თაყვანს და ერთ სარწმუნოებას აღიარებენ, უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთამანეთთან, ვიდრე ერთი ოჯახის წევრები, თვით ღვიძლი ძმები (Vivekananda, 1996: 3). რწმენისათვის ღმერთია უპირველესი. ქრისტიანისათვის „გწამდეს ღმერთი" ნიშნავს, აღიარებდე მას არა მარტო გონებით, არამედ გულითაც ილტვოდე მისკენ (Pomazanski, 2006: 24).

რელიგიის მიზანია ღმერთის წვდომა წარმოდგენების საშუალებით (Vivekananda, 1996: 47). ქრისტიანული რწმენა საიდუმლო მოვლენაა ადამიანის სულის სამყაროში, იგი აზრზე ძლიერია, უფრო ვრცელია და ქმედითი, რთულია და თავისთავში აერთიანებს სიყვარულის, შიშის, მოწიწების, თაყვანისცემისა და თავმდაბლობის გრძნობებს. რწმენას ძალუძს მთების შეძვრა. რწმენა უწონადი ქვაა, რომელსაც შეხებით ვერ შეიგრძნობ. იგი ზეაგიტაცებს და ძირს არ განარცხებს (Pomazanski, 2006: 25).

ზოგადად, რელიგიისა და რწმენის რაობაზე ჩამოყალიბებულია ორგვარი ტიპის შეხედულება: თეოლოგიური და ფილოსოფიური (სოციოლოგიური). თეოლოგიური მიდგომა ეფუძნება გამოცხადებებს, ხილვებს, დოგმებს, წმინდა მამათა გადმოცემებს, რომლებიც დადგენილია და დადასტურებულია ეკლესიის წიაღში, ხოლო ფილოსოფიური (სოციოლოგიური) მიდგომა თავისი არსით ცვალებადია და შეიძლება დაექვემდებაროს განსჯას, კრიტიკას, გადასინჯვას, შეცვლას.

ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიას, რწმენას სურს, გადალახოს გრძნობად აღქმათა სამყაროს საზღვრები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ და ცდილობს, გაიგოს, რა არის მათ მიღმა. მასში არის რაღაც იდუმალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა რელიგია ცდილობს და ამტკიცებს

მნიშვნელოვან ფაქტს: ადამიანის გონს ამა თუ იმ მომენტში შეუძლია ამაღლდეს არა მარტო გრძნობად აღქმებზე, არამედ ლოგიკურ მსჯელობებზეც. ამ დონეზე ასული, ის აწყდება ფაქტებს, რომლებსაც ვერც გრძნობებით აღვიქვამთ და ვერც ლოგიკური გზით გავაცნობიერებთ. ეს ფაქტები საფუძვლად უდევს მსოფლიოს ყველა რელიგიას (იგულისხმება მონოთეისტური რელიგიები).

ადამიანი ადამიანად რჩება მანამ, სანამ ბუნებაზე ამაღლებას ცდილობს, როგორც თავის საკუთარ, ისე მის გარემომცველ ბუნებაზედაც. ეს მოიცავს არა მარტო წესებსა და კანონებს, არამედ გაცილებით უფრო მეტ სუბსტანციასაც, რომელიც არსებითად ის ძალაა, ჩვენს გარეთ არსებულ ბუნებაზე რომ ახდენს ზემოქმედებას. ამრიგად, რელიგია, გარდა ნუგეშისა, რასაც ჩვენ მასში ვპოულობთ, არის ადამიანური გონების წვრთნის ყველაზე საუკეთესო და ქმედითი საშუალება.

ადამიანის გონებისათვის არ არსებობს რელიგიაზე უფრო დიდი მოტივაცია. მხოლოდ რწმენას შეუძლია, ჩაუნერგოს ადამიანს ესოდენ დიდი ენერგია. სამყაროს მამოძრავებელი ძალა რელიგია და რწმენაა (Vivekananda, 1996: 5,6,9). რწმენა გასაღებია ღვთიური საგანძურისა, – წერს მამა იოანე კრონშტადტელი. სახელდობრ, რწმენა არის სულით მომავლის, ან უხილავის წვდომა (Pomazanski, 2006: 26).

VI. საერთაშორისო ხელშეკრულებები ბავშვის რელიგიური უფლებების შესახებ

რელიგიის თავისუფლება საყოველთაოდ არის აღიარებული ადამიანის უფლებების ერთ-ერთ საფუძვლად. რელიგიის თავისუფლება, ფაქტობრივად, ყველა ერისთვის იქცა კონსტიტუციით განცხადებულ ნორმატიულ პრინციპად. ცხადია, რომ რელიგიის თავისუფლების გარეშე აშკარა საფრთხე ემუქრება სიტყვის, სინდისისა და რწმენის თავისუფლებას. ასევე ნათელია, რომ ადამიანის რელიგიური უფლებების აღიარების გარეშე საფრთხის ქვეშ დგას, ზოგადად, უფლება განსხვავებულობაზე. როგორც შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ ჩარლზ ევანს ჰიუზმა აღნიშნა: „როდესაც ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ განსხვავებულნი, ჩვენ ვკარგავთ უფლებას, ვიყოთ თავისუფალნი“. როდესაც სახელმწიფო პატივს სცემს რელიგიურ უფლებებს, იგი თავისი მოქალაქეების ღირსებაზე რეალურ ზრუნვას გამოხატავს.

კარილო ალბრონოზის სიტყვებით კი, „თუ საზოგადოება პატივს არ სცემს რელიგიასა და მის თავისუფლებას, არავინაა უზრუნველყოფილი, რომ მათ მიმართ გამოიჩენენ პატივისცემას“ (Religiuri tavisufleba, 2004: 56). ცალკე მსჯელობის საგანია რელიგიისა და რწმენის განსაზღვრება

საერთაშორისო სამართალში თავისი არსითა და შინაარსით და, შეიძლება ითქვას, რომ ის პირობითია, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ამ საკითხზე ორი მიმართულებით მსჯელობენ: თეოლოგიურად და ფილოსოფიურად (სოციოლოგიურად). ღრმა მორწმუნისთვის რელიგია და რწმენა სხვანაირად აღიქმება, ხოლო ათეისტისთვის სხვანაირად. საკითხის აქტუალობიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ამ თავს დავიყვანთ ერთ ძირითად საკითხამდე:

ბავშვის რელიგიური უფლებები საერთაშორისო სამართალში

რელიგიის გარეშე ზნეობას საფუძველი არ გააჩნია და ჰაერშია გამოკიდებული. ოჯახსა და სკოლაში რელიგიის გარეშე აღზრდა მოზარდი თაობის გარყვნის წყაროა (Shimanski, 2011: 235). რწმენის ნაკლებობა, ან ურწმუნობა სრულიად ხრწნის ადამიანების გონებრივ და ზნეობრივ ცხოვრებას, ანგრევს პირად, ოჯახურ, ეკლესიურ ცხოვრებას, საზოგადოებრივს ამახინჯებს, ხოლო სახელმწიფოებრივს – შლის. პიროვნების საფუძველი იდება ადრეული ბავშვობიდან (Shimanski, 2011: 238).

საკმაოდ საინტერესო კვლევა აქვს ჩატარებული რელიგიის სწავლებაზე სკოლებში ღვთისმეტყველების დოქტორს საეკლესიო სამართალში ალექსი ქშუტაშვილს. სტატიაში „რელიგიის საგანი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამაში – დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტი“ აღნიშნავს, რომ „ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რელიგიის გაკვეთილებს უკავიათ ოფიციალური ადგილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში“ (Qshutashvili, 2008).

ამ მიმართულებით საინტერესო ვერსიას ავითარებს დევიდ ლანქშერი სტატიაში „სარწმუნოებრივი განათლება საერო საზოგადოებაში – აღმსარებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის, ვინც ეკლესიის გარეთ იზრდება“, სადაც აღნიშნავს: „სანამ ეკლესია არ იპოვნის საშუალებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალება მიეცეთ, ისწავლონ და ღვთისმსახურების გამოცდილება მიიღონ, როგორც ჩანს, ევროპის მოსახლეობის საერო საზოგადოების მზარდი ნაწილი ისე აღიზრდება, რომ მას არ ეცოდინება ღვთისმსახურების იდეა და ეკლესიის ძირითადი საქმიანობისაგან გაუცხოებული იქნება“ (shutashvili, 2008: 206)

ამ კუთხით ჩვენ მიერ მოძიებულ იქნა 10 ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებშიც ბავშვთა რელიგიურ უფლებებზეა საუბარი და გამოკვეთილია ოჯახის როლი ამ საკითხში.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

მუხლი 26. პუნქტი 3.

მშობლებს აქვთ პრიორიტეტული უფლება, აირჩიონ, რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისთვის (Gaeros dokumentebi, 1995: 82).

II. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. მუხლი 13. პუნქტი 3.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, პატივს სცემდნენ მშობლებისა და, შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, თავიანთი ბავშვებისათვის აირჩიონ არა მარტო სახელმწიფოს მიერ დაარსებული სკოლები, არამედ სხვა სკოლებიც, რომლებიც შეესაბამებიან სახელმწიფოს მიერ დადგენილი, ან დამტკიცებული განათლების მოთხოვნების მინიმუმს და უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი რწმენის შესაბამისად (Gaeros dokumentebi, 1995: 92).

III. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მუხლი 18. პუნქტი 4.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეთა თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა საკუთარი მრწამსის შესაბამისად (Gaeros dokumentebi..., 1995: 109).

კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ მუხლი 4.

ხელშეკრულებაში შემავალი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებს შეუქმნიან სულ ცოტა ისეთ მდგომარეობას, როგორიც აქვთ საკუთარ მოქალაქეებს თავიანთი რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლებისა და თავიანთი ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების მხრივ (Gaeros dokumentebi, 1995: 166).

ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების II დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ.

მუხლი 4. პუნქტი 3. ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი მზრუნველობითა და დახმარებით, კერძოდ,

ისინი იღებენ განათლებას რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით, მშობლების, ან მათი არყოლის შემთხვევაში, იმ პირთა სურვილით, რომლებსაც მათზე მზრუნველობა აკისრიათ (Gaeros dokumentebi..., 1995: 220).

VII. კონვენცია განთლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ

მუხლი 5. პუნქტი 1. ქვეპუნქტი ბ).

მშობლებსა და, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ჯერ ერთი, ყოველი სახელმწიფოს კანონმდე-

ბლობით განსაზღვრულ ფარგლებში, თავისუფლად გაგზავნონ შვილები არა სახელმწიფო, არამედ სხვა სასწავლებლებში, რომლებიც უპასუხებენ განათლების კომპენტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ, ან დამტკიცებულ მინიმალურ მოთხოვნებს და, მეორეც, უზრუნველყონ ბავშთა რელიგიური და მორალური აღზრდა მათი საკუთარი მრწამსის შესაბამისად. არც ერთ პიროვნებას და პირთა არც ერთ ჯგუფს, ერთად აღებულს, თავს არ უნდა მოახვიონ მათ მრწამსთან შეუთავსებელი რელიგიური აღზრდა (Gaeros dokumentebi, 1995: 241).

VIII. დეკლარაცია რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ

მუხლი 5.

მშობლებს, ან, შესაბამის შემთხვევებში, ბავშვის კანონიერ მეურვეებს უფლება აქვთ, თავიანთი რელიგიისა თუ მრწამსის შესაბამისად, ოჯახის ფარგლებში განსაზღვრონ ცხოვრების წესი ბავშვის აღზრდისათვის.

ყველა ბავშვს აქვს რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში განათლების უფლება. მისი მშობლების, ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერი მეურვეების სურვილის თანახმად, და არ დაიშვება რელიგიისა თუ მრწამსის სფეროში სწავლების იძულება მისი მშობლებისა თუ კანონიერი მეურვეების სურვილის წინააღმდეგ, ამასთან, სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის ინტერესები.

ბავშვი დაცული უნდა იქნეს რელიგიისა თუ მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან. იგი უნდა იზრდებოდეს გაგების, შემწყნარებლობის, ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის, სხვა ადამიანების რელიგიისა თუ მრწამსის თავისუფლებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე, იმის სრული შეგნებით, რომ მისი ენერგია და უნარი სხვა ადამიანების კეთილდღეობის სამსახურს უნდა მიეძღვნას.

თუ ბავშვი არ არის გარემოსილი თავისი მშობლების, ან კანონიერი მეურვეების მზრუნველობით, მაშინ სათანადოდ გათვალისწინებული იქნება მის მიერ გამოხატული ნება, ან მისი ნების ყოველგვარი გამოვლინება რელიგიისა თუ მრწამსის საკითხებში, ამასთან, სახელმძღვანელო პრინციპია ბავშვის ინტერესები.

რელიგიისა თუ მრწამსის პრაქტიკა, რომელშიც ბავშვი იზრდება, ზიანს არ უნდა აყენებდეს არც მის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას, არც მის სრულ განვითარებას ამ დეკლარაციის I მუხლის III

პუნქტის შესაბამისად (Gaeros dokumentebi, 1995: 248).

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ მიღებულია 1989 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის 44/25 რეზოლუციით.

მუხლი 14. ნაწილი 1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის თავისუფლების, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას.

მუხლი 30.

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ რელიგიური, ან ენობრივი ჯგუფები, ან მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი პირები, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობებს, ან მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის, უარი არ უნდა ეთქვას უფლებაზე, თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლოს თავისი კულტურით, რელიგიით და აღასრულოს მისი რიტუალები, აგრეთვე, ისარგებლოს მშობლიური ენით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი.

მუხლი 2. განათლების უფლება.

არავის შეუძლია აღკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ განათლება და სწავლება თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად (adamianis uflebata..., 2004: 38)

IX. 1975 წლის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის დასკვნითი აქტი

მუხლი 16.7.

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ, სხვა უფლებებთან ერთად, მშობლების თავისუფლებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავიანთი საკუთარი მრწამსის შესაბამისად (Adamianis uflebebisa..., 1991: 45).

ქართული ოჯახი, ტრადიციული გაგებით, როგორც წესი, შედგება ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან. უმრავლეს შემთხვევაში, ამას ემატებიან ბებია და ბაბუა (შესაძლებელია იყოს სხვაც, მაგ., ბიძა, მამიდა).

ქართული ოჯახი, საშუალოდ, შედგება 5, 6 სულისაგან. ტრადიციულ ქართულ ოჯახში განსხვავებულია დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის. პირველ რიგში, ეს დამოკიდებულება აგებულია ურთიერთპატივისცემასა და გაგებაზე. აქ ყველას თავისი ადგილი აქვს. ქართულ ოჯახში განსაკუთრებული პატივისცემა აქვთ ქალებისა და

მოხუცებისადმი. უფროს თაობას საქართველოში ოჯახის წევრებისგან სათანადო ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით, მოხუცებულობის ჟამს. თავის მხრივ, ისინი ეხმარებიან თავიანთ შთამომავლობას, შვილებსა და შვილიშვილებს ოჯახის გაძღოლასა და პატრონობაში. ქართველები, ბევრი სხვა ერისაგან განსხვავებით, „ოჯახის“ ინსტიტუტს და მის სიწმინდეს ყოველთვის წინ აყენებდნენ. მათი გაგებით, ოჯახის და, განსაკუთრებით, ქალბატონების შეურაცხყოფა სიკვდილსიცოცხლის საკითხია. ეს ყველაფერი აგებულია ქრისტიანულ, ქართულ ტრადიციებზე. საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, დაახლოებით 90% მართლმადიდებელია, რაც ჯერ კიდევ განაპირობებს „ოჯახის“ ინსტიტუტის სიძლიერეს. თუმცა, ბოლო დროს შეიმჩნევა ამ ინსტიტუტის წინააღმდეგ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული გამოსვლები სხვადასხვა ფორმით (დისკუსიები თემაზე: სექსუალური თავისუფლება, გეი აღლუმის ჩატარების მცდელობა თბილისსა და ბათუმში და სხვა).

ტრადიციულად, მოზარდი თაობის, ბავშვების აღზრდაც ქართულ ოჯახში დაფუძნებულია მართლმადიდებლურ და ტრადიციულ წესებზე. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჩამოყალიბება საქართველოში, ძირითადად, ორ სოციალურ გარემოში, ოჯახსა და საბავშვო ბაღში ხდება. სამწუხაროდ, საბავშვო ბაღში მოზარდის რელიგიურ აღზრდას ნაკლებად ექცევა ყურადღება. თუ ოჯახი მორწმუნეა, ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბება მიმდინარეობს ოჯახში, მშობლებისა და ბებია-ბაბუების მხრიდან ეკლესიაში სიარულით, ზიარებით, აღსარების ჩაბარებითა და სხვა გზებით.

შემდეგი ეტაპი ბავშვის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისა არის სკოლა. საქართველოში რელიგიის სწავლება სასწავლო დაწესებულებებში რეგულირდება საქართველოს კანონით განათლების შესახებ, კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის და საქართველოს განათლების სამინისტროსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმით. ჩამოთვლილი იურიდიული საფუძვლები, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოში რელიგიის სწავლების მხრივ არაფრის მომცემია.

კონკორდატის მუხლი 5.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან, განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი პროგრამები. სახელმწიფო

ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

ჩამოთვლილი დეკლარირებული ნორმების მიუხედავად, სახელმწიფო სავალდებულო სკოლებში რელიგიის სწავლება საქართველოში პრაქტიკულად არ ხორციელდება, ხოლო სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი პროგრამები განათლების სისტემაში რაში გამოიხატება, ბუნდოვანია. მხოლოდ კერძო სკოლებში გაჩნდა შანსი რელიგიის სწავლებისა, ისიც შეზღუდული საათებით.

გარკვეულწილად, „განათლების კანონი“ და „ეკლესიისა და განათლების სამინისტროს“ შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ეწინააღმდეგება „კონსტიტუციურ შეთანხმებას“, რომელიც ქართულ სამართლებრივ სისტემაში საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ პირველ ადგილზეა.

მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით მეტი აქტიურობა მართებს ქართულ საზოგადოებასა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიას, თუ გვინდა, რომ სავალდებულო სკოლებში რელიგიური სწავლა-განათლება უფრო ნაყოფიერი იყოს.

რაში გამოიხატება თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს რელიგიურობა? იგი, პირველ რიგში, უნდა გამოიხატებოდეს ადამიანის უფლებაში, ჰქონდეს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით და, რაც მთავარია, ეს უნდა იყოს არა დეკლარირებული განაცხადი, არამედ რეალურ ცხოვრებაში გატარებული. ამ მხრივ, ქრისტიანული რელიგიისაგან განსხვავებით, ებრაული და მუსლიმანური რელიგიები უკეთეს მდგომარეობაში არიან ეროვნული კანონმდებლობის დონეზე.

ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი: ამ ფორმით შექმნილი „ოჯახი“ უნდა ჩაითვალოს თუ არა ოჯახად? ოჯახი ისტორიული და კლასიკური გაგებით, ფუნქციონალურად მრავალმხრივი დატვირთვისაა, აღარაფერს ვამბობ რელიგიური კუთხით შეფასებაზე. ერთსქესიანების მიერ შექმნილი ოჯახი, ძირითადად, ეფუძნება ერთმანეთის მიმართ სექსუალურ ლტოლვას, რასაც სიყვარულს უწოდებენ. ასეთი სახის კავშირი კაცობრიობის მიერ მაღალ ზნეობრივ ღირებულებად არ შეფასებულა. ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობებში ეს ხორციელდება სამართლებრივი კუთხით, ძირითადად, „სექსუალური უმცირესობების უფლებების“ დაცვის მოტივით. ბოლო ათწლეულების ტენდენციას თუ გავაანალიზებთ, შევამჩნევთ, რომ „უმცირესობების“ დაცვა წამოწეულია წინა პლანზე და არავინ არ ლაპარაკობს უმრავლესობის უფლებებზე. „უმცირესობების“ უფლებების გაზრდითა და ხელშეწყობით, ფაქტობრივად, ირღვევა უმრავლესობის უფლებები და ინტერესები, რაც ბუნებრივად ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

„ერთსქესიან“ ოჯახებს ზოგიერთ ქვეყანაში აქვთ უფლება ბავშვი აიყვანონ და გაზარდონ, ზოგიერთ ქვეყანაში კი მათ ეს ეკრძალებათ. ასეთი ტიპის ოჯახებში რა მორალურ-ზნეობრივი და რელიგიური აღზრდა უნდა ჩაუტარდეთ „შვილებს“?

ბავშვის რელიგიური აღზრდა მშობლების მხრიდან მრავალწლიან შრომას მოითხოვს. ეს არის კონკრეტული რელიგიის დოგმებისა და ისტორიის, ტრადიციების, სწავლების ერთობლივი სინთეზი, რომელიც მოზარდის აზროვნებაში ნელ-ნელა ილექება ქვეცნობიერად. ამ ყველაფრის სწრაფად, „შოკური თერაპიის“ მსგავსად, მიწოდება მოზარდისათვის არ შეიძლება, ვინაიდან მივიღებთ უკუ შედეგს. ცეცხლთან ახლოს მისვლა წვავს, ხოლო საჭირო დისტანციაზე ყოფნა – ათბობს ადამიანს.

ძირითადად იკვეთება სამი ვარიანტი ბავშვის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბების მხრივ:

1. თუ მშობლები არიან ერთი რელიგიის მიმდევრები და მატარებლები, როგორც წესი, ბავშვიც ამ რელიგიის მიმდევარი ხდება. საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა მშობელს ცალსახად აძლევს უპირატეს უფლებას, თავისი შვილის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მონაწილეობა მიიღოს. ეს, ზოგადად, ყველაზე საუკეთესო ვარიანტია.

2. თუ მშობლები არიან სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, იგულისხმება, რომ მშობლები ნაკლებ რელიგიურები არიან, რადგან მონოთეისტური რელიგიები კრძალავენ სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანებთან ქორწინებას. ასეთ ოჯახებში ბავშვის რელიგიის განსაზღვრა დამოკიდებულია მშობლების ურთიერთშეთანხმებაზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციიდან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აზრსა და პოზიციას. ძირითადად, ასეთი საკითხები (კონფლიქტური) წყდება სასამართლოს მეშვეობით.

3. სხვადასხვა ქვეყანაში მოზარდის ნაწილობრივი, ან სრული ქმედუნარიანობის ასაკობრივი ზღვარი სხვადასხვაა. ძირითადად, ეს ასაკი მერყეობს 14-დან 18 წლამდე.

ნაწილობრივი, ან სრული ქმედუნარიანობის უფლების მოპოვებით, ანუ ასაკობრივი ცენზის მიღებით, მოზარდი, უკვე კანონმდებლობის საფუძველზე, თვითონ წყვეტს, იყოს ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარი, ანუ აკეთებს არჩევანს, შეიცვალოს, მიიღოს, ანუ უარყოს ესა თუ ის რელიგია. მას, ამავე დროს, რჩება უფლება, იყოს ათეისტი.

ლიტერატურა:

1. Adamianis uflebebisa..., 1991 – adamianis uflebebisa da tavisuflebis dasatsavad, Tbilisi, 1991.
2. Adamianis uflebata konventsia, 2004 – Aadamianis uflebata da dziritad tavisuflebata datsvis konventsia. Tbilisi, 2004.
3. Avaliani, 1993 – Avaliani S., Metsnieruli antologia da teologia: „religia“, №10, №11, Tbilisi, 1993.
4. Akhali aghtqma, Tbilisi, 2003.
5. Biblia, 1989 – Biblia, sakartvelos sapatriarkos gamotsema, Tbilisi, 1989.
6. Bumisi, 2007 – I Panaotis Bumisi, Kanonikuri samartali, Tbilisi, 2007.
7. Gaeros dokumentebi, 1995 – Gaeros dziritadi dokumentebi adamianis uflebata datsvis sferoshi. Tbilisi, 1995.
8. Garold, 2008 – Garold J., Vera i zakon. Primirenie prava I religii. Moskva, 2008.
9. Religiebi saqartveloshi, 2008 – Religiebi saqartveloshi, Tbilisi, 2008.
10. Religiuri tavisufleba, 2004 – Religiuri tavisufleba, Tbilisi, 2004.
11. Religiis filosofiis problemebi, 1995 – Religiis filosofiis problemebi, Tbilisi, 1995.
12. Robersi, 2011 – Rrobersi G., Sakhelmtsifo da eklesia evrokavshiris tsevr kveknebshi, meore gamotsema, Tbilisi, 2011.
13. Pomazanski, 2006 – Protopresviteri M. Pomazanski, Dogmaturi ghvtismetkveleba, Tbilisi, 2006.
14. Qshutashvili, 2008 – Qshutashvili A., Religiis sagani sakhelmtsifo zogadsaganmanatleblo skolebis programashi, demokratiuli sazogadoebis autsilebeli atributi. zhurn. „logosi“, №5, 2008.
15. Samokalaqo kodeksi, 2007 – Sakartvelos samokalako kodeksi, 2007 tslis noembris mdgomareobit, „advokati meokhi“, №15.
16. Shengelia, Shengelia, 2009 – Shengelia R., Shengelia E., Saojakho samartali, Tbilisi, 2009.
17. Simanski, 2011 – Simanski G., kristianuli ojakhi, Tbilisi, 2011.
18. Vashakmadze, 2011 – Vashakmadze Z., Tanamedrove kartuli saeklesio samartali, Tb., 2011.
19. Vivekananda, 1996 – Svami Vivekananda, Jnana-ioga, Tbilisi, 1996.

Zaza Vashakmadze

THE ROLE OF FAMILY IN CREATION OF CHILD'S RELIGIOUS CONSCIOUSNESS ACCORDING TO INTERNATIONAL LAW

Presented by Religion Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The present issue is very significant by diversity of its features. On one side the family understanding with theological-legal scope, on the other side religious image and comprehension in creation of a child's religious consciousness. In this direction it should be noted that on the level of national legislation the various states has different situation, since it depends on specified influence of religion in concrete state. The international conventions and declarations contain general statements and represent all of them in equal situation. If we take local legislations of concrete countries we will observe the different picture. Some religions with strong financial support from the state take prevailing place in the country. The international conventions clearly shape up the role of the family in formation of minor's religious consciousness that is protected by national legislation.

The minor's choice of religious orientation in most cases up to mature age depends on parents religion orientation and leading religion of local area.

Upon achieving the mature age the person is given the right to make decision and choose concrete religion and belief.

არჩილ მეტრეველი

რუის-ურბნისის ადგილობრივი საეკლესიო კრების „პირველი კანონის“ შესახებ (კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი)

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტმა

ქართული კანონიკური სამართლის (ასევე, ქართული სამართლის, ფილოლოგიისა და ისტორიის) მეცნიერებაში ყველაზე მეტად ცნობილი ძეგლი – რუის-ურბნისის ადგილობრივი საეკლესიო კრების (1104 წ.) „ძეგლისწერა“, შინაარსიის მაღალი საღვთისმეტყველო ღირსებითა და სამეცნიერო კვლევის აქტუალობით, დღემდე საგულისხმო მნიშვნელობას ინარჩუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი მრავალმხრივ იქნა შესწავლილი ისტორიული, ფილოლოგიური თუ სამართლის მეცნიერებათა კუთხით, ის დღემდე საჭიროებს რიგ საკითხთა უფრო სიღრმისეულ და განსხვავებული მეთოდოლოგიით კვლევას. პარადოქსია, მაგრამ ძეგლი, რომელიც უპირველესად ღვთისმეტყველების – კანონიკური სამართლის სფეროს მიეკუთვნება, სწორედ ამ მეცნიერების მიერაა ყველაზე ნაკლებად (შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არაა) შესწავლილი. ფუნდამენტური კანონიკურ-სამართლებრივი კვლევის არარსებობა წარმოადგენს უმთავრეს ხელისშემშლელ გარემოებას იმისათვის, რომ ძეგლმა ჩვენს თანამედროვეობაშიც დაიკავოს ის საეკლესიო სამართლებრივი სიმაღლე, რაც მას საქართველოს ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ეკავა და რაც მისი დიდი სჯულის კანონის ქართულ რედაქციაში ჩართვით გამოიხატებოდა. „ძეგლისწერის“ სათანადო შესწავლა საწინდარი იქნებოდა მისთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისა არა მარტო თანამედროვე ქართულ რეალობაში, არამედ კანონიკური სამართლის მეცნიერებაშიც მთელი მართლმადიდებლური სამყაროს მასშტაბით.

ჩვენს მცირე ნარკვევში, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით ყველა იმ საკითხის განხილვას, რაც ამ ძეგლთან დაკავშირებით კანონიკურ-სამართლებრივ შესწავლას საჭიროებს. კვლევის მიზანია დამუშავდეს ძეგლის კანონიკური ნაწილის მუხლობრივი, კანონებად დაყოფის პრობლემა, უფრო კონკრეტულად კი, ვიმსჯელებთ „ძეგლისწერის“ „პირველი კანონის“ შესახებ და შევეცდებით, დავადგინოთ, თუ რომელი ტექსტი უნდა ჩაითვალოს ძეგლის პირველ კანონად.

რუის-ურბნისის ადგილობრივი საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ ტექსტი ორიგინალში მუხლობრივად დაყოფილი არ არის და ასეთი დაყოფა მხოლოდ XIX-XX საუკუნეების ქართველ მკვლევრებს ეკუთ-

ვნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მკვლევრებს ამ ძეგლის კანონებად დაყოფისას უხელმძღვანელიათ, უპირატესად, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური (სასვენი ნიშნები, კავშირები, საწყისი სიტყვა-ტერმინები და სხვ.) და, იშვიათად, შინაარსობრივი, ხოლო არც ერთ შემთხვევაში საღვთისმეტყველო, კანონიკურ-სამართლებრივი კატეგორიებით. ამის შესახებ პირდაპირ წერს ივ. ჯავახიშვილი, რომელიც მიმოიხილავს რა ძეგლის პირველი გამომცემლების – გ. (მ.) საბინინისა და თ. ჟორდანიას მიერ თხუთმეტ კანონად დაყოფილ ტექსტს, არ ეთანხმება მკვლევრებს და თხუთმეტის ნაცვლად ჩვიდმეტ დადგენილებას (მუხლს) გამოყოფს. ამასთან, საკუთარი კვლევის მეთოდად და დასკვნის მტკიცებულებად ტექსტის გრამატიკულ თავისებურებებს ასახელებს: „დადგენილების მუხლობრივ დანაწილებას თვით ენაც ამჟღავნებს და ყოველთვის, როცა შინაარსის მხრივ ახალი დადგენილება იწყება, თავში შესაფერისი, ერთგვარად გამომყოფელი და ყურადღების მიმზიდველი სიტყვებია ხოლმე ნახმარი [მაგ.: და პირველად (...), ამასთანავე (...), ხოლო (...), მერმეცა (...), კუალად (...), შემდგომად ამათსა (...), ვინაითგან (...) და სხვ.] (...). ამ დაკვირვების შემდგომ საფიქრებელია, რომ §5 უნდა ორ მუხლად გაიყოს, რომელთაგან პირველი ნაწილი სამღვდელო ჭურჭელთა და შეწირულობათა ხელუხლებლობის საზოგადო დაკანონებას შეიცავს, მეორე ნაწილი კი იწყება „ხოლო“-თი, რომელსაც წინ:. სასვენი ნიშანი უზის და ამ დადგენილების დამრღვეველთათვის დაწესებულ სასჯელს შეიცავს. ამგვარადვე საფიქრებელია, რომ ძეგლისწერის შემდგენელთ §6 ორ მუხლად ჰქონიათ ნაგულისხმევი და პირველი ნაწილი გვირგვინთა კურთხევის საზოგადო წესებს შეიცავს, მეორე კი, რომელსაც თავში ამნაირადვე „ხოლო“ უძღვის და წინ: . სასვენი ნიშანი უზის, გვირგვინ კურთხევის შემდგომად მიღებულ წესებს ეხება. შესაძლებელია ამ დადგენილებათა დამარღვეველთათვის სასჯელის შესახებ ცნობაც ცალკე §-ად იყოს ნავარაუდები, რადგან იგიც, ნიშნითა და „ხოლო“-თი არის წაძღვანებული“ (Javakhishvili, 1982: 57-58). აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ გაკეთებული ტექსტოლოგიურ-გრამატიკული ანალიზი, უდავოდ, მნიშვნელოვანი და საგულისხმოა, მაგრამ მხოლოდ ძეგლის ფილოლოგიური შესწავლისათვის. რაც შეეხება მის სამართლებრივ შესწავლას (და ტექსტის ცალკეულ კანონებად დაყოფა, უპირატესად, სწორედ სამართლებრივი შესწავლაა), ამ შემთხვევაში მხოლოდ მსგავს მეთოდებზე დაყრდნობამ შესაძლოა უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს. ეს შემთხვევა სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითია, რადგან გრამატიკულად ზედმიწევნით სრულყოფილ ანალიზზე დაყრდნობით ერთმენეთისგან იმიჯნება, უფრო სწორად კი, შუაზე იხლიჩება ერთი მთლიანი კანონიკური ნორმა (ნორმები), რომელიც ასეთი გაყოფის შემთხვევაში აზრს და სამართლებრივ ხასიათს კარგავს. სამართლის მეცნიერებისათვის უცხოა

სამართლის ნორმის ასეთი სახის დაყოფა, მეტიც, ეს გაუმართლებელია, რადგან სანქცია (სასჯელი), რომელიც ნორმის (დისპოზიციით გათვალისწინებული ქცევის მოდელის) დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობაა, იმავე ნორმის შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია. მთლიანი ნორმისგან გამოყოფით კი მას, უბრალოდ, მნიშვნელობა ეკარგება. ის ვერ იქნება გამოყენებული როგორც დამოუკიდებელი სამართლის ნორმა, დამოუკიდებელი კანონი (რაც ტექსტის კანონებად დაყოფის მიზანია), რომლის გამოყენებაც შესაძლებელი უნდა იყოს სხვა კანონებისგან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში კი სხვა (წინა) კანონის გარეშე, უბრალოდ, გაუგებარი იქნება რა სახის ურთიერთობას უნდა შეეფარდოს, ანუ რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული ეს კანონი.

ზემოთ მოხმობილი მაგალითი წარმოადგენს იმის თვალსაჩინო მტკიცებულებას, თუ რამდენად სცილდება კანონიკურ-სამართლებრივ და, შესაბამისად, საღვთისმეტყველო გააზრებას „ძეგლისწერის“ მსგავსი მეთოდებით შესწავლა. კვლავაც გავიმეორებთ, რომ ასეთი სახის კვლევები, უდავოდ, იძლევა ფილოლოგიურ, ისტორიულ და სამართლის მეცნიერებათათვის სასურველ და საშურ შედეგებს, მაგრამ არა ღვთისმეტყველებისათვის, არა კანონიკური სამართლისათვის. სწორედ მსგავსი, რბილად რომ ვთქვათ, არასრულყოფილი სამეცნიერო კვლევის შედეგია ის უმთავრესი პრობლემა, რომლის შესახებ მსჯელობაც ამ ნარკვევის მიზნად დავისახეთ და რომელსაც პირობითად „პირველი კანონი“ ეწოდება.

როგორც უკვე აღინიშნა, „ძეგლისწერა“ ხელნაწერში ცალკეულ კანონებად დაყოფილი არ არის (Zhordania, 1897: 54). პირველად მუხლებად დაყოფილი ტექსტი გ. (მ.) საბინინის რედაქციით გამოიცა პეტერბურგში 1882 წელს, ნაშრომში საქართველოს სამოთხე (Saqartvelos samotkhe, 1882: 482-493). ამ გამოცემაში ტექსტი თხუთმეტ კანონადაა დაყოფილი და მისი პირველი კანონი შემდეგი შინაარსისაა: „პირუჱლად ეპისკოპოსნი (... ვერ) ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღუდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირუჱლისა მის მწყემს მთავრისანი, განვკუთენით და უცხო ვყუჱნით მღუდელობისაგან; ვინაჲდგან არა წმიდისა შეხება სიწმიდ(ვ)ითა არა უცდომელობა არს და მახლობელი ღუთისა, მახლობელ ცხოველისა არს და უხმს, რათა ყოვლითურთ ოქრო იყოს; ხოლო არა კრულ ვიყუჱნით და არა შევაჩუჱნენით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყუჱნით, უკეთუ ოდენ ამიერიდგან მმარხველ იყუნენ სიწმიდისა და ნაცულად მათდა სხუანი დავადგინენით, რომელსა ჰასაკისაგან და საქმეთაგანცა აქუნდა (რწმუნება) წამება და კეთილად განეწუართნეს ხორცნი დამორჩილებად სულისა“[2] (Saqartvelos samotkhe, *1882: 486*).

2 ახ. ქართ.: „პირველად განვკვეთეთ და მღვდლობის პატივი ჩამოვართვით ისეთ

უკვე შემდგომ „ძეგლისწერის“ ტექსტი მრავალგზის იქნა შესწავლილი და მუხლობრივად, ცალკეულ კანონებად დაყოფილი. ივ. ჯავახიშვილმა ტექსტი ჩვიდმეტ კანონად დაყო (Javakhishvili, 1982: 53-58), კ. კეკელიძემ – თხუთმეტ კანონად (Kekelidze, 1951: 570-571), თ. ჟორდანიამ, ასევე, თხუთმეტ კანონად (Zhordania, 1897: 54-72), ი. დოლიძემ – თექვსმეტ კანონად (Dolidze, 1970: 106-127), ე. გაბიძაშვილმა კი – ცხრამეტ კანონად (Gabidzashvili, 1978: 89-91). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დასახელებული მკვლევარი ზემოთ ციტირებულ ტექსტს გასაოცარი ერთსულოვნებით, დამოუკიდებელ კანონად გამოყოფს და რიგითობით „პირველად“ ასახელებს. ამასთან, ვერცერთ მათგანთან ვერ ვხვდებით ამ ტექსტის „კანონად“ სახელდების არგუმენტებს.

ჩვენი აზრით, მეცნიერულად გაუმართლებელია ამ ტექსტის დამოუკიდებელ კანონად გამოყოფა, რადგან ის არც ხასიათით, არც შინაარსით და არც სტრუქტურული აგებულებით სამართლის ნორმას არ წარმოადგენს და ამდენად, მისი გამოყენება, როგორც დამოუკიდებელი კანონისა, შეუძლებელია. სამართლის კლასიკური თეორიის მიხედვით, „ძეგლისწერის“ ეს ნაწილი ვერ იქნება განხილული სამართლის ნორმად ორი მიზეზით: პირველი არის მისი შინაარსი, ანუ ის ენობრივი ფორმა, რომლითაც ეს ტექსტია შედგენილი, ხოლო მეორე – მისი სტრუქტურული აგებულება.

ტექსტის ენობრივი ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამართლის მეცნიერებაში, სამართლის თეორიის მკვლევრებს შორის კამათს არ იწვევს ჭეშმარიტება, რომ სამართლის ნორმა წარმოადგენს პრესკრიფციულ-„ჯერარსულ“ წინადადებას. ეს ნიშნავს, რომ სამართლის ნორმა არის ენობრივი ფორმით გადმოცემული აზრობრივი სტრუქტურა, რომელიც კონკრეტული ჰიპოთეტური პირობებისა და გარემოებების შესაბამისად აყალიბებს გარკვეულ ქცევის მოდელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც „ჯერარსი“ კატეგორია, სამართლის ნორმა ჩამოყალიბებულია მსჯელობის სახით. ეს მსჯელობა შესაძლოა გადმოვცეთ შემდეგი ფორმულით: **„თუ - მაშინ“**, რაც გულისხმობს – „თუ“ არსებობს კანონით, სამართლის ნორმით წინასწარგანსაზღვრული პირობები და გარემოებები, „მაშინ“ უნდა მოვიქცეთ ამავე ნორმით წინასწარგანსაზღვრული ქცევის მოდელის შესაბამისად. პროფ. გიორგი

ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და უღირსნი არიან პირველი მწყემს მთავრის ქრისტესი, რადგან სიწმინდის შეხება არაწმინდისაგან არ შეიძლება. ღმრთის ახლოს მყოფი - ცეცხლის ახლოს მყოფია, და აუცილებელია, რომ სუფთა ოქრო იყოს. ასეთნი არ შეგვიკრავს, არ შეგვჩვენებია, ღმერთმა ნუ ქნას! არამედ უბრალო ერისკაცებთან ერთად ზიარების უფლება მივეცით, თუ ამიერიდან სიწმინდეს შეინახავენ. მათ ნაცვლად დავადგვინეთ სხვები, ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი, რომლებმაც კეთილად გამოაწრთეს ხორცი და დაუმორჩილეს სულს“ (Didi sjulis kanoni, 2009: 440).

ხუბუა ამის შესახებ წერს: „ნორმა ეს არის ენობრივი ფორმით მოცემული აზრობრივი სტრუქტურა. ნორმა პრესკრიფციული წინადადებაა. ნორმა განსხვავდება დესკრიფციული წინადადებისაგან, რომელიც მხოლოდ ფაქტებს აღწერს. დესკრიფციული წინადადების შინაარსს აყალიბებს არსი და არა ჯერარსი. ნორმა ადგენს იმას, რაც „უნდა იყოს“. ნორმის შინაარსს აყალიბებს ჯერარსი - სამართლის ნორმა არის ჰიპოთეტური ჯერარსული წინადადება“ (Khubua, 2004: 50).

როგორც ვხედავთ, მკვლევართა მიერ „პირველ კანონად“ სახელდებული ტექსტი ვერ იქნება დამოუკიდებელი კანონი, სამართლის ნორმა, რადგან ის არის არა პრესკრიფციული, არამედ ერთმნიშვნელოვნად დესკრიფციული წინადადება. განსაკუთრებული სამეცნიერო მსჯელობა არ ჭირდება იმის დამტკიცებას, რომ ზემომოყვანილი ტექსტი, თავისი ენობრივი გადმოცემის ფორმით, წარმოადგენს „არს“ წინადადებას (წინადადებებს), სადაც აღწერილია, თუ რა მოხდა და არა ის, თუ რა უნდა მოხდეს. მეტი თვალსაჩინოებისთვის დავსვამთ კითხვას – რა ჰიპოთეტური გარემოებების, ანდა პირობების არსებობის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული „პირველი კანონი“? ცხადია, ასეთი გარემოებებისა და პირობების დასახელება შეუძლებელია, რადგან ტექსტის შინაარსი მათ უბრალოდ არ შეიცავს. ამდენად, ამ ნიშნით „პირველი კანონი“ კანონად ვერ ჩაითვლება.

მეორე ნიშანი, რომელსაც სამართლის ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს, რათა შესაძლებელი იყოს მისი დამოუკიდებელი და მრავალჯერადი გამოყენება, არის მისი სტრუქტურული აგებულება. როგორც აღვნიშნეთ, სამართლის ნორმა არის ჯერარსული წინადადება, რომელიც სტრუქტურულად ორი ძირითადი (აუცილებელი) ელემენტისგან – ჰიპოთეზისა და დისპოზიციისაგან შედგება. აქედან პირველი – ჰიპოთეზა, წინ უსწრებს დისპოზიციას და წარმოადგენს რა სამართლის ნორმის სტრუქტურული აგებულების საწყისს, გადმოგვცემს იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და პირობებს, რომელთა დადგომის (არსებობის) შემთხვევაშიც ეს ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული. ხოლო მეორე – დისპოზიცია – ნორმის სტრუქტურულ აგებულებაში ჰიპოთეზის შემდეგ დგას და ადგენს ქცევის იმ მოდელს, რომელიც ჰიპოთეზით გათვალისწინებული გარემოებების ანდა პირობების დადგომის (არსებობის) შემთხვევაში უნდა შესრულდეს. ამ ორი ელემენტის არსებობა და შესაბამისი სტრუქტურული განლაგება წარმოადგენს სამართლებრივი ხასიათის ტექსტის სამართლის ნორმად ქცევის აუცილებელ წინაპირობას. ზოგიერთ შემთხვევაში ნორმა შეიძლება შეიცავდეს მესამე ელემენტს – სანქციას, ანუ ნორმის დისპოზიციით დადგენილი სავალდებულო ქცევის მოდელის დარღვევის ან შეუსრულებლობისათვის განსაზღვრულ პასუხისმგებლობას (პასუხისმგებლობის სახეს, ფორმას და ზომებს) (General Theory… 2009: 30-50).

ცხადია, „პირველი კანონი“ ვერც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რამდენადაც მასში ჰიპოთეზისა და დისპოზიციის (ასევე სანქციის) არარსებობა აპრიორი გამორიცხავს მათ სტრუქტურულად მართებულ განლაგებას. შესაბამისად, ამ ნიშნითაც მოცემული ტექსტი სამართლის ნორმად ვერ ჩაითვლება.

ჩვენ სამართლის კლასიკური თეორიის უდავო არგუმენტებით დავამტკიცეთ, რომ „ძეგლისწერის“ ტექსტის მოცემული ნაწილი სამართლის ნორმად და, შესაბამისად, დამოუკიდებელ კანონად ვერ ჩაითვლება. თუმცა, იმისთვის, რომ ჩვენი მსჯელობა სამართლის თეორიის სეკულარული ფარგლებით და კანონიკური სამართლის მეცნიერების მხოლოდ ქართული გამოცდილების კვლევით არ შემოისაზღვროს, ვეცდებით, ჩვენი დასკვნა მეტი საღვთისმეტყველო – ზოგადი კანონიკურ-სამართლებრივი არგუმენტებითა და მაგალითებით გავამყაროთ.

ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლის უმთავრესი წყარო – დიდი სჯულის კანონი (კონსტანტინეპოლის პატრიარქ ფოტიოსის თოთხმეტტიტულოვანი ნომო-კანონი) თავის თავში აერთიანებს უამრავ საეკლესიო კანონს, რომლებიც ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად, შემდგენელთა მიხედვით, შინაარსით, ფორმით და სხვა ნიშნებით განსხვავდება. ეს მრავალფეროვნება ქმნის იმ უნიკალურ სისავსეს, რაც კანონიკურ სამართალს სხვადასხვა სახის პრობლემის, მათ შორის, თეორიული საკითხების, გადასაწყვეტად აუცილებელ ძალმოსილებას ანიჭებს. საინტერესოა, გვხვდება თუ არა დიდი სჯულის კანონში მსგავსი დესკრიფციული სახის ტექსტი, რომელიც საეკლესიო კანონის ავტორიტეტით სარგებლობს.

კონსტანტინეპოლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების (381 წ.) მეოთხე კანონში ვკითხულობთ: „მაქსიმე კინიკელისა და მის მიერ კონსტანტინეპოლში ჩადენილი უწესობის შესახებ ვამბობთ, რომ მაქსიმე არც ყოფილა ეპისკოპოსი და არც არის, ხოლო მის მიერ ხელთდასხმულნი არ ითვლებიან სამღვდელოებად, ანუ კლერიკოსებად. ყოველივე მის მიერ ქმნილი უქმია და დაუმტკიცებელი“ (didi sjulis kanoni, 2009: 105). მოცემული ტექსტი, ერთი შეხედვით, მართლაც ჰგავს დესკრიფციულ წინადადებას, რომელიც, უბრალოდ, მომხდარი ფაქტის კონსტატაციას ახდენს, უფრო მეტად კი ერთგვარი „განცხადების“ ხასიათს ატარებს. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რეალურად კი, ამ კანონს გააჩნია ყველა ის ნიშან-თვისება, რაც სამართლის ნორმას უნდა გააჩნდეს. კანონი გარკვევით ადგენს, რომ იმ პირის მიერ შესრულებული ხელთდასხმა, რომელსაც ეპისკოპოსის სამღვდელო ხარისხი არ გააჩნია (მაქსიმე არც ყოფილა ეპისკოპოსი და არც არის), ბათილია და ამის მაგალითად მაქსიმე კინიკელის შემთხვევას ასახელებს. შესაბამისად, ყოველთვის, როცა ვინმე ეპისკოპოსის ხარისხის არმქონე პირი მოახდენს ხელთდასხმას, მოცემული

კანონის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ეს ხელთდასხმა გაუქმდეს, გაბათილდეს. ჩვენს შემთხვევაში კი ტექსტში გადმოცემული სიტყვები: *„ეპისკოპოსებს, რომლებიც ღირსეულად ვერ ატარებენ მღვდელმთავრობის პატივს და ულირსნი არიან პირველი მწყემს მთავრის ქრისტესი“* (didi sjulis kanoni, 2009: 440), იმდენად ზოგად შეფასებას იძლევა, რომ შეუძლებელია რაიმე კონკრეტული გარემოების ან თუნდაც გარემოებების მიმართ იქნეს მისადაგებული.

მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების ციტირებული კანონი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ერთადერთ კანონს, რომელთან კავშირშიც შესაძლებელია ჩვენ მიერ დასმული პრობლემის ზოგად კანონიკურ-სამართლებრივ ჭრილში განხილვა. თუმცა, ეს მაგალათი სრულიად საკმარისია ჩვენი არგუმენტების წარმოსაჩენად და, ამასთან, ნარკვევის ფორმატიც ყველა შესაძლო ანალოგიის განხილვის საშუალებას არ იძლევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი დიდ სჯულის კანონში მაინც იძებნება (თუმცა, ჩვენ ასეთს ვერ ვასახელებთ) „ძეგლისწერის“ ტექსტის იდენტური კანონი, ეს ვერ იქნება ჩვენი დასკვნის საწინააღმდეგო არგუმენტი, რადგან ამ შემთხვევაში, უბრალოდ, სახეზე იქნება ორი ან მეტი პრობლემა. დიდი სჯულის კანონში შემავალი საეკლესიო სამართლის ძეგლები, თავის მხრივ, ასევე სტრუქტურულად რთულად აგებულ ტექსტებს წარმოადგენენ, რაც სხვა სირთულეებთან ერთად, მათი მარტივად და პირდაპირ გაგების იმგვარ დაბრკოლებას ქმნის, რომ მისი გადალახვა მხოლოდ სიღრმისეული საღვთისმეტყველო და ისტორიული განათლების მკვლევრებს ძალუძთ. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის განმარტებები, რომლებიც ყველა საუკუნეში საეკლესიო კანონთა მართებულად გაგებისთვის იქმნებოდა და იქმნება.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ განვითარებული მსჯელობა არგუმენტირებულად ამტკიცებს, რომ რუის-ურბნისის ადგილობრივი საეკლესიო კრების „პირველი კანონის“ სახელით ცნობილი ტექსტი მრავალი ნიშნით ცილდება საეკლესიო კანონის და, ზოგადად, სამართლის ნორმის კლასიკურ ფორმებს და როგორც დამოუკიდებელი კანონი, ის განხილული ვერ იქნება. თუმცა, რჩება კითხვა – „ძეგლისწერის“ რა ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ ეს ტექსტი?

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ტექსტი არ წარმოადგენს კანონიკური სამართლის დამოუკიდებელ ნორმას, დამოუკიდებელ საეკლესიო კანონს და მეტიც, ის საერთოდ არ განიხილება როგორც კანონი ან ნორმა, უდავოა, რომ მას გარკვეული სამართლებრივი ხასიათი მაინც გააჩნია. აღწერს რა ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, იგულისხმება სასულიერო იერარქიის სამღვდელო ხარისხიდან განკვეთა, რაც ერთმნიშვნელოვნად კანონიკურ-სამართლებრივი მოვლენაა, „ძეგლისწერის“ მოცემული ნაწილი შინაარსობრივად ემიჯნება

როგორც მის შესავალს, ასევე დასასრულს – სინოდიკონს და ძეგლის კანონიკურ ნაწილს მიეკუთვნება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოცემული ტექსტის გამოყოფა კანონებისგან და მისი განხილვა, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი განჩინებისა, რომელიც აღწერს ადგილობრივი საეკლესიო კრების მიერ განხორციელებული მართლმსაჯულებითი ღონისძიების შედეგებს – ერთგვარი სასამართლო გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, შეხსენებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ საეკლესიო კრებები, მათ შორის, ადგილობრივ ეკლესიათა სინოდებიც, საკანონმდებლო უფლებამოსილებასთან ერთად, კანონიკურ-სამართლებრივ პრობლემებთან მიმართებით მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილებითაც არიან აღჭურვილი, ანუ ერთდროულად წარმოადგენენ ეკლესიის საკანონმდებლო და სასამართლო (ასევე აღმასრულებელ) ორგანოს. ამასთან, მსგავსი პრაქტიკა მართლმადიდებელი ეკლესიის კრებათა გამოცდილებას სრულიად შეესაბამება. მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო და ადგილობრივი კრებები, საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად, ყოველთვის ასრულებდნენ სასამართლოს ფუნქციასაც (იქნებოდა ეს ერესიარქების განკვეთა-შეჩვენება თუ სასულიერო პირთა დასჯა-გამართლება), რაც დოკუმენტურად ყოველთვის დამოუკიდებლად ფორმდებოდა, როგორც „კრების საქმეები“. „საქმეები“ და კანონები, დოგმატებთან ერთად, საეკლესიო კრების მოღვაწეობის სისავსეს წარმოადგენენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთი მთლიანი დოკუმენტის სახითაა შემონახული, თუმცა, მათ შორის, ისევე როგორც კანონებსა და დოგმატებს, ან „საქმეებსა“ და დოგმატებს შორის, კანონიკურ-სამართლებრივი ხასიათის მიხედვით, ტოლობის ნიშანი არასდროს დასმულა.

ლიტერატურა:

1. An Overview…2007 – An Overview of Orthodox Canon Law. Prof. Dr. Panteleimon Rodopoulos Metropolitan of Tyroloeand Serention. Orthodox Research Institute. Rollinsford, New Hampshire. 2007.
2. Didi sjulis kanoni, 2009 – Didi sjulis kanoni, gamomc: „natlismcemeli“, Tbilisi, 2009.
3. Dolidze, 1970 – dolidze I., Qartuli samartlis dzeglebi, VI tomi, sakartvelos metsnierebata akademiis gamomcemloba, Tbilisi, 1970.
4. Gabidzashvili, 1978 – Gabidzashvili E., Ruis-urbnisis krebis dzeglistsera, gamomc: „mecniereba“, Tbilisi, 1978.
5. General Theory… 2009 – General Theory of Law and State. Hans Kelsen. Third printing. Clark, New Jersey, 2009.
6. Javakhishvili, 1982 – Javakhishvili Iv., Tkhzulebebi, VI tomi, sak. ssr metsnierebata akademia, Tbilisi, 1982.

7. Kekelidze, 1951 – Kekelidze K., Dzveli kartuli literaturis istoria, I tomi,tbilisis sakhelmtcifo universitetis gamomtsemloba, tbilisi, 1951.
8. Khubua, 2004 – Khubua G., Samartlis teoria, gamomc: „meridiani“, Tbilisi, 2004.
9. Kanonicheskoe Pravo, 2009 – Kanonicheskoe Pravo. Prot.V. Tsipin. Izdatelstvo Sretenskogo monastiria, Moskva, 2009.
10. Lektsii po tserkovnomu pravu, 2004 – Lektsii po tserkovnomu pravu. Prot. B.G. Pevtsov. Izdatelstvo Saratovskoy eparkhii. 2004.
11. Orthodox Canon Law, 2006 – Orthodox Canon Law. Prof. Dr. P. Viscuso. Inter Orthodox Press. Berkeley, California. 2006.
12. Saqartvelos samotkhe, 1882 – Saqartvelos samotkhe. g. (m.) sabinini, saimperio metsnierebata akademiis gamomtsemloba, peterburgi, 1882. akh. gamotsema - gamomts: „diadema“, Tbilisi, 2010.
13. The Rudder, 1957 – The Rudder (Pedalion). St. Nicodemus of the Holy Mountain (1749-1809). English version: D. Cummings. Orthodox Christian Educational Society Press. Chicago, Illinois. 1957.
14. Zhordania, 1897 – Zhordania T., Kronikebi da skhva masala sakartvelos istoriisa da mtcerlobisa, II tsigni, mukhran-batonis gamomcemloba, Tbilisi, 1897.

Archil Metreveli

“THE FIRST CANON“ OF THE RUIS-URBNISI LOCAL COUNCIL (GEORGIA, 1104 A. D.). CANONICAL ANALYSIS

Presented by Religion Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The object of the present research is the most famed Georgian canonical decree - the Decree of the Ruis-Urbnisi local council (Georgia, 1104 a.d.), more specifically that part of the Decree text, which by Georgian scholars is named as „The Firs Canon“.

Original text: „*For the first time we depose from office and deprived the priest hood those bishops, who cannot bear the bishop crank worthy and are unworthy to the First Shepherd – the Christ, as the purity must not*

be touched by impurity. Everyone who is close to the God – is close to the fire, and it is necessary to be the purest gold. We didn't anathematize them, God forbid! But we let them to receive the Communion with lay men, if they keep the purity. In their place we ordinated others which are reliable through age and deeds, which trained their flesh and obeyed to the Soul".

We believe that this text is significantly distanced from the classical forms of the Ecclesiastical Canon and the Legal Norm. It doesn't have either the Prescription form (but it is the Description sentence), or the structural constitution (Hypothesisand Disposition), which is essential for the legal norm. Consistently it cannot be considered as independent canon (canonical resolution).

Despite the fact, this text does not present an independent ecclesiastical canon, it still has certain legal nature. Describing the fact of punishment (deposition from office) of hierarchy by the local Church council, it presents the legal decision of the Church court.

Accordingly, the present text of the Decree of the Ruis-Urbnisi local council must be considered as the Decision of the Church Court, which has canonical (legal) nature, belongs to the Canonical part of the Decree text, but through its essences separated from the Ecclesiastical Canons.

ქეთევან პავლიაშვილი

საეკლესიო მოდერნიზაციის თავისებურებები აფხაზეთში (XX ს-ის 10-20-იანი წლები)

1917 წლის სახელმწიფო გადატრიალება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიისათვის როგორც პოლიტიკური, ისე ეკლესიური ცვლილებების თვალსაზრისით. რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე ღრმა კრიზისმა, რომელმაც ერთგვარად განსაზღვრა იმპერიის კრახი, ეკლესია მიიყვანა დასკვნამდე, რომ მის წიაღში სერიოზული რეფორმები უნდა გატარებულიყო. რუსეთის სასულიერო დასი ახალ, ბურჟუაზიულ ხელისუფლებას თანამშრომლობას სთავაზობდა და ახალი რუსული სახელმწიფოს იდეოლოგიის ფუნქციას ჰპირდებოდა.

რუსეთის ეკლესია სახელმწიფო გადატრიალების დასრულებისა და დროებითი მთავრობის ფორმირებისთანავე მის სამსახურში ჩადგა და სანაცვლოდ პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენა მოითხოვა (Pavliashvili, 2008: 253-254). თავის მხრივ, ახალი ხელისუფლებისთვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ეკლესიის სახელისუფლებო პოზიციას და დროებითმა მთავრობამაც არ დააყოვნა – 1917 წლის გაზაფხულზე აღადგინა რუსეთის საპატრიარქო ინსტიტუტი თავის ისტორიულ უფლებებში. მიუხედავად ეკლესიის ამ დიდი მონაპოვრისა, სამღვდელოებას წინ დიდი განსაცდელი ელოდა, რომლის მიზეზიც სახელმწიფოში განვითარებულ რთულ პოლიტიკურ კატაკლიზმებში იყო საძიებელი.

ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში მიმდინარე ძალთა გადანაწილებისათვის (ბოლშევიკური და მენშევიკური ძალები) ბრძოლამ და ამ ნიადაგზე განვითარებულმა სამოქალაქო ომმა უკიდურესად დააძაბუნა ახალი მმართველობის სისტემის გზაზე მდგომი ქვეყანა; შესაბამისად, რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა რუსული ეკლესიაც. მას ისედაც მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი: ახლად აღდგენილი საპატრიარქო ინსტიტუტის ადმინისტარციულ-მმართველობითი აპარატის მოწყობა, ახალი სისტემის შესაბამისი იდეოლოგიის ფორმირება, ყოფილ იმპერიაში შემავალი მართლმადიდებლური ეკლესიების (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია) სამომავლო მდგომარეობის განსაზღვრა.

რუსეთის ეკლესიის მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთა მოვიდა. ამ უკანასკნელმა რადიკალურად განსხვავებული სახელმწიფო წყობის (სოციალისტური

წყობილება) მშენებლობა დაიწყო, რომლის იდეოლოგია ათეისტური იყო და, შესაბამისად, გმობდა ყველა სახის რელიგიას, განსაკუთრებით კი, მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის ავტორიტეტის მითვისებისათვის თავდაუზოგავად იბრძოდა კომუნისტური პარტია (Pavliashvili, 2008: 439-440).

იმპერიულ ორგანიზაციებს შორის საეკლესიო ორგანიზაცია ხელისუფლებისათვის ყველაზე საინტერესო და რთული ასათვისებელი აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობამ იმთავითვე დაიწყო საგანგებო ,,საეკლესიო კურსის“ შემუშავება. ამ გზაზე მის წინაშე დადგა ორი ამოცანა: 1. ეკლესიის სრული ლიკვიდაცია და 2. საეკლესიო მოდერნიზაცია. პირველი კურსის გატარების ინიციატორი იყო ლენინ-ტროცკის ბანაკი, ხოლო მეორის – სტალინი. საბჭოთა ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გამოააშკარავა, თუ რომელმა კურსმა გაამართლა ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფოს ავტორიტეტის დამკვიდრება.

ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ძვრები შესაბამის ცვლილებებს ითხოვდა სახელმწიფოს მიერ დასახულ ,,საეკლესიო კურსში“. ამ ცვლილებების ირგვლივ ორივე ბანაკს საკუთარი ხედვა გააჩნდა: ლენინ-ტროცკის პოლიტიკა უკიდურესად ხისტი იყო და რელიგიის სრული ლიკვიდაციისაკენ მიმართული, რაც მორწმუნე საზოგადოების უკმაყოფილებასა და საბჭოთა სისტემისადმი მტრულ დამოკიდებულებას იწვევდა. მიმდინარე გარემოება აშკარად ითხოვდა რადიკალურ ცვლილებას საეკლესიო კურსში. ეს ეტაპი სტალინური საეკლესიო პოლიტიკის დასაწყისს უკავშირდება, რომელიც ფრთხილი, წინდახედული და ეკლესიისადმი ე.წ. კომპრომისული თვისებით ხასიათდება. სტალინური საეკლესიო კურსი, ათეისტური ორიენტაციის უარყოფის გარეშე, ითვალისწინებდა ეკლესიაში რადიკალურ რეფორმაციას საბჭოთა ქვეყნის მშენებლობაში მისი ჩართვის მიზნით. XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ეკლესიის ფუნქციის გააზრება და მისი საბჭოური ინტერესებისათვის გამოყენება, საბჭოთა საზოგადოებაში საბჭოეთის ავტორიტარიზმის დამცველ-გამტარებლად ეკლესიის გადაქცევა. აღნიშნული პროცესი 30-იანი წლების შუა პერიოდში დასრულდა და ეკლესიაც საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის აქტიურ მონაწილედ ჩამოყალიბდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების მანძილზე ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ ,,ახალ რუსეთში“ ემოქმედა მხოლოდ ,,ახალ ეკლესიას“, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს გამოწვევას მისი ინტერესებიდან გამომდინარე უპასუხებდა.

საეკლესიო მოდერნიზაციის ამოცანა იყო საბჭოთა მთავრობის ერთგული სამღვდელოების ფორმირება, რომელიც ოპონირებას გაუწევდა

ტრადიციულ სამღვდელოთა ჯგუფს. „ერთგული სამღვდელოების“ დაჯგუფება უნდა მორგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს პროგრამას. ამ გზით მეცადინეობის პროცესში მათ საფუძველი დაუდეს ე.წ. „განახლების მოძრაობას“. ეს უკანასკნელი იხსენიებოდა: რეფორმაციულ, პროგრესისტულ, რევოლუციურ მოძრაობად ეკლესიაში. საბჭოთა მთავრობის შეკვეთით, „განახლების მოძრაობა“ უნდა განვრცობილიყო სახელმწიფოში შემავალ ყველა ნაციონალურ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე (Pavliashvili, 2008: 446-447).

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ თვითმოწესეობა აღიდგინა (1917 წ. 12 მარტი), რუსეთის ეკლესიის მიერ უარყოფილ იქნა და ის მაინც დამოუკიდებლად მოქმედებდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში იძულებით აღმოჩნდა, მისი ეკლესია, ნებსით თუ უნებლიედ, იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკური ძვრების გვერდით, საეკლესიო პროცესებსაც განიცდიდა და ცენტრიდან მომდინარე დირექტივების აღსრულება მისთვის შეუქცევადობით იყო განპირობებული.

საქართველოს ტერიტორიაზე „განახლების მოძრაობა“ სერიოზული სახასიათო თავისებურებებით მიმდინარეობდა. „მოძრაობამ“ თავის თავში რამდენიმე ამოცანა გააერთიანა: 1. საქართველოს ეკლესიის მოდერნიზაცია და მისი მოდერნიზებულ რუსულ ეკლესიაზე დაქვემდებარება; 2. რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ნაციონალური უფლებით ავტოკეფალიის აღიარება; 3. საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი სასაზღვრო რეგიონების მართლმადიდებელი არაქართველი მრევლის რუსიფიკაცია რუსული მართლმადიდებლობის ნიშნით.

საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ რუსული „განახლების მოძრაობის“ იდეებმა წარმატებას მხოლოდ არაქართული სამრევლოების ნაწილში მიაღწია.

1. საეკლესიო მოდერნიზაციის იდეის წანამძღვრები საქართველოში რუსეთის სახელმწიფო გადატრიალებისთანავე გაჩნდა და ის უკავშირდება დეკანოზ იოანე ლოზოვოის დაჯგუფების მოღვაწეობას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების მოპოვების საწინააღმდეგოდ აღმოცენებულ რუსულ საეკლესიო ორგანიზაციაში – „კავკასიის საეგზარქოსოში“ (1917 წ.) იოანე ლოზოვოის ჯგუფი, სხვა დაჯგუფებებისაგან განსხვავებით, მრავალრიცხოვნობით გამოირჩეოდა. 1919 წელს ჯგუფში განხეთქილება მოხდა,[3] რის შედეგადაც საქართველოს

[3] დეკანოზ ლოზოვოის ჯგუფს ცალკე მიმართულებებად გამოეყვნენ დეკანოზი ალექსანდრე რაზუმოვსკი და დეკანოზი ნიკოლოზ სმირნოვი. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა მომდინარეობდა საეკლესიო მოდერნიზაციისადმი დამოკიდებულებიდან. აღნიშნული დაჯგუფებები ანტიქართული სახელმწიფოებრივი პროპაგანდის ბრალდებით, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მომქმედ „Закавказская Русь“-ის ორგანიზაციასთან კავშირის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ქვეყნიდან განდევნა

არაქართველ სამღვდელოებაში ურთიერდაპირისპირებული ბანაკი გაჩნდა: ტრადიციული ეკლესიის მიმდევრები, ე.წ. „ტიქონოველები“[4] და ე.წ. პროგრესისტი საეკლესიო მოდერნიზაციის მომხრენი – „განმაახლებლები“ (Cincadzis fondi, saqme 102: 98; saqme 247: 7). იოანე ლოზოვოის ჯგუფი ამ უკანასკნელი მიმართულების მაღიარებელი იყო. 1922 წელს მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საეკლესიო დროებითი მმართველობის ორგანო – „რუსული მართლმადიდებელი სამრევლო საბჭოების საბჭო“ (Cincadzis fondi, saqme 247: 5-6), რომლის იურისდიქციაში შევიდა საეკლესიო მოდერნიზაციის მომხრე არაქართველი მრევლი. ისინი არ აღიარებდნენ არც საქართველოს პატრიარქის და არც რუსეთის ტრადიციული ეკლესიის კანონიერებას. სწორედ „განმაახლებელთა“ მეცადინეობით მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიაში მოდერნიზაციული პროცესის დანერგვისათვის მუშაობა (Cincadzis fondi, saqme 102: 94-95), რომელსაც ლოზოვოის დაჯგუფება მიზანმიმართულად ეწეოდა. მის მიერ შექმნილი „განმაახლებელთა საბჭო“ ხელისუფლებამ ბაქოს „განმაახლებელ“ ეპისკოპოსს პეტრე სერგეევს დაუქვემდებარა (Cincadzis fondi, saqme 247: 6-8). 1924 წლის თებერვლიდან ლოზოვოი რუსული „განახლებული“ სინოდის რწმუნებულად დაინიშნა საქართველოსა და სომხეთის რუსულ სამრევლოებში და იქ საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესის გატარება დაევალა (Cincadzis fondi, saqme 247: 15).

„განახლების მოძრაობას“ საქართველოში ორი ძალა უწევდა წინაღმდეგობას: 1. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და 2. „ტიქონოველთა“ ჯგუფის რუსი სამღვდელოება (Cincadzis fondi, saqme 102: 6-20). საქართველოს ეკლესიის რეაქცია პრინციპული და დიპლომატიური იყო, რაც შეეხება „ტიქონოველებს“ – ის უფრო ხისტი და მკვეთრად დაპირისპირებული ხასიათით გამოირჩეოდა. „განმაახლებლები“ არა თუ ქართულ, არამედ არაქართულ მრევლშიც ვერ აღწევდნენ წარმატებას, რის გამოც 20-იანი წლების შუა ხანებიდან მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს. მათ განიზრახეს „განახლებულ სინოდზე“ დაქვემდებარებულ სამრევლოებში აღედგინათ საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა (Cincadzis fondi, saqme 242: 33-34). „განახლების მოძრაობის“ წმინდა სინოდის მიერ წამოყენებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი (1927 წ.) განპირობებული იყო მხოლოდ იმ სირთულეების დაძლევით, რომლებიც „განახლების მოძრაობას“ შეექმნა საქართველოში.

რუსეთის წმინდა სინოდის მიერ წამოყენებული წინადადება საქა-

და თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარი და რიყის ქუჩაზე მდებარე ეკლესია დახურა (kheca, საქმე 68: 54; „Saqartvelo“, 1919: 26).

[4] „ტიქონოველები“ – რუსეთის ეკლესიის პატრიარქის ტიქონის საეკლესიო მოწყობის მომხრეები.

რთველოს ეკლესიამ უარყო და მოითხოვა, რომ მას მისცემოდა შესაძლებლობა ეზრუნა თავის ტერიტორიაზე არსებულ ყველა მართლმადიდებლურ სამრევლოზე განურჩევლად ეროვნებისა, რითიც დადასტურდებოდა საქართველოს ეკლესიისადმი წმინდა სინოდის განსხვავებული საეკლესიო პოლიტიკა უწმინდესი სინოდის პოლიტიკისაგან (KHECA: 137). ,,განმაახლებელთა" სინოდის წინადადებაზე – საბჭოეთის ტერიტორიაზე მართლმადიდებელ ეკლესიათა მოწყობა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების მაგალითისამებრ – საქართველოს ეკლესიის თანხმობა მომასწავებელი იქნებოდა მისი უფლების შეზღუდვის დაკანონებისა, რაც, ფაქტობრივად, ქართველი სასულიერო დასისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

საქართველოს ეკლესიის მტკიცე პოზიციამ, საქართველოს არაქართველი მართლმადიდებლების მისწრაფებამ საქართველოს ეკლესიისაკენ და რუსეთის ეკლესიაში მიმდინარე განხეთქილებამ დააჩქარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესი (UICSA, saqme 1: 6). რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. სინოდის საერთო კრებაზე მოსკოვში (1927 წ. 30. 1-5. II) (KHECA: 134-135) ცნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თბილისისა და სოხუმის ეპარქიის ჩათვლით, რაც შეეხება რუსულ სამრევლოებს, მათ უნდა შეენარჩუნებინათ საეკლესიო ცხოვრების ეროვნული ელფერი დებულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში (Sinodis utskebata krebuli, 1927: 26-27).

2. საქართველოში არსებული ,,განახლების მოძრაობის" სამრევლოების საქართველოს საკათალიკოსოს შემადგენლობაში გადასვლის პროექტი 1927 წლის 9 მაისს საბჭოთა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რის საფუძველზეც თბილისის საეპარქიო მმართველობა გადაკეთდა რუსულ მართლმადიდებელ სამრევლოთა საეკლესიო მმართველობად საქართველოს საკათალიკოსოს ფარგლებში (Cincadzis fondi, saqme 247: 24). საქართველოში რუსული მართლმადიდებელი სამრევლოების დამოუკიდებელმა მმართველობამ 30-იანი წლების შუა ხანებამდე იმოქმედა. მას შემდეგ, როდესაც ,,განახლების მოძრაობამ" თავისი ფუნქცია ამოწურა, რუსეთის ეკლესია საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში ჩადგა, ხელისუფლებამ ,,განმაახლებლებისადმი" ინტერესი დაკარგა, დაიწყო მათი რეპრესიები, რასაც დეკანოზი იოანე ლოზოვოიც შეეწირა (SSSA, saqme 2277; 463: 34).

საქართველოს სასულიერო დასის დამსახურებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა ,,განახლების მოძრაობის" დაჯგუფება, მათთან ქართველ სამღვდელოებას ლოცვითევქარისტული კავშირი არ ჰქონია (Cincadzis fondi, saqme 242: 45).

საქართველოს ,,განმაახლებლური მოძრაობის" განსაკუთრებული ინტერესი ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებისაკენ იყო მიმართული.

ამ მხრივ, მათთვის ყველაზე წარმატებული რეგიონი აფხაზეთი აღმოჩნდა.

3. რუსული თვითმპყრობელობის ბატონობის პერიოდში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ აფხაზეთი ჩამოშორებოდა დედა ეკლესიას, მომხდარიყო მისი რუსიფიკაცია, მრევლის ასიმილაცია იმპერიის რუსულ მართლმადიდებლურ მოსახლეობასთან. ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო 1905-1907 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის დროს და კულმინაციას მიაღწია 1916 წლის საგანგებო პროექტის შექმნით (Pavliashvili, 2000: 60-66). აღნიშნული პროექტის თანახმად, უწმინდესი სინოდი შეუდგა აფხაზეთში საეკლესიო რეფორმის გატარებას: ბერძნების 10 და რუსების 5 სამრევლო საქართველოს ეკლესიას ჩამოაშორეს და შავიზღვისპირეთის ეპარქიას დაუქვემდებარეს (SSSA, saqme 1319: 78-82; 10, 61) მიუხედავად ამისა, აფხაზეთის საზოგადოების დედა-ეკლესიასთან ერთობის ცნობიერებას დეგრადირება არ განუცდია და მასთან დაბრუნების საკითხს ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აყენებდა. აღნიშნული ბრძოლის შედეგი იყო 1918 წლის აქტი, რომლის ძალითაც აფხაზეთში საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია აღსდგა (Pavliashvili, 2000: 83, 152). აფხაზეთის არაქართველი სამღვდელოება ამ ფაქტს სხვადასხვაგვარად შეხვდა: ერთმა ნაწილმა საქართველოს ეკლესიას თანადგომა გამოუცხადა, მეორემ კი რუსეთის ეკლესიაზე გააკეთა არჩევანი (SSSA, saqme 956: 6).

„განახლების მოძრაობის“ დაწყებისთანავე, აფხაზეთში ამ მხრივ ხელისუფლებამ ფართომასშტაბიანი მუშაობა გაშალა. 1922 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით, ხელისუფლება აფხაზეთში მხოლოდ ორ და ისიც „განმაახლებელთა“ მონასტერს – ახალ ათონსა და დრანდას აღიარებდა (Pavliashvili, 2005: 15). აფხაზეთში სამღვდელოება და მრევლი სამ ეკლესიას შორის აღმოჩნდა გადანაწილებული – საქართველოს საკათალიკოსოს, რუსეთის ტრადიციულ („ტიქონეველები“ – ქ. პ.) და „განახლებულ“ რუსულ წმინდა სინდს შორის (Cincadzis fondi, saqme 247: 13-14, 20).

ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავარი იოანე (მარღიშვილი) კომპლექსური ღონისძიებებით ცდილობდა აფხაზეთის რუს-ბერძენ-აფხაზი მრევლის საქართველოს ეკლესიის წიაღში გაერთიანებას. მას დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა ხელისუფლებასთან, ცდილობდა სოხუმის საკათედრო და დანარჩენ ტაძრებში ღვთისმსახურების აღვლენას ქართულ, სლავურ, ბერძნულ და აფხაზურ ენებზე, სამრევლო საბჭოში გააერთიანა სხვადასხვა ეთნოსის აფხაზეთში მოღვაწე მღვდელმთავრები და ა.შ. (SSSA, saqme 1319: 1, 11, 47). მღვდელმთავრის ეროვნულ პოზიციას თავდაუზოგავად ებრძოდა „განახლების ჯგუფი“, რომელიც, მეორე მხრივ, ბრძოლას აწარმოებდა აფხაზეთში მოღვაწე „ტიქონოველების“

წინააღმდეგაც. ამ ორი ძალის შერკინების თეატრონად იქცა სოხუმის საკათედრო ტაძარი, რომლის ეროვნული ეკლესიისათვის შენარჩუნებაში დიდი წვლილი მიუძღვის მიტროპოლიტ იოანეს (მარღიშვილი) (SSSA, saqme 1319: 69-70; saqme 308: 187).

1927 წლის ზემოხსენებულმა აქტმა „განახლების მოძრაობის“ გააქტიურება გამოიწვია აფხაზეთში; მასიური ხასიათი შეიძინა აფხაზეთის „ტიქონოველთა“ გადასვლამ „განმაახლებელთა დაჯგუფებაში“ (Cincadzis fondi, saqme 247: 28). „განმაახლებელთა“ ჯგუფის შევსებამ და ახალი კადრის მიზიდვისაკენ სწრაფვამ მის წინაშე რეფორმების გატარების საკითხი დააყენა (Cincadzis fondi, saqme 247: 29). დეკანოზმა იოანე ლოზოვოიმ 1927 წელს „განმაახლებელთა“ წრეში განიხილა რუსულ მმართველობაზე დაქვემდებარებული აფხაზეთის ეკლესიების მდგომარეობა და აუცილებელ რეფორმებზე გაამახვილა ყურადღება. „განმაახლებელთა“ შეფასებას მოჰყვა „პასიური“ სასულიერო პირების თანამდებობიდან გათავისუფლება და მათი „აქტიური“ მღვდლებით ჩანაცვლება (Cincadzis fondi, saqme 247: 29).

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში შექმნილ რთულ საეკლესიო ვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ეროვნული ფაქტორიც. აფხაზეთის რუსული სამრევლოების პროტესტს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში ყოფნაზე, კიდევ უფრო ამწვავებდა ეთნიკური ქიშპის ატმოსფერო, რომელსაც ხელოვნურად და მიზანმიმართულად აწარმოებდნენ რუსი არქიელები, ბერ-მონაზვნობა. ეს უკანასკნელნი ვერ ეგუებოდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ მდგომარეობას, მისი იურისდიქციის აღდგენას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში (SSSA, saqme 1319: 78-80).

რაც შეეხება „განახლების მოძრაობის“ აფხაზეთში გააქტიურებას, ის რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული:

1. აფხაზეთში მოღვაწე რუსი სამღვდელოების ჰეგემონური უფლების მოპოვების სურვილი;

2. აფხაზეთის ეპარქიის რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში გადაცემისათვის მუშაობა;

3. „განახლების დაჯგუფების“ მმართველობის დაკანონება აფხაზეთში (1927 წლის აქტი), რაც მისი საქართველოს ეკლესიასთან შეერთების შედეგი იყო;

4. აფხაზეთის მართლმადიდებელი მრევლის გაუცნობიერებლობა ეკლესიის წიაღში მიმდინარე რთულ პროცესებზე;

5. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის პასიური დამოკიდებულება.

„განახლების მოძრაობა“ თავისი ხასიათით არა რელიგიური, არამედ პოლიტიზირებული მოძრაობა იყო. ის თავის თავში უამრავ მიმდინარეობას მოიცავდა, რომელთა შორის საეკლესიო მოდერნიზაციაზე,

მის მეთოდოლოგიასა და მუშაობის ტაქტიკაზე განსხვავებული აზრის გამო, მჭიდრო თანამშრომლობა ვერ ხერხდებოდა. მოძრაობის ანარქიული ხასიათი ასუსტებდა დასახული მიზნის განხორციელების ტემპსა და შედეგუნარიანობას. ,,მოძრაობის'' მიმდინარეობათა საეკლესიო მოდერნიზაციისადმი ჭრელი მოსაზრებები საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო კურსს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა, ამიტომ მთავრობისათვის მისაღები იყო ის დაჯგუფება, რომლის ტაქტიკა სწრაფად მოუტანდა წარმატებულ შედეგს ხელისუფლებას; შესაბამისად, ეს უკანასკნელი ცალკეული დაჯგუფების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა და მათი ,,მოძრაობაში'' გაერთიანებისათვის იბრძოდა.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ,,განახლების მოძრაობისადმი'' თვალსაჩინო თანადგომისა, დროთა განმავლობაში აშკარა ხდებოდა ,,მოძრაობის'' წარუმატებლობა. ,,განმაახლებლები'' პრაქტიკულად ვერ ართმევდნენ თავს ეკლესიის წინაშე დასახული რეფორმების გატარების საქმეს, მაგრამ თეორიულად არ უარყოფდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის მოდერნიზაციის იდეას.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან სახელისუფლებო საეკლესიო კურსში ახალი ეტაპი დაიწყო. მთავრობამ მიაღწია ეკლესიის დამცრობას, შეიტანა მასში განხეთქილება, მაგრამ ახალი პრობლემის წინაშე დადგა: მის მიერ ფორმირებულ ,,განახლების მოძრაობას'' საზოგადოების მხრიდან არ მოჰყვა სათანადო გამოხმაურება, შესაბამისად, ვერც ,,ცოცხალმა ეკლესიამ'' ვერ მოიპოვა მრევლში ნდობა და ავტორიტეტი. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნის განხორციელებისათვის ახალი გზების ძიება დაიწყო. ამ პროცესს სათანადო ალღო აუღო ტრადიციულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ – შეცვალა ხელისუფლებასთან ხისტი დამოკიდებულება ლოიალური პოლიტიკით. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლების თვალში ,,განახლების მოძრაობამ'' ბუნებრივად დაკარგა მნიშვნელობა, რადგან თავად ტრადიციული ეკლესია აღმოჩნდა მთავრობის მიზნის აღმსრულებელი და ეკლესიაში მოდერნიზაციის გამტარებელი.

მიმდინარე ვითარებას მოჰყვა 1935 წელს ,,განახლების მოძრაობის'' სინოდის გაუქმება, დაიხურა მათი სასულიერო სასწავლებლები (მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში), შეწყდა პერიოდული გამოცემები, მათი ეპარქიები დაუბრუნდნენ ,,პატრიარქის ეკლესიის'' წიაღს. შესაბამისი პროცესები განვითარდა საქართველოშიც. აფხაზეთში ,,განახლების მოძრაობისადმი'' დაქვემდებარებულმა ,,რუსულ სამრევლოთა მმართველობამ'' არსებობა შეწყვიტა 1937 წელს. საეკლესიო კანონმდებლების თანახმად, ,,მმართველობა'' საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციას დაექვემდებარა.

სამამულო ომის პერიოდში ,,განახლების მოძრაობის'' წევრები ისევ ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის აღდგენას

და ევაკუირებული „განმაახლებელი“ არქიელებისათვის თავშესაფარს ითხოვდნენ, რაზეც საქართველოს საკათალიკოსომ კატეგორიული უარით უპასუხა. აღნიშნულის მიზეზად, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) მღვდელმთავრების მიერ კანონიკური პრინციპების დარღვევას ასახელებდა („განმაახლებელი“ იერარქები ცოლოსანი მღვდელმთავრები იყვნენ – ქ. პ.).

სამამულო ომის გარდატეხის წლებში (1943 წ.-დან) „განახლების მოძრაობის“ დაჯგუფებები ანტირუსულ ძალებად გამოცხადდნენ. მასიური ხასიათი შეიძინა მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით და კონკრეტულად აფხაზეთში „განმაახლებლური“ ჯგუფების რეპრესიების პროცესმა, რამაც „განმაახლებლების“ დაქვემდებარებაში მყოფ არაქართველ მრევლს პრობლემები შეუქმნა. ისინი სულიერი მწყემსმთავრის გარეშე დარჩნენ. ეს ვითარება განსაკუთრებულ საფრთხეს საქართველოს სასაზღვრო ტერიტორიებს უქმნიდა, რადგან „განმაახლებელთა“ მრევლს დასაშვები იყო არ მოესურვებინა მართლმადიდებელი ტრადიციული ეკლესიის წიაღში დაბრუნება და, შესაბამისად, საქართველოს საკათალიკოსოს იურისდიქციაზე დაქვემდებარება. აღნიშნულიდან გამომდინარეობდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს თხოვნა ხელისუფლებასთან აფხაზეთის მრევლის სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მუშაობის დაჩქარების შესახებ.

ამრიგად, XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა იმპერიაში განხორციელებული საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესი მეტ-ნაკლები წარმატებით დასრულდა – მოხდა საბჭოური ეკლესიის, ე.წ. „წითელი ეკლესიის“ ფორმირება, ეკლესია ჩადგა საბჭოთა სისტემის მშენებლობის სამსახურში. შესაბამისად, „განახლების მოძრაობამ“ ამოწურა თავისი მისია, რომლის ლიკვიდაციაში ერთ დროს მისმა მშობელმა საბჭოთა სახელმწიფომ აქტიური როლი შეასრულა.

საქართველოს ეკლესია, რუსეთის ეკლესიისაგან განსხვავებით, საეკლესიო მოდერნიზაციის საქმეში კონსერვატორული აღმოჩნდა. თუ „განახლების მოძრაობამ“ რუსეთის ეკლესიის წიაღში დესტაბილიზაცია შეიტანა, საქართველოს ეკლესიაში ამ მოვლენამ ფეხი ვერ მოიკიდა. „განახლების მოძრაობის“ ასპარეზი მხოლოდ აფხაზეთის არაქართველი მრევლი გახდა, მაგრამ მოდერნიზაციის იდეამ წარუმატებლობა განიცადა საქართველოს მოსახლეობაში ტრადიციული მართლმადიდებლობის მაღალი ავტორიტეტის გამო. „განახლების მოძრაობის“ მიღება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის უაღრესად საშიში მოვლენა იყო, რაც შესანიშნავად გაიაზრა როგორც სასულიერო დასმა, ისე მრევლმა. აღნიშნულის გამო იყო, რომ ამ ანტისაეკლესიო, ანტიკანონიკურმა და ანტიეროვნულმა მოძრაობამ საქართველოს ეკლესიასა და მის მორწმუნე საზოგადოებაზე ზემოქმედება ვერ მოახერხა. საბჭოთა იმპერიაში მიმდი-

ნარე საეკლესიო მოდერნიზაციის პროცესისგან თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა „განახლების მოძრაობა“ და თავისი მოღვაწეობა 30-იანი წლების შუა ხანებში კრახით დაასრულა.

ლიტერატურა:

1. Pavliashvili, 2005 – Pavliashvili Q., Akhali atonis simon kananelisa da tsminda atonis „rusikis“ monastrebis urtiertmimartebis sakitkhi (XIX-XX ss.), zhur. sapatriarqo utskebani, №20, 2005.
2. Pavliashvili, 2000 – Pavliashvili Q., Saqartvelos martlmadidebeli eklesia 1917-1921 tslebshi, Tbilisi, 2000.
3. Pavliashvili, 2008 – Pavliashvili Q., Saqartvelos samociqulo martlmadidebeli eklesiis istoria (1800-1945), Tbilisi.
4. Sinodis utskebata krebuli, 1927 – Sruliad saqartvelos sakatalikoso sinodis utskebata krebuli, №1, 1927.
5. Saqartvelo, 1919 – gaz. „Saqartvelo“, 2. VII, 1919.

წყარო:

1. Cincadzis fondi, saqme 102 – KHECA, k. Cincadzis fondi, saqme 102.
2. Cincadzis fondi, saqme 242 – KHECA, k. Cincadzis fondi, saqme 242.
3. Cincadzis fondi, saqme 247 – KHECA, k. Cincadzis fondi, saqme 247.
4. KHECA (khelnatserta Erovnuli Centris Arqivi), saqme 68 – KHECA, V. Karbelashvilis fondi, saqme 68.
5. SSSA, saqme 308 – SSSA (Sruliad Saqartvelos Sapatriarqos Arqivi), saqme 308.
6. SSSA, saqme 956.
7. SSSA, saqme 1319.
8. SSSA, saqme 2277; 463.
9. UNICA, saqme 1 – UNICA (Uakhlesi Istoriis Centraluri Sakhelmtsifo Arqivi), fondi 1879, anats. 1, saqme 1.

Ketevan Pavliashvili

PECULARITIES OF CHURCH MODERNIZATIONES IN ABKHAZIA (THE 20-s OF XX CENTURY)

Summary

Church modernization process implemented in the Soviet Empire in 20-30-s of the XX century was completed with more or less success – with formation of Soviet church, so called „red church"; the church became a part of Soviet system. Accordingly, „Renovation Movement" exhausted its mission with the help of its former founder, the Soviet Empire".

Georgian church, unlike Russian one, was conservative regarding modernization case. If „Renovation Movement" succeeded in destabilization of Russian church, the event could not be introduced in Georgian church. Renovation Movement was popular only among Abkhazian non-Georgian flock; renovation movement failed in Georgia due to high authority of Orthodoxy there. Acceptance of renovation movement was very dangerous for autonomy of Georgian church, what was adequately realized by both –clergy and flock. That was the reason for this anti-ecclesiastic and anti-national event not to influence religious part of the society. Remaining offside from current church modernization process taking place in Soviet Empire renovation movement ceased to exist with collapse in the middle of 30-s.

მღვდელი ალექსი ქშუტაშვილი

მევახშეობა და მისი მართლმადიდებლური კანონიკურ-ზნეობრივი ანალიზი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად საზოგადოებაში შემოსავლის ახალი ფორმები გაჩნდა: ფულის პროცენტული გასესხება, გირაო, ლომბარდი, საბანკო ბიზნესი და ა.შ. ბუნებრივია, მართლმადიდებელ მრევლში ჩნდება კითხვა, რამდენად გამართლებულია ქრისტიანული ზნეობის მხრივ მსგავს საქმიანობებში მონაწილეობა. სცოდავს თუ არა ადამიანი, რომელიც სალომბარდე ან საბანკო სისტემის თანამშრომელია, ან კერძო სახით ასესხებს პირად ფულს და მოგებული პროცენტებით ირჩენს თავს.

ძველი საეკლესიო ტერმინოლოგიით, ქონების პროცენტებით გასესხებას, ზოგადად, მევახშეობას ეძახიან (Gamosvlata 22: 24). მევახშეობაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია თავად ამ ტერმინის სწორი განსაზღვრა. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში განასხვავებს ვახშს, რომელიც ვალის სარგებლის უწესო სარგებელს ნიშნავს (Sulkhan-Saba Orbeliani, 1991a: 259), ვახშისგან, რომელიც წესიერი ვალის სარგებელიაო (Sulkhan-Saba Orbeliani, 1991a: 257). იგი, ასევე, განმარტავს, რომ „ვახში არის, ვინცა ვეცხლი და რაიცა სხვა ივალოს და წესიერი სარგებელი მისცესო“ (Sulkhan-Saba Orbeliani, 1991b: 50). ხოლო უწესო ვალის სარგებელთან აქვს მოცემული მინიშნება წმინდა წერილზე, კერძოდ, გამოსვლათა წიგნის 22-ე თავის 24-ე მუხლზე, სადაც წერია: „თუ ვინმეს, ჩემ ერისაგანს, ღარიბ-ღატაკს, ვერცხლს ასესხებ, მევახშესავით ნუ მოექცევი, სარგებელს ნუ დააწესებ“ (Biblia, 1989: 77). აქედან ისეთი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ უწესო ვალი გაჭირვებული ადამიანისგან საპროცენტო სარგებლის აღებას ნიშნავს. სხვა შემთხვევაში, თუ ღარიბ-ღატაკ ადამიანთან საქმე არ გვაქვს, როგორც ჩანს, მოვალისგან გარკვეული საპროცენტო სარგებლის აღება სულხან-საბა ორბელიანის დროს დანაშაულად არ მიიჩნეოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მოცემულია განმარტება, რას ნიშნავს სარგებლის სარგებელი, ანუ იგივე ვახში: „სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ გაჩნდების, არც ითხოების, არც მიეცემინების. რა რომ ერთი ორზე გარდასცილდების, სხვა სარგებელი აღარ გაუჩნდების“ (Qartuli samartlis dzeglebi, 1963: 513). აქედან ჩანს, რომ ვახში არა ნებისმიერ საპროცენტო სარგებელს, არამედ უზომოდ დიდს – გასესხებული თანხის 100% აცდენილ დანამატს ნიშნავდა.

აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმა უკრძალავდა ისრაიტელებს ვახშის აღებას ერთმორწმუნე თანატომელებისგან, მაგრამ უშვებდა ამ საქმეს

უცხოელებთან მიმართებით (Gamosvlata 22. 24; levitelta 25. 36-37; Meore sjulta 23. 20).

ახალი აღთქმის სწავლებით, მორწმუნე ქრისტიანი ყველა ადამიანთან მიმართებით ერთი და იმავე ზნეობის კანონებით უნდა ხელმძღვანელობდეს. სესხთან დაკავშირებით მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს, ,,გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ“ (ლუკა 6. 35) (Biblia, 1989: 1019).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ რომის იმპერიაში პროცენტით გასესხება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო. უკვე ქრისტიანი იმპერატორები ცდილობდნენ ან საერთოდ აეკრძალათ, ან კანონის გარკვეულ ჩარჩოებში მოექციათ ეს ძველი ჩვეულება. მაგალითად, წმინდა იუსტინიანე დიდი (VI ს.) ერთ-ერთ კანონში განაწესებდა, რომ თუ ვინმე დროულად არ შემოიტანდა გაჭირვებულებისთვის და ეკლესიების მშენებლობისთვის განკუთვნილ ანდერძით დატოვებულ თანხას, ექვსი თვის შემდეგ იმ ადამიანს მთლიან ვალთან ერთად შესაბამისი პროცენტების გადახდაც დაეკისრებოდა. დიდი ბიზანტიელი კანონისტები – წმინდა ფოტი კონსტანტინეპოლის პატრიარქი (VIII ს.) და ბალსამონი ანტიოქიის პატრიარქი (XII ს.) – ეთანხმებოდნენ და ადასტურებდნენ წმინდა იუსტინიანეს ასეთ გადაწყვეტილებას (Pidalion, 1999: 113). იმპერატორი ლეონ ბრძენი (X ს.) კანონთა ახალ კოდექსში – ბასილიკაში, ასევე, იძლეოდა ნებართვას სესხში გარკვეული საპროცენტო სარგებლის აღებისთვის (Daskov, 1999: 217).

საეკლესიო კანონები სასულიერო პირებს უმკაცრესად უკრძალავს მევახშეობას. მოციქულთა 44-ე, პირველი მსოფლიო კრების მე-17, მეექვსე მსოფლიო კრების მე-10, ლაოდიკიის კრების მე-4, კართაგენის კრების მე-5 და მე-20, ბასილი დიდის მე-14 და გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონები მევახშე სასულიერო პირებს განკვეთას განუწესებენ:

მაგალითად, ნიკეის პირველი მსოფლიო კრება განაჩენს, ,,ვინაიდან ბევრმა კლერიკოსმა ანგარება და მომხვეჭელობა შეიყვარა და დაივიწყა საღვთო წერილი, რომელიც ამბობს: ,,ვერცხლი მისი არა მისცა აღნადგინებად...“ (ფსალმ. 14. 5), და სესხი გასცა და მეასედს ითხოვს, ამიტომ წმინდა და დიდი კრება ადგენს, რომ ამის შემდეგ ვინც იმხილება გასესხებული თანხისთვის ვახშის აღებაში, ან სხვა ანგარებითი საქმიანობისათვის ფულის გაცემაში, ან გასესხებული თანხის ნახევრის ნამატის სახით მოთხოვნაში, ან სამარცხვინო მომხვეჭელობის მიზნით სხვა რაიმე ჩანაფიქრში, ასეთი პირი განიკვეთოს და უცხო ექმნეს სასულიერო დასს“ (Martlmadidebeli eklesiis..., 2007: 201).

ასევე, კართაგენის ადგილობრივი კრების მე-5 კანონში ნათქვამია: ,,სამღვდელო დასის წევრთაგან, დაე, ნურავის მიეცემა ნება ვახში აიღოს

რაც არ უნდა იყოს ნივთისაგან... რაც ერისკაცთა შორის გასაკიცხია, რაზომ უფრო დაგმობის ღირსია იმათ შორის, რომლებიც სამღვდელო დასს განეკუთვნებიან“ (Martlmadidebeli eklesiis..., 2011: 131-132).

წმინდა მამების ასეთი მკაცრი განჩინება იმითაც იყო განპირობებული, რომ როგორც ფრანგი მართლმადიდებელი კანონისტი მთავარეპისკოპოსი პეტრე ლუილიე აღნიშნავს, იმ საუკუნეებში სარგებლის საპროცენტო განაკვეთი ძალზე დიდი იყო (Arkhiepiskop, 2005: 151).

ძველი ქართული სამართალი ასევე ძალზე მკაცრად უდგებოდა მევახშეობას. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის სამართლის 46-ე კანონში წერია: „სარგებელი არც ქართველთ სჯულთა შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი არის უწესო. და თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს, - რაზომი დიდი ხანი დაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არც ამისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა“ (Qartuli samartlis dzeglebi, 1963: 420-421).

დაწყებული XVIII საუკუნიდან კაპიტალისტური სისტემის ჩანასახებთან ერთად ეკლესიის დამოკიდებულება საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით თანდათან უფრო მოქნილი ხდება. მაგალითად, სჯულისკანონის მცოდნე სასულიერო პირების მიერ შედგენილი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 125-ე კანონი განაწესებს: „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალი ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში ხუთშაურად; თუ სული ცოტად უყვარს – აბაზად; თუ უკეთ უყვარს – სამ შაურად; და თუ მართლა უყვარს – ორ შაურად. სულ უკეთესი ის არის, რომ სარგებელი სულ არ აიღოს“ (Qartuli samartlis dzeglebi, 1963: 513).

ასევე წმინდა ანთიმოზ ივერიელმა ყოველთა წმიდათა სახელობის მონასტრის ტიპიკონში (1713 წ.) დაადგინა, რომ მონასტერს შეეძლო წელიწადში შვიდი პროცენტის სარგებლით გაესესხებინა თანხები, მაგრამ იმ პირობით, რომ შემოსული ფული მხოლოდ ქველმოქმედებას უნდა მოხმარებოდა. „ფული არ უნდა იყოს გაჩერებული მოგების გარეშე“ – წერს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი წმინდა ანთიმოზ ივერიელი (Antim Ivireanul, 1997: 300).

XIX–XXI საუკუნეების ახალმა მსოფლიო ეკონომიკურმა სისტემამ მართლმადიდებელ ეკლესიასაც ჩამოუყალიბა დაწერილი თუ დაუწერელი ახალი კანონიკური პრინციპები საპროცენტო გასესხებასთან, ანუ „მევახშეობასთან“ დაკავშირებით. მაგალითად, საბანკო სისტემა, რომელიც ყველა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია, თავიდან ბოლომდე ფულის საპროცენტო სესხება-გასესხებაზეა დაფუძნებული. ისტორია უკვე იცნობს წმინდან ბანკირებსაც, რო-

გორც წმინდა ილია მართლის ჭავჭავაძის შემთხვევაშია. დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსები დაბანდებულია სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ბანკში. 1995 წელს მიღებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების XII თავის მე-14 პარაგრაფში ნათქვამია, რომ „საეკლესიო თანხები ინახება ბანკში შესაბამისი საეკლესიო დაწესებულების სახელზე“ (Saqartvelos samociqulo…, 2011: 207). წინა საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს საპატრიარქო თავადაც საკუთარი ბანკის მფლობელიც იყო. არც ერთი სასულიერო პირი არ უკრძალავს თავის მრევლს, ისარგებლონ ბანკებით ან მუშაობდნენ საბანკო სისტემაში და ა.შ. 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება, ასევე, არ უკრძალავს ეკლესიას საბანკო სისტემით სარგებლობას (Konstituciuri shetankhmeba…, 2011: 212).

საპროცენტო გასესხებაზეა დაფუძნებული თანამედროვე მსოფლიოს სოციალური დაცვის სისტემაც. კერძოდ, ადამიანები თავისი ყოველთვიური შემოსავლებიდან სახელმწიფოს თუ სხვა კერძო სტრუქტურებს ურიცხავენ გარკვეულ თანხას, რის სანაცვლოდაც ისინი ღებულობენ ჯანმრთელობის, საპენსიო, თუ სხვა სახის დაზღვევას. ანუ საბოლოოდ მიღებული თანხა, იდეაში, ბევრად აღემატება ადამიანის მიერ გადარიცხულ ფულს.

თანამედროვე მსოფლიოში ფული განიხილება, როგორც ჩვეულებრივი ქონება, რომელიც სახლის, ბინის, სახნავი მიწის, ავტომობილის, თუ სხვა რაიმე ნივთის მსგავსად შეიძლება იყოს გაქირავებული. რატომ არ არის ცოდვა ბინის გაქირავება, რომლის თვითღირებულებაც შეადგენს, ვთქვათ, 50.000 დოლარს და რატომ უნდა ითვლებოდეს მძიმე ცოდვად ათასი დოლარის ნაღდი ფულის ზომიერი პროცენტით გასესხება? რითი სცოდავს მარტოხელა პენსიონერი ქალი, რომელმაც გაყიდა თავისი საკუთარი ბინის ფართის ერთი ნაწილი, მიღებული თანხა გააპროცენტა და ამით უზრუნველყოფს თავისი გაჭირვებული ცხოვრების ელემენტარულ ხარჯებს? თუ მხოლოდ იმაშია მისი ცოდვა, რომ ის დიდ, ლამაზ და შუშებიან შენობაში არ ზის და მას ბანკირი არ ჰქვია?

რა თქმა უნდა, საპროცენტო გასესხებასთან დაკავშირებით სამ ასპექტში ეკლესიის ზნეობრივ-კანონიკური პრინციპები დარჩა უცვლელი:

1. ასეთი ტიპის საქმიანობა, ისევე, როგორც ნებისმიერი ბიზნესი აბსოლუტურად დაუშვებელია სასულიერო პირებისთვის, რომლებიც მოწოდებულები არიან, იზრუნონ ადამიანების სულიერ ცხონებაზე და მათ უნდა ჰქონდეთ შეუბღალავი რეპუტაცია, ხოლო ნებისმიერი ტიპის საქმოსნობა ითხოვს, ერთი მხრივ, დიდ დროსა და ენერგიას და მეორე მხრივ,

წარმოქმნის ბევრ კონფლიქტურ სიტუაციას. მაშასადამე, ასეთი მღვდელი კი არ ააშენებს, არამედ პირიქით, დააბრკოლებს და დაშლის მრევლს.

2. პროცენტი არ უნდა იყოს დიდი. რაც უფრო დაბალია გასესხების პროცენტი, მით უფრო რელიგიურად სწორი და გამართლებულია. ამავდროულად, მოგებული პროცენტი არ შეიძლება იზრდებოდეს უსასრულოდ, ის არ უნდა აღემატებოდეს გასესხებული თანხის ოდენობას, ან გასესხებული ნივთის თვითღირებულებას.

3. გაჭირვებულ, ღატაკ ადამიანებზე პროცენტით გასესხება დაუშვებელია.

ლიტერატურა:

1. Antim Ivireanul, 1997 – Antim Ivireanul, Opere, Editura „ Minerva “, Bucuresti, 1997.
2. Arkhiepiskop, 2005 – Arkhiepiskop Petr L´yuile. Pravila pervkhx chetirekh vselenskikh soborov. Izdanie Sretenskogo monastirya, Moskva, 2005.
3. Biblia, 1989 – Biblia, saqartvelos sapatriarqo, Tbilisi, 1989.
4. Daskov, 1999 – Daskov, S . B. Dictionar de Imparati Bizantini, Editura Encicopedica, Bucuresti, 1999.
5. Konstituciuri shetankhmeba…, 2011 – Konstituciuri shetankhmeba saqartvelos sakhelmtsifosa da saqartvelos samociqulo avtokefalur martlmadidebel eklesias shoris (2002), saqartvelos samociqulo eklesiis kalendari 2011, saqartvelos sapatriarqo, Tbilisi.
6. Martlmadidebeli eklesiis..., 2007 – Martlmadidebeli eklesiis kanonebi episkopos nikodimis (milashi) ganmartebebit, I tomi, gamomcemloba „alilo“, Tbilisi, 2007.
7. Martlmadidebeli eklesiis..., 2011 – Martlmadidebeli eklesiis kanonebi episkopos Nikodimis (Milashi) ganmartebebit, II tomi, gamomcemloba „alilo“, Tbilisi, 2011.
8. Pidalion, 1997 – Pidalion, Cu oranduirea noua si talcuiri de Arhimandrit Zosima Tarala si Iconom Stavro for Haralambie Popescu, Institutul de Arte Grafice „ Speranta “, Bucuresti, 1933.
9. Qartuli samartlis dzeglebi, 1963 – Qartuli samartlis dzeglebi, tomi I, vakhtang VI-is samartlis tsignta krebuli, teqstebi gamosca, gamokvleva da leqsikoni daurto prof. i. dolidze, saqartvelos ssr mecnierebata akademiis gamomcemloba, Tbilisi, 1963.
10. Saqartvelos samociqulo…, 2011 – Saqartvelos samociqulo avtokefaluri martlmadidebeli eklesiis martva-gamgeobis debuleba (1995), saqartvelos samociqulo eklesiis kalendari 2011, saqartvelos sapatriarqo, Tbilisi.

11. Sulkhan-Saba Orbeliani, 1991a – Sulkhan-Saba Orbeliani, leqsikoni qartuli, I tomi, saqartvelos mecnierebata akademia, avtografuli nuskhebis mikhedvit moamzada, gamokvleva da ganmartebata leqsikis sadzieblebi daurto ilia abuladzem, Tbilisi, gam. „Merani“, 1991.
12. Sulkhan-Saba Orbeliani, 1991b – Sulkhan-Saba Orbeliani, Leqsikoni qartuli, II tomi, saqartvelos mecnierebata akademia, k. kekelidzis sakhelobis khelnatserta instituti, avtografuli nuskhebis mikhedvit moamzada, gamokvleva da ganmartebata leqsikis sadzieblebi daurto ilia abuladzem, Tbilisi, gam. „Merani“, 1991.

Priest Aleksi Kshutashvili

LOAN WITH INTEREST AND ITS MORAL AND ORTHODOX CANONICAL ANALYSIS

Summary

When the Soviet Union collapsed and the new economic system was formed, new forms of income were appeared in the society: the loan with interest, gage, pawnshop, the banking business, etc. In Orthodox parish naturally emerges a question whether in Christian morality the participation in such activities is justified or not. The old church tradition rather negatively assessed in such practices considering such a source of income was immoral. It was deemed that the person should have earned his food by honest labor and not by benefiting from the stalemate situation of poor people. For example, the 5th law of Carthage local Council reads: „As regards the cupidity of greed, which is the mother of all evils, no one doubts that it must be checked, in order to prevent its misappropriating, things belonging to others, and to prevent anyone from transgressing the rules of the Fathers for the sake of profit, and to preclude any Cleric's getting (monetary) interest from anything in any manner whatever…For by the same token what is reprehensible among laymen ought much more to be condemned among Clergymen“.

Starting from the XVIII century, together with the gradual development of the capitalist system, the church's attitude to interest has been becoming more flexible. The canonical practice of the Church of those days, which has still preserved the power, allows to loan money or other property with interest considering the following four principles:

1. This type of activities, as well as any business is absolutely pro-

hibited for the clergy, who are called to take care about the salvation of people's souls and they should have good reputation and as any type of activities demands, on the one hand, the time and energy and on the other hand, rises many conflict situations, therefore, such a priest will not be able to build, but will be the reason of hindrance and dissolution of the parish.

2. The rate of interest shouldn't be high. The lower the interest the more religiously correct and justified it is. Also the interest cannot increase infinitely. It shall not exceed the loan amount or loaned property cost.

3. Poor people should not be charged with interest.

ენათმეცნიერება
LINGVISTICS

მზია გიგაშვილი

-ავ და -ამ თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება XIX საუკუნის I ნახევრის ძეგლთა ენის მიხედვით

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და კულტურის ინსტიტუტმა

-ავ და **-ამ** თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება ძველ ქართულში მკვეთრი თავისებურებებით ხასიათდება, რითაც ისინი სხვაობენ როგორც სხვა თემისნიშნიანი, ისე უთემისნიშნო ზმნებისაგან: I სერიის მწკრივებში ისინი ნარევ პარადიგმებს გვიჩვენებენ (სხვა მოქმედებითი გვარის ზმნები კი ერთ პარადიგმას მისდევენ), **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები წარმოდგენილია მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში, უწყვეტლის I-II პირებსა და I ბრძანებითის I-II პირებში თემის ნიშნისეული ხმოვანი **ე**-თი იცვლება, ხოლო უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში, ასევე უწყვეტლისა და I ბრძანებითის III პირებში **-(ა)ვ-ი//-(ა)მ-ი** ვარიანტები გვაქვს. როგორც ვხედავთ, უწყვეტელსა და I ბრძანებითში ნარევი სურათი გვაქვს – აქ რეალიზებულია როგორც **-ევ//-ემ**, ისე **-(ა)ვ-ი//-(ა)მ-ი** ფორმანტები. ასე რომ, თითოეულ ვარიანტს ძველ ქართულში მკაცრად განსაზღვრული პოზიციები აქვს და ეს პოზიციები არ იცვლება. ახალ ქართულში პარადიგმები გასწორდა და **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები სხვა ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნებს გაუთანაბრდა.

ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა წარმოებაში ცვლილებები პირველად ლატალის ლექციონარში შეიმჩნევა, ნიმუშები ხშირდება „ანდრია სალოსის ცხოვრებასა“ და „კარაბადინში“, სადაც **-ევ** და **-ემ** სუფიქსები დასტურდება უწყვეტლის, I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის III პირშიც (Sarjveladze, 1984: 447).

საშუალი ქართულის ძეგლებში „**-ავ/-ამ** თემის ნიშანთა ხმარება აღარ განარჩევს მწკრივებსა და პირებს, რის გამოც გადაბგერება ეხება III პირსაც, ხოლო I-II პირებს **-ა** გახმოვანებითაც დაერთვის – ვიღებთ პარალელურ ფორმებს (**ვკლავდი//ვკლევდი//ვკლვიდი** ტიპისას) ერთი და იმავე მწკრივის ფარგლებში. ამდენად, საშუალ ქართულში წაშლილია ზღვარი I-II პირებსა და III პირს შორის, ერთი მხრივ, და მწკრივებს

შორის, მეორე მხრივ“ (Gigashvili, 2004: 65).

რა მდგომარეობაა XIX ს-ის I ნახევრის ძეგლთა ენაში და რა თავისებურებებით გამოირჩევა ეს პერიოდი საანალიზო ზმნათა უღლების თვალსაზრისით? საკითხის გასარკვევად შევისწავლეთ თეიმურაზ ბაგრატიონის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე ორბელიანის, იოანე ბატონიშვილის, სოლომონ დოდაშვილის თხზულებები.

გამოირკვა, რომ **აწმყოში -ავ, -ამ** თემის ნიშნები, ძირითადად, უცვლელია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე შემთხვევას: იოანე ბატონიშვილი ერთგან აწმყოში **-ევ** ვარიანტს წარმოგვიდგენს: ყოველივე შეუხებლად არის და ამისთვის **ინახევენ“** (Batonishvili, II: 500); ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთგან იყენებს **ჰფარვიან** ფორმას: „**ჰფარვიან** ღრუბელს... ვჭმუნავთ ბედმწირნი“ (Tchavchavadze, 1986: 59), ვახტანგ ორბელიანი – **ჰბურვიან** ფორმას: „მოუხსენებელთ, უპატრონოთ ტყენი **ჰბურვიან“** (Orbeliani V., 1928: 15), ხოლო გრიგოლ ორბელიანი – **ფქვიან** ფორმას: „**ფქვიან** პურსა“ (Orbeliani Gr., 1959: 219); ვფიქრობთ, რომ **ჰფარვიდა, ჰბურვიდა, ფქვიდა** ზმნებში **-დ** სავრცობის წინა **-ი** ხმოვანი თემის ნიშანია და ამგვარ ფორმებში ორმაგ თემის ნიშანთან გვაქვს საქმე.

როგორც ჩანს, ასეთი ფორმები გამოიყენებოდა სასაუბრო მეტყველებაში. იგი ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს, რომ დიალექტთა ერთ წყებაში სამივე პირსა და I სერიის ყველა მწკრივში -(ა)**ვ-ი** ვარიანტი იხმარებოდა, მეორე წყებაში – **-ავ** ვარიანტი (ასევე ყველა პირსა და მწკრივში), ხოლო სხვა წყებაში – **-ევ** ვარიანტი (Chikobava, 1948: 99-100; 107-108; Matchavariani, 1953: 236-241).

მეცნიერთა ამ ვარაუდს დიალექტთა ჩვენებები ადასტურებს. გურულში, მაგ., უწყვეტლის ყველა პირში -(ა)**ვ-ი-დ** ვარიანტი გვაქვს. გრ. იმნაიშვილი გურიის სოფლების მიხედვით იმოწმებს მაგალითებს: დეინახვიდა (ზემო ნატანები), დაკეტვიდა (შუხუთი), იცვიდა (ტაბათანი) და სხვ. იქვე შენიშვნაში მკვლევარი მიუთითებს, რომ ამათ პარალელურად ხმოვანშეუცვლელი ფორმებიც იხმარება: დეიჭირავდენ, დაჭყონტავდი და სხვ. იგი არ გამორიცხავს, რომ ასეთი წარმოება ძველ ქართულში სამივე პირში ყოფილიყო და ეს ვითარება გურულს შემოენახა. ავტორი აღნიშნავს, რომ **-ვ-ი-დ** წარმოებას კავშირი არა აქვს ხოლმეობითის ფორმებთან, რადგანაც გურულისათვის უცხოა მესამე პირში **ხედვიდის** და **ხედვიდიან** (Imnaishvili, 2006: 107-108).

-ამ თემისნიშნიან ზმნებს თემისნიშნისეული ხმოვანი ეკუმშებათ ქვემოიმერულ კილოში, კერძოდ, ვანის რაიონის სოფელ გადიდში, და წარმოდგებიან მხოლოდ **-მ** ელემენტით: **ვიცუმ**. უწყვეტელსა და I სერიის სხვა სავრცობიან მწკრივებში რედუცირებული თემის ნიშანი ფიქსირდ-

ება, ანუ სავრცობიანი მწკრივები აწმყოს ჩვენებას მისდევენ (Sharashenidze, 2008: 44).

ქ. ძოწენიძის გამოკვლევების მიხედვით, **-ევ** სუფიქსი ზემოიმერულში იხმარება როგორც უწყვეტელში, ისე აწმყოს III პირის მრავლობით რიცხვში: **ხნევენ, კლევენ** (Dzotsenidze, 1950-1951: 51). ეს ფაქტი ადასტურებს **-ევ** თემატური სუფიქსის **-ავ** სუფიქსისგან დამოუკიდებლად არსებობას.

ივ. ქავთარაძე **-ევ** სუფიქსს ადასტურებს იმავე ზემოიმერულსა და აგრეთვე რაჭულში აწმყოს III პირის მხოლობით რიცხვში: **ხნევს** (Qavtaradze, 1963: 260). როგორც ჩანს, სალიტერატურო ენაში სამივე დიალექტური წრის მონაცემმა შემოაღწია, სადაც უკვე მათი პარადიგმების ერთმანეთში შერევა მოხდა.

თეიმურაზ ბაგრატიონი **-ავ** თემის ნიშანს ზოგჯერ კუმშავს აწმყოს III პირის მხოლობით რიცხვში, რაც მრავლობითი ფორმის ანალოგიის შედეგი უნდა იყოს: „**სტანჯვს** კაცს რვა თვე ზამთარი“ (Bagrationi, 1987: 24); თუმცა, სწორ ფორმებსაც წარმოგვიდგენს: „თოვლის და ყინვის მთებს **გვიღგამს**“ (Bagrationi, 1987: 32); „მის ხორცსა მშიერი დღედაღამ **ბძარავს**“ (Bagrationi, 1987: 134).

იმავე პირის მრავლობით რიცხვში მწერალი მორფოლოგიურ პარალელიზმს გვთავაზობს: თანაბრად წარმოადგენს რედუცირებულ – ძველი ქართულის – და არარედუცირებულ – ახალი ქართულის ფორმებს: „თავს **უკრავენ**“ (Bagrationi, 1987: 114); „სტაქანს **ჩასდგამენ**“ (Bagrationi, 1987: 81), შდრ.: **დასდგმენ** (Bagrationi, 1987: 81); „წყალს არა **სმენ**“ (Bagrationi,1987: 81); „ჯდება, თავს **უკვრენ**“ (Bagrationi, 1987: 107). ბოლო მაგალითში მეტათეზისის შედეგად **-ვ-** თანხმოვანი ფუძისეული **-რ-** თანხმოვნის წინ არის გადასული.

საკვლევი პერიოდის სხვა ავტორებისთვის უპირატესია ძველი ქართულის ნორმა – რედუცირებული ფორმები: „ისრითა **გვკოლვენ**“ (Tchavchavadze, 1986:48); „პირიდან **ასხმენ** წყალსა“ (Orbeliani gr., 1959:262); „ყოვლით თანაჰსწორ **ლეწვენ**“ (Orbeliani V., 1928:15); „**მართვენ** ვრცელსა სამფლობელოს“ (Orbeliani V., 1928: 15). „**ჰზიდვენ** თესლთა“ (Baratashvili, 1996: 36); „მაშინ **ნახვენ**“ (Eristavi, 1966: 39); „რომელნიცა **ნიშვნენ** თვითეულსა“ (Batonishvili, 13) და სხვა მრავალი. იოანე ბატონიშვილი **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა ანალოგიით **-ამ** მარცვალზე დაბოლოებულ ფუძეებსაც კუმშავს: „**ჰსჭმენ** უმთა უკუე ნადირთა“ (Batonishvili, 204); „პურსა **ჰსჭმენ**“ (Batonishvili, 200). ვხვდებით შეუკუმშავ ფორმებსაც: „მე ველარ **მიბედავენ**“ (Orbeliani V., 1928:24);

დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ბევრი ერთთემიანი ზმნა ახალ ქართულში იჩენს **-ავ** სუფიქსის დართვის ტენდენციას და, შესაბამისად, ისინი გვიჩვენებენ პარალელურ ფორმებს: კვეთს – კვეთავს, კვეცს – კვე-

ცავს, ტეხს – ტეხავს, ჩეხს – ჩეხავს და ა. შ. ამათგან უმეტესობა დღეს მხოლოდ **-ავ** სუფიქსით იხმარება და ორთემიანთა კლასშია გადასული: ბერტყავს, რეკავს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ჟეჟავს და სხვ. (Meliqishvili, 2001:141).

საანალიზო ტექსტებში **-ავ** თემის ნიშანი, ძირითადად, არ არის წარმოდგენილი ამ ტიპის ზმნებთან: „**ჰკოდენ** მჭვრეტთა გულსა“ (Bagrationi, 1987: 43); „ქმართა **ჰხოცენ** განუკითხად“ (Bagrationi, 1987: 107); „ვინცა **ჰრაცხს** ნუგეშად“ (Bagrationi, 1987: 46); „მათი ველარ **ჰსთიბს**“ (Orbeliani V., 1928: 15); **სწენს** (Orbeliani V., 1928: 37); „არა თუ **ჰკურნენ** ცოდოთ“ (Orbeliani V., 1928: 28); „**გრეცხს** შენს სირცხვილსაო“ (Orbeliani V., 1928: 37); „**ჰსთესენ** პურსა“ (Eristavi, 1966: 402). შდრ.: „ყოვლით თანაჰსწორ **ლეწვენ**“ (Orbeliani V., 1928: 15); „ვინ სიყვარულსა **ჰრაცხავ** სიცილად“ (Eristavi, 1966:34).

შესწავლილი მასალიდან ჩანს, რომ ზმნებს პირვანდელი ფორმით უმეტესად იყენებენ თეიმურაზ ბაგრატიონი, ვახტანგ ორბელიანი და გიორგი ერისთავი. როგორც ჩანს, ამ დროის ცოცხალი მეტყველებისთვის ჯერ არ იყო დამახასიათებელი **-ავ** თემის ნიშნის დართვის ტენდენცია. საინტერესოა, რომ არცთუ იშვიათად **-ავ** თემის ნიშნის გარეშეა გამოყენებული შემდეგი ზმნებიც: „ვერ **ჰხედს** მცნოსა“ (Bagrationi, 1987: 81); „აქვე დღე მხიარული ოდეს კეთილ დარითა **დაახედს** თოვლთა ზედა მზეს შერავანდ წყნარითა“ (Bagrationi, 1987: 140); „ველარ **ვხედთ** მის სახეს“ (Orbeliani Gr., 1959: 138); „ჯოჯოხეთი **მტანჯს** მაშინ“ (Orbeliani Gr., 1959: 111); „**მტანჯ,** ჩემო“ (Baratashvili, 1996: 3); „ამაზედ არას **დავზოგ**“ (Eristavi, 1966: 26) და სხვ.

სავრცობიან მწკრივებში ყველა პირში გამოყენებულია თემის ნიშნების სამივე ვარიანტი: **-ავ//-ევ//-(ა)ვი; -ამ//-ემ//-(ა)მი**. გამონაკლისს წარმოადგენს უწყვეტლის ხოლმეობითი, სადაც არ ჩანს **-ავ//-ამ** ვარიანტი და I ბრძანებითი, სადაც არ შეგვხვდა III ვარიანტი, მაგრამ ეს სრულიად შემთხვევითი ფაქტი გვგონია. ამ მწკრივთა ფორმები ისედაც ცოტაა საანალიზო ტექსტებში.

უწყვეტელი:

ა) **-ავ//-ამ:**

„ვუფრთხილდებოდი და მწუხარებას **ვფარავდი**“ (Bagrationi, 1987: 53); „ზოგნი თოთხმეტსაც **სვამდენ** დღეში“ (Bagrationi, 1987: 95); „რამდენჯერ **ჰკითხავდით**“ (Orbeliani Gr., 1959: 421); **შთაასხამდა** (Orbeliani Gr., 1959: 378); „არ **ვზოგავდი** სიცოცხლეს“ (Baratashvili, 1996: 3); **სტანჯავდა** (Orbeliani V., 1928: 57); „ფეხსა **ჰსდგამდა**“ (Orbeliani V., 1928:340); „**უსვამდენ** იჩბებს, **მოუსვამდენ**“ (Eristavi, 1966: 382).

ბ) **-ევ//-ემ:**

„ცხენს **ვიბემდით** კარეტაშია“ (Eristavi, 1966: 54); „სად **ნახევდი**“

(Eristavi, 1966:110); „ყველგან **ვხნევდი** და ვმკიდი“ (Tchavchavadze, 1986: 168); „**ნიშნევდა**, რომ სწავლული იყო“ (Tchavchavadze, 1986:108); „ერთის შებმით **მოხნევდა**“ (Tchavchavadze, 1986: 169); „განსაოცრად ოდეს **უკრევდი**“ (Eristavi, 1966: 18); „**ვსვემდი** ღვინოს“ (Eristavi, 1966: 223); „პენუარი **ჰფარევდა** ფეხებს“ (Orbeliani Gr.,1959: 409); „იგი ბედს **ჰსწყევდა**“ (Orbeliani V., 1928:17); **უკრევდა** (Orbeliani V., 1928: 399).

გ) **-(ა)ვი//-(ა)მი:**

„უმჯობეს რას **მოვისთვლიდი“** (Bagrationi, 1987: 180); „არცა აცმევდა, **ხურვიდა“** (Bagrationi, 1987: 54); „არ ვიცი, რასა **სჩმახვიდენ“** (Bagrationi, 1987: 60); განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძე არჩევს I-II პირებში **-ვ-ი-დ//-მ-ი-დ** ვარიანტს: „ებანს **ჰკვრიდით,** მღერას **რთვიდით“** (Tchavchavadze, 1986: 103); „ქებას **ჰრქმიდით, შეასხმიდით“** (Tchavchavadze, 1986: 103); „რომელიცა გარე **შემომზღუდვიდა** მე“ (Orbeliani gr., 1959: 370); „**მიიზიდვიდა** მას სურვილი“ (Orbeliani Gr., 1959: 354).

უწყვეტლის ხოლმეობითი:

ბ) **-ევ//-ემ:** „მხეცთა **ჰკლევდის“** (Tchavchavadze, 1986: 67);

გ) **-(ა)ვი//-(ა)მი:**

„გარეთ ქვითა სხვა და სხვითა, შინაგანით ოქროთ **გრწყვიდის“** (Tchavchavadze, 1986: 92); „თვალშავასა თავში **ვჰკვრიდი,** მაქებდიან ხელმარჯვობით“ (Tchavchavadze, 1986: 64).

აწმყოს კავშირებითი:

ა) **-ავ//-ამ:**

„მზეს ყოველდღე **ხედავდეს** ივერია“ (Bagrationi, 1987: 143); „ჩაისა **სვამდენ“** (Orbeliani Gr., 1959: 271).

-ევ//-ემ:

„გინდ ქურდობდეთ, გინდ მძლავრობდეთ, გინდ კაცს **ჰკლევდეთ** შესაზარად“ (Tchavchavadze, 1986:107).

გ) **-(ა)ვი//-(ა)მი:** „ოდენ შენს სახეს **ვხედვიდე“** (Tchavchavadze, 1986: 154); „ფერხთ მუხლთამდე წყალში **სდგმიდეს“** (Tchavchavadze, 1986: 97); „მათ სუნს **ყნოსვიდეს** ყრმა და ხნიანი“ (Tchavchavadze, 1986: 34); ხედვიდეს (Orbeliani Gr., 1959: 420); შდრ.: **ხედავდეს** (Orbeliani Gr.,1959:. 139); „და... **სმიდეთ** წინაპართ შესანდობარსა“ (Baratashvili, 1996: 57); „კმაყოფილებით **ჰყნოსვიდე** ჰაერსა“ (Eristavi, 1966: 46). გ. ერისთავი **-(ა)ვი//-(ა)მი** ვარიანტს იყენებს ყველა პირთან.

თეიმურაზ ბაგრატიონი ერთ წინადადებაში იყენებს აწმყოს კავშირებითისა და უწყვეტლის ფორმებს. I მწკრივს **-ამ** ვარიანტით წარმოადგენს, ხოლო II მწკრივს – **-ემ** ვარიანტით: „არა მგონია, მაგდენს ღვინოს **სვამდეს** და არც ჩვენთანა **სვემდა“** (Bagrationi, 1987: 143).

I ბრძანებითში იგივე ავტორი წარმოგვიდგენს **-ევ** ვარიანტს:„ბოროტთ მომწყულელო, **მცევდ** მეც სიმხნითა“ (Bagrationi, 1987: 36).

ალ. ჭავჭავაძე ამავე მწკრივში არ ცვლის თემის ნიშანს: **„დიდებასა** დაქებასა **შეასხამდით** მრავალგვართა“ (Tchavchavadze, 1986:109).

მყოფადში, ისევე როგორც აწმყოში, თემის ნიშანი ყოველთვის უცვლელია: „რვეულთა თქვენთა **წარვიკითხავ“** (Tchavchavadze, 1986: 203); მრავლობითი რიცხვის III პირში, აწმყოს მსგავსად, რედუცირებული ფორმები გამოიყენება: **„დაუკრვენ** ჩონგურს. **შეჰფიცვენ**... ცოლქმრობას“ (Orbeliani Gr., 1959: 184); „თვალით **დაინახვენ** სარგებლობასა“ (Orbeliani Gr., 1959: 173); ანალოგიურია: **შეუკერვენ, გამოსთქმენ, გაბედვენ** და სხვ. (Orbeliani Gr.). აგრეთვე: **დაჰბადვენ** (Orbeliani V., 1928: 29); „როდის **შეგრიცხვენ** კუდიანად“ (Orbeliani V., 1928: 36); სისტემურად შეკუმშულ ფორმებს ხმარობს გ. ერისთავი: **მოგვკითხვენ, შეგრიცხვენ, მოსწამლენ** და სხვ.

მყოფადში, ასევე აწმყოს მსგავსად, **„ჰხოცს“** ტიპის ზმნები არ დაირთავენ **-ავ** თემის ნიშანს: „შენც **გაგიხეთქ** თავსა“ (Orbeliani Gr., 1959: 356); „ამაყ გულსა ნუ **შეილეწ“** (Orbeliani V., 1928: 18); **„შევრაცხ** ჩემს თავსა“ (Orbeliani V., 1928: 45); გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზმნებთან უნდა იყოს **-ავ** თემის ნიშანი წარმოდგენილი, მაგრამ არ არის: „ამაზედ არას **დავზოგ“** (Orbeliani V., 1928: 26); **ჩავყლაპ** (Orbeliani V., 1928: 26); ანალოგიური ფორმები აწმყოშიც დადასტურდა და უწყვეტელშიც.

ხოლმეობითი:

-ავ:

„აბა, რად **დავმალავდი“** (Tchavchavadze, 1986:136); „თუ **მოჰკლავდი** ასე უდროდ“ (Baratashvili, 1996: 4).

-ევ//-ემ:

„სად **ნახევდი**?“ (Bagrationi, 1987: 110).

გ)-(ა)ვი//-(ა)მი:

„შენ **შთამბერვიდი** ჩემსა შორის ივერთა ტრფობას“ (Eristavi, 1966:13).

მყოფადის კავშირებითი:

-ავ//-ამ:

„ტიგრისის წყლითა **მოჰრწყავდეს,** რომ ტურფად მომდინარეა“ (Tchavchavadze, 1986: 158); „გულსა ჩვენსა **დაგვიწვავდეს“** (Orbeliani Gr., 1959:140).

-ევ//-ემ:

„მოიკითხამდე და **ნახემდე“** (Batonishvili, I: 70).

გ)-(ა)ვი//-(ა)მი:

„დაჰბერვიდეს“ (Orbeliani Gr., 1959:31); „თვარა სიყვარულს თუ **დავკარგვიდე“** (Orbeliani Gr., 1959:135); **„დაუთგუნვიდე** თავისუფლებას“ (Baratashvili, 1996: 67); „რომ ქალთა სახეს **დაღეჭვიდენ,** როგორც რომ

კევთა“ (Eristavi, 1966: 166); „შენ **შთამბერვიდი** ჩემსა შორის ივერთა ტრფობას“ (Eristavi, 1966: 13);

I თურმეობითშიც აქა-იქ ვხვდებით **-ავ** თემის ნიშნის **-ევ** ნიშნით შეცვლის ფაქტებს: „მე არ **მინახევხართ**“ (Eristavi, 1966: 330). მოქმედებითი გვარის ზმნათა საყრდენი ფუძის განაწილების თვალსაზრისით, XIX ს-ის I ნახევრის სალიტერატურო ენაში ძველი და ახალი ქართულისაგან განსხვავებული სურათი გვაქვს: კერძოდ, **-ავ**//**-ამ** თემისნიშნიანი ზმნებისთვის საყრდენია როგორც I სერიის (თემის ნიშნის შენარჩუნების შემთხვევაში), ისე II სერიის ფუძე (საპირისპირო შემთხვევაში). ამასთან, მეორე შემთხვევაში ორგვარი წარმოება შეინიშნება: **-ია** დაბოლოებიანი და **-იეს** დაბოლოებიანი.

ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნათა საყრდენი I თურმეობითში I სერიის ფუძე იყო: ვ-რაცხ-ავ – შე-მ-ი-რაცხ-ავ-ს. ახალ ქართულში სისტემურად ხდება მათი **-ია** დაბოლოებაზე გადასვლა. ამრიგად, ვ-რაცხ-ავ – შე-მ-ი-რაცხ-ავ-ს ძველი ქართულის ნორმაა, ვ-რაცხ-ავ – შე-მ-ი-რაცხ-ავ-ს//შე-მ-ი-რაცხ-ი-ა ახალი ქართულის ვითარებას ასახავს, ხოლო ვ-რაცხ-ავ – შე-მ-ი-რაცხ-ავ-ს//შე-მ-ი-რაცხ-ი-ა (შე-მ-ი-რაცხ-ი-ე-ს) საანალიზო პერიოდის ენისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ვხედავთ, ფორმათა მრავალფეროვნება აქ უფრო საგრძნობია. ამას განაპირობებს, ერთი მხრივ, **-ია** დაბოლოებაზე გადასვლის ტენდენცია, რაც ადასტურებს, რომ ახალ ქართულში შენიშნული მოვლენა გაცილებით ადრე იღებს სათავეს, და, მეორე მხრივ, **-ია** დაბოლოების პარალელურად ძველი **-იეს** დაბოლოების შენარჩუნების ფაქტი.

ბ. ჯორბენაძე შემთხვევითად არ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ დიალექტთა ერთ ნაწილში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიანი ზმნები სხვაობენ სალიტერატურო ენის მონაცემებთან შედარებით და I და II თურმეობითში II სერიის ფუძეს ემყარებიან. ეს შემთხვევა მეცნიერს ავარაუდებინებს, რომ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში თავდაპირველი ვითარება სრულად არ არის დაცული და სხვადასხვა დიალექტში შემონახულია ოდესღაც ერთიანი, მთლიანი სისტემის შემადგენელ მიმართებათა სხვადასხვა მონაცემი, დიალექტთა ერთი ნაწილიდან კი სალიტერატურო ქართულში მოხვდა (Jorbenadze, 1980: 67-68).

ზ. ჭუმბურიძე თავის ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელიც **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნებს ეხება, აღნიშნავს, რომ ამ ტიპის ზმნებთან **-ია** დაბოლოება I თურმეობითში საშუალი ქართულის ადრეულ საფეხურზე იჩენს თავს და მაგალითად „ვეფხისტყოსანს“ ასახელებს (Tchumburidze, 1976: 29).

ზ. სარჯველაძის გამოკვლევებით, **-ია** დაბოლოება I თურმეობითში საანალიზო ზმნებთან პირველად X-XI საუკუნეთა წერილობით წყაროებში გამოვლინდება. მართალია, ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევაა, მაგრამ,

როგორც მკვლევარი ხსნის, ის უთუოდ ცოცხალი მეტყველების ვითარებას ასახავს, სადაც **-ია** დაბოლოებაზე გადასვლა სალიტერატურო ენაში გამომჟღავნებამდე გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო (Sarjveladze, 1984: 462-463).

საკვლევ მასალაში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის წარმოების ასეთი სურათი გვაქვს:

ა) **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა საყრდენი I სერიის ფუძეა: **გაუსინჯავს** (Bagrationi, 1987: 80); **ჩაუდგამს** (Bagrationi, 1987: 80); ,,ლალთ **შეუზღუდავსთ** მარგარიტთ კბილნი“ (Tchavchavadze, 1986: 48);

ბ) საყრდენი II სერიის ფუძეა: ,,ჩემს ბედნიერებად **შემირაცხიეს** მეთქი“ (Bagrationi, 1987: 98); ,,დღეს ესეც **განუზრახიესთ“** (Tchavchavadze, 1986: 233); ,,დიდებად **შემირაცხიეს** ესე“ (Batonishvili, 372).

ასე რომ, ფორმათა პარალელიზმი III სერიის მწკრივთა წარმოებაშიც იგრძნობა.

ამრიგად, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა უღლების თავისებურებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის I ნახევრის ძეგლთა ჩვენებები XII-XVIII საუკუნეების ძეგლთა მონაცემებისაგან დიდად არ განსხვავდება: აქაც, ისევე როგორც საშუალ ქართულში, თითოეული მწკრივის შიგნით ერთმანეთს ენაცვლება სამი – **-ავ, -ევ,** -(ა)**ვ-ი//-ამ, -ემ,** -(ა)**მ-ი** – ვარიანტი, ანუ უწყვეტელში, მაგ., გვაქვს, ერთი მხრივ, ვფარავდი, ჰფარავდი, ფარავდა, მეორე მხრივ, ვფარევდი, ჰფარევდი, ფარევდა, ხოლო, მესამე მხრივ, ვფარვიდი, ჰფარვიდი, ფარვიდა. ასეთივე ვარიაციები დასტურდება I სერიის სხვა მწკრივებშიც. მართალია, აღარ არსებობს დაპირისპირება მწკრივებსა და პირებს შორის, როგორც ძველ ქართულში გვქონდა, მაგრამ ფორმათა მრავალფეროვნება მაინც შენარჩუნებულია. ირკვევა, რომ შერეული პარადიგმები ენას საკმაოდ დიდხანს შემორჩა და მათ XIX ს-ის II ნახევრამდე მოაღწიეს. ახალ ქართულში **-ავ** და **-ამ** თემისნიშნიან ზმნათა პარადიგმის გასწორება შედეგია, ერთი მხრივ, სხვა ზმნათა ანალოგიისა, რომელთაც ამ მხრივ მწყობრი სისტემა აქვთ და, მეორე მხრივ, უნიფიკაციის ტენდენციისა.

ლიტერატურა:

1. Chiqobava, 1948 – Chiqobava A., Ergatiuli konstruqciis problema iberiul-kavkasiur enebshi, I, nominatiuri da ergatiuli konstruqciis istoriuli urtiertoba dzveli qartuli saliteraturo enis monacemta mikhedvit, Tbilisi, 1948.
2. Dzotsenidze, 1950-1951 – Dzotsenidze Q., -ev sufiqsisatvis zemoimerulshi (sof. perevis metkvelebaze dakvirvebis mikhedvit): al. Tsulukidzis sakh. qut. ped. inst. shr., X, Tbilisi, 1950-1951.
3. Gigashvili, 2004 – Gigashvili Q., -av da -am temisnishnian zmnata

ughlebisatvis sashual qartulshi: enatmecnierebis sakitkhebi, 2, Tbilisi, 2004.
4. Imnaishvili, 2006 – Imnaishvili Gr., Guruli dialeqti, Tbilisi, 2006.
5. Jorbenadze, 1980 – Jorbenadze B., Qartuli zmnis formobrivi da funqciuri analizis principebi, Tbilisi, 1980.
6. Matchavariani, 1953 – Matchavariani G., Zmnis dziritadi morfologiuri kategoriebi qartvelur enebshi, I, Tbilisi, 1988.
7. Meliqishvili, 2001– Meliqishvili D., Qartuli zmnis uglebis sistema, Tbilisi, 2001.
8. Qavtaradze, 1963 – Qavtaradze Iv., Kholmeobitis formata shestsavlis istoriisatvis qartul zmnashi: tsu shr., t. 96, Tbilisi, 1963.
9. Sarjveladze, 1984 – Sarjveladze Z., Qartuli saliteraturo enis istoriis shesavali, Tbilisi, 1984.
10. Sharashenidze, 2008 – Sharashenidze N., Sachinouri qartuli, Tbilisi, 2008.
11. Tchumburidze, 1976 – Tchumburidze Z., -av da -am temisnishnian zmnata uglebisatvis pirvel turmeobitshi:tsu dzv. qart. en. kat. shr., 19, Tbilisi, 1976.

წყარო:

1. Bagrationi, 1987 – Bagrationi Teimuraz, Mkhatvruli tkhzulebebi, teqstebi moamzada, gamokvleva da shenishvnebi daurto I. Mefarishvilma, Tbilisi, mecniereba, 1987, redaqtori Z. Tchumburidze.
2. Baratashvili, 1996 – Baratashvili Nikoloz, Tkhzulebani simfonia-leqsikoniturt, Tbilisis universitetis gamomcemloba, Tbilisi, 1996.
3. Batonishvili I., I, 1990 – Batonishvili Ioane, Khumarsstavla, kalmasoba, I, teqsti gamosacemad moamzades Ciala kakhabrishvilma da Cotne Kikvidzem, Tbilisi, 1990.
4. Batonishvili I., II, 1991 – Batonishvili Ioane, Khumarsstavla, kalmasoba, II, teqsti gamosacemad moamzades Ciala Kakhabrishvilma da cotne Kikvidzem, Tbilisi, 1991.
5. Eristavi, 1966 – Eristavi Giorgi, Tkhzulebani, literatura da khelovneba, tb., teqsti daadgina, Giorgi Eristavis biografiuli monacemebi, enobrivi mimokhilva, variantebi, shenishvnebi da leqsikoni daurto O. Uridiam, Tbilisi, 1966.
6. Orbeliani Gr., 1996 – Orbeliani Grigol, Tkhzulebata sruli krebuli, Akaki Gatserelias da Jumber Tchumburidzis shesavali tserilebit, rekomendaciebit da shenishvnebit, Tbilisi., 1959.
7. Orbeliani V., 1928 – Orbeliani Vakhtang, leqsebi, sruli krebuli, gamomcemloba „qartuli tsigni“, 1928.

8. Tchavtchavadze, 1986 – Tchavtchavadze Aleqsandre, Tkhzulebebi: leqsebi, narkvevebi, dramebis targmanebi, tserilebi, Tbilisi, merani, 1986.

Mzia Gigashvili

CONJUGATION OF THE ACTIVE VOICE VERBS HAVING -ᲐᲕ AND -ᲐᲛ THEME MARKERS ACCORDING TO THE LANGUAGE OF MONUMENTS DATED BY THE FIRST HALF OF XIX CENTURY

Presented by D. Gulia History, Language and Culture Institute at Tskhim-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper deals with the conjugation of active voice verbs having **-ავ** and **-ამ** theme marker according to the language of monuments dated by the first half of XIX century. The above mentioned peculiarities in Old Georgian are briefly described in the given paper. In order to clarify the picture there are given the paradigms of conjugating such type of verbs in Old and Modern Georgian Languages and there are clearly shown the traits, characterizing them.

On studying the material it was revealed, that **-ავ, -ამ** theme markers in present are mainly unchanged, though we come across some interesting cases: Ioane Batonishvili gives **-ევ** version in present in one case: **ინაკჰევენ**, Aleksandre Chavchavadze uses **ჰპჰარვიან** form, but Vakhtang Orbeliani – **ჰბურვიან** form. This is the confirmation of the viewpoint mentioned in scientific literature: **-ავ** version was used in one row of the dialects in three persons and all rows of series I, but in the second row – **-ევ** version (also in all persons and rows), and in other row – **-(ა)ვ-ი** version. These facts are confirmed by dialect evidences as well. As it seems, data of all three dialectal circles penetrated into the literary language, where their paradigms were mixed up.

In rows with extension markers, all three versions of theme markers **-ავ//-ევ//-(ა)ვი; -ამ//-ემ//-(ა)მი** are used in all persons. Imperfect conditional is the exception, where **-ავ//-ამ** version and imperative I are not shown, and where we don't meet the III **-(ა)ვი//-(ა)მი** version, but we consider it as a

completely casual fact. The forms of those rows are few examples in texts for analyzing.

From the viewpoint of conjugating verbs with –**ავ** and -**ამ** theme markers, the monument evidences of I half of XIX century are not very different from the data of monuments dated by XII-XVIII centuries: here, as well as in Middle Georgian, three -**ავ, -ევ, -(ა)ვ-ი//-ამ, -ემ, -(ა)მ-ი** versions alternate each other inside each row, or in imperfect, for instance, on one hand we have **ვპარავდი, ჰპარავდი, პარავდა**, on the second hand – vpharevdi, hpharevdi, pharevda, and on the third hand – **ვპარვიდი, ჰპარვიდი, პარვიდა**. Such kinds of variations are mainly confirmed in other rows of series I as well. Though there is no more opposition between the rows and persons, as it was in Old Georgian, but the variety of the forms is still preserved. In this view, the evidence of I half of XIX century follows the evidence of Middle Georgian and puts the data of that period on the same level. In Modern Georgian, correcting the paradigms of the verbs with –ავ and -ამ theme markers are, on one hand, the result of the analogy of other verbs having perfect system in this view and tendency of unification are shownon the other hand.

რუსუდან გაჩავა

ომონიმები ფრანგულ ენაში

ომონიმია ძალიან გავრცელებული ფენომენია ფრანგულ ენაში. ეს შეიძლება აიხსნას ენის ევოლუციით საუკუნეების განმავლობაში. ენობრივმა მოვლენებმა: სიტყვის მნიშვნელობის განვითარებამ, დერივაციამ, კონვერსიამ, სესხებამ, ფონეტიკურმა მოდიფიკაციამ ხელი შეუწყო ომონიმების წარმოშობას. ომონიმია ისტორიული კატეგორიაა. სიტყვები, რომლებიც ისტორიის რომელიღაც პერიოდში ომონიმები იყო, ამჟამად აღარ არის, მაგ.: Grand-mère – ბებია და grammaire – გრამატიკა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ომონიმები იყო, სიტყვაში grammaire წარმოთქმა შეიცვალა, ცხვირისმიერი ბგერა დაიკარგა. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ ომონიმები ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება, რადგან კონტექსტი ზოგჯერ მკაფიოდ ვერ მიანიშნებს ომონიმებს შორის განსხვავებაზე. ამიტომ უნდა გამომუშავდეს მტკიცე კრიტერიუმები ომონიმების პოლისემიისგან გამოსაყოფად.

ომონიმების ლექსიკონები მოწმობს, რომ მათი რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს. ე. ზლოტოგორსკაიას ომონიმების ლექსიკონში 1460 ომონიმურ ჯგუფში 4000 სიტყვაა შეტანილი (Zlotogorskaïa, 1882). ლარუსის (Larousse, 2002) ომონიმების ლექსიკონში 4700 ომონიმურ ჯგუფში შეტანილია 6000 სიტყვა. ამავე ლექსიკონის წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ ომონიმებს არ ეთმობა სათანადო ყურადღება ლინგვისტების შრომებში.

ტერმინი „ომონიმი“ ნაწარმოებია ორი ბერძნული სიტყვისგან: homos – ერთნაირი, ერთგვარი და onyma – სახელი. ომონიმებად იწოდება სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან მნიშვნელობით, მაგრამ წარმოთქმა ან დაწერილობა ერთნაირი აქვთ. ომონიმები, რომლებიც ერთნაირად წარმოითქმის, ხოლო დაწერილობა სხვადასხვა აქვთ, ომოფონებად იწოდება (ბერძნული სიტყვა homos – ერთნაირი, ერთგვარი და phone – ბგერა). ომონიმები, რომლებიც ერთნაირად იწერება, ხოლო წარმოთქმა განსხვავებული აქვთ, ომოგრაფებად იწოდება (ბერძნული სიტყვა homos – ერთნაირი, ერთგვარი და graphio–წერა).

ენათმეცნიერები გამოყოფენ სრულ და ნაწილობრივ ომონიმებს. სრული (აბსოლუტური) ომონიმები ერთდროულად ომოფონებიცაა და ომოგრაფებიც. ამავე დროს მათ ერთნაირი გრამატიკული კატეგორიები აქვთ (სქესი, რიცხვი, მეტყველების ნაწილი).

მაგ.: goutte (f)წვეთი – goutte (f) ნიკრისის ქარი,
éclair (m) ელვა – éclair (m) ეკლერი (ნამცხვარი),
voler (vt) ფრენა – voler (vt)ქურდობა

louer (vt) ქება – louer (vt) დაქირავება, გაქირავება
bord (m)ნაპირი – bord (m) ბორტი
pêche (f) ატამი – pêche(f) თევზაობა
rivière (f)მდინარე – rivière (f) სამკაული
grève (f)ქვიშიანი ნაპირი – grève (f) გაფიცვა
cours (m)კურსი – cours (m) დინება
ნაწილობრივი ომონიმები რამდენიმე სახისაა:
ა) ომონიმები, რომლებსაც მეტყველების ნაწილი და დაწერილობა ერთნაირი აქვთ, სქესი – სხვადასხვა, მაგ.:
Mousse (f) ხავსი – Mousse (m)იუნგა
Physique (f) ფიზიკა – Physique(m) ფიზიკური აგებულება
Poste (f) ფოსტა – Poste(m)პოსტი
Voile (f) იალქანი – Voile (m)გადასაფარებელი, პირბადე
Vase (f)ხავსი – Vase (m) ლარნაკი
Somme (f)თანხა – Somme (m) ტვირთი, საპალნე
ბ) სქესი და მეტყველების ნაწილი ერთნაირი, დაწერილობა – სხვადასხვა, მაგ.:
mètre (m) მეტრი – maître (m)მასწავლებელი
Faim (f)შიმშილი – fin (f)ბოლო
Cou (m)კისერი – coup (m)დარტყმა
Chène (f) მუხა – chaine (f)ჯაჭვი
Chaire (f)კათედრა – chair (f)სხეული, ტანი
გ) ომონიმები, რომლებსაც მეტყველების ნაწილი და დაწერილობა სხვადასხვა აქვთ, მაგ.:
mètre (m) მეტრი – mettre (vt) დადება, დადგმა
salle (f) დარბაზი – sale (adj)ჭუჭყიანი
cour (f) ეზო – court (adj)მოკლე
mur (m)კედელი – mûr (adj)მწიფე
où (udv)სად? – ou (prép)ან
bond (m)ნახტომი – bon (adj)კარგი
hôte (m) სტუმარი, მასპინძელი – haute (adj) მაღალი
fin (adj)წვრილი – faim (f)შიმშილი
დ) ომონიმები, რომლებსაც ერთნაირი მეტყველების ნაწილი, ხოლო რიცხვი სხვადასხვა აქვთ, მაგ.:
chec (m) მარცხი – échecs (pl)ჭადრაკი
ciseau (m)საჭრისი,ხვეწი – ciseaux (pl) მაკრატელი
vacance (f)ვაკანსია – vacances (pl) არდადეგები
lumière (f)სინათლე – lumières (pl) ცოდნა, განათლება
lunette (f)ჭოგრიტი – lunettes (pl) სათვალე
gage (m)გირაო – gages (pl) მოსამსახურის ხელფასი

lettre (f)წერილი, ასო – lettres (pl) ლიტერატურა

ouïe (f)სმენა – ouïes (pl) ლაყუჩები

parent (m) ნათესავი – parents (pl) მშობლები

assise (f) ქვის წყება – assises (pl)ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

disposition (f)განლაგება, წყობა – dispositions (pl) სამზადისი, შეკრება

vivre (vt)ცხოვრება – vivres (pl) სურსათი

ე) მეტყველების ნაწილი სხვადასხვა,დაწერილობა – ერთნაირი,მაგ.:

pas (m) ნაბიჯი – pas უარყოფითი ნაწილაკი

fin (f)ბოლო – fin (adj) წვრილი

commode (f) კომოდი – commode (adj) მოსახერხებელი

bien (m)ქონება – bien (adv)კარგად

ვ) მეტყველების ნაწილი ერთნაირი,სქესი და დაწერილობა – სხვადასხვა, მაგ.:

couloir (მ)დერეფანი – couloire (ფ)საწურავი, საშრეტი

bal (m)მეჯლისი – balle (f)ბურთი

cour (f) ეზო – cours (m) კურსი

ენათმეცნიერები გვთავაზობენ ომონიმების სხვა კლასიფიკაციასაც. მათ ყოფენ ლექსიკურ, გრამატიკულ, სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ომონიმებად.

ლექსიკური ომონიმები

ამ ჯგუფში შედის როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ომონიმები. სრული ლექსიკური ომონიმებია:

balle (f) ბურთი – balle (f) დასტა, ფუთა-balle (f) – ტყვია-balle (f) ნავაჭრის დიდი შეკვრა.

Perche (f)ჭოკი – Perche (f)ქორჭილა (თევზი)

Berge (f) მდინარის ნაპირი – Berge (f) გზის, თხრილის ამაღლებული ადგილი.

Botte (f)კონა, შეკვრა, გორგალი – Botte (f) ჩექმა, წაღა Botte (f) ხმლის დაკვრა – Botte (f) ტიკი, რუმბი, ხელკასრი,

Coupe (f) თასი, ფიალა – Coupe (f) ჭრა

ნაწილობრივი ლექსიკური ომონიმებია, მაგ.:

Le vase (m) ლარნაკი – la vase (f) ხავსი;

bien (adv) კარგად – bien (m) ქონება

Commode (adj)მოხერხებული – Commode (f) კომოდი

Pouvoir (მ)ძალაუფლება – Pouvoir (vt)შეძლება

Plat (m) ლანგარი – plat (adj) ბრტყელი

Pain (m)პური – pin (m) ფიჭვი

გრამატიკული ომონიმები

ისინი ეკუთვნიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილს, ემთხვევიან

ფონიკურად მხოლოდ ერთ ფორმაში, ამდენად, მხოლოდ ნაწილობრივნი არიან. მაგ.: bal (m) მევლისი – balle (f)ბურთი; bout (m) ბოლო – boue (f) ტალახი; Bond (m) – bon (adj) კარგი. bonne (adj) აღარ იქნება bond-ის ომონიმი). Pouvoir (vt) შეძლება არსებითი სახელი Pouvoir-ის ომონიმია მხოლოდ ინფინიტივში. გრამატიკული ომონიმების დიდ რაოდენობას გვაძლევს ზმნები, მაგ.: coud-couds (ზმნა coudre-ის ფორმები) peint-peins (ზმნა peindre-ის ფორმები) teint-teins (ზმნა teindre-ის ფორმები).

სემანტიკური ომონიმები

წარმოთქმა და ეტიმოლოგია ერთნაირი აქვთ, მნიშვნელობა – სხვადასხვა. სიტყვის სემანტიკური განვითარების საფუძველზე ენაში ახალი სიტყვები შემოდის. ომონიმები სიტყვის მნიშვნელობის დიფერენციაციას უკავშირდება, მაგ.:

Défendre (vt) აკრძალვა – Défendre (vt) დაცვა. აქ ერთი სიტყვის ორი მნიშვნელობა გაეთიშა ერთმანეთს და მათ შორის საწყისი კავშირი აღარ ჩანს. რამდენიმე მნიშვნელობის მქონე ერთი სიტყვის მაგივრად მიიღება ორი სხვადასხვა სიტყვა, მაგ.:

Argent (m) ვერცხლი და argent (m) ფული; timbre (m) მარკა – timbre (m)ზარი. ამ ორ უკანასკნელ სიტყვას საერთო წარმოშობა აკავშირებს.

Dessin (m) სურათი – dessein (m) განზრახვა (იტალიური დესეგნო მე-15 საუკუნეში. მე-17 საუკუნეში ორი ორთოგრაფიული ვარიანტია მიღებული).

Compter (vt) დათვლა და conter (vt) მოყოლა ლათინური computare-დან არის. მე-17 საუკუნეში მიღებულია ორი ორთოგრაფიული ვარიანტი (წინათ computare ითავსებდა მოყოლისა და დათვლის მნიშვნელობებს).

ზოგიერთი ომონიმის წარმოშობის მიზეზი არ არის ცნობილი, მაგ.: taille (f)პირველი მნიშვნელობა წაჭრა, თლა, 2) ხმლის პირი, 3) ხეების ჩეხვა, შემოკაფვა, 4) ტანსაცმლის გამოჭრა, 5) ფანქრის წვერის წათლა. მნიშვნელობებს შორის კავშირი დაკარგულია.

Grue (f)წერო – Grue (f) ამწე სრული სემანტიკური ომონიმებია.

Pois (m) მუხუდო (ლათინური isum)

Poix (f) ფისი, მურაცხი (ლათინური pix)

Poids (m) წონა (ლათინური pensum)

Sain (adj) ჯანმრთელი (ლათინური sanus)

Saint (adj) წმინდა (ლათინური sanctus)

Sein (m) მკერდი (ლათინური sinus)

Cent (adj.num.)100 (ლათინური centus)

Sang (m)სისხლი (ლათინური sangisu)

Sans (prép) გარეშე (ლათინური sine)

Vin (m) ღვინო (ლათინური vinum)

Vingt (adj.num) 20 (ლათინური viginti)

Mémoire (f) მესხიერება Mémoire (m) მოხსენებითი ბარათი – მე-14 საუკუნეში იყო მდედრობითი სქესის. მე-15 საუკუნეში შემოვიდა მამრობითი სქესის სიტყვა ორ მნიშვნელობას შორის სემანტიკური სხვაობის გამოყოფის მიზნით.

საინტერესოა სიტყვა assiette-ის სემანტიკა. წინათ მას ჰქონდა ორი მნიშვნელობა: 1) მყარი მდგომარეობა. 2) ცხენზე ჯდომა. შემდგომ განვითარდა სხვა მნიშვნელობები: სიმშვიდე, წონასწორობა (n' être pas dans son assiette – თავს ლაღად ვერ გრძნობს; გუნებაზე ვერ არის). შემდგომ დაემატა სტუმრების მაგიდასთან განთავსების მნიშვნელობა. მე-17 საუკუნეში თეფშის მნიშვნელობა გაჩნდა. ეს მნიშვნელობა დაუკავშირდა სტუმრების მაგიდასთან განთავსებას, რომელიც შემდგომ დავიწყებას მიეცა. სემანტიკურმა ჯაჭვმა დაკარგა ერთ-ერთი რგოლი. დღეს გვაქვს ორი ომონიმი:

Assiette (f) თეფში – Assiette (f)ცხენზე ჯდომა.

Penser ფიქრი და panser შეხვევა (ორივე ლათინური pensare-დან). მოგვიანებით სიტყვას penser ლათინურიდან აღებული სიტყვის გრაფიკა მიეცა.

ეტიმოლოგიური ომონიმები

ეტიმოლოგიური ომონიმები მიიღება სხვადასხვა სიტყვის ფონეტიკური დამთხვევის შედეგად. ასეთია, მაგ.: სიტყვები:

Ver (m) ჭია (ლათინური vermis)

Vert (adj) მწვანე (ლათინური veridis)

Vair (m) ციყვის ქურქი (ლათინური varius)

Verre (m)მინა (ლათინური vitrum)

Vers (prép) კენ (ლათინური versus)

Vers (m) ლექსი (ლათინური ersus)

სიტყვები verre (მინა) და verre (ჭიქა) მეტონიმიის ნათელი მაგალითია. მასალის სახელწოდება გადავიდა საგანზე, რომელიც ამ მასალისგან არის გაკეთებული.

Maille (f) თვალი, მარყუჟი (ლათინური macula)

Maille (f) კაპეტინგების დინასტიის უმცირესი ფულადი ერთეული

Fois (f) ერთხელ, foi (ფ)სიტყვა, დაპირება foie (m) ღვიძლი

Corps (m) სხეული, ტანი cor(m) საყვირი, ბუკი cor (m) კოჟრი, კორძი,

cor (m) ნაყარი, განშტოებული რქები

Voix (f) ხმა voie (f) გზა

Sceau (m) ბეჭედი (ლათინური sigillum)

Sceau (m) ვედრო (ლათინური ხალხური sitillus)
Saut (m) ნახტომი (ლათინური saltus)
Sot (m) სულელი (წარმოშობა უცნობია)
Chaire (f)კათედრა (ლათინური cathedra)
Chère (f)საჭმელი, სასმელ-საჭმელი
Chair (m) სხეული (ლათინური carnen)
cher (adj) (ლათინური carus) ძვირფასი
Cousin (m)ბიძაშვილი (ლათინური consobrinus)
Cousin (m) კოღო (ლათინური culex)
Moule (m) ყალიბი, სასხმელი ფორმა (ლათინური modulum)
Moule (f) მოლუსკი (ლათინური musculum)

უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავები და ზმნები ძალიან ხშირად იცვლიან ფორმას. ამ შემთხვევაში ომონიმია ირღვევა, მაგ.: Dîner (vi) მხოლოდ ინფინიტივშია არსებითი სახელი Dîner (m)-ს ომონიმი. სხვა ფორმებში ეს სიტყვები ომონიმები აღარ არის.

Plat (adj) არსებითი სახელი, plat (m)-ის ომონიმია.

მდედრობით სქესში აღებული plate (adj) აღარ არის არსებითი სახელის plat (m)-ის ომონიმი.

ხშირად სიტყვები (ორი ან მეტი) ომონიმები არ არის, მაგრამ იწვევს გაუგებრობას ფორმების მსგავსების გამო.

ზმნა avoir-ის აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის III პირშია.

As – avoir-ის აწმყო დროის მხოლობითი რიცხვის II პირშია.

à - წინდებული

bien tôt–ორი ზმნიზედა „ძალიან ადრე“ შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით bien tard „ძალიან გვიან“.

Bientôt ზმნიზედა „მალე“ შეიძლება შევცვალოთ სიტყვით prochainement.

Dans - წინდებული „ში“

D’en - წინდებული + ნაცვალსახელი

ომონიმების წარმოშობა

ომონიმების გამოჩენა ენაში გამოწვეულია ორი, ან რამდენიმე სიტყვის ბგერების დამთხვევით, რაც ენის განვითარების პროცესში სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული:

1. ფონეტიკური ცვლილებები იწვევს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვების წარმოთქმის დამთხვევას.

სიტყვების ფონეტიკური ევოლუცია განსაკუთრებით ინტენსიურად ფრანგული ენის ხალხური ლათინურიდან ჩამოყალიბების პროცესში ხდებოდა (მახვილიანი ხმოვნების დიფთონგიზაცია, ხმოვნების ამოვარდნა, ყრუ თანხმოვნების გაჟღერება და ა.შ.).

ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული ომონიმები ხშირად ერთბგერიან სიტყვებში გვხვდება, მაგ.:

Pain (m)პური, pin (m) ფიჭვი, peint (participle passé – peindre) – დახატული, შეღებილი

Foi (f)სიტყვა, დაპირება – fois (f) jer foie (m) ღვიძლი

Porefori (კანისა) – porc (m) ღორი – port (m) პორტი

Août – აგვისტო – houx ბაძგი, ჭყორი (მცენარე)

Où (adv)სად? – Ou (conj) ან

Son (m)ბგერა – Son (m)ქატო

mère (f) დედა – mer (f) ზღვა maire (m) მერი

სესხება. ნასესხები სიტყვის წარმოთქმა ფრანგულში არსებული სიტყვის წარმოთქმას ემთხვევა. განსაკუთრებით ერთი ენობრივი ჯგუფიდან (რომანული ჯგუფი) ნასესხები სიტყვის წარმოთქმა ემთხვევა ფრანგულში არსებული სიტყვის წარმოთქმას, მაგ.: botte (f) ჩექმა (იტალიური botta) ნასესხებია მე-16 საუკუნეში. botte (f) კონა (ნასესხებია ნიდერლანდიურიდან)

botte (f)ხმლის დაკვრა

botte (f) ტიკი, რუმბო, ხელკასრი

fête (f) ზეიმი (ლათინურიდან)

faite (f) სახურავი (ძველი ფრანკულიდან)

blouse (f) ხალათი

blues (m) მუს. Bbluzi (ამერიკელი ზანგების მიერ შექმნილი მუსიკალური ფორმა)

baie (f) ყურე (ესპანური bahia, მე-14 საუკუნეშია ნასესხები)

baie (f) კენკრა (ლათინური baca)

chagrin (m) სევდა (ძველი ფრანკული დიალექტიდან)

chagrin (m)შაგრენი (ტყავი) (თურქული çagri- დან)

დერივაცია. ომონიმების წარმოქმნის ერთ-ერთი წყაროა სიტყვაწარმოება, მაგ.: bourse (f) ბირჟა აღებულია გვარიდან Van der Burse, რომლის სახლში ისტორიაში პირველი ბირჟა იმყოფებოდა. ეს იყო ქალაქ ბრიუგეში (ფლანდრია) მე-16 საუკუნეში.

bourse (f) სტიპენდია. -ier სუფიქსის დართვამ მოგვცა ომონიმები boursier (m)ბირჟელი და boursier (m)სტიპენდიანტი. ასევეა სიტყვებში routier (m) გამოცდილების მქონე ადამიანი და routier (m) შორეული რეისების მძიმეწონიანი მანქანების მძღოლი. სიტყვიდან bouche (f) პირი ორი სუფიქსით –er და –ée მიღებულია ომონიმები boucher (m) ყასაბი და bouchée (f)ლუკმა, ნაჭერი. სიტყვებიდან coupe (f) თასი, ფიალა და coupe (f) ჭრა, კაფვა, მიღებულია ომონიმები couper (vt) გაჭრა, ჭრის და coupée (f) (საზღ) ჭრილი გემის ტრაპზე გასასვლელად (აქაც სუფიქსებია -er და -ée).

სქესის ცვლილება გვაძლევს მთელ რიგ ომონიმებს, მაგ.: un aide დამხმარე, თანაშემწე, une aide დახმარება. Un coupleori ცალი – une couple წყვილი. Un crêpe კრეპი (ქსოვილი)– une crêpe ბლინი. Un critique კრიტიკოსი – une critique კრიტიკა.

Un enseigne ლეიტენანტი – Une enseigne აბრა

Un faux სიცრუე, ტყუილი – Une fauxceli

Un finale ფინალი (mus) – Une finale უკანასკნელი ასო

Un garde მცველი, ზედამხედველი – Une garde გვარდია

Un interligne სტრიქონებშუა მანძილი – Une interligne შპონი (პოლიგრ)

ომონიმები მიიღება მეტყველების ნაწილის ცვლილებითაც, მაგ.:

Dîner (vt) სადილობა – dîner (m) სადილი

Déjeuner (vi) საუზმობა – Déjeuner (m) საუზმე

Souper (vi) ვახშმობა – souper (m) ვახშამი

რიცხვის ცვლილება, ასევე, გვაძლევს ომონიმებს, მაგ.: la couleur ფერი-les couleurs სახელმწიფო დროშის განმასხვავებელი ფერები. La vacance ვაკანსია -les vacances – არდადეგები. ომონიმების დამთხვევა ხშირად იწვევს ცვლილებებს ენის ლექსიკურ შემადგენლობაში. ზოგიერთი სიტყვა ხმარებიდან ამოღებულია. ხშირად სიტყვის ფორმის ცვლილებას მოჰყვება პოლისემიური სიტყვის წარმოშობა, ან პირიქით, ომონიმების წარმოშობა. ომონიმიის თეორიული, ზოგადი და კერძო საკითხები მოითხოვს შემდგომ დამუშავებასა და დაზუსტებას. ამ მოვლენის პრობლემა საბოლოოდ უნდა გადაწყდეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტშიც.

ლიტერატურა:

1. Larousse, 2002 – Larousse, dictionnaire des homonymes, Paris, 2002.
2. Lévite, 1963 – Lévite S., Cours de lexicologie français, Minsk, 1963.
3. Lopatnikova, 1958 – Lopatnikova N.N., Movchovitch N.A., Précis de lexicologie du français moderne, Moskou, 1958.
4. Timeskova, 1967 – Timeskova E. N., Tarkhova V.A., Lexicologie du moderne français, Leningrad, 1967.
5. Zlotogorskaïa, 1882 – Zlotogorskaïa E., Essai d'un dictionnaire des homonymes de la langue française, Paris, 1882.

Rusudan Gachava

HOMONYMS IN FRENCH

Summary

Homonymy is a very widespread phenomenon in the French Language. It may be explained by the evolution of the language over the centuries. Linguistic phenomena – the development of word meaning, derivation, conversion, borrowing, phonetic modification – contributed to the formation of homonyms.

Homonymy is a historical category. Some words, which had been homonyms in certain periods of history, do not represent homonyms any longer, for example: grand-mère –grandmother and grammaire – grammar.

Some experts believe that homonyms often cause misunderstanding, as the context does not always clearly indicate the difference between homonyms. Therefore, in order to separate homonymy from polysemy, some strict criteria should be set up.

Dictionaries of homonyms prove that their number reaches several thousand entries. For instance, in Larousse dictionary 6000 words are arranged into 4700 groups.

The work covers: a) homophones (Greek homos – same and phone – sound). They are pronounced identically, but spelled differently; b) homographs (Greek homos – same and graphio – to write) are spelled in the same way, but pronounced differently.

There are several types of partial homonyms:

Full (absolute) and partial homonyms are also presented.

Full homonyms are at the same time homophones and homographs. Besides, they have identical grammatical categories (gender, number, part of speech). For example: éclair (m) – lightning, and éclair (m) – eclair; louer (vt) – to pray andlouer (vt) – to rent, to hire.

There are several types of partial homonyms:

a) homonyms which have the same part of speech and spelling but different gender, e.g. poste (f) – post office, poste (m) – post;

b) homonyms which have the same gender and part of speech but are spelled differently, e.g. cou (m) – neck, coup (m) – blow;

c) homonyms which have different parts of speech and spelling, e.g. salle (f) – hall, sale (adj) – dirty;

d) homonyms which have the same part of speech but different number, e.g. échec (m) –failure, échecs (pl) – chess;

e). homonyms which have different parts of speech but are spelled in the same way, e.g. pas (m) – step, -pas – negative particle;

f) homonyms which have the same part of speech but differ in gender and spelling, e.g. cour (f) – yard, cours (m) – course.

Some linguists offer a different classification of homonyms. According to their version homonyms are divided into four groups: lexical, grammatical, etymological and semantic.

Lexical homonyms comprise full as well as partial homonyms. For example: coupe (f) – cup and coupe (f) – cut are full lexical homonyms, while bien (adv) – well and bien (m) – possession are partial.

Grammatical homonyms belong to different parts of speech and coincide phonetically only in one form. For example: bond (m) – jump, bon (adj) – good. (bonne (adj) is no longer a homonym for bond).

Semantic homonyms have the same pronunciation and etymology, but different meanings. For example: défendre (vt) – to forbid, défendre (vt) – to defend.

Etymological homonyms are derived from phonetic coincidence of different words. For example: voix (f) – voice, voie (f) – way; poêle (m) – stove, poêle (f) – frying pan.

In some cases words are not homonyms, but cause confusion for having similar forms. For example: bientôt – too early, here we can replace these two adverbs by bientard – too late; bientôt (adv) – soon, can be replaced by the word prochainement – soon, shortly.

ნინო სანაია, ნანა ლეონიძე

აზროვნების როგორც სინამდვილის ფრაგმენტის კონცეპტუალურ-მეტაფორული ხატი თანამედროვე ფრანგულ ენაში

(მეტაფორული შესიტყვებების დინამიკურ – კოგნიტური ანალიზი)

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ენათმეცნიერების ისეთმა კორიფეებმა, როგორებიც არიან ფილმორი (Filmori 1977: 59-82), ტალმი (Talmi 1983: 225-282), ლაკოფი (Lakofi, 1987) ადამიანის ბუნებრივი ენისადმი თეორიული ინტერესების ცენტრი ფორმალური და გენერაციული სინტაქსიდან მის ,,კონცეპტუალურ სტრუქტურაზე'' (''conceptual structure'') გადაიტანეს და კვლევათა ყურადღების ცენტრში მეტყველება და პერცეპცია მოაქციეს. ამგვარი თეორიის მთავარი პოსტულატი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი სამყაროს შემეცნების პროცესში მის კატეგორიზაციას, ანუ სტრუქტურირებას (დანაწევრებას) ახდენს და ამას ენაზე გაშუალებულად ახორციელებს. სამყაროს კატეგორიზაცია დიდი ხანია ენათმეცნიერების ცენტრალურ საკითხს შეადგენს.

კოგნიტური ენათმეცნიერება სხვანაირად უდგება დენოტატთა ტიპოლოგიას, ვიდრე ტრადიციული სემანტიკა (ადამიანი და სამყარო) და სამყაროს სივრცესთან აიგივებს (Fokonie, 1994)... ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანს და ამიტომ ყველაზე არსებითს წარმოადგენს ისეთი მთლიანობა, როგორიცაა სივრცე, ანუ ის ,,სიცარიელე'', რომელიც იტევს ადამიანს და ყველაფერს, რაც მას გარს არტყია, სადაც ყველაფერი ხდება და მიმდინარეობს და ყველაფერს ერთმანეთთან კავშირი (ურთიერთმიმართება - relation) აქვს. სწორედ ამ კავშირებზე გავამახვილებთ ჩვენს კვლევაში ყურადღებას.

ენისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების საკითხს გეშტალტთეორიის კუთხით თუ მივუდგებით (Lakofi, 1981, Petitot, Doursant, 1991: 3-4), სივრცე ფონად უნდა განვიხილოთ, ხოლო საგნები და მათ შორის კავშირები – რელიეფურად გამოხატულ ფიგურებად.

ამგვარ ფიგურებს კონკრეტული საგნებიც წარმოადგენენ და აბსტრაქტული ცნებებიც, თუნდაც ,,აზრები'', როგორც ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის შედეგი, ანუ ადამიანის შინაგანი სამყაროს ერთ-ერთი ელემენტი, როგორც მას ზოგჯერ ეძახიან. **ჩვენი კლევის საგანს** თანამედროვე ფრანგულ ენაში არსებული აზროვნების აღმნიშვნელი – les pensées viennent, reviennent dans la tete, les pensées tournent (autour de) qq, les pensées s'échappent, détournent de qq, – ტიპის მეტაფორული პრედიკატული შესიტყვებები წარმოადგენენ.

ამგვარი შესიტყვებების კოგნიტურ ანალიზს თანამედროვე ფრან-

გულ ენაში ამოწურულად ჩავთვლიდით (Sanaia, 2009: 139-146), რომ არა ჟან პეტიტოსა და რენე დურსას ნაშრომი ,,დინამიკური მოდელი და კოგნიტური ლინგვისტიკა“ (Petitot, Doursant), რომელშიც დამუშავებულია კავშირი სამყაროს აღქმის სპასიო-ტემპორალურ მოდელსა და გამონათქვამის სინტაქსურ-სემანტიკურ სტრუქტურას შორის. ამ მოდელში მეტაფორა ერთ-ერთ ინტეგრირებულ ელემენტად მოიაზრება. ჩვენ კი დავუმატებდით, რომ აზროვნების აღმნიშვნელი პრედიკატული მეტაფორული შესიტყვებები, როგორც პროპოზიციული მნიშვნელობის მქონე ელემენტები, სამყაროს აღქმად, ვიზუალურ სცენაზე ცენტრალურ როლს ასრულებენ, რამაც განაპირობა ამ საკითხის კვლევის გაგრძელების სურვილი **სივრცის, მისი ელემენტებისა და მათ შორის სივრცით-დროითი კავშირების** ჟან პეტიტოსა და რენე დურსას მიერ შექმნილი **უნივერსალური მოდელის გამოყენებით**. თუმცა, ამ ავტორების შექმნილი მოდელი მხოლოდ კონკრეტულ, მატერიალურ საგნებს შორის კავშირების აღმნიშვნელ წინდებულებზე დაკვირვებას შეიცავს, ხოლო ჩვენს კვლევაში პირველად გამოვიკვლევთ გრძნობებში უშუალოდ არააღქმადი თვისებრიობების მეტაფორული აღნიშვნის კონცეპტუალურ ასპექტს. შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება **კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი**.

ამრიგად, **კვლევის მიზანი** თანამედროვე ფრანგულ ენაში **აზროვნების, როგორც სინამდვილის ერთ-ერთი ფრაგმენტის, ხატოვანი, მეტაფორული კოგნიტური სურათის დადგენაში მდგომარეობს**. კოგნიტურ სურათში ვგულისხმობთ, სამყაროს პრიმიტიულ სურათს, მეცნიერულისაგან განსხვავებით. თუ იმ აზრს დავეყრდნობით, რომ სიტყვები სრულფასოვნად ვერ ასახავენ სამყაროს ელემენტებს და ცნებაში მხოლოდ რამდენიმე ნიშნის კონცენტრაციის გზით მხოლოდ მიუთითებენ საგნებზე, სამყაროს ენობრივი სურათი მართლაც პრიმიტიული აღმოჩნდება. ,,როდესაც რაიმეს აღვნიშნავთ, ჩვენ განვასხვავებთ აღსანიშნ საგანს და იმას, თუ რის აღნიშვნას ვაპირებთ ამ საგანში, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია არ ავსახოთ მთელი საგანი, მაგრამ იმავდროულად მთელი საგანი ვიგულისხმოთ“ (Losev, 1991: 264).

იმ ფაქტზე, რომ სამყაროს კოგნიტური სურათი შეიძლება ხატოვანი იყოს, ენაში მეტაფორის არსებობა მიგვითითებს, ხოლო ამგვარი სურათის დადგენის შესაძლებლობის მაგალითს რუსული ენის მასალაზე შესრულებული სადოქტორო დისერტაცია ,,სამყაროს მეტაფორული სურათი რუსულ ენაში“ (Vardzelashvili, 2000) წარმოადგენს.

იქიდან გამომდინარე, რომ რ. ნოლანის მიხედვით სივრცის კატეგორია შეესაბამება მთელს, ხოლო ობიექტებისა – ნაწილს და ისინი ერთ დიალექტურ მთლიანობას ქმნიან (Nolan, 1994: 70), ჩვენც ,,აზროვნების“ ხატოვანი სურათის დასადგენად სივრცის, როგორც მთლიანის, ხოლო აზრების, როგორც შემადგენელი ნაწილის კატეგორიებს დავეყ-

რდნობით. თუკი ყველაფერი, რაც ხდება, სივრცეში მიმდინარეობს, მაშინ „აზროვნების“ პროცესიც სივრცეში უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ აზრები

1. „მოძრაობენ“ და „გადაადგილდებიან“:

– les pensées viennent, reviennent dans la tete, სიტყვა-სიტყვით, „აზრები მოსდით თავში, გონებაში, კვლავ უბრუნდებათ თავში, გონებაში“;

– les pensées tournent (autour de) qn, სიტყვა-სიტყვით, „აზრები დასტრიალებენ ვინმეს“. აქ აზრები აშკარად მოძრაობენ ვინმეს „გარშემო“ და ეს აზრი გაძლიერებულია წინდებული „autour“ ჩართვით;

– les pensées s'échappent, détournent de qn, სიტყვა-სიტყვით, „აზრები გაურბიან ან ზურგს აქცევენ ვისმეს. პირველ შემთხვევაში გამონათქვამი ეხება აზრების დაკარგვას, რაც მათი „გაქცევით“, სივრცეში „დაშორებით“ არის გამოხატული, ხოლო მეორე შემთხვევაში სუბიექტი შეწყვეტს ობიექტზე ფიქრს, რაც აზრების „გამობრუნებით“ გამოიხატა;

– les pensées plates défilaient sur son front plat – სიტყვა-სიტყვით „ბრტყელი აზრები ჩამოივლიან, დაიარებიან მის ბრტყელ შუბლზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ „მის შუბლზე ბრტყელი აზრები გამოიკვეთებოდა“, რაც იდენტურია გამონათქვამისა „ის ინტელექტუალობით არ გამოირჩეოდა“.

– les idées passent (par), traversent son cerveau - სიტყვა-სიტყვით, „იდეები გაივლიან, გადაკვეთენ მის გონებას“ ქართულად ამავე აზრს შემდეგნაირად გამოვხატავთ: „აზრები გაურბენენ თავში, გონებაში“;

– une pensée bondit dans son esprit - სიტყვა-სიტყვით, „ფიქრი დაუხტის (კუნტრუშობს) გონებაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე აზრი აქვს აკვიატებული;

– une pensée chemine, erre, vagabonde – სიტყვები chemine, erre, vagabonde სინონიმებს წარმოადგენენ და „ხეტიალს“ აღნიშნავენ. აქაც საქმე გვაქვს აზრების გადაადგილებასთან. ამჯერად ერთი ობიექტიდან მეორეზე, ანუ სუბიექტი ფიქრობს ხან ერთზე, ხან კი მეორეზე;

– la pensée s'abatte, surgit, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „აზრი“ ფიქრი მოულოდნელად თავს დაატყდება, წინ წარმოუდგება“. ამ მაგალითებში აზრების გამოჩენის მოულოდნელობაზეა გაკეთებული აქცენტი;

– leurs pensées se croisent, coincident - სიტყვა-სიტყვით, „მათი აზრები გადაკვეთენ ერთმანეთს ან თანხვედრი არიან“, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი აზრები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ამ არსის გამოსახატავად მათი სივრცეში გადაკვეთის ან დამთხვევის ხატია გამოყენებული;

– leurs pensées galopent, galopent, galopent - რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „მათი აზრები აჭენებენ (მიჰქრიან)“, თითქოს ცხენები იყონ. ამ შესიტყვებაში სივრცეში ცხენის ჭენების ესთეტიკური ფუნქციის მქონე მხატვრული მეტაფორაა გამოყენებული. სიტყვა galopent მხოლოდ ცხ-

ენთან მიმართებაში შეიძლება შეგვხვდეს.

2. ზოგჯერ აზრები, ფიქრები თვითონ წარმოადგენენ სივრცეს, გარემოს, რომელშიც ადამიანი იმყოფება: s'abandonner dans ses pensées – „ფიქრებს მიეცემა", s' abîmer dans ses pensées – „ფიქრებში გადაჩეხვა", s'absorber dans ses pensées - „ფიქრებში ჩაღრმავება", s'enfoncer dans ses pensées - „ფიქრებში ჩაფლობა, ჩაღრმავება", se plonger „ფიქრებში ჩაყვინთვა, ჩაძირვა", se perdre dans ses pensées - „ფიქრებში ჩაკარგვა", se livrer à de longues pensées - „ფიქრებს მიეცემა". ყველა ეს შესიტყვება ფიქრებში ჩაფლობას გამოხატავს, სადაც ფიქრები ადამიანის საარსებო გარემოა;

3. ხშირად გამონათქვამში აღნიშნულია აზრების, ფიქრების ადგილსამყოფელი და ბუნებრივია, რომ ეს ყოველთვის ადამიანის ტვინია, მისი თავი ან გონება. საინტერესოა უარყოფითად დახასიათებული აზრების ამ ადგილსამყოფელიდან განდევნის, გაძევების აღმნიშვნელი მეტაფორები:

– balayer des pensées (criminelles, malfaisantes) de l'esprit - სიტყვა-სიტყვით, „ბოროტი აზრების გონებიდან გახვეტვა";

– chasser des pensées (criminelles, malfaisantes) de l'esprit - სიტყვა-სიტყვით, „ბოროტი აზრების გონებიდან განდევნა";

– détacher la pensée de qn ou de qch - „მოწყვიტო აზრი ვინმეს ან რამეს";

4. მიგვაჩნია, რომ ასევე ყურადსაღებია ის შესიტყვებები, რომლებიც თვით აზრების სივრცეში განფენილობაზე მიგვითითებენ. ასეთებია:

- aller jusqu'au bout de la pensée - სიტყვა-სიტყვით, „ფიქრის ბოლოში გასვლა", რაც ფიქრის პროცესის დასრულებას ნიშნავს;

- suivre/perdre (le fil des idées, de ses pensées). – სიტყვა-სიტყვით, „მისდიო და პირიქით გაწყვიტო აზრის ძაფი" ასევე აზრების სივრცეში განფენილობაზე მიგვითითებს, სადაც ვფიქრობთ, რომ „ძაფის" ხატი აზრებთან მიმართებაში „არიადნეს ძაფის გორგალის" (თეზევსის მითიდან) კვალს უნდა წარმოადგენდეს ორივე მოცემულ ენაში. ვვარაუდობთ, რომ თვით თეზევსის მითში არიადნეს „გორგალი" და „ძაფი" ბოროტებასთან ბრძოლის საშუალებათა ლოგიკური ჯაჭვისაგან შემდგარ მთლიანობას უნდა აღნიშნავდეს. დღეს კი ფრანგულსა და ქართულში ზოგადად აზრების ლოგიკურ თანმიმდევრობას, მათ ლოგიკურ ჯაჭვს აღნიშნავს (Sanaia, 2011: 132-138).

ზოგიერთს, განხილულ შესიტყვებებთაგან, შემდგომ დავუბრუნდებით პროცესის ფაზობრივი დახასიათებისას.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გამონათქვამში აზრების, ფიქრების მეტაფორიზაციის გზით მატერიალური საგნების რანგში ტრანსპოზიციას და მათ სივრცეში ლოკალიზაციას ფრანგულ ენაში თან სდევს ისეთი სპასიალური ოპერატორები, რომელთაც ტრადიციულ გრამატიკაში წინდ-

ებულებს (prépositions) ვუწოდებთ. ასეთებია: „dans“, „sur“, „autour de“, „à travers“. ეს გრამატიკული ელემენტები სინამდვილის კონცეპტუალურ დანაწევრებას ემსახურებიან. ტრადიციული სემანტიკისაგან განსხვავებით, რომელიც წინდებულებს მხოლოდ, ფორმისაგან დამოუკიდებლად, მათი შინაარსის მიხედვით იხილავდა, კოგნიტური, კონცეპტუელური ლინგვისტიკა ლოკალიზების თითოეულ შემთხვევას გეომეტრიული სიზუსტით იკვლევს. მაგალითად, murir les pensées dans son cerveau – „აზრების მომწიფება საკუთარ ტვინში“ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ანალოგიური გამონათქვამისა „la balle dans la boîte“ - „ბურთი კოლოფში“, სადაც კოლოფიც და ადამიანის ტვინიც, ანუ ადგილსამყოფელი დახურულ, შემოსაზღვრულ სივრცეს წარმოადგენს. Les pensées plates défilaient sur son front ამ მაგალითში წინდებული „sur“ რაიმის (კონკრეტულ შემთხვევაში კი შუბლის) ზედაპირზე მიუთითებს.

ასევე საგულისხმოა პრედიკატული მეტაფორით გამოხატული (se croisent) ურთირთგადაკვეთის კონცეპტი, რაც, გეომეტრიის კურსიდან ცნობილი განმარტებებიდან გამომდინარე, გულისხმობს ორი ობიექტის არაპარალელურობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეს ობიექტები შეიძლება გადაიკვეთოს. ამ ცნების გამოსახატავად ფრანგული ენა არ მიმართავს წინდებულს.

აზროვნების პროცესის მეტაფორული აღნიშვნის ერთ-ერთ შემთხვევაში აზრები ტვინში გამჯოლ მოძრაობას ასრულებენ: une pensée passe par l’esprit, traverse l’esprit - სიტყვა-სიტყვით, „აზრი ტვინში გაივლის“, რაც გამყარებულია პირველ შემთხვევაში წინდებულით „par“ (par l’esprit), ხოლო მეორე შემთხვევაში ნაგულისხმევია რთული წინდებული „à travers“ (traverse l’esprit).

ტალმი სივრცეში განფენილობის ლინგვისტურ შესწავლას „ლინგვისტურ ტოპოლოგიას“ უწოდებს, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლაკოფის „კოგნიტურ ტოპოლოგიასთან“ (Petitot, Doursant, 1991: 97-128)

იმისდა მიხედვით, თუ რა კონცეპტებს გამოყოფს ადამიანი აზროვნების პროცესის შემეცნებისას და რანაირად უსადაგებს მათ მეტაფორებს, შეგვიძლია დავადგინოთ, თუ როგორია ამა თუ იმ ერის მიერ სინამდვილის აღქმა, სამყაროს შესახებ ცოდნის ენობრივი მანიფესტაცია. ამა თუ იმ ერის კულტურა თვითონ გვაწვდის იმ კონტექსტს, რომელშიც ლინგვისტურ გარემოსთან ურთიერთქმედებისას იქმნება მეტაფორა, როგორც ენის კულტურული სივრცის ატრიბუტი. თუ დავაკონკრეტებთ, კონცეპტების შესაქმნელად ვარგისი ნიშნების არჩევანში მჟღავნდება სამყაროს აღქმის ეროვნული სპეციფიკა, მაგრამ სივრცის კატეგორია სინამდვილის ენობრივი კონცეპტუალიზაციის პროცესში უნივერსალურია ყველა ენისათვის.

სივრცისა და მასში გადაადგილების (მოძრაობის) მუდმივი ატრიბუტია დრო. შესაბამისად, მეორე კატეგორია, რომელსაც ჩვენს კვლევაში განვიხილავთ, არის დრო, მაგრამ დრო არა ასტრონომიული ან ლექსიკური ან თუნდაც გრამატიკული თვალსაზრისით, არამედ, როგორც აზროვნების „პროცესის“ მიმდინარეობის ფაზობრივი მაჩვენებელი. აზროვნებას, როგორც ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის პროცესს და ზოგადად „ხდომილებას“, **დროითი მახასიათებლები** ესაჭიროება, უფრო კონკრეტულად კი ფაზობრივ-ასპექტუალური მაჩვენებლები, როგორიცაა პროცესის **დასაწყისი** თუ **დასასრული** ან **მიმდინარეობა, ასევე მისი რაგვარობა**.

თანამედროვე ფრანგულ ენაში პირდაპირი ნომინაცია, ისევე როგორც ავტონომიური მეტაფორა, „აზროვნების“ პროცესის ასპექტუალურ-ფაზობრივ დახასიათებას ვერ ერევა და ეს ფუნქცია სწორედ ენის ხატოვან-მეტაფორულ ანალიტიკურ საშუალებებს ეკისრება:

– **აზროვნების პროცესის ინკუატიური, ინცეპტუალური ფაზის** აღნიშვნის აუცილებლობა თანამედროვე ფრანგულ ენაში შემდეგი პარადიგმების არსებობით დგინდება: les pensées viennent, se présentent; les pensées s'abattent, la pensée surgit, ეს შესიტყვებები ფიქრის პროცესის საწყის ფაზაზე მიუთითებს;

– იმავე **პროცესის მსვლელობა, განვითარება** შემდეგი ხატების საშუალებითაა წარმოდგენილი la pensée, chemine, vagabonde, erre. მეტაფორული პრედიკატები აქ „მოხეტიალე ადამიანის ან ცხოველის“ ხატს ქმნიან;

– პროცესის **დასასრული** გამოხატულია შემდეგი შესიტყვებებით: les pensées s'en détournent, s'égarent; aller jusqu'au bout de la pensée... les réflexions se détruisent, une idée s'échappe, s'assoupit, ძირითადად მოძრაობის ზმნებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, „მოძრავი სულიერი არსებების“ ხატს ქმნიან.

– აზროვნებას, როგორც **წერტილოვან, მომენტალურ მოქმედებას** არ გააჩნია ფაზობრივი ნიუანსები, სამაგიეროდ შესიტყვებებში: une pensée passe par l'esprit, traverse l'esprit, ასპექტუალურ ნიუანსს გაესვა ხაზი. აქ გამოყენებული სწრაფი და გამჭოლი მოძრაობის გამომხატველი მეტაფორები ჩვენს წარმოდგენაში „იმპულსის“ ხატს აღძრავს და ეს ხატი სწრაფი მოქმედების აღმნიშვნელი პრედიკატებითაა წარმოდგენილი: passe, traverse.

თანამედროვე ფრანგულ ენაში არსებული აზროვნების აღმნიშვნელი მეტაფორული პრედიკატული შესიტყვებების ამგვარი კოგნიტური, კონცეპტუალური ანალიზი აზროვნების ტიპურ სიტუაციაში ამოქმედებული კონცეპტების სისტემატიზაციაში დაგვეხმარა.

კვლევის შედეგად ძირითადად სივრცის, მოძრაობა-გადაადგილებისა

და დროის კატეგორიები გამოიკვეთა;

ზოგიერთ შემთხვევაში სივრცის კატეგორიის აღსანიშნავად მხოლოდ მეტაფორიზაცია არ აღმოჩნდა საკმარისი და ამ დროს ენა ისეთ გრამატიკულ ელემენტს იყენებს, როგორიცაა ადგილის აღმნიშვნელი წინდებული;

მეტაფორას, ისევე, როგორც გრამატიკულ ელემენტებს, ობიექტების სივრცითი და დროითი ურთიერთმიმართებების აღნიშვნა შეუძლია და ეს მის ერთ-ერთ ენობრივ ფუნქციად უნდა ჩაითვალოს;

სივრცითი ურთიერთმიმართებებიდან გამოიკვეთა აზრების მოძრაობა-გადაადგილება ღია სივრციდან (უსასრულობიდან) დახურულისკენ (თავი, ტვინი, გონება), დახურულ სივრცეში (თავი, ტვინი, გონება) მოთავსება ან მოძრაობა დახურულიდან უსასრულობისაკენ. ასევე აღინიშნება ურთიერთგადაკვეთა (transversalité) და გამჭოლი ქმედება;

მეტაფორული შესიტყვება, ისევე როგორც წინდებულები, გეშტალტთეორიის თანახმად, ფონიდან (სივრციდან) ფიგურების (საგნების) რელიეფურ გამოკვეთას ემსახურება.

ლიტერატურა:

1. Fauconnier 1994 – Fauconnier G., Mental spaces: aspects of meaning construction in natural Language, Cambridge: 1994.
2. Fillmore, 1977 – Fillmore, C. J. The case for case reopened. In *Grammatical Relations*, P. Cole & J. M. Sadock, eds, Academic Press, New York, 1977.
3. Lakoff ,1981 – Lakoff G., Lingvisticeskie gestalti//novoe v zarubejnoi lingvistike. Moskva „progress“, 1981.
4. Lakoff, 1988 – Lakoff, G. A suggestion for linguistics with connectionist foundations. In *Proceedings of the 1988. Connectionist Models Summer School*. M. Kaufman. 1988.
5. Losev, 1991 – Losev A. F. Iz predislovia k knige „Fiolosofia imeni “// Fiolosofia. Mifologia. Kultura. Moskva, 1991.
6. Nolan , 1994 – Nolan R., Cognitive practices, Human language and human knowledge, Oxford: 1994.
7. Petitot, Doursant – Petitot, Jean, Doursat, René, Modeles dynamiques et linguistique cognitive. Vers une semantique morphologiqueactive, C.R.E.A., EcolePolytechnique, Paris. www.crea. polytechnique.fr/ JeanPetitot/ .../Petitot-Doursat.pdf
8. Petitot, 1991 – Petitot, J. Syntaxe topologique et grammaire cognitive. *Langages*,. № 103, 1991.
9. Sanaia, 2001 – Sanaia N. „Tezevsis mitis“ anu „ariadnes dzafis gorga-

lis kvali tanamedrove enebshi, tskhum-apkhazetis metsnierebata akademiis shromebi, 2011.
10. Sanaia, 2009 – Sanaia N. Zmnuri metaforuli jgufebi da azrovnebis konstantas nominatsia tanamedrove frangul enashi, Tb., 2009, www, press.tsu.ge
11. Talmy, 1983 – Talmy, L. How language structures space. In Spatial Orientation: Theory, Research, and Application, H. Pick and L. Acredolo, eds, Plenum Press, New York, 1983
12. Vardzelashvili, 2000 – Vardzelashvili J. Samkaros metaforuli surati rusul enashi, k.d.a. Tbilisi, 2000.

Nino Sanaia, Nana Leonidze

CONCEPTUAL –METAPHORICAL IMAGE OF THINKING AS REALITY FRAGMENT IN MODERN FRENCH LANGUAGE (Dinamical-Cognitive Analysis of Metaphorical Idioms)

Summary

Categorization of the world has been the main point of linguistics for a long time.

Cognitive linguistics equates world with the space. This accommodates man and anything around him, where everything is happening and everything is related to each other. Our research is focused on conceptual analysis of space, its elements and their spatial temporal relation. So the conceptual analysis method is used in the research.

Similar Analysis has been carried out in the way of observation of connections between material objects mainly so far. But we study conceptual aspect of metaphoric denotation of abstract objects.

The subject of the article is the type of „les pensées viennent, reviennent dans la tète, les pensées tournent (autour de) qqn, les pensées s'échappent, détournent de qqn., . . .metaphoric idioms in modern French language.

We derived the fallowing results in analysis of conceptual language analysis:

1) As a result of the research categories of space, movement and time have been lined out.

2) In some cases only metaphoric denotation was not enough for de-

notation of space category and in those cases the language uses grammatical elements like place denoting preposition and adverb. 3) Metaphor as its straight name denotes correlations of objects, space and time and that can be considered as one of its language functions. 4) Movement of thoughts (ideas) from open space (infinity) to closed (constrained) space (head, brain, mind), in closed (constrained) space (head, brain, mind) place or movement from closed to infinity lined out from spatial correlations. Crossing (transversalité) and draught action designates also. 5) Metaphor, as like prepositions serve for raised identification of figures (objects) from background according to Geshtalt theory.

Nonna (Nazi) Ushveridze, Manana Shelia, Maia Marghania

SOME PECULIARITIES OF ENGLISH LANGUAGE

English is the most widely spoken language in the world. This is not because it is the most international language, but because of the enormous numbers of second and third language speakers of English. English has become the gateway to communication into the globalized international society today. Overall a third of the world's population is learning English. In the multilingual countries where English is not an official language, English is important for historical reasons. But with so many people worldwide speaking and communicating using English, different varieties of English will inevitably develop.

The term 'variety' is an academic term used for any kind of language production, whether we are viewing it as being determined by region, by gender, by social class, by age or by our own inimitable individual characteristics. Regional varieties possessing a literary form are called variants (Bauer, 2002:4).

There are hundreds of different varieties of English world over. English speaking countries are situated in different parts of the world and differ in many ways. The weather and climate of these countries, and the way of people's life differ. Each country has its own history customs, traditions, and its own national holidays. But they all have a common English language.

The English language is not a single, homogeneous, stable entity: it is a complex mixture of varying structures (Crystal, 2010:202).

It is natural that the English language is not used with uniformity in the British Isles and in Australia, in the USA and -in New Zealand, in Canada and in India, etc. The English languagealso has some peculiarities in Wales, Scotland, in other parts of the British Isles and America.

Modern linguistics distinguishes territorial variants of a national language and local dialects. Variants of a language are regional varieties of a standard literary language characterized by some minor peculiarities in the sound system, vocabulary and by their own literary norms. Dialects are varieties of a language used as a means of oral communication in small localities,they are set from other varieties by some distinctive featufes of pronunciation, grammar and vocabulary.

Close inspection of the varieties mentioned above reveals that they are essentially different in character. It is not difficult to establish that the varieties spoken in small areas are local dialects. The status of the other

varieties is more difficult to establish.

It is over half a century already that the nature of the two main variants of the English language, British and American (Br and AE) has been discussed. Some American linguists, H. L. Mencken for one, speak of two separate languages with a steady flood of linguistic influence first from Britain to America, and since then from America to the British Isles. They even proclaim that the American influence on British English is so powerful that there will come a time when the American standard will be established in Britain (Mencken, 1921:22-23). Other linguists regard the language of the USA as a dialect of English

Still more questionable is the position of Australian English (AuE) and Canadian English (CnE). The differences between the English language as spoken in Britain, the USA, Australia and Canada are immediately noticeable in the field of phonetics. However these distinctions are confined to the articulator-acoustics characteristics of some phonemes, to some differences in the use of others and to the differences in the rhythm and intonation of speech. The few phonemes characteristic of American pronunciation and alien to British literary norms can as a rule be observed in British dialects.

The variations in vocabulary, to be considered below, are not very numerous. Most of them are divergences in the semantic structure of words and in their usage.

The dissimilarities in grammar like AE gotten, proven for BE got, proved are scarce. For the most part these dissimilarities consist in the preference of this or that grammatical category or form to some others. For example, the preference of Past Indefinite to Present Perfect, the formation of the Future Tense with will as the only auxiliary verb for all persons, and some others. Recent investigations have also shown that the Present Continuous form in the meaning of Future is used twice as frequently in BE as in the American, Canadian and Australian variants; infinitive constructions are used more rarely in AE than in BE and AuE and passive constructions are, on the contrary, more frequent in America than in Britain and in Australia.

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია წინდებულის კატეგორიის საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ლექსიკოგრაფიული მანიფესტაცია სლავისტიკურ მეცნიერებაში. ინტერესი წინდებულის პრობლემატიკისადმი გამოწვეულია ლექსიკის აქტიური გადასვლით ენის ნომინაციური ფონდიდან კომუნიკაციურში, კერძოდ კი, ძირითად სიტყვათა აქტიური გამოყენებით წინდებულის ფუნქციით. მითითებული პროცესების დინამიკა და წინდებულის კატეგორიის ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებანი ართულებს ერთმნიშვნელოვან და სრულ ლექსიკოგრაფიულ წარმოდგენას ერთეულთა მთლიან მასივზე, მათ შორის, არა ერთ სიტყვიანზე, რომლებსაც შეუძლია შეასრულოს წინდებულის ფუნქცია. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ განმარტავს მსგავს წარმონაქმნებს სხვადასხვა სამეცნიერო სკოლა: ა) „რელაციური ფრაზეოლოგიზმები“ (გ. ა. შიგანოვა), ბ) „დენომინაციური რელიატივები“ (ე. ს. შერემეტიევა), გ) „მეორადი წინდებულები“ (ბ. მილევსკა, ჩ. ლიახური), დ) წინდებული, როგორც მორფოსინტაქსური კატეგორია, რომელშიც შედის როგორც წინდებულები, ასევე მეტყველების ნაწილები, რომლებიც გამოდის წინდებულის როლში (პ. პ. შუბა, მ. ვ. ვსევოლოდოვა და სხვ.).

ავტორი მხარს უჭერს წინდებულის კონცეფციას როგორც მორფოსინტაქსურ კატეგორიას,რომელიც ამჟამად ბელორუსულ წინდებულთა რეესტრში მაქსიმალურად რეალიზებულია და მათი ანალოგების მოცულობა შეადგენს 10 ათასზე მეტ ერთეულს; უჩვენებს მათ მიერ შერჩეულ მეთოდს წინდებულის ლექსიკოგრაფიული ატრიბუციის საკითხში. წინდებულის სფეროში საკუთარი რეესტრის შედარება სხვა უცხოურ (რუსულ, უკრაინულ, პოლონურ) ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებთან ავტორს საფუძველს აძლევს გააკეთოს დასკვნები მსგავს პროცესებზე სლავური ენების წინდებულთა სისტემაში და პრინციპულ ერთიან მიდგომაზე წინდებულის ატრიბუციის საკითხში, ტერმინოლოგიაში არსებული სხვაობის მიუხედავად, წინდებულთა ერთეულების სიების სისრულისა და ყოველი ენის ეროვნულ სპეციფიკაში.

Maria Koniushkevich

THE CATEGORY OF PREPOSITION IN MODERN SLAVIC LEXICOGRAPHY

Presented by D. Gulia Institute of History, Language and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

This paper discusses the current state of the issue of the category ofpreposition and its lexicographic manifestation in Slavic linguistics. The interest to the prepositional problematics is caused by the active transition of the lexicon of the language from the nominative fund of the language to the communicative one,in particular, the active use of the notional wordsin the function of a preposition. The dynamicsof these processesand contradictoryinterpretations of the category of preposition make it difficult to produce an unambiguous and complete lexicographic representation of the entire array ofitems, including more than one word sets, able toperform a prepositionalfunction. It is considered here how similar formationsare interpreted by different scientific schools: a) „relative phraseologisms“ (G.A.Shiganova), b) denominative relatives (E.S.Sheremetieva), c) secondary prepositions (B.Milewska, Ch.Liahur), d) preposition as a morphosyntactic category, involving both prepositions proper, and parts of speech, functioning as prepositions (P.P.Shuba, M.V.Vsevolodova and others).

The author supports the concept of preposition as a morphosyntactic-category, realized to the fullest in up-to-date register of Belarusian prepositions and their counter parts numbering over 10,000 units and shows the methodology of lexicographic preposition attribution. The comparison of our ownregistrywith other foreign (Russian, Ukrainian, Polish) lexicographical works dealing with the preposition issue gives the ground to the author to come to a conclusion about the similar processes in the prepositional systems of Slavic languagesand the fundamentalunity of approaches to the attribution ofa preposition, despite the differences in terminology,the completeness of lists of prepositional units and national particularities of each language.

ლიტერატურათმცოდნეობა
LITERATURE STUDIES

ია გრიგალაშვილი

ქართული ჰიმნოგრაფიის მიმართება ხალხურ „კურთხევანთან“

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართული ჰიმნოგრაფიის აღმოცენება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიას უკავშირდება და უძველეს ნიმუშად შიო მღვიმელის (VI ს.) ჰიმნები სახელდება. ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით კი, ჩვენში ქრისტეს მოძღვრება I-II საუკუნეებში უქადაგიათ მოციქულებს – წმინდა ანდრიას, წმინდა სვიმეონ კანანელსა და მატათას. ქართული სამოციქულო ეკლესიის დაარსება სწორედ მათ სახელთანაა დაკავშირებული. ცხადია, რომ ეკლესიის დაფუძნებას საღვთისმსახურო წეს-განგების დამყარება მოჰყვებოდა და მას მეტი საერთო იერუსალიმურ წეს-განგებასთან ექნებოდა.

საგულისხმოა, რომ პავლე ინგოროყვა უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად „წმიდა კოლაელ ყრმათა წამებას“ მიიჩნევდა, ყურადღებას ამახვილებდა მასში ასახულ ნათლობის უძველეს წესზე და ფიქრობდა, რომ ის უნდა დაწერილიყო არაუგვიანეს IV-V საუკუნეებისა. ბიძინა ჩოლოყაშვილი რომაული სამართლის ზეგავლენას ხედავს, როდესაც მსჯელობს მშობლების მიერ შვილების დასჯის სისასტიკეზე და თვლის, რომ „წმიდა კოლაელ ყრმათა წამება“ 260–313 წლებში უნდა იყოს შექმნილი. ჩვენი დაკვირვებით კი, ნათლობისას მღვდელი წარმოთქვამს გალობას, რომელიც არის იმპროვიზირებული და ამ ტიპის საგალობელი აღარ არის დამახასიათებელი ნათლობის რიტუალისათვის უკვე IV საუკუნიდან. იმპროვიზირებული გალობა დამახასიათებელია II-III საუკუნეების ქრისტიანული ეკლესიებისათვის. ვფიქრობთ, საკითხავში განვითარებულ მოვლენებს სწორედ აღნიშნულ პერიოდში უნდა ჰქონოდა ადგილი, როცა ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო სახელმწიფო რელიგიად აღიარებული და მას წარმართი საზოგადოება უპირისპირდებოდა. მაშასადამე, ქართული ჰიმნოგრაფიის აღმოცენების თარიღად ჩვენ II-III საუკუნეები მიგვაჩნია, რადგან ვთვლით, რომ მოძღვრის მიერ წარმოთქმული საგალობელი იმპროვიზირებულია და არა ნათარგმნი, თუმცა, არც თარგმნილი ჰიმნოგრაფიის არსებობას უარვყოფთ აღნიშნული პერიოდისათვის. ჩვენი აზრით, ნათლობისას წარმოთქმული საგალობელი ადგილობრივ მუსიკალურ და პოეტურ ტრადიციას უნდა ეფუძნებოდეს. მიგვაჩნია, რომ

იერუსალიმური ტრადიციის გავლენის გარდა,საგალობლის ხასიათს უდავოდ განსაზღვრავდა შესაბამისი ადგილობრივი კულტურული გამოცდილებაც.

კორნელი კეკელიძის შეხედულებით, ქართული საეკლესიო პოეზია ორგვარია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი. პირველი შეიცავს ლიტურგიკულ, საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებებს, საეკლესიო ჰიმნოგრაფიას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ხოლო მეორე – ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოსაყენებლად არ არის განკუთვნილი და გამოხატავს სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის გრძნობებსა და სულიერ განცდებს, ანდა აგვიწერს რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს.

მეცნიერი თვლის, რომ სასულიერო პოეზია პირველი პერიოდის პირველ ნახევარში (V-VII საუკუნეები) ქართულად არ არსებობდა. თუმცა, შენიშნავს, რომ ,,... ეკლესიაში გალობამ იმთავითვე შესაფერისი ადგილი დაიკავა, როგორიც ეკავა ებრაელთა სინაგოგურ ღვთისმსახურებაში. თავდაპირველად საქრისტიანო ღვთისმსახურებაში ჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი: გალობდნენ ფსალმუნებს, ანუ დავითნის სხვადასხვა მუხლს, მერე კი დაახლოებით V-VI საუკუნეებიდან შემოდის ჰიმნოგრაფიული ელემენტი, გაჩნდა „poetice compositum“ სხვადასხვა მწერლისა,ჰიმნები ან საგალობლები,რომლებშიც გამოთქმული იყო ღრმა რელიგიური გრძნობები. უნდა შევნიშნოთ, რომ მონასტრები თავდაპირველად გაურბოდნენ ჰიმნების ხმარებას, იქ უფრო ფეხგადგმული იყო ფსალმუნური ელემენტი. ბერების შეგნებით, ჰიმნები, საერო ან მსოფლიო, სამრევლო ეკლესიათა საქმე იყო, ბერებსა და მონასტრებს ის არ შეშვენოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიმნოგრაფიამ იმათშიაც გაიკაფა გზა და შექმნა ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა, სახელდობრ, სასულიერო, ან საეკლესიო პოეზია, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონია კლასიკურ პოეზიასთან არც ფორმით, არც შინაარსით“ (Kekelidze, 1980: 588).

აქ ჩნდება კითხვა: რატომ გაურბოდნენ მონასტრებში ჰიმნების გამოყენებას იმ მოტივით, რომ ისინი მსოფლიო, სამრევლო ეკლესიათა საქმე იყო? ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თავდაპირველად, ახალი მოძღვრების გავრცელების პერიოდში, ქრისტიანული შინაარსის მქონე ჰიმნები აღმოცენდა სწორედ საერო ლექს-სიმღერების ფორმათა გავლენით? წარმართულ ხანაში ღვთაებებისადმი მიძღვნილი ჰიმნების ერთბაშად მოსპობა ქრისტიანობის გავრცელების ხანაში ხომ წარმოუდგენელია. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ქართულ სინამდვილეში ქრისტიანული გალობის შექმნისას ნაწილობრივ მაინც დაემყარნენ ქართულისათვის იმჟამინდელ ბუნებრივ ლექსთწყობას.

ჩვენამდე შემორჩენილი სვანური „ლილე“ მზის სადიდებელი ჰიმნია, რომელიც ცეკვითა და სიმღერით სრულდება. შესრულების სინკრეტული

ხასიათი თანდათანობით შეიცვალა. ბუნებრივია, ეკლესია აკრძალავდა წარმართულ სიმღერებს, თუმცა, ერთბაშად ვერ მოსპობდა სიმღერის კილოს. დღეს მუსიკათმცოდნეებს უჭირთ დასკვნის გამოტანა, გააჩნდა თუ არა მუსიკალური ხასიათი თავდაპირველად შექმნილ ქრისტიანულ საგალობლებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ექნებოდათ გარკვეული მუსიკალური ტონალობა, რადგან ჩვენამდე მოღწეულ პირველ საგალობელს რიტმული ხასიათი აქვს და მთავრდება „ალილუიათი“, რომელიც ღიღინით წარმოითქმის. კორნელი კეკელიძე შენიშნავდა, რომ „საგალობელთა სხვადასხვა ჯგუფი, რომელსაც ახლა სპეციალური სახელწოდება აქვს: „კანონი“, „დასდებელნი, უფალო ღაღატყავსა, სტიქარონთა და აქებდითსა ზედა“, ძველად აღინიშნებოდა დასაწყისი სიტყვებით სხვადასხვა ფსალმუნისა, რომელთაც მათთან კავშირი აქვთ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია მაშინ დაწყებულა, როცა საქრისტიანო ღვთისმსახურებაში ჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი, რომელსაც მერე, ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდეგ, დაუწყეს მიმატება, ან მიღება (აქედან დასდებელი სხვადასხვა საგალობლისა). თუმცა, მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს დრო VII საუკუნეს ვერ გადასცილდება (Kekelidze, 1980: 590).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსალმუნები V საუკუნეში ქართულად უკვე ნათარგმნია, რადგან ციტირება მოხმობილია „წმინდა შუშანიკის წამების“ საკითხავში. რა თქმა უნდა, არ უნდა გამოირიცხოს ფსალმუნთა ქართულად თარგმნის ტრადიციის ზეგავლენა ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, მაგრამ უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი ითვალისწინებს იმ ენის ხასიათს, რომელზეც გადააქვს სათარგმნი მასალა. ქართულ ენაზე თარგმნილი ფსალმუნები კი არ არის მოკლებული რიტმულობას. საგულისხმოა, რომ პავლე ინგოროყვა ლექსის უძველეს სახეობას უწოდებს „წყობილ სიტყვას“, ანუ ურითმო, რიტმიზებულ ტექსტს. მისი აზრით, ასეთი სალექსო ფორმა დამახასიათებელია ქრისტიანობის ადრეული ხანის ქართული საგალობლებისათვის (Ingorokva, 1978: 260).

საინტერესოა აგრეთვე აპოლონ სილაგაძის დაკვირვება ქართულად თარგმნილ სასულიერო მწერლობის რამდენიმე ნიმუშზე, რომლებშიც დაცულია ძველი საერო მწერლობისათვის დამახასიათებელი საზომები. მაგალითად, სტრიქონი ევსები კესარიელის თხზულებიდან „წამება წმიდისა პროკოპისი“, „არა კეთილ არს/მრავალ-უფლება /ერთ უფალ იყავნ და ერთი მეუფე!“ (Ingorokva, 1938: 52) წარმოადგენს ჰომეროსის „ილიადას“ ციტატის თარგმანს, რომელიც მოყვანილია ტექსტში: „მაშინ წმიდამან მან მოწამემან ღმრთისამან ესეცა სიტყუა უფროს განეკიცხა ფრიად და პირველთა მათ უმეროსისთა წამოიღებდა სტრიქონთა, რომელ იგი მათ ყოველთა მიერ სიტყვის მოქმედთა განსაკრვებელ იყო და თქუა ესრთ: „არა კეთილ არს მრავალ-უფლება, ერთი უფალ იყავნ და ერთ

მეუფე!“ (Kekelidze, 1946: 113).

ქართული თარგმანი შესრულებულია ბერძნულიდან არაუგვიანეს VII საუკუნისა (Kekelidze, 1946: 109), სავარაუდებელია VI საუკუნეც (Ingorokva, 1938: 52; Kaukhchishvili, 1946: 73).

ამგვარი რამ – ტექსტში ერთი სალექსო სტრიქონის, როგორც ციტატის, გამოჩენა, როგორც აპოლონ სილაგაძე აღნიშნავს, სხვაგანაც გვაქვს. დიონისე არეოპაგელის თხზულება „საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის“,რომელიც ეფრემ მცირემ თარგმნა,ასევე გვაწვდის ერთ სტრიქონს ჰომეროსიდან: „ბარბით მცემელობს/პირმშო – შობ/ვერ მეცნიერი/შობისა“ (Kaukhchishvili, 1946: 71-73). აქ 16-მარცვლიანი დაბალი შაირია წარმოდგენილი. ეფრემ მცირეს ოცმარცვლიანი ფისტიკაურის სტრიქონიც აქვს გამოყენებული ჰომეროსის სათარგმნელად „ელინთა მეზღაპრეობაში“: „ამის ვისიმე/დგომა ცხენისა /სასმენელ იქმნა/ბაგათა ზედა“ (Ingorokva, 1938:52).

აპოლონ სილაგაძე აღნიშნულ ფრაგმენტთა ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ ქართული ტექსტის ავტორი, ან მთარგმნელი თარგმნის ლექსით ციტატას, ფრაგმენტს (ერთსტრიქონიანს) ჰომეროსიდან, უფრო ზუსტად, ტექსტი, რომელსაც ის წინ იდებს, არის ფრაგმენტი, რომელსაც ის აგრეთვე თარგმნის. თუმცა, მეცნიერი ამ ფრაგმენტს არ მიიჩნევს ქართული რიტმული აგებულების ჩასახვის გამოვლენად. იგი იზიარებს სიმონ ყაუხჩიშვილის დაკვირვებას, რომ ეფრემ მცირე დაქტილურ ჰეგზამეტრს სხვადასხვანაირად გადმოსცემს: საღვთისმეტყველო ტექსტის გადმოღებისას მას ქართულში უფარდებს იამბიკოს, ხოლო, როდესაც თარგმნის ჰომეროსის ტაეპებს, ირჩევს დაბალ შაირსა და ფისტიკაურს (Silagadze, 1987: 277).

მეცნიერის აზრით, სასულიერო პოეზიამდე არსებობდა პოეზია, რომელიც მარკირებულია, როგორც ლექსთწყობის გარკვეული სისტემის მქონე და ამით დაპირისპირებულია სხვა სასულიერო პოეზიასთან, რომელიც მარკირებულია, როგორც ამ სისტემის არმქონე. სასულიერო მწერლობა, რომელიც სხვა შემთხვევაში სხვა, ჩვეულ ფორმას ხმარობს, იძლევა სწორედ ამ პოეზიის ფრაგმენტს, თარგმნის რა ჰომეროსის ლექსის სტრიქონს, რომლისთვისაც სწორედ ეს პოეზიაა შესაფარდი. მაშასადამე, როგორც ბერძნულ ტექსტში მოტანილი ერთი სტრიქონი წარმოადგენს ფრაგმენტს „ილიადასი“ და მთელი მოცემული პოეზიისა, კერძოდ, ვერსიფიკაციული სისტემის ასახვისა, ასევე ქართულ თარგმანში მოტანილი ერთი 20-მარცვლიანი (ან სხვა) რიტმული სტრიქონი წარმოადგენს ფრაგმენტს იმ პოეზიისა, რომელიც არსებობს.

აპოლონ სილაგაძის დასკვნით,VI-VII საუკუნეების ძეგლი გვიჩვენებს ლექსთწყობის სისტემის მეტრული სახის ერთ-ერთ წევრს – 20-მარცვლიან სტრიქონს სტრუქტურით 5+5+5+5, უფრო გვიანდელი ნიმუშები –

დაბალ შაირსაც. საეკლესიო მოღვაწეობის ცენტრებში პოეზია, ბიზანტიური ეტალონის მიხედვით, ან ურიტმო იყო, ან – უფრო გვიან – იამბიკოს ფორმისა, ბიზანტიურის მიმსგავსებითვე. მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში ამ მწერლობამ შემოგვინახა მეტრული ვითარების ფრაგმენტები. საეკლესიო ავტორები ზუსტად მისდევენ საეკლესიო ფორმის კანონს, მაგრამ სპეციფიკურ შემთხვევებში ასახავენ არასასულიერო პოეზიის მეტრიკისათვის დამახასიათებელ სურათს (Silagadze, 1987: 281).

ჩვენი აზრით, უფრო ადრეულ ეტაპზე სასულიერო პოეზიამ სრულად ვერ უგულებელყო საერო პოეზიის რიტმის ზეგავლენა და როგორც „წმინდა კოლაელ ყრმათა წამების“ ტექსტიდან ჩანს, მის გამოყენებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი ქართული ჰიმნოგრაფიის აღმოცენების ადრეულ პერიოდში. „წამების“ საგალობელი აშკარად რიტმული ხასიათისაა და მისი სტრიქონებად დაყოფის შემთხვევაში ასეთი ფორმა შეიძლება მივცეთ:

„სული წმიდა გარდამოხდა,
ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა,
რაჟამს ქრისტჱ ნათელს იღებდა,
ანგელოზნი თანა-უდგეს,
ამას გალობასა იტყოდეს:
ალილუია, ალილულია“ (Dzv. kart., 1963: 184).

გალობის ტექსტში, ძირითადად, 5 და 7-მარცვლიანი საზომი დომინირებს, რაც, ჩვენი აზრით, საგალობლის რიტმული ხასიათიდან გამომდინარეობს. მსგავსი რიტმულობაა დაცული გურული შელოცვის ტექსტშიც:

„პეტრე პავლე პურს აცხობდა
კარსა იორდანისასა,
პეტრემ უთხრა პავლესაო, –
რატომ არ ჭამ პურსაო.
რავა არ ვჭამ პურსაო,
(სახელი) გულსაო,
ჭია არის ჩავრდომილი,
ჩავუსვამ ცერსა,
ამის წამალი არის
ატმისა პრიწკი,
ნიგვზისა ტოტი,
გადაუსვი და გადმოუსვი
მუცელსა და გულსაო,
ეს არის წამალი მისი,
ამით მოვალ, ამით მომყავს
ქრისტეს დედაო,
ღმერთო, აგერ, ლოცვა ჩემი

და ბრძანება შენი“.

„წმიდა კოლაელ ყრმათა წამებაში“ მღვდელი ნათლობისას ამბობს „ჟამობას“, რაც ძველ ქართულში გალობას ნიშნავს. გიორგი ხუცეს-მონაზონის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით, გიორგი მთაწმინდელმა კონსტანტინოპოლში კეისარს თავისი მოწაფეების გუნდი წარუდგინა. „მაშინ უბრძანა მეფემან, რათა **ჟამობა** ათქმიოს ობოლთა თჳსთაო“ (ხაზი ჩვენია. ი.გ.). საგალობლების მოსმენის შემდეგ კეისარმა მადლობა გადაუხადა ბერს: „განგისწავლიან ბერძულსა გვარსა ზედა, კეთილო ბერო, შენნი ობოლნი“, და ბრძანა ათასი აჟურა მიცემად მათდაო“.

მაშასადამე, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, კეისარი კარგად ანსხვავებდა ქართულ და ბერძნულ გალობას ერთმანეთისაგან. გალობის ტექსტი, რომელსაც მღვდელი წარმოთქვამს „წმინდა კოლაელ ყრმათა წამებაში“, შესაძლოა, იმჟამინდელი წეს-განგების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მას მოძღვარი იმპროვიზაციით წარმოთქვამდეს. სულ ერთია, მას უცხო ენიდან თარგმნილად მივიჩნევთ, თუ ქართულ ენაზე შექმნილ საგალობლად, ის მაინც იმჟამინდელი ქართული გალობის ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია ისიც, რომ „წმინდა მამების მიერ არ იყო აკრძალული და დაგმობილი, პროფესიულ-კანონიკური ჰანგების გვერდით, ხალხურ-ეროვნული მუსიკალური ნაკადის არსებობა“ (Chkheidze, 2001: 129).

ფაქტია, რომ IV საუკუნიდან აღნიშნულ გალობას აღარ წარმოთქვამენ ნათლობისას. ლაოდიკიის საეკლესიო კრების 59-ე კანონის თანახმად, „არა ჯერ არს **სოფლურთა ფსალმუნთა** თქუმა ეკლესიასა შინა, არცა უკანონოთა წიგნთა, არამედ კანონებრივთა ახლისაცა და ძუელისა აღთქუმისათა“ (Didi sjul., 1975: 259) (ხაზი ჩვენია-ი.გ.). მაშასადამე, ლაოდიკიის კრებამდე ხალხური ფსალმუნები სრულდებოდა ეკლესიებში. ლაოდიკიის კრება ჩატარდა 365 წელს და ამ დროიდან აიკრძალა ხალხური ფსალმუნების შესრულება.

გალობას კონკრეტული ფუნქცია-დანიშნულება გააჩნია, მას მღვდელი წარმოთქვამს ნათლობის ჩატარებისას, მაშასადამე, ის ლიტურგიკული დანიშნულებისათვის შექმნილი ნაწარმოებია. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ, თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში საზოგადოებრივი ცხოვრება რელიგიურ საფუძველზე იყო მოწყობილი, რის გამოც მის შუაგულში მუდამ იდგა მფარველი წმინდანი, ანუ, როგორც ისინი უწოდებენ, ჯვარი, ხატი, ღვთისშვილი. ყოველ თემს თავისი მფარველი ღვთისშვილი ჰყავს, ხოლო ყოველ ღვთისშვილს – თავისი „საყმო“ –საზოგადოება. ამ კუთხის საწესჩვეულებო ფოლკლორში უმთავრესი ადგილი რელიგიური შინაარსის ანდრეზებსა და საკულტო ზეპირსიტყვიერებას უკავია. საკულტო ტექსტები ჯვარ-

ხატის კარზე აღევლინება და ისევე, როგორც ჯვარ-ხატი წარმოადგენს აბსოლუტურ სიწმინდეს, ღვთისშვილთა სადიდებლებიც საკრალური ნიშნით არის აღბეჭდილი.

საკულტო ტექსტი არის ხუცესის, დეკანოზის, ხევისბერის მიმართვა მფარველი ღვთისშვილისადმი. მათში განდიდებულნი არიან ჯვარ-ხატები თავისი ეპითეტებითა და ნიშან-თვისებებით, რის მიხედვითაც ვლინდება ღვთისშვილთა ბუნება და ფუნქციები. სწორედ ჯვარ-ხატია ხუცობათა და სადიდებელთა ერთადერთი პერსონაჟი (Jvar-khatta... 1988: 5). საკულტო ტექსტებს ჰაგიოგრაფია ქების ხასიათითაც ემსგავსება.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს ,,კურთხევანის'' წარმოშობა იმ გადმოცემას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, მოძღვარი ჭკუიდან შეიშალა თათრების ბარში გაბატონების ტრაგიკული ამბის მოსმენის გამო და აერია ტექსტები. ჩვენი აზრით, ეს თქმულება წარმოიშვა იმის ასახსნელად, თუ რატომ არ მიჰყვება ბარში დამკვიდრებულ კანონიკას მთაში არსებული ღვთისმსახურება. მთაში ვერ მოხერხდა წარმართობის სრული განადგურება, ამიტომ იქ წარმართული ღვთაებებისადმი მიძღვნილი ხოტბა, მართალია, შეიცვალა ქრისტიანული შინაარსის სადიდებლებით, მაგრამ მათში მაინც შემორჩა კვირიას, იახსარისა და სხვა ღვთისშვილთა ხსენება. ეს ბუნებრივიცაა. ცნობილია, რომ ქრისტიანული ეკლესიები წარმართულ საკერპოებზე დაფუძნდა. მართალია, ბომონები გააცამტვერეს, მაგრამ მათზე დააშენეს ეკლესია. არ არის გამორიცხული, რომ წარმართული ჰიმნების კილო ნაწილობრივ შენარჩუნდა ქრისტიანულ საგალობლებში.

სადიდებლების წარმოთქმის ტრადიცია ნათლად გვირკვევს, თუ როგორ შეერწყა ერთმანეთს წარმართული და ქრისტიანული კულტურა და სრულიად თავისებური სახე მიიღო. მაგალითად, ,,მზეს ღვთაების ყველა თვისება გააჩნია. წარმართულ ღვთაებათა სადიდებელ-სავედრებელ ტექსტებში მზის ხსენება უზენაესი ღმერთის შემდეგ მოდის. ,,დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა... დიდება მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა''.

გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი სადიდებლების, სალოცავ-სავედრებლების, კურთხევანის მარცვლები და ტერფები სწორედ ისეთივე სტრუქტურისაა, როგორც მთიბლურები, ნაქადაგრები, ხმით ნატირლები, ხუცობანი და ცხრამარცვლიანი საზომითაა გაწყობილი. თუმცა, გამოთქმულია საპირისპირო თვალსაზრისიც, რომ ხუცობანი უფრო მეტად რიტმული ტექსტებია.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ტექსტები, რომლებსაც მთაში ხუცესები და ხევისბერები წარმოთქვამენ, ადრექრისტიანულ ხანაში შექმნილი ტექსტების იდენტურია, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ რიტმულობა უძველესი ქართული პოეზიისა

და სიმღერისათვის, უდავოდ, ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო.

ცნობილია, რომ ,,ქართულ ჰიმნოგრაფიაში საგალობლის შემდეგი გავრცელებული ფორმები დასტურდება: 1. ე. წ. პროზაული საგალობელი, 2. სტროფული საგალობელი და 3. იამბიკო.

,,წმიდა კოლაელ ყრმათა წამების" ტექსტში არსებული საგალობელი რიტმულია. გალობის ავტორის პირველწყარო სახარებაა, კერძოდ, იესო ქრისტეს მონათვლის ეპიზოდი. ოთხი მახარებელი აღნიშნულ ფაქტს ერთნაირად გადმოსცემს. უფრო მეტად ავტორი მარკოზის სახარებას ეყრდნობა. ,,და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესო ნაზარეთით გალილეიაჲსაჲთ და ნათელ-იღო იოანესაგან იორდანესა. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი და სული ღმრთისა გარდამომავალი, ვითარცა ტრედი მის ზედა" (მარკოზი 1, 9-10).

საკულტო ტექსტები იყოფა სამ ნაწილად: ღვთისშვილთ მოხსენიება (სადიდებლები), სალოცავ-სავედრებლები და კურთხევანი. კულტმსახურებაში მას მთლიანად ხუცობანი ჰქვია და, შესაბამისად, გვაქვს მოხსენებით ხუცობა, პირის ქარით ხუცობა და კურთხევანით ხუცობა. საკულტო ტექსტების რიგში ერთიანდება სახელისდებანი და ნაქადაგრები. აღსანიშნავია, რომ პირისქარით წარმოთქმული სადიდებლები გალობით ითქმის, მათ თავისებური ევფონიურობა ახასიათებს. მაგალითისთვის მოვიტანთ ხუცობანის ტექსტს, რომელიც პირისქარით წარმოითქმის: ,,ააა, დიდებაა ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება ღმერთს დღესინდელსა, რჯულ-ქრისტეანთა, მზესა-დ მზის მიმყოლთ ანგელოზთა" (ხუცობა გუდანის ჯვარში საკლავის დაკვლის წინ" (Tsufa №29900; dasakh. ts.: 15), ან ,,კურთხევანიდან": ,,დღესა ხსნილობა ჯვარსა კურთხეულობა, კურთხეულჩია ღმერთია, უფალია ასტა მარატის, უკუნის უკუნანდე, ჩვენო მამაო მოვლინებულო, რომელნი ხარ ცათაშია, ეგრე ხოყანაშია, მოგვიშვი და მოგვიტიე პური ჩვენი არსობილთა. რაც უფალმა მოგვანიჭა. მორევი მოვიდოდა, ადგილსა იკურთხევდენ იასოსა კეზორესა პილი პეტრე უთხრიან. ან ვინ გგონავთ ან ერითა, ან უმერალობითა. თვალნიც იჯსნნა, ჩვენც გვაცხონნა. ღმერთის შასლიასისებითა. ხატო, ხატო მეუფეო, შენ გვაჯსენენ, ჩვენ გადიდებთ დღესა მაგასა სჯულისასა. **თვალნი მაღლიად არიან მაღლისა ხთისანი, წმიდისა ხთიშობლისანი, ხატისა მაცხოვრისანი. მაგაზედ ავაშენენინ ეკლესიანი ხთისანი. ხთისათა ეკლესიათა სიტყვა უკვდავის მარიემისა გამოჩინდებოდა.** ცნობა ქვეყანათაზედა გამააცხადე თუ რამ იყავ ბნელეთ ჩიგა, ან ბერნი ან უძულნი ხორცნია უფლისანი, სისხლნია მაცხოვრისანი" (გვ. 22).

ქართულად ნათარგმნ ფსალმუნებში აგრეთვე დაცულია რიტმულობა. გავიხსენოთ ის ეპიზოდი, როდესაც წმინდა შუშანიკი მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ ჯოჯიკს, მის ცოლსა და მონა მხევლებს

მიმართავს: ,,**ესე ყოველი ცხორება, ვითარცა ყუავილი ველისა წარმავალ არს (შდრ. ფსალ. 102,15)** და დაუდგრომელ და, ვინ სთესა, მოიმკო (გალატ. 6,8) და ვინ განაბნია გლახაკთათვის, შეიკრიბა და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი“(Galat. 6,8). ტექსტის ამ ნაწილსაც, როგორც ვხედავთ, რიტმულობა ახასიათებს. შეიძლება მკითხველის მიერ რეჩიტატივით წარმოითქვას. ვნახოთ, როგორ არის თარგმნილი ქართულად 102-ე ფსალმუნი:

,,8. შემწყნარებელ და მოწყალე არს უფალი, სულგრძელ და დიდად მოწყალე.

9. არა სრულიად განრისხნეს, არცა უკუნისამდე ძვირი იხსენოს!

10. არა ცოდვათა ჩუენთაებრ მიყო ჩუენ, არცა უსჯულოებათა ჩუენთაებრ მომაგო ჩუენ.

11. რამეთუ რავდენ მაღალ არიან ცანი ქუეყანისაგან, განაძლიერა უფალმან წყალობა მისი მოშიშთა მისთა ზედა.

12. რაოდენ განშორებულ არიან აღმოსავალნი დასავალსა, განმაშორნა ჩუენგან უსჯულოება ჩუენნი.

13. ვითარცა სწყალობს მამა შვილთა, შეიწყალნა უფალმან მოშიშნი მისნი.

14. რამეთუ მან უწყის დაბადებაჲ ჩუენი, მოიჯსენა, რამეთუ მიწანი ვართ,

15. კაცი, ვითარცა თივა, არიან დღენი მისნი, ვითარცა ყუავილი ველისა, ეგრეთ აღყუავდეს...“

ფსალმუნიდანაა დამოწმება იმ ეპიზოდშიც, როდესაც წმინდა შუშანიკი უარს შეუთვლის ვარსქენს ციხიდან შინ დაბრუნებაზე და მასთან მისულ მნახველს, რომელიც მას შეუქებს საქციელს, ეუბნება: ,,და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს (ფს. 120,4), რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: ,,მე მიუგო სიტყუა თქუენ წილ“. მოვიხმოთ 120-ე ფსალმუნი, რომელიც ასეა დასათაურებული ,,გალობა აღსავალთა“:

,,1. აღვიხილენ თუალნი ჩემნი მთათა, ვინა მოვიდეს შეწევნა ჩემი?

2. შეწევნა ჩემი უფლისა მიერ, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანა.

3. ნუ მისცემ შეძრვად ფერჯსა შენსა, არცა ჰრულეს მცველსა შენსა.

4. **აჰა, არა ჰრულეს, არცა დაიძინოს მცველმან ისრაჱლისმან“**.

კორნელი კეკელიძე წერს: ,,ბიზანტიურ რიტმულ პოეზიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა, სილაბიზმის გარდა, აქვს აქცენტიანობას, ესე იგი, ხმის ამაღლებას გარკვეული თანამიმდევრობით, რაც ჩვენი პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა. ლექსის რიტმულობა, როგორც ცნობილია, ენის ბუნებრივ თვისებებს ემყარება, ბუნებრივი თვისება ქართული და ბერძნული ენისა ერთი და იგივე არაა. მეცხრე-მეათე საუკუნეებში, როდე-

საც ქართული ჰიმნოგრაფია განვითარების უმაღლეს წერტილზე ავიდა, ქართველი ჰიმნოგრაფები ბერძნული წარმოშობის ლიტურგიკულ კრებულებში ბერძნულ ელემენტს გვერდს უვლიან და საკუთარ, ქართულ შინაარსს სდებენ ორიგინალური ჰიმნების სახით; ნუთუ ასეთ პირობებში რიტმი თავისი ჰიმნებისა ბერძნულიდან ისესხეს?“ (Kekelidze, 1980: 590).

ამ საკითხზე მსჯელობა მომავალშიც, ვფიქრობთ, უნდა გაგრძელდეს. წიგნში, რომელსაც ,,ქართული ჰიმნოგრაფია: ტრადიცია და პოეტიკა“ ჰქვია, შესავალშივე აღნიშნულია, რომ ,,ქრისტიანობის გავრცელებამდე ჰიმნები ითხზვებოდა შუამდინარეთში, ძველ ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში. ეს თხზულებები ღმერთებს, ცნობილ გმირებს, მეფეებს, ან რომელიმე გამორჩეულ ისტორიულ მოვლენას ეძღვნებოდა. პლატონმა ჰიმნი უწოდა ისეთ პოეტურ-მუსიკალურ ნაწარმოებს, რომელიც ღვთაებისადმი აღვლენილი ლოცვა იყო და მის თაყვანსაცემად იქმნებოდა. პლატონამდე უკვე იყო შეთხზული ჰომეროსის სახელით ცნობილი ჰიმნები, ძველეგვიპტური მზის სადიდებელი, თუ ოზირისისადმი მიძღვნილი ჰიმნები“ (Sulava, 2006: 3).

ასეთი შესავლის გაკეთება აუცილებელია, მაგრამ სასურველია, აქვე აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის გავრცელებამდე მზის, წარმართულ ღვთაებათა და სხვადასხვა მოვლენისადმი მიძღვნილი ჰიმნები იქმნებოდა ქართულად, ხოლო მთამ დღემდე შემოინახა არაერთი უძველესი ნიმუში ოდნავ შეცვლილი სახით.

ჩვენ ვიზიარებთ პავლე ინგოროყვას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში ქართულ საგალობლებს ახასიათებდა რიტმულობა და შევნიშნავთ, რომ აღმოსავლეთ მთიანეთში დაცული კურთხევანის ნიმუშები კარგი დასტურია იმისა, თუ როგორ მოხდა წარმართული კულტურის ელემენტების ათვისება ქრისტიანობის მიერ, რამდენად შემოქმედებითად მოეკიდა ქართველობა ქრისტეს მოძღვრების შინაარსის გათავისებას. არ არის გასაკვირი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი ,,ქართული ქრისტიანობა“, ვინაიდან ქართველობამ შეძლო, ეროვნული კულტურის გადარჩენის კვალდაკვალ. მიეღო ახალი მოძღვრება და საკუთარ შემოქმედებით სულიერ ქურაში გამოეწრთო. სწორედ ამიტომ მოხდა ქართული ქრისტიანული ორიგინალური ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ჰიმნოგრაფიისა და ჰაგიოგრაფიის ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა ქრისტიანი ერების კულტურათა გავლენაც, მაგრამ ეს არასოდეს არ მომხდარა ქართული ორიგინალური კულტურის საზიანოდ.

ვფიქრობთ, ქართული ჰიმნოგრაფია მისი აღმოცენების პერიოდში დაემყარა იმ გამოცდილებას, რაც მას გააჩნდა ორიგინალური ჰიმნების სახით. ფსალმუნთა თარგმნისასაც არ დაუკარგავთ მთარგმნელებს იმის შეგრძნება, რომ ტექსტისათვის შეენარჩუნებინათ ევფონიური ხასიათი.

ნათარგმნმა ფსალმუნებმა კი, ისევე როგორც ბიბლიის სხვა წიგნებმა, თავის მხრივ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენა მოახდინა, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიის, ასევე ჰაგიოგრაფიის ხასიათზეც.

ლიტერატურა:

1. Chkheidze, 2001 – Chkheidze T., Qartuli saeklesio sagalobeli zoga-dqristianuli da erovnuli kulturis tchidilshi, krebuli „kartuli saeqlesio galoba, eri da tradicia“, saqartvelos sapatriarko, Iv. Javakhishvilis sakhelobis istoriisa da etnologiis instituti, kristianobis kvlevis saertashoriso sametsniero centri, Tbilisi, 2001.
2. Didi sjul., 1975 – Sakartvelos ssr metsnierebata akademia, Korneli Kekelidzis sakhelobis khelnatserta instituti, didi sjulis kanoni, gamosatsemad moamzades E. Gabidzashvilma, M. Dolakdzem, G. Ninuam, Tbilisi, 1975.
3. Dzv. kart., 1963 – Dzveli kartuli agiografiuli literaturis dzeglebi, tsigni I, dasabechdad moamzades Il. Abuladzem, N. Atanelishvilma, N. Goguadzem, L. Kajaiam, Ts. Kurcikidzem, C. Chankievma da Ts. Jghamaiam, Ilia Abuladzis khelmdzghvanelobita da redaktsiit, Tbilisi, 1963.
4. Ingorokva, 1980 – Ingorokva P., Tkhzulebata krebuli, tomi IV, Tbilisi, 1980.
5. Jvar-khatta... 1998 – Jvar-khatta sadideblebi, tekstebi shekribes, shesavali, leksikoni da sadzieblebi daurtes Zurab Kiknadzem, Khvtiso Mamisimedishvilma da Tristan Makhaurma, Tbilisi, 1998.
6. Kekelidze, 1980 – Kekelidze K., Dzveli kartuli literaturis istoria, tomi I, Tbilisi, 1980.
7. Mckheturi khelnatseri (tobis, ivditis, esteris, iobis tsignebi, psalmuni, igavta tsigni), teksti gamosatsemad moamzada da gamokvleva daurto El. Dochanashvilma, Tbilisi, 1983.
8. Silagadze, 1987 – Silagadze A., Kartuli leksis ganvitarebis satskisi etapebis sakitkhisatvis, saiubileo krebuli: Akaki Shanidze – 100, Tbilisi, 1987.
9. Sulava, 2006 – Sulava N., Qartuli himnografia: tradicia da poetika, Tbilisi, 2006.

Ia Grigalashvili

THE RELATION OF GEORGIAN HYMNOGRAPY WITH THE FORMULARY

Summary

According to the established opinion in Georgian scientific literature the origin of Georgian hymnography is connected with Byzantine hymnography. As the oldest models they are named as Shio Mghvimeli's (VI c.) hymns.

In our opinion, the text of the hymn sung by the clergyman maybe is the part of the church service, but we should not eliminate the fact that the hymn is sung by improvisation.

We accept Pavle Ingorokva's opinion that during the spreading of the Christianity rhythm was typical for Georgian hymn and is shown the elements of Pagan culture assimilation with the Christianity. It was the reason that original architecture, painting, hymnography and hagiography were created in Georgia.

We think that Georgian hymnography was established on the basis of created original hymns. The interpreters were translating psalms but they felt that the translations had to preserve the euphonic character of these texts. Translated psalms influenced the character of Georgian Hymnography and Hagiography.

ირმა ზაქარაია

„... გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი“

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში სამეგრელო საინტერესო თეატრალური ცხოვრებით ცხოვრობს. წარმოდგენებისადმი მოთხოვნილებამ იმატა. სპექტაკლები იდგმებოდა ქალაქებსა თუ სოფლებში. სულ უფრო იზრდებოდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ თეატრი „კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი“ (ი. ჭავჭავაძე) იყო და განაპირობებდა საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ წარმოდგენების გასამართად, რომლებშიც ადგილობრივ სცენისმოყვარეებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული თბილისიდან და ქუთაისიდან ჩასული პროფესიონალი მსახიობები. წინამდებარე სტატიით გვსურს წარმოვაჩინოთ თეატრალური ცხოვრება სამეგრელოში 1896-1898 წლებში.

1896 წლის 14 აპრილს ახალსენაკის კლუბის დარბაზში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა, ნატო გაბუნია-ცაგარლის დახმარებით, წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“ და ვ. გუნიას ვოდევილი „ხოლერობა“, ხოლო რუსულად – მიხაილოვის ვოდევილი „Без жены“. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი საკმაოდ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. სპექტაკლებში მონაწილეებმა თავიანთი როლები კარგად შეასრულეს. წარმოდგენის მიზანი წყალდიდობისა და დიდთოვლობისგან დაზარალებულთა დახმარება იყო. შემოსავალმა შეადგინა ორმოცდაცამეტი მანეთი და ორმოცი კაპიკი, რომელიც გადაეცა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს, მაზრის უფროსს ი. ქავთარაძეს (Akhali ambavi, 1896, 20 aprili: 2).

4 მაისის „ივერია“ (№95, გვ. 2) იტყობინებოდა, რომ ვ. აბაშიძე აპირებდა წარმოდგენების გამართვას ახალსენაკში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხზე საგაზეთო მასალაში მეტი არაფერია ნათქვამი.

1896 წლის 29 ოქტომბერს, ახალსენაკში, ქალთა სკოლის დასახმარებლად სცენისმოყვარეებმა, ანეტა მზეიძის თაოსნობით, დადგეს ა. წერეთლის „ბუტიაობა“, ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდათ ეს არის!“ და ი. ბალდიჟევის „Нечаянное огорчение“. ქართულ სპექტაკლებში მონაწილეობა მიიღეს: ო. დადიანისამ, ფ. კალანდარიშვილისამ, მ. ლაზარენკოსამ, ვ. ლომინაძემ, კ. ხოფერიამ, ს. სახოკიამ, ვ. ელიავამ და ნ. გაბუნიამ; რუსულში – ჩეკინამ, გ. ბუდაგოვსკიმ და პროსკურიანმა. ამ ფაქტს გამოეხმაურა „ცნობის ფურცელი“. გაზეთის პირველი ნომერი, როგორც ცნობილია, 1896 წლის 20 ოქტომბერს გამოვიდა. რედაქტორ-გამომცემელი იყო ვალერიან გუნია. სავსებით ნათელია, რომ „ცნობის ფურცელში“ სასცენო ხელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობოდა – რედაქტორი, გარდა იმისა, რომ სხვა

სფეროშიც საქმიანობდა, თეატრალური მოღვაწეც იყო. გაზეთს ჰქონდა რუბრიკა ,,თეატრის მატიანე", სადაც საქართველოსა და სხვა ქვეყნების თეატრალური ცხოვრების შესახებ იყო საუბარი. 1896 წლის 29 ოქტომბერს ახალსენაკში გამართულ წარმოდგენასთან დაკავშირებით ,,ცნობის ფურცელი" წერდა: ,,წარმოდგენამ ერთობ მხიარულად ჩაიარა. განსაკუთრებით კი ქართულმა ,,ბუტიაობამ". მოთამაშეებს როლების კარგად შესწავლაში შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგავთ. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ყველანი დიდად ნასიამოვნები დარჩნენ... მოთამეშეებს გარდა მადლობის ღირსნი არიან: კნეინა ანეტა მხეიძისა, რომელმაც ამ კეთილ საქმეში დიდი შრომა გასწია; აგრეთვე ბ-ნი მ. დიდებულიძე, რომელსაც არა მცირე შრომა მიუძღვის წარმოდგენების გამართვაში ახალ-სენაკსა და მის მიდამოში" (Qartuli tsarmodgena akhal-senakshi, 1896: 4). ამასთან, გამოთქმულია სურვილი, რომ ბილეთების ფასი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასათვის.

1896 წლის 3 დეკემბერს, ფოთში, ,,წმიდა ოლღას" ქალთა სკოლის სასარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი სცენისმოყვარეები მონაწილეობდნენ (Kokh-dze, 1896: 4). დაინტერესება დიდი იყო. ქართულად წარმოადგინეს ა. ცაგარლის ,,ბაიყუში", რუსულად – ნ. გოგოლის ,,Женитьба". რეცენზენტმა ი. კოხრეიძემ მოიწონა ქართული სპექტაკლი; ს. მგალობლიშვილის მიერ რევაზ თავქარიანის როლის შესრულება შეაფასა როგორც ,,საუცხოო". მისი თქმით, არა უშავდა ბაზაზის როლში ივ. ყანჩაველს და კოტე ვარდკაჭაჭაშვილისაში ბ. მელიქოვს. ი. კოხრეიძემ თავის სტატიაში გამოჰყო ის პირები, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს წარმოდგენის გასამართად, კერძოდ, ქალთა სკოლის უფროსი ა. ს. სოკოლოვისა, ო. ა. ნიკოლაძისა, აგრეთვე იმავე სასწავლებლის მასწავლებელი ს. ა. ბარნოვისა, რომელიც რუსულ წარმოდგენაშიც მონაწილეობდა, ახალგაზრდა ექიმი კ. ი. მიქაბერიძე, რომლის წყალობით შეიკრიბნენ მანამდე დაქსაქსული სცენისმოყვარეები.

1897 წლის 18 ნოემბერს ზუგდიდში ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ სცენისმოყვარეებმა ითამაშეს ავქს. ცაგარლის ,,ბაიყუში" და ვ. გუნიას ,,მონადირე". საზოგადოების მხრიდან დაინტერესება დიდი იყო. მონაწილეებმა მონდომება და ძალისხმევა არ დაიშურეს და შედეგიც აშკარა იყო. მაყურებლების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. რეცენზენტმა აღნიშნა სონა ბასილაიას, ჭატია დარჯანიას, ბეგ. იოსავას ნიჭი და ასევე გამოჰყო ვ. გეთია, ,,რომლის თამაშს დიდათ დაკვირვება, მართებული კილო და საუცხოვოდ როლით გამსჭვალვა ეტყობოდა".

წარმოდგენის გამართვაში მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია ვ. გეთიას, ,,რომლის მიერ როლების გონივრული განაწილება, სცენის მოწყობა და ყველა წვრილმანები უნაკლო იყო" (Vermitsanashvili, 1897: 2).

მეტი აქტიურობა შეინიშნება 1898 წელს.

ზუგდიდში, პირველ მაისს, სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“, ხოლო 2 მაისს – ავქს. ცაგარლის „ბაიყუში“ და ვ. გუნიას „მონადირე“. შემოსული თანხა გათვალისწინებული იყო სამკითხველოს დასაარსებლად. სპექტაკლებზე გრიგოლ კორცხლელის რეცენზია გამოქვეყნდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (Kortskhleli, 1898: 2). მისი თქმით, სცენისმოყვარეებმა კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. რეცენზენტმა საგანგებოდ აღნიშნა ვ. გე-იას, კ. კ-ძის და ს. ბა-იას თამაში. საგაზეთო მასალიდან ვგებულობთ, რომ ხალხი საკმაოდ დასწრებია წარმოდგენას.

სტატიის ბოლოს ავტორმა მადლობა გადაუხადა ლ. ვა-ძეს, ვ. გე-იას და ს. ბა-იას, როგორც ორგანიზატორებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, კერძოდ, „ცნობის ფურცელში“ (1898 წლის 17 ივნისი, №560) ფსევდონიმით – „ჯოჯოხეთის მაშხალა“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ამას წინად, დ. ზუგდიდშიაც იქაურებმა წარმოადგინეს „და-ძმა“, მაგრამ ყოველსავე ელფერს იყო მოკლებული და დრამაც დააამახინჯეს. ჩვენის ჭკუით, ძრიელ კარგი იქნება, რომ დაბა-სოფლებში თავს დაანებებდნენ „სამშობლოსა“ და „და-ძმას“ წარმოდგენას. მით უფრო, რომ მოთამაშეები ვერ შეიძლებენ იმის რიგიანად წარმოდგენას, როგორც ტფილისში და ქუთაისში... ამათთვის უკეთესია ჯერ ვოდევილებიდან დაიწყონ, ვიდრე შეეჩვეოდნენ, თორემ თუ პირველში ხსენებული დრამებიდან დაიწყეს თამაში, არამც თუ საზოგადოებას ასიამოვნებენ, არამედ ისე გაუტეხენ გულსა, რომ კარგს მოთამაშეებსაც არ მიეკარება ხალხი. ამით ისინი, ვგონებთ ზიანის მეტს სარგებლობას ვერ მოუტანს ხალხს“ (Jojokhetis mashkhala, 1898: 3).

საქველმოქმედო მიზნით კიდევ ერთი წარმოდგენა გაიმართა 31 მაისს. სცენისმოყვარეებმა ლეხაინდრავო-ნაჯახაოს სამრევლო სკოლის დარბაზში, ამავე სკოლის სასარგებლოდ, ითამაშეს ვ. გუნიას ვოდევილები – „რაც არ მერგება, არ შემერგება“ და „მონადირე“. სპექტაკლებს მეზობელი სოფლებიდანაც დაესწრნენ.

ივანე ხანდამაშვილი წერდა: „საჭიროდ მიგვაჩნია მადლობა გამოუცხადოთ უფროს მეაბრეშუმეს ბ-ნ ი. გ. ქუთათელაძეს, რომლის მეოხებითაც შესდგა წარმოდგენა და რომელმაც დეკორაცია, ფარდები და პირის მოსაწყობი (გრიმიროვკა) ამოიტანა დ. ხონიდან თავის ხარჯით, აგრეთვე ხონის ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ ი. ამაღლებელს და ხონის ქალთა სასწავლებლის მასწავლებელ ქალს ქ-ნ მარიამ გრიგოლის ასულს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს: პირველმა სცენის გამართვა-მოწყობაში და მეორემ მოუმზადებლად იკისრა სუფლიორობა და თავის საქმე პირნათლად შეასრულა“ (Khandamashvili, 1898: 3).

1898 წლის 13 ივნისს ქუთაისის დრამატულმა დასმა ახალსე-

ნაკში წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა“. პრესაში რამდენიმე მასალა დაიბეჭდა, რომლებიდანაც ცნობილი ხდება, რომ სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ბალანჩივაძე, ჩხეიძე, თუთბერიძე, ივანიძე, დ. ჩარკვიანი, ნ. გაბუნია, გრ. ჩარკვიანი, პეტრიძე, რიონელი და ალავიძე.

ამჯერადაც გამოთქმულია სურვილი, რომ ბილეთების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, რაც შესაძლებლობას მისცემდა დაინტერესებულ, ღარიბ, მაგრამ ხელოვნების მოყვარულ ადამიანს დასწრებოდა სპექტაკლებს (Akhali ambavi, 1898, 12 ivnisi: 2).

დარბაზის უქონლობის გამო (დაიწვა გაურკვეველ ვითარებაში) წარმოდგენა გაიმართა გვიჩიას სახლში (Akhali ambavi, 1898, 19 ivnisi: 2).

ეს იყო დრამა „და-ძმის“ ახალსენაკში დადგმის პირველი შემთხვევა.

„ცნობის ფურცელი“ წერდა: „ახალ-სენაკში, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდად და სანაქებოდ შეასრულა თავისი როლი ბ-ნმა ვ. ს. ალექსი-მესხიშვილმა, რომელმაც დიდი „ვაშა-ვაშას“ ძახილი გამოიწვია ხალხში. აგრეთვე გვარიანი იყო თავის როლში ქ-ნი ჩხეიძე (მარინე). სხვა მოთამაშე კაცები, ზოგიერთნი თავიანთ როლებში გვარიანები იყვნენ, ხოლო ზოგნი კი სამწუხაროდ, როლის უცოდინარობით კოჭლობდა აქა-იქ, სუფლიორიც ცოტა ხმამაღლა კარნახობდა, რითაც ზოგიერთნი მოკლებულნი იყვნენ სიამოვნებას. აქაურების გარდა ამ წარმოდგენას სხვებიც მრავალნი დაესწრო. ხალხი ბლომად მოაწყდა, მაგრამ სამწუხაროთ, ბილეთები წინა დღით გაიყიდა და ადგილის უქონლობისა გამო ნახევრამდე ქალი თუ კაცი უკან დაბრუნდა... მოთამაშეებს საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა“ (Jojokhetis mashkhala, 1898: 3).

ანდრია ქავთარაძემაც მაღალი შეფასება მისცა ვ. ალექსი-მესხიშვილის თამაშს. ასევე შეაქო ჩხეიძე, რომელმაც, რეცენზენტის თქმით, „ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მისი არტისტული ნიჭი ღირს-შესანიშნავი და პატივსადებია“. ა. ქავთარაძის აზრით, ბალანჩივაძემ ოსტატურად შეასრულა ჯოლიას როლი.

დასასრულ, ა. ქავთარაძემ მადლობა გადაუხადა თეატრის გამგეს, ქ-ნ მოსიძეს და გამოთქვა სურვილი, რომ წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს, რადგან ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების განვითარებას, მით უფრო, რომ ხალხში ამის სურვილი არის – სამეგრელოს ქალაქებისა თუ სოფლების მცხოვრებნი შეძლებისდაგვარად ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ როგორც თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში, ისე ქველმოქმედებაში და სისტემატურად ესწრებიან სპექტაკლებს. გარდა ამისა, წარმოდგენები მაგალითს მისცემს „იმ ზოგიერთ საპატიო ქალბატონთ, რომელნიც თავიანთი ბრწყინვალე მდგომარეობის მიუხედავად, მდუმარებაში ატარებენ ცხოვრებას“ (Jaku, 1898: 4).

1898 წლის 12 ივლისს, სოფ. სუჯუნაში, აბაშის სკოლისათვის შენო-

ბის შესაძენად წარმოადგინეს აქვს. ცაგარლის ,,ხანუმა“ და ი. ჭავჭავაძის ,,დედა და შვილი“. მონაწილეობდნენ: ქალბატონები – ნ. გაბუნია-ცაგარლისა, თოფურიძე, იოსელიანი; ბატონები – თ. ფალავა, ნ. გაბუნია, დ. თოფურიძე, დანტკურელი.

ამ მოვლენას გამოეხმაურა ნიკოლოზ ბერიძე. მისი თქმით, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. რეცენზენტის შეფასებით, ხანუმას როლში შეუდარებელი იყო ნ. გაბუნია-ცაგარლისა, რომლის ,,საუცხოვო თამაშმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, რომელმაც იგი მრავალჯერ ,,ვაშას“ ძახილით გამოიწვია და აღტაცებულის ტაშის კვრით დააჯილდოვა“ (gurul-megreli, 1898: 3). ნ. ბერიძემ დადებითად შეაფასა დანარჩენი მონაწილეები, გარდა ქალბატონების – თოფურიძისა და იოსელიანისა, რომლებმაც, მისი თქმით, არც როლები იცოდნენ და გაუგებრადაც საუბრობდნენ. შენიშვნები არის გამოთქმული დეკორაციასთან მიმართებითაც.

ნ. ბერიძემ მადლობა გადაუხადა ელპიდა თოფურიძეს, რომელმაც ძალ-ღონე არ დაიშურა ბილეთების გაყიდვისა და ბუფეტის მოწყობისათვის.

კიდევ ერთ საგაზეთო მასალაში (D. T., 1898, 5 agvisto: 2-3) გამოთქმულია გულისწუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ სუჯუნას მოვაჭრეებმა და მცხოვრებლებმა ნაკლებად იაქტიურეს – ოთხი-ხუთი ოჯახის გარდა, ბილეთები არსად გაყიდულა, ხოლო ვაჭრებმა თავი არ დაანებეს იმ ღამეს თავიანთ დუქნებს, რომ ,,არა წახდენოდათ რა“. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, იმ დღეს სუჯუნაში ბაზრობა იყო გამართული და ამიტომაც წარმოდგენაზე სხვა სოფლებიდან მოსულებიც მრავლად იყვნენ.

12 ივლისს გამართული წარმოდგენის გამო ნ. გაბუნია-ცაგარლისას, ელპიდა თოფურიძეს, სხვა მონაწილეებს და მაყურებლებს მადლობა გადაუხადა აბაშის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა რაჟდენ ჭალაგანიძემ. მასვე გადაეცა შემოსული თანხა – 43 მანეთი, რომელიც გათვალისწინებული იყო აბაშის სკოლისათვის შენობის შესაძენად (Akhali ambavi, 1898, 8 agvisto: 3).

ზუგდიდში, საქველმოქმედო მიზნით, კერძოდ, უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ, 25 ივლისს სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია ,,გაყრა“ და ვ. გუნიას ვოდევილი ,,რაც არ მერგება, არ შემერგება“. ,,ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა ტრიფონ თოხაძის რეცენზია (Zugdidis samkitkhvelos..., 1898, 4 agvisto: 4). რეცენზენტის თქმით, ,,ორივე პიესამ მშვენივრად ჩაიარა, ნამეტნავად მეორემ“. მან მონაწილეებიდან გამოჰყო სონა ბასილაია, რომელმაც ,,გაყრაში“ მაკრინეს როლი შეასრულა, ხოლო ვ. გუნიას ვოდევილში – ნუცასი. ტრ. თოხაძის შეფასებით, ს. ბასილაიას ეტყობა, რომ თანდათან იწაფება და

მსახიობის ნიჭს სულ უფრო და უფრო ამჟღავნებს. მან ასევე შეაქო მ. დარჯანია, რომელმაც ეფროსინეს როლი შეასრულა.

ტრ. თოხაძემ მადლობა გადაუხადა ს. ბასილაიას მ. დარჯანიას, ვ. გეთიას და პლ. ბასილაიას, რომლებმაც ადრე შეძენილი დეკორაცია, ორმოცი მანეთის ღირებულების, სამკითხველოს გადასცეს; წარმოდგენაში მონაწილეობისათვის – ნ. საბაშვილს, ა. კაკაბაძეს, ა. ქადარიას, თ. თოლორიას, მ. კეიდიას, გ. კეიდიას, ვ. კვარაცხელიას და წ. წულეისკირს, აგრეთვე, ვ. დადიანისას, ლორთქიფანიძეს, ტარიელ ნ. დადიანს, პ. ჯიჯიხიას – დახმარებისათვის.

1898 წლის 30 ივლისს ს. საჭილაოში, ქ-ნ გრიგოლიას თაოსნობით, სტუდენტ ლორთქმანიძის დასახმარებლად ითამაშეს ავქს. ცაგარლის „ხანუმა“. მონაწილეობდნენ: ქალბატონები – ვ. ზ. კვალიაშვილისა, ასათიანისა, ნანეიშვილისა; ბატონები – ვ. ჭრელაშვილი, ლორქმონიძე და სხვ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ სცენისმოყვარეებმა თავიანთი როლები მშვენივრად შეასრულეს. განსაკუთრებული მოწონება დაუმსახურებიათ ვ. ზ. კვალიაშვილისას და ვ. ჭრელაშვილს. ხალხი საკმაოდ დასწრებია და ნასიამოვნებიც დარჩენილა. შემოსულა ცხრა თუმანზე მეტი (Teatris matiane, 1898: 3).

იმავე წლის 15 აგვისტოს სოფ. აბაშაში, ელ. თოფურიძის თაოსნობითა და ნ. გაბუნია-ცაგარლის დახმარებით, სამრევლო სკოლის სასარგებლოდ წარმოადგინეს რ. ერისთავის ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება“ და ვ. გუნიას ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“ (D. T., 1898, 25 agvisto: 3). მონაწილეობდნენ: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. თოფურიძისა, ლ. ხოშტარიასი, ა. ქვარიანისა, ა. ფაღავა, ნ. გაბუნია, მ. ნადარეიშვილი და ლანტკურელი. მოთამაშეებმა კარგად იცოდნენ თავიანთი როლები და მშვენივრადაც შეასრულეს. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა (D. T., 1898, 25 agvisto: 3).

შემოსავალმა შეადგინა 30 მანეთი, რომელიც გადაეცა აბაშის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელ რაჟდენ ჭალაგანიძეს. მან, თავის მხრივ, გაზეთის ფურცლებიდან მადლობა გადაუხადა ამ კეთილი საქმის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, კერძოდ, ნ. გაბუნია-ცაგარლისას, ელპიდა თოფურიძეს, ა. ფაღავას, ნემო გაბუნიას და მაყურებლებს (Abashis tsm. giorgis..., 1898, 27 agvisto: 3).

როგორც ვხედავთ, 1896-1898 წლებში სამეგრელოში თეატრით დაინტერესება დიდია. სპექტაკლები ძირითადად საქველმოქმედო მიზნით იდგმებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ავქს. ცაგარლისა და ვ. გუნიას პიესები. „ივერიამ“ და „ცნობის ფურცელმა“ შემოგვინახა ამ წარმოდგენების ორგანიზატორთა და მონაწილეთა გვარები. მათ საზოგადოებაც გვერდში ედგა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა სამეგრელოში სასცენო ხელოვნების განვითარებას.

ლიტერატურა:

1. Abashis tsm. giorgis..., 1898, 27 agvisto – Abashis tsm. giorgis eklesiis mghvdeli Razhden Tchalaganidze, akhali ambavi, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 27 agvisto, №616.
2. Akhali ambavi, 1896, 20 aprili – Akhali ambavi, gazeti „Iveria“, 1896, 20 aprili, №86.
3. Akhali ambavi, 1898, 12 ivnisi – Akhali ambavi, gazeti „Iveria“, 1898, 12 ivnisi, №123.
4. Akhali ambavi, 1898, 19 ivnisi – Akhali ambavi, gazeti „Iveria“, 1898, 19 ivnisi, №129.
5. Akhali ambavi, 1898, 8 agvisto – Mghvdeli abashis Tsm. Giorgis eklesiisa Razhden Tchalaganidze, Akhali ambavi, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 8 agvisto, №602.
6. D. T., 1898, 5 agvisto – D. T., Akhali ambavi, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 5 agvisto, №600.
7. D. T., 1898, 25 agvisto – D. T., Teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 25 agvisto, №614.
8. Gurul-megreli, 1898 – Gurul-megreli [Nikoloz Beridze], Teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 25 ivlisi, №591.
9. Jaku, 1898 – Jaku [Andria Kavtaradze], Tsarmodgena Akhal-Senakshi, teatris matiane, gazeti „Iveria“, 1898, 25 ivnisi, №134.
10. Kokh-dze, 1896 – [Kokhreidze], Teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1896, 10 dekemberi, №52.
11. Kortskhleli, 1898 – Kortskhleli Grigol, Akhali ambavi, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 7 maisi, №527.
12. Khandamashvili, 1898 – Khandamashvili Ivane, Teatris matiane, gaz. „Cnobis furceli“, 1898, 7 ivnisi, №552.
13. Qartuli tsarmodgena Akhal-Senakshi, 1896 – Qartuli tsarmodgena akhal-senakshi, teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1896, 7 noemberi, №19.
14. Jojokhetis mashkhala, 1898 – Jojokhetis mashkhala, teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 17 ivnisi, №560.
15. Teatris matiane , 1898 – Teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 5 agvisto, №600.
16. Zugdidis samkitkhvelos..., 1898, 4 agvisto – Zugdidis samkitkhvelos gamge Trifon Tokhadze, teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1898, 4 agvisto, №599.
17. Vermitsanashvili, 1897 – Vermitsanashvili [Kakulia] Mikhako, Teatris matiane, gazeti „Cnobis furceli“, 1897, 19 noemberi, №376.

Irma Zakaraia

"…REFINER IN FEELINGS AND BRAINS"

Summary

In the 1896-98s in Samegrelo region people took interest in theatre. Plays and performances were staged in towns and villages for charitable purposes. Plays of Valerian Gunia and Avksenti Tsagareli were the most popular. A number of people estimated an increasing role of the theatre in the development of Georgian Society. All their efforts were directed in staging performances. Together with natives a lot of professional actors from Tbilisi and Kutaisi took active part in it as well. The newspapers "Iveria" and "Tsnobis Purtseli" kept surnames of organizers and participants. Georgian Society supported the development of theatre.

ეკა ვარდოშვილი

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ლიტერატურული მნიშვნელობისთვის

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და კულტურის ინსტიტუტმა

ჩვენ ხელთ გვაქვს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ხუთი ქართული რედაქცია: შატბერდული, ჭელიშური, ლეონტი მროველისეული „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „ქართლის ცხოვრებიდან“ არსენ ბერისეული და უცნობი ავტორის XIII საუკუნის ძეგლი. უძველესი ამ რედაქციებიდან შატბერდულ-ჭელიშურია, ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. თავისთავად, ეს ორი რედაქციაა ამოსავალი წყარო დანარჩენი სამისათვის, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ თავდაპირველი რედაქცია IV საუკუნის შუა ხანებში უნდა შექმნილიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, აღნიშნულია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შექმნის ერთ-ერთი მიზეზია იმ აზრის უარყოფა, რომ ქართველები გრიგოლ განმანათლებელს მოუქცევია. ქართველები ეკლესიურ ნაციონალიზაციასთან ერთად თანდათან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათთვის საჭირო იყო სომხებისა და მათი ეკლესიისაგან სრულებით დამოუკიდებელი მოძღვარი და განმანათლებელი მოეძებნათ.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ლეონტი მროველისეული „ქართლის ცხოვრება“ არის საისტორიო მწერლობის ნიმუში, ამ შემთხვევაში ჩვენ მას ვადარებთ ლიტერატურულ ძეგლებს. ურთიერთმიმართების საკითხი ქართულ აგიოგრაფიასა და საისტორიო მწერლობას შორის სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა განხილული.

თითოეული რედაქცია, როგორც ქართლის ქრისტიანიზაციის მეორე და უმთავრესი ეტაპის ამსახველი თხზულება, ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად იქნა გადამუშავებული მწერალთა მიერ ისე, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ყველა წინა რედაქცია. აღსანიშნავია ისიც, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრება“ უძველესი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ქრონოლოგიურად ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ყველაზე ადრინდელ მოვლენებს ასახავს.

კვლევისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით ზემოთ აღნიშნულ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ხუთ რედაქციას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში პარალელს ვავლებთ ასევე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სინური ხელნაწერის (N/Sin-50) ვრცელ რედაქციასთან.

ნაწარმოების ძირითადი ეპიზოდებია: კვართის შემოტანის, არმაზის მსხვრევის, მზის დაბნელების, სვეტიცხოვლის აგებისა და ჯვრების აღ-

მართვის. აღნიშნული ეპიზოდები ნაწარმოების უძველესი შრეებია, რომლებიც მრავალმხრივ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს და, ამასთანავე, მათ სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაწარმოებში.

პირველად ქართულ მწერლობაში, ნიკოლოზ გულაბერისძე ნაწარმოებში „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“ სვამს საკითხს: „რაისათვის უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართო?“ პირველი მიზეზის საფუძველია საქართველოში გავრცელებული ტრადიცია, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის წილხვედრია, ე. ი. ქალს უფრო შვენოდა მისი მოქცევაო. მეორე: ვინაიდან ქართველები ყველაზე ველურები იყვნენ, ღვთაებამ თავის ძლიერების გამოსაჩენად აირჩია არა ძლიერი, ენამჭევრი, შეუდრეკელი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალიო. მესამე: ღირსება დედათა პატივისა. ღვთაება თვით არჩევს დედაკაცს, განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს მას, ამიტომ თვით მაცხოვრის აღდგომა „პირველად ეუწყა დედაკაცს და მის მიერ სხვებს ეხარაო“ (Kekelidze, 1951: 300).

კ. კეკელიძის აზრით, ნიკოლოზმა, ალბათ, თამარის ტახტისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად დაწერა ეს თხზულება. ადრიდანვე გააზრებული ჰქონდათ ქართლის ქრისტიანიზაციის რამდენიმე ეტაპი: I. ანდრია მოციქულის ქადაგება. II და უმთავრესი: წმ. ნინოს ქადაგებით ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. III. არსებულ მამათა მოღვაწეობა, რაც დიოფიზიტობის გაძლიერებასაც გულისხმობს. IV. საბოლოო: კირიონ ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობა, რომელმაც საბოლოოდ დაამკვიდრა ქართული დიოფიზიტური ორთოდოქსია (Siradze, 1990: 33).

სიმბოლურად თუ ვიტყვით, წმინდა ნინო ჩვენთვის ღვთისმშობელია, რადგან საქართველოში ღვთაება ნინოს წყალობით განხორციელდა. ნინოს ღვთაებრივი უწყება ეძლევა ხილვაში. მან ჩვენებაში იხილა ანგელოზი ჭაბუკის სახით, რომელმაც მას გადასცა ქრისტეს მიერ დაბეჭდილი წიგნი, მასში იყო „ათი სიტყუა“ (ანუ დეკალოგი). ათი მცნება, ანუ ათი სიტყვა არის ქალის მისიონერობის იდეის გამომხატველი, ამიტომ ნინოს მისიონერობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ღვთისმშობლის მისიის განხორციელება ნინოში, რადგან თვით ღვთის სურვილი იყო, რომ საქართველოს გამაქრისტიანებელი ყოფილიყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში არმაზის მსხვრევის თხრობისას გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მომენტი: ნინოს მისვლა მცხეთას, კერპების დახასიათება, ნინოს ვედრება ღვთის მიმართ თავისი ძალის გამოსავლინებლად, არმაზის მსხვრევა, ბივრილის აღება. ხუთივე რედაქციაში თითქმის ერთნაირადაა აღწერილი არმაზი.

ნინოს მისვლა მცხეთას სიმბოლურად იერუსალიმში მისვლაა. რე-

დაქციებში ხაზგასმულია, რომ არმაზს „თუალად მისა აქუნდეს“ სხვადასხვა ქვა, ზურმუხტი, ბივრიტი, იაგუნდი, ბივრილი. ეს თვლები განმარტებულია შატბერდის კრებულ „თუალთაჲში“. ყველა რედაქციაში ნახსენებია ბივრილი. ნიშანდობლივია ისიც, რომ კერპების მსხვრევის შემდეგ ნინო ამ თვალს იღებს კლდის ნაპრალიდან, ე. ი. ნინოსაც ახასიათებს ზოგიერთი ის თვისება, რაც ადრე მიეწერებოდა არმაზს. არმაზს მარცხნივ და მარჯვნივ უდგას თითო კერპი, ვერცხლისა და ოქროსი, მათი სახელები რედაქციებში სხვადასხვაა:

შატბერდული რედაქცია: გაცი გა.
ჭელიშური რედაქცია: გაცი გა.
ლეონტი მროველი: გაცი გაიმ.
არსენ ბერი: გაცი გაცა.
უცნობი ავტორი (XIII ს.): გაცი გატი.
სინური ხელნაწერი: გაცი გაცა.

ეს სურათი ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც წარმართული პანთეონის მაგალითი. ქრისტიანული სამება ისე ძლიერი დამკვიდრდა ჩვენში, რომ ადვილი დასაშვებია, მისი ფესვები წარმართულ ეპოქაში ვეძებოთ. ჩვენს ვარაუდს მეტ სიმტკიცეს მატებს ის ფაქტი, რომ მზის დაბნელების დროს მირიანი საშველად მიმართავს არა არმაზს, გაცს და გაის, არამედ არმაზსა და ზადენს.

შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ მზის დაბნელების მოვლენა თითქმის ერთნაირადაა აღწერილი, ემთხვევა წინადადებებიც კი. ლეონტი მროველს უფრო გავრცობილად აქვს აღწერილი. არსენ ბერისა და უცნობი ავტორის რედაქციებში მზე ბნელდება მხოლოდ მეფისათვის. არსებობს კ. კეკელიძის სპეციალური გამოკვლევა: „ანტიმაზდეანური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში“. აქ აღნიშნული თვალსაზრისით, განხილულია ევსტათი მცხეთელისა და აბიბოს ნეკრესელის „მარტვილობანი“, ეს მოტივი გამოყენებულია „ბალავარიანში“. ნაშრომში ნათქვამია, რომ შეზღუდული ძალის შემცველი მოვლენა არ შეიძლება ღმერთად ჩაითვალოს“ (Siradze, 1975: 171).

არმაზის მსხვრევისა არ იყოს, უნდა დამსხვრეულიყო ის ძირითადი კერპი, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდნენ საქართველოში და ასეთი იყო ქართველებისათვის მზე. მზის დაბნელება, ჩვენი აზრით, ნაწარმოებში არმაზის მსხვრევის ანალოგიური მოვლენაა. უეჭველია, თავდაპირველი ავტორი ამ თხზულებისა შეეცდებოდა, რაც შეიძლება შთამბეჭდავად გადმოეცა ეს მომენტი, მით უმეტეს, თუ იმ წლებში მართლა მოხდა მზის დაბნელება. ცნობილია, რომ მითოსშიც და ქრისტიანულ ხანშიც ორი მზეა. ერთია მზე ხილული, მეორე – უხილავი, ანუ სულიერი. მირიანისათვის ნადირობის დროს ხილულმა, წარმართულმა მზის

დაბნელებამ გამოიწვია მისთვის უხილავი, ანუ სულიერი მზის განათება. მხოლოდ ამის შემდეგ „გამობრწყინდა მზე“, მაგრამ ეს უკვე სხვა მზეა, არა როგორც მზე ღმერთი, არამედ მზე-ღმერთის სიმბოლო. მზის კულტი საქართველოში იმდენად ძლიერი იყო, იმ ხანებში მზის დაბნელება მართლაც რომ არ მომხდარიყო, ალბათ, იგივე, ან მსგავი ფაქტი მაინც აისახებოდა ნაწარმოებში სულიერი შინაარსით.

მზის დაბნელების ფაქტს აღწერენ ჭელიშური რედაქციისა და „ქართლის ცხოვრებისა“ და სინური ხელნაწერის ავტორები, ხოლო არსენ ბერისა და უცნობი ავტორის რედაქციებში ბურუსის ჩამოწოლაზეა საუბარი; ამასთან, არსენ ბერი და უცნობი ავტორი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ მეფე ვერ ხედავდა ნათელს.

მზის დაბნელება ერთ-ერთი უმთავრესი ეპიზოდია „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“, ამას მოჰყვა ჯერ მირიანისა და შემდეგ მთელი ერის გაქრისტიანება.

ყურადღებას მივაქცევთ ერთ მომენტს, კერძოდ, მზის დაბნელების დროს რას ჰპირდება მირიანი ნინოს ღმერთს.

შატბერდული: „... და აღვმართო ძელი ჯუარისა შენისა და თაყუანის ვსცე მას და აღვიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“ (Dzegl., 1963: 135).

ჭელიშური: „... და აღვმართო ძელი ჯუარისა შენისა **და თაყუა-**ნისვსცე მას და აღვიშენო სახლი სახლად შენდა და სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“ (Dzegl., 1963: 135).

ლეონტი მროველი: „და აღვიარო სახელი შენი და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანისვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა და სჯულსა ზედა ჰრომთასა“ (Kart. Tskh., 1955: 110).

არსენ ბერი: „... რათა აღვიარო სახელი წმიდა და გადიდებდე შენ“ (Dzegl., 1971: 29).

უცნობი ავტორი (XIII ს.): „... რათა აღვიარო სახელი შენი წმიდა და გადიდებდე შენ“ (Dzegl., 1971: 67).

სინური: „და მე ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითაცა იდიდებოდეს სახელი შენი და იხსენებოდის საქმე ესე სასწაულთა ამათ უკუნისამდე, ამენ!“ (Makharashvili, 2009: 359).

როგორც ვნახეთ, შატბერდულ-ჭელიშური და მროველისეული რედაქციები თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. აქ მირიანი ჰპირდება ნინოს ღმერთს: 1. რწმენის შეცვლას; 2. ეკლესიის აგებასა და 3. ჯვრისა ღმართვას. ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს არსენ ბერისა და უცნობი ავტორის ტექსტები. მირიანი ჰპირდება ნინოს ღმერთის აღიარებასა და დიდებას. ეს მომენტები იყოფა ორ ჯგუფად და საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. არსენ ბერმა და უცნობმა ავტორმა, როგორც

ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალეს ყურადღება გაემახვილებინათ ეკლესიისა და ჯვრების აღმართვაზე. ჩვენ ვერ ვიტყვით, თუ რამ გამოიწვია ეს, თუმცა, ვიცით, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ეს რედაქციები.

სინური ხელნაწერი განსხვავდება ყველა სხვა რედაქციისაგან და მირიანი ჰპირდება ნინოს ღმერთს ჯვრის აღმართვასა და დიდებას.

ნიშანდობლივია ისიც, რომ წარმართულ ღმერთთაგან განსხვავებით, ნინოს ღმერთი ითხოვს ადამიანის სულიერ ცვლილებას, ცნობიერების შეცვლას და არა მსხვერპლშეწირვას. მისი მსხვერპლი ადამიანის გონებაა, ადამიანის ხელითვე აღმართული ჯვარი და ეკლესია, უფლის სახლი, რომელიც ეხმარება მას ღმერთთან დაახლოებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსენ ბერსა და უცნობ ავტორს ეკლესიის აგებასა და ჯვრის აღმართვაზე მირიანის პირით არაფერი უთქვამთ, თუმცა, ამ რედაქციებში და სხვაგანაც ამ ფაქტებს შემდგომ ხორცი აქვს შესხმული და ნაწარმოებში ერთ-ერთ ძირითად მომენტებს წარმოადგენს.

ტაძრის აშენება, ფაქტობრივად, უკვე ნიშნავდა ქრისტეს სჯულის აღიარებას, ყოველ შემთხვევაში, ყველა რედაქციაში საკითხი ამგვარადაა დასმული.

ქრისტიანობის შემოღებით ყველაზე მეტად სწორედ ქართლის ახალგაზრდა ფეოდალების ნაწილი იყო დაინტერესებული. ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურ მოტივებსაც.

პარადიგმულ სახეთაგან, რომლებიც „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ შემოაქვს ქართულ აგიოგრაფიასა და, ზოგადად, ქართულ მწერლობაში, უმთავრესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, თავად წმინდა ნინოს, ჯვრისა და ეკლესიის სახისმეტყველება.

ლიტერატურა:

1. 1963 – Dzveli kartuli agiografiuli literaturis dzeglebi, tsigni I, Tbilisi, 1963.
2. Dzegl., 1971 – Dzveli kartuli agiografiuli literatures dzeglebi, tsigni III, Tbilisi, 1971.
3. Kart. Tskh., 1955 – Kartlis tskhovreba, t. I, Tbilisi, 1955.
4. Kekelidze, 1951 – Kekelidze K., Dzveli kartuli literatures istoria, t. I, Tbilisi, 1951.
5. Makharashvili, 2009 – Makharashvili S., Tsminda ninos ckhovreba da kartlis moktseva, Tbilisi, 2009.
6. Siradze, 1975 – Siradze R., Dzveli kartuli teoriul-literaturuli azrovnebis sakitkhebi, Tbilisi, 1975.
7. Siradze, 1992 – Siradze R., Qristianuli kultura da kartuli mtserloba, I, Tbilisi, 1992.

EkaVardoshvili

LITERARY IMPORTANCE OF SAINT NINO'S LIFE

Presented by D. Gulia Institute of History, Language and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Scieces

Summary

The presented five Georgian editions of "The Life of St. Nino": Shatberduli, Chelishuri, Leonti Mroveli's "The life of St. Nino", „Life of Kartli", by Arsen Beri and monument of unknown author of the XIII century are significant ancient publications. The ancient one of this editions is Shatberdul-Chelishurior "Inclusion of Kartli". These two editions are the basic sources for the other three, but it should not be excluded, that the original edition of "The Life of St. Nino" could be created in the middle period of the fourth century.

It should also be noticed that "Life of Kartli" of Leonti Mroveli is the sample of historical literature. In this case, we will compare it to literary monuments. The issue of interrelationship between Georgian hagiography and historical literature in the scientific literature is reviewed repeatedly.

Each edition, as the reflecting work of Kartli Christianization of the second and the most important stage, in accordance with the requirements of the epoch was worked out by the writers having all previous editions. It should be noted that "The Life of St. Nino" is the ancient work of Georgian literature, which chronologically reflects the earliest events related to the Christianity.

The main episodes of the work are: Seamless Robe of Jesus, Armazi breakage, solar eclipse, construction of Svetitskhoveli and crosses rising. The mentioned episodes are the ancient layers of the work, which multilaterally reflect historical reality and they also have a symbolic meaning in the work.

Among paradigmal images, which "The Life of the saint Nino" brings in Georgian hagiography and Georgian literature, the most important is the image of Virgin Mary, itself Saint Nino, Cross and figure of speech of a church.

On discussing both of literary conversion of the Georgian and number of issues at first we should be based on the scientific thoughts of K. Kekelidze.

მედეა კვარაცხელია

ივანე თარბა და საქართველო

„შეუძლებელია, საგანგებოდ არ აღინიშნოს ორი უახლოესი ძმის - აფხაზი და ქართველი ხალხის ისტორიული,სისხლხორცეული მეგობრობა, რომელსაც შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ქართველები და აფხაზები ერთად იბრძოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ერთად ერკინებოდნენ უცხოელ დამპყრობლებს. ასე ქარცეცხლში მოიპოვეს და გამოატარეს ჭეშმარიტი ძმობა“. ეს სიტყვები აფხაზ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ივანე თარბას ეკუთვნის (Saqartvelos komunisti, 1981).

საგულისხმოა, რომ მხოლოდ ივანე თარბა როდი ფიქრობდა ასე. ასევე მიაჩნდათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ჭეშმარიტად პატრიოტ, საუკუნოვანი ტრადიციების ერთგულ აფაზებს. მეგობრობასა და სიყვარულში, ურთიერთპატივისცემაში აფხაზებს არც ქართველები რჩებოდნენ ვალში. ჩვენი აზრის დასტურად მოვიხმობთ პროფესორ გიორგი ჯიბლაძის სიტყვებს: „მათ (ქართველებსა და აფხაზებს - მ. კ.) არ ასცდენიათ არც ბერძნულ-რომაული ექსპანსიის სიმძიმე, ბიზანტიისა და სპარსეთის თავდასხმები, ორივეს უნახავს მითრიდატე და ევპატორის ძლიერი ხმალი, რომელიც მუსრავდა რომაელებს... არც მომხდური არაბების რისხვა ასცდენია ქართველებთან ერთად უღელში შებმულ აფხაზ ხალხს“. მაგრამ: „ვერც ისტორიულმა ქარტეხილებმა, ვერც ავისმქნელებმა ვერ შეძლეს ტრადიციული მეგობრობის დარღვევა“ და იქვე: „ამ ძმობას უმღერიან აფხაზი მწერლები, უმღერის ისეთი შთაგონებული პოეტი, როგორიც ივანე თარბაა“ (Jibladze, 1976).

ივანე თარბა 1921 წლის 21 მარტს დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში, გლეხის ოჯახში. ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა დედა გარდაეცვალა, დაობლებული ბავშვის სევდამ კი უკვე პოეტის ლექსში ამოიკვნესა: „დედა სიკვდილმა ადრე მომტაცა, უდედოდ დავრჩი ბავშვი პაწია“. ყმაწვილობისას მეგზურობას ჩურჩულით უკან მიდევნებული სიტყვები უწევდა - ობლად იზრდება ეს უბედურიო და შვებას სწავლაში პოულობდა. აკი ამბობს კიდეც: „მშობელ დედაზე ვარამის ზიდვა მოსწავლის ჩანთამ შემიმსუბუქა“. დაწყებითი განათლება თავის სოფელში მიიღო, საშუალო განათლება სკოლა-ინტერნეტში, სადაც კარგი პედაგოგები და გულისხმიერი ადამიანები მუშაობდნენ, რომელთა მზრუნველობასა და სითბოს მუდმივად გრძნობდა მომავალი პოეტი, რომელმაც მოგვიანებით თავისი ინტერნატი კეთილ დედას შეადარა: „ჩვენ ინტერნატმა - დედამ კეთილმა ინსტიტუტისკენ გზები გაგვიხსნა“.

სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-

სტიტუტის დამთავრების შემდეგ (1948 წ.) მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო აფხაზეთის განათლების მინისტრი (1953-1954 წწ.); საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი (1954-1958 წწ.); აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

რაც ყველაზე მთავარია, ივანე თარბა შემოქმედებითაც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც პირნათლად ემსახურა თავის ხალხს და სამშობლოს.

„აფხაზური ლიტერატურის ერთ-ერთი მასაზრდოებელი იყო ქართული ლიტერატურა, მაგრამ ყველაზე დიდი როლი აფხაზური ლიტერატურის აღმოცენებაში ითამაშა თვით აფხაზეთის ცხოვრებამ თავისი ტრადიციებით, ეპოსით, სიმღერებით, ზღაპრებით, ლეგენდებით და გადმოცემებით“ (Afkhazuri literatura, 1977). იმავეს ადასტურებს ივანე თარბაც: „აფხაზური პოეზიის პირველი წყარო ხალხური სიტყვიერების გამოულეველი სიმდიდრეა“.

სწორედ ტრადიციებითა და ხალხური სიბრძნით ნასაზრდოები შემოქმედებით შემოაბიჯა ივანე თარბამ აფხაზურ მწერლობაში და თემატიკის აქტუალობითა და მრავალფეროვნებით, მხატვრული ოსტატობით, ასევე მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიციით იმთავითვე დაიმსახურა სიყვარული და აღიარება როგორც პოეტმა და პროზაიკოსმა და როგორც პიროვნებამ.

მწერალმა რამაზ კუპრავამ საოცარი სიზუსტით შეაფასა ივანე თარბას პოეზია: „ივანე თარბას პოეზია გამსჭვალულია ღრმა ჰუმანიზმითა და კაცთმოყვარეობით... იგი მკითხველის წინაშე წარდგა როგორც შესანიშნავი პოეტი მოქალაქე. რაზედაც უნდა წერდეს პოეტი, ყველგან იგრძნობა განცდათა სიწრფელე და მის თითოეულ ლექსს თან ახლავს გარკვეული საზოგადოებრივი ჟღერადობა... ნათლად ჩანს ავტორის პოეტური ხმის თავისებურება, მისი ორიგინალობა“ (Sabtchota afkhazeti, 1966).

სწორედ ორიგინალურობა და მართალი სიტყვა გამოარჩევს ჭეშმარიტ შემოქმედს სხვა დანარჩენთაგან, ივანე თარბას ცხოვრებისეული კრედო კი მართლა სიტყვის მსახურება იყო:

„ბუმბულივით მსუბუქ სიტყვას შორს გაფანტავს ნიავი,
მე ნაჭედი სიტყვა მიყვარს, სიტყვა მარილიანი,
იგი სიტყვა ლიტონია, თუ სიმართლეს არ ნიშნავს,
. . . . . .
ყალბი სიტყვა მიზნისაკენ გზას ვერასდროს იპოვის,
ჩამოასხი ტყვიისაგან თითოეული სტრიქონი“.

ივანე თარბა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზი პოეტია, თავისი ხალხის ღვიძლი შვილი, თავისი კუთხის თვალწარმტაცი ბუნებით შთაგონებული შემოქმედი, რასაც მისივე სიტყვებიც ცხადყოფს: „მე ჭაბუკობიდანვე ვე-

ზიარე მშობლიური აფხაზეთის ბუნებას, ვეზიარე როგორც მისი შვილი და მისი პოეტი. ბავშვობიდანვე მესმოდა გოლიათივით გაწოლილი მთებიდან მოხეთქილი ჩქარი მდინარეების ხმაური, კოდორისა და ფსოუს, ბზიფისა და ილუშარას მოძახილები“ (Tarba, 1976: 5). განსაკუთრებით დიდი ადგილი მის პოეზიაში ზღვას უჭირავს, რომელიც პოეტისთვის ,,შთაგონების დიდი ნისლია“ და სადაც უნდა წავიდეს, სადაც უნდა იყოს, მუდმივად თან დაჰყვება:

,,მაშ, ყველგან რატომ მიმყვება
ზვირთის ღმუილი გაბმული,
სადაც კი წავალ, ზღვის ღელვას
რად ვისმენ სულგანაბული?“

ისიც ნიშანდობლივია, რომ პოეტისათვის საქართველო და აფხაზეთი განუყოფელი ცნებებია, რადგან ეს უკანასკნელი მოიაზრება როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხე და ეს არის სწორედ ისტორიული სიმართლე. ივანე თარბა დედასამშობლოს უწოდებს საქართველოსაც და აფხაზეთსაც, სადაც იშვა როგორც ადამიანი და როგორც შემოქმედი და იქაური გადასახედიდან უმზერს მთელ სამყაროს:

,,აფხაზეთო ჩემო,
ჩემო ტკბილო დედავ,
ქვეყნის ყველა კუთხეს
შენი თვალით ვხედავ“.

და იქვე:

,,საქართველოვ, საქართველოვ,
მშობლიურო მთა და ველო,
შენ გადიდებთ აფხაზები,
გულით ნათქვამ ლამაზ შაირს
შენთვის ვმღერით ნაირ-ნაირს.
საქართველო, ჩემო დედავ,
შენს კუთხეებს ერთად ვხედავ,
როგორ დგანან მხარდამხარა.
ერთი ფიქრით გამსჭვალული,
ერთგვარად სცემს მათი გული
ერთმანეთის გასახარად.
მეც, სამშობლოვ სანატრელო,
შენთვის ვმღერი, საქართველოვ“.

მშობლიური მხარის, მშობლიური კუთხის განსაკუთრებული სიყვარული სრულიად ბუნებრივია და გასაგები, რადგან საქვეყნო სიყვარული სწორედ მშობლიური კერის სიყვარულიდან იღებს სათავეს. ამასვე გვეუბნება ვაჟა-ფშაველა ცნობილ წერილში ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“: ,,ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, სა-

ღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს".

და მხოლოდ ამის შემდეგ, საკუთარის, მშობლიურის ცხოველი განცდის შემდეგ იბადება სხვათა სიკეთის, სხვათა ჭირ-ვარამის თანაგანცდის გრძნობა:

„და ყველა ხალხის რომ ვარ მლოცველი,
უთარჯიმანოდ მინდა გამიგონ".

უთარჯიმნოდ მხოლოდ და მხოლოდ წრფელი გულის „ხმის", გულის „სიტყვის" გაგონება შეიძლება, რაც თავად პოეტს შესანიშნავად აქვს ნათქვამი ალ. ტვარდოვსკის, რ. გამზატოვისა და კ. კალაძისადმი მიძღვნილ ლექსში „ღუნიბის ღამე":

„ეს იყო ძმათა ლექსის მეჯლისი,
ძმათა სიმღერა ერთობ
და მთვარე, როგორც ედელვაისი,
ყველა სტრიქონში ენთო.
და ღიღინებდა სხვადასხვა ენით
ფიქრი მეგობარ გულთა"...

სიმართლე, გულწრფელობა ივანე თარბას შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსებაა, რაზეც პოეტს ასეთივე გულწრფელობითა და სიყვარულით პასუხობდნენ, უწინარესად, ქართველი თანამოკალმენი და სრულიად საქართველო. მის ლექსებს თარგმნიდნენ მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატები: კ. კალაძე, ო. ჭელიძე, ო. შალამბერიძე, გ. ფოცხიშვილი და სხვები. „ბევრი ლექსი ისე კარგადაა ქართულად ამეტყველებული, რომ ორიგინალის ღირსებას ამჟღავნებს. მათ (მთარგმნელებს – მ. კ.) ყველაფერი გაუკეთებიათ მეგობარი აფხაზი თანამოკალმის მშვენიერი ქართულით ამეტყველებისთვის" (Jibladze, 1976).

აი, რას წერს გრიგოლ აბაშიძე: „იმისთვის, რომ ჩვენ უფრო შეგვეყვარებინა აფხაზეთი, თავისი ულამაზესი ბუნებით, გმირი ხალხით, სტუმარმასპინძლობის წესით, სევდიანი სიმღერებითა და ცეცხლოვანი ცეკვებით, ივანე თარბამ ბევრი რამ გააკეთა. მისი ცეცხლოვანი პოეზია მისი სამშობლოს მსგავსად მრავალხმოვანი და მრავალფეროვანია" (Abashidze, 1981: 42).

ივანე თარბამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვისაც, რომ მის ლექსებში განივთებული დედასაქართველოს ხატება საგზლად წაეღო, რათა იქაურებსაც შეესისხლხორცებინათ პოეტის მიერ ნანახ-განცდილი. ამ ლექსებში ყველა სიტყვა „მართალია", ყველა სტრიქონში იგრძნობა, რომ თბილისი, მთაწმინდა თუ ორთაჭალა, შირაქის ველი თუ სიღნაღი, ალაზანი... ისევე, როგორც ღალიძგა, კოდორი, რიწა, კელასური, ბესლეთი და

სხვა ყველაფერი ჩვენია, ყველასია, სხვებთან ერთად აფხაზი კაცისაა.

სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჩანს ლექსში „მთაწმინდა“:

„ვდგავარ მწვერვალზე, ღრუბლის ბეწვიც არ მოსჩანს ცაზე
და გადავცქერი სიყვარულით მშობლიურ თბილისს,
მისი სიწმინდე და სიყვარული მანთია თავზე
და სიხარულის ჟრუანტელი ძარღვებში მივლის.
ჰოი, მთაწმინდავ, აზიდულხარ სინათლით მაღლა
და ჩვენი ძმობაც აგიზიდავს დიდებით ცაში,
როცა გიყურებ დილით, მშვიდი დინების ტალღა
მე დამაქროლებს საქართველოს მთებსა და ბარში“.

თბილისის ღამე კი ისე საიდუმლოდ და მშობლიურად „ახურავს მხრებზე“ პოეტს, რომ უნდა, სიმღერად იქცეს:

„დავდივარ ასე შეუსვენებლივ,
მხრებზე მახურავს თბილისის ღამე,
წამიღებს ფიქრი და გამიტაცებს,
მინდა, სიმღერად გადვიქცე ბარემ“.

თბილისური ღამის ბინდბუნდში ახალი და ნათელი ცხოვრების კვალდაკვალ სახეცვლილი ორთაჭალის კონტურები იკვეთება:

„მწვანე ბაღებით ვარ მოხიბლული,
მიზიდავს შენი ბუნების ძალა,
სალამი შენდა, გეახის გული,
ჰეი, ორთაჭალა, ჩემო ორთაჭალა!
აყვავებულხარ ქვეყნის დიდებით,
სიცოცხლეს გმატებს ბუნების ძალა,
ახალ თბილისთან შენაც იზრდები,
ჩემო ორთაჭალა, ჩემო ორთაჭალა“.

ალაზნის ველისა და მდინარე ალაზნის მშვენიერებით მოხიბლული პოეტი მშობლიური თბილი ზღვაურის ქროლვას გრძნობს თითქოს:

„უღრუბლო ღამე ფრთებს შლიდა,
მათრობდა ზვირთთა ხმაური,
თითქოს ალაზნის ველიდან
მოჰქონდა თბილი ზღვაური.
თითქოს ზღვის ტალღებს კვეთებით
ველს ჭრიდა დიდი მდინარე,
როგორც სოხუმთან ბესლეთი
ორად ყოფს შავ ზღვას მძვინვარეს“.

როგორც გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს: „შავი ზღვის დამტევი“ გულის პატრონის ყველა ლამაზი გრძნობა ერთადაა თავმოყრილი: „რათა ქართული პოეზიის მარგალიტებით ადრე განდიდებული მდინარე სულ ახალი კუთხით, ახალი ასპექტით წარმოსახოს“ (Jibladze, 1976: 5).

ივანე თარბას ლექსებში ხშირად ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხის მშვენიერებით აღძრულ ასოციაციებს. პოეტს სოხუმის თუ სიღნაღის „ცვარშეუმშრალი“ მინდორ-ველები უყვარს, ამ ზღაპრული ქალაქის მთიდან „გულში გამომწყვდეულ“ ზღვას ეფერება:

„მთაზე ვიდექი მარტო მე,
წინ გადამშლოდა ქვეყანა,
ზღვა აფხაზეთში დავტოვე
და სიღნაღს შემომეყარა“.

ეს ის ზღვაა, რომელიც, პოეტის წარმოსახვით, თავის წიაღში მითაჟამის ამბებს ინახავს, მისი სუნთქვიდან ისტორიის სუნთქვა ისმის, რომელსაც ხანდახან ოხვრას ამოაყოლებს ხოლმე. ზღვა-წყალი, როგორც მატერიალური სამყაროს ერთ-ერთი საფუძველი, დრო-ჟამსაც არ ეპუება, არ ყოფნის „მიწის კიდე-განი და გუგუნით ფურცლავს ისტორიის „უცნობ წიგნებს“, მაგრამ ვაი, რომ მისი ენა არ გვესმის:

„ხან შენი სუნთქვა ჩამოჰგავს ოხვრას
და შენი ენა არ ვიცი თუმცა,
წყალი კი არა, ჟამი და დრო ხარ
და უცნობ წიგნებს გუგუნით ფურცლავს“.

(Tarba, 1975: 30)

ივანე თარბა მადლიერია, რომ „მომღერლად“, პოეტად იშვა, რადგან მხოლოდ გამორჩეულებს ღირსყოფს უფალი სიტყვის არტახებში მოაქციოს უზარმაზარი განცდა, ემოცია და ჩვენც გვაზიაროს ამ მშვენიერებას. უმთავრესი კი აქ ის არის, რომ იგი ასევე მადლიერია თავისი ქვეყნისა, რომელმაც გაზარდა და უდავოა, რომ „ჩემს ქვეყანაში“ საქართველო იგულისხმება, რადგან მაშინ ნაკლებად ეპარებოდათ ეჭვი, რომ აფხაზებიც ისეთივე ღვიძლი შვილები არიან დედასაქართველოსი, როგორიც სხვა დანარჩენი.

„ო, მადლობა ჩემს ქვეყანას, რომ გამზარდა და მაღირსა,
მომღერალი გამხდარვიყავ აყვავებულ ალაზნისა“.

მაშინ სხვა დრო იყო, მაშინ ერთ „პატარა ჭერქვეშ მთლად საქართველო და აფხაზეთი ეტეოდა“. აი, ეს ლექსიც, ქართველი პოეტის, რევაზ მარგიანის მეუღლე ნინო ჟღენტისადმი მიძღვნილი:

„შემოვედი და ამაღლდა ჭერი,
სხვენზე ორბივით ლექსი შემოვსვით,
შენა ხარ, დაო, ამ წმინდა კერის
კეთილი სული და ანგელოზი.
სვანურ-აფხაზურ სიმღერებს ვჭექდით
და ქართულ ხმებით ვავლებდით,
და ეტეოდა პატარა ჭერქვეშ
მთლად საქართველო და აფხაზეთი“.

ივანე თარბას საოცრად თბილი ურთიერთობა აკავშირებდა ქართ-

ველ პოეტებსა და მწერლებთან. აი, რას წერს გრიგოლ აბაშიძე: „ივანე თარბა მარტო ლექსებსა და პოემებში, მოთხრობებსა და რომანებში კი არა, პირად ცხოვრებაშიც ასახიერებდა ჩვენი ხალხების მეგობრობას. სამი თუ ოთხი ათეული წლის განმავლობაში ჩვენ ერთიმეორის ჭირის და ლხინის მოზიარენი ვართ და ჩვენი ურთიერთობა ღვიძლი ძმების განუყოფლობას უფრო ჰგავს“.

ამ ჭეშმარიტი, ღვიძლი ძმობის წიაღში ჩაისახა გიორგი ლეონიძის, რევაზ მარგიანის, ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის, ნოდარ დუმბაძის, მურმან ლებანიძის, ჯანსულ ჩარკვიანის, ფრიდონ ხალვაშის, შოთა აკობიას, მირიან მირნელის, გენო კალანდიას, ჯანო ჯანელიძის და სხვათა მეგობრობა ივანე თარბასთან. უფრო მეტიც, კარლო კალაძე, ივანე თარბას მამის სურვილით, გარდაცვლილი უფროსი ვაჟის „მაგიერი“ იყო თარბების ოჯახში. საგულისხმოა, რომ, ქართულ-აფხაზური ტრადიციით, გარდაცვლილის ოჯახი მის მაგიერს უსაყვარლეს და უახლოეს ადამიანებში ირჩევდა. „ჩვენ მამაჩემმა გვაკურთხა ძმებად“, - ამბობს პოეტი და მაშინ, აბა, რას წარმოიდგენდა მამამისი, ეს დარბაისელი, საიმედო და გამტანი აფხაზი კაცი, რომ ახლო მომავალში ძმები ასე სამკვდრო-საციცოცხლოდ დაერეოდნენ ერთმანეთს.

ქართველ და აფხაზ შემოქმედთა ურთიერთობის ამსახველი მრავალი ფაქტის მოხმობა შეიძლება. რა დიდი გრძნობაა ჩაქსოვილი გოგლა ლეონიძესთან ერთად კახეთს სტუმრად წვეული ბაგრატ შინკუბას სიტყვებში: „ჩვენ მივიწევდით მაღლა, სულ მაღლა და გოგლას ლექსი მესმოდა ტკბილი“. ივანე თარბა კი გიორგი ლეონიძის გარდაცვალების შემდეგ დაწერილ ლექსებში კრულვას უთვლის თვით სიკვდილს, რადგან გოგლა არ დახვდა კახეთში მასპინძლად და მას აფხაზეთში „ეძებს“:

„მე გეძებ, გეძებ, მივდევ შენს ნათელს,
თვით დადგომია სიკვდილს შავი დღე,
და მეტი აღარ ვიცი, არ ვიცი,
საით გეძებო, საით წავიდე.
... იქნებ, შენ დარჩი შენს აფხაზეთში,
იქნებ, რიწაზე მღერიხარ ახლა...
... იქნებ, აფხაზურ ფაცხაში კერას
მიფიცხებიხარ ჩინჩხალ ნაკვერჩხლებს,
ანდა დადიხარ მშობელ მხარეში
და ზედ დაწურულ ლექსებს აკვეხებ“.

(Tarba, 1981: 78).

მანამდე, 1960 წლის 20 თებერვალს, სოხუმში გიორგი ლეონიძის საღამო მოეწყო, სადაც ივი მადლიერების გამომხატველი დიდებული სიტყვით გამოვიდა: „აფხიარცა ძმობით, მეგობრობით, ერთგულებით და სიყვარულით გამთბარი საგალობელია. ქართველისა და აფხაზის გული

ყოველთვის ერთად სცემდა, ერთად ფეთქავდა როგორც ორი საყვარელი ძმის, მეგობრის და კარის მეზობლის... მიცოცხლოს და კეთილად მყავდეს ძმები, კარის მეზობლები და მათ შორის აფხაზი ხალხი, რომელთანაც წარსულის ქარტეხილებში თუ ლხინობაში ერთად გავიყავით".

თითქოს სიყვარულში ევჯიბრებოდნენ ერთმანეთს ქართველები და აფხაზები. როგორი ზუსტი და ობიექტურია ივანე თარბა პოეტი-აკადემიკოსის, ირაკლი აბაშიძის შემოქმედების შეფასებისას: „ირაკლი აბაშიძე უპირველესად ეროვნული პოეტია. მისი მაღალი რანგის პოეზია ჩემთვის ყოველთვის იყო იმის მაგალითი, თუ როგორი უშუალობით უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტი შემოქმედი მშობელ ხალხს. მისი ბრწყინვალე პოეზია ეროვნულ, ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული და, ვაჟაფშაველას თქმისა არ იყოს, ის, რაც ეროვნულია, ზოგადკაცობრიულიცაა. ირაკლი აბაშიძეს გულით უყვარს აფხაზეთი. არასდროს დამავიწყდება მისი ახოვანი ფიგურა სოხუმში, ზღვისპირს იგი დიდხანს თვალმოჭუტული გასცქეროდა ზღვის უკიდეგანო სივრცეს, თითქოს აქედან ჭვრეტდა უკვდავი რუსთაველის ნაკვალევს" (Tarba, 1979).

იქვე, ახლოს რუსთაველის ძეგლი იდგა, რომელსაც ქართველებთან ერთად აფხაზებიც ამკობდნენ ყვავლებით. დღეს იქ, რა თქმა უნდა, ამ ძეგლის ნასახიც არსად ჩანს, რაც ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების, ტრაგიკული და, ამავე დროს, სამარცხვინო, უაზრო ძმათამკვლელი ომის შედეგია.

დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული აფხაზეთთან და ბევრ აფხაზთან მეგობრობდა, რაც მის პოეზიაშიც აისახა. სახლიც მთის კორტოხზე აიშენა, რათა იქიდან ულამაზესი ხედების მზერით დამტკბარიყო და მუზებთანაც ახლოს ყოფილიყო. როცა აფხაზეთის მწერალ კ. გოგავას მისთვის უთქვამს, - მოხუცებულობაში გაგიჭირდებათ მაღლა სიარულიო, გალაკტიონს ჩვეული იუმორით უპასუხნია: - ძამიკო, შენს გალაკტიონს სიმაღლე შეაკავებსო?

მთელი აფხაზეთისთვის და, რა თქმა უნდა, ივანე თარბასთვისაც დიდი გალაკტიონი ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო:

„აგერ გალაკტიონი -
სასურველი სტუმარი -
მოაბიჯებს გამზირზე
ჩუმი და იდუმალი.
ის ჩემს ქალაქს ეწვია,
აფხაზსაც და ქართველსაც,
ხელი რომ გადახვიოს,
როგორც ახლო ნათესავს.
იგი მოხიბლულია მზით,

ზღვითაც და მთებითაც,
თითქოს ეს წუთი არის,
გადმოვიდა გემიდან.
ვისაც წვავდა ყოველთვის
ჯერ ლექსი და მერე მზე,
ხენიც ეგებებიან
თითქოს ფეხის წვერებზე".

სახელოვანი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე ეთაყვანებოდა ამ ულამაზეს მხარეს. დაუვიწყარი იყო გულრიფშში, მის აგარაკზე გატარებული ვარსკვლავიანი ღამეები და ზღვის ტალღების ხმაურს აყოლილი ჭრიჭინების „სიმფონია", მრგვალი მაგიდის ირგვლივ შეკრებილი მეგობრების ტკბილქართულით და ომახიანი აფხაზურით შესრულებული სიმღერები.

„ნოდარ დუმბაძე ჩემი საყვარელი მეგობარი იყო... დაუსრულებლად შეიძლება მასზე ლაპარაკი. მას ძალიან უყვარდა მზე, მისი ყველა ნაწარმოები მზის სითბოთია განმსჭვალული და ასე გეგონებათ, თვით მისი პიროვნებაც მზის სხივს გამოსცემდა", – წერდა ივანე თარბა (Saqartvelos respublika, 2003).

ქვეყნის ბედზე მოფიქრალი, მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს დაყურადებული ერისკაცი, ივანე თარბა გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას, რაც ჩანს წერილში ქართველი მწერლებისადმი: „ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს ცოდნის, ძალისა და ღონის კეთილშობილური საქმისათვის გამოყენებას, მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაშედუღებას, რადგან მეგობრობა და ძმობა ჩვენი ძლევამოსილების წყაროა ამ რთულ და შფოთიან სამყაროში".

მოსალოდნელი უბედურების საფრთხე ჩანს მის ლექსებშიც:

„არ გვინდა ზეცა რომ დაფარონ შავმა ღრუბლებმა,
არ გვინდა ბავშვებს დაებუროს თვალები ნისლით,
მაგრამ ჩვენ ვიცით, იარაღით ვინც იმუქრება,
უნდა როგორმე უძლურება დამალოს თვისი".

(Tarba, 1960, 13).

ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი „საზღვარი":

„წაიშლებოდა საზღვარი მართლა,
ძმური ყიჟინით ცას შევარბევდით -
რომ ქვეყნის საზღვრებს, მტრედების გარდა,
არვინ არღვევდეს ავი ზრახვებით".

ან კიდევ:

„და უნდობლობის დიდი მდინარე
ჩვენ შორის იწვა, როგორც იარა".

ივანე თარბას უნდოდა, ჩვენს მიწა-წყალზე სიმშვიდე დავანებულიყო და ადამიანები ბედნიერები ყოფილიყვნენ. იგი „გამოხატავს ხალხის გულისთქმას, მის სასიცოცხლო ინტერესებს, მას ესმის მშვიდობის ფასი“ (Kuprava, 1966).

მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა, გონიერებამ ვერ იზეიმა - ამ ომში საქართველოც დამარცხებულია და აფხაზეთიც. გაიმარჯვა ჩვენმა ავისმოსურნე გარეშე ძალამ. არადა, როგორც ანა კალანდაძე ამბობს: „ჩაგვიტყდა ხიდი, ჩვენ მომავალს ველოდით სხვაგვარს“.

სხვაგვარ მომავალს ელოდა დიდი კონსტანტინე გამსახურდიაც, როცა წერდა: „სიყრმის წლებიდან მე მიყვარს აფხაზი ხალხი. არავის არ შეუძლია, ჩრდილი მიაყენოს ამ სიყვარულს, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს მრავალი საუკუნის მანძილზე. ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით დაკავშირებულნი ერთმანეთთან პატივისცემის გრძნობით“.

ვაი, რომ შეძლეს და მერე რა სისასტიკით. არადა, შეუძლებელია, ამ ორი ხალხის სიყვარულით სავსე ურთიერთდამოკიდებულებას „წარსული“ ერქვას.

1960 წელს სოხუმის ფილარმონიის ტრიბუნიდან გიორგი ლეონიძემ ასეთი რამეც თქვა: „ჩვენს წინაპართა ფიქრს თუ სიმღერას წარსულში მუდამ თან სდევდა ცრემლი და იმედი. ცრემლი წინაპრებმა წაიღეს, ყვავილოვანი იმედი დაგვიტოვეს. ამ იმედის მომვლელია ხალხი, ძმობა და მეგობრობა“ (Tchurghulia, 1983).

ვერც ამ იმედს ვერ მოვუარეთ, პირიქით, სისხლის და ცრემლის წვიმა ვაწვიმეთ. ამ ომს ივანე თარბას მეუღლეც შეეწირა - ეთერ კოღონია. 1993 წელს, უაღრესად დამწუხრებული, პოეტი წერდა: „საშინელი ომი არ ინდობს არც დამნაშავეებს, არც უდანაშაულოებს, ადამიანი მწყობრიდან გამოჰყავს, ართმევს ყველაზე ძვირფასს-სიცოცხლეს. მე უდიდეს მწუხარებას განვიცდი, დავკარგე ერთგული მეგობარი, ნიჭიერი მსახიობი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე და, რაც მთავარია, იგი იყო ჩემი ცხოვრების მეგობარი და ჩვენ სიამტკბილობით ვცხოვრობდით, ვემსახურებოდით ჩვენს კულტურას.

ცეცხლი დაუშინეს სახლს, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ჭურვის ნამსხვრევებმა ხელ-ფეხი მოსწყვიტა ჩემს ცოლს და იგი დაიღუპა, იგი ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა. ივდა მეგობართან ერთად და ჭურვისგან დაიღუპა“ (Saqartvelos respublika, 1993).

სულგამწარებული კაცის ტკივილიანი სიტყვებიდან ჩანს, რომ იმ პერიოდში უკრაინის პრესის ფურცლებზე გავრცელებული არასწორი ინფორმაციის გამო (თითქოს ქალბატონი ეთერ კოღონია შეურაცხყოფილი დაიღუპა) ივანე თარბას საწინააღმდეგოს „მტკიცება“ უხდება საზოგადოებისთვის. ცოლ-ქმარმა არეული, აწეწილი სამშობლოს დარდთან ერთად დიდი სითბო და სიყვარული გაიყოლა იმ ქვეყნად და არა მარტო აფხაზი ხალხისა.

გიორგი შატბერაშვილი ერთგან წერს: „მოულოდნელი უბედურება ადამიანის გულში პირველად გაოცებას და სხარტად დარჩენას იწვევს, მერე თანდათან მოდის უბედურების შეგრძნება“ (Tarba, 1975: 19).

ასე გვჭირს ჩვენც, ქართველებსაც და აფხაზებსაც. ამდენი წლის შემდეგ უფრო მტკივნეულად ვგრძნობთ უერთმანეთობით გაჩენილ სიცარიელეს, „შოუნანასა“ და „იავნანას“ ერთად ამღერების სურვილს და იმედიც ჭიატობს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის.

„მე მინდა, ისე გავკაფო ახო,
ცინცხალი ცვარი პეშვებით შევსვა“ –

ამბობს ივანე თარბა ერთ-ერთ ლექსში, მაგრამ, საბედისწეროდ, მის მიერ სწორად გაკაფული ახო გავაჯაგნარეთ, ცინცხალ ცვარში სამსალა გავურიეთ და ახლა კვლავ ხელახლა გასაკაფი გვაქვს ერთმანეთთან მისასვლელი გზა, კვლავ გასადები გვაქვს ჩატეხილი ხიდი.

ივანე თარბას ლექსი „ხიდი“ წარსულ დროშია დაწერილი, მაგრამ თითქოს იმაზეცაა, რაც აწი უნდა მოხდეს, უცილობლად უნდა მოხდეს:

„პაპებმა ჩვენთვის ააგეს ხიდი
და შეაერთეს ორი ნაპირი,
წყალმა წაიღო ძველი ნაღველი,
დრომ მოგვიტანა სითბო ულევი.
დაე, ცოცხლობდეს მათი სახელი,
ვინც შეაერთა ჩვენი გულები“.

და ბოლოს, დავასრულებთ ივანე თარბას ლექსი - მოწოდებით საკუთარი თავისადმი - „პოეტი თუ ხარ“:

„... შენი მარადი სიჭაბუკე ყოველთვის მეგრძნოს,
გასწი, იარე, შეეჭიდე წელთა მრავლობას
და ჩემი სიტყვა გადაეცი შთამომავლობას“.

დიახ, შთამომავლობის ვალია, ღირსეულ წინაპართა კვალს მისდიოს, გაარჩიოს ავი და კარგი, მართალი და ყალბი. ივანე თარბას შემოქმედება კი, გვჯერა, ყველა გამოცდას გაუძლებს და ბევრ რამეზე დააფიქრებს შთამომავლობას, რომელმაც ჩვენი თაობის მიერ დაშვებული შეცდომები უნდა გამოასწოროს.

ლიტერატურა:

1. Afkhazuri literatura , 1977 – Afkhazuri literatura, 1977.
2. Tarba, 1960 – Tarb I., Leksebi da poemebi, Tbilisi, 1960.
3. Tarba, 1966 – Tarba I., Marad da chventan, gaz. „Sabchota Afkhazeti“, 1966, 22/ I.
4. Tarba, 1966 – Tarba I., „Gulit da kalmit“, gaz. „Sabchota Afkhazeti“, 1966, 3. III.

5. Tarba, 1976 – Tarba I., Leksebi da poemebi, Tbilisi, 1976. G. Jibladzis shesavali cerilit.
6. Tarba, 1979a – Tarba I., Chveni Irakli, gaz. „Sabchota Afkhazeti“, 1979, №244.
7. Tarba, 1979 b – Tarba I., „Sabchota afkhazeti“, 1979.
8. Tarba, 1981 – Tarba I., Rcheuli leksebi da poemebi, Tbilisi., 1981. Grigol Abashidzis tsinasitkvaobit.
9. Tarba, 1981– Tarba I., „Chveni dzlevamosilebis tskaro“, zhurn. „Sakartvelos komunisti“, 1981, №10.
10. Tarba, 1982 – Tarba I., „Chabukuri sulit“, gaz. „Sabchota afkhazeti“, 1982, №63.
11. Tarba, 2003 – Tarba I., Sitkva megobarze, gaz. „Sakartvelos respublika“, 2003, 14 VII, №184.
12. Tchurghulia, 1983 – Tchurghulia O., Narkvevebi kartul-afkhazuri, kulturul-literaturuli urtiertobidan, Sokhumi, 1983 II nats.

Medea Kvaratskhelia

IVANE TARBA AND GEORGIA

Summary

Ivane Tarba was one of the most important representatives of Abkhazian literature of the 20th century. He was a great singer of Georgian and Abkhazian friendship. He knew history of these peoples, their traditions, literatures. He was a good friend of Georgian writers (especially R. Margiani, K. Kaladze, I. Abashidze, N. Dumbadze).In his poetry I. Tarba reflected Georgians and Abkhazians relations, their real love to each other. He wrote, that they have the same (one) homeland, native country.

In the paper we have studied the main themes of I. Tarba poetical heritage, verses dedicated to Georgia, ancient traditions of Abkhazian, beautiful landscapes of Abkhazia. I. Tarba was a poet with „sunny heart“, full love and tolerance. We try to reflect this feeling in our paper. We have studied some collections of Tarba's, verses written in different periods of his life.

Such poet is a symbol of poetry itself, as an artist should be graceful for life, its beauty, diversity colors, sounds, senses. I. Tarba left these aspects of human being and reflected them at his sensual poetry. He could find beauty every – in hearts, nature, the universe.

ნანა ლატარია

ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობების გამოცემის ისტორია

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და კულტურის ინსტიტუტმა

ალექსანდრე ყაზბეგმა სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი საზოგადოების ყურადღება, როგორც ტრაგიკული ბიოგრაფიის, მშფოთვარე სულისა და უბადლო ტალანტის მქონე შემოქმედმა. ამიტომაც არასოდეს დაჰკლებია მკითხველის სიყვარული და აღიარება.

მწერლის გარდაცვალების გამო „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა დიდი ილია ჭავჭავაძის სტატია, რომელშიც ავტორი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და მაღალ შეფასებას აძლევს მის ნიჭს: „ძნელია იმის ნიჭისა და მამულის წინაშე სრული დაფასება, ხოლო უეჭველია, რომ ეს ნიჭი და ღვაწლი იყო ჩვენის აწმყო ლიტერატურის შვენება. ყაზბეგი იყო ჩვენის დროის უპირველესი ქართველი ბელეტრისტი, რომელმაც ნამდვილის ქართულის ფერადებით შეამკო და ცოცხლად წარმოგვიდგინა ჩვენის ერის სულისკვეთება, შეუდარებელის კალმით დაგვიხატა ჩვენის ქვეყნის სიტურფენი და ზოგისაგან აბუჩად აგდებული, თითქო ველურ მთიულის ყოვლად უბრალო ტანისამოსს ქვეშე მძგერალი განუდრეკელი სიმხნე... სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ სახელით, რომელსაც არ დაივიწყებს საქართველო, საქართველოს ერი, ვიდრე ცოცხალი იქნება ქართული ენა“ (Iveria, 1893).

ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები მისი შემოქმედების ნაკლებად ცნობილ და არასრულყოფილად შესწავლილ უბანს განეკუთვნება. თუმცა, ძნელია მათი დაყენება ისეთი შედევრების გვერდით, როგორებიცაა: „ელგუჯა“, „ხევისბერი გოჩა“ თუ „მოძღვარი“, მაგრამ მათში მაინც გარკვეულად აისახა მწერლისათვის, როგორც ბელეტრისტისათვის, დამახასიათებელი შტრიხები.

დაუმთავრებელ მოთხრობათა უმრავლესობაში მწერალი ცდილობს ბარის, ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრების ასახვას. საინტერესოა, რატომ არ დაამთავრა ისინი ავტორმა? ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს გურამ ასათიანი. მისი აზრით, ალექსანდრე ყაზბეგს ადრინდელ ნაწარმოებებშიც „რჩეული წრიდან“ ჰყავს გამოყვანილი დადებითი გმირები, „მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ისინი მკრთალ სქემებად გამოიყურებიან. მიუხედავად გულწრფელი განზრახვისა, ალ. ყაზბეგმა ვერ შეძლო, ცოცხალი სული შთაებერა ამ სახ-

ებისათვის“ (Asatiani, 1974: 354).

გურამ ასათიანი შენიშნავს იმასაც, რომ „ასეთი ჭეშმარიტად ჰეროიკული სახეები ალექსანდრე ყაზბეგმა მხოლოდ უბრალო, მშრომელ ადამიანთა, ჩვეულებრივ მოხევეთა შორის ჰპოვა და დიდი მხატვრული ოსტატობით დაგვიხატა ისინი“.

მსგავსი მოსაზრება ამ თხზულებათა დაუმთავრებლობის მიზეზებზე გამოითქვა ვახტანგ კოტეტიშვილისაგან: „არის რაღაც მიმზიდველი და დამაფიქრებელი, რომ ალ. ყაზბეგმა დატოვა დაუმთავრებელ მოთხრობათა მთელი კარი, ვეღარ სთქვა, იქნებ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი ტონით დაიწყო შემოქმედება, დიდი გამძაფრებით და ენერგია არ ეყო? მაგრამ აქ ახსნა არც კი არის საჭირო. სჯობს ისევ ისე დარჩეს ეს შემოქმედების გვირაბი, რომელიც ბნელი პირით იცქირება და ფანტასტიკას ამრავლებს“, – ასკვნის მკვლევარი (Kotetishvili, 1925:134).

ალექსანდრე ყაზბეგის სიცოცხლეში გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა „ბედშავი“ („დროება“, 1883, №№40-41), რომელსაც აქვს ავტორის მინაწერი: „გაგრძელება იქნება“.

დაუმთავრებელ მოთხრობათა პირველი პუბლიკაციის შესახებ არსებობს რამდენიმე ცნობა. მათ შორის, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეულის (1948-50 წწ.) I ტომის შესავალ წერილში „რედაქციისაგან“ აღნიშნულია, რომ „1891-92 წლებში „ქართველთა ამხანაგობამ“ ოთხ ტომად გამოსცა ალ. ყაზბეგის თხზულებანი (რჩეული და არა სრული). ეს გამოცემები კი შემდეგში საფუძვლად დაედო მომდევნო, 1905 წლის გამოცემას“.

ჩვენ გავეცანით მწერლის სიცოცხლეში განხორციელებულ ზემოთ დასახელებულ გამოცემებს, რომლებიც დაცულია „საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატაში“ და აღმოჩნდა, რომ მასში არ არის შეტანილი „არა სრული“ (იგულისხმება დაუმთავრებელი მოთხრობები – ნ. ლ.) ნაწარმოებები, ხოლო 1905 წლის გამოცემაში დაბეჭდილია როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მოთხრობები. ცხადია, 1891-1892 წწ. გამოცემული ოთხტომეული ვერ დაედებოდა საფუძვლად 1905 წლის გამოცემას. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მითითება აშკარა უზუსტობაა.

ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობების პირველ პუბლიკაციად სოლომონ ყუბანეიშვილი 1905 წელს მიიჩნევს (Kazbegi, 1950) და ამასვე აღნიშნავს შ. გოზალიშვილი წიგნში: „ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერები, აღწერილობა“ (Godzalishvili, 1960). შევნიშნავთ, რომ არც ეს ცნობაა ზუსტი.

ჩვენ მივაკვლიეთ რამდენიმე ცნობას იმის თაობაზე, რომ არსებობს გაცილებით უფრო ადრინდელი ორი გამოცემა, რომლებშიც შევიდა ოთხი დაუმთავრებელი მოთხრობა: „შიოლა ღუდუშაური“, „ნინო“, „გალაშკა“,

„ცხოვრების ჩარხი“. ამ გამოცემათა შესახებ მითითებულია წიგნში: „ალექსანდრე ყაზბეგის „ბიობიბლიოგრაფია“ (Shaduri, 1987).

გარდა ამისა, წიგნში „ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხები“ (1987) მოთავსებულია სოლომონ ხუციშვილის წერილი „ალექსანდრე ყაზბეგი და ლიტერატურული კრიტიკა“, სადაც აღნიშნავს, რომ „ნინო“, „გალაშკა“, „ცხოვრების ჩარხი“ და „შიოლა ღუდუშაური“ გამოქვეყნებულია 1904 წლის გამოცემაში და აღნიშნავს იმასაც, რომ ეს დაუმთავრებელი მოთხრობები ჟურნალ „მოამბეში“ იყო დაბეჭდილი სხვადასხვა დროს“. 1904 წლის გამოცემის შესახებ მითითებულია აგრეთვე პოლ. ცინცაძის წიგნში: „ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება“ (Tsintsadze, 1944: 148-160). ჩვენ მოვიძიეთ და შევისწავლეთ ზემოთ დასახელებული ორივე გამოცემა, რომლებიც დაცულია „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“.

ამრიგად, გაირკვა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობების პირველი პუბლიკაცია შედგა მწერლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, კერძოდ, 1894 წელს, ჟურნალ „მოამბეში“ (რედაქტორი ალ. ჭყონია, გამომცემელი ალ. ჯაბადარი), №VIII, განყ. I, გვ. 17-48; №X, განყ. I, გვ. 17-54; №XI, განყ. I, გვ. 53-94; №XII, განყ. I, გვ. 43-72). ამ გამოცემას არ ახლავს შენიშვნები და კომენტარები.

დაუმთავრებელი მოთხრობების მეორე პუბლიკაცია კი განხორციელდა 1904 წელს: „ალექსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე), ნაწარმოებთა სრული კრებული“, დავით კარიჭაშვილის შესავალი წერილით: „ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია“, ტფ., გამომც. ქართველთა ამხანაგობის სტამბა 1904 (4), XXXV, 1201 გვერდი, ჩართული ფურცელი, პორტრეტი. დაუმთავრებელი მოთხრობები მოთავსებულია 1089-1114 გვერდებზე. საყურადღებოა ამ გამოცემის შესავალი ნაწილი, სადაც ავტორი ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად ზოგადად განიხილავს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებასაც. ბიოგრაფიის გადმოცემისას ავტორი იმოწმებს მწერლის პირად წერილს დედისადმი, რომელიც მოიცავს ალექსანდრე ყაზბეგისა და ნინო ჩერნიშოვა-კრუგლიკოვას სიყვარულის ისტორიას (გვ. XVI-XXI); ხოლო ეხება რა ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას, დ. კარიჭაშვილი ამ წერილის შესახებ მიუთითებს: „...ჩვენის აზრით, პირველი მისი მოთხრობა არის ის წერილი, რომელიც ჩვენ აქ მთლიანად დავბეჭდეთ. მოსკოვშივე უნდა იყვეს დაწერილი 1870 წელს მისი დაუმთავრებელი მოთხრობა – „საქართველოს ბომონდი“, გადაკეთებული შემდეგ „ცხოვრების ჩარხად“ (გვ. XXIV).

დ. კარიჭაშვილს ბიოგრაფიის შედგენისას უსარგებლია ელისაბედ ყაზბეგისა და ქართველთა ამხანაგობის მიერ მოწოდებული მასალებით: 1) ალექსანდრე ყაზბეგის ქალალდებით და მიწერ-მოწერით, რომლებიც გადმოგვცა ქართველთა ამხანაგობამ და ქალბატონმა ელისაბედ ყაზბეგმა;

2) იმ პირთა თქმულებებით და ნაწერებით, რომელნიც დასახელებულნი გვყვანან; 3) ქ-ნის ელისაბედ ყაზბეგის ნაამბობით და 4) იმ ცნობებით, რომლებიც ჩვენ გაგვიგონია ბევრისაგან და გავრცელებულნი არიან ქართველის საზოგადოებაში (გვ. XXXIV-XXXV). გამოცემას არ ახლავს შენიშვნები და კომენტარები. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მისი გამომცემელიც დავით კარიჭაშვილი უნდა იყოს.

მესამედ ზემოთ დასახელებული დაუმთავრებელი მოთხრობები დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა 1905 წლის გამოცემაში. იგი მთლიანად იმეორებს 1904 წლის გამოცემას.

მეოთხე გამოცემა არის 1948-1950 წწ. განხორციელებული ხუთტომეული, ტ. IV-V, ,,ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული'', ხუთ ტომად (სარედაქციო კოლეგია: ალ. აბაშელი, ალ. გომიაშვილი, შ. რადიანი, ს. ჩიქოვანი (პ/მგ. რედაქტორი) გიორგი ჯიბლაძე, შენიშვნები – სოლ. ყუბანეიშვილისა).

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა თავიდან 4 ტომად ჰქონიათ ჩაფიქრებული. მასში არ იყო გათვალისწინებული დაუმთავრებელი მოთხრობების დაბეჭდვა, რაც მითითებულია ოთხტომეულის (ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული, ოთხ ტომად, 1948 წ., თბ., გამომც. ,,საბჭოთა მწერალი'') I ტომის შესავალ ნაწილში სათაურით ,,რედაქციისაგან'', სადაც აღნიშნულია შემდეგი: ,,სარედაქციო კოლეგიამ ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისა და შესწავლის შემდეგ გადაწყვიტა ალ. ყაზბეგის ნაწერების ოთხ ტომად გამოცემა. თხზულებათა სრულ აკადემიურ კრებულში შედის რომანები, მოთხრობები, პიესები, ლექსები, ლიტერატურული წერილები, მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა... ყველა ოთხი ტომის ვარიანტები დაიბეჭდება მეოთხე ტომში. მეოთხე ტომშივე იქნება წარმოდგენილი სახელთა საძიებელი, ცალკე თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია და ავტორის არქივის სრული აღწერა'', ხოლო ოთხტომეულის ხუთტომეულად შეცვლის შესახებ მითითებულია IV ტომის (,,ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული'', ხუთ ტომად, 1948-1950 წწ.) შესავალ წერილში ,,რედაქციისაგან'', ,,...სიძველეთსაცავებში და კერძო პირთა ხელში ალექსანდრე ყაზბეგის დღემდე უცნობი ნაწერების აღმოჩენის გამო, მწერლის თხზულებათა გამოცემის გეგმა ერთი ტომით გაიზარდა. ამიტომ, ოთხი ტომის ნაცვლად, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებანი ხუთ ტომად გამოდის...''.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეული გადაკეთდა ხუთტომეულად, რომლის IV ტომში შევიდა დაუმთავრებელი მოთხრობები და პიესები, ხოლო ვარიანტები გადატანილ იქნა V ტომში. ხუთტომეული დაიბეჭდა 1948-1950 წლებში.

ამრიგად, ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობების მეო-

თხე პუბლიკაცია მოხდა 1948-1950 წლებში. შევნიშნავთ, რომ მწერლის ამ გამოცემის IV და V ტომებში მოთავსებული დაუმთავრებელი მოთხრობებიდან ოთხი („შიოლა ღუდუშაური“, „ნინო“, „გალაშკა“, „ცხოვრების ჩარხი“) შესულია ოთხივე გამოცემაში, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ გამოცემათა ტექსტების შედარება, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ პირველი სამი გამოცემის (1894, 1904, 1905) ტექსტები ერთმანეთს ემთხვევა. მათი დაბეჭდვის თანამიმდევრობაც ერთგვარია, ხოლო მეოთხე გამოცემაში დასახელებული მოთხრობების ტექსტები რამდენადმე განსხვავებულია. პირველი სამი და უკანასკნელი გამოცემის ტექსტებიდან მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

– 1948-1950 წლების გამოცემა
– 1894, 1904, 1905 წლების გამოცემა

„შიოლა ღუდუშაური“

– ხელს ვერ აღწევდნენ (გვ. 151).
– ხელს ვერ აწვდენდნენ.

– ამ შემთხვევამ მრავალი მოხევე მოაშორა თავის მიწა-წყალს, და არაგვის ერისთავთა ღუდუშაურებთან შეერთებულს უსამართლობას გაახიზნა (გვ. 152).

– ამ შემთხვევამ მრავალი მოხევე მოაშორა თავის მიწა-წყალს, ღუდუშაურებთან შეერთებულს უსამართლობას გაახიზნა.

– მისი ხმა უფრო ტკბილი და ლბილი შეიქნა, სანამ მისი წარმოთქმა კაცისაგან შესაძლებლად დაინახავდით (გვ. 153).

– მისი ხმა უფრო ტკბილი და ლბილი შეიქნა, სანამ მისი წარმოთქმა კაცისაგან შესაძლებლად დაინახავდით.

2. „ნინო“

– მგლოვიარის ძაძებში (გვ. 157)
– მგლოვიარე ძაძებით შემოსილი

– ბევრმა ვაჟკაცმა შეასხა მაშინ არაგვის ერისთავებს თავიანთი სისხლი და საუკუნოდ ამოუშლელის ძმა-კალიობის ნიშნად დაადო დაღი (გვ. 157).

– ბევრმა ვაჟკაცმა შეასხა მაშინ არაგვის ერისთავებს თავიანთი სისხლი და საუკუნოდ დაადო ძმა-კალიობის ნიშნად მოუშლელი დაღი.

– მათ ჰქონდათ თავიანთი თემობა (გვ. 158).
– ჰქონდათ თავიანთი თემობა.

3. „გალაშკა“

შევნიშნავთ, რომ ამ მოთხრობის ტექსტი მოცულობით უფრო დიდია 1950 წ. (ტ. IV) გამოცემაში, ვიდრე პირველი სამი გამოცემის ტექსტი, ვინაიდან 1950 წ. გამოცემული ტექსტი 172-ე გვერდის II აბზაციდან VI-ის ჩათვლით გამოტოვებულია სხვა ზემოთ დასახელებულ გამოცემებში.

– ყველამ ჩქარა ხვრინვა ამოსტეხა (გვ. 173).
– ყველამ ხშირი ხვრინვა ამოსტეხეს.

– აგერ ერთბაშად მბრწყინავი ვარსკვლავი (გვ. 175).
– ჯერ ერთბაშად მბრწყინავი ვარსკვლავი.

– გალაშკელები მუდამ განსაცდელში იყვნენ და ამას შეერთებინათ – საერთო მტერი მოეგერებინათ (გვ. 164).
– გალაშკელები მუდამ განსაცდელში იყვნენ და ამას შეერთებინა ისინი საერთო მტრის მოსაგერებლად.

– ქორი ისე წყნარად და ზარმაცად ბრუნავდა ჰაერში, თითქოს ფრენაც კი... (გვ. 176).
– ქორი ისე წყნარად და ზარმაცად ბრუნავდა ჰაერში, თითქოს ფრენაც კი ეზარებაო...

4. „ცხოვრების ჩარხი“

– ყმაწვილობიდგანვე (გვ. 9).
– ყმაწვილობიდანვე.

– საქმემ სუდამდის მიაღწია (გვ. 10).
– საქმემ სასამართლომდის მიაღწია.

– საკმაო სიმდიდრე მოეგროვებინა (გვ. 10).
– საკმაო სიმდიდრე შეეძინა.

– ზედმიწევნითი (გვ. 15).
– ზედ-მიწევნილი.

– მერე ძალიან ვდევ მაგგვარ შეხედულებას (გვ. 18).
– მერე ძალიან დავეძებ მაგვარ შეხედულებას.

– ცრემლი მორია (გვ. 19).
– ცრემლი მოგვარა.

– თეიმურაზი დაფიქრდა და მწარე ფიქრები ჩამოწვა მის თავში (გვ. 25).
– თეიმურაზი დაღონდა და მწარე ფიქრები შემოაწვა.

– სიყვარულის სიტყვებით (გვ. 32).
– სატრფიალო სიტყვებით.

– ამ ხანში ლიდია ავიდა სულ ზევით სართულში, სადაც შეატყობინეს, რომ თეიმურაზი ისე მაღლა არ იდგა, როგორც ბებერმა აუხსნა (გვ. 38).
– ამ ხანში ლიდია ავიდა სულ ზევით სართულში, სადაც შეატყობინეს, როგორც ბებერმა აუხსნა, საცა იდგა ჭმუნვარაშვილი.

– თქვენ წუხელსავე აგისრულებდნენ (გვ. 84).
– წუხელსავე გაგათავებდნენ.

როგორც ვხედავთ, სხვაობა უმნიშვნელოა და ძირითადად ტექსტოლოგიური ხასიათისაა.

ამრიგად, გამოცემებზე მუშაობის პროცესში ჩვენ მივაკვლიეთ რამდენიმე ცნობას ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობების ადრინდელი პუბლიკაციების შესახებ და საბოლოოდ დავადგინეთ ამ გამოცემათა ისტორია, რაც შემდეგში მდგომარეობს:

მწერლის სიცოცხლეში გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა „ბედშავი“, რომელსაც აქვს მინაწერი: „გაგრძელება იქნება“ (გაზ. „დროება“, 1883 წ., №№40-41).

მწერლის დაუმთავრებელი ოთხი მოთხრობა („შიოლა ღუდუშაური“, „გალაშკა“, „ნინო“, „ცხოვრების ჩარხი“) **პირველად** გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბეში“ **1894 წელს** (№VIII, I განყ., გვ. 17-48; №X, განყ. I, გვ. 17-54; №XI, განყ. I, გვ. 53-94; №XII, განყ. I, გვ. 42-72).

კრებულის სახით დაუმთავრებელი მოთხრობები დაიბეჭდა მწერლის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, **1904 წელს**, დამთავრებულ მოთხრობებთან ერთად. ეს იყო დაუმთავრებელი მოთხრობების **მეორე** პუბლიკაცია.

მესამედ გამოიცა **1905 წელს**. იგი იმეორებს 1904 წლის გამოცემას.

მეოთხედ დაუმთავრებელი მოთხრობები გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში, **1948-1950 წლებში**.

ლიტერატურა:

1. Asatiani, 1974 – Asatiani G., Aleksandre Kazbegi, Kartuli literaturis istoria, t. IV, Tbilisi, 1974.
2. Gozalishvili, 1960 – Gozalishvili S., Aleksandre Kkazbegis khelnatserebi, aghtseriloba, Sak. Ssr. mecnier. akademiis gamomts., Tbilisi, 1960.
3. Kazbegi, 1891a – Tkhzulebani Aleksandre Kazbegisa (A. Mochkhubaridze), t. I, „kartvelta amkhanagobis“ gamocema, Tbilisi, 1891.
4. Kazbegi, 1891b – Tkhzulebani aleksandre kazbegisa (A. Mochkhubaridze), t. II, „kartvelta amkhanagobis“ gamotsema, Tbilisi, 1891.
5. Kazbegi, 1891c – Tkhzulebani Aleksandre Kazbegisa (A. Mochkhubaridze), t. III, „kartvelta amkhanagobis“ gamotsema, Tbilisi, 1891.
6. Kazbegi, 1892 – Tkhzulebani Aleksandre Kazbegisa (A. Mochkhubaridze), t. IV, „kartvelta amkhanagobis“ gamotsema, Tbilisi, 1892.
7. Kazbegi, 1948 – Kazbegi Aleksandre, Tkhzulebata sruli krebuli otkh tomad, t. I, Tbilisi, 1948.
8. Kazbegi, 1950a – Kazbegi Aleksandre, Tkhzulebata sruli krebuli khut tomad, t. V, Tbilisi, 1950.
9. Kazbegi, 1950b – Kazbegi Aleksandre, Tkhzulebata sruli krebuli khut tomad, t. IV, Tbilisi, 1950.
10. Kotetishvili, 1925 – Kotetishvili V., Aleksandre kazbegi da misi avtorobis sakitkhi, Tbilisi, 1925.
11. Lataria, 2010 – Lataria N., Aleksandre kazbegis daumtavrebeli motkhrobebi da romani, Tbilisi, 2010.
12. Moambe, 1894 – gaz. Moambe, 1894.
13. Shaduri, 1987 – Shaduri V., Nutsubidze J., Aleksandre Kazbegis biobibliografia, Tbilisi, 1987.
14. Tsintsadze, 1944 – Tsintsadze P. Aleksandre Kazbegis shemokmedeba, sak. ssr sakhelmtsifo gamomtsemloba, Tbilisi, 1944.

Nana Lataria

HISTORY OF PUBLISHING ALEXANDRE KAZBEGI'S INCOMPLETE STORIES

Summary

Presented by D. Gulia History, Language and Culture Institute of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

The paper discusses the problem publishing of A. Kazbegi's incomplete stories. The author states that there is some inaccuracy in the notes of unfinished stories in Alexander Kazbegi's full collection of works (five-volume edition, 1948-1950) connected with the first publication: 1) Four-volume edition published by the "Georgians' Community" in 1891-1892 could not be the basis for the edition of 1905; 2) Four unfinished stories ("Shiola Gudushauri", "Galashka", "Nino", "Tool of Life" (Tskhovrebis charkhi)) for the first time were published in the magazine "Moambe" in 1894 and not in 1905; 3) Unfinished stories in a form of collection were published in 1904 and not in 1905; 4) For the third time they were published in 1905 and their repeated the edition dates to 1904; 5) For the fourth time the writer's unfinished stories "Full Collection of Works" were published in the 1948-1950 s in volumes IV-V).

Лилиана Джанашия

ЧЕЛОВЕК В ЛИТЕРАТУРЕ ПОСТМОДЕРНИЗМА

Постмодернизм (постмодерн; от лат. post - „после“ и фр. moderne - „новейший“, „современный“) - термин, обозначающий структурно сходные явления в мировой общественной жизни и культуре второй половины 20 в.

Впервые термин „постмодернизм“ был употреблен в 1914 г. в работе Р. Панвица „Кризис европейской культуры“. Применительно к литературе термин „постмодернизм“ впервые употребил американский ученый Ихаб Хассан в 1971 году. (Родиной постмодернизма также считают США). Ему же принадлежит классификация признаков постмодернизма. В вышедшей в 1979 году работе французского ученого Ж.Ф. Лиотара „Постмодернистское состояние“ раскрываются философские предпосылки возникновения постмодернизма и его основополагающие черты.

Постмодернизм начал распространяться в литературе, музыке, архитектуре, скульптуре, живописи, кино примерно с конца 50-х годов XX века. Его философское осмысление представлено в трудах французских постфрейдистов и деконструктивистов. Это направление возникло как антитеза модернизму и примитивизму массовой беллетристики . Постмодернизм, облекая все в игровую форму, нивелирует расстояние между массовым и элитарным потребителем, низводя элиту в массы.

Самыми влиятельными писателями-постмодернистами признают Умберто Эко, Дона Делилло, Джулиана Барнса, Уильяма Гибсона, Вл.Набокова, Джона Фаулза, Милорада Павича, Тома Стоппарда, Иосифа Бродского, Венедикта Ерофеева, Дмитрия Пригова, Григория Остера, Виктора Пелевина, Владимира Сорокина, Татьяну Толстую и т.д.

Признаки постмодернистской художественной парадигмы, свойства, качества, характеристики, выявленные исследователями (Ихаб Хассан, Жан Бодрийяр, Жак Деррида, Жиль Делез, М.Эпштейн, Н.Лейдерман, М.Липовецкий, М.Золотоносов, С.Чупринин, В.Курицын, А.Якимович и др.), позволяют выделить несколько уровней типологических характеристик:

1. Уровень содержания.

Неопределенность, культ неясностей, ошибок, пропусков, намеков, ситуация „лабиринта смыслов“, „мерцание смыслов“.

2. *Уровень аксиологии.*

Деканонизация, борьба с традиционными ценностными центрами (сакральное в культуре человек, этнос, Логос, авторский приоритет), размытость или разрушение оппозиций добро-зло, любовь-ненависть, смех-ужас, прекрасное-безобразное, жизнь-смерть.

3. Уровень композиции.

Фрагментарность и принцип произвольного монтажа, сочетание несочетаемого, использование вещей не по назначению, несоразмерность, нарушение пропорций, дисгармоничность, произвольное оформление аморфности, торжество деконструктивистского принципа: разрушение и установление новых связей в хаосе.

4. Уровень жанра.

მრავალმხრივ აღსანიშნავია ბატონი გივის სხვა მეცნიერული ნაშრომებიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ (ზ. გამეზარდაშვილთან თანაავტორობით) 1994 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ფუნდამეტური ნაშრომი - „რომაულ-კათოლიკური მისია და საქართველო“, რის გამოც ავტორმა რომის პაპის იოანე-პავლე II-ის პერსონალური მადლობაც დაიმსახურა.

ფრიად მნიშვნელოვანია გივი ჟორდანიას ვრცელი მეცნიერული პუბლიცისტური გამოკვლევა „დაბრუნებული საუნჯე“ (1983 წ.), რომელშიც, მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე, მოცემულია ის 24 წლიანი (1921-1945 წწ.) ისტორია, ფათერაკებით აღსავსე „ოდისეა“, რომელიც წილად ხვდა უცხოეთში გახიზნულ ქართულ საუნჯეს; მოთხრობილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაზე საზღვარგარეთ გატანილი სამუზეუმო სიძველეების დაცვა-პატრონობის საქმეში.

საზოგადოების ინტერესი ამ წიგნისადმი და ბატონი გივის ლექციებისადმი საოცრად დიდი იყო. ორასზე მეტი ლექციის წაკითხვა (მომეტებულად მისი ლექცია ორ და სამ ნაწილად იკითხებოდა) მოუხდა მას. უაღრესად შთამბეჭდავი იყო ეს ლექციები. აუდიტორიაში, სადაც ბატონი გივი იწყებდა საუბარს, სამარისებული სიჩუმე ისადგურებდა, მხოლოდ ბატონი გივის ხმა ისმოდა, ყურადღების გარეშე არ რჩებოდა მისი არც ერთი ფრაზა ჩვენი სიძველეების ფათერაკებით აღსავსე „ოდისეაზე“. ამ თხრობას კიდევ უფრო ემოციურს ხდიდა ცალკეული შთაბეჭ-

დილებები, რომელიც ბატონ გივის გადახდა თავს საფრანგეთში მოგზაურობისას. სახელდობრ, იგი იგონებდა ქართველებთან შეხვედრებს, როცა სამშობლოს მონატრებულნი, სუფრასთან საქართველოს სადღეგრძელოს წარმოთქვამდნენ, ფეხზე დგებოდნენ, ასე იდგნენ თავდახრილნი და მათი თვალებიდან ჩამონადენი ცრემლები წვეთ-წვეთად ჭიქაში ღვინოს უერთდებოდა, ცრემლნარევ ღვინოს მიირთმევდნენ ისინი. ამ მომენტს ბატონი გივი ისე სულისშემძვრელად აღწერდა, რომ მის მსმენელებსაც, დარბაზში, ცრემლით ევსებოდათ თვალები. დიახ, ბატონი გივის ლექცია მართლაც სულისშემძვრელი იყო, რამდენჯერაც არ უნდა გქონოდათ მოსმენილი მისი ეს ლექცია, მაინც არ მოგბეზრდებოდათ და კვლავ სიამოვნებით უსმენდით, რადგან ის ყოველთვის ახლებურად კითხულობდა ამ ლექციებს და არ იმეორებდა ძველს.

ამ ლექციებისადმი დიდი ინტერესის დასტურია შთაბეჭდილებაც, რომელსაც გვიზიარებენ მისი ყოფილი სტუდენტები (ამჟამად პროფესორები) ნინო ჩიქოვანი და მალხაზ მაცაბერიძე. ისინი წერენ: ,,ბედნიერება გვქონდა ბატონი გივის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისა და საქართველოს სამუზეუმო განძეულის შესახებ წაკითხული ლექციების პირველი მსმენელები ვყოფილიყავით. ეს სრულიად უცხო, ტაბუდადებული თემა გახლდათ. დღევანდელ სტუდენტებს ნამდვილად გაუჭირდებათ იმის წარმოდგენა, რას ნიშნავდა, და უზარმაზარ ცოდნასთან ერთად, რა გამბედაობას მოითხოვდა მაშინ ამ თემაზე საუბარი. ბატონმა გივიმ აღნიშნულ ლექციათა სატელევიზიო ვარიანტიც მოამზადა, მაგრამ ტელევიზიით მხოლოდ ორი ლექციის წაკითხვა მოასწრო, შემდეგ ის ციკლი აკრძალეს, ბატონი გივი კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებაში დაიბარეს და პარტბილეთის წართმევით, ანუ იმ პარტიიდან გარიცხვით დაემუქრნენ, რომლის წევრი არასოდეს ყოფილა“. ,,ვერ გამრიცხავთ, გენაცვალე, არ ვარ პარტიის წევრიო!“ – უპასუხია ბატონ გივის.

,,ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (უნივერსიტეტის მეორე კორპუსში), - განაგრძობენ თავიანთი შთაბეჭდილების გაზიარებას ნ. ჩიქოვანი და მ. მაცაბერიძე, – ერთხელ ლექცია 6 საათს მიმდინარეობდა, მთელი ამ დროის მანძილზე აუდიტორიაში, სადაც მსმენელების ტევა არ იყო, სამარისებური სიჩუმე იდგა, ისმოდა მხოლოდ ბატონი გივის ხმა. არ გვახსოვდა, სად ვიყავით, რა დრო იყო, არც ზარის ხმა გვესმოდა, რომელიც ამასობაში ოთხჯერ მაინც დაირეკა. ეს იყო უნივერსიტეტში მიღებული ერთ-ერთი ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება: გაოცება, აღტაცება, გულისტკივილი, სიამაყე და სურვილი – რაც შეიძლება ბევრს გაეგო ის, რაც ჩვენ გვიამბეს. შემდეგ ბატონმა გივიმ წიგნიც გამოსცა ასეთივე სახელწოდებით - ,,დაბრუნებული საუნჯე“, თუმცა, სამწუხაროდ, მასში ლექციებზე მოტანილი მასალის დიდი ნაწილი ვერ მოხვდა“. ბატონი

გივის ამ წიგნის საფუძველზე დაიწერა სცენარი რეზო თაბუკაშვილის ღირსშესანიშნავი დოკუმენტური ფილმისათვის - „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“.

ბატონმა გივიმ ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი სახელოვანი პაპის ხსოვნის წინაშეც და მაღალმეცნიერულ დონეზე გამოსცა (შ. ხანთაძესთან ერთად) თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ III ტომი. მას ერთვის სათანადო კომენტარები და 5 ფორმის მოცულობის გამოკვლევაც, რომელიც 1967 წელს გამოიცა, რითაც ბატონმა გივიმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ წყაროთმცოდნეობაში.

ყურადღების გარეშე ბატონ გივის არც თანამედროვეობის უაღრესად საჭირბოროტო და საკამათო პრობლემები გამორჩენია. მას დიდი ხანია აწუხებდა კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ არის წიწამურის ტრაგედიის სულისჩამდგმელი – ილია ჭავჭავაძის ნამდვილი მკვლელი. ამ საკითხზე იგი დიდხანს მუშაობდა, წიგნი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

გივი ჟორდანია დიდ რედაქტორულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი რედაქტორობით გამოცემულია ათეულობით მონოგრაფია, სახელმძღვანელო, ქრესტომათია და კრებული ქართულ და რუსულ ენებზე.

ბატონ გივის ხშირად იწვევდნენ ოპონენტად და გამოსაცემი ნაშრომების რეცენზენტად. იცოდნენ, რომ იგი დაუზარელი იყო, იშვიათად ამბობდა უარს. ამასთან, საოცრად ობიექტურიც იყო. ნაშრომის დადებითი მხარეების წარმოჩენასთან ერთად ბევრ სასარგებლო რჩევას იძლეოდა. თუ როგორ ეკიდებოდა ბატონი გივი დისერტანტებსა და მათ ნაშრომებს, კარგად ჩანს ყოფილი დისერტანტის – რუსუდან დაუშვილის მოგონებიდან. აი, რას წერს იგი: „საკანდიდატო დისერტაციისათვის ოპონენტად საბჭოს წევრებიდან ბატონი გივის კანდიდატურა გადაწყდა, თუ, რა თქმა უნდა, იგი თანხმობას განაცხადებდა, რადგან მისი მეუღლე უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მართალი გითხრათ, ფეხები უკან მრჩებოდა, როცა ამ თხოვნით მივადექი. უბრალოდ სხვა გამოსავალი არ მქონდა. საბჭო რეფორმასთან დაკავშირებით იხურებოდა და ჩემი დაცვა ბოლო სხდომაზე უნდა მომხდარიყო. მას უარი არ უთქვამს. უმძიმეს ყოფასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, ლამპის შუქზე, მან არა მარტო ყურადღებით წაიკითხა დისერტაცია და ავტორეფერატი და საქმიანი შენიშვნები მომცა, არამედ კომპიუტერის მიერ დაშვებული შეცდომები და კორექტურაც კი გაასწორა. მისმა გამოსვლამ დაცვაზე დღესასწაულის იერი შესძინა სამეცნიერო ხსდომას.. ეს იყო არა მარტო პროფესიონალიზმისა და საქმისადმი მისი დამოკიდებულების, არამედ ადამიანობის შესანიშნავი გაკვეთილი“.

ბატონი გივი სწორუპოვარი ლექტორიც იყო. ამ ფართო დიაპაზონის ისტორიკოსს, რომელიც ამავე დროს, შესანიშნავად იცნობდა მხ-

ატვრულ ლიტერატურას, თეატრს, მუსიკას, გულში ჩამწვდომი ლექციები და გამოსვლები ჰქონდა. თხრობის სადა და აკადემიური მანერა, თბილი იუმორი და, რაც მთავარია, ეროვნული სულის თრთოლვა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო ბატონი გივისათვის, მსმენელების აღტაცებას იწვევდა. მისთვის უცხო იყო ყალბი პათოსი და თეატრალურობა; იგი აუდიტორიასთან კონტაქტს ადვილად ამყარებდა. არათუ ლექცია, ამ დიდი გამოცდილების მქონე ადამიანის უბრალო საუბრის მოსმენაც კი, აგრეთვე მისი მონაწილეობა სამეცნიერო წრეებსა და კონფერენციებში, მისი შეკითხვები, შენიშვნები, რჩევები, შეფასება – მთელი სკოლა იყო სტუდენტებისათვის; ისინი იმასაც იგებდნენ, რომ კამათში არა გაცხარებას, არამედ ზომიერებას უფრო სასურველი შედეგი მოაქვს.

ბატონი გივი შესანიშნავი აღმზრდელი – პედაგოგი იყო, საოცარ გულისხმიერებას იჩენდა იმ სტუდენტების მიმართ, ვინც მეცნიერებისადმი მიდრეკილებას გამოავლენდა, ყოველმხრივ ცდილობდა, წამოეწია ისინი, შეურჩევდა თემას, ჩააწერინებდა ყველა ხელმისაწვდომ ლიტერატურას, ეხმარებოდა მათ მოძებნაში, ეხმარებოდა კვლევის უნარის დახვეწა-გამოვლინებაში. ამიტომაც იყო, რომ ბატონ გივის სტუდენტები ყოველთვის გარს ეხვია, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ მას.

ბატონ გივის კარგად ესმოდა, რომ სტუდენტების აღზრდის პროცესი მარტო უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა, მის გარეთაც გრძელდებოდა. სტუდენტები მასთან ერთად დადიოდნენ თეატრებსა და მუსიკალურ საღამოებზე, ნახულობდნენ კონოსურათებს, ერთობლივად არჩევდნენ სპექტაკლებსა და კონოს, აწყობდნენ გასვლას ვაკის პარკში, სადაც ისმენდნენ ბატონი გივის უაღრესად საინტერესო საუბრებსა და მოგონებებს. აქ ისინი იგებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეალურ ისტორიას, ეცნობოდნენ მისი მოღვაწეების – გენერალ კვინიტაძის, რევაზ გაბაშვილის, სპირიდონ კედიას, ვიქტორ ნოზაძისა და სხვათა სახელებს, რომლებიც, კომუნისტური თვალთახედვით, მოღალატეები იყვნენ. ამგვარ შეხვედრებს, ანუ ,,ვაკის პარკის საღამოებს'' ლექციებზე ნაკლები როლი არ შეუსრულებია სტუდენტების საუნივერსიტეტო განათლებაში.

ასევე საინტერესო საუბრები ახლდა სტუდენტთა ექსკურსიებს ძველი თბილისის ქუჩებსა თუ ქალაქის შემოგარენში. მათ შემოუვლიათ ბოტანიკური ბაღი, ოქროყანა, მთაწმინდა, ნარიყალა, კუს ტბა, სწვევიან მთაწმინდაზე – მამა დავითის ეკლესიას, პანთეონს, მაგრამ ამ ადგილებში არასოდეს არ უსარგებლიათ ტრანსპორტით, ხშირად 20 კმ-იც უვლიათ ფეხით. სტუდენტები დაღლილან, მაგრამ ბატონი გივის დაღლა არავის შეუმჩნევია. საკმაოდ დიდი მანძილის მიუხედავად იგი ფეხით დაბრძანდებოდა უნივერსიტეტში და ასევე ბრუნდებოდა შინ.

ბატონი გივი უფრო შორეულ ექსკურსიებში მონაწილეობაზეც უარს არ ამბობდა. სტუდენტებს იგი ახლდა მცხეთაში, ჯვარში, წიწამურში, რაჭაში, ვარძიაში და სხვაგან და ყველგან ამ ადგილების შესახებ საოცარ ცოდნას ავლენდა. ვარძიაო, ვახსენე და არ შემიძლია არ მოვიგონო უსიამოვნო წუთები, რომელიც აქ გამოვცადეთ. ამ ძეგლის დათვალიერების შემდეგ, ქვემოთ რომ ვეშვებოდით, იქვე იყვნენ ბატონი გივი და ჩვენი გერმანელი მეგობარი ჰაინცი, თავის სტუდენტებთან ერთად რომ გვახლდა, დაშვების დროს ერთ სტუდენტ გოგონას – ნანას კიბეზე ფეხი დაუცურდა და საკმაოდ მაღალი ადგილიდან გადმოეშვა. საბედნიეროდ, ამ მომენტისათვის ქვემოთ ჩასულმა მიტო ლეთოდიანმა საოცარი რეაქცია გამოავლინა – ნანა რაღაც წამებში მის მკლავებში აღმოჩნდა, – დაიჭირა, გადაარჩინა. ამის შემყურე მეგობრები, განსაკუთრებით გოგონები, იქვე გაფითრებულები იდგნენ და ხმას ვერ იღებდნენ. მხოლოდ ბატონი გივის დროულმა იუმორმა გამოგვაფხიზლა, გვაცინა: გოგონებო, გენაცვალეთ, ასეთ ჩამოვარდნას ყველა თქვენთაგანს ვუსურვებდი, – თქვა მან. მას გულმა უგრძნო, ასე დაწყებულ საქმეს ბედნიერი დასასრული ექნებოდა. იუმორს მოკლებული არც ჰაინცის სიტყვები იყო: ბატონო გივი, ეს რა ზუსტი გასროლა იყო, ჩვენი მიტო მაგარი მონადირე ყოფილა! – მოსალოდნელი ბედნიერება არც ჰაინცის მახვილ მზერას გამოეპარა. გოგო, რომელსაც ეს ამბავი შეემთხვა, დღეს ქალბატონია, – ჩვენი მიტოს მეუღლე და სამი შვილის დედა.

ბატონ გივის, ამ უკიდეგანო განათლებისა და ერუდიციის, ბრწყინვალე მეხსიერებისა და რამდენიმე ევროპული ენის მცოდნე ადამიანს (70 წლის ასაკში იტალიური ენა შეისწავლა, დაეუფლა გენეტიკის ზოგიერთ საკითხს, რაც მას სჭირდებოდა ისტორიის ზოგიერთ პრობლემათა ექსტრაპოლირებისათვის) არასოდეს არ უცდია წარმოეჩინა თავისი ღვაწლი და ღირსება, რადგან, იცოდა, ღვაწლი და საქმე თავად წარმოაჩენს პიროვნებას. ეს თავმდაბლობა მხოლოდ და მხოლოდ მის ზნეობრივ სიმაღლეზე მეტყველებს. ამას ადასტურებს პროფესორ ია ხუბაშვილის მოგონებაც: „ერთხელ, – წერს ია, – ბატონ გივის გულდაწყვეტით ვუთხარი: - რა სამწუხაროა, თქვენ აკადემიკოსი რომ არა ხართ-მეთქი. ბატონმა გივიმ მისთვის დამახასიათებელი მშვიდი ღიმილით მიპასუხა: - რა საჭიროა, გენაცვალე: სტუდენტებისათვის მე პროფესორი გივი ჟორდანია ვარ, საზოგადოებისათვის კი, უბრალოდ, გივი ჟორდანია და ესეც საკმარისია“.

ასეთი თავმდაბლობის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ ბატონ გივის არ აწუხებდა სხვათა და სხვათა გულქვაობა და თავხედობა. იგი ვერ იტანდა მედროვე ადამიანებს, ან კიდევ სავლეებს, პავლეებად რომ წარმოაჩენდნენ თავს. ეს ის ადამიანებია, რომლებიც ფეხქვეშ გათელავენ თანამოძმეებისა და ქვეყნის ინტერესებს, ოღონდაც ამოიყორონ მუცელი, - იტყოდა ხოლმე.

ამ საოცრად ნათელი, ამაღლებული და ჰარმონიული პიროვნების საზრუნავი სულიერება უფრო იყო, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა, ცხოვრობდა უბრალოდ და მოკრძალებულად, თუმცა მისი ბინის კარი ყოველთვის ღია იყო მათთვის, ვისაც მისი დახმარება ან კონსულტაცია სჭირდებოდა.

დიდია გ. ჟორდანიას ღვაწლი ეროვნული განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ამიტომაც სარგებლობდა საზოგადოების სიყვარულით და პატივისცემით; ამიტომაც მოიპოვა მისმა მრავალმხრივმა საქმიანობამ აღიარება: 1979 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედლით, ღირსების ორდენით; არჩეული იყო (1999 წ.) აშშ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ნიშანდობლივია, რომ ბატონი გივი სანიმუშო მეუღლე, მამა და ბაბუა იყო. ჯერ კიდევ მეოთხე კურსზე სწავლობდა, როცა დაუკავშირდა თავისი ცხოვრების მეგობარს – ქალბატონ ვარვარა გლადკოვას, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატსა და საინტერესო ლექსების ავტორს. ეს იყო სპეტაკი სულის ადამიანი, ღვთისმოსავი და მზრუნველი ოჯახისათვის, რომელიც იავნანას ქართულად უმღეროდა შვილებს, მისთვის მთელი საქართველო ძვირფასი იყო, ამას ლექსებითაც გამოთქვამდა.

ქალბატონმა ვარვარამ ჩინებული მასპინძლობა იცოდა, მეუღლის მეგობრებს, კოლეგებსა და სტუდენტებს იგი ყოველთვის ხელგაშლილი ხვდებოდა.

მან სამი შვილი აჩუქა მეუღლეს და ღირსეულადაც აღზარდა ისინი: უფროსი ვაჟი – რევაზ ჟორდანია იყო ცნობილი ბიოლოგი, პროფესორი, 20-ზე მეტი წიგნის ავტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბრიტანეთის ორნითოლოგიური საზოგადოებისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. სამწუხაროდ, იგი ამ ცოტა ხნის წინ აღესრულა; შუათანა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსი ჟორდანია ბრწყინვალე არაბისტი და ენათმეცნიერია; უმცროსი კი – ვახტანგ ჟორდანია იყო გამოჩენილი დირიჟორი და ფონ კარაიანის სახელობის პრემიის ლაურეატი, სან-ფრანცისკოს მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს წავიდა საზღვარგარეთ და აშშ-ში განაგრძობდა მოღვაწეობას. სამწუხაროდ, ამ ქვეყნიდან უდროოდ წავიდა ბატონი ვახტანგიც.

ასევე ცნობილი არიან გივი ჟორდანიას შვილიშვილები და შვილთაშვილები: ლევანი ბიოლოგი და ცნობილი ნადირობისმცოდნეა, გიორგი ჟორდანია, მამის კვალზე რომ წავიდა, სახელოვანი დირიჟორია, ხოლო დიდი ვახტანგის სეხნია და ძმისშვილი – ვახტანგ ჟორდანია უკვე ცნობილი პიანისტი და რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი

გახლავთ. ასევე რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია 15 წლის პიანისტი სალომე ჟორდანია.

დარწმუნებული ვარ, გენები იმძლავრებს და ბატონი გივისა და ქალბატონი ვარვარას შთამომავლებიდან კიდევ ბევრი გამოიჩენს თავს.

დასასრულ, იმასაც დავძენთ, რომ ბატონი გივი ქართული სულიერი კულტურის მშვენება და სიამაყე იყო. ჭეშმარიტი ინტელიგენტი ერთგულად აგრძელებდა იმ ქართველ მეცნიერთა ტრადიციებს, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმთავითვე დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს ისტორიის მეცნიერებას. ცნობილი რუსი ისტორიკოსი, პროფესორი ი. გალკინი, ამ ოცდაათიოდე წლის წინ, სავსებით სამართლიანად წერდა, რომ გ. ჟორდანიას სახით ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელიც თავისი მოღვაწეობით გვიჩვენებს მაგალითს დიდი პასუხისმგებლობისა ხალხის, სახელმწიფოს და მეცნიერების წინაშე.

ბატონი გივი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა 2001 წელს, უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით, მისი დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომისია, მას უნდა მოემზადებინა სესია და გამოეცა საიუბილეო კრებულიც. ყველაფერი ეს გაკეთდა, მაგრამ იუბილარი ვერ დაესწრო მისი ღვაწლის დაფასებასა და ფართოდ აღნიშვნას.

იგი ზღვაზე შეყვარებული კაცი იყო, უყვარდა ცურვა და, როგორც ყოველთვის, ქობულეთში ჩასულმა ბატონმა გივიმ, 2001 წლის 3 აგვისტოს, ზღვაში ღრმად შეცურა და გაუჩერდა გული.

ბატონი გივი დასაფლავებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, სახელოვანი წინაპრების – თედო და იოსებ ჟორდანიების გვერდით. იქვე განისვენებენ მისი საყვარელი ადამიანები – ქალბატონი ვარვარა, მეუღლე მისი და უდროოდ გარდაცვლილი შვილი – ვახტანგ ჟორდანია.

Guram Kutalia

GIVI ZHORDANIA – RECOGNIZED MEDIEVIST AND THE TRUE SON OF HOMELAND
(Dedicated to the 100 Anniversary of Birth)

Presented by D. Gulia Institute Institute of History, Language and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

One hundred anniversary from birth of the outstanding Georgian scientist and public figure, Professor Givi Zhordania was celebrated on the 29th of December, 2011. By his hard work he played a significant role in publishing the key issues of medieval Georgia and in the nearest past of Georgia as well. He devoted 180 scientific articles and books to the materials depicting diplomatic relations of the West European countries to Georgia in the middle centuries, to the relations between France and Russia at the end of the XVI century and the first half of the XVII century; he published the information given by foreign travelers about Georgia in XVII century, Roman-Catholic Mission in Georgia. He also told the 24 years history (from 1921-1945), about the history full of adventures „Odysseus", about Georgian treasury hiding abroad, about identification of Ilia Chavchavadze's real killer and a lot of other problems of history.

G. Zhordania created these studies not as an usual expert of the history of some country, but as a great specialist of World history, who equally mastered the achievements of both – domestic and foreign science.

Givi Zhordania was a devoted lecturer and a prominent teacher, his lectures and speech deeply touched one's heart and mainly, he was characterized by fluttering of national spirits. During many years he lead the History Department of New and Middle Centuries at Tbilisi State University. He used his great work and energy to upbringing of National staff and to the job of publishing Georgian Encyclopedia and all these comprehensive works brought recognition to him: in 1979 he was awarded the title of honored worker. He was awarded by the honorable medal, awards of honor, he also was elected (in 1999) as a real member of the New-York Academy of Science of the United States of America. He honestly served his country and left it with no debt. He was in love with the sea and on the 3rd of August, 2001 his heart stopped, when he was swimming in the sea. His name will always stay vivid in the History of Georgian Science.

პოლიტიკის მეცნიერებანი
POLITICAL SCIENCES

მერი გაბედავა

აფხაზები ნაციონალური იდენტობის ძიებაში

ნაციონალური და ეთნიკური იდენტობა წარმოადგენს ადამიანთა თვითიდენტიფიკაციის პროცესის ნაწილს. სოციოკულტურული თვალსაზრისით,იდენტობა არის მყარი მახასიათებლების ერთობა,რომელიც ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს საშუალებას აძლევს განასხვაოს საკუთარი თავი „სხვებისაგან“. ნაციონალური იდენტობა უმეტესად ნაციონალური სახელმწიფოს არსებობასთანაა დაკავშირებული. ყველა ხალხი, ვისაც აქვს საკუთარი ნაციონალური სახელმწიფო, აყალიბებს ნაციონალურ იდეას, რომლის უმთავრესი ამოცანა ნაციონალ-სახელმწიფოებრივი იდენტობის განსაზღვრაა. ნაციონალური იდენტობა მოიცავს მრავალ კომპონენტს: ნაციონალურ თვითშეგნებას და მენტალიტეტს, ნაციონალურ ხასიათს, ისტორიულ მეხსიერებას, ეთნონაციონალურ წარმოდგენებს, ნაციონალურ ტრადიციებს, მითებს, სიმბოლოებს. იდენტობის ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციის კულტურულ-ცივილიზაციურ კუთვნილებას. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ცივილიზაცია წარმოადგენდა იდენტიფიკაციის ყველაზე მაღალ დონეს. ცივილიზაცია განისაზღვრება ისეთი საერთო ობიექტური ელემენტებით, როგორებიცაა: ენა, ისტორია, რელიგია, ადათ-წესები და ინსტიტუტები. კულტურულ-რელიგიური იდენტობა ფორმირდება ხალხის წარსულის, ენისა და რწმენების საფუძველზე, ნაციონალ-კულტურული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული, პოლიტიკურ-კულტურული და სხვ. სფეროთა გადაკვეთის შედეგად.

აფხაზური საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იქცა აფხაზი ხალხის ნაციონალური იდეის ფორმირება და მისი ნაციონალური იდენტობის განსაზღვრა. ნაციონალური იდეა მოიცავს ფუძემდებლური ეთიკური (ზნეობრივი) იდეების კომპლექსს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე გაბატონებულია განსაზღვრული ნაციის იდეოლოგიაში და ემსახურება ხალხის ფიზიკურ-იდეოლოგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას. „ნაციონალური იდეა არის ის, რაც ჩვენ ასე მძაფრად გვჭირდება დღეს. მის გარეშე, სამწუხაროდ, უსახურ ხალხად ყოფნა გვემუქრება“, - აცხადებს აფხაზი იერობერი დოროთე (დბარი) (Dbar, 2011). აფხაზები თავიანთი ნაციონალური მენტალობის საფუძველს აფსუარას უწოდებენ. შ. ინალ-იფას განმარტებით, აფსუარა

(სიტყვა-სიტყვით – აფხაზობა) წარმოადგენს აფხაზთა ნაციონალური თვითშეგნებისა და თვითდამკვიდრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმას, ჰუმანიზმსა და დემოკრატიულ საწყისებზე დაფუძნებული სახალხო ცოდნისა და ფასეულობების დაუწერელ კოდექსს, რომელიც თავის თავში მოიცავს ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ყოფის წესებისა და წარმოდგენების სისტემას (Kuprava, 2000).

აფხაზთა წარმოდგენით, აფსუარა განიცდის მუდმივ ევოლუციას, ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც აქვს სული და სხეული. აფსუარას სულს უწოდებენ ალამისს. ალამისი წარმოადგენს ადამიანის მაღალი ზნეობრივი თვისებების – პატივის, ღირსების, სიკეთის, თავისუფლებისმოყვარეობის, სინდისის, მოვალეობის განცდის, ერთგულებისა და სიბრძნის – ერთობას. აფსუარას სხეულია აცას – ტრადიციები, რომლებიც განსაზღვრავს აფხაზი ხალხის ყოფითი ცხოვრების ყველა მხარეს, მისი ყოველდღიური და სადღესასწაულო ცხოვრების წესს. დროთა მანძილზე იცვლებოდა აცას სახე: ქრებოდა მოძველებული ადათ-წესები, მაგრამ იქმნებოდა ახალი, რომლებიც ასახავდა ალამისის მარადიულ ღირებულებებს. აფსუარას აქვს ინცას ცნება – აკრძალვათა სისტემა ადამიანის ყოფით ცხოვრებაში, რომელიც აიძულებს მას უარი თქვას ბევრ რამეზე, რაც მის ზნეობრივ-მორალურ სახეს ზიანს მიაყენებს (Dbar, 2011).

თანამედროვე აფხაზურ საზოგადოებაში დაიწყო აფსუარას იდეის აღორძინება, დღის წესრიგში დადგა აფსუარას კანონთა კრებულის, როგორც აფხაზთა პირველი ორიგინალური კოდექსის, შექმნის, სკოლის პროგრამებში აფსუარას საფუძვლების სწავლების საკითხი. ამრიგად, აფხაზი ხალხის თვითმყოფადი ნაციონალური იდეის საფუძველს აფსუარა წარმოადგენს, რომელიც აფხაზს აყალიბებს აფხაზად და მაღალი ზნეობის ადამიანად.

ნაციონალური იდეა აუცილებლად მოიაზრებს რელიგიურ ასპექტებს, რამდენადაც აღმსარებლობა წარმოადგენს ნაციის სულიერი შეკავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. რელიგია მთლიანად მოიცავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, განსაზღვრავს ადამიანის როლს სოციუმში, მისი ცხოვრების აზრსა და მიზანს. ამასთან, რელიგიური წარმოდგენები სხვადასხვა ისტორიული განვითარების მანძილზე აყალიბებს ადამიანის ზნეობასა და სულიერებას. შესაბამისად, ნაციონალური იდენტობის გააზრება ხდება ისტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციების, მითებისა და ა.შ. მეშვეობით და ეფუძნება ხალხის სულიერ და კულტურულ საწყისებს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა – აფხაზი ხალხის ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში როგორ ვლინდება ნაციონალური კულტურული მემკვიდრეობა – ნაციონალური ფასეულობები, სიმბოლოები, ტრადიციები?

აფხაზთა რელიგიისა და ტრადიციების ერთ-ერთი მკვლევარი ა. კრილოვი ამტკიცებს, რომ აფხაზთა ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები და რელიგია განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენს და თავის თავში მოიცავეს აფხაზთა ნაციონალური იდენტობის შინაარსს. თანამედროვე აფხაზებში შეიმჩნევა წარმართული რელიგიური კულტების ავტორიტეტის გაზრდა. ესენია: ანცვა – უზენაესი ღმერთი, შემოქმედი; თაფლისა და მეფუტკრეობის კულტი ანან/ანან გუნდა, შასშუ – მჭედელთა ღმერთი და მბრძანებელი, აფი – ჭექა-ქუხილისა და ელვის მბრძანებელი, ძიძლან – წყლის მბრძანებელი, წმინდა ძალა ანიხა და ა.შ. აფხაზთა წარმოდგენით, უზენაეს ღმერთს ანცვას ჰყავს აპაიმბარები – უმაღლესი მსახურები, რომლებიც ანცვასთან შეთანხმებით აწესრიგებენ ამქვეყნიურ პრობლემებს (Kulova).

აფხაზეთს იცავს შვიდი წმინდა სალოცავი-ანიხა, რომელთა ერთობლიობას ეწოდება ბიჟნიხა (შვიდი სალოცავი). ესენია: დიდრიპშნიხა, ლაშკენდარი, ლდზაა-ნიხა, ლიხ-ნიხა, ილირ-ნიხა, ალერგ-ლაპირ-ნიხა, ინალ-კუბა. დიდრიპშის სალოცავი ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობს აფხაზ მოსახლეობაში, ამიტომ ის განიხილება როგორც მთავარი სამლოცველო, ხოლო დიდრიპშის ქურუმი, როგორც აფხაზთა უზენაესი ქურუმი (Krilov, 2001).

მთავარი წმინდა სამლოცველო-ანიხები იცავენ უფრო პატარებს – ანიხირტას. ანიხირტა არ არის სამლოცველო, ის, უბრალოდ, წმინდა ადგილია ლოცვისათვის. ასეთი ანიხირტები გამოიყენება სოფლის მოსახლეობის მიერ წვიმის ან მოსავლის თხოვნის რიტუალისათვის, რომელსაც ასრულებენ არა ქურუმები, არამედ სოფლის რიგითი ადამიანები.

აფხაზთა „ტრადიციულ რელიგიაში“ მოიაზრება წარმართული რელიგია. ა. კრილოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელ აფხაზურ საზოგადოებას ცხადად აქვს გააზრებული ნეგატიური და ადამიანის ღირსების დამამცრობელი ხასიათი ამ ტერმინისა: აფხაზთა უდიდესი ნაწილი თვლის, რომ „აფხაზური სარწუნოების“ მიმდევარია, რომელშიც წინაპართა ტრადიციულ რელიგიას მოიაზრებს“ (Krilovi, 2001). „აფხაზთა რელიგიის“ წარმართულად გამოცხადების უსაფუძვლობის საკითხი პირველად სიმონ ბასარიამ დააყენა, რომელმაც აფხაზთა წარმართულ რელიგიას „სწორი რწმენა“ უწოდა (Basaria, 1923: 57). აფხაზი ეთნოლოგის შ. ინალ-იფას მოსაზრებით, აფხაზთა რელიგია უნდა განეხილათ როგორც „ნაციონალური“ აფხაზური მონოთეიზმი, რომელსაც არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირები პანთეიზმთან (Inal-ipa, 1974: 169). ამ მოსაზრებას არ იზიარებს მკვლევართა ნაწილი. მაგალითად, აფხაზთა ტრადიციული რელიგიის პოლითეისტურობას ადასტურებენ ლ. რეგელსონი და ი. ხვარცკია, რომელთა მტკიცებით, „აფხაზთა სახალხო რელიგია წარმოადგენს ბიბლიამდელი მონოთეიზმის კარგად შენარჩუნებულ რელიქტს“ (Regilson, Khvartskia, 4).

რეგელსონ-ხვარცკიას მოსაზრებით, მრავალი ანიხას არსებობის მიუხედავად, აფხაზეთში არ არის მრავალღმერთიანობა: აფხაზები ანიხებს განიხილავენ როგორც ერთიანი ღმერთისაგან მომდინარე ძალას. ავტორთა მტკიცებით, უზენაესი ღმერთი ანიხების დახმარებით მართავს ქვეყნიერებას და უზრუნველყოფს ზნეობრივ წესრიგს აფხაზურ საზოგადოებაში: აფხაზები ანიხის წინაშე ინანიებენ ცოდვებს, დებენ და თავისუფლდებიან პირობის, ფიცისა და აღთქმისაგან; მას მიმართავენ სასჯელის გამოსატანად მძიმე დანაშაულის, ეთიკური კანონების ან აფსუარასა და ალამის კანონებისა და ტრადიციების დარღვევისას; ამასთან, ანიხა სჯის მას, ვინც უარს ამბობს მიუტევოს გულწრფელად მონანიეს (Regilson, Khvartskia).

წარმართობა, როგორც კულტურული მოვლენა, ძალიან მრავალფეროვანია და საკუთარ თავში მოიცავს გარკვეულ სულიერ პრაქტიკას, ყოფითი ცხოვრების კულტურას, განსაზღვრულ ლიტერატურულ ტრადიციებსა და სამყაროზე არსებულ წარმოდგენებს. ერთი სიტყვით, წარმართობას აქვს თავისი სასულიერო დოგმატიკა. მისი პრინციპული ნიშნებია: პოლითეიზმი, ანთროპოცენტრიზმი, ბოროტი და კეთილი საწყისი, მაგია, სისხლიანი მსხერპლთშეწირვები და კერპთაყვანისმცემლობა.

წარმართობა წარმოადგენდა გლობალურ მოვლენას, რომელიც, ასევე გლობალური მასშტაბით, მონოთეისტურმა რელიგიებმა ჩაანაცვლა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელება. ქრისტიანობა და წარმართობა ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებლებია. ისინი წარმოადგენენ საზოგადოების სულიერი განვითარების სხვადასხვა ფაზას. ქრისტიანისათვის ყველაზე მაღალი ადამიანური ფასეულობა სული და მისი ხსნაა, ხოლო წარმართისათვის – ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ძალა, რომელსაც მაგიური ქმედებებითა და თვითნებობით ამკვიდრებს. ამდენად, ქრისტიანობა უარყოფს წარმართობის დოგმატიკას, ისევე როგორც, პირიქით. კანონიკური ქრისტიანობა – ეს არის ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვა სიყვარულის სახელით, ხოლო კანონიკური წარმართობა – ეს არის იძულებითი მსხვერპლშეწირვა ძალაუფლების, პატივმოყვარეობის და მედიდურობისათვის (Koldasov).

თანამედროვე აფხაზურ საზოგადოებაში წარმართული კულტების გაძლიერება მასში ქრისტიანული ცივილიზაციის გავლენის შესუსტებაზე მიუთითებს. აფხაზურ საზოგადოებაში ქრისტიანობის ნომინალურ როლს ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი ა. კრილოვი. მისი აზრით, სხვა ნაციონალური ერთობებისაგან განსხვავებით, უმეტეს წილად, თვით მონათლული აფხაზებიც კი ურწმუნოებად რჩებიან. მათ გულწრფელად სწამთ ერთიანი ღმერთის - ანცვას - არსებობა, ამავდროულად, არ იზიარებენ მოძღვრებას წმინდა სამების შესახებ: არ სცემენ თაყვანს წმინდა სულს,

ქრისტეს, როგორც ძეს ღვთისა, არ დადიან ეკლესიებში, არ ეზიარებიან, არ კითხულობენ ბიბლიას. ამრიგად, აფხაზები, რომლებიც საკუთარ თავს ქრისტიანულ სარწუნოებას მიაკუთვნებენ, სინამდვილეში არ იზიარებენ მის ფუძემდებლურ დოგმატებს და ქრისტიანებად სრულიად ნომინალურად ითვლებიან, - ასკვნის მკვლევარი. ა. კრილოვის აზრით, საუკუნეების მანძილზე აფხაზთა ტრადიციული რელიგია და მართლმადიდებლობა მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ამ უნიკალურ შემთხვევას მკვლევარი იმით ხსნის, რომ „ფაქტობრივად, სასულიერო წოდებამ უარი თქვა რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომელიც ყველა საეკლესიო კანონიკით უნდა ჩაითვალოს წარმართულად. აფხაზების ცხოვრებიდან ტრადიციული რელიგიის განდევნის უიმედობის გაცნობიერების შედეგად, საეკლესიო იერარქები აფხაზების მიერ ქრისტიანობის ფორმალური აღიარებით კმაყოფილდებოდნენ“ (Krilov, 2001). აფხაზებში ქრისტიანობის სუსტ გავლენას ადასტურებს აფხაზი მკვლევარი ა. ტატირბა, რომელიც ამტკიცებს, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას აფხაზი ხალხის ცნობიერებასა და ყოფაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია და თურქოსმალოთა გამოჩენამდე (ე. ი. XV ს.) ისინი, უბიხური და ადიღური ტომების მსგავსად, ტრადიციულ რელიგიას მისდევდნენ (Tatirba, 2008).

აფხაზების ტრადიციული რელიგია დე-ფაქტო რესპუბლიკის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად მოიაზრება. ა. კრილოვის განმარტებით, 1992-1993 წწ. კონფლიქტის დროს ტრადიციულმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ეთნიკური ერთობა, ისინი ხელს უწყობდნენ აფხაზთა ადამიანური პოტენციალის მობილიზაციას, ომის შემდგომ პერიოდში კი – აფხაზთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური დაცვის ინსტრუმენტებად იქცნენ და დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივ სტაბილიზაციაში. მკვლევრის მტკიცებით, აფხაზეთის სოფლებში ტრადიციული ინსტიტუტები გარდაიქმნა თვითმმართველობის მოქმედ მექანიზმებად, ხოლო ადგილობრივი სამართალწარმოების ერთი ნაწილი, ფაქტობრივად, ტრადიციულ სამართალზე დაფუძნებულ უხუცესთა სასამართლოს ხელშია გადასული. 1998 წელს აფხაზეთში ილირ-ნიხას სამლოცველო გახსნილა, ხოლო ხელისუფლების ინიციატივით დაწყებულა აფხაზეთის უზენაესი ქურუმისათვის სათანადო შესამოსელის შექმნაზე ზრუნვა. ამ დროისათვის აფხაზეთში აღდგენილია და მოქმედებს დიდრიპშ-ნიხას, ლაშკენდარის, ლდზაა-ნიხას, ლიხ-ნიხას და ილირ-ნიხას სამლოცველოები.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესი – სახელმწიფო და ოფიციალურად გამოცხადებულ აფხაზეთის პირველ რელიგიად სახალხო რელიგიის გარდაქმნა, – ა. კრილოვის აზრით, – მოასწავებს მისი განვითარების ახალ ეტაპს, რომელიც გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს რელიგიური წარმოდგენებისა და წესების სფეროში.

ცნობილია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე მოქმედებდნენ ქრისტიანული კულტურის ცენტრები. ქრისტიანულ კულტურას, ბუნებრივია, ქრისტიანები ქმნიან ქრისტიანული ეკლესიისა და ქრისტიანული ხელისუფლების ხელშეწყობით. რწმენა მოიცავს ადამიანის სულს, ხოლო სული შემოქმედია კულტურისა. შუა საუკუნეების პერიოდის აფხაზეთის ხელოვნება, მეურნეობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება მართლმადიდებელი ქრისტიანობითაა გაჟღენთილი. აფხაზეთის ეკლესიებში იქმნებოდა ქრისტიანული სულიერი შემოქმედების საგანძურები, რომლებიც მრავლადაა ჩვენამდე მოღწეული მოქვის უნიკალური მინიატურებით მოხატული სახარების, ბედიის გულანის, ბიჭვინთის იადგარის, მოქვის ომოფორის, გიორგი მთაწმინდლისეული სახარების თარგმანის სახით და ა. შ.

ფორმალურ მიდგომაზე აგებული დებულებების შეფასებების ანალიზი ლოგიკურად ბადებს კითხვას – შეეძლო თუ არა წარმართ აფხაზ ხალხს ქრისტიანული კულტურის შექმნა, ან ათასწლეულების მანძილზე რატომ ვერ განიცადა აფხაზურმა საზოგადოებამ სოციოკულტურული ევოლუცია ქრისტიანობის მიმართულებით?!

როგორია მაჰმადიანური ცივილიზაციის გავლენა აფხაზურ საზოგადოებაზე? მკვლევარ ა. ტატირბას მტკიცებით, ოსმალეთის ხელისუფლება აფხაზეთში არ მიმართავდა ისლამის იძულებით გავრცელების მეთოდებს, თუმცა, ფართოდ იყო დანერგილი გამუსულმანებულთა საჩუქრებით წახალისების პრაქტიკა; თურქი მოლები აფხაზებს თავს არ ახვევდნენ მარხვის, ქორწინების წესებსა და სხვა კანონებს. მოპოვებული საველე ეთნოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე, მუსულმან აფხაზთა ყოფით ცხოვრებაში ისლამური დოგმების სრულ იგნორირებაზე მიუთითებს ა. კრილოვიც. მისი ინფორმაციით, მუსულმანი აფხაზები არ სცემენ თაყვანს მუჰამედს, არ აქვთ მცირეოდენი წარმოდგენა ყურანზე და არც რაიმე დაინტერესება მისი შესწავლის... არ აქვთ საკვებისა და დასალევის აკრძალვა: მიირთმევენ არაყსა და ღვინოს, ღორის ხორცს, ჭეშმარიტი მორწმუნე მუსულმანებისათვის აკრძალულ სხვა კერძებს. რაც შეეხება წინადაცვეთის რიტუალს, ის აფხაზი მუსულმანებისათვის არაბუნებრივი და სრულიად სამარცხვინოა (Krilov, 2001).

ოფიციალურად ქრისტიანობის ან ისლამის მიღება ნიშნავდა არა აფხაზების გადასვლას ახალ სარწმუნოებაზე, არამედ სამთავრო სახლის მიერ თავისი ვასალური დამოკიდებულების აღიარებას სხვა სახელმწიფოებთან (ბიზანტია, ოსმალეთის იმპერია, რუსეთი და ა. შ.) მიმართებაში და ადგილობრივი მოსახლეობის ლოიალურ დამოკიდებულებას ამ სახელმწიფოებისადმი, - ასკვნის ა. კრილოვი.

ცივილიზაცია და კულტურა წარმოადგეს ხალხთა ცხოვრების წესს, ცივილიზაცია კი - ღიად გამოხატულ კულტურას. ორივე ეს ცნება

საკუთარ თავში მოიცავს „ღირებულებებს, ნორმებს, მენტალიტეტსა და კანონებს, რომელთაც მრავალი თაობა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა“ (Huntington, 1993). მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი დიდი – მართლმადიდებლურ-ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციები კვეთდა ერთმანეთს, განხილული კონცეფციების თანახმად, აფხაზურ კულტურას არც ერთი მათგანის გავლენა არ განუცდია და პირველქმნილი სახე შეინარჩუნა. აფხაზ იდეოლოგთა ნაწილის მტკიცებით, აფხაზი ხალხის კულტურა ძველი ცივილიზაციის გადმონაშთია, პირველადი მონოთეიზმი წარმოადგენს კაცობრიობის უძველეს რელიგიას, რომელიც ჩამოყალიბდა ერთიან ცენტრში და მას თანამედროვე აფხაზების ტრადიციულ რელიგიასთან აიგივებენ (Regelson, Khvarckia). ასეთი დებულებებით აფხაზური ნაციონალიზმის იდეოლოგები, მათთვის გაუცნობიერებლად, ადასტურებენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული კულტურის შექმნაში აფხაზები არ და ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას თავიანთი წარმართული ცნობიერებით. გამომდინარე აქედან, სრულიად უსაფუძვლოა აფხაზთა პრეტენზიები აფხაზეთის ქრისტიანული კულტურის მემკვიდრეობაზე.

ამრიგად, აფხაზთა ნაციონალურ იდეას წარმოადგენს აფსუარა, ხოლო ნაციონალური იდენტობის საფუძველს – წარმართობა (აფხაზთა ტრადიციული რელიგია), რითაც აფხაზი იდეოლოგები ცდილობენ შექმნან ცივილიზაციური განვითარების აფხაზური ხაზი. ასეთი მიდგომით ისინი ადასტურებენ, რომ აფხაზი ხალხი არ მონაწილეობდა ათასწლეულების მანძილზე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში, კერძოდ, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე ცივილიზაციურ პროცესებში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული კულტურის შექმნაში.

ლიტერატურა:

1. Basaria, 1923 – Basaria Simon, Abkhazia v geograficheskom I etnograficheskom otnosheniyakh, Sukhum,1923.
2. Dbar, 1999 – Dbar Dimitriy (Ieromonakh Dorofey), Religioznie tendentsii v covremennoy Abkhazii I problem kulturologicheskogo naslediy „Apsuara“. Opublikovano v: Religioznie tendentsii v sovremennoy Abkhazii. Izdanie Pravoclavnogo bratstva cvyatogo apostola Simona Kananita. Moskva, 1999 (http://apsnyteka.narod2.ru/d/religioznie–tendentsii–v–sovremennoi–abhazii/index.html)
3. Dbar, 2011 – Dbar Dimitriy (Ieromonakh Dorofey), Apsuara – natsionalnaya ideya abkhazov, 2011, Iz stati „Nekotorye razmyshleniy o natsionalnoy idee abkhazov“ (http://www.facebook.com/notes/anyha/

апсуара-национальная-идея-абхазов/173335969413998)
4. Inal-ipa, 1974 – Inal-ipa Sh. D. O genezise obraza „Antsva“ – verkhovnogo Boga abkhazov, Sukhumi, 1974, T. III.
5. Krilov 2001 – Krilov Aleksandr, Religiya I traditsii abkhazov (po materialam poleviykh issledovaniy 1994-2000), Moskva, 2001 (http://apsnyteka.narod2.ru/k/religiya–i–traditsii–abhazov/index.html)
6. Koldasov - Koldasov Genadiy, Dukhovnye tsikli, (khristianstvo I yazichesto) (http://constitutions.ru/archives/7563)
7. Kulova – Kulova M. L. O traditsionnoy yazycheskoy religii abkhazov v sovremennoy Abkhazii. http://www.apsnyteka.org/k/k–voprosu–o–traditsionnoi–yazicheskoi–religii–abhazov–v–sovremennoi–abhazii/index.html
8. Kuprava, 2000 – Kuprava A. E. „Apsuara“. Sreda formirovaniya. Dukhovnye I nravstvennye osnovy, Sukhum, 2000, (http://www.apsny.ru/religion/religion.php?page=content/tradition/apsuara1.htm)
9. Regelson, Khvartskia, 2004 – Regelson Lev, Khvartskia Igor. Taynoe poslanie biblii. Rod Adama ili rasa Atlantov, Sukhum, 2004 http://apsnyteka.narod2.ru/r/tainoe–poslanie–biblii–rod–adama–ili–rasa–atlantov/index.html
10. Tatyrba, 2008 – Tatyrba Adam. Islam v Abkhazii (vzglyad skvoz istoriyu), 2008. http://apsnyteka.narod2.ru/t/islam–v–abhazii–vzglyad–skvoz–istoriyu/index.html
11. Huntington, 1993 – Samuel P. Huntington, 1993, The Clash of Civilizations? pp. 22-49 http://www2.kenyon.edu/Depts/Religion/Fac/Adler/Politics/Huntington-Clash.htm

Meri Gabedava

THE ABKHAZIANS IN SEARCHING OF NATIONAL IDENTITY

Summary

The formation of a national idea in the Abkhazian people and establishment of its national identity has become a significant issue for the Abkhaz society. The Abkhazians call the basis of their national mentality „Apsuara“. Apsuara (word by word means an Abkhazian) is the historically established form of Abkhazian's national self-consciousness and self-confirmation, the unwritten code of people's knowledge and values based on humanism and democratic basics, which in itself involves the

system of rules and notion of a person's spiritual and moral existence. The Abkhazians majority believes that they are followers of „the Abkhaz Belief", being the ancestors' of pagan religion.

The traditional religion of the Abkhazian's is the official state religion of the de - facto Republic. Researchers believe that the pagan religion supports the unity of ethnic Abkhazians, promotes mobilization of Abkhazians' human potential and plays a great role in the public stability.

Thus, the Abkhazian national idea is Apsuara and the basis of national identity - paganism (so called Abkhazian traditional religion), by which the Abkhaz ideologists try to create an Abkhazian line of civilization development. Such approach confirms that they were not involved in the millennia-long, historical and civilization development processes. In other words they did not dwell in the geographical area of the Black Sea East Coast.

სოციოლოგია
SOCIOLOGY

ხათუნა ამაღლობელი

კომუნიკაციის სახეები

თანამედროვე მსოფლიო აწყობილია ადამიანებს შორის მუდმივ კომუნიკაციასა და ადამიანურ ურთიერთდამოკიდებულებაზე, თუნდაც, მათ მილიონობით კილომეტრი აშორებდეთ ერთმანეთისგან. ცნობილია, რომ ტრადიციულად ადამიანთა შორის კომუნიკაცია მოიაზრება როგორც ინფორმაციის გაცვლა, ზოგადად სიმბოლოების, კონკრეტულად კი – ენობრივი ნიშნების ერთიანი სისტემის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, კომუნიკაციის მექანისტურ (ხაზობრივ) თუ არამექანისტურ (არახაზობრივ) მოდელთან გვაქვს საქმე, ფაქტია, რომ კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად მონაწილეობს ადრესანტი და ადრესატი, ანუ ის, ვინც აგზავნის შეტყობინებას და ის, ვინც იღებს ამ შეტყობინებას (Amaghlobeli, 2011). სანამ კონკრეტულად კომუნიკაციის სახეების განხილვაზე გადავიდოდეთ, ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. კერძოდ, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ კომუნიკაციური ქმედების პირველადი პროცესები (თავისი არსით კომუნიკაციური) მეორადი საშუალებებისაგან, რომლთა ძირითადი არსი კომუნიკაციური პროცესის გამარტივებაში მდგომარეობს. კომუნიკაციური ქმედების პირველადი საშუალებებია: ვერბალური (ენობრივი) და არავერბალური (ჟესტიკულაცია), საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებაში საჯარო ქცევის იმიტაციის ჩართვა და ,,სოციალური ქარაგმა'' (კომუნიკაციური ქცევის ახალი აქტების არაცხადი პროცესები). პირველადი კომუნიკაციური პროცესების გამარტივებისაკენ მიმართული მეორადი საშუალებებია: ენობრივი გარდაქმნები, სიმბოლიზმი და კომუნიკაციური აქტის განხორციელებისათვის ფიზიკური პირობების შექმნა. ენობრივი გარდაქმნები დაკავშირებულია კოდის შეცვლასთან, ე. წ. ,,ნიშნობრივ გარდაქმნასთან'' (მაგ., მორზეს ანბანი), რაც კომუნიკაციის შესაძლებლობას იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის რაიმე გარემოებითაა გართულებული (მაგ., დროითი და სივრცითი გარემოებები). სიმბოლური სისტემები (სასიგნალო დროშები ფლოტზე, სემაფორი, შუქნიშანი და ა.შ.) შესაძლო ვერბალურ შეტყობინებებს თარგმნის მთლიანობაში. თარგმანის საჭიროება განპირობებულია შეტყობინების აღქმის სისწრაფის და მასზე (ამ შეტყობინებაზე) რეაქციის სისწრაფის აუცილებლობით. რაც შეეხება ფიზიკურ პირობებს (საშუალებებს),

მისი მუდმივი განვითარება და სრულყოფა იძლევა კომუნიკაციის უფრო მაღალ დონეზე განხორციელების საშუალებას. მასში შედის რკინიგზის ხაზები, თვითმფრინავი, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ. (Sepir, 1993: 95-110). საშუალებების რაოდენობის ზრდა აფართოებს კომუნიკაციის სფეროს, მის საზღვრებს. თუმცა, გაფართოების შესახებ განსხვავებული ხედვა არსებობს. ზოგი ამაში ხედავს მხოლოდ პოზიტივს; ასე, მაგალითად, მარშალ მაკლუჰენი (რომლიც ვიზუალურ კომუნიკაციას ანიჭებდა უპირატესობას და რომლისთვისაც ,,საშუალება არის შეტყობინება'') თვლის, რომ ,,გუტენბერგის გალაქტიკის'' განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა კომუნიკაციის გლობალიზაციას, რომელსაც, თავის მხრივ, მივყავართ ერთიანი კომუნიკაციური სივრცის - ,,გლობალური სოფლის'' შექმნისაკენ; ზოგი მკვლევარი კი ფიზიკური საშუალებების ზრდაში ნეგატივს ხედავს. მათ შორისაა ედუარდ სეპირი, რომელიც გამოთქვამს შეშფოთებას იმაზე, რომ ხშირად შეტყობინება სცილდება იმ საზღვრებს, რომელზეც ის გათვლილია. ასე, მაგალითად, შეტყობინება, რომელიც მე მეკუთვნის, მოსასმენი აპარატის ,,დახმარებით'' გადის ჩემი ,,მეს'' გარეთ და ბევრისთვის ხელმისაწვდომი ხდება. ამით ინდივიდის უფლება, ფლობდეს მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ინფორმაციას და მხოლოდ ის იყოს მისი მომხმარებელი, საფრთხის ქვეშ დგება. თუმცა, ამავე დროს, ედუარდ სეპირი დადებითად აფასებს როგორც მეცნიერული საზოგადოების გლობალიზაციას, ასევე საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის შემოტანას.

რაც შეეხება კომუნიკაციის სახეებს. ფაქტია, რომ კომუნიკატორების შემადგენლობა კომუნიკაციის სახეებს განაპირობებს. პროფესიონალი კომუნიკატორისთვის ეს არსებითია, რადგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მუშაობის ტექნოლოგია სპეციფიკურია (Kashkin, 2007).

1. **ინტრაპერსონალური კომუნიკაცია** – ტოლფასოვანია საკუთარ თავთან, შინაგან ხმასთან, ალტერ ეგო-სთან, სინდისთან და ა.შ. დიალოგის. ინტრაპერსონალური (შიდა პერსონალური) კომუნიკაცია გულისხმობს ადამიანის უნარს გაერკვეს საკუთარ ემოციებსა და აზრებში. ინტრაპერსონალური კომუნიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითშემეცნებასთან. ,,შეიცან თავი შენი'' - გვირჩევს სოკრატე. ბლეზ პასკალი კი გვეუბნება: ,,შევიცნოთ ჩვენი თავი! მერე რა, თუ ამით ჭეშმარიტებას ვერ შევიცნობთ! სამაგიეროდ, ჩვენს ცხოვრებას მოვიწესრიგებთ, რა შეიძლება იყოს ჩვენთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი!'' თვითშემეცნებითა და ეფექტური ინტრაპერსონალური კომუნიკაციის დამყარებით თითოეულ ადამიანს შეუძლია შინაგანი წესრიგის დამყარება. შინაგანად მოწესრიგებული ადამიანი კი უფრო საღად აზროვნებს, მას შეუძლია ფაქტების სწორი დალაგება, გაანალიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება.

2. **პიროვნებათაშორისი კომუნიკაცია,** როგორც წესი, დაკავშირებულია

კომუნიკაციის იდეალურ მოდელთან და ხშირად პირველადია. მასში მონაწილეობს ორი კომუნიკატორი, თუმცა, ასევე არსებობს დამკვირვებლის ვარიანტები: ჩართული და გარეშე (უცხო) დამკვირვებელი, კომუნიკაცია მოწმეების თანდასწრებით, ბრბოში, რესტორანში და ა.შ.

3. ჯგუფური კომუნიკაცია – კომუნიკაცია ჯგუფის შიგნით, ჯგუფებს შორის, ინდივიდსა და ჯგუფს შორის (პოლიტიკური ლიდერის ინტერვიუ თუ კომპანიის ხელმძღვანლის საუბარი თანამშრომლებთან). თუმცა, არსებობს თვისობრივი განსხვავება: დიდსა და მცირე ჯგუფებში კომუნიკაციას განსხვავებული მიზანი აქვს (chat rooms და forums ინტერნეტში; message boards და ა.შ.).

4. მასობრივი კომუნიკაცია იმ შემთხვევაში ხორციელდება, თუ შეტყობინებას იღებს ან იყენებს ადამიანთა დიდი ჯგუფი. ეს ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ინტერესებითა და კომუნიკაციური გამოცდილებით. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები თავის მხრივ, განსხვავდება ერთმანეთისაგან შეტყობინების გავრცელებისა და ზემოქმედების ასპექტით.

მასობრივი და, ნაწილობრივ, ჯგუფური კომუნიკაციის დონეზე პარადოქსალური ვითარება იჩენს თავს. შეტყობინების გამომგზავნი შეიძლება იყოს ცალკეული პირი, ხოლო მიმღები - ჯგუფი, კოლექტივი, მასა, პარტია და ა.შ. თანაც, მიმღებს სულაც არა აქვს ერთი ყური და ერთი ტვინი. ამავე დროს, შეტყობინების გამომგზავნი შესაძლოა ე. წ. კოლეგიალური ავტორიც იყოს: ერთ ადამიანთან საუბრობს ფირმა, პარტია, ხალხი. და ბოლოს, ფირმას შეუძლია ისაუბროს ფირმასთან (მაგ., მოლაპარაკებები სამომხმარებლო ბაზარზე ერთიანი ფასის შესახებ), პარტიას – პარტიასთან (მაგ., ერთიანი კანდიდატის წამოყენება), ერთ ეთნიკურ ჯგუფს მეორესთან (მაგ., სამშვიდობო მოლაპარაკებები, ერთობლივი საომარი მოქმედებები და ა. შ.). ასეთ შემთხვევაში გულუბრყვილო კომუნიკატორები ამბობენ: „ჩვენ მოვურიგდით ამერიკელებს“; „ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება სოკართან“ და ა.შ. თუმცა, ისინი, ვინც ასე საუბრობს, როგორც წესი, საერთოდ არ იმყოფებიან ხელშეკრულების ადგილზე.

რატომ ხდება ეს? რატომ ვიგონებთ მითიურ კომუნიკატორს, რომელიც გამოდის როგორც ცალკეული ინდივიდი რეალურად არსებული ჯგუფისა თუ ინდივიდთა მასის ნაცვლად? პასუხი მარტივია: ეს ხდება იმიტომ, რომ მითოლოგიზირებული კოლეგიალური კომუნიკატორის არსებობა ხელსაყრელია და თანაც, ძალისხმევის ეკონომიასაც აკეთებს. იმ ჯგუფს, რომლის სახელითაც კომუნიკატორი გამოდის, აქვს ერთიანი აზრი და პოზიცია. მითოლოგიზირებული, განზოგადებული კომუნიკატორი, ერთი მხრივ, ასრულებს გამაერთიანებელ, მეორე მხრივ კი, მინიმიზირებულ ფუნქციას, ანუ ყველა გამონათქვამი, ადამიანთა ერთობის ყველა კომუნიკაციური აქტი დაჰყავს ერთზე. ამერიკელი მკვლევარი

ედუარდ სეპირი წერდა: „რესპუბლიკური პარტია როგორც ისტორიული რაობა, არის უამრავი ათასი კომუნიკაციის ერთეული აქტების აბსტრაქციის შედეგი, რომელსაც აქვს ყველასათვის საერთო (მისაღები) განსაზღვრულად მდგრადი რეფერენტული თვისებები (Sepir, 1993: 210-215). ეს სიტყვები შეიძლება მიესადაგოს ნებისმიერ პარტიას, ჯგუფსა თუ ერთობას. **ცალკეული ადამიანების ერთეული აქტების განზოგადება და მისი ინდივიდუალური სახელით ალნიშვნა, ტიპურია ადამიანური შემეცნებისათვის**. აქ საქმე გვაქვს **ემერგენტულ** მოვლენასთან (emergo – ლათინური სიტყვაა და ზედაპირზე ამოტივტივებას, გამოჩენას, წარმოქმნას ნიშნავს), ანუ ისეთ მოვლენასთან, რომელიც რეალურად არსებობს მხოლოდ მრავალი ცალკეული მოქმედების (აქტივობის) სახით. ადამიანი განაზოგადებს რა ამ ქმედებებს, მათთვის ინდივიდუალურ სახელს მოიფიქრებს. უფრო მეტიც, ამ იდეების ხორცშესხმას კოლეგიალური კომუნიკატორის სახით ახორციელებს. ასეთი მითოლოგიზირებული კომუნიკატორი შეიძლება იყოს სიმბოლური სახეც (მაგ., ძია სემი, დედა – სამშობლო) და რეალური ადამიანიც, რომელიც ერთობის სახელით გამოდის (მაგ., ობამა – ეს მთელი ამერიკაა; ალიევი – ეს აზერბაიჯანის სახეა, გამსახურდია – ეროვნული ერთობის სიმბოლოა; დავით აღმაშენებელი – ერთიანი საქართველოს სიმბოლო; თამარ მეფე – საქართველოს „ოქროს ხანა; გალაკტიონი – პოეზიის მეფე და ა.შ) (Kharis, 2001).

ემერგენტული მოვლენებია, ასევე, ენა და კომუნიკაციური მოღვაწეობის სხვა სახეები. ადამიანი სამეტყველო აპარატის მიერ ჰაერის ყოველ შეტოკებას განაზოგადებს და მას „სიტყვას“, „გრამატიკულ ფორმას“, „ფრაზას“ უწოდებს. ადამიანის მიერ შეტოკებისას ბგერის ჟღერადობისა და მისი მნიშვნელობის შეთავსება აღიქმება როგორც ცალკე არსებული საგანი. ანუ ადამიანი მისი საკუთარი აზროვნების ნაყოფს არქმევს ინდივიდუალურ სახელს და მის მიმართ დამოკიდებულება რეალურად არსებული საგნის მიმართ იდენტური ხდება, რასაც შედეგად მოჰყვება მისი საწყისი მნიშვნელობის თანდათანობით გაუფერულება. ასეთი მითოლოგიზირებული სიტყვა საუბრისას ადამიანური გამოცდილების მთელ კომპლექს ჩაანაცვლებს. აზროვნების ამ ეკონომიით კი ადამიანი ამახინჯებს რეალობას, პირობითად აღიარებს რა არარსებულს არსებულად.

ადამიანური გამოცდილების განზოგადების ეს თავისებურება (ანუ: ეკონომიურობა) გარკვეულ საფრთხეს შეიცავს. კერძოდ, ცალკეულ ადამიანს შეუძლია მითვისოს უფლება ილაპარაკოს ადამიანთა ჯგუფის სახელით, თანაც ისე, რომ არ იყოს ამ ჯგუფის იდეების გამომხატველი. ეს კომუნიკაციური ქცევა ერთობ დამახასიათებელია პოლიტიკური მარგინალებისათვის – მათ გამოსვლებში ყოველთვის ფიგურირებს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა **ხალხი, ნაცია** და ა.შ. ზოგი უფრო ეშმაკურადაც იქცევა: თანამედროვე რეკლამასა და პოლიტიკურ დისკურსში იყენებენ

ინდივიდის სახელს განზოგადებულად. ასე, მაგალითად: ადამიანი, სტუდენტი, დიასახლისი, სკოლის მოსწავლე; გამონათქვამები: ,,ყველაფერი ადამიანის სასარგებლოდ...“; ,,ყველაფერი, რაც სტუდენტს უნდა...“; ,,მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლისათვის...“; ,,სასურველია დიასახლისებისათვის...“ და ა.შ.

თანამედროვე სამყაროში კომუნიკაციის მასობრივი პროცესების არსისა და კომუნიკაციის არსის, როგორც მასობრივი პროცესის გააზრება, აუცილებელია თითოეული ჩვენგანისათვის. ერთი მხრივ, კომუნიკაციური ტექნოლოგიების სპეციალისტებმა უნდა გაიაზრონ მოვლენები, რომელთაც ისინი თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობის დროს იყენებენ. ხოლო, მეორე მხრივ, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის მომხმარებელმა უნდა იცოდეს კომუნიკაციის თეორიის საფუძვლები, რათა თავად არ აღმოჩნდეს ამ პროპაგანდის მსხვერპლი.[5]

კომუნიკაციის დამატებითი სახეებია:

კულტურათაშორისი – კომუნიკაცია როგორც სხვადასხვა ენისა და კომუნიკაციური კულტურის მატარებელ ხალხებს შორის ან სახელმწიფოებს შორის, ასევე ადამიანთაშორისი – ამ ხალხებისა თუ სახელმწიფოების ცალკეულ წარმომადგენლებს შორის; თანამედროვე რეალობაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სახე კომუნიკაციის, განსაკუთრებით, კონფლიქტების მოგვარების კუთხით. და რაც მთავარია, საშუალება, რომელსაც ძალზედ დიდი დატვირთვა აქვს საზოგადოების ჰუმანიზაციის კუთხით.

ორგანიზაციული – კომუნიკაცია საქმიან (ბიზნესის) სფეროში, რომელშიც ჩართულია პიროვნებათაშორისი, ჯგუფური და პიროვნულ-ჯგუფური კომუნიკაციური აქტივობები. თავად კომუნიკაციის ამ სახის შიგნით საუბარია როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ კომუნიკაციაზე. ეს უკანასკნელი ერთობ აქტუალურია თანამედროვე ბიზნეს საქმიანობისთვის იმდენად, რამდენადაც მხოლოდ კარგად გააზრებული და დაგეგმილი ურთიერთობა თანამშრომლებს შორის არის ამა თუ იმ ორგანიზაციის წარმატების გარანტი. ორგანიზაციული კომუნიკაციის შიგნით, თავის მხრივ, საუბრობენ კომუნიკაციის სახეებზე მენეჯმენტში, მარკეტინგში და ა.შ (Ladlou, Penton, 2000).

ცხადია, შეიძლება ვისაუბროთ კომუნიკაციის სხვა სახეებზეც, თუმცა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახე მომცველია და გარკვეული აზრით,

5 უახლეს ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი გვაქვს: ფაშიზმი გერმანიასა და სხვა ქვეყნებში; კომუნისტური რეჟიმის ერთ-ერთი ლოზუნგი: ,,პარტიამ თქვა, კომკავშირმა უპასუხა - ,,დიახ“. კომუნისტური პარტიის, კომუნიზმის იდეალების სახელით საკუთარი მშობლების, მეგობრების დასმენა და ა.შ. მასობრივი ფსიქოზის ეს გამოვლენებები პროპაგანდისტული მანქანის ,,მიღწევაა“.

უნივერსალური. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს, თანამედროვე სამყაროში უაღრესად მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სწორად, გამართულად და მიზანმიმართულად წარმართვა. ისეთი კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება, როგორებიცაა: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, არავერბალური კომუნიკაცია, ინფორმაციის გარდაქმნა-ტრანსფორმაცია (სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა), სპეციალური ენის ფლობა (სხვადასხვა მეცნიერების ენობრივი აპარატის ფლობა და სიმბოლოებით ოპერირება) არის როგორც საკუთარი თავის რეალიზების, ისე საზოგადოების დანარჩენ წევრებთან წარმატებული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველი.

ლიტერატურა:

1. Amaghlobeli, 2011 – Amaghlobeli Kh., Komunikatsiisa da komunikatsiuri aktis modelebi, tskhum-apkhazetis metsnierebata akademiis shromebi, I, Tbilisi., 2011.
2. Kashkin, 2003 – Kashkin, V., Vvedenie v teoriyu kommunikatsii. V., 2003.
3. Kharis, 2001 – Kharis, R., Psikhologia massovikh kommuhikatsii. SPB., 2001.
4. Ladlou, Penton, 2000 – Ladlou R., Penton F., Efekturi komunikaciis arsi, tbilisi., 2000.
5. Sepir, 1993 – Sepir E., Kommunikatsyia// Izbrannye trudy po yazykoznaniyu I kulturologii, Moskva, 1993.

Khatuna Amaghlobeli

TYPES OF COMMUNICATION

Summary

Membership of the communicators stipulates the types of communication; this issue is significant for any professional communicator as the working technology and for each specific case is characterized with its definite specificity.

Intrapersonal communication - equals to the „Self", internal voice of an individual, his/her Alter Ego, conscience etc. Intrapersonal (internal personal) communication means the ability and skill of a human to understand and realize his/her own emotions and thoughts. Intrapersonal communication is closely connected with the issue of self-actualization,

self-knowledge; „Know Yourself!“ – This is the advice by Socrates. „Let us know ourselves; nevertheless we cannot know the truth in this manner, but we will be able to assure orderliness in our life and nothing could be more important than that one!“ – Blaise Pascal manifested. By means of development and establishment of self-actualization and effective intrapersonal communication one can establish his/her internal order; an individual with spiritual honesty is capable to smart thinking and due to such common sense he/she can allocate the facts correctly, analyze them and make reasonable appropriate decision.

Interpersonal communication – usually connected with the ideal model of communication and frequently is the primary; it is participated by two communicators, though there are the observer's versions as well: involved and other (not involved); communication in the presence of witnesses, in the crowd, restaurant etc.

Group communication – communication inside the group, among the groups, between an individual and a group (interview of a political leader or conversation between the company manager and his/her employees); besides the mentioned, it should be emphasized the qualitative distinction: communication within the large and small groups has its different purpose (chat rooms and forums in the Internet, message boards etc.).

Mass communication – it may be implemented in the case when a specific notification is received or used by a large group of individuals; these groups differ from each other in their interests and experience of communication. The mass communication means in their turn differ from each other by the manner of dissemination and influence of such notification.

Realization and understanding of the essence of communication global processes in the modern world as well as the essence of communication in the capacity of global process is necessary for each of us. On one hand the communication technologies „specialists should realize the events they apply in their practice and on the other hand any and all users of mass information and propaganda have to know the basis of communication theory in order not to become he/she the victim of such propaganda.

ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINESS ADMINISTRATION

ევგენი ბარათაშვილი, ჯანდრი ზარანდია

ტერიტორიული (რეგიონული) დიაგნოსტიკა და კლასტერული ტექნოლოგიები

ტერიტორიული დიაგნოსტიკა არის სპეციალური ინფორმაციულ-ანალიტიკური ტექნოლოგიების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა: 1) აღვწეროთ შესასწავლი რეგიონული სიტუაციები და პრობლემები მათთვის დამახასიათებელი ნიშნების (პარამეტრების მაჩვენებლების) სისტემაში; 2) მოვახდინოთ ამ სიტუაციებისა და პრობლემების იდენტიფიკაცია, ანუ მივაკუთნოთ ისინი ცნობილ ტიპოლოგიურ ჯგუფებს; 3) ამ სიტუაციებსა და პრობლემებს მივცეთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება; სხვა სიტყვებით – დავუსვათ საბოლოო დიაგნოზი; 4) მოვახდინოთ და განვახორციელოთ მოვლენების შინაგანი და გარეგანი მიზეზების დადგენა და შეფასება (Baratashvili, Zarandia, Abralava, 2009: 476).

„რეგიონული პრობლემა“ არის კონკრეტული მოვლენა (პროცესი), კრიზოგენული ტერიტორიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რომელიც იწვევს შესაბამისი საზოგადოების (გაერთიანების) დაძაბულობას და ამიტომ მოითხოვს საპასუხო რეაქციას, რაც ხელისუფლების ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების მარეგულირებელ მოქმედებებში გამოიხატება (Aliev, 2002).

ამრიგად, ნებისმიერი ტერიტორიული სისტემის დიაგნოსტიკა თავის თავში უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის დიაგნოსტიკებს: 1) მთლიანად სიტუაციის (მდგომარეობის) დიაგნოსტიკას; 2) ტერიტორიული განვითარების რეგულირების ამოცანების გადასაწყვეტად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების დიაგნოსტიკას; 3) განვითარების პროცესების დიაგნოსტიკას, ანუ იმის ანალიზს, რა მიმართულებით და როგორ (ტერიტორიული სისტემის პარამეტრების როგორი ცვლილებებით) ტრანსფორმირდება საერთო რეგიონული სიტუაცია და ცალკეული რეგიონული პრობლემები.

სიტუაციური დიაგნოსტიკა – გულისხმობს საექსპერტო-ანალიტიკური პროცესის სამ სტადიაზე ჩატარებას: 1) ობიექტური ანალიტიკური სცენარის შექმნა, როგორც ერთიანი დინამიური სისტემისა (ქვესისტემი-

სა) მასთან არსებული შიგა სტრუქტურითა და საგარეო ურთიერთკავშირებით; 2) ანალიტიკური სცენარების საფუძველზე დიდი მოცულობის ინდივიდუალური და კოლექტიური ხასიათის სხვადასხვა ექსპერტული შეფასების მიღება; 3) დამაგვირგვინებელი, ამ შეფასების კონკრეტულად განმაზოგადებელი, ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა, რომელიც წარედგინება მთავრობას გადაწყვეტილებების მისაღებად (Baratashvili, Zarandia, Abralava, 2009). **სიტუაციური დიაგნოსტიკა** – საქართველოს ფარგლების სუბიექტებში, მოწოდებულია შეძლებისდაგვარად მისცეს შეჯამებული შეფასება და გამთლიანებული იდენტიფიკაცია მთელ ტერიტორიულ სისტემას მასში შემავალი დაბალი დონის ერთეულებთან ერთად.

„რეგიონული პრობლემების დიაგნოსტიკა“ პრინციპში შინაგანად დაკავშირებული უნდა იყოს მთლიანობაში რეგიონული სიტუაციის დიაგნოსტიკასთან და გამომდინარეობდეს მისი საბოლოო შედეგებისაგან. ეს მოთხოვნა არ არის განსაკუთრებული, რამდენადაც რეგიონული სიტუაციების დიაგნოსტიკა „განსაზღვრებით“ როგორც მინიმუმ მოიცავს ტერიტორიული სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვან პრობლემებს და მათი ძირითადი პარამეტრების ფიქსაციას. მაგრამ ეს არ არის საკმარისი და წარმოიშვება თითოეული მნიშვნელოვანი პრობლემის დამოუკიდებლად.

რეგიონული დიაგნოსტიკის ჩატარების მიზან-მოტივაცია შესაძლებელია სრულიად განსხვავებული იყოს; მაგრამ ამასთან ერთად, როგორც მინიმუმი, საჭიროა გამოყოფილ იქნეს (გამოიკვეთოს) მისი სამი მიმართულება, რომელთა განსხვავებულობა წინასწარ განისაზღვრება დასახული მიზნებით; კერძოდ: 1) კვლევითი მიზნით; 2) მარეგულირებელი მიზნით; 3) კორპორატიულ-სამეურნეო მიზნით. თითოეული აქ აღნიშნული მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგებმა შესაძლებელია მოახდინონ ურთიერთშეთავსება, მაგრამ ამ სამუშაოთა ჩატარების ორგანიზაციის მიზნობრივი სპეციფიკა მაინც რჩება უცვლელი. ამდენად, გამორიცხული არ არის და შესაძლებელია სასარგებლოც იყოს კონკრეტული დიაგნოსტიკური მოქმედებების კოორდინაცია.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის საკითხი არსებითად ეხება შეფასების ისეთი ფორმალიზებული პროცედურების შესრულებას, რომლებიც, მიუხედავად შინაარსობრივი აზრისა, უზრუნველყოფენ ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მარეგულირებელი მიზნების მიღწევას, ეყრდნობიან მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ წყაროებს, უზრუნველყოფენ შედეგების გამჭვირვალობას, შესრულების სიმარტივეს და თითოეული რაიონის მიხედვით პარამეტრების სრულ შესადარისობას.

ასეთი სახის დიაგნოსტიკისათვის ყველაზე აპრობირებულ **მეთოდოლოგიურ ბაზად**, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ **„რეგიონების სოციალურ-**

ეკონომიკური განვითარების კომპლექსური შეფასების გაანგარიშების მეთოდიკა“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, კომპლექსური შეფასების დასაბუთებისას გაითვალისწინება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შემდეგი კომპონენტები: 1) მიმდინარე სამეურნეო მოღვაწეობის შედარებითი მასშტაბები; 2) დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი; 3) ტერიტორიის ინფრასტრუქტურული ათვისება; 4) მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონე; 5) შრომის ბაზრის განვითარება და მდგომარეობა; 6) სამომხმარებლო ბაზრის განვითარება (სამომხმარებლო საქონლებისა და მომსახურების რეგიონული ბაზრის); 7) ინვესტიციების ბაზრის განვითარება და საინვესტიციო აქტიურობა; 8) სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების საერთო დონე; 9) მოსახლეობის საბიუჯეტო-ფინანსური უზრუნველყოფა; 10) საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის შედარებითი მასშტაბები და საგარეო-ეკონომიკური კავშირების ინტენსიურობა; 12) სოციალური სტაბილურობა. საბაზრო ინდიკატორების შესაბამისი ნაკრების მეშვეობით აღნიშნული ჩამონათვალი შედის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ინტეგრალურ შეფასებაში; ამასთან, თითოეულ კომპონენტს შეესაბამება თავისი შემფასებელი ინდიკატორი, ან კიდევ ინდიკატორების რიგი.

„რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ჩართული: 1) მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (თანხაში), ეს მაჩვენებელი დღეისათვის საერთოდ ამოღებულია სტატისტიკის მაჩვენებლებიდან; 2) ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (თანხაში); 3) საგარეო-სავაჭრო ბრუნვის მოცულობა (ექსპორტისა და იმპორტის თანხობრივი მოცულობა) მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარებში); 4) რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფა მოსახლეობის ერთ სულზე თანხებში (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით); 5) ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნობის მიმართ მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი პროცენტებში; 6) რეგისტრირებული უმუშევრობის დონე (უმუშევართა პროცენტული ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიმართ); 7) საშუალოსულადობრივი შემოსავლებისა და საშუალოსულადობრივი საარსებო მინიმუმის პროცენტული თანაფარდობა; 8) საარსებო მინიმუმის ქვევით შემოსავლის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში; 9) საცალო საქონელბრუნვისა და ფასიანი მომსახურების საერთო მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (თანხაში); 10) დარგობრივი ეკონომიკის ძირითადი კაპიტალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით; 11) საავტომობილო გზების სიმჭიდროვე; 12) სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონის ნაერ-

თი მაჩვენებელ

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზი მიმართული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე (Kopilko, 2001: 55-56):

რეგიონის ბუნებრივ რესურსული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზი;

ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება;

რეგიონში არსებული უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა;

მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება;

რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის შეფასება;

რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

ბოლო ხანებში საქართველოს რიგ რეგიონებში დაიწყო მუნიციპალური დონის გამოკვლევები, რაც კიდევ უფრო აფართოებს წარმოდგენას რეგიონული დიაგნოსტიკის შესაძლებლობების შესახებ. ასეთს განეკუთვნება, მაგალითად, ინფორმაციულ-ანალიზური დამუშავებები. ადგილი აქვს ცდებს ქალაქებისა და რაიონების საბიუჯეტო მდგომარეობის, სასურსათო უსაფრთხოების დიაგნოსტირების თაობაზე. აგრეთვე, დიაგნოზირება ხდება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მდგომარეობის პრობლემის. საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს ცალკეული მუნიციპალური წარმონაქმნების, რაიონებისა და რეგიონების საგადასახადო პოტენციალის დიაგნოსტირება. ამ შემთხვევაში დიაგნოსტიკის კონკრეტულ ობიექტს უნდა წარმოადგენდეს ცალკეულ ტერიტორიულ წარმონაქმთა საშემოსავლო ბაზა, რომლის ადეკვატური გამოვლინება შექმნის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებას ტერიტორიული საგადამხდელო პოტენციალის მაქსიმალური მობილიზაციისათვის, შექმნის ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების ხელოვნურად შემცირების დაძლევის წანამძღვრებს.

„კოორდინატული“ დიაგნოსტიკა, ფართომასშტაბიანი რეგიონული დიაგნოსტიკის განხორციელების შედეგებიდან, უდავოდ, სერიოზული ყურადღების ღირსია აჭარის რეგიონის „ინვესტიციური მიმზიდველობის“ შეფასების პრობლემა. აღნიშნულის დიაგნოსტიკის ამოცანა „პოტენციალი-რისკის“ კოორდინატური ბადის ფორმირებაში მდგომარეობს, სადაც თითოეული რეგიონისათვის შეფასებული და იდენტიფიცირებული უნდა იქნეს მათი საინვესტიციო პოტენციალისა (მაღალი, საშუალო, დაბალი) და ინვესტიციური რისკის (მინიმალური, საშუალო, მაღალი და ექსტრემალური) შედარებითი დონეები.

რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი უნდა ითვალისწინებდეს ძირითად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს, ტერიტორიის საწარმოო

ფაქტორებით გავჯერებას, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვა მაჩვენებლებს. საინვესტიციო პოტენციალი, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს და ყალიბდებოდეს პოტენციალის ისეთი მნიშვნელოვანი კერძო მაჩვენებლებისაგან, როგორებიცაა: 1) რესურსულ-სანედლეულო პოტენციალი; 2) შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე); 3) საწარმოო პოტენციალი (რეგიონის მოსახლეობის სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების მთლიანობა); 4) ინოვაციური პოტენციალი (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე); 5) ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების დონე და ხარისხი); 6) ინფრასტრუქტურული პოტენციალი (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა და მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა); 7) ფინანსური (საგადამხდელო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოთა მომგებიანობა); 8) სამომხმარებლო პოტენციალი (რეგიონის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ერთობლიობა).

ინვესტიციური რისკის სიდიდე გვიჩვენებს ინვესტიციებისა და მათგან შემოსავლების დაკარგვის ალბათობას. ამასთან დაკავშირებით უნდა გაანგარიშებულ იქნეს რისკის შემდეგი სახეები: 1) ეკონომიკური (რეგიონის სამეურნეო განვითარებასთან დაკავშირებული); 2) ფინანსური (რეგიონული ბიუჯეტის ბალანსირებულებისა და საწარმოთა ფინანსების ხარისხთან მიმართბეაში); 3) პოლიტიკური (ბოლო საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით მოსახლეობის პოლიტიკური სიმპატიების განაწილება, აგრეთვე, ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტულობასთან დაკავშირებით); 4) სოციალური რისკი (სოციალურ დაძაბულობასთან მიმართებით); 5) ეკოლოგიური (გარემოს დაბინძურების დონის); 6) კრიმინალური რისკი (რეგიონში დამნაშავეობის დონის დამნაშავეობის სიმძიმის გათვალისწინებით); 7) საკანონმდებლო (ამა თუ იმ სფეროში და დარგში ინვესტირებისათვის საკანონმდებლო პირობები, აგრეთვე, წარმოების ფაქტორების გამოყენების წესთან).

ბოლო წლებში რეგიონილისტიკაში ფართოდ გამოიყენება კლასტერული ანალიზის მეთოდები და ტერმინოლოგია. კლასტერულს უწოდებენ მოვლენების, ობიექტების, ტერიტორიული ერთეულების ჯგუფს, რომლებიც ახლოს (მსგავსნი) არიან დამახასიათებელი ნიშნებით (დამახასიათებელი, ერთნაირი ტიპის ნიშნებით). ასეთი შედარებით მსგავსი ჯგუფების გამოცალკევების პროცედურას კლასტერიზაციას უწოდებენ; ხოლო კლასტერიზაციის შედეგს წარმოადგენს შესაძლებლობა გადავიდეთ მთლიანად რეგიონის მდგომარეობის ზედმეტი საერთო დიაგნოსტიკიდან სიტუაციისა და პრობლემის დიაგნოსტიკისკენ, გადავიდეთ შიდარეგიონული არსებითად მსგავსი ობიექტების სიტუაციებისა და პრობლემის დიაგნოსტიკისაკენ.

კლასტერული ანალიზი ტექნიკური თვალსაზრისით წარმოადგენს

კარგად ფორმალიზებულ პროცედურას, რომელიც ეფუძნება სპეციალურ მათემატიკურ აპარატს. საერთო სახით ეს პროცედურა მოიცავს: ა) რეგიონული დიაგნოსტიკის კონკრეტული მიზნებიდან (საინტერესო ასპექტიდან) გამომდინარე ობიექტების ფუნქციონირების საბოლოო მაჩვენებლების შერჩევას; ბ) თვით ობიექტების არსებითი მახასიათებლების შერჩევას; გ) ამ თვისებებისა და მახასიათებლების „შედედების“ ზონის აღმოჩენას; დ) „შედედების“ ელემენტარული ჯგუფების დაახლოებას უფრო გაფართოებული კლასტერების მიღებისათვის.

კლასტერული ანალიზის მთავარ ღირსებას წარმოადგენს შესასწავლი ტერიტორიის შიგნით ისეთი ზონების (წერტილების, ობიექტების) გამოყოფის ფართო შესაძლებლობები და უნარი, რომლებიც მჭიდროდ არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საზღვრებით, მაგრამ, სამაგიეროდ, დაკავშირებული არიან ეკონომიკური, სოციალური და სხვა ხასიათის ერთიანი პრობლემატიკით; ამასთან, საერთო პრობლემური სივრცის დანაწევრება მითითებულ ზონებად შესაძლებელია დანაწევრების ნებისმიერ ხარისხში და დამოკიდებულია რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების მხოლოდ ამოსავალ პარამეტრებზე.

კლასტერული ტექნოლოგიების გამოყენება, ბუნებრივია, იწვევს იმის სურვილს, რომ მათი შედეგები შედარებულ იქნეს უფრო მარტივი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგებთან; მაგალითად, ინდიკატორული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგებთან. ასეთი შედარება-დაპირისპირება მეტად სასარგებლოა თუნდაც იმ გაგებით, რომ რეგიონული დიაგნოსტიკის თითოეულ ტექნოლოგიას აქვს მისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო გამოვლინებული განსხვავებების მიზეზების ანალიზს შეუძლია გამოიწვიოს ახალი, მათ შორის, მოულოდნელი, მაგრამ ყოველთვის ლოგიკურად ასახსნელი დასკვნები.

ამრიგად, რეგიონული დიაგნოსტიკის არსისა და ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებათა თაობაზე ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებულის საფუძველზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ჩატარების არავითარი ერთიანი ან საერთო სავალდებულო მეთოდიკები (და მათი შედეგების პრაქტიკულად გამოყენების წესები) არ არსებობს. რეგიონული დიაგნოსტიკა იყო და კვლავ წარმოადგენს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებული ხერხების რაღაც თვითნებურ და თითოეულ შემთხვევაში „ინდივიდუალიზებულ“ შეერთებას. აქ ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეგვეძლება ვიპოვოთ და არაურთიერთსაწინააღმდეგოდ შევაერთოთ ხარისხობრივად განსხვავებული ინფორმაციები. „რეგიონების განვითარების პროგრამის“, „სტრატეგიული გეგმების“, პროგნოზირების, საბიუჯეტო პროექტირებისა და სხვა არსებული ერთიანი სტანდარტიზებული დამუშავების მეთოდებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიზნად

ისახავენ შემდგომი ოფიციალური დამტკიცებისათვის შექმნან ერთნაირი ტიპის დოკუმენტები, რეგიონული დიაგნოსტიკა უფრო მეტად თავისუფალია თავისი საბოლოო შედეგების წარმოდგენის ფორმებში, მაგრამ ამასთან, ერთდროულად უფრო მეტად არის დამოკიდებული შემკვეთების განზრახულობათა სერიოზულობის მიმართ და შემსრულებლების პროფესიონალიზმზე.

საბედნიეროდ, რეგიონული სიტუაციებისა და პრობლემების მიახლოებითი ან შეგნებულად დამახინჯებულად შეფასების დრო უკვე მიდის. ხელისუფლება და უწყებათა ხელმძღვანელები, ბიზნესმენები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ და სარგებლობენ რეგიონული დიაგნოსტიკით, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაციების ობიექტურ შეფასებებზე. თანდათან დგება დრო, როდესაც რეგიონული დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება არანაკლებ მნიშვნელობის იქნება, ვიდრე მენეჯმენტის, მარკეტინგის, აუდიტის ან ბიზნესის დაგეგმვა.

ლიტერატურა:

1. Aliev, 2002 – Aliev V. G. I dr. Regionalnye problem perekhodnoy ekonomiki. Voprosy teorii I praktiki, Moskva, ekonomika, 2002.
2. Baratashvili, Zarandia, Abralava, 2009 – Baratashvili E., Zarandia J., Abralava A., Regionalizmi: teoria da praqtika, Tbilisis, 2009.
3. Granberg, 2001 – Granberg A. G. Osnovy regionalnoy ekonomiki. Moskva, 2001.
4. Kopilko, 2001 – Kopilko V. V. Regionalnaya ekonomicheskaya politika, Moskva, 2001.

Evgeni Baratashvili, Jandri Zarandia

TERRITORIAL (REGIONAL) DIAGNOSTICS AND CLUSTER TECHNOLOGIES

Summary

Territorial diagnostics is the set of special informational-analytical technologies allowing: 1) description of the regional situations and problems to be studied within the system of their characteristic signs; 2) identification of such situations and problems, i.e. classify them into known typological groups; 3) giving to these situations and problems quantitative and qualitative evaluation, making final diagnosis; 4) providing identifica-

tion and assessment of internal and external reasons of the events.

Any territorial system diagnostics should include the following types of diagnostics: 1) diagnostics of the system in general; 2) diagnostics of the problems most important for dealing with the territorial development objectives; 3) diagnostics of development processes, i.e. analysis of the directions and ways of transformation of general regional situation and certain regional problems.

In Regional studies the cluster analysis methods and terminology of are widely used. The main significance of cluster analysis is separation possibilities of such zones within the studying territory which are not linked with each other by administrative borders but are closely connected with of but rather common economic, social and other types of problems.

Thus, we should emphasize that *there are not any common compulsory methodologies to be carried out connected with the essence and peculiarities of the technologies of regional diagnostics.* Regional diagnostics was and what more in each case is the „individualized" combination of necessary collection of information and in each case „individualized" and the scientifically proven ways of analysis.

ვასილ ხუციშვილი

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების მექანიზმები და ბაზრის საინვესტიციო ღირებულების განსაზღვრა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების ინსტიტუტმა

ფასიანი ქაღალდების ბაზარი სასესხო კაპიტალის ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ბაზარი მოიცავს როგორც ფულადი, ასევე კაპიტალის ბაზრის მოზრდილ სეგმენტს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ჩვენს ქვეყანაში უმთავრესი სტრატეგიული საკითხია. ამიტომ აუცილებელია საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ბაზრის, საბაზრო ურთიერთობათა არსი, როგორია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დღემდე ამ მიმართულებით ქვეყანაში ერთიანი აზრი და მიდგომა არ არის ჩამოყალიბებული. ბევრის აზროვნება არ მიდის აგრარული ბაზრის ცნების იქით, მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკა ყველაზე ნაყოფიერ შრომას და მწარმოებლისა და მომხმარებლის ხელსაყრელი ურთიერთობის მექანიზმის შექმნას გულისხმობს. ის რთული და მრავალწახნაგოვანი მექანიზმია, მუდმივად რეგულირებადი და განვითარებადი ფენომენია.

ბაზარი არის ეკონომიკური კავშირების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს (გამყიდველებს და მყიდველებს) მიაღწიონ თავიანთ კომერციულ მიზნებს – რეალიზაცია უყონ ან შეიძინონ საქონელი. აქ მომხდარი ყველა გარიგების ორივე მხარე (ე. ი. აუცილებლივ ბაზრის ყველა მონაწილე) თავის სარგებლობაზე ფიქრობს.

ბაზრის და საბაზრო ეკონომიკის ტერმინები ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათი გაიგივება და სინონიმებად აღქმა სწორი არ იქნებოდა. საბაზრო ეკონომიკაში არა მარტო გაცვლა და მიმოქცევა იგულისხმება, არამედ (ამ უკანასკნელის, როგორც განვითარების განმსაზღვრელი პირველი მიზეზის პრიმატის აუცილებელ პირობებში) წარმოებაც.

საქართველოში ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ეკონომიკური ცხოვრების სიძნელეთა დაძლევის რეალური გზები. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველმყოფ ღონისძიებათა განხორციელებით ძნელად, მაგრამ მაინც ბოლო პერიოდში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები საბაზრო ეკონომიკის სისტემის შექმნის საქმეში. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, რაც ქმნის საბაზრო მექანიზმების ფორმირებისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

საქართველოსათვის, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჩამოყალიბდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგულირება ემყარებოდეს თანმიმდევრულად დამუშავებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას. თანამედროვე პირობებში არსებობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ორგანიზაციის ორი ძირითადი მოდელი. ერთი მათგანი ითვალისწინებს ბაზარზე კომერციული ბანკების ბატონობას (გერმანია, იაპონია, საფრანგეთი), მეორე – წარმოადგენს შერეულს, ე.ი. გულისხმობს როგორც საბანკო, ისე არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების აქტიურ როლს (აშშ, დიდი ბრიტანეთი). იმ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დომინირებს კომერციული ბანკების შეზღუდული რაოდენობა, სახელმწიფო რეგულირება უფრო მეტია.

საქართველოში, დღევანდელ პირობებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მთავარი მონაწილეები არიან კომერციული ბანკები, რომლებიც არასაბანკო ინსტიტუტებთან შედარებით დიდ ფულად რესურსებს ფლობენ.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლებრივი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ (დამტკიცებულია 1998 წლის 24 დეკემბერს).

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს ზემოთ აღნიშნული კანონით აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისია. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციით, კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ და საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. კომისიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილება.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანები დღის წესრიგში აყენებს ეროვნულ მეურნეობაში სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობას, ინფრასტრუქტურის შექმნას – ფუნქციონირებას, რომელიც სათანადო ინვესტიციების გამონახვის გარეშე შეუძლებელია.

ყოველივე ეს საჭიროებს სათანადო სახელმწიფო რეგულირებას, რაც შეიძლება განხორციელდეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე როგორც პირდაპირი ჩარევით, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედებით.

პირდაპირი ჩარევის მიმართულებას მიეკუთვნება:

ფასიანი ქაღალდების ბაზრის პრობლემებზე შესაბამისი ორგანოების კანონშემოქმედებითი საქმიანობის მთელი კომპლექსი;

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების დადგენილებები და განკარგულებები აღნიშნულ პრობლემებზე;

სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები ახალი ნორმების შემოღებისა და ძველში ცვლილებების შეტანის შესახებ. ძირითადად ეს შეეხება ფასიანი ქაღალდების გარიგების შეზღუდვას და აკრძალვას და ა.შ.

არაპირდაპირი ზემოქმედების ბერკეტების სისტემას მიეკუთვნება:

მიმოქცევაში არსებული ფულადი მასისა და ფასიანი ქაღალდების მოცულობის კონტროლი სასესხო პროცენტის განაკვეთზე სახელმწიფო ზემოქმედების დახმარებით;

სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა;

მთავრობის გარანტიები დეპოზიტებზე, კრედიტზე, კერძო სექტორის სესხებზე;

სახელმწიფო მოღვაწეობა სასესხო კაპიტალის ბაზარზე (სახაზინო თამასუქების გამოშვება, საშუალო და გრძელვადიანი ობლიგაციების გამოშვება);

სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა (უცხოური ვალუტით, ოქროთი ოპერაციების რეგულირება, ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებები და ა.შ.).

მარეგულირებელი ორგანოები ყველა ქვეყანაში ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

1. ფასიანი ქაღალდების, ბაზრის ყველა მონაწილის რეგისტრაცია;

2. ეკონომიკის სტრუქტურების უზრუნველყოფას საიმედო ინფორმაციით, რისი მიღწევაც შესაძლებელია საემისიო პროსპექტის პუბლიკაციით, გარდა ამისა, ემიტენტები ვალდებულნი არიან პერიოდულად გამოაქვეყნონ ფინანსური ანგარიშები და სხვა.

3. ინსტიტუციონალურ ორგანოებს ეკისრებათ კონტროლის და წესრიგის დაცვის ფუნქცია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

ქვეყნისათვის ფინანსური პრობლემის დაძლევაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და დასავლეთის მოწინავე ქვეყნებს, მთავრობებს, მაგრამ საქართველომ საკუთარი ინვესტიციების დასაფინანსებელი წყაროები უპირატესად შიდა რეზერვებით და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით უნდა გამონახოს. საყურადღებოა ისიც, რომ ორი საუკუნის მანძილზე დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში კოლონიურმა რეჟიმმა გამოიწვია ნეგატიურ მოვლენათა ფართო სპექტრი, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ქვეყნის ეკონომიკის გადაუჭრელი პრობლემების მრავალფეროვნე-

ბაში და რომელთა გადაწყვეტამ მოითხოვა დიდი რაოდენობის ფულადი რესურსები. ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას ფინანსების საგარეო წყაროებზე. ამით და სხვა თანამედროვე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული, რომ ქვეყნის მდგომარეობა ხასიათდება მნიშვნელოვანი პრობლემებით და კატაკლიზმებით.

ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებისათვის, გარდა ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო ღონისძიებებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითრეგულირებას. ამაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საფონდო ბირჟას, როგორც ბაზრის განსაკუთრებულ ორგანიზაციულ ფორმას. ბირჟა ახორციელებს მკაცრ კონტროლს საბირჟო ვაჭრობის ყველა მონაწილის საქმიანობაზე; ადგენს მათთვის ვაჭრობის ნორმებსა და წესებს.

პირველი ბირჟა თბილისში შეიქმნა 1907 წელს, ბათუმში – 1910 წელს. თბილისის ბირჟა რამდენადმე სრულყოფილი გახდა 1923 წელს, როდესაც ძველი ბირჟა დაიხურა და ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საფონდო-სასაქონლო ბირჟამ. ქ. თბილისის ბირჟას ადგილბზე გააჩნდა სააგენტოები – წნორში, თელავში, შულავერში, სამტრედიაში, ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთში, ახალციხესა და ბორჯომში ბირჟის სასაქონლო და საფონდო განყოფილებები სააგენტოებს აწვდიდა ყველა სახის ინფორმაციებს (Khmaladze da skvv. 1996: 4).

ბირჟები ის დაწესებულებებია, რომელთა შუამავლობითაც ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა ფორმის აქციების ყიდვა-გაყიდვა. ბირჟები ემსახურებიან:

სააქციო საზოგადოებებს, რომელთაც სურთ ფულის მოგროვება თავიანთი მეპატრონეებისათვის, სხვა ადამიანებისათვის აქციების მიყიდვის გზით. ფულადი სახსრების მოზიდვის ამ მეთოდს აქციების ემისია ეწოდება;

ადამიანებსა და დაწესებულებებს, რომელთაც სურთ ინვესტიციების ჩადება ამა თუ იმ ეკონომიკურ წამოწყებაში აქციების შესყიდვით;

ბიზნესით დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აქციების ემისიასა და მის ბრუნვასთან (როგორც წესი, დიდი ანაზღაურების საფასურად) (Lukasi, 1997: 117).

ბირჟის მუშაკები ფუნდამენტალურ როლს ასრულებენ ინვესტიციების გაცილებით უკეთესად და შედეგიანად გამოყენების საქმეში.

ბირჟის მნიშვნელობა ემყარება იმას, რომ იგი კაპიტალიზმის სიმბოლოა, ოღონდ არ შეიძლება მისი მეტისმეტი გადაჭარბებით შეფასება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სახელმწიფო რეგულირების მთავარი ამოცანაა სრულფასოვანი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების პირველი ოპერაციები განხორციელდა სააქციო საზოგადოება „კავკასიის ბირჟაზე“, სადაც 1991 წლის ბოლოს ოფიციალურად ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი საფონდო კომიტეტის სახით, რომელიც ფუნქციონირებდა 1992 წლის აპრილიდან. „კავკასიის ბირჟაზე“ დაიწყო ისეთი ემიტენტების ფასიანი ქაღალდების კოტირება, როგორებიცაა: თვით „კავკასიის ბირჟა“, სააქციო საზოგადოება „ნაშე ვრემია“, „მოსკოვის საინვესტიციო ბირჟა“, „კავკასიის ბანკი“, „იბერიაბანკი“, „კერძო ბანკი“, „კრედიტი“, ჰერმესი“, „ქართლი“ და ა.შ.

1992 წლის მანძილზე ბირჟის საფონდო კომიტეტის მიერ განხორციელდა ფასიანი ქაღალდებით 50 ვაჭრობა (გარიგება სულ 521, რომელთაგან ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის 124 გარიგება, თანხით 27137, 5 ათასი მანეთის გაიყიდა 393 ფასიანი ქაღალდი).

1993 წელს „კავკასიის ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების გარიგებათა რიცხვმა 255-ს მიაღწია, გაიყიდა 970 აქცია, რომელთაგან „კავკასიის ბირჟის“ წილად 814 აქცია მოდიოდა.

„კავკასიის ბირჟის“ საფონდო სექციაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა გრძელდებოდა 1994 წლის მაისის ჩათვლით, სადაც დაიდო 68 გარიგება, 382 მარტივ თამასუქზე 35,8 ათასი დოლარის მოცულობით და „კავკასიის ბირჟის“ 83 აქცია.

გაჯერებული ბაზარი საჭიროებს ეფექტიან მართვას, როგორც სახელმწიფო, ისე საფონდო ბირჟების მხრიდან.

ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმალური ფუნქციონირება სერიოზული პრობლემებით არის დამძიმებული, რომელიც ნელა, მაგრამ თანდათანობით იქნება დაძლეული. ამისთვის საჭიროა ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავება და შემდგომ განხორციელება.

საქართველოში „ფასიანი ქაღალდების“ ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია განისაზღვროს ძირითადი მიმართულებები და ჩამოყალიბდეს სტრატეგია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მიმართულებებისა და სტრატეგიის არარსებობის და რეგულირების მექანიზმის უქონლობის შედეგი იყო 90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში არაკანონიერი სასტარტო ოპერაციები და ფასიანი ქაღალდების სპეკულაციური კაპიტალის ბრუნვა, რამაც განაპირობა ათეულობით საბანკო დაწესებულების გაკოტრება და მეანაბრეთა „გაძარცვა“.

საინვესტიციო პროცესების აქტივიზაციისა და მოსახლეობის დანაზოგების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასტარტო ოპერაციებისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა მკაცრად უნდა არეგულიროს სახელმწიფომ. პარლამენტის მიერ მიღებული კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, დადგენილი თამაშის წესები გამორიცხავს ნეგა-

ტიურ მოვლენებს და უკანონობებს, რათა ის მოსახლეობა და მეწარმეები, რომელთაც ფასიან ქაღალდებში აქვთ დაბანდებული ფულადი სახსრები, დარწმუნდნენ საკუთარი კაპიტალის ზრდაში. ეს კი მიიღწევა მაშინ, როცა ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან შემოსული თანხები მიმართული იქნება რეალური საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის დაცვა მასში მონაწილე ყველა პირისათვის ძირითადი საკითხია, რადგან ეს ინვესტორთა რწმენასა და დამაჯერებლობას უყრის საფუძველს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილენი არიან ფასიანი ქაღალდების ემიტენტები, ინვესტორები და საინვესტიციო ინსტიტუტები. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ემიტენტის სახით შეიძლება გამოვიდეს სახელმწიფო, სახელმწიფო ორგანო, მუნიციპალური მმართველობის ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე, საზღვარგარეთის სახელმწიფოები და მათ ტერიტორიებზე რეგისტრირებული იურიდიული პირები. ინვესტორი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იძენს ფასიან ქაღალდს. რაც შეეხება საინვესტიციო ინსტიტუტებს, ასეთები იქმნება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით. საინვესტიციო ინსტიტუტი (მათ შორის, საინვესტიციო კომპანია) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თავის საქმიანობას შეიძლება ახორციელებდეს როგორც: საფინანსო ბროკერი, საფინანსო დილერი; საინვესტიციო კონსულტანტი (ბროკერი) წარმოადგენს შუამავალს სხვადასხვა გარიგებაში. ბროკერი საფონდო ბირჟის წევრია, რომელიც გარიგებებს დებს უშუალოდ საბირჟო წრეში, როგორც თავისთვის, ისე სხვა ფირმების ან პირების დავალებით, უძღვება ამ უკანასკნელთა ანგარიშს, ღებულობს ფულად რესურსებს დეპოზიტის ან მარჟის (მარჟის ქვეშ იგულისხმება ფასიანი ქაღალდის გარიგების ხელშეკრულების გაფორმების დღის კურსსა და გარიგების შესრულების დღის კურსს შორის სხვაობა) გადასახდელად. ბროკერთა რეგისტრაცია ხორციელდება ბირჟის დირექტორთა საბჭოში. იგი მისგან ღებულობს ნიშანს, რომელიც მას უფლებას აძლევს განახორციელოს სავაჭრო გარიგება ბირჟაზე. როგორც წესი, ბროკერებს უყენებენ გაძლიერებულ მოთხოვნებს მათი კაპიტალისა და ფინანსური მდგომარეობის მიმართ.

მიმოქცევაში დაიშვება მხოლოდ ის ფასიანი ქაღალდები, რომლებმაც გაიარეს სახელმწიფო რეგისტრაცია ან განთავსებულნი არიან მისგან დადგენილი წესით. უცხოური ემიტენტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები მიმოქცევაში დაიშვებიან მხოლოდ მათი სახელმწიფო რეგისტრაციის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, პირველადი განთავსების შემდეგ ფასიანი ქა-

ღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ხორციელდება მეორად ბაზარზე, რომელიც ყალიბდება საბირჟო და ბირჟის გარეშე ბაზრის სახით.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის პირობებში შეუძლებელია ფუნქციონირებდეს სრულფასოვანი ფასიანი ქაღალდების ბაზარი. საჭიროა ბაზრის ყველა მონაწილის არსებობა. ესენია: ემიტენტები, ინდივიდუალური და ინსტიტუციონალური ინვესტორები. საქართველოში ბაზრის თითქმის ყველა მონაწილის წარმომადგენლები არსებობენ, მაგრამ მისი განვითარების დონე დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს შემოსავლის გადიდება – ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღორძინების მთავარი ფაქტორი.

საქართველოს კონსტიტუციის, მეწარმეთა შესახებ კანონის და ა.შ. მიღებამ შექმნა პირობები ქვეყანაში ორგანიზებული საფონდო ბირჟის ჩამოყალიბებისათვის.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღიარებული პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაცია – „საქართველოს საფონდო ბირჟა“ – დაფუძნდა 1999 წლის იანვარში. ფაქტობრივად, ეს იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოხსენებული კანონის მიღების შემდეგ და მისი პრაქტიკულად რეალიზაციის მიზნით. „საქართველოს საფონდო ბირჟის“ წესდებასა და რეგულირების პრინციპებში ასახვა პოვა იმ ლიკვიდური და გამჭვირვალე საფონდო ბაზრის შექმნის სულისკვეთებამ, რომლითაც განმსჭვალულია კანონი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ძნელია მის სიღრმეში გარკვევა საჭირო ინფორმაციის გარეშე.

ფასიანი ქაღალდების პორტფელი უნდა შევქმნათ ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით ისე, რომ აქციების ფასების ზრდა და შემოსავალი დივიდენდებიდან მისაღებ ბალანსში აღმოჩნდეს. აუცილებელია, აგრეთვე, გვახსოვდეს, რომ საფონდო ბირჟებზე კოდირებული ჩვეულებრივი აქციები წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ და მოხერხებულ აქციებს ფასიანი ქაღალდების დამწყებ და წვრილ ინვესტორებში.

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს: იმ დროს, როცა ფასიან ქაღალდებში ერთნი გამოიმუშავებენ მთელ ქონებას, სხვები საფონდო ბირჟაზე ოპერაციებში ნახულობენ დიდ ზარალს თუ გვაქვს წინათგრძნობა, რომ გაგვიჭირდება დანაკარგების შეგუება, მაშინ უმჯობესია მთელი ჩვენი დანაზოგი და ის ფული, რომელსაც მივიღებთ საპრივატიზაციო ქაღალდებში, შევიტანოთ საბანკო ანგარიშზე.

უკუგება ფასიანი ქაღალდებიდან პოტენციურად მეტია, ვიდრე ბანკში შენახული ფულისაგან.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ლაპარაკის დროს მარტო საქართველოს ფიზიკურ ტერიტორიას არ ვგულისხმობთ. ნების-

მიერი საფონდო ბირჟის ფუნქციონირების საბოლოო მიზანია დანარჩენი მსოფლიოს საფონდო ბაზრებთან ინტეგრაციის საკითხი, რათა შიდა ბაზარი უცხოელთათვის სასურველი და უცხოური თავისუფალი სახსრები ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს, თუმცა, მსოფლიო ბაზართან საქართველოს ინტეგრაციას ესაჭიროება ამ ბაზარზე გასვლის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება.

ქართველი სპეციალისტების ვალია საფუძვლიანად შეისწავლონ ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის ფუნქციონირება მთელ მსოფლიოში, რათა მისი ფორმირება ჩანასახიდანვე წარიმართოს რაციონალური მიმართულებით.

ქვეყანაში იქმნება ისეთი პოლიტიკური და სოციალური გარემო, რომელიც უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მოსახლეობის მენტალიტეტის შესატყვისი ეკონომიკური მოწყობის ქართულ გზას.

ლიტერატურა:

1. Gamsakhurdia,1997 – Gamsakhurdia G., Finansebis roli saqartvelos gardamaval ekonomikashi. Tbilisi, 1997.
2. Gengashvili, 2000 – Gengashvili D., Sainvesticio krizisi saqartveloshi da misi dadzlevis gzebi, „Ekonomika“, Tbilisi, 2000, №5-6,
3. Kakulia, Khaburzania, 1993 – Kakulia R., Khaburzania L., Sabanko sistema da fasiani qaghaldebi sabazro ekonomikis pirobebshi (tanamedrove ekonomikuri problemebi), nats. II, Tbilisi.
4. Kakulia, 2001 – Kakulia R. Finansebis zogadi teoria, mesame shevsebuli da gadamushavebuli gamoshveba, gamomcemloba „Finansebi“, Tbilisi.
5. Kregmani, 2000 – Kregmani, Pol, Mausis fosvildi, saertashoriso ekonomika teoria da politika, gamomcemloba „Cisartkela“, Tbilisi.
6. Lukasi, 1997 – Lukasi R., Sabazro ekonomika, pirveli gamocema, targmna A. Grishikashvilma, f.s. gamomcemloba, Tbilisi, 1997.
7. Marksi, 1999 – Marksi K, Kapitali, t. 3, nats. II, Tbilisi, 1999.
8. Meskhia, Murjikneli, 1996 – Meskhia I., Murjikneli M., Ekonomikuri reforma saqartveloshi, Tbilisi;
9. Meqvabishvili, 1996 – Meqvabishvili I. Sakhelmtsifo da ekonomika, Tbilisis sakhelmtsifo universitetis gamomcemloba, Tbilisi, 1996.
10. Papava, 1995 – Papava V. Ekonomikuri reformis dziritadi tavisebure-bani saqartveloshi, zhurn. „ekonomika“, №4-6, 1995.
11. Sabirzho saqme, 1998 – Sabirhzo saqme da fasiani qaghaldebis bazari, avtorta kol. V. Svanidzis saerto redaqciit, Tbilisi, 1998,

Vasil Khutsishvili

REGULATION MECHANISMS OF FINANCIAL MARKET AND DETERMINATION OF MARKET VALUE

Presented by Business Administration Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The main purpose of the paper is to determine regularities of financial market organization and functioning in conditions of modern market economy, revealing difficulties associated with circulation of securities in Georgia. Basing on learning and generalization of scientific achievements in this field making specific suggestions, recommendations and using them in the development of financial market in Georgia.

The following issues are analyzed and discussed in the paper:

Main point, place and part of financial market in the development of market economy;

Policy of establishing financial market in Georgia, its positive and negative socioeconomic results;

Inevitability of government participation in providing proper operation of financial market;

Methods for determination of financial market profitability and its investment value;

Mechanisms of financial market functioning in foreign countries and peculiarities of the market development. It is advisable to consider some parts of their operation in Georgia;

Main directions for perfection of financial market functioning subsequently.

ტ უ რ ი ზ მ ი
T O U R I S M

მალხაზ ღვინჯილია

ოკაცეს ხეობის ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი

საქართველოს ლანდშაფტების მრავალფეროვნება, ბუნებრივ-გეოგრაფიული რესურსების სიუხვე და კონტრასტულობა, კულტურული მემკვიდრეობის ფენომენებთან ერთად, ტურიზმის თვალსაზრისით საინტერესო შეთავაზებებს აყალიბებს. აღნიშნული მიმართულებით ერთერთი გამორჩეული ადგილია იმერეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ-რეგიონული საზღვარი, რომელშიაც წარმოდგენილია ოკაცეს ხეობა.

ოკაცეს ხეობა სულ რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, სადაც უნიკალური კანიონი თავისი ბუნებრივი ატრაქციებით საინტერესოდაა შერწყმული აქ არსებულ კულტურულ ობიექტებთან.

ბუნებრივ-ტურისტული პოტენციალი.

ოკაცეს კანიონი ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდშია წარმოდგენილი, ასხის კირქვული მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზ. დ.-დან 500 მ სიმაღლეზე, ხონის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 21 კმ-ში.

სოფ. გორდის აღმოსავლეთით, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის, ოკაცეს აუზის ზემო წელში მდებარეობს რთული კომპლექსური პალეოგეოგრაფიული ძეგლი, რომლის შემადგენლობაში შედის ნეოტექტონიკური სტრუქტურები, ტბიური ნალექები, თვალწარმტაცი კლიუზკანიონი. იშვიათი სანახაობაა ოკაცეს კანიონი. მას მხოლოდ მაშინ ამჩნევთ, როდესაც შედგებით „ბოგაზე“ – ხის ტოტებისაგან მოწნულ ხიდზე, კანიონის თავზე რომ არის გადებული. ფეხქვეშ იხსნება ჯურღმული, მის ფსკერზე გამდინარი ნაკადით. კანიონის სიღრმე ამ ადგილას 28 მეტრია, სიგანე – 4 მეტრი. უფრო სამხრეთით სიღრმე იზრდება 45-50 მეტრამდე. ზოგიერთ ადგილას კანიონის კიდეები თითქმის უერთდება ერთმანეთს.

კანიონი გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. შუა მეოთხეულში ოკაცეს ხეობა გადაიკეტა ტექტონიკური ნასხლეტით და მასში გაჩნდა ტბა, რომელშიც თიხა-ქვიშა ილექებოდა. ტბიური ნალექების წყების სისქემ 27 მეტრს გადააჭარბა. მას შემდეგ რამდენიმე ათეულმა ათასმა წელმა განვლო. წყალმა იპოვა გასასვლელი კირქვის ნაპრა-

ლებში, გააფართოვა ისინი და დაცალა ტბა. დაიწყო ტბიური ნალექების გადარეცხვა და კანიონის გამომუშავება. ამჟამად ტბიური ნალექები შემორჩენილია ცალკეულ ფრაგმენტებად (Maruashvili, 1975: 216-217).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მკვლევართა ექსპედიციამ პროფესორ ლ. მარუაშვილის ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 70-იან წლებში მრავალი საინტერესო კვლევა შემოგვთავაზა ოკაცეს კანიონისა და გორდის მიდამოების ბუნებრივი ფენომენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნების არსებული ძეგლები უნიკალური თავისებურებებით გამოირჩევა და იშვიათ სანახაობას წარმოადგენს, მოცემული ზონა ტურისტული თვალსაზრისით ჯერჯერობით შეუსწავლელია. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს სწორედ აქ არსებული ბუნებრივი და კულტურული ფენომენების ტურისტულ-რეკრეაციული მახასიათებლების გამოვლენა და მათი პოპულარიზაცია, რათა ქართულ ტურისტულ ობიექტთა ნუსხას შეემატოს ახალი, საინტერესო და შემეცნებითი ტურისტული ცენტრი.

ტურისტებისათვის არსებული ადგილი ნამდვილ სამოთხეს წარმოადგენს, ვინაიდან ოკაცეს კანიონში შესაძლებელია მრავალი ბუნებრივი ფენომენის ნახვა. მათგან ტურისტებზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს 50 მეტრის სიმაღლიდან ვარდნილი ჩანჩქერი. იგი კინჩხის ტაფობში ეშვება და ვიწრო კანიონის ფსკერზე გავლით სოფ. გელავერთან მდ. ცხენისწყალს უერთდება. ამ ჩანჩქერიდან 50 მეტრში მეორე წყალვარდნილია. აქ წყალს ქანები აქვს გაჭრილი და ჩასაწოლ აბაზანებს აკეთებს. ალაგ-ალაგ ოკაცე პატარა ტბებს ქმნის, სადაც შეგიძლიათ იაროთ, ხოლო, თუ მდინარეს ჩაჰყვებით, 2-5 მეტრის სიგანის კანიონში მოხვდებით, რომელიც 2 კმ-ზეა გადაჭიმული (Chekurishvili, 2011).

აქ არსებულ ბუნებრივ ფენომენებს კარგ ფონს უქმნის გორდის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან თურჩუს მთაზე შეფენილი ფართოფოთლოვანი ტყე და კლდეიდას ჟანგისფერი უფსკრულები. აქ კომბინირებული ტურის მოწყობისათვის ყველა პირობა არსებობს. კანიონში შესვლა შესაძლებელია როგორც პირდაპირი გზით, ასევე თოკიდან დაშვებით. კანიონში არსებული პატარა მდინარე წელიწადის გარკვეულ პერიოდში საინტერესოა იმითაც, რომ შესაძლებლობას იძლევა ბრტყელძირიანი ნავით დაშვებისათვის. აქ ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი მონაკვეთი ჩანჩქერიდან დაიწყება და ბრტყელძირიანი ნავით მინიმუმ 2 კმ სიგრძეზე გაივლის ულამაზეს კანიონს, რომელშიაც შრეობრივად წარმოდგენილია ტბიური ნალექების განამარხება. მეცნიერთა აზრით, შრეთა ყოველი წყვილი შეესაბამება ერთ წელს. შესაბამისად, ტურისტს შეუძლია, გარკვეულ ჰიფსომეტრიულ საფეხურამდე დაითვალოს კიდეც არსებული შრეები. გარკვეულ უბნებზე ნატბიურები და წყალმარჩხი ადგილებია, სადაც გასა-

ბერი ნავის ხელით გადატანა იქნება საჭირო.

აქვე ახლოს, ასხის კირქვულ მასივზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიიის ინსტიტუტის სპელეოლოგთა ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ და გამოკვლეულ იქნა მღვიმე, რომელსაც ცნობილი გეოგრაფის არსენ ოქროჯანაშვილის სახელი უწოდეს. მიწისქვეშა ბუნების ეს საოცრება მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი მრავალფეროვანი ნაღვენთი ფორმებით – სტალაქტიტებით, სტალაგმიტებითა და ჰელიქტიტებითაა დატვირთული. სპელეოტურისტული თვალსაზრისით, მისი მხოლოდ მცირე მონაკვეთია ვარგისი, ვინაიდან მოყვარულ ტურისტთა გადაადგილებისათვის განიერი და ოპტიმალური სიმაღლის მქონე რამდენიმე უბანია.

ეს ობიექტი სპელეოტურისტული თვალსაზრისით ჯერ არ არის გამოყენებული და მიზანშეწონილია მისი, როგორც მნიშვნელოვანი ბუნებრივი ატრაქტივის, გორდის ტურისტულ ცენტრში ჩასმა.

კულტურულ-ტურისტული პოტენციალი

მიუხედავად იმისა, რომ ერთი სოფლისა და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ტურისტული ფენომენია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია აქ არსებული კულტურული ფენომენები, რომელთა სახესხვაობა და სიუხვე არც კულტურული ტურიზმის მოყვარულთ დატოვებს უკმაყოფილოს.

სოფელი დასახლებული ყოფილა ბრინჯაოს ხანიდან. ის რუკაზე აღუნიშნავს XVII საუკუნის (1654) მისიონერს არქანჯელო ლამბერტის. სოფელში ნაპოვნია უძველესი ქვევრ-სამარხები, შუა ბრინჯაოს ხანის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. გორდში მომლოცველთათვის საინტერესოა სამი ეკლესია: მთავარანგელოზის, დადიანთა კარისა და წმინდა გიორგის და სამი სამლოცველო: ბობოხიძეების, ჩიხლაძეებისა და ისქელდას. აგრეთვე ველის, მეჭიის, სალაურის, მეფისანაბარგისა და რეხის ციხეები.

აქ მრავალი სარიტუალო-საკულტო ნაგებობაა წარმოდგენილი, რომლებიც ძველქართული წარმართული პერიოდის სხვადასხვა ღვთაებას უკავშირდება. ტოპონიმისტ მკვლევართა აზრით, როგორც ცნობილია, მზე, მთვარე, ცა, დედამიწა, ცეცხლი, ხე და მდინარეც კი კვირის ცალკეულ დღეებად იყო მონიშნული. ჭექის ღვთაებას „ტარო“ ერქვა. ამაზე მიუთითებს აქვე მდებარე ტარესის ეკლესიაც. მეგრულად სამშაბათი „თახაშხაც“ სწორედ ტაროსს უკავშირდება: ტაროსის დღე („ტარაშ დღა“) (Eliava, 1961).

ტოპონიმი „გორდი“ ლეგენდური წარმოშობისაა: როდესაც დადიანი სანადიროდ ამ მიდამოებში დადიოდა, მდინარის პირას მწვანე გომბეშო შეუმჩნევია, დაუძახნია „გორდი-გორდიო“ („გორდი“ მეგრულად „ბაყაყს“

ნიშნავს), რის შემდეგაც უნდა შეერქმიათ მისთვის ,,გორდი".

ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტთა ნუსხას განეკუთვნება ,,თურჩუს" გამოქვაბული, რომელიც, როგორც აქ არსებული არქეოლოგიური მასალა მოწმობს, ადამიანთა უძველესი დასახლებაა (Feiqrishvili, 2000). ტურისტებისათვის აქ არსებულ ტოპონიმთა სიუხვე მდიდარი კულტურის გაცნობას უზრუნველყოფს.

1905 წლის 24 აპრილს გამოცემულ ჟურნალ ,,მოგზაურში" (№15) დაბეჭდილ სტატიაში ,,სოფ. გორდი (სამეგრელო)" ვკითხულობთ: ,,...აქაურმა გლეხებმა განდევნეს მთავრობისაგან დაყენებული მექრთამე მოხელეები... მათ მაგივრად აირჩიეს ათის თავები და ასისთავები... მათ ბოქაულის დაუკითხავად მაგარი ხიდი გააკეთებინეს".

თუმცა, 1923 წლის 3 ივლისს გაზეთ ,,კომუნისტში" რუბრიკა ,,პროვინციაში" გვამცნობს (ავტორი ს. გეგენავა, სტატია ,,გორდის თემი"): ,,... უმთავრესი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ მართვა-გამგეობის ხელში აღების პირველი დღიდანვე გორდელების საკეთილდღეოდ, იყო გორდის თემის სენაკის მაზრიდან ჩამოწერა და ქუთაისის მაზრაზე მიწერა". ეს ახსნეს ქუთაისთან სიახლოვით. შემდეგ კი აღნიშნავენ, რომ ,,... მომავალში განზრახულია გორდის აგარაკად გამოცხადება". ანუ სურვილი, რომ აქ დასვენების ცენტრი შექმნილიყო, ადრეც არსებობდა.

ამ სოფლის სავიზიტო ბარათს წარმოადგენს დადიანების საზაფხულო რეზიდენცია უმშვენიერესი ტყე-პარკით. ტურისტთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ სასახლის აგების ისტორია. აქ ადრე ხის ორსართულიანი სამონადირეო ქოხი იდგა. დადიანთა რეზიდენციად გადაქცევა უკავშირდება ალექსანდრე ჭავჭავაძის სტუმრობას სიძესთან – დავით დადიანთან, რომელსაც გორდში სასახლის მშენებლობა ურჩია. დავით დადიანმა არქიტექტორ ვასილევის მონაწილეობით სამსართულიანი ციხე-დარბაზი, აბანო და ხელოვნური ტბა გააშენა, აგრეთვე მოაწყო ,,მთავრის წყარო" და ,,დედოფლის წყარო". პარკის მოსაწყობად ავსტრიიდან მოიწვია დეკორატორი, აგრონომი ჟოზეფი, რომელსაც გაშენებული ჰქონდა ზუგდიდის ბაღი. ეკატერინე ჭავჭავაძემ კი მოიწვია იტალიელი აგრონომი გაეტანო ზამბერლენტი, რომელმაც ქვიტკირის გალავნით შემოსაზღვრა 50 ჰა-ზე გადაჭიმული პარკი. აქ ხშირად სტუმრობდნენ პოეტები, საზოგადო მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ალ. ჭავჭავაძე, რუსეთის იმპერატორები ალექსანდრე III, ნიკოლოზ II და მრავალი სხვა.

ეს სასახლე პარკითურთ 1922-1923 წლებში ფოსტად გადაკეთდა, ხოლო იქ არსებული დადიანთა უნიკალური კოლექციები და ,,ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი" 80 ურმით ზუგდიდში გადაიტანეს. შემდგომში აშენდა სკოლა-ინტერნატი 15 ჰა-ზე და 40 ჰა წყალტუბოს სატყეო მეურნეობას გადაეცა.

აქ არსებობს უნიკალური ბოტანიკური პარკი, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი და განაშენიანებული, იშვიათი და წითელ წიგნში შესული ენდემური მცენარეულობა: გინკო, ურთხმელი, ჭაობის ტაქსოდიუმი, კომეტის ფიჭვი, ლირიოდენდრონი, ამერიკული ნეკერჩხალი, ქაღალდის ხე, ცატალპა, აილანტუსი, პავლოვნია და ათეულობით სხვა ჯიშის ხე. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ 1987 წელს გორდის ბაღი საპარკო ხელოვნების რესპუბლიკური მნიშვნელობის ძეგლად გამოცხადდა (Edzgveradze, 1989: №10).

დღეს, როდესაც ტურიზმი საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოფ. გორდში არსებული ბუნებრივი და კულტურული ფენომენების ხარისხობრივი მახასიათებლების წინ წაწევისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების (დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა) ხელშეწყობის მიზნით გორდის ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბება. ყოველივეს უზრუნველსაყოფად კი საჭიროა ტურიზმის ექსპერტების, გეოგრაფების, ბაღურ-პარკური დიზაინის სპეციალისტების მიერ ერთობლივი პროექტის შედგენა. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს:

1. სოფ. გორდის ტურისტული მარშრუტები, ადგილობრივი ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით;

2. ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება გიდ-ექსკურსიამძღოლებად და, აგრეთვე, კერძო სექტორში ტურისტთა მიღება-განთავსების უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით;

3. ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც მისასვლელი გზებისა და ბილიკების მოპირკეთების მიზნით, ასევე ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახიფათო უბნებზე;

4. არსებული ტურისტული ცენტრის პოპულარიზაცია საქართველოს მას-მედიისა და სხვა საერთაშორისო საინფორმაციო და სოციალური ქსელების მეშვეობით.

დასახელებული ღონისძიებების ოპტიმალური რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველოს სინამდვილეში ახალი ტურისტული ცენტრის „გორდის“ დაფუძნებას.

ლიტერატურა:

1. Chekurishvili, 2011 – Chekurishvili, B ., Sheisvenet saqartvelos chanc-qerebtan, gaz. „24 saati“, №150, 11.06, 2011.
2. Edzgveradze, 1989 – Edzgveradze G., Failoze, A., Vin aghadgens gordis parks? zhurn. „Saqartvelos buneba“, №10, 1989.
3. Eliava, 1961 – Eliava, G., Farulava, G., Kirtaze, P., Saritualo-sakulto

adgilebi gordsa da kinchkhashi. okaces kheobis saidumloebani, Tbilisi, 1961.
4. Feiqrishvili, 2000 – Feiqrishvili, M. Qartveluri memkvidreoba, t. IV, Tbilisi, 2000.
5. Gegenava, 1923 – Gegenava, S. Gordis Temi, gaz. „Komunisti“, rubrika: „Provinciashi“, 03. 06, 1923.
6. Maruashvili, 1975 – Maruashvili, L., Okaces kanioni da gordis pleistocenuri tbiuri naleqebi, saqartvelos tsiteli tsigni, Tbilisi, 1975.
7. S. Gordi (Samegrelo), 1905 – S. Gordi (Samegrelo). zhurn. „Mogzauri“, №15, 24. 04, 1905.

Malkhaz Gvinjilia

TOURIST- RECREATIONAL POTENTIAL OF OKATSE GORGE

Summary

The Okatse Canyon is located in the territory of Gordi village. The village belongs to one of the Georgia's beautiful regions – Imereti, Khoni Municipality. The canyon creates a picturesque landscape with 50 meters height waterfall flowing from its top.

It should be noted that the Okatse Canyon is unique, the maximal wideness is 2.55 m and in a certain period it is possible to cross it by a flat bottom boat at distance of 2 kilometers of length and go down from canyon top with a rope.

The tourists interested in a speleotourism can visit the caves „Arsen Oqrojanasvili“ and „Turchi“.

It's interesting to mark the village Gordi's cultural-tourist potential. Many bronze exhibits were found pointing to its rich cultural and historical past. Nearby there is the Dadianis summer residence with various types of unique and rich flora round it.

Involving into natural and cultural resources of tourism it is necessary optimal planning of the territory for introduction and development of tourist routs. All above mentioned questions will stimulate transformation and creation of the Okatse Canyon and the village Gordi as one of the important tourist centres in Georgia.

ფსიქოლოგია
PSYCHOLOGY

ლია სვანიძე

ადამიანთა ქარაქტეროლოგიურ-ტიპოლოგიური თავისებურებანი ნორმასა და პათოლოგიას შორის

ადამიანის ქცევის მრავალფეროვნების აღწერა უკიდურესად რთულია. პიროვნება სრულიად განსხვავებულია საკუთარ თავთან, ოჯახის წევრებთან, ნაცნობ-მეგობრებთან, უფროსთან და უმცროსთან და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენნაირი ნიუანსი არსებობს მის გარე სამყაროსთან და საკუთარ მე-სთან დამოკიდებულებაში.

ადამიანის ქარაქტეროლოგიურ-ტიპოლოგიური კვლევა მეტად ძნელია და ხანგრძლივ დროს მოითხოვს. შესასწავლია მთელი მისი ცხოვრების გზა. გასათვალისწინებელია ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია ადამიანისათვის: სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და სევდა, გამარჯვება და დამარცხება, ნდობა და უნდობლობა, ოცნება და სინამდვილე, მოქმედებისა და განცდის სიძლიერე და სიზუსტე და სხვა მრავალი, ყოველივე, რაც კი ხელმისაწვდომია ადამიანის ირგვლივ და გვამცნობს მისი ცხოვრების გზის შინაარსს, როგორ გაატარა მან თავისი სიცოცხლე – რამდენად ორგანიზებულად, სოციალურად მოწესრიგებულად, შინაგანად შეთანხმებულად, როგორი დამოკიდებულება დაამყარა თავის თავთან და გარემოსთან, რა სახის ღირებულებების რეალიზაციას ისახავდა სიცოცხლის მანძილზე, რას მიაღწია თავისი მოღვაწეობით.

ამ მასალამ შეიძლება გამოავლინოს ადამიანთა სავსებით გარკვეული და ქარაქტეროლოგიურად დიფერენცირებული ტიპები და ქვეტიპები. შეგრძნება და აღქმა, აზროვნება და მეტყველება, მეხსიერება და წარმოსახვა, გრძნობა-ემოციები და ნებისყოფა – ყველა ეს ფსიქიკური პროცესი და თვისება ახასიათებს კონკრეტულ ადამიანს, სუბიექტს, რომელიც შეიმეცნებს ურთიერთობებს, მოქმედებებს, არსებულ სინამდვილეს.

სუბიექტურობა ადამიანის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენს, რომელიც შეიმეცნება საკუთარი თავის რეფლექსიის მეშვეობით. რეფლექსია ხორციელდება სამი მიმართულებით:

– ფიზიკური ინდივიდის მიერ, რომელსაც სხვა ინდივიდებთან ბიოლოგიური ერთობა აერთიანებს – სომატური მე;

– საზოგადოებრივი არსების მიერ, რომელიც სხვა ადამიანთა მსგავსად სოციუმის წევრს წარმოადგენს – სოციალური მე;

– ინდივიდუალური არსების მიერ, რომელსაც საკუთარი ფსიქიკური სამყარო გააჩნია – ფსიქიკური მე.

პიროვნული ურთიერთობები გვევლინება ადამიანის შინაგანი სამყაროს არსებობისა და გამოვლენის სუბსტანციურ ფორმად. ასეთი ურთიერთობების შინაარსს ადამიანის შინაგანი სამყარო წარმოადგენს – მისი განცდები, გრძნობები, განწყობები, მრწამსი და სხვა, ის რაც გაცნობიერებულია სუბიექტის მიერ, როგორც ინდივიდუალური ფსიქიკური მე. განცდები, აღნიშნავდა ს. რუბინშტეინი, არის პირველადი ფსიქიკური აქტი, ინდივიდის საკუთარი სიცოცხლის, სისხლისა და ხორცის ნაწილი, მისი ინდივიდუალური ცხოვრების სპეციფიკური გამოვლენა. განცდას პიროვნული ხასიათი გააჩნია. ადამიანის განცდები არის მისი რეალური ცხოვრების სუბიექტური მხარე, პიროვნების ცხოვრებისეული გზის სუბიექტური ასპექტი.

საოცრად განსხვავებულია ადამიანთა დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენების მიმართ. გენიალურმა შექსპირმა ადამიანური ყოფიერების ფუნდამენტურ მახასიათებელზე – „დროზე“ ბრწყინვალედ გადმოსცა რადიკალურად განსხვავებული თვალთახედვა: „ზოგისთვის ჟამი ნაბიჯებით მოარულია, სხვათათვის რბიან, მესამეთათვის მიჰქრის უწყალოდ, მეოთხეთათვის გაყინულა და დგას უძრავად“.

თანამედროვე პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანების მიერ ურთიერთშეცნობა და, შესაბამისად, ადეკვატური ურთიერთობების დამყარება, რისი წყალობითაც მინიმუმამდე დაიყვანება კონფლიქტური სიტუაციები, უნდობლობის ატმოსფერო და სხვა არასასურველი შედეგები. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა მრავალფეროვნებაში იმ ჯგუფების გამოყოფასა და შესწავლას, რომელთა ფუნქციურ-კონსტიტუციური და ფსიქიკური თავისებურებები არ აკმაყოფილებენ ნორმალურ მდგომარეობას, მაგრამ არც პათოლოგიას მიეკუთვნებიან. მათზე შეიძლება ითქვას – ადამიანთა ჯგუფები ნორმასა და პათოლოგიას შორის.

ჩვენს საუკუნეში საზოგადოებაში საკმაოდ მრავლად არიან აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენლები, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სრულყოფილ ადამიანებზე, რომლებიც არც თუ ისე ხშირად გვხვდებიან ცხოვრების გზაზე. ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს, რომელიც ამბობდა: „სრულყოფილი ადამიანი, თუკი ასეთი არსებობს, არის აღფრთოვანების და არა მეცნიერული კვლევის საგანი“.

ორგანიზმის, როგორც მთელის, ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და ევოლუციურ თავისებურებათა ერთობლიობას, რომელიც მისი რეაქციების ესოდენ სპეციფიკურ რაგვარობას განსაზღვრავს, კონსტიტუციას უწოდებენ. „სხვადასხვა ორგანიზმი რომ თავისი ერთი და იმავე ნაწილის გაღიზიანებას სხვადასხვანაირად უპასუხებს, ეს თითოეული

მათგანის კონსტიტუციით აიხსნება. გამომდინარე აქედან, კონსტიტუცია ფუნქციონალური ცნებაა: იგი ორგანიზმის იმ სასიცოცხლო პროცესების ასახსნელად არის შემოღებული, რომელთა გაგებაც მისი ცალკეული ნაწილების გათვალისწინების ნიადაგზე შეუძლებელი იქნებოდა“ (Uznadze, 1998: 56).

კონსტიტუციას ორგანიზმის თვისებათა ერთობლიობა (ფენოტიპი) განსაზღვრავს, რამდენადაც იგი ინდივიდის თავისებურებას ახასიათებს. ამ მთლიანი ფენოტიპური კონსტიტუციის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დადასტურდეს, როგორც მემკვიდრეობითი ფაქტორებით განსაზღვრული კომპონენტები, ისე გარე ფაქტორებით პირობადებული – პარატიპული კონსტიტუცია (Uznadze, 1998: 58).

ადამიანთა იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც იმყოფებიან შუალედურ მდგომარეობაში, ანუ ნორმასა და პათოლოგიას შორის, ფასდაუდებელი გამოკვლევები შემოგვთავაზეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: დ. უზნაძემ, ს. კორსაკოვმა, ვ. სერბსკიმ, პ. განუშკინმა, ვ. ნორაკიძემ, გ. ლანგემ, ა. ლურიამ, ბ. კარვასარსკიმ, ა. მიასნიკოვმა და სხვებმა.

ციკლოიდების ჯგუფი: კონსტიტუციურ-დეპრესიული

ადამიანთა ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია. მას მიეკუთვნებიან ინდივიდები, რომელთაც სისტემატურად დაქვეითებული აქვთ ხასიათი. სამყარო მათთვის მუდამ ბურუსითაა მოცული, ცხოვრება უაზროდ ეჩვენებათ, ყოველივე „შავ ფერებში“ ესახებათ. ისინი დაბადებიდანავე პესიმისტები არიან. სასიხარულო შემთხვევები მათთვის მოწამლულია „სიხარულის ხანმოკლეობის გამო“. უბედურებისა და სიძნელეების გარდა, მომავლისაგან ისინი არაფერს ელიან, წარსული კი, მრავლად დაშვებული შეცდომების გამო, მუდამ სინდისის ქენჯნას იწვევს მათში. ყოველგვარი უსიამოვნო შემთხვევების მიმართ ძალზე მგრძნობიარენი არიან და მწვავედ რეაგირებენ მათზე. გარდა ამისა, ყოველთვის დიდ ტვირთად აწევთ რაღაც გაურკვევლობა, რომელსაც თან ახლავს შფოთვა, ცუდის მოლოდინი და უბედურების შეგრძნება. ბევრ მათგანს აწამებს სიყმაწვილეში ჩადენილი დანაშაულის გრძნობა. მათი აზრით, ირგვლივ მყოფი ადამიანები ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ და ზემოდან დასცქერიან. ეს აიძულებს მათ, განერიდონ სხვებს და საკუთარ თავში „ჩაიკეტონ“, არიან გულგრილნი და განურჩეველნი მათ ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მიმართ. მუდამ ნაღვლიანები, დარდიანები, უკმაყოფილონი და ნაკლებად მოსაუბრენი, უნებლიეთ თავიდან იშორებენ გარშემომყოფთ ამ უკანასკნელთა კეთილგანწყობის მიუხედავად. მაგრამ ზოგჯერ ამ სევდიანი გარსის ქვეშ სიკეთე, თანაგრძნობის უნარი იმალება, მათ შეუძლიათ გაითავისონ სხვისი სულიერი ტანჯვა-წუხილი, ამიტომ ახლობელთა ვიწრო წრეში ისინი სიყვარულითა და თანაგრძნობით სარგებლობენ და

მაინც, პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩაიკეტებიან თავის თავში და კვლავ დაეუფლებათ მტანჯველი კაეშანი. მუდამ მჭმუნვარე, სევდიანი, უკმაყოფილონი და ჩუმნი, გარეგნობითაც გამოირჩევიან – მათ თავშეკავებას მძიმე დაღი აზის: ჩამოშვებული სახის ნაკვთები, უძლურად დაშვებული ხელები, ნელი სიარული, ძუნწი, მოთენთილი ჟესტები, თითქოს უიმედობის ტალღა მოედინება მათგან. რა სახის საქმიანობითაც არ უნდა იყვნენ დაკავებულნი, სადაც არ უნდა მოღვაწეობდნენ, ისინი მაინც არ არიან კმაყოფილები თავიანთი ხვედრით, აზვიადებენ დაბრკოლებებს, ყველა საქმეში შეცდომებს ხედავენ, რის გამოც უკიდურესი უიმედობა ეუფლებათ. ისინი ადვილად იღლებიან, უნარი არ შესწევთ, დაძაბულობას დიდხანს გაუძლონ, რაც მათ სასოწარკვეთილებაში აგდებს და უსუსურები, უნდობლები ხდებიან. უჭირთ გადაწყვეტილების გამოტანა, მხოლოდ დიდი ძალისხმევით შეუძლიათ ნებისყოფის გამოვლენა, რაც ძალზე ძვირად უჯდებათ, თვალსა და ხელს შუა ეცლებათ ნაძალადევი აქტიურობა და თქვენს წინაშე წარდგებიან შინაგანად დაძაბუნებულ-დაუძლურებული მელანქოლიკები.

კონსტიტუციურ-დეპრესიული ჯგუფის წარმომადგენლები ბავშვობიდანვე იქცევენ ყურადღებას თავიანთი დაფიქრებულობით, არიან მშიშრები, მტირალები და ჭირვეულები. კონსტიტუციურ-დეპრესიული ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ და ნათლად სქესობრივი მომწიფების პერიოდში ვლინდება. ერთი შეხედვით სრულიად ნორმალური ყმაწვილი რადიკალურად იცვლება და გამოიკვეთება უცნაური სახიათი: თუ აქამდე ადამიანი მხიარული, კონტაქტური იყო, გარდატეხის პერიოდში შინაგანი, მწვავე კონფლიქტები ეწყება, იღვიძებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, ცხოვრების არარაობის შეგრძნება, სევდიანობა. ყველა ეს ნიშან-თვისება ამ ჯგუფის ადამიანებს ღრმა სიბერემდე ახასიათებთ. ასეთი ფსიქოპათების ცხოვრების გზა ხშირად უდროოდ წყდება, მთავრდება თვითმკვლელობით, რისთვისაც ისინი ცხოვრების ყოველ მომენტში მზად არიან.

და ბოლოს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღნიშნულ ძირითად ფონზე პერიოდულად წარმოიშობა ფსიქოტიკური აგზნებები, აფეთქებები – მანიაკალური ან დეპრესიული.

კონსტიტუციურ-აგზნებადი

კონსტიტუციურ-დეპრესიულ ინდივიდებთან შედარებით, ფსიქოპათთა ეს ჯგუფი პოლარულად საპირისპიროს წარმოადგენს. ნორმალურ პირობებში ისინი პრაქტიკულად სრულიად ჯანმრთელ ადამიანებს წარმოადგენენ. ცნობილი მეცნიერი კრეპლინი მათ აღწერს, როგორც ბრწყინვალე, მაგრამ არათანაბრად დაჯილდოებულ სუბიექტებს. ისინი გამოირჩევიან ფსიქიკის გასაოცარი მოქნილობითა და მრავალფეროვნებით, აზრთა სიმდიდრით. მათ შორის ხშირად შევხვდებით მხატვრული ნიჭით და-

ჯილდოებულ ადამიანებს, ახასიათებთ სიკეთე და თანაგრძნობა და, რაც მთავარია, მუდამ მხიარულ ხასიათზე იმყოფებიან, სწრაფად რეაგირებენ ყოველგვარ სიახლეზე. ამ ჯგუფის წევრთა დიდი უმეტესობა არის ენერგიული და საქმიანი ადამიანი. ეს ერთი შეხედვით, უფრო ახლო გაცნობის შემთხვევაში კი, ზემოაღნიშნულ დადებით თვისებათა პარალელურად, მათ სულიერ სამყაროში ყურადღებას იპყრობს სხვა სახის თავისებურებანიც: გარეგნული ბრწყინვალება ხშირ შემთხვევაში ზერელობას, მერყეობას, არამყარობას უერთდება, რის გამოც მათ უნარი აღარ შესწევთ, ხანგრძლივად შეაჩერონ ყურადღება ერთსა და იმავე საგანზე. თანაგრძნობა, გულღიაობა ხშირად ზედმეტ, უზომო საუბარში გადადის. ახასიათებთ გართობისაკენ ლტოლვა. ამ ჯგუფის ადამიანებს ახასიათებთ განსაკუთრებული ფანტაზია სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, თუმცა, ამ უკანასკნელს განხორციელება არ უწერია მათი უნებისყოფობის გამო. ასეთ ადამიანებთან შეხვედრა საზოგადოებაში ძალზე სასიამოვნოა, ისინი ხიბლავენ გარშემომყოფთ თავიანთი გულღიაობითა და მჭევრმეტყველებით, მაგრამ, ვინც მათ კარგად იცნობს, მათთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებას თავს არიდებს. გარდა იმისა, რომ მათი დაჯერება არც თუ ისე იოლია, ბევრ მათგანს ძალზე დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, უკმაყოფილოდ უსმენენ ყოველგვარ შენიშვნას, თუ ეს მათ პროექტს ეხება, თავად კი თავს უფლებას აძლევენ აწყენინონ, გული ატკინონ თანამოსაუბრეს, დასცინონ მას. კონსტიტუციურ-აგზნებადი ჯგუფის წარმომადგენლებთან, არსებითად, შეიმჩნევა მკვეთრად გამოხატული ფსიქოპათიური თავისებურებები, რომლებიც თავის დაღს ასვამენ ასეთი ადამიანის მთელი ცხოვრების გზას. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ისინი ყურადღებას იპყრობენ იმით, რომ ნიჭისა და უნარის მიუხედავად, კარგად მაინც არ სწავლობენ. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, ასეთი ადამიანები უკიდურესად თავხედები არიან და, გამოდიან რა მართვის შესაძლებლობიდან, სიცელქესა და თვითნებობაში ბადალი არ ჰყავთ, ამხანაგებსა და თანატოლებში ლიდერის ადგილი უკავიათ. თავიანთი ფსიქოპათიური თავისებურებების გამო მამაკაცებს ძალზე უძნელდებათ სამხედრო სამსახურში ყოფნა, ხშირად არღვევენ დისციპლინას და საკადრის სასჯელსაც იღებენ, რაც მათ მომძლავრებულ პატივმოვარეობას დიდ ზიანს აყენებს.

ნაადრევად გამოღვიძებულ სქესობრივ ლტოლვას ისინი მრავალრიცხოვან ეროტიულ ექსცესებამდე მიჰყავს, რაც მძიმე დაღს ასვამს მათ ჯანმრთელობას. ხშირად ისინი ალკოჰოლის გავლენის ქვეშაც ექცევიან. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ამ ტიპის ადამიანები იშვიათად აღმოჩნდებიან ცხოვრების წუმპეში. თავიანთი ნათელი გონების წყალობით, ისინი იოლად აღწევენ თავს ყველაზე უმძიმეს მდგომარეობასაც კი, ავლენენ გასაოცარ გამჭრიახობასა და სიმარდეს. მომწიფების ასაკში მათი ცხოვრების გზა არ არის სწორხაზოვანი და ზიგზაგებით მიდის

– ციცაბო აღმართით დაწყებული, მკვეთრი დაღმართით დამთავრებული. ბევრი მათგანი განუზომლად დიდ წარმატებებს აღწევს – გონებამახვილი, ბრწყინვალე ორატორები, გამომგონებლები, წარმატებული დიპლომატები, გაქნილი თაღლითები და სხვა. ისინი უმტკივნეულოდ აღწევენ საზოგადოებრივი იერარქიის უმაღლეს საფეხურებს, მაგრამ მათი შენარჩუნება უძნელდებათ არასერიოზულობისა და თავშეუკავებლობის გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკული საქმიანობის დროს ყოველთვის როდი გამოირჩევიან ზნეობრივი სიფაქიზით – მათთვის დამახასიათებელი სიმსუბუქის წყალობით ძალზე იოლად გადადიან ზღვარს ნებადართულსა და აკრძალულს შორის და,რაც მთავარია,მჩქეფარე ტემპერამენტი უბრალოდ ნებას არ აძლევთ, ხანგრძლივად გაძლონ კანონიერებისა და მორალური ნორმების ვიწრო ჩარჩოებში. მათ სწყურიათ თავგადასავლები და სარისკო საქმეები, ხშირად ებმებიან უდიდეს მაქინაციებში. მოზღვავებული ენერგია თავისუფალი, შეუბორკავი ცხოვრებისაკენ იზიდავს. ამ ტიპის ადამიანები გამოირჩევიან უცოდველი სიცრუითა და მკვეხარობით, რაც დაკავშირებულია საოცარ წარმოსახვასთან, გრანდიოზულ გამოგონებებთან, გაუგონარ ფანტაზიებთან (ისინი ახლოს დგანან ,,პათოლოგიურ მატყუარებთან“).

შედარებით უცოდველები არიან, აგრეთვე, ყბედ-ენაჭარტალათა ტიპები. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ზედმეტი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული აგზნებადობა, სახეზეა ,,აუტანელი მოკამათეები“, რომლებმაც თითქოს ყველაფერი იციან სხვებზე უკეთ, არ გააჩნიათ მოსმენის უნარი და ვერ იტანენ შენიშვნებს. შეუკავებელი ბოლმისა და ბრაზიანი აფეთქებების გამო ხშირად გამოდიან მწყობრიდან. ეს ადამიანები განდიდების მანიით არიან შეპყრობილნი. გადაჭარბებული თვითშეფასების გამო სრულიად დაუმსახურებელ პატივისცემას, დაფასებასა და ზედმეტ უფლებებს მოითხოვენ. თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, თავგამოდებით იბრძვიან თავიანთი უფლებების დასაცავად. ამ ბრძოლაში არაფერს ერიდებიან და უკან არაფერზე იხევენ. გამოდიან რა წონასწორობიდან, ანგარიშს ვეღარ უწევენ საზოგადოებრივ აზრსა და ზნეობრივ ნორმებს, იქცევიან სასტიკად, გამომწვევად, უხეშად, ხმამაღლა ამბობენ სალანძღავ სიტყვებს და შეურაცხყოფას აყენებენ მოწინააღმდეგეს. ვერც კი ამჩნევენ თავიანთი ქცევის შეუფერებლობას, დაუსაბუთებლად მიმართავენ მართლმსაჯულების ორგანოებს, რასაც თან ახლავს კანონგარეშე ქმედებანი. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებს ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე უშლის ხელს გაუწონასწორებელი, აღგზნებული მდგომარეობა.

ციკლოტომიკები

ამ ტიპის ადამიანები გაცილებით ხშირად გვხვდებიან ცხოვრებაში,

ვიდრე ზემოაღნიშნული ფსიქოპათები. ისინი გამოირჩევიან აგზნებადობა-დეპრესიისა და დეპრესია-აგზნებადობის ტალღისებური ცვლილებებით. დეპრესიისა და აგზნებადობის ასეთი რხევადობა, ჩვეულებრივ, სქესობრივი მომწიფების ასაკში იღებს სათავეს, რაც ხშირად სულიერი წონასწორობის მნიშვნელოვან დარღვევას იწვევს. მხიარული, ცქრიალა, სიცოცხლით სავსე ყმაწვილები სწორედ ამ ასაკში გარდაიქმნებიან მელანქოლიურ, დაბეჩავებულ, პესიმისტურად განწყობილ გოგო-ბიჭებად. ზოგჯერ საპირისპირო მდგომარეობასაც ვხვდებით – სქესობრივი მომწიფება იწვევს ინდივიდის მოულოდნელ „გაფურჩქვნას". იგი ავლენს ბრწყინვალე, საუცხოო თვისებებს. ჩვენს თვალწინ უეცრად წამოიმართება ენერგიით სავსე, თავბრუდამხვევი სილამაზის ყმაწვილი, რომელიც დიდი იმედების მომცემია. მაგრამ შემდგომ იწყება ერთი მდგომარეობის პერიოდული შეცვლა მეორე მდგომარეობით. ზოგჯერ იგი თითქოს წლის პერიოდებთან არის დაკავშირებული, უფრო ხშირად კი – გაზაფხულსა და შემოდგომასთან. ამავე დროს, აგზნების მდგომარეობა, ჩვეულებრივ, სუბიექტურად აღიქმება, როგორც სრული ჯანმრთელობისა და შესაძლებლობების გაფურჩქვნის პერიოდი. დეპრესიის შემოტევა (მაშინაც კი, როდესაც იგი სუსტად არის გამოხატული) მეტად მძიმედ და ავადმყოფურად განიცდება, რასაც თან ახლავს სომატური აშლილობანი, შრომისუნარიანობის დაქვეითება, შებოჭილობა, ანგარიშმიუცემელი სევდა, მძიმე კაეშანი, რის გამოც ისინი შველას ექიმებთან ეძებენ. ამ ტიპის ადამიანებთან ამაღლებული მდგომარეობა ადვილად კარგავს უღრუბლო, სასიხარულო შეფერილობას. სულიერი წონასწორობის ხშირი ცვლა ქანცავს ადამიანს, იწვევს შინაგანი დაძაბულობის გრძნობას. ასეთ მდგომარეობაში იგი სისტემატურად ელოდება ახალი ფაზის მოახლოებას. ციკლოტომიკებს მხიარული, კარგი ხასიათი ასაკში შესვლის პერიოდში მკვეთრად ეცვლებათ ღვარძლიანი, აგრესიული, ჭირვეული, დაღვრემილი მდგომარეობით. ციკლოტომიკებში მკაფიოდ იკვეთება რადიკალურად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის ელემენტთა თანაარსებობა. მაგალითად, ამაღლებულ ხასიათზე, აგზნებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან შეიძლება შევამჩნიოთ მძიმე დარდი და, პირიქით, დეპრესიული მდგომარეობის დროს იუმორის მოზღვავება დავინახოთ. კრეჩმერი აღნიშნავდა, რომ ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ფსიქოპათების სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთანაც, კერძოდ, შიზოიდებსა და ეპილეპტოიდებში.

ემოციურ-ლაბილური (რეაქტიულ-ლაბილური) ფსიქოპათები

როგორც აღინიშნა, ციკლოტომიკებთან ხშირად ხდება ხასიათის რხევადობა, ზოგჯერ დღის განმავლობაშიც კი. ეს სუბიექტები გაოცებას იწვევენ ხასიათის ესოდენ ჭირვეული ცვლილებებით, რომელიც ყოველგვარი მიზეზის გარეშე გადადის ერთი უკიდურესობიდან მეორეში. ციკ-

ლოტომიკებთან ძალზე ახლოს დგას ფსიქოპათების ჯგუფი, რომელთანაც თვალნათლივ არის გამოკვეთილი ემოციური მერყეობა. ეს არამდგრადობა მათ ხასიათს რაღაც სინაზისა და სინატიფის ელფერს ანიჭებს, ბავშვურ, გულუბრყვილო შეხედულებას აძლევს, რითაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ გარშემომყოფებზე. უმეტესად ესენი არიან მხიარული, გულღია, მიამიტი ადამიანები, მაგრამ იმავდროულად – ჭირვეულებიც: სულ მცირეოდენი უკმაყოფილებაც კი აქვეითებს მათ სულიერ განწყობილებას და ღრმა სევდას განაცდევინებთ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს არ არის ხანგრძლივი მდგომარეობა. საკმარისია ასეთ სუბიექტს ამცნოთ რაიმე ახალი, საინტერესო ამბავი, ან დააკმაყოფილოთ მისი პატივმოყვარეობა, რომ იგი მაშინვე გაიბადრება, კვლავ ხდება ენერგიული, სიცოცხლით სავსე. ემოციების ესოდენ სწრაფი ცვლილებების მიზეზი იმდენად მცირედი და შეუმჩნეველია, რომ ჩვეულებრივი ადამიანებისათვის არაფერს არ წარმოადგენს. მათზე მტკივნეულად მოქმედებს უხეშად ნათქვამი სიტყვა, უსიამოვნო მოგონებანი, მოლოდინი და ისეთი წვრილმანები, რომლებიც სუბიექტმა შეიძლება ვერც კი გააცნობიეროს, ვერ გაერკვეს, რამ გამოიწვია მისი სევდა და დარდი, რამ გამოიწვია მისი განრიდება იმ სასიამოვნო სიტუაციიდან, სადაც ახლახანს ასე მხიარულად ატარებდა დროს. ამ ჯგუფის ადამიანებს თავიანთი ,,კარგი'' და ,,ცუდი'' დღეები აქვთ. ,,კარგი'' დღეების არსებობის დროს მათზე მნიშვნელოვანი უსიამოვნებაც კი ვერ ახდენს მავნე ზემოქმედებას და მშვიდად იტანენ მღელვარე მომენტებს, მაშინ, როდესაც ცუდ დღეებში სულ მცირეოდენი მიზეზიც კი საკმარისია მათი წყობილებიდან გამოსვლისათვის, დიდი სევდისა და დარდისათვის. ამ დროს ისინი უკიდურესად აგზნებულნი და აგრესიულნი არიან. ეს ყოველივე ამ ფსიქოპათების ხასიათის ძირითად თვისებებსაც კი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანთა ხასიათში არის ზერელე, მსუბუქი შეფერილობა, მათ უნარი შესწევთ, ღრმად და მძიმედ განიცადონ ახლობელი ადამიანების დაკარგვა ან გასაჭირი, ეს მათთვის დიდი სულიერი ტრაგედიის მიზეზი ხდება.

ზემოთ აღწერილ ინდივიდთა გარდა, კიდევ არიან მათგან განსხვავებული თვისებების ემოციურ-ლაბილური პიროვნებები. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში მშვიდნი და ზომიერები არიან, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში ზედმეტად ფრთხილები და მღელვარენი ხდებიან. კარგად აწყობილ, მოწესრიგებული ცხოვრების პირობებს საუკეთესოდ ეგუებიან, მაგრამ ისეთ პირობებში, როდესაც საჭიროა სწრაფი რეაგირება, გადაწყვეტილების სწრაფად გამოტანა, ისინი იბნევიან, წონასწორობას კარგავენ, ღელავენ და უცნაური რეაქციები ეუფლებათ.

ისტერიული ჯგუფები

ისტერიული ჯგუფის ადამიანთა ფსიქიკის ძირითად თავისებურებად

გვევლინება: 1. გარშემომყოფთა ყურადღების მიპყრობის დაუოკებელი სურვილი, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს. 2. არაობიექტურობა, როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის მიმართ (რეალური სინამდვილის დამახინჯება). ცნობილი ფსიქოლოგი და მედიკოსი კ. იასპერსი, აერთიანებს რა ორივე თავისებურებას, იძლევა ისტერიული ტიპის მოკლე და ნათელ განმარტებას: დაუოკებელი მისწრაფება, აჩვენოს გაცილებით მეტი, ვიდრე ეს არის სინამდვილეში. ისტერიული ჯგუფის ადამიანთა უმრავლესობა სხვების ყურადღებას იპყრობს თეატრალურობით, გაცვეთილი გამოთქმებით, ანეკდოტებით, მიმბაძველობით, ფანტაზიებითა და სხვ. თავის წარმოსაჩენად ისინი არაფერს ერიდებიან. ხელსაყრელ პირობებში მათ ბრწყინვალედ შეუძლიათ შესაბამისი როლის შესრულება, არიან საუკეთესო ორატორები, რომლებიც წარუშლელ ზემოქმედებას ახდენენ მსმენელზე, თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე იპყრობენ ხალხის ყურადღებას და შეუძლიათ მათი აყოლიება. საკმარისია დარწმუნდნენ, რომ ყურადღების ცენტრში იმყოფებიან, მათ უნარი შესწევთ, იმოქმედონ თავგანწირვით. ისტერიული პიროვნებების ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ გააჩნიათ გრძნობათა სიღრმე, ღრმა შინაარსი, რომ ხანგრძლივი დროით მიიზიდონ თაყვანისმცემლები. მათი ემოციური ცხოვრება მეტ-ნაკლებად არამდგრადია, გრნობები – ზერელე, ურთიერთობები – არამყარი, ინტერესები – ცვალებადი, ცალმხრივი. მათ უნარი არ შესწევთ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაძაბონ ნებისყოფა რაიმე მიზნის მისაღწევად, თუ ეს მიზანი მათ არ ჰპირდება დაფნის გვირგვინს და გარშემომყოფთა აღტაცება-აღფრთოვანებას. უმეტესად ეს სუბიექტები მოწიფულობის ასაკშიც კი ვერ აღწევენ სულიერ დაბრძენებას. პირველი შეხვედრისას აღნიშნული ინდივიდები მომხიბვლელ ზემოქმედებას ახდენენ: არიან შემპარავნი, ლმობიერები; მათი აზროვნებისა და ხასიათის ჭირვეული ცვალებადობა ადამიანზე რაღაც ბავშვურ, გულუბრყვილო, უშუალო ზემოქმედებას ახდენს, ხოლო პრინციპულ საკითხებში მყარი მრწამსის უქონლობა დამთმობი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხოლო შემდგომ, დროთა განმავლობაში, თავს იჩენს უარყოფითი თვისებები – უპირველეს ყოვლისა, არაბუნებრიობა და სიყალბე. ყოველი ქცევა, ყოველი ჟესტი, ყოველი მოძრაობა გათვლილია მაყურებელთათვის, მათზე ეფექტის მოხდენისათვის. რადიკალურად განსხვავებულია მათი ქცევა ოჯახში, ახლობლებთან და უცხო ადამიანებთან. გარემო პირობების ცვალებადობასთან ერთად იცვლება მათი ზნეობრივი და გონებრივი სახე. ამ ადამიანებს გააჩნიათ ორიგინალურობის პრეტენზია, მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებენ, მაშინ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ყურადღების მისაპყრობად. ეშინიათ რა სხვისი უპირატესობის, ისტერიული ადამიანები იტანჯებიან შურითა და ეჭვიანობით. თუ მათ მეტოქესთან მოუხდათ შეჯახება, შესაძლებლობას არ გაუშვებენ, სასტიკად დაამცირონ იგი და

ამით აჩვენონ თავიანთი უპირატესობა. ეს სუბიექტები არასოდეს აღიარებენ თავიანთ შეცდომებს – „არაფერში არ მიუძღვით ბრალი...“, გულში ინახავენ უსიამოვნო განცდებს და ყოველთვის ცდილობენ სამაგიეროს გადახდას. ისტერიული ტიპები ბრწყინვალედ გრძნობენ თავს კონფლიქტურ სიტუაციაში, დებოშის, აყალ-მაყალის ატმოსფეროში. სულიერი მოუმწიფებლობა მათ არ აძლევთ შესაძლებლობას, აღზრდის მეშვეობით სრულყოფილად გამოავლინონ თავიანთი უნარი და ამ გზით მიაღწიონ წარმატებას. ამიტომ ისინი არ ზოგავენ ძალებს, მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, რათა ზემოქმედება მოახდინონ ადამიანებზე და ნებისმიერ ფასად მიაღწიონ პრივილეგირებულ მდგომარეობას. ცნობილი მედიკოსი და ფსიქოლოგი ვ. პ. სერბსკი საგანგებოდ მიუთითებს ისტერიული ტიპის ინდივიდთა ემოციური ცხოვრების ინფანტილურ აგებულებაზე და ეს მიაჩნია არა მხოლოდ მათი ემოციების უკიდურესი ზერელობის, არამედ მათი განცდების არასერიოზულობის ძირითად მიზეზად. ისტერიული ხასიათის ადამიანთა ფსიქიკური ცხოვრების ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილი ზერელე შთაბეჭდილებებს უკავია. ისინი არ არიან ჩაღრმავებულები თავიანთ შინაგან განცდებში. ეს ადამიანები მიმდინარე მოვლენების ცენტრში იმყოფებიან, მაგრამ მათი რეაქციები გარესამყაროს მიმართ მეტად თავისებურ და უკიდურესად შერჩევით ხასიათს ატარებს – საგანთა გარკვეული ჯგუფი ზედმიწევნით მკაფიოდ, ფაქიზად და ნათლად აღიქმება და დიდი ხნით ფიქსირდება მათ ცხოვრებაში ნათელი სახეებისა და წარმოდგენების სახით, ხოლო დანარჩენები საერთოდ არ არსებობენ მათთვის, არავითარ კვალს არ ტოვებენ ფსიქიკაში. გარესამყარო ამ ინდივიდებისათვის თავისებურ, უცნაურ კონტურებს წარმოადგენს, მათთვის ობიექტური კრიტერიუმები არ არსებობს, არ არსებობს დროისა და სივრცის ფარგლებიც – ისინი არ არიან შებოჭილები ამ ფაქტორებით. ისტერიკებთან გარე სამყაროსთან მიმართება საოცრად ცვალებადია: ზოგი რამ ღვთაებრივია, მისკენ მიილტვიან, ნათლად აღიქვამენ, ხოლო ყოველივე დანარჩენი თითქოს საერთოდ არ არსებობს. ერთ შემთხვევაში მოსიყვარულე, ლმობიერი, თბილი პიროვნება სხვა შემთხვევაში – ულმობელი, მკაცრი და ვერაგია. ჯიუტი, არაფრის დამთმობი, გარკვეულ ვითარებაში დამჯერი, თვინიერი და გამგონეა. სუსტი და უძლური, უშრეტ ენერგიასა და გამძლეობას ავლენს. ისტერიული ხასიათის ადამიანთა ქცევის შედეგები ნათლად მეტყველებს მათი მოქმედების სრულ ანარქიულ ხასიათზე, სადაც ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

პათოლოგიური მატყუარები

ისტერიული ხასიათის ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან პათოლოგიური მატყუარები, რომლებთანაც დაუოკებელი მოთხოვნილება – მი-

იპყრონ სხვების ყურადღება, თავიანთი ბრწყინვალებით თავბრუ დაახვიონ სხვა ადამიანებს, შერწყმულია ზედმიწევნით აღგზნებულ, მდიდარ ფანტაზიასთან და მორალურ დეფექტებთან. ასეთ სიმბიოზურ შენაერთს კრეპელინმა უხეშად ,,მატყუარებისა და თაღლითების“ ჯგუფი უწოდა. ხშირად ადამიანთა ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ინდივიდები, რომლებიც ძალზე ნიჭიერები არიან – სწრაფად ითვისებენ ყოველგვარ სიახლეს, აქვთ ბრწყინვალე მეტყველება. მათ უნარი შესწევთ, თავის სასარგებლოდ გამოიყენონ რისი შესაძლებლობაც გააჩნიათ. ერთი შეხედვით, ეს პირები ძალზე განათლებულნი და განსწავლულნი ჩანან, მაგრამ სინამდვილეში მათი ცოდნა ზერელე ენციკლოპედიური და პოპულისტურია. ბევრ მათგანს მხატვრული და პოეტური მიდრეკილებები გააჩნია – თხზავენ ლექსებს, ხატავენ, უყვართ მუსიკა, მოსწონთ თეატრი. ადვილად ამყარებენ კონტაქტს უცნობ ადამიანებთან, შეუძლიათ თავის ღირსეულად დაჭერა, არიან მოქნილები, დახვეწილები, ზრუნავენ საკუთარ გარეგნობაზე. მათ ბედნიერებას ანიჭებს სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა. ცდილობენ, თავიანთი უპირატესობა წარმოაჩინონ სხვების წინაშე. ამ ადამიანებს არ გააჩნიათ თავმდაბლობა, თავშეკავების უნარი, მათთვის უპირველესია საკუთარი ინტერესები. პათოლოგიური მატყუარებისათვის სულიერი მისწრაფებები უკანა პლანზეა გადატანილი. საქმიანობა, რომელიც აკურატულობასა და თანმიმდევრობას მოითხოვს, ამ ჯგუფის ადამიანებისათვის საძანჯველია. მათ აზროვნებას, – აღნიშნავს კრეპელინი, – აკლია გეგმაზომიერება, წესრიგი, შინაგანი ურთიერთკავშირი, მსჯელობის დასრულებული, დახვეწილი ფორმა, სიდინჯე და სერიოზულობა. ცხადია, ამ სუბიექტებიდან არ უნდა ველოდოთ ზნეობრივ სიმტკიცესაც. ისინი იმდენად ზედაპირულნი არიან, რომ ღრმა განცდების უნარი არ შესწევთ, არიან ჭირვეულები. ჩვეულებრივ, არც ამყარებენ სერიოზულ ურთიერთობებს ადამიანებთან. მათთვის უცხოა მოვალეობის გრძნობა.

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა ყველაზე მანკიერ თვისებას წარმოადგენს მათი პათოლოგიური მატყუარობა. მათ ტრაბახის დაუოკებელი მისწრაფება გააჩნიათ, სურთ ბრწყინვალედ წარმოჩენა, რისთვისაც ლამაზად შეფერილ დეტალებსა და უკიდურესად შელამაზებულ ფანტაზიას იყენებენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს გადაულახავი და მათთვის ხშირად საზიანო სურვილი – იცრუონ. ისინი ცრუობენ ოსტატურად, მჭევრმეტყველურად, ზოგჯერ თვითონვე ერთობიან ამ ტყუილით. ყველაზე ხშირად მათი გამონაგონი საკუთარ პიროვნებას ეხება – სიამოვნებით ყვებიან თავიანთ მაღალ წარმოშობაზე, თავიანთ ურთიერთობებზე მაღალი წრის წარმომადგენლებთან, იმ მნიშვნელოვან თანამდებობებზე, რომლებიც მათ ეკავათ, ან უკავიათ. მათ უმდიდრესი წარმოსახვის უნარი გააჩნიათ, რაც შესაძლებლობას აძლევთ ბრწყინვალე ფერებში დახატონ და გადმოსცენ არარსებული სასახლეები, აგარაკები

და მათი ჩვენებაც კი შესთავაზონ მსმენელს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინდივიდთა ტყუილი ყოველთვის როდია ბავშვური, გულუბრყვილო და უვნებელი. ბევრი მათგანი ცრუობს ანგარებით და თავის სასარგებლოდ იყენებს ამ ტყუილს. ასეთთა შორის არიან მრავალრიცხოვანი თაღლითები, რომლებიც თავის პიროვნებას წარმოადგენენ ინკოგნიტოდ, მნიშვნელოვან ადამიანებად, გამორჩენის მიზნით ითვისებენ ექიმის, იურისტის, პედაგოგისა და სხვა პრესტიჟულ პროფესიებს. მატყუარების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი – შულერები, ყალთაბანდები, თაღლითები, ყალბი დოკუმენტების მკეთებლები, გაიძვერები, ქურდ-ბაცაცები უმოწყალოდ ატყუებენ გულუბრყვილო ადამიანებს და სძალავენ ფულს, ძვირფას ნივთებსა და სხვა ღირებულებებს. გასაოცარია მათი თავდაჭერა: ცრუობენ ისე დამაჯერებლად, უსირცხვილოდ, რომ იშვიათად შეეპარება ვინმეს ეჭვი მათ პატიოსნებაში. მაგრამ, თუ ვინმე მიუხვდა თაღლითობას, ისე ოსტატურად დააღწევს თავს ტყუილს, რომ აღფრთოვანებას იწვევს მაყურებლებში. ზოგი მათგანი მაშინაც კი ნირშეუცვლელად აგრძელებს სიცრუეს, როცა ,,გამოჭერილია“ ტყუილში და მაქსიმალურად ცდილობს მდგომარეობიდან უვნებლად გამოსვლას, თუმცა, ვერ უძლებენ ხანგრძლივ გამოცდას და აღიარების შემდეგ სრულიად უსუსურნი ხდებიან, ეკარგებათ მოგონილი ღირსებები, თქვენ წინაშე სრულიად სხვა, მოტეხილი და განადგურებული ადამიანი დგას. პათოლოგიურ მატყუარებში სიცრუე პიროვნების ყველა დანარჩენ თვისებას ჩრდილავს და თვითონ გამოდის დომინირებულ ფაქტორად ყოველგვარ მის მოქმედებაში.

მერყევი-არამდგრადი ფსიქოპათების ჯგუფი

მერყევ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებიან სუბიექტები, რომელთაც არ გააჩნიათ სულიერი სიღრმე და გამოირჩევიან სუსტი ხასიათით. ისინი ადვილად ექცევიან გარემოს ზეგავლენის ქვეშ, იზიდავთ იმ ადამიანთა წრე, რომელთა ქცევებიც, ზნე-ჩვეულებებიც მოსწონთ (განსაკუთრებით, უარყოფითი). ეს ადამიანები ადვილად ხდებიან ალკოჰოლიკები, კარტის მოთამაშეები, გამფლანგველები, ნარკომანები, ყალთაბანდები, რის გამოც მოკლე დროში საზოგადოების ,,ფსკერზე“ აღმოჩნდებიან. უმეტესწილად მათ სერიოზული ინტერესები, ღრმა მიჯაჭვულობა არ გააჩნიათ, არ ჰყავთ პატიოსანი მეგობრები. ამ ჯგუფში საკმაოდ ბევრია კარგი მოსაუბრე, კონტაქტური ადამიანი, არ უყვართ მარტოობა და ადვილად ეუფლებათ მოწყენილობა. რაც შეეხება შრომას, ეს მათთვის ჩვეულებრივ საქმეს წარმოადგენს. ეს პირები კვალდაკვალ მიჰყვებიან საშუალო დონის ადამიანებს და არაფრით გამოირჩევიან მათგან – არც თავისი გონებრივი შესაძლებლობებით, არც ინტერესებით და ზნეობრივი თავისებურებებით. პერიოდულად ეს სუბიექტები უკმაყოფილების გრძნობას იწვევენ გარშემომყოფებში თავიანთი მოუწესრიგებლობით, უდისციპლინობით, არააკუ-

რატულობით, განსაკუთრებით კი, სიზარმაცით. მათ, შეიძლება ითქვას, ,,ჯოხით უნდა ადგეთ თავზე", ან სულ უნდა აქოთ და ადიდოთ. ისინი ძალიან ადვილად ექცევიან შთაბეჭდილებების ქვეშ, მაგრამ ასევე ადვილად ეუფლებათ განურჩევლობის გრძნობა. ხშირად არ ამთავრებენ დაწყებულ საქმეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავის ნებაზე არიან მიშვებულნი. მერყევი-არამდგრადი ფსიქოპათების ტრაგედია იმაშიც გამოიხატება, რომ მათზე უკიდურესად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ნარკოტიკული საშუალებები და სპირტიანი სასმელები – ხდებიან უმართავნი, თვალსა და ხელს შუა კარგავენ ადამიანურ სახეს. სიფხიზლეში სასიამოვნო მოსაუბრე, კეთილი, დამთმობი, ხდება სასტიკი, უხეში, თავხედი, მოურიდებელი ეგოისტი, უფრო მეტიც – უსულგულო, ერთ დღეში შეიძლება დახარჯოს მთელი დანაზოგი, გაყიდოს საოჯახო რელიქვია და ა.შ. მდგომარეობიდან გამოსვლის, გამოფხიზლების შემდეგ ეს პიროვნება განიცდის და ნანობს თავის საქციელს, ადანაშაულებს საკუთარ თავს, რის გამოც უნებლიეთ იწვევს თანაგრძნობას, დახმარების სურვილს, მაგრამ ასეთი თანაგრძნობა იშვიათად იძლევა სასურველ შედეგს. საკმარისია ეს პიროვნება მიუშვათ თავის ნებაზე, რომ იგი კვლავ ,,ფსკერზე" აღმოჩნდება – ყველაფერს გაყიდის, ოჯახს გააღატაკებს, ბანქოს თამაშში წააგებს, ნარკოტიკებს იყიდის, საშინელი სენით დაავადდება და ა. შ. მხოლოდ სისტემატური ზედამხედველობისა და მფარველობის შემთხვევაშია შესაძლებელი ამ ინდივიდთა ადამიანური სახის შენარჩუნება. მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანის კონტროლქვეშ შეუძლია აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელს იარსებოს ნორმალურად და საზოგადოებასაც სარგებლობა მოუტანოს. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად წარმართულ ფსიქოთერაპიას, თვითმართვის მიღწევას.

სოციალურ-ფსიქოპათთა ჯგუფი

არსებობენ ფსიქოპათები, რომელთა მთავარ, თვალშისაცემ თვისებად გვევლინება მკაფიოდ გამოხატული მორალური დეფექტები, ემოციური სიჩლუნგე. მათ მაქსიმალურად აქვთ დაქვეითებული (ზოგჯერ, საერთოდაც არ გააჩნიათ) სოციალური ემოციები: სიმპათია სხვა ადამიანთა მიმართ და საზოგადოების წინაშე მოვალეობის გაცნობიერების უნარი. ამ ჯგუფის ადამიანებისათვის უცხოა პატიოსნებისა და ღირსების გრძნობა. ისინი გულგრილნი და ინდიფერენტულნი არიან როგორც შექების, ისე გაკიცხვის მიმართ. ვერ ეგუებიან ადამიანთა თანაცხოვრების წესებს. ძირითადად არიან მატყუარები, რათა კარგად შენიღბონ თავიანთი ამორალური ინსტინქტები და განზრახვები. სიზარმაცისა და უუნარობის გამო რაიმე საქმიანობას ვერ ასრულებენ რეგულარულად. ამ სუბიექტებს არ გააჩნიათ ღრმა და სერიოზული სულიერი ინტერესები, მაგრამ გამოირჩევიან გრძნობადი სიამოვნების მიღების დიდი სურვილით. ამ ჯგუფის წევრთა

უმრავლესობა არის ტკბილეულის, ჭამა-სმის მოყვარული, ამორალური. მათ ბუნებაში მკვეთრად ჩანს ულმობელი, უსულგულო თვისებები, არიან უხეშები და ბოროტები. ბავშვობიდანვე ავლენენ თავიანთ მისწრაფებებს: შეუბრალებლად აწვალებენ და ტანჯავენ ცხოველებს, უხეშად ექცევიან მშობლებსა და ახლობლებს, არ გააჩნიათ სიახლოვის, ნათესაური გრძნობები. რაღაც უმნიშვნელო გაუგებრობის გამო შეუძლიათ დალეწონ ჭურჭელი, ფანჯრები, დაამტვრიონ ავეჯი, ხმამაღლა უშვერი სიტყვებით დაიწყონ გინება, შეურაცხყოფის მიყენება. ყოველივე ამას ისინი აკეთებენ არა აფექტურ მდგომარეობაში, ან უკიდურესად გაღიზიანებულები, არამედ იმ მიზნით, რომ სულიერი, ძლიერი გულისტკივილი მიაყენონ სხვა ადამიანებსა და თავის ახლობლებს. მათ ხშირად ეუფლებათ სიძულვილის, სამაგიეროს გადახდის სურვილი იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ, ზნეობრივი ნორმების ჩარჩოებში ჩააყენონ ეს სუბიექტები. ასეთ ადამიანებად გამოდიან ძირითადად მშობლები, დედ-მამიშვილები, რომლებიც იძულებულნი არიან, მკაცრად მოექცნენ მათ და ჭკუა ასწავლონ. ასეთი დამოკიდებულება სოციალურ ფსიქოპათებში ზიზღს, სიძულვილსა და ზოგჯერ მკვლელობის სურვილსაც იწვევს. თავისუფლების შეზღუდვას ეს ინდივიდები ძალზე მტკივნეულად განიცდიან და, როგორც წესი, ადრე ტოვებენ მშობლიურ სახლ-კარს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ მათ არ გააჩნიათ ახლობელთა მიმართ სიყვარულის, მოჯაჭვულობის გრძნობა, ისინი მიდიან, შორდებიან თავიანთ ფუძეს, რათა მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინონ თავიანთი მანკიერი მიდრეკილებები.

ფსიქოპათთა ამ ჯგუფს ავსებენ ძალზე მრავალრიცხოვანი სუბიექტები, რომლებსაც ახასიათებთ ყველა ზემოაღწერილი თვისება – უხეშობა, დაუნდობლობა, ბოროტება და სხვ. მათ შორის არიან უსულგულო რეზონიორებიც, შიზოიდების მონათესავე ინდივიდები, რომელთაც კარგი, მოქნილი აზროვნება გააჩნიათ და მუდამ მზად არიან გაამართლონ, ახსნან თავიანთი უცნაური ქცევა.

კონსტიტუციონალურ-შეზღუდულთა ჯგუფი

ის ინდივიდები, რომლებიც ამ ჯგუფში შედიან, კარგად სწავლობენ, საუკეთესო მეხსიერება აქვთ, მაგრამ თავიანთ ცოდნას ცხოვრებაში პრაქტიკულად ვერ იყენებენ. სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში, როდესაც ინიციატივა უნდა გამოავლინონ, სრულიად უსუსურნი ხდებიან და მძიმე სიტუაციაში ვარდებიან. საზოგადოებაში თავდაჭერილები არიან, საუბრობენ, ძირითადად, ამინდზე, შაბლონურ, ბანალურ საგნებზე, ვერავითარ ინიციატივას ვერ ავლენენ. ეს ადამიანები კარგად უძღვებიან ცხოვრებას მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებულ და დახვეწილ სიტუაციაში, როდესაც კეთილდღეობა გარანტირებულია. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისეთი პრიმიტიული ადამიანებიც,

რომელთაც არ გააჩნიათ დიდი სულიერი მოთხოვნილებები, სამაგიეროდ კარგად იკმაყოფილებენ მარტივ მოთხოვნილებებს, სიამოვნებით ასრულებენ მარტივ საქმეს, ყოველგვარი სირთულეებისა და გაუგებრობის გარეშე მუშაობენ ვაჭრობის სფეროში და ა. შ.

კონსტიტუციონალურ-შეზღუდულ ადამიანებზე ძალიან ადვილია შთაგონების მოხდენა, ემორჩილებიან საზოგადოებრივ აზრს. მათზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს გარემო, მაგრამ მერყევი ფსიქოპათებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიისწრაფვიან მანკიერებისაკენ, ამ ჯგუფის ადამიანებს იზიდავთ მაღალი ზნეობა. არიან უკიდურესი კონსერვატორები, ებღაუჭებიან ყოველივე ძველს, რასაც შეგუებულები და მიჩვეულები არიან. აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ადამიანებიც, რომლებსაც დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. ისინი ხშირად ხმარობენ მათთვის სრულიად გაუგებარ, მაღალფარდოვან სიტყვებს, ცდილობენ თავი დაიჭირონ ისე, როგორც ყოვლისმცოდნე ადამიანებმა, უნდათ, რომ ყველაფერზე საკუთარი წარმოდგენა ჰქონდეთ. მათი მეტყველება ელემენტარულ ლოგიკურ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ კურიოზია ის, რომ ასეთი ინდივიდები უფრო ადვილად იმკვიდრებენ ადგილს ცხოვრებაში, ვიდრე ჭკვიანი ადამიანები.

მიმოვიხილეთ რა ნორმასა და პათოლოგიას შორის მყოფ ადამიანთა ჯგუფები, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებაზე: თითქმის ყველა ნორმალურ ადამიანს, როგორც წესი, ახასიათებს ფსიქოპათური თვისებები და, რაც უფრო მკვეთრად არის ადამიანში გამოხატული ინდივიდუალობა, მით უფრო ნათლად არის გამოკვეთილი ეს თვისებები.

ნიჭიერ ადამიანთა შორის, რომლებსაც მდიდარი ემოციური ცხოვრება და უშრეტი ფანტაზია გააჩნიათ, საკმაოდ ბევრია ფსიქოპათი. უდავოა, რომ გენიალური, უკვდავი ნაწარმოების შექმნაში ორი ფაქტორი იღებს მონაწილეობას – გარემო (ეპოქა) და შემოქმედი პიროვნება. ბევრი ფსიქოპათი სწორედ თავისი ფსიქოპათიური თვისებების გამო აღწევს შემოქმედებით მწვერვალებს. იგი გაცილებით მგრძნობიარე, ფხიზელი და ალღოიანია ეპოქის მოთხოვნილებათა მიმართ, ვიდრე ნორმალური ადამიანი. ამის უტყუარი მაგალითებია შექსპირი, დოსტოევსკი, გოია, სტალინი, ჭაბუკიანი და სხვები, რომელთა სახელებიც საუკუნეებს გადაეცემა. გენიალური პიროვნება შეიძლება იყოს როგორც პროგენერაციის, ისე დეგენერაციის ნაყოფი. პიროვნების გენიალობა არ გამორიცხავს არც პირველ და არც მეორე მდგომარეობას. ისტორიას მხოლოდ ქმნილებები აინტერესებს, განსაკუთრებით კი ის ელემენტები, რომლებსაც საყოველთაო, ზოგადი და წარუშლელი ხასიათი აქვს და არა პირადული, ინდივიდუალური. მაგრამ აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის პირადული, ქარაქტეროლოგიურ-ტიპოლოგიური თავისებურებების ცოდნა

და ამ თავისებურებების გათვალისწინება პიროვნების აღზრდის, მათი დასაქმების, სპეციალობისა და პროფესიის შერჩევის, მათთან საქმიანი თუ პირადული ურთიერთობების დამყარების დროს, აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს ცოდნა ბევრ უსიამოვნებას აგვაშორებს თავიდან. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების რეგულირებაში.

ლიტერატურა:

1. Svanidze, 2009 – Svanidze L., Leqciebi ekonomikur psikologiashi, shemecnebiti stsavleba, Tbilisi, 2009.
2. Uznadze, 1986 – Uznadze D., Individualoba da misi genezisi: shromebi, IX, Tbilisi, 1986.
3. Uznadze, 1998 – Uznadze D., Zogadi psiqologia, Tbilisi, 1998.

Lia Svanidze

THE MEN'S CHARACTEROLOGICAL-TYPOLOGICAL PECULIARITIES BETWEEN NORM AND PATHOLOGY

Summary

Varieties of individuals' mental features have no limits. The study and description of this problem is complex. The actual thing is to research revealed activity in the sphere of biological, social existence and individual being. Personally the relation is subject form of individuals' inner world existence and reveal. The above-mentioned problems are deeply researched in the paper.

Nowadays it is very important mutual understanding by individuals and accordingly adequate relation thanks to which is necessary to minimize conflict situations and unpleasant consequences. It is important to separate and study the groups in individuals' varieties whose functional-constitutional and psychological features don't satisfy normal condition. However, they don't belong to pathology. In our society there are many representatives of such group: cycloid group, social-psychopathic, group-constitutional limit group. Every normal individual as a rule is characterized by psychopathic features.

განათლება
EDUCATION

გულნაზ ხუხუა

ინკლუზიური განათლება და სულიერობა

ღმერთმა ადამიანი შექმნა სრულყოფილი, ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი, მოაზროვნე და მეტყველი, შრომისა და ბრძოლისუნარიანი. ასე რომ არ ყოფილიყო, ყოვლისშემოქმედი ჩვენს პირველ წინაპარ წყვილს – ადამსა და ევას არ დაავალებდა ისეთ გრანდიოზულ საქმეებს, როგორებიცაა: გამრავლება, დედამიწის სამოთხედ გადაქცევა, მისი პატრონობა და მოვლა: ,,ინაყოფიერეთ და გამრავლდით, აავსეთ დედამიწა, დაეპატრონეთ მას...“ ვკითხულობთ დაბადების I თავის 28-ე მუხლში. მაგრამ ღვთის კურთხევისა და სრულყოფილების ურჩობით დაკარგვამ ცოდვილად აქცია ისინი. ცოდვის საზღაურად კი მიიღეს არასრულყოფილება და სიკვდილი, რაც მემკვიდრეობით გადაეცა მათ შთამომავლობას და დღემდე ცოდვილობენ, ავად ხდებიან, ბერდებიან და კვდებიან სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა დროს.

არასრულყოფილების კიდევ ერთი სავალალო შედეგი, ეს არის თანდაყოლილი თუ შეძენილი ფიზიკური და გონებრივი, ემოციურ-ნებისყოფითი და მორალური ნაკლი, რომელიც ასეთ ადამიანებს განასხვავებს სხვებისგან და საჭიროებენ სპეციალურ სამედიცინო, პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, ტექნიკურ და სხვა სახის დახმარებას, მორალურ და სოციალურ მხარდაჭერას.

ეს პრობლემა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, მაგრამ მან ფართო რეზონანსი მიიღო 1994 წლიდან, როცა მიღებულ იქნა ცნობილი ,,სალამანკას დეკლარაცია“ სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ. მის ლოგიკურ გაგრძელებასა და განმტკიცებას წარმოადგენს 2006 წლის 13 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ,,კონვენცია“, რომლის მიზანია თანასწორობისა და თავისუფლების რეალიზაცია. ,,ინკლუზიურ განათლებას“ დაეკისრა ამ პრობლემის მეცნიერული უზრუნველყოფა, მათი მაქსიმალური ჩართვა ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში სხვა მოსწავლეებთან თანაბარ მდგომარეობაში, სადაც ასევე მაქსიმალურად იქნება

მათი საგანმანათლებლო საჭიროებები გათვალისწინებული. საქართველოში უკვე ფუნქციონირებს 80-მდე ინკლუზიური სკოლა და 10-მდე საბავშვო ბაღი. ეს ძალიან კარგია, თუ ამ მიმართულებით საკმარისი აღმოჩნდება პედაგოგიურ-პროფესიული კვალიფიკაცია, საზოგადოების დამოკიდებულება.

სპეციალური საჭიროების მქონე პირების სოციალური ინტეგრაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური გარემოს რეაქციას მათ მიმართ. მართალია, კანონი იცავს მათ უფლებებს, მაგრამ ის ვერ ცვლის იმ ადამიანურ ურთიერთობებს, რომლებიც ქმნის ეგზომ დადებით ემოციურ-ესთეტიკურ ფონს, რომელიც თავის ღირსებებს აგრძნობინებს პიროვნებას. ამასთან დაკავშირებით „ინკლუზიური განათლების“ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „კანონები გვკარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზიტიური განწყობის შექმნა. აღიარებულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობის პირებს უწევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება“ (Patchkoria, 2008: 46).

ადამიანებთან მიუკერძოებელ-ჰუმანური მიდგომის არაჩვეულებრივი მაგალითი დაგვიტოვა ღვთის ძე იესო ქრისტემ. იგი განურჩევლად ყველას აცნობდა ზეციური მამის ნებას ღვთის სამეფოს შესახებ, დაუღალავად ასწავლიდა ჭეშმარიტებას, ეხმარებოდა დაჩაგრულებს, კურნავდა ავადმყოფებს, აღადგენდა მკვდრებს. ყველასთან და ყოველთვის ერთნაირად ავლენდა სიყვარულს, სიკეთეს, პატივისცემას. ქრისტეს მიერ ადამიანებისადმი ამგვარი მიდგომის უამრავი მაგალითია ბიბლიაში ჩაწერილი. მათგან აქ ერთერთს მოვიყვანთ: „მიდიოდა იესო და დაინახა კაცი, რომელიც დაბადებიდან უსინათლო იყო“. იესოს მოწაფეებმაც შენიშნეს ის კაცი, მაგრამ მასში მხოლოდ ცოდვილი დაინახეს. „მოწაფეებმა ჰკითხეს მას: „რაბი, ვინ შესცოდა, ამ კაცმა თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რატომ დაიბადა?... მეზობლებისა და სხვებისთვის ეს კაცი ერთი ვინმე ინვალიდი და მათხოვარი იყო მხოლოდ. „ეს ის კაცი არ არის, რომ იჯდა და მათხოვრობდა?“ – თქვეს მათ. იესოსთვის კი ის იყო უსინათლო ადამიანი, რომელსაც დახმარება სჭირდებოდა. იესოს არც კი უკითხავს ვინ იყო, დაელაპარაკა მას და მაშინათვე მიიღო სათანადო ზომები და იქვე განკურნა იგი (იოანე 9: 1-8).

ჩვენ არავინ გვთხოვს სასწაულების მოხდენას, მაგრამ როგორც ადამიანები, ვალდებულნი ვართ ვხელმძღვანელობდეთ ბიბლიური პრინციპით: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათე) და მუდამ გვახსოვდეს ქრისტეს ოქროს წესად წოდებული სიტყვები: „ისე მოექეც სხვას, როგორც შენ გინდა სხვები მოგექცნენ“ (მათე 7: 12). კანონი, მეცნიერება და კეთილი გული, ერთად, ხელი-ხელ ჩაჭიდებულნი ქმნიან იმ სასურველ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ გარემოს, სადაც ყველაზე კარგად იგრძნობს თავს ადამიანი.

ახლა ვნახოთ, რას გვთავაზობს კონკრეტულად მეცნიერება სტატია-

ში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ პრობლემაზე ათეულობით წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები (მოსკოვში, თბილისში), დეფექტოლოგიის განყოფილებები, კათედრები, დეფექტოლოგიის ფაკულტეტები, 1969 წლიდან გამოდიოდა სპეციალური ჟურნალი „დეფექტოლოგია“. დიდი ხანია ეს ყამირი გატეხილია, დაგროვილია ამ მიმართულებით მდიდარი სამედიცინო, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ცოდნა-გამოცდილება, შესწავლილია მისი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, დადგენილია ფიზიკური, გონებრივი, ემოციურ-ნებისყოფითი და მორალური ნაკლის ტიპები და სახეები, წარმომავლობა, მიზეზები, შედეგები და მისი ნაწილობრივ ან სრულიად გამოსწორების საკორექციო, კომპენსატორულ, სარეაბილიტაციო და საპრევენციო-პროფილაქტიკური საშუალებები. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით პრობლემის პრაქტიკულ ნაწილში, რეალურ სინამდვილეში.

როგორც წესი, ფიზიკური და გონებრივი ნაკლი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის შემეცნებით შესაძლებლობებზე, სწავლის უნარზე და, შესაბამისად, მის ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებაზე. სწავლის უნარდაქვეითებული ბავშვების სწავლებისა და აღზრდის კანონებსა და კანონზომიერებებს, პრინციპებსა და მეთოდებს, ფორმებს, გზებსა და საშუალებებს, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დასკვნების გათვალისწინებით, ზოგადი და სპეციალური პედაგოგიკური ციკლის საგნები სწავლობს, იკვლევს და ქმნის მათზე მაკორექტირებელი ზემოქმედების პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემას. კერძოდ, აღნიშნულ პრობლემაზე უშუალო პასუხისმგებელია პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი დარგი – დეფექტოლოგია, რომელიც, თავის მხრივ, მოცემული ნაკლის მიხედვით იყოფა ქვედარგებად, როგორებიცაა: სურდოპედაგოგიკა, ანუ ყრუმუნჯთა პედაგოგიკა, ტიფლოპედაგოგიკა, ანუ უსინათლოთა პედაგოგიკა, ოლიგოფრენოპედაგოგიკა, ანუ გონებრივ შესაძლებლობა შეზღუდულთა პედაგოგიკა, ლოგოპედია, ანუ მეტყველებადარღვეულთა პედაგოგიკა. როგორც ცნობილია, ყველა აქ ჩამოთვლილი სპეციალური პედაგოგიკა ზოგადი პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილებია და, შესაბამისად, ისინი სარგებლობენ ყველა იმ მონაპოვრით, რაც ამ უკანასკნელს გააჩნია (Kolbaia, 1989: 7).

სპეციალური პედაგოგიკა, ზოგად პედაგოგიკაზე დაყრდნობით, თავისი კონკრეტული კვლევის საგნის მიხედვით, პრობლემის გადასაჭრელად იყენებს კორექციულ პედაგოგიკას თავის როგორც საკორექციო და კომპენსატორულ, ასევე მოსალოდნელ, პირველით გამოწვეულ მეორადი ნაკლის საპრევენციო და პროფილაქტიკურ საშუალებებს.

რეალური სინამდვილე გვკარნახობს, რომ უნარშეზღუდულთა უფლებების დაცვისა და განვითარების, მორალური და სოციალური ადაპტაციისათვის მხოლოდ კანონი და მეცნიერება საკმარისი არ არის. ამ ორმა დიდმა ძალამ კარგად რომ იმუშაოს, ამისთვის აუცილებელია

საზოგადოების და, კერძოდ, მათი გარემოცვის გულის მომზადება, თვალსაზრისის შეცვლა, დადებითი განწყობის შექმნა, მაქსიმალური ტაქტიანობა. იმის გაცნობიერება, რომ უბედურება მარტო „სხვისთვის“ არ არის. არავინ არ იცის დღეს, ხვალ ვის რა დაემართება. ამიტომ კარგი იქნება, თუ მოვიშველიებთ წარმოსახვას და შევეცდებით სხვის მდგომარეობაში საკუთარი თავის, თუნდაც, წუთიერად მოაზრებას. ეს გაგვიადვილებს სხვისი მდგომარეობისა და გრძნობების უკეთ გაგებას და მოყვასისადმი უანგარო სიყვარულის გამოვლენას.

ინკლუზიური განათლება დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის ნათელი გამოხატულებაა, მაგრამ ეს იმდენად დელიკატური სფეროა, რომ ერთი ცდომილება და შეიძლება უარყოფითად შემობრუნდეს პროცესი. ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მეცნიერებასთან ერთად შეუცვლელი საშუალებაა სულიერობა. სულიერობა, ბიბლიის მიხედვით, ყოვლის შემოქმედთან არის დაკავშირებული და მას ღმერთი მხოლოდ იმას აძლევს, ვინც ითხოვს. სულიერობის მაჩვენებელია ღვთისა და მოყვასის უპირობო „სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიკეთე, ყოველივე კარგი, რწმენა, რბილი ხასიათი, თავშეკავება“ (გალატელები 5:22). სულიერი აღზრდის მიზანი, ადამიანში, სწორედ, ამ უმშვენიერესი თვისებების განვითარება არის. ამას კი, რატომღაც განათლების სისტემაში დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. აქ შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს აზრი, რომ ეს სასულიერო საზოგადოების საქმეა და არა საერო განათლებისო. მაგრამ ქრისტემ ხომ თქვა: „ესაა საუკუნო სიცოცხლე, ეცნობოდეთ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს და მას, ვინც მან გამოგზავნა, იესო ქრისტესო“ (იოანე 17: 3). სიტყვა „ეცნობოდეთ“, ხომ არ არის რომელიმე კონკრეტული პირის, ფენის, ტომის, თუ ერისადმი მიმართული. ან კიდევ: ღვთის ძე ღვთის სიტყვას, ბიბლიურ ჭეშმარიტებას განურჩევლად ყველას არ ასწავლიდა, ყველგან ერთნაირად არ ქადაგებდა, თავისი სიცოცხლე განა ყველასათვის, მთელი კაცობრიობისთვის არ გასწირა?! აქედან გამომდინარე, განურჩევლად ყველას უნდა ჰქონდეს მიღებული სპეციალური თეოკრატიული განათლება, მისი ძირითადი წყაროს – ბიბლიის მეშვეობით.

ინკლუზიური განათლება რამდენადაც თავისთავში გულისხმობს ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არათანაბარ ძალთა გათანაბრებულ მდგომარეობას, ცხადია, ამ სიტუაციაში ურთიერთობების, დამოკიდებულებების პრობლემა, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის იჩენს თავს, რომლის გაკონტროლება არც ისე ადვილია, მით უმეტეს, თანაკლასელებისა და თანასკოლელებისთვის. ცნობილია, რომ ურთიერთობების ზნეობრიობას ყველა შემთხვევაში ქცევის მოტივი განსაზღვრავს და ის ყოველთვის ქვეტექსტში ამოიცნობა.

სწავლის უნარშეზღუდულ მოსწავლეთა მშობლებთან საუბარში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა ურთიერთობის მოტივთან დაკავშირე-

ბით. პრობლემა ეხება ერთ შემთხვევაში სიბრალულსა და შეცოდებას, ხოლო არც თუ ისე იშვიათად, არაგულწრფელობას. უფრო მეტიც, მათი აზრით, ზოგიერთებს თავის გამოჩენა უფრო ამოძრავებთ, ვიდრე მოყვასის სიყვარულისა და მეგობრობის მოტივი. თუმცა, ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. სიყვარული, მეგობრობა ხომ სულიერობის სფეროა. სულიერობის დეფიციტს კი თითქმის მთელი მსოფლიო განიცდის.

არანაკლები ზიანის მომტანია გადამეტებული ყურადღება. ამით ხაზს ვუსვამთ სუბიექტის შეზღუდულობას, მის განსხვავებულობას, ვართმევთ დამოუკიდებლობას, ინიციატივის გამოვლინების თავისუფლებას, რითაც ხელს ვუწყობთ ხასიათის უარყოფითი თვისებების ფორმირებას, მის გაღიზიანებასა და გაუცხოებას, საკუთარი არასრულფასოვნების მკვეთრ შეგრძნებას.

ყურადღება უფრო მეტად უნდა გადავიტანოთ ბავშვის ჯანსაღ და არა სუსტ მხარეზე. უნდა ვიხელმძღვანელოთ აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის, პიროვნებისადმი პატივისცემის უცვლელი პედაგოგიური პრინციპებით, ნარჩენი შესაძლებლობების აქტივიზაციის ინტენსიური საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით.

ინკლუზიური განათლება, ყველა საჭირო პირობების გათვალისწინებით, სასარგებლოა არა მარტო სწავლის უნარშეზღუდულ პირთათვის, ის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა იმ ნაწილისთვისაც, რომელთაც ეს პრობლემა არ აწუხებთ. ისინი იცნობიერებენ სულიერობის, ეთიკური ნორმებისა და წესების სიკეთეს, ეჩვევიან ურთიერთობის კულტურას, იხვეწებიან და ყალიბდებიან სრულფასოვან პიროვნებად.

ინკლუზიური განათლების იდეების ობიექტივაცია ბევრ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ მასში გადამწყვეტი სიტყვა მასწავლებელს ეკუთვნის. სანამ მასწავლებელი საგანმანათლებლო პროცესს შეუდგება, მანამ წინასწარ უნდა მოამზადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან პიროვნული და პედაგოგიური ურთიერთობის გარკვეული წინაპირობა: გაეცნოს ბავშვს და მის მშობლებს, სამედიცინო დასკვნებს, დაადგინოს ნაკლის ტიპი და სახეობა, სირთულე, წარმომავლობა, მახასიათებლები, შეძენის დრო, ხასიათის დადებითი თვისებები, ნარჩენი შესაძლებლობები, ბავშვის მიდრეკილებები და ინტერესები. ამ მონაცემების საგულდაგულოდ, აკადემიურ დონეზე შესწავლის შემდეგ განსაზღვროს ამ კატეგორიის ბავშვებთან ინდივიდუალური და კოლექტიური მუშაობის პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა, სპეციალისტების მიერ დანიშნული ტექნიკური საშუალებების და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალების გამოყენების ტექნოლოგიები და ა.შ. ცხადია, ეს ერთი მასწავლებლის ძალ-ღონეს აღემატება. პრობლემა მოითხოვს სათანადო ძალების თანმიმდევრულ და სისტემურ, კომპლექსურ და კოორდინირებულ მოქმედებას, რომ ერთიანი ძალით შევუტიოთ

და შეზღუდულობა, რამდენადაც შესაძლებელია, სრულიად ან ნაწილობრივ მაინც შევასუსტოთ.

მოცემულ პრობლემასთან გამკლავებაში ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგიური ოპტიმიზმი, ცოდნა და რწმენა იმისა, რომ ყოველი ცოცხალი არსება ცვალებადია, განვითარებადია, რომ გამოსავალი, თუ სრულად არა, რაღაც დოზით მაინც ყოველთვის არსებობს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპტიმისტური დამოკიდებულება თვით სპეციალური დახმარების საჭიროების მქონე ადამიანის მიერ საკუთარი პრობლემის მიმართ. ამ განწყობის მეშვეობით ის უფრო ადვილად, რწმენითა და იმედით დაექვემდებარება გარეშე დახმარებას, ხელს შეუწყობს შიდა და გარე რეზერვებისა და რესურსების ამოქმედებას, უფრო ეფექტურს გახდის საკორექციო, კომპენსატორულ და საპრევენციო პედაგოგიური საშუალებების ზემოქმედებას.

ცნობილია, რომ პრობლემისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულების გამოწვევაში უამრავ ფაქტორთა შორის განსაკუთრებულ როლს ასრულებს თვალსაჩინო მაგალითი. ამ მიზნით მასწავლებელს შეუძლია წარმატებით გამოიყენოს გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები, რომელთათვის ფიზიკურ ნაკლს სრულებით არ შეუშლია ხელი წარმატებაში. მაგალითად, სებასტიან ბახმა მხედველობა დაკარგა, მაგრამ მას წერა არ შეუწყვეტია. იმდენი მუსიკალური ნაწარმოები შექმნა, რომ 46 ტომმა ვერ დაიტია თურმე. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა, მიუხედავად იმისა, რომ სმენა მთლიანად წაერთვა, წერა არ შეწყვიტა. მან უდიდესი მუსიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა კაცობრიობას. მხატვრისთვის მარჯვენა ხელის მნიშვნელობას განმარტება არ სჭირდება, მაგრამ როცა ილია რეპინს მარჯვენა ხელი გაუხმა, მან მარცხენა ხელი აამოქმედა და კაცობრიობას ხელოვნების შეუდარებელი ნიმუშები უსახსოვრა. ლ. ბრაილმა, რომელიც თვითონ იყო სამი წლიდან უსინათლო, უსინათლოთათვის შექმნა სპეციალური შრიფტი, რომელმაც მთელ მსოფლიოში აღიარება მოიპოვა „ბრაილის შრიფტის“ სახელწოდებით. იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტი ბავშვობაში ადუღებული წყლით სავსე ქვაბში ჩავარდა, რის შედეგად ჯანმრთელობა დაუქვეითდა, განსაკუთრებით, თვალი დაუსნეულდა, მაგრამ მას ამის გამო ცხოვრების აზრი არ დაუკარგავს, 11 წლიდან კონცერტებს მართავდა, 14 წლისამ ნაშრომი დაწერა თემაზე: „მოძღვრება ადამიანური თავისუფლების შესახებ“. დღეს კი პედაგოგიკის კლასიკოსის სახელით არის ცნობილი მსოფლიოში. თუმცა, სავალდებულო არ არის, რომ აუცილებლად მსოფლიოში ცნობილი ადამიანები ვიყოთ, ან რაღაც განსაკუთრებული და იშვიათი შევქმნათ, მთავარია, ადამიანურობა, ზნეობა და პოზიტიური აქტიურობა.

ამრიგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებთან პედაგოგიურ ურთიერთობაში გათვალისწინებული უნდა

იქნეს ნაკლის ტიპი, სახეობა, ენდოგენური და ეგზეგენური წარმომავლობა, მიზეზები, შედეგები, შეძენის დრო, სიტუაცია და შემთხვევები, ინდივიდუალური მიდგომის, აღზრდაში დადებითზე, ნარჩენ შესაძლებლობებზე დაყრდნობის, მოსწავლის პიროვნებისადმი პატივისცემის, მისაწვდომობის, თანმიმდევრობისა და სისტემურობის პრინციპები. წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული სულიერობა და საქმისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება. ოპტიმიზმის ამაღლებასა და პერსპექტივის დანახვას ხელს უწყობს ფიზიკური პრობლემების მქონე წარმატებული ადამიანების მაგალითებზე მათი ყურადღების გამახვილება.

ლიტერატურა:

1. Biblia, 2009 – Biblia, Tbilisi, 2009.
2. Dolidze, 1995 – Dolidze M. Deviantur mostsavleebtan individualuri mushaobis metodika. Tbilisi, 1995
3. Gagoshidze, Tchintcharauli, Fiduri, Bagrationi, 2008 – Gagoshidze T., Tchintcharauli T., Fiduri Q., Bagrationi M., Inkluziuri ganatlebis principebi. Tbilisi, 2008.
4. Inkluziuri ganatleba, 2009 – Inkluziuri ganatleba, gzamkvlevi mastsavleblebisatvis. Tbilisi, 2009.
5. Kolbaia, 1989 – Kolbaia M. Defeqtologiis safudzvlebi. Tbilisi, 1989.
6. Patchkoria (red.), 2008 – Patchkoria T. (red.) Vistsavlot ertad inkluziuri ganatleba. Tbilisi, 2008.
7. Stsavlis unaris..., 2010 – Stsavlis unaris darghvevis mqone bavshvta stsavleba. Tbilisi, 2010.

Gulnazi Khukhua

INCLUSIVE EDUCATION AND SPIRITUALITY

Summary

The paper deals with human aspects of inclusive education, peculiarities of individual approaches to the disable pupils, pedagogic principles and methods. It discusses pedagogic importance of spirituality and optimistic relations to the problem, positive upbringing, principles of receptiveness for the individual, succession and systematic in accordance with conditions.

The paper also discusses biographies of successful disable persons as a good example with the purpose of creating optimism and perspectives.

ლევან ჯინჯიხაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგია დაწყებით კლასებში

თანამედროვე სკოლის პერსპექტიულ განვითარებას წარმოადგენს მოსწავლეების პროექტული საქმიანობა, ოპერატიულად დაეუფლოს ცოდნას სოციალიზაციის პროცესში. თანამედროვე ეტაპზე მასწავლებლისა და მოსწავლისადმი მაღალი მოთხოვნების წაყენება მასწავლებელს უბიძგებს საქმიანობის ინოვაციური ფორმების ძიებისაკენ, ინტერაქტიური, ანუ მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდებისაკენ და, მათ შორის, პროექტების გამოყენებისაკენ. საქმიანობის მოცემული სახეობა გაცილებით მრავალფუნქციურია, ვიდრე სხვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეფორმების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გადასვლა ტრადიციული მეთოდებიდან განმავითარებელ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე. განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს სწავლების ორგანიზაციული საქმიანობის მეთოდები. აქტიური დამოუკიდებელი საქმიანობით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარება. არსებული სწავლების ცოდნის მოდელიდან ახალ სისტემაზე გადასვლის დიდ შესაძლებლობას იძლევა **პროექტული სწავლება**. პროექტირების ტექნოლოგია მსოფლიოს მრავალ სკოლაში ფართოდ გამოიყენება და ნიშნავს დამოუკიდებელი გზების ძიებას.

პროექტი უღვიძებს მოსწავლეებს უნარს, გამოავლინონ ინტელექტუალური შესაძლებლობები, ზნეობრივი და კომუნიკაციური თვისებები, მოახდინონ შესაბამისი ცოდნის დონის ფლობისა და საერთო-სასწავლო უნარების დემონსტრირება, მიზანდასახულობა, სწრაფვა თვითგანათლებისაკენ. პროექტირებული (გეგმიური) საქმიანობა შეიძლება წინ უძღოდეს „გონებრივ იერიშს“, რომლის პროცესშიც თავს იჩენს ახალი საინტერესო პრობლემები. პროექტირების პროცესში მოსწავლეები ახდენენ ცოდნის სინთეზირებას, ასევე მომიჯნავე დისციპლინების ინფორმაციების ინტეგრირებას, ეძებენ გაცილებით ეფექტურ გზებს პროექტირებული დავალების გადასაწყვეტად, ამყარებენ კავშირს ერთმანეთთან. ერთობლივი საქმიანობა იძლევა თანამშრომლობითი შესაძლებლობების რეალურ დემონსტრირებას, რომლის მსვლელობისას მოსწავლეები ისახავენ მიზნებს, განსაზღვრავენ მათი მიღწევის ოპტიმალურ შესაძლებლობებს, ყოველმხრივ ამოწმებენ პიროვნების კომპეტენტურობას (Muravyova, 2005: 27-28).

პროექტული საქმიანობა თვალნათლივ ახდენს ერთი და მრავალსაგნობრიობის, ინდივიდუალური და ჯგუფური პროექტების შესაძლებლო-

ბების დემონსტრირებას.

სასწავლო-შემეცნებითი პროექტი განსაზღვრულია დროში, მიზანმიმართულია, ძირითადი კონკრეტული მოთხოვნების საფუძველზე შეიტანოს გარკვეული ცვლილება ცოდნის დადგენილ სისტემაში შედეგობრივი ხარისხების გაუმჯობესების მიზნით, შეუწყოს ხელი მოსწავლეებს, დამოუკიდებელი ძიების გზით გადაჭრან პრობლემები. განსაზღვრულ დროში მოსწავლეები ასრულებენ შემეცნებით, შედეგობრივ, კონსტრუირებულ ან სხვა დავალებას. აუცილებელია ახალი ცოდნის მიღება სასწავლო-შემეცნებითი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში. პროექტული სწავლების მიზანია, მოსწავლე დაეუფლოს ცოდნას და მას გამოუმუშავდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები. მაგრამ, ამასთან, პრიორიტეტი ენიჭება დამოუკიდებელ სწავლებას ჯგუფებში და სოციალური შეგნების განვითარებას.

პროექტირებული ტექნოლოგია იძლევა საშუალებას მოვახდინოთ როგორც სწავლებისადმი ორიენტირებული მიდგომის, ასევე მოსწავლის თვითმოტივირების რეალიზება. პროექტირება მოხერხებულია იმიტომ, რომ ისინი ძალიან განსხვავდებიან ფორმით, შინაარსით, საქმიანობის ძირითადი მახასიათებლებით, მონაწილეთა რაოდენობით, დავალების შესრულების ხანგრძლივობით. პროექტირების მეთოდი იძლევა საშუალებას, მოვახდინოთ პიროვნების თვისებების ფორმირება, რომელიც ვითარდება მხოლოდ საკუთრივ ინდივიდის საქმიანობისას კოლექტიურ პროცესში, ან ჯგუფური მუშაობისას. პირველ რიგში, შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი თვისებები, როგორებიცაა, გუნდური მუშაობის უნარები, არჩევანის პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე, საკუთარი თავის გუნდის წევრად შეგრძნება.

პროექტირების მეთოდი პრობლემური კვლევების ფართო სპექტრის გამოყენების საშუალებას იძლევა. იგი ხელს უწყობს მეთოდების ძიებას, რომელიც ორიენტირებულია რეალურ პრაქტიკულ შედეგზე და მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლისათვის, ხოლო მეორე მხრივ – მნიშვნელოვანია პრობლემების მთლიანი დამუშავება, მათი გადაწყვეტა და შედეგის რეალიზაცია სხვადასხვა ფაქტორისა და პირობების გათვალისწინებით.

როგორც წესი, პროექტის საფუძველში თავს იჩენს რომელიღაც პრობლემა. იმისათვის, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას, საჭიროა შესაბამისი ცოდნისა და განსაზღვრული ხერხების ფლობა:

- **ინტელექტუალური** – ინფორმაციის, ტექსტის დამუშავება; ინფორმაციის მოძიება და მისი ანალიზი, დასკვნის გაკეთება.
- **შემოქმედებითი** – იდეების გენერირება, პრობლემის გადაჭრის მრავალვარიანტულობა, შედეგის პროგნოზირება.
- **კომუნიკაციური** – დისკუსიის წარმართვა, თანამოსაუბრის მოსმენა,

საკუთარი თვალსაზრისის დაცვა, აზრების ლაკონიურად გადმოცემა, თანამოსაუბრესათან კომპრომისის მონახვა (Muravyova, 2005: 32).

თანამედროვე საგანმანათლებლო პროექტი – ეს არის დამოუკიდებელი შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურების, მოსწავლის პიროვნული თვისებების ფორმირების დიდაქტიკური საშუალება. პროექტირების მეთოდის გამოყენება დაწყებით კლასებში მოგვცემს საშუალებას, მ ოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ობიექტური წარმოდგენა თავიანთ ცოდნაზე, მისი რეალიზების შესაძლებლობებზე და უნარებზე. მოსწავლეები დაეუფლებიან ცოდნას, არა მხოლოდ გაიგონ მათი სწავლის არსი, არამედ დამოუკიდებლად გაიცნობიერონ ის, განსაზღვრონ კონკრეტული დავალებები, მოახდინონ საკუთარი საქმიანობის პროგრამირება, შეარჩიონ ადეკვატური საშუალებები მიზნის მისაღწევად, განსაზღვრონ თავიანთი მოქმედების შედეგები. სასწავლო საქმიანობის გეგმაზე მუშაობისას აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს საკუთარი ქმედების შედეგების შუალედური და საბოლოო ობიექტური შეფასება.

სასწავლო პროცესში მთავარია, მოსწავლემ შეძლოს თავის ქმედების კორექტირება, ე. ი. მოახდინოს თავისი ქმედებების რეკონსტრუქცია ისე, რომ შედეგები ემთხვეოდეს წაყენებულ მოთხოვნებს. ასეთი მიზნით აუცილებელია პროექტირებული საქმიანობის რეფლექსიის წარმართვა ეტაპობრივად (Muravyova, 2005: 56-57).

ასე რომ, პროექტირებულ სწავლებას საფუძვლად უდევს რეფლექსიურ-საქმიანობრივი პარადიგმა, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა აქტიურ ქმედებას, აუცილებელ რეფლექსიას, რომელსაც მივყავართ პრობლემის გააზრებულ აღქმასთან და რომელიც, თავის მხრივ, იწვევს თვითგანვითარებას. სწავლებაში რეფლექსიურ-საქმიანობრივი საშუალების გამოყენება ცვლის მასწავლებლის პოზიციას, ასევე ცვლის მოთხოვნების პროფესიულ თვისებებს. მზამზარეული ცოდნის მატარებლიდან ის გადაიქცევა ორგანიზატორად მოსწავლეებისათვის შემეცნებითი, კვლევითი, დამოუკიდებელი საქმიანობის პროცესში, კომპეტენტური კონსულტანტის როლის შემსრულებლად. რეფლექსიურ-საქმიანობითი სწავლება გვაძლევს მასწავლებლის სამ ძირითად ფუნქციას:

- დამოუკიდებელ შემეცნებით-შემოქმედებით საქმიანობაში მოსწავლეთა ჩასართავად პირობების შექმნა;
- თითოეული მოსწავლისათვის წარმატების მიღწევის სტიმულირების სიტუაციის შექმნა;
- მოსწავლეებთან ერთად რეფლექსიური საქმიანობის წარმართვა.

რეფლექსიის წარსამართავად ოპტიმალურ ნიმუშებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ ისეთები, როგორებიცაა: რეფლექსიური სამიზნე, რეფლექსიური წრე, მცირე თხზულება.

ურთიერთთანამშრომლობის პრიორიტეტულ ფორმას ქართული ენი-

სა და ლიტერატურის გაკვეთილებზე პროექტირებულ საქმიანობას წარმოადგენს მასწავლებელის მუშაობა ჯგუფებში. პროექტირებული საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია – მასალების შეგროვება, პრაქტიკაში მიღწეული შედეგების გამოყენება, მთავარი მომენტები, რომლებზედაც მოსწავლეები შეიცნობენ ცხოვრებას და სწავლობენ, დაუკავშირონ მას საკუთარი ცოდნა. პროექტირებული სწავლება ეფუძნება მოსწავლეების დამოუკიდებელ აქტიურობას, რამდენადაც ჭეშმარიტი სწავლება მომდინარეობს სასწავლო საქმიანობიდან. მასწავლებელი ვალდებულია ასწავლოს არა იმდენად, რამდენადაც მიაწოდოს აზრი, არა იმდენად გადმოცემა, რამდენადაც გამოყენება, არა იმდენად დაძალება, რამდენადაც – გასცეს პასუხი მასწავლებლის მოთხოვნებს. მოსწავლეთა ყურადღება მუდამ დაძაბულობაშია, რადგან მათგან მოითხოვება მუდმივი აქტიურობა. ისინი ვალდებულნი არიან თვითონ დასახონ სამოქმედო გეგმა და ინტენსიურად შეასრულონ იგი, რომ წარმატებით განხორციელებული ერთი დავალება გამოიყენონ მეორის შესასრულებლად, ასე რომ, პროექტირებული საქმიანობის გამოყენება იძლევა საშუალებას, სასწავლო მუშაობა დაუახლოვდეს კვლევითს.

იმისდამიუხედავად, საქმიანობის თუ რომელი სახეა ჩადებული პროექტის სტრუქტურაში – ძიებითი, შემოქმედებითი, როლური თუ გამოყენებითი, გამოიყოფა პროექტირების შემდეგი ტიპები, რომლებსაც გვთავაზობს ე. პოლატი. ეს არის კვლევითი, შემოქმედებითი, როლურ-თამაშობრივი, ინფორმაციული, პრაქტიკულ-ორიენტირებული პროექტები და სხვ. (Polat (red.), 2005:71-73), რომლებიც წარმატებით და მაღალეფექტურად შეიძლება გამოვიყენოთ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე დაწყებით კლასებში.

კვლევითი პროექტები მოითხოვს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურებს, მიზნების დასახვას, საგნის დასაბუთებული აქტუალურობის კვლევას ყველა მონაწილესათვის, შესაბამისი საინფორმაციო წყაროების, მოფიქრებული მეთოდების, შედეგების განსაზღვრას. ისინი მთლიანად ექვემდებარებიან მცირე კვლევით ლოგიკას და გააჩნიათ სტრუქტურა, რომელიც მიახლოებულია ჭეშმარიტ მეცნიერულ კვლევასთან ან მთლიანად ემთხვევა მას (მისაღები საკვლევი თემის არგუმენტირებული აქტუალურობა; საკვლევი პრობლემების განსაზღვრა, მისი საგანი და ობიექტი; საკვლევი ამოცანების აღნიშვნა; კვლევითი მეთოდების განსაზღვრა; ინფორმაციის წყაროები; აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის ჰიპოთეზის წინ წამოწევა; მისი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა; მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნების გამოტანა; კვლევითი შედეგების გაფორმება; ახალი პრობლემების აღნიშვნა შემდგომი კვლევითი პროცესისათვის). ყოველივე ეს მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ენობრივი მომზადების დონეს სწავლების განსაზღვრული ეტაპის მიხედვით.

შემოქმედებითი პროექტები გულისხმობს შედეგების გაფორმების შესაბამისობას. მათ არ გააჩნია დეტალურად შემუშავებული სტრუქტურა მონაწილეთა თანამშრომლობითი საქმიანობისათვის, ის მხოლოდ აღნიშნავს და შემდეგ ვითარდება, ექვემდებარება მოცემული ჯგუფის ერთობლივი საქმიანობის ლოგიკას, ემსახურება პროექტის მონაწილეთა ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში საჭიროა მოლაპარაკება შედეგების დაგეგმვაზე და მათი წარმოდგენის ფორმაზე (თხზულების შედგანა, როლური თამაში და სხვ.). ეს შეიძლება იყოს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება რომელიმე ნაწარმოების შინაარსს, სტატიას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. პროექტის შედეგების გაფორმება მოითხოვს ნაწარმოების გეგმის, სტატიის, რეპორტაჟის კარგად და ზუსტად მოფიქრებულ სტრუქტურებს.

როლურ-თამაშობრივი პროექტების სტრუქტურა, ასევე, მხოლოდ აღნიშნავს და რჩება ღია პროექტის დასრულებამდე. მონაწილეები ირგებენ განსაზღვრულ როლებს, რომლებიც განპირობებულია თავისი ხასიათით და პროექტის შინაარსით, პრობლემის განსაკუთრებულობის გადასაჭრელად. ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული ნაწარმოების გმირები ან გამოგონილი გმირები, იმიტირებული ან საქმიანი დამოკიდებულება, გართულებული სიტუაციები, მოფიქრებული მონაწილეთა მიერ. ასეთი პროექტების შედეგები შეიძლება აღინიშნოს პროექტის დასაწყისში, ან შეიძლება გაჩნდეს მისი დასრულების პროცესში. შემოქმედებითი ხარისხი აქ ძალიან მაღალია, მაგრამ ძირითადად დომინირებს როლურ-თამაშობრივი საქმიანობა. მისი გამოყენება სავსებით შესაძლებელია მეტი ეფექტურობისა და შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე.

ინფორმაციული პროექტების ეს ტიპი ერთპიროვნულად მიმართულია რომელიმე ობიექტის, მოვლენის ან ფაქტის ინფორმაციის შეკრებაზე. პროექტის მონაწილეთა გაცნობა ამ ინფორმაციებთან, მისი ანალიზი და ფაქტების განზოგადება განკუთვნილია ფართო აუდიტორიისათვის. ასეთი პროექტები, ისევე როგორც კვლევითი, მოითხოვს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურებს, მუშაობის პროცესში პროექტში სისტემატური კორექტირების შესაძლებლობების გამოყენებას. ასეთი პროექტის სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით: პროექტის მიზანი, საგნის ინფორმაციული ძიება, ინფორმაციის წყაროები (მონაცემთა ბაზა, მათ შორის, ელექტრონული, ანკეტირება, ,,გონებრივი იერიშის'' გამოყენება და სხვ.); დამუშავების საშუალებები (ანალიზი, განზოგადება, მოცემული ფაქტების წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნები, ინფორმაციული ძიების შედეგები; პრეზენტაცია).

პრაქტიკულ-ორიენტირებული პროექტები თავიდანვე განასხვავებს პროექტის მონაწილეთა საქმიანობის მკაფიოდ გამოხატულ შედეგებს,

რომლებიც აუცილებლად მიმართულია (ორიენტირებულია) მონაწილეთა ინტერესებისადმი (იმ დოკუმენტისადმი, რომელიც მიღებულია ენის, ლიტერატურის, ისტორიის კვლევის შედეგების საფუძველზე; მოქმედების პროგრამა, რეკომენდაციები მიმართულია ენის სისტემაში გამოვლენილი შეუსაბამისობის ლიკვიდაციისათვის; მასალის ცნობარი; ლექსიკონი და სხვ.).

ასეთი პროექტი საჭიროებს კარგად მოფიქრებულ სტრუქტურას, ასევე სცენარს მისი მონაწილეების საქმიანობისათვის და თითოეული მათგანისათვის ფუნქციის განსაზღვრას, ერთობლივი საქმიანობის მკაფიო შედეგები და თითოეულის მონაწილეობა პროდუქციის საბოლოო გაფორმებაში. აქ საჭიროა ძალიან კარგი ორგანიზაციული კოორდინირებული მუშაობა, მისი ეტაპობრივი განხილვა გეგმის მიხედვით, ინდივიდუალური და ერთობლივი ძალისხმევით შესწორებების შეტანა, მიღებული შედეგების პრეზენტირება და შესაძლო საშუალებების დანერგვა პრაქტიკაში.

პროექტის საგნობრივ-შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ მონოპროექტები და საგანთაშორისი პროექტები:

მონოპროექტები ტარდება მხოლოდ ერთი სასწავლო საგნის ჩარჩოებში. ამასთან, ირჩევა შედარებით რთული სავარჯიშოები ან პროგრამირებული თემები. მონოპროექტებზე მუშაობა ითვალისწინებს ცოდნის გამოყენებას სხვადასხვა დარგიდან ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად. მსგავსი სახის პროექტი, ასევე, ითხოვს გაკვეთილების საგულდაგულო სრუქტურიზებას, გამომდინარე არა მხოლოდ პროექტის ამოცანებიდან და მიზნებიდან, არამედ – მისი ცოდნისა და უნარების დაუფლების აუცილებლობიდანაც, რომლებიც უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. ყოველ გაკვეთილზე წინასწარ იგეგმება: მუშაობის ლოგიკურად წარმართვა ჯგუფებში, სადაც როლებს ინაწილებენ მონაწილეები, პრეზენტაციის ფორმა, რომელსაც დამოუკიდებლად ირჩევენ მოსწავლეები. ასეთ პროექტებზე მუშაობას გააჩნია გაგრძელება ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტების სახით კლასგარეშე მუშაობის დროს.

საგანთაშორისი პროექტები, როგორც წესი, სრულდება კლასგარეშე მუშაობის დროს. ეს შეიძლება იყოს მცირე პროექტები, ასევე საკმაო მოცულობის, ხანგრძლივი, საერთო სასკოლო, ამა თუ იმ საკმაოდ რთული პრობლემის გეგმიური გადაჭრა, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტის ყველა მონაწილისათვის.

ასეთი პროექტები მოითხოვს სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა მოქმედების კვალიფიციურ კოორდინაციას, შემოქმედებითი ჯგუფების მოწესრიგებულ მუშაობას, რომელთაც აქვთ მტკიცედ განსაზღვრული კვლევითი დავალება, კარგად დამუშავებული ფორმები პრეზენტაციის შუალედურ და დასკვნით ეტაპზე. მოცემული პროექტები წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ დაწყებით კალსებში ქართული ენისა და

ლიტერატურის გაკვეთილებზე, თუკი საუბარი მიდის ერთი ციკლის საგანთაშორის კავშირებზე. გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი ორი მაღალკვალიფიციური პროექტის გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ პროექტთა ის ტიპები, რომლებიც ხასიათდება კოორდინაციით და ატარებენ უშუალო ან ფარულ ხასიათს; პროექტების დიფერენციაციით, მახასიათებელი კავშირებიდან გამომდინარე; პროექტის მონაწილეთა რაოდენობით (პიროვნული, წყვილური, ჯგუფური) და ხანგრძლივი გეგმიური საქმიანობით.

პროექტზე მუშაობის პროცესში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

1. პროექტზე მუშაობის მოსამზადებელი ეტაპი

- პროექტის მიზნებისა და თემების განსაზღვრა;
- პროექტზე მომუშავე ჯგუფების ფორმირება;
- ეტაპობრივი მუშაობის დაგეგმვა.

2. პროექტზე მუშაობა ჯგუფებში

- მუშაობის დაგეგმვა;
- კვლევა;
- შედეგებისა და დასკვნების ფორმირება.

3. წარმოდგენა – პროექტის დაცვა

4. პროექტის შეფასება (შეფასების რამდენიმე დონე)

- თვითშეფასება;
- სხვა ჯგუფების შეფასება;
- მასწავლებლის შეფასება;
- სპეციალურად შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

5. რეფლექსია – საერთო საქმეში საკუთარი მონაწილეობის ანალიზი

- რას ვაკეთებდით?
- როგორ გავაკეთეთ?
- როგორია შედეგები?
- როგორია ჩემი წვლილი პრობლემის გადაწყვეტაში?

მოცემული თანამიმდევრული მუშაობა სხვადასხვა პროექტის ტიპებსა და სახეობებზე უნივერსალურია სქემატურად. ეს სქემა შეიძლება უფრო ფართოდ გავშალოთ შემდეგნაირად:

6. მოსამზადებელი ან შესავალი ეტაპი (პროექტის დატვირთვა)

- თემის არჩევა და მისი კონკრეტიზაცია (პროექტის ჟანრის განსაზღვრა);

- ამოცანის ფორმულირება და მისი მიზნის განსაზღვრა;
- საპროექტო ჯგუფების ფორმირება, მათი მოვალეობის განსაზღვრა;
- წერილობითი რეკომენდაციების მიცემა თითოეული ჯგუფისათვის (მოთხოვნა, დრო, გრაფიკი, კონსულტაცია და სხვ.);
- პროექტის თემატიკის დამტკიცება და თითოეული ჯგუფის ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
- პროექტის პროცედურისა და კრიტერიუმების დადგენა და მისი წარმოდგენის ფორმები.

7. ძიებით-კვლევითი ეტაპი

- ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა;
- ინფორმაციის ანალიზისა და ხერხების დაგეგმვა;
- კვლევისათვის მზადება და მისი დაგეგმვა;
- კვლევის ჩატარება. მასალის შეკრება და მისი სისტემაში მოყვანა ჟანრული და მიზნობრივი სამუშაოსათვის, ილუსტრაციის შერჩევა;
- ორგანიზაციულ-კონსულტაციური მეცადინეობა. მოსწავლეთა შუალედური ანგარიში, პროექტის რეალიზების პროცესში წარმოქმნილი ალტერნატივების განხილვა.

8. ტრანსლაციურ-გასაფორმებელი ეტაპი

- პროექტის „წინადაცვა“;
- პროექტის დამუშავება შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით;
- პროექტის დაცვისათვის მზადება;
- დროისა და ადგილის გარკვევა;
- პროგრამისა და სცენარის გარკვევა, დავალების განაწილება ჯგუფში.

9. დასკვნითი ეტაპი

- პროექტის დაცვა;
- შედეგების შეჯამება, გაწეული მუშაობის კონსტრუქციული ანალიზი.

თანამედროვე ეტაპზე სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სრულიად დასაშვებია სწავლებაში ისეთი საშუალებებისა და სწავლების ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც იწვევს მოსწავლეებში დამოუკიდებელი და კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას. სწორედ ამ საქმეს ემსახურება პროექტირებული სწავლების მეთოდები. შეიძლება გამოვყოთ ის აქტუალური უპირატესობები, რომლებიც ახასიათებს პროექტირებული სწავლების მეთოდებს:

- მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- დამოუკიდებელი ძიების გზით შეძენილი ჩვევები და აუცილებელი

ინფორმაციის დამუშავება;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება სწავლებაში;
- სწავლების პროცესი ხდება თვითმოტივირებული, რადგანაც იზრდება ინტერესი და ჩართულობა სამუშაო პროცესში მისი შესრულების დროს;
- მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების აქტივიზირება;
- პროექტირებული მუშაობის პროცესში მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარება;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება;
- შეძენილი უნარ-ჩვევებისა და შესრულებული სამუშაოს პრეზენტირება სხვადასხვა ფორმით: ზეპირი, წერილობითი, უახლესი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით;

ასე რომ, პროექტირებული სწავლება წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ცოდნის ოპერატიულად დაუფლების საქმეში.

ლიტერატურა:

1. Muravyova, 2005 – Muravyova, G. E. Proektirovanie tekhnologii obucheniya. Uchebnoe posobie. Shuia-Ivanovo, 2005.
2. Muravyova, 2005 – Muravyova, G. E. Teoria I tekhnologia obuchenia proektirovaniu obrazovatelnogo protsessa, Shuia-Ivanovo, 2005.
3. Polat, 2005 – Polat E. S. (red.), Novie pedagogicheskie I informatsionnie tekhnologii v sisteme obrazovania. M., 2005.

Levan Jinjikhadze

ONE SYGNIFICANT TECHNOLOGY OF TEACHING GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE IN ELEMENTARY CLASSES

Summary

The main line of reforms in educational institutions is transferring from traditional methods to developing educational technologies. Submission of high requirements to a teacher and a pupil makes a teacher to look for innovative forms of activity, interactive methods. The principal priority of interactive method is based upon orientation straight on pupil.

From this point of view the methods of organizational activity have specific features. It is possible to develop each pupil's activity by active independent actions. Tuition by project (design) gives a great opportunity of moving to a new system of teaching from the existed model of tuition. Technology of projecting means searching for independent ways is experienced in many schools.

